პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფილიპე მახარაძე

# თხზულებათა კრებული

## ტომი VII

## აგრარული საკითხი

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი—1930

საბელგამის 1-ლი სტამბა.
პლეხანოვის პროსპ., № 91.
მთავლ. № 2039, შეკ. № 474
ტირაჟი 2.000.

# შინაარსი.


| | |
|---|---|
| | გვ. |
| რედაქციისაგან | V |

## ნაწილი პირველი

| | |
|---|---|
| ზოგიერთი კითხვები მიწათმფლობელობის შესახებ ჩვენში | 3 |
| აგრარული საკითხი ჩვენში | 23 |
| შესავალი . | 23 |
| I სოფლის მეურნეობა და მრეწველობა | 24 |
| II ძველის ნაშთები და ახალის ჩანასახები | 29 |
| მიწას ივჯარა | 32 |
| ბატონყმობის დამხობა რუსეთში | 37 |

## ნაწილი მეორე

| | |
|---|---|
| მოხსენება აგრარული საკითხის შესახებ . | 55 |
| ამიერ-კავკასიის კომისარიატი და მიწის საკითხი . | 57 |
| ესეც „დეკრეტია“ | 60 |
| როგორ სწადიათ მენშევიკებს და მემარჯვენე ესერებს მიწის საკითხების გადაჭრა ამიერ-კავკასიაში | 63 |
| მენშევიკები და მიწის საკითხი | 67 |
| ამიერ-კავკასიის კომისარიატის ერთ-ერთი ვითომდა „დეკრეტის“ ბედ-ილბალის შესახებ | 72 |
| მიწის საკითხი და რევოლუცია . | 74 |
| აგრარული საკითხი მართველი პარტიის ყრილობაზე. | 77 |
| მიწის საკითხი | 79 |

## ნაწილი მესამე

| | |
|---|---|
| მიწის საკითხის გადაჭრა | 93 |
| საქართველოს საბჭოთა მთავრობის კანონები მიწის შესახებ . | 95 |
| ყველა ადგილობრივ მიწის განყოფილებებს და მიწის კომიტეტებს სახელმძღვანელოთ და მთელი გლეხკაცობის საყურადღებოთ | 97 |

დამატება № 1 102
დამატება № 2 105
დამატება № 3 108
დამატება № 4 110
**მიწის რეფორმის პრაქტიკული მხარე ანუ მისი გატარება ცხოვრებაში.** 112
**მიწის საკითხის მნიშვნელობა** 116
**საადგილმამულო პოლიტიკა საქართველოში** 120
**საადგილ-მამულო პოლიტიკა და სასოფლო მეურნეობა საბჭოთა საქართველოში** 126
**საადგილ-მამულო პოლიტიკა და სასოფლო მეურნეობა საქართველოში** 139
**ჩვენი საადგილ-მამულო პოლიტიკა და სასოფლო მეურნეობა.** 147
(პასუხი შეკითხვებზე) 157
**გაუგებრობაა თუ რა?** 164
**რამდენიმე სიტყვა მიწის რეფორმის შესახებ საბჭოთა საქართველოში** 175
**ლენინი და გლეხკაცობა** 187
**მიწის საკითხები** 196


## ნაწილი მეოთხე


**სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია** 203
**უდიდესი გარდატეხის ხანა სოფლის მეურნეობაში** 238
**კოლექტივიზაცია ოზურგეთის მაზრაში** 244
**ბრძოლა კოლმეურნეობებისათვის სოფლად** 249
**საკოლმეურნეო მოძრაობის დღევანდელი მდგომარეობა და პერესპექტივები საქართველოში** 254
პარტიის გენერალური ხაზი სოფლად 254
ჩვენი შეცდომები და მათი მიზეზები 259
კოლმეურნეობათა მდგომარეობა ამ ჟამათ 267
მორიგი ამოცანები საკოლმეურნეო მშენებლობაში 273
**საბოლოო სიტყვა** 279
**შენიშვნები** 287

# ნაწილი პირველი

# ზოგიერთი კითხვები მიწათმფლობელობის შესახებ ჩვენში

## I

მიწადმფლობელობა დღეს ჩვენში იმდენად გამოურკვეველი საგანია, რომ იმაზე მსჯელობა მეტათ საძნელოთ, თითქმის შეუძლებლათაც მიგვაჩნია. მაგრამ მეორე მხრით მას იმდენათ არსებითი და საყოველთაო მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მასზე იმდენი მწვავე კითხვების გადაწყვეტა ჰკიდია, რომ ჩვენ ასე იქნება თუ ისე მაინც უნდა შევეხოთ მას. ამ წერილის მიზანს შეადგენს იმ მიმართულების გათვალისწინება, რომელსაც დაადგა ჩვენი მიწადმფლობელობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მისი (მიწადმფლობელობის) ზოგიერთი კერძო მხარეების დასახელებით. ამისთვის ჩვენ ვისარგებლებთ როგორც არსებული ოფიციალური სტატისტიკური მასალით, აგრეთვე სხვა ქვეყნების (განსაკუთრებით რუსეთის) მაგალითით და საზოგადო თეორიული მოსაზრებით. მაგრამ სანამ ამაზე გადავიდოდეთ, საჭიროთ ვთვლით მოკლეთ განვმარტოთ, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე მიწადმფლობელობა, არის იგი ერთხელ და სამუდამოთ გაჩენილი რამ, თუ იგი ისტორიულათ შემუშავებულია და როგორც ასეთი წარმავალი.

მიწადმფლობელობის საყოველთაოთ გავრცელებულ ფორმათ დღეს უნდა მივიღოთ მ ი წ ი ს კ ე რ ძ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა, თუმცა ზოგიერთ მივარდნილ კუთხეებში ან კულტურულათ ჩამორჩენილ მხარეებში მოიპოვება სხვაგვარი ფორმაც, მაგალითად მიწის საერთო მფლობელობა, უფრო ხშირათ კი მხოლოთ მისი მკრთალი აჩრდილი. „მიწის საკუთრება (კერძო) აღნიშნავს — ამბობს ცნობილი გერმანელი ეკონომისტი — განსაზღვრულ პირთა მონოპოლიას მიწის განსაზღვრულ სივრცეზე, როგორც განსაკუთრებულ სამფლობელოს იმათი პირადი ნების მოქმედებისას, რომელიც სხვის განკარგულებას უარჰყოფს... მიწის კერძოთ სარგებლობა სრულიად დამოკიდებულია ეკონომიურ პირობებზე, რომლებიც კერძო მფლობელთა დამოუკიდებლათ მოქმედებენ. თვით იურიდიული წარმოდგენა მხოლოთ იმას აღნიშნავს, რომ მიწის მფლობელს შეუძლია მოექცეს თავის მიწას ისე, როგორც საქონლის თითოეული პატრონი ექცევა თავის საქონელს. ასეთი წარმოდგენა კი, ე. ი. იურიდიული წარმოდგენა თავისუფალი კერძო საკუთრებისა, — ძველ დროში გაჩნდა მხოლოთ საზოგადოებრივი წესწყობილების შერყევის დროს, ახალ დროში კი მხოლოთ კაპიტალისტურ წარმოების განვითარების დროს“.

ამნაირი წარმოდგენა მიწის საკუთრებაზე საფუძველს უდებს იმ შემცდარ შეხედულებას მიწაზე, რომ ვითომც მიწა ისეთივე საქონელია, ე. ი. საცვლელი ღირებულება. როგორც შრომის ნაწარმოები ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. და მართლაც მიწა წარმოადგენს დღეს ყიდვა-გაყვიდვის, ე. ი. ვაჭრობის ერთ უდიდეს დარგს. მიწა და მასთან ერთად მის გულში დამარხული ბუნებრივი სიმდიდრე, სხვადასხვა მადნეულობა, იყიდება ისე, როგორც შრომის ნაწარმოები, ე. ი. როგორც საცვლელი ღირებულება. ჩვენ ქვევით დავინახავთ, თუ საიდან წარმოდგა ეს შეცდომა. აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ მიწის საკუთრება და იურიდიული წარმოდგენა ამ საკუთრებაზე შედარებით ახალი დროის ნაყოფია. დღეს უკვე მეცნიერულათ დადგენილია, რომ პირველყოფილმა დრომ არ იცის საზოგადოთ კერძო საკუთრება: ყოველივე ნივთი ჯგუფის ანუ თემის საერთო კუთვნილებას შეადგენს. განვითარების შემდეგ საფეხურზე ჩვენ ვხედავთ კერძო, ინდივიდუალური საკუთრების ჩანასახს, ნიშნებს, მაგრამ ეს საკუთრება შეიცავს მხოლოთ მოძრავ ნივთებს: ტანისამოსს, იარაღს და სხვ. რაც შეეხება უძრავ საკუთრებას, რომელიც დღეს ასე გამჯდარი აქვს თანამედროვე საზოგადოებას ძვალსა და რბილში, პირველ ხანებში არავითარი წარმოდგენა არ ქონდათ მაზე. უძრავი საკუთრების დასაწყისი მიწის დამუშავების დასაწყისია, რაც შედარებით ძლიერ გვიან ჩნდება. მაგრამ მიწის განსაზღვრული სივრცის ანუ ნაკერის კერძო საკუთრებათ გამოცხადებამდის კიდევ შორს ვართ. დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრული ტერიტორია შეადგენს თემის, ოჯახის ან გვარეულობის მფლობელობას. თემი, ოჯახი, გვარი, როგორც ერთად, ისე მათი წევრები ცალ-ცალკე სარგებლობენ მიწით, რამდენიც თითოეულ მათგანს სურს, ანუ რამდენის მოხმარა თითოეულ მათგანს შეუძლია. ეს არის მფლობელობა, და არა საკუთრება, ვინაიდან რა დღიდან მიწის მუშა შეწყვეტდა განსაზღვრულ ნაკერზე მუშაობას, იმ დღიდან იგი კარგავდა მაზე ყოველგვარ უფლებას და ყველას შეძლო იმავე ნაკერით ესარგებლა. ასეთი წესწყობილების ნაშთს ჩვენ დღესაც ვხედავთ ჩვენში, მაგ., ქიზიყში იგი დღემდე არსებობს, თუმცა ძლიერ გადაბსვაფერებულია, ახალი წესწყობილების ზეგავლენით. მაგრამ ასეთი წესწყობილების დროს ჩნდება და თანდათან ვითარდება მიწადმფლობელობის სულ სხვაგვარი სისტემა.

ჩვენ ვიცით, რომ მას შემდეგ, რაც პირველყოფილმა თემებმა მიწის დამუშავება იწყეს, იმ ტყეებს, რომლებიც მათ განუწყვეტელი ომების დროს უვარდებოდათ ხელში, აღარ ხოცავდენ. ეს უკანასკნელნი ხდებიან მეომარ პირთა მონებათ, იმათ ასახლებენ თავისუფალ მიწაზე, მიწის დასამუშავებლათ და ვალდებულათ ხდიან მოსავლის განსაზღვრული ნაწილი იმათ სასარგებლოთ იხადონ. ასეთ მიწადმომქმედ მონებს ჩვენ ვხედავთ კლასიკურ საბერძნეთში და განსაკუთრებით რომის იმპერიაში, მისი არსებობის უკანასკნელ ხანებში. ჩვენთვის აქ საინტერესო ის არის, რომ ასეთ მონების საშუალებით რამდენიმე პირი იმ მიწის საკუთრებას ჩემობს, რომელზედაც ისინი დასახლებულნი იყვნენ და რომელსაც ისინი ამუშავებდენ. გარდა ამისა იყვნენ ისეთი უმწეო და უთვისტომო პირები, რომლებიც თავისი ნებით ყიდდენ პირად თავისუფლებას და დამოუ-

კიდებლობას ეკონომიურათ უზრუნველყოფაზე მონობაში. *) აქედან წარმოდგა საშუალო საუკუნოების ფ ე ო დ ა ლ უ რ ი მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა. მართალია, ფეოდალური მიწადმფლობელობის ნიშნობლივ თვისებას შეადგენდა ის კანონი, რომ ყველა მიწა ფეოდალურ მებატონეთა, როგორც საერო, ისე საეკლესიო, საკუთრებას შეადგენდა — nulle terre sans senieur — მაგრამ იმავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ფეოდალურ მებატონეთათვის უპირველესი მნიშვნელობა ჰქონდათ იმათ, ვინც იმათგან პირადათ დამოკიდებული იყო, ცხოვრობდა და მუშაობდა იმათ მიწაზე და იხდიდა იმათ სასარგებლოთ ღალას და ხარკს. მართალია, მიწა ფეოდალების საკუთრებას შეადგენდა, მაგრამ საკუთრებას მხოლოთ მაშინ ჰქონდა მნიშვნელობა, როცა მასზე მიკრული იყო გლეხი; უამისოთ ფეოდალური საკუთრება ჰკარგავდა ყოველგვარ მნიშვნელობას. ამიტომ ფეოდალები ცდილობდენ დაესახლებიათ თავიანთ მიწაზე რაც შეიძლება მეტი გლეხი: გლეხთა სიმრავლე შეადგენდა იმათ ძალას, და არა ტერიტორიის სიდიდე. მეორე მხრით, ხშირად ფეოდალების ხელში არ იყო იმ მიწების სრული განკარგულება, რომლებიც იმათ მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა. იმ დროს მოქმედობდა ძლიერის უფლება. რომელიმე ძლიერ ფეოდალს შეეძლო ერთისთვის სრულებით წაერთმია მიწა და სხვისთვის გადაეცა; ძლიერის თვითნებობა და ძალმომრეობა კანონი იყო. ხოლო სადაც ასეთი კანონი, ანუ უფრო მართლა რომ ვთქვათ, სრული უკანონობა იყო გაბატონებული, იქ კერძო საკუთრების უზრველყოფა ყოვლად შეუძლებელი იყო.

ამნაირათ საშუალო საუკუნოებში ვერ განხორციელდა მიწის კერძო საკუთრება. ამისათვის საჭირო შეიქნა სულ სხვა პირობების არსებობა.

ქალაქებში მრეწველობის აღორძინებამ, ახალ ქვეყნების აღმოჩენამ ძირი გამოუთხარა ფეოდალურ წარმოებას და იმავე დროს საფუძველი ჩაუყარა მთელ თანამედროვე წესწყობილებას და კერძოთ ჩვენი დროის მიწის კერძო საკუთრებას. ახალი დროის კლასიკურ მხარეს წარმოადგენს ინგლისი, სადაც აი როგორ მოხდა ეს პროცესი: „სოფლის მწარმოებლის, გლეხის, ექსპროპრიაცია, იმისთვის მიწის წართმევა, — აი მთელი ამ პროცესის საფუძველი. სხვადასხვა ქვეყნებში ეს ექსპროპრიაცია ღებულობს სხვადასხვა ელფერს, და გაივლის სხვადასხვა საფეხურს არა ერთნაირი თანდათანობით. მხოლოთ ინგლისში, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ მაგალითისთვის, იგი ღებულობს კლასიკურ ფორმას... სახელმწიფო ქონებათა სიყალბით გადაცემა, სათემო საკუთრების დაპყრობა, ფეოდალურ საკუთრებათა თანამედროვე კერძო საკუთრებათ ძალდატანებით გადაქცევა, რაც დაუზოგველი სისასტიკით მოხდა, — აი იდილიური საშუალებანი კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისა. ამით დაპყრობილ იქნა ასპარეზი კაპიტალისტური მიწადმოქმედებისათვის, მიწა შეუერთეს კაპიტალს და შექმნილ იქნა თავისუფალ პროლეტარიების საჭირო დენა ქალაქის მრეწველობისაკენ".

ამნაირათ მიწის კერძო საკუთრება ნაყოფია ბურჟუაზიული ხანის. წინანდელმა დრომ იგი არ იცის, ან თუ იცის, არა იმ სახით, რომელიც მან ჩვენ დროში მიიღო. იმავე დროს კერძო საკუთრება საფუძვლათ დაედო თანამედროვე კაპი-

*) М. Ковалевский. Экономич. рост Европы და სხვ. შეს. გვ. XII

ტალისტურ მეურნეობას, რომლის მეოხებით სამაგალითო გაუმჯობესობა შეტანილ იქნა წარმოების ამ დარგში. „ერთი უდიდესი შედეგი კაპიტალისტური წარმოებისა — ამბობს ზევით დასახელებული ავტორი — მდგომარეობს იმაში, რომ მისი მეოხებით მიწადმოქმედება ტოვებს ძველ დახავსებულ და გამოუსადეგარ წესს და ღებულობს წმინდა მეცნიერულ ხასიათს აგრონომიის გამოყენებით, რამდენათაც ეს შესაძლებელია კერძო საკუთრების ფარგლებში; რომ იგი ერთი მხრით სრულიად ათავისუფლებს მიწადმფლობელობას ბატონურ და მონურ ურთიერთობათაგან, და, მეორე მხრით, ყოფს მიწას, როგორც შრომის პირობას, მიწადმფლობელისაგან,რომელსაც აინტერესებს მხოლოთ განსაზღვრული გადასახადი ფულათ, რომელსაც იგი მონოპოლიის წყალობით, ახდევინებს მრეწველს, ან ფერმერს... ერთი მხრით მიწადმოქმედების ნაციონალურ ნიადაგზე დაყენებას, რომელიც შესაძლებლათ ხდის მის ფაროო წარმოებას, და მიწის საკუთრების აბსურდათ გადაქცევა. მეორე მხრით, წარმოადგენენ კაპიტალისტური წარმოების უდიდეს სამსახურს". იმავე დროს აი როგორ ახასიათებს იგივე ავტორი წვრილს საკუთრებას: „მიწის წვრილი საკუთრება თავისთავად უარყოფს შრომის საზოგადოებრივ საწარმოო ძალთა განვითარებას, შრომის განსაზოგადოებას, საქონლის მოშენებას, მეცნიერების გამოყენებას".

თუმცა ასეთი მართალი ცვლილება მოახდინა, როგორც მეურნეობაში ისე თვით მრეწველობაშიაც მიწის კერძო საკუთრების აღორძინებამ თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებით, მაგრამ, მეორე მხრით, მისმა მავნე მხარეებმა ჩქარა იჩინა თავი, რის გამო მრავალი მეცნიერი მიეცა დიდ საგონებელს. სანამ ჩვენ გადავიდოდეთ მიწის კერძო საკუთრების მავნებელ მხარეებზე, მოვიყვანთ აქ ერთი ავტორის აზრს, რომელსაც ჩვენ სავსებით არ ვეთანხმებით, მაგრამ მიუხედავათ ამისა ის გაგვიადვილებს ჩვენ შემდეგში ჩვენი შეხედულების განმარტებას. ეს ავტორი არის ინგლისელი მწერალი უელტონი, რომელიც 1865 წელს აი რას სწერდა ამ საგნის შესახებ: „ჩვენი ქვეყნის სამეურნეო დაწესებულებათა ყოველგვარი ღონისძიებანი მანამ ვერ მოიტანენ რაიმე შესამჩნევ ნაყოფს მიწის დამუშავების გაუმჯობესობაში, სანამ ასეთი გაუმჯობესობა უფრო არ გაადიდებს მიწის საკუთრების ფასს და ასწევს მიწის მფლობელის შემოსავალს (რენტას), ვინემ არ გააუმჯობესებს მოიჯარეს და დაქირავებული მუშების მდგომარეობას. მოიჯარემ ისე, როგორც მიწის მფლობელმა და თითქმის, როგორც სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარემ, ძლიერ კარგათ იცის, რომ ჭაობის ამოშრობა, დრენაჟი, მიწის კარგათ გასუქება და გონიერი მართვა გაასაცარ ნაყოფს მოიტანს, როგორც ნიადაგის გაუმჯობესებისათვის, ისე მოსავლის გადიდებისათვის. მაგრამ ყოველივე ეს თხოულობს დიდ ხარჯს, მეიჯარემ კი ძლიერ კარგათ იცის, რომ რაც უნდა მან გააკეთოს მიწა და ასწიოს მისი ფასი, დაბოლოს ეს სასარგებლო იქნება მხოლოთ მიწის მფლობელისთვის, რომელსაც ამით მიემატება შემოსავალი (რენტა) და აიწევს მისი მიწის ფასი". ამნაირათ კერძო საკუთრება წინ ეღობება მეურნეობის გაუმჯობესობას. მაგრამ იგი ქმნის ბევრათ უფრო შეუსაბამო და საზოგადოებრივი განვითარების შემზღუდველ პირობებს, ასე რომ მიწის კერძო საკუთრება, რომელიც ჩვენ დროში ყველაზე უფრო მკვიდრ და შეურყეველ დაწესებულებათ ითვლება, არ მართ-

ლდება არც ისტორიულათ და არც ლოღიკურათ. ამ პირობებზე ჩვენ შემდეგ წერილში მოვილაპარაკებთ.

## II

ყოველივე კერძო საკუთრება იმას ნიშნავს, რომ ერთი ადამიანი სარგებლობს განსაკუთრებული უფლებებით. კერძო საკუთრება არსებითათ უარყოფს საზოგადოების წევრთათვის ერთნაირ პირობებს, ერთნაირ უფლებებს. კერძო საკუთრების სრული განვითარება ხდება მაშინ, როცა საზოგადოების ერთ ნაწილში მოგროვილია მთელი საზოგადოებრივი ქონების თუ სიმდიდრის უმეტესი ნაწილი და პირიქით, როცა საზოგადოების მეორე ნაწილს ეს სიმდიდრე თანდათან ეცლება ხელიდან. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენენ თანამედროვე განვითარებული ქვეყნები, როგორც, მაგ., ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები. ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი; დანარჩენი ქვეყნები და იმათ შორის ჩვენი ქვეყანაც ამავე გზაზე არიან შემდგარი და მეტი თუ ნაკლები სისწრაფით წინ მიიჩქარიან. რაც ითქმის საზოგადოთ კერძო საკუთრებაზე, იგივე უნდა ითქვას მიწის კერძო საკუთრებაზედაც; მაგრამ მიწის კერძო საკუთრებას აქვს ისეთი მხარეები, რომლებსაც მოკლებულია ყოველგვარი სხვა კერძო საკუთრება.

არსებობს ორი დიდი კატეგორია კერძო საკუთრებისა: მოძრავი და უძრავი. მოძრავი საკუთრების გასადიდებლათ, რომ იქიდან მეტი შემოსავალი მიიღოთ, საჭიროა რაიმე ლონისძიების ხმარება, ფულის გამოღება, შრომის დახარჯვა. ეს არის აუცილებელი პირობა. პირიქით, უძრავი საკუთრების პატრონს არა თუ არ ესაჭიროება ხელის განძრევა თავის შემოსავლის გასადიდებლათ, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში ეს ისე ხდება, რომ ამის შესახებ იგი არც კი ფიქრობს. მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი. ყველამ კარგათ იცის, თუ როგორი გამოუთქმელი სიჩქარით იზრდება თანამედროვე ქალაქები. ეს მოვლენა იწვევს, ერთი მხრით, ქალაქების მჭიდროთ დასახლებას და, მეორე მხრით, იმათ ტერიტორიის გაფართოებას. ამის გამო იზრდება ქალაქის მიწების ფასი. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე №-ს ქალაქის საუკეთესო ადგილას სახლი-აქვს, რომელიც მას წლიურათ აძლევს 2.000 მანეთს წმინდა შემოსავალს. ათი წლის შემდეგ ქალაქის ზრდის გამო სახლის დამქირავებელთა რიცხვი იმატებს, ე. ი. ბინა უფრო მეტ პირს ენდომება; ამიტომ დამქირავებელთა შორის ჩამოვარდება უფრო გამწვავებული მოცილეობა, რასაც ის შედეგი მოყვება, რომ სახლის პატრონი ბინის ფასს ასწევს და 2.000 მანეთის მაგივრათ მიღებს 3.000 მანეთს. აშკარაა, რომ უძრავი ქონების პატრონი სარგებლობს ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი განვითარებით; მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია იმ ძალთა შექმნაში, რომლებმაც გამოიწვიეს ქალაქების მცხოვრებთა ზრდა; შემოსავლის მატება ამ შემთხვევაში მას არა თუ არაფრათ არ უღირს, არამედ არც კი იცის, საიდან ან როგორ მოხდა ეს. იგი ხედავს მხოლოთ იმას, რომ მისი სახლის დაქირავება უფრო მეტ პირს სურს და ეს აძლევს მას მიზეზს ქირა მოუმატოს.-სახლის მაგიერ ცარიელი მიწა რომ აგვეღო, ამასვე დავინახავდით. ვთქვათ ქალაქის განაპირა

ადგილას რომელიმე X-ს ყოველად გამოუსადეგარი ადგილი აქვს, რომელიც არაკითარ შემოსავალს არ აძლევს პატრონს. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ქალაქის ზრდა ამ ადგილს სასარგებლოთ გახდის, რადგანაც ამ შემთხვევაში აუცილებელი შეიქნება იქ დასახლება. და აი მიწა, რომელიც არავითარ შემოსავალს არ აძლევდა თავის პატრონს, სრულიად მის უმეცადინოთ, შეიქნება დიდი შემოსავლის წყაროთ. და ეს მხოლოთ იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა შეიცვალა, წარმოიშვა და განვითარდა მრეწველობა და აღებ-მიცემობა, რასაც მოყვა ქალაქის განვითარებაც. ამნაირათ საზოგადოებრივ განვითარებას საკუთრებით იყენებს კერძო პირი, მხოლოთ იმის მეოხებით, რომ მას აქვს მონოპოლია მიწის განსაზღვრულ ნაჭერზე, ე. ი. ეს უკანასკნელი მის კერძო საკუთრებას შეადგენს, რომელსაც ისე მოექცევა, როგორც უბრალო საღირალ ნივთს.

ავიღოთ ახლა სხვა მაგალითი. ვთქვათ, ვისმეს შორს და მიუვალ ადგილას აქვს დიდძალი მამული, რომელიც, რა თქმა უნდა, არავითარ შემოსავალს არ იღლევა. წარმოვიდგინოთ, რომ ამ მამულში აღმოჩნდა რაიმე ძვირფასი მადანი, რომლის დამუშავება საჭირო ხდება საზოგადოების სხვადასხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ნაშინვე გაჩნდებიან მყიდველები ან მეიჯარენი და ეს სრულიად გამოუსადეგარი მამული შეიქნება დიდძალი შემოსავლის წყაროთ. ასევე მოუვა იმ მამულებსაც, რომლებიც ამ მადნებიანი ადგილების მახლობლათ მდებარეობს. გარდა ამისა ვინ არ იცის, რომ რკინის გზის გაყვანა, რაც საზოგადოებრივი წარმატების პირდაპირი ნაყოფია, ისეთი მიწების დამუშავებას ხდის შესაძლებლათ, რომ ურკინისგზოთ ეს წარმოუდგენელი იქნებოდა.

ამნაირათ ჩვენ აშკარად ვხედავთ, რომ ყველა ზევით დასახელებულ შემთხვევებში კერძო პირი ისაკუთრებს იმას, რაც საზოგადოებრივმა განვითარებამ შექმნა და რაც ამის ძალით მხოლოთ საზოგადოებას ეკუთვნის. გამოდის, რომ წინაპრების მთელ თაობათა კულტურული მუშაობა მხოლოთ იქეთკენ ყოფილა მიმართული, რომ ამის ნაყოფი კერძო პირის სასარგებლო შეიქნეს. ასეთი შედეგი მოაქვს მიწის კერძო საკუთრებას.

„ფულის დახარჯვა — ამბობს ცნობილი ეკონომისტი, რომლის სიტყვებს არა ერთხელ ვიმოწმებთ ჩვენ ამ წერილში, — რაც საჭიროა სამიწადმოქმედო წარმოებისათვის, კისერზე აწევს სულ მთლად ფერმერს, მეიჯარეს. ასეთი ხარჯი, რომელიც გონიერათ ხდება, მაშასადამე არ იწვევს ნიადაგის სრულიად გამოფიტვას, როგორც ამას ჩადიოდენ ამერიკაში ქონების ყოფილი პატრონები, აპოხიერებს ნიადაგს და უფრო მეტ გამოსავალს აღებინებს მას... მაგრამ გადის თუ არა ოჯარის ვადა, რომელიც ხელშეკრულებაშია დადებული, ნიადაგის გაუმჯობესება, როგორც განუყოფელი მიწისაგან, მიწის მფლობელზე გადადის, როგორც მისი საკუთრება. ამნაირათ მისი შემოსავალი იზრდება. თუ იგი მოინდომებს მიწის გაყიდვას, მისი ფასი მატულობს: იგი ყიდის არა მარტო მიწას, არამედ მიწას, რომელიც გაუმჯობესებულია, ფულს, რომელიც დაბანდებულია მიწაში და რომელიც მას არაფრათ არ უღირს“. მეორე ადგილს „მიწის მფლობელნი ამ გზით ღებულობენ არა თუ სარგებელს სხვის თანხაზე, რომელიც მათ არაფრათ არ დაჯდომიათ, არამედ გარდა ამისა ღებულობენ კიდევ სრულებით ტყუილათ სხვის თანხას“.

ამნაირათ მიწის კერძო საკუთრება ექვემდებარება სრულებით განსაკუთრებულ კანონებს. მიწის კერძო საკუთრება ყველაზე უფრო აშკარათ ყოფს იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილებაში. იგი იმავე დროს არა თუ ცხადყოფს ამ წესწყობილების უვარგისობაა და შეუსაბამობას, არამედ ნათლად გვიმტკიცებს მისი დარღვევის აუცილებლობას. გადავიდეთ ახლა ამ საგნის სხვა მხარეებზე.

დღეს ყველას ენაზე აკერია: მიწის ფასი, ეს მიწა ამდენათ და ამდენათ ღირს და სხვ. ახლა ჩვენ ვიკითხოთ: განა შეიძლება, რომ მიწას ფასი ჰქონდეს? ფასი თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოებაში აქვს მხოლოთ შრომის ნაყოფს. ვინაიდან მიწა შრომის ნაყოფი არ არის, მას ფასი არ აქვს. ის, რასაც ჩვენ მიწის ფასს ვუწოდებთ, მიწის ზედშეკეცილი შემოსავალია (რენტა). „ის გარემოება, რომ ზედშეკეცილი მიწის შემოსავალი გამოიხატება მიწის ფასში ან მიწის ღირებულებაში, და მიწა ამისთვის იყიდება, როგორც თითოეული სხვა საქონელი, ზოგიერთ დამცველთ მიწის საკუთრებისა გასამართლებელ საბუთათ მიაჩნია, ვინაიდან მყიდველი აძლევს იმაში ღირებულებას, როგორც სხვა რომელიმე საქონელში, და ამ საშუალებით მიწის საკუთრების უმეტესი ნაწილი გადავიდა სხვის ხელში. ამნაირათ მონობის გამართლებაც შეიძლებოდა, ვინაიდან მიწის პატრონისათვის, რომელმაც მისცა მიწაში ნაღდი ფული, იმის შრომისაგან შემოსავალი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ როგორც სარგებელი იმ კაპიტალზე, რომელიც, ამაში მიცემულია“. მიწის შემოსავალი მატულობს იმდენათ, რამდენათ წინ მიდის საზოგადოებრივი განვითარება, აქ არ შეგვიძლია გვერდი აუარეთ მიწის მსხვილ და წვრილ საკუთრებას. წვრილ მესაკუთრეობას არა აქვს მომავალი. „შევაზშეობამ იგი უნდა გააქროს. მიწის საყიდელათ ფულის გამოღება ხელიდან აცლის მეურნეს მიწის გაუმჯობესების საშუალებას“. გარდა ამისა შინამრეწველობის გაქრობა მსხვილი მრეწველობის გავლენით წვრილ მესაკუთრეობას ასუსტებს და შეუძლებელათ ხდის მის არსებობას.

ამ საზოგადო მოსაზრებათა შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ მთავარ საგანზე.

## III

მიწადმფლობელობის ისტორია ჩვენში იგივეა, რაც ყოველგან; განსხვავებას ვხედავთ მხოლოთ კერძო შემთხვევებში, რაც განვითარების საერთო სურათს სრულებით არ არღვევს. ეს განსხვავება უმთავრესათ მდგომარეობს იმაში, რომ მთელი ეს პროცესი, ე. ი. საერთო მიწადმფლობელობის დარღვევა, სათემო, საგვარეულო და საოჯახო საკუთრების განვითარება, შემდეგ ფეოდალური, ანუ ბატონყმური მიწადმფლობელობის გაჩენა და მისი თანდათანი გაუქმება და მის ადგილას თანამედროვე კერძო საკუთრების აღორძინება, — ვიმეორებთ, მთელი ეს პროცესი ჩვენში უფრო ნელი ნაბიჯით მიმდინარეობდა. ამნაირათ ამ გრძელი პროცესის სათავე არის მიწის საერთო მფლობელობა. როცა მიწა-ადგილი არავის კერძო საკუთრებას არ შეადგენს, ყველას შეუძლია თავის მოთხოვნილების დაგვარათ მიწა-ადგილით ისარგებლოს იმდენათ, რამდენათაც ეს მისთვის საჭიროა. მეორე მხრით, ამავე პროცესის უკანასკნელ საფეხურს შეადგენს დღე-

ვანდელი ფორმა მიწადმფლობელობისა, ე. ი. მიწის კერძო საკუთრება, როცა მიწა-ადგილი კერძო პირთა განუსაზღვრელ მფლობელობაში იმყოფება, ე. ი. როცა ერთი უფლება მიწის განსაზღვრულ ნაკერზე სრულებით უარყოფს მეორეს უფლებას იმავე ნაკერზე. როცა მიწის პატრონს აქვს განუსაზღვრელი და შეუზღუდავი უფლება მიწის გაყიდვისა, დაგირავებისა, გადაცემისა. ის გზა, რომელსაც მივყევართ პირველი საფეხურიდან უკანასკნელ საფეხურამდე, მეტათ დახლართულია და ძნელი შესასწავლი. თანამედროვე ისტორიულ და ეკონომიურ გამოკვლევათა მეოხებით ჩვენ დღეს ვიცით, თუ რა მიზეზებმა გამოიწვიეს მიწადმფლობელობის წესის ცვლილებანი. ჩვენ ვიცით, რომ ეს მიზეზები წარმოების ნივთიერ პირობებში უნდა ვეძიოთ. როგორც ყოველივე სხვა მხარე საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ისე მიწის მფლობელობის ესა თუ ის წესი ანუ ფორმა პირდაპირ დამოკიდებულია საზოგადოების საწარმოო ძალთა მდგომარეობაზე: ყოველივე ღრმა ცვლილება წარმოების სისტემაში, გაუმჯობესობა შრომის იარაღთა თუ ახლების გამოგონება, საზოგადოთ წარმოების ტეხნიკური პირობების გაუმჯობესობა, რაც შრომის ნაყოფიერების გადიდებას მოასწავებს აუცილებლათ ახდენს ღრმა ცვლილებას მიწადმფლობელობის წესში. ესე იგი. საზოგადოთ შეგვიძლია მივიღოთ შემდეგი თეზისი: ტექნიკურ გაუმჯობესებას მივყევართ საერთო მიწადმფლობელობიდან კერძო მიწადმფლობელობამდე, სანამ ეს უკანასკნელი არ შეიქნება შემაფერხებელ მიზეზათ მიწის დამუშავების. კულტურის, ტეხნიკური პირობების გაუმჯობესობისა, რასაც ჩვენ ვამჩნევთ თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობაში.

ჩვენ აქ არ გამოუდგებით იმის გამოკვლევას, თუ როგორ იყო ჩვენში მიწადმფლობელობა უძველეს ხანებში. ჩვენთვის აქ საკმარისი იქნება, თუ მკითხველს ვუჩვენებთ მოკლეთ მიწადმფლობელობის ფორმას და ამასთანავე აღვნიშნავთ, თუ რა გარემოებამ შეუწყო ხელი პირველის დამჩობას და მეორის აღორძინებას.

მთელ საშუალო საუკუნოების განმავლობაში მიწადმფლობელობა საქართველოში ასეთ სურათს წარმოადგენს. სათაპო, საგვარეულო და საოჯახო საკუთრება მიწის თავისუფალ მომუშავეთა თანდათან ქრება. იმავე დროს თანდათან ისპობა გლეხ-კაცობის დამოუკიდებელი მდგომარეობაც. ეს წოდება, რაც დრო გადის, კარგავს პირად დამოუკიდებლობას და ვარდება ბატონ-ყმურ მდგომარეობაში, რომლის უკიდურესი განვითარება გამოიხატება ვახტანგ მეექვსის კანონით: „ყმისა ყველა ბატონისა არის" (ვახტანგის კანონები, § 258). რაც შეეხება თვით მიწა-ადგილს, იმის პატრონ-ბატონათ ხდება, ერთი მხრით, ფეოდალური თავად-აზნაურობა, და მეორე მხრით ეკლესია-მონასტრები. მაგრამ ეს პატრონობა სრულებით არ ნიშნავს თანამედროვე საკუთრებას. უწინარეს ყოვლისა საშუალო საკუკუნოებში მიწადმფლობელობა უსათუოთ შეერთებულია რაიმე საპატიო ხარისხთან, ან სახელმწიფო სამსახურთან. ჩვენ დროში თუ რაიმე სახელმწიფო თუ საზოგადო სამსახურისთვის აჯილდოებენ ფულით, წინათ ამისთვის აძლევდენ ყმებს იმათი სახლკარით და ყოველივე უძრავ-მოძრავი ქონებით. მეორე მხრით, იმ დროს, რომელზედაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, თვით მიწას თავისთავად არ აქვს მნიშვნელობა, თუ მაზე ყმები არ არიან დასახლებული, რომლებიც ვალდებული არიან იხადონ ბატონის სასარგებლოთ ყოველგვარი

გადასახადი, ვინაიდან ასეთი ცალიერი მიწა ყოვლად უსარგებლო და გამოუსადეგარი იქნებოდა ფეოდალური ბატონისთვის იმიტომ, რომ ამ უკანასკნელს არ შეეძლო მისი არც დაგირავება, არც გადაცემა და მით უმეტეს არც გაყიდვა; იმას მხოლოთ უფლება ეძლეოდა ესარგებლა მიწის შემოსავალით, რომელსაც იგი ღებულობდა სხვადასხვა სახით, თუ მიწის ნაყოფით, თუ მუშაობით. მაგრამ დაბოლოს უნდა ყოფილიყო ისეთი ვინმე, რომელსაც შესძლებოდა, ან მინიჭებული ჰქონოდა ის უფლება, რომ მიწა გაეცა, ანუ ებოძებია, ვინც ამის ღირსი შეიქნებოდა თავისი ხარისხით თუ სამსახურით. ასეთი პირი უნდა ყოფილიყო, რა თქმა უნდა, მეფე, ან მთავარი. ესენი ურიგებდენ მიწა-ადგილს იმათ, ვინც ამას დაიმსახურებდა რაიმე მოქმედებით, ან ეწეოდენ რაიმე სახელმწიფო სამსახურს, ან კიდევ მათივე თხოვნით. ასეთ მიწას ეწოდებოდა ნაბოძები და იგი ნიშნავდა მხოლოთ დროებით მფლობელობას. იმის წართმევა ყოველთვის შეეძლო იმას, ვისგანაც იგი ნაბოძები იყო. დროებით მფლობელს კი არ შეეძლო არც გადაცემა, არც გასაჩუქრება სხვაზე. გარდა „ნაბოძებისა" არსებობდა კიდევ მამული, ანუ საგვარეულო საკუთრება, რომელიც უდრის რუსების „ვოტჩინას". *) არც „მამულის" გადაცემა შეიძლებოდა სხვაზე, პირველ ხანებში მაინც. მაგალ., აღბუღას [2]) კანონით ქმარი თავის ცოლის სამამეულო მზითევს ხელს ვერ ახლებდა; იგი გადადიოდა შვილზე, თუ უშვილოთ მოკვდებოდა, ისევ საგვარეულოს უნდა დაბრუნებოდა. მეორე მხრით, გლეხის ქალს არ ჰქონდა სამამეულო მზითები, რაც იმას ამტკიცებს, რომ აღბუღას დროს, ე. ი. მეთოთხმეტე საუკუნის დასასრულს და მეხუთმეტე საუკუნის დასაწყისს გლეხკაცობას აღარ ჰქონებია საკუთარი საგვარეულო მამული. **) მეორე გარემოება, რომელსაც გვამცნევს აღბუღას სამართალი, ეს ის არის. რომ მის დროს მეტათ გახშირებული ყოფილა სხვისი მამულის დაპერა, ანუ სხვისი საკუთრების ძალათ დაპატრონება. ამის მოსასპობათ აღბუღა სასტიკი ზომები აქვს ნაჩვენები: თუ ვინმემ სხვისი მიწა დაიპიროს, „ოდესაცა სამართალი იშო

თავისუფლათ სარგებლობაზე. მაგ., 1785 წელს, მეფის ერთ ბრძანებაში ვკითხულობთ: „თუმანიშვილებმა შემოგვჩივლეს, რომ ამილახვრებმა არც ჩვენ, და არც ჩვენი კაცები არ შეუშვეს ტყეში; უკანასკნელს იქვე ცემენ, ძარცვავენ და უკრძალავენ ტყიდან შეშის მოტანას და მინდორში საქონლის ძოვებას. რას ნიშნავს ეს? კაცს ასეთი დიდი ტყე ჰქონდეს და გლეხს არ მიეცეს იქიდან შეშის და სხვა მასალის გამოტანის ნება? რ ო დ ი ს ვ ი ს უ ნ ა ხ ა ვ ს ა მ ი ს მ ს გ ა ვ ს ი“? *) აქედან აშკარათ ჩანს, რომ არც ერთ მებატონეს, ე. ი. არა თუ დროებით მფლობელს, არამედ სამკვიდრო მამულის პატრონსაც, არ ჰქონებია იმის უფლება, რომ ტყით და საძოვრით სარგებლობა აეკრძალა გლეხისათვის.

მეთორმეტე საუკუნიდან ჩვენ გვაქვს აუარებელი კუჯრები და აქტები, მამულის და გლეხების ბოძებისა თუ სიგელის განახლებისა. დასახასიათებლათ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. 1455 წელს მეფე გიორგიმ უწყალობა მელვინეთ-უხუცესს ასატ ვაჩნაძეს მამული და გლეხები სოფლებში: კარდანახში, ვეჯინში, ბაკურციხეში, ვარდანუნში, კოლაკში და სხვა და სხვ. 1521 წ. მეფე სვიმონმა უბოძა თავის ერთგულ ყმას ივანე ბარათაშვილს გლეხები სხვადასხვა ადგილას ყოველივე თავის მიწა-ადგილით. 1584 წ. მეფე გიორგიმ უბოძა თავის ერთგულ ქვეშევრდომს ჯანდიერიშვილს, მისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამსახურისათვის, 29 მოსახლე გლეხი ნებით და ყოველივე იმით, რაც კი იმათ ებადიათ. „1613 წ. მეფეთა მეფემ ლუარსაბმა გიბოძა ეს მოწყალების ქალალდი შენ, დაუცხრომელ და ერთგულ ჩემს მოსამსახურეს ასლან ამირაჯიბს და შენ შვილებს იმის გამო, რომ შენ გამოგვეცხადე ჩვენ და გვთხოვე გვებოძებია შენთვის მამული. ჩვენ გავშინჯეთ შენი თხოვნა და მივიღეთ რა მხედველობაში შენი დაუღალავი სამსახური, გიბოძეთ შენ საშვილიშვილოთ ყველა მამული სალუბანში, ადვიზსში და წაგვლში“. სიგელის განახლება. 1451 წელი. „ჩვენ გიორგიმ მეფემ აფხაზისამან, ქართლისამან, კახეთისამან და სხვ. გაძლევთ ამ მოწყალების სიგელს თქვენ კირილე წულუკიძეს და თქვენ შვილებს იმაზე, რომ თქვენ გამოცხადდით ჩვენთან და გვთხოვეთ, რომ ჩვენ, ურიცხვი თქვენი სამსახურისათვის, დაგვემტკიცებია თქვენთვის ყველა სამკვიდრო და სისხლით შეძენილი მამული. ჩვენ ვისმინეთ თქვენი თხოვნა და დაგიმტკიცეთ, როგორც სამკვიდრო, ისე სისხლით შეძენილი თქვენი მამული“. **) მეფიდანვე იყო დამოკიდებული ამოვარდნილი მამულის სხვაზე გადაცემა, რისთვისაც იგი ხშირათ ქრთამსაც იღებდა ხოლმე. მაგ., 1641 წ. მეფე ბაგრატმა მისცა ქაიხოსრო წერეთელს სიგელი იმაზე, რომ მან, მეფემ მიიღო მისგან კარგი ქრთამი და უბოძა მას ამოვარდნილი მამული, რომელიც მის საკუთრებათ გადავიდა აზნაურ აბაშიძის სიკვდილის შემდეგ. ***)

თუ საერთო პირებზე სახელმწიფო ან სხვა რაიმე სამსახურისთვის გადადიოდა მამული, როგორც მეფისაგან ნაბოძები, სამაგიეროთ ეკლესია-მონასტრებს

*) Д. П. Пурцеладзе. Грузинские крестьян. и др. грамоты გვ. 45 — 46.

**) Д. П. Пурцеладзе. Дворянские грамоты. გვერ. 1, 2, 3, 4, 36. შეადარეთ: Д. Бакрадзе. Археол. путешествие по грузии и Аджаре. გვერ. 204, 308 და სხვ.

***) Дворянские грамоты გვერ. 41.

სწირავდენ მამულს სულის მოსახსენებლათ თუ საცხონებლათ. ამის სურვილი კი, როგორც ისტორია მოწმობს, ყოველთვის დიდი ყოფილა, ამიტომ ეკლესია-მონასტრებს დიდძალი მამული ჩაუვარდათ ხელში: ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ შეწირული მამული ეკლესიას აღარ წაერთმევოდა. ამნაირათ ეკლესია შეიქნა უძლიერესი მებატონე, მას ჰყავდა თავის ქვეშევრდომებათ და ყმებათ არა მარტო გლეხები, არამედ აზნაურებიც. ეკლესია მოქმედებდა ისე, როგორც საერთო მფლობელი, მეფე: მსგავსათ უკანასკნელისა, იგიც უბოძებდა, თავის აზნაურთ გლეხებს და მამულს. მაგ., 164 წ. კათალიკოსმა ქრისტეფორემ უბოძა საეკლესიო აზნაურს კარსიძეს ოთხი კომლი გლეხი თავისი მიწა-წყლით სოფ. ძეგვში. *)

## IV

წინა წერილში ჩვე ვუჩვენეთ მიწადმფლობელობის უმთავრესი ხასიათი საშუალო საუკუნოებში, ე. ი. ჩვენ აღვნიშნეთ ის გარემოება, რომ მიწა-ადგილი მაშინ ორი კატეგორიის მფლობელთა განკარგულებაში იმყოფებოდა, ერთი მხრით, საერო პირთა: მეფეთა, მთავართა და ერისთავთა და, მეორე მხრით, ეკლესია-მონასტრების. ესენი ფლობდენ მიწას ფეოდალური უფლებით, ე. ი. იმყოფებოდენ ურთიერთ შორის, როგორც უფროსი და უნცროსი, სიუზერენი და ვასალი; ერთს ჰქონდა უფლება მიწის ბოძების, მეორეს უფლება ამ ნაბოძები მამულის სარგებლობისა. იყო მხოლოდ ერთი ძირითადი განსხვავება საერო და სასულიერო მფლობელთა შორის, სახელდობრ ის, რომ „მამული ერთხელ შეწირული ეკლესიას აღარ წაერთმეოდა", **) მაშინ, როცა საერო პირისთვის ნაბოძები მამულის წართმევა ყოველთვის შეიძლებოდა. მაგრამ მიუხედავათ ამისა იყო ერთი გარემოება, რომელიც აერთებდა საერო და სასულიერო პირთა მიწადმფლობელობას. ჩვენ ვამბობთ იმას, რომ როგორც შეუძლებელი იყო ნაბოძები მამულის თავისუფლათ გადაცემა, დაგირავება და მით უმეტეს გაყიდვა, საერო მფლობელის, ისევე შეუძლებელი იყო საეკლესიო მამულის გადაცემა, და გაყიდვა. პირველ შემთხვევაში იმიტომ, რომ ნაბოძები მამული მხოლოთ დ რ ო ე ბ ი თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა ს, ე. ი. სარგებლობას, ნიშნავდა; მისი მფლობელობა მხოლოთ შემთხვევაზე იყო დამოკიდებული. ამისთვის შემოღებული იყო სიგელის განახლება როგორც ყოველი ახალი პირის გამეფების დროს, ისე მაშინ, როცა მამიდან შვილზე უნდა გადასულიყო ნაბოძები მამული. მაგრამ უწინარეს ყოვლისა ნაბოძების მამულის უზრუნველსაყოფელათ საჭირო იყო თავისი მეუფროსეს, სიუზერენის, მეფის ერთგული სამსახური. 1623 წელს მეფე სიმონმა უბოძა ბოქაულთ უხუცესს ქაიხსრო ბარათაშვილს მთელი მამული ბარათა ბარათაშვილისა მხოლოთ იმიტომ, რომ უკანასკნელმა უღალატა მას და მიემხრო სპარსეთის ყეენს. ***) საეკლესიო მამულის გადაცემა და გაყიდვა კი აკრძალული იყო საეკლესიო წესით, ვინაიდან იგი ხელუხლებელი უნდა დარჩენოდა ეკლე-

*) Ibid 5.

**) ა. ხახანაშვილი. გუჯრები, გვ. XIV.

***) Д. П. Пурцеладзе. Крес. грам. ვვერ. 3.

კუნიდან დაწყებული.*) აქ ჩვენ ვხედავთ ძირითად განსხვავებას, რომელსაც წარმოადგენს საშუალო საუკუნოების, ე. ი. ფეოდალური მიწადმფლობელობა ჩვენი დროის მიწადმფლობელობისაგან. თუ როგორ თანდათან შეიცვალა და სამუდამოთ დაირღვა ასეთი წესი მიწადმფლობელობისა და მიწა გახდა თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის საგნათ, ამას ჩვენ შემდეგ გავიგებთ. აქ ჩვენ უნდა გამოვიძიოთ საფუძველი ამგვარი მიწადმფლობელობისა, უნდა ვუჩვენოთ, თუ როგორ გაჩნდა, განვითარდა და დამკვიდრდა ასეთი წესი მიწადმფლობელობისა.

მიწადმფლობელობის კითხვა ძლიერ მჭიდროთ შეკავშირებულია არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან, — ეს უკანასკნელი, ე. ი. საზოგადოებრივი ურთიერთობა, ანუ საზოგადოების საწარმოო ძალთა მდგომარეობა ის საფუძველია, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს მიწადმფლობელობის ესა თუ ის წესი. იმ საზოგადოებაში, რომელშიაც ნატურალურ მეურნეობასთან ერთად ფეხს იკიდებს მიწის დამუშავება და რომელშიაც იმავე დროს აურაცხელ გარეშე მტერთა თავდასხმის გამო აუცილებელი ხდება მუდმივ მეომართა, მხედართა რაზმის ყოლა, ადრე იქნება თუ გვიან, უსათუოთ უნდა გაჩნდეს ფეოდალური ურთიერთობა. ასეთ პირობებში დარჩა ჩაყენებული ჩვენი ქვეყანა უძველეს დროიდან. ისტორიის ცნობით საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებას დასაწყისიდანვე ფეოდალური ხასიათი ემჩნევა. „ქართლის ცხოვრების“ [1]) თქმულებით საქართველოს პირველი მეფე **) და იმავე დროს ფეოდალური წესწყობილების შემომღები იყო ფარნავაზი (სამი საუკნის წინათ ქრისტეს დაბადებამდე). მან დაყო საქართველო რვა ნაწილათ და თითოეული იმათგანი ჩააბარა ცალკე ერისთავს.***) ჩვენ აქ არ შევდივართ იმის განსჯაში, თუ რამდენათ ნამდვილია ფარნავაზი როგორც ისტორიული პირი, ვინაიდან იმის ცხოვრების აღწერა უფრო ზღაპრულ ამბებს მოგვაგონებს, ვიდრე ისტორიულ შემთხვევათ. არც იმის გამორკვევაში შევალთ, რატომ ამა თუ იმ წესწყობილების შემოღებას ერთ კაცს ვერასოდეს ვერ მივაკუთვნებთ, — აშაზე ჩვენს ძველობაში არა ერთხელ ყოფილა ბრძოლობა. ვიტყვით მხოლოთ, რომ ერისთავნი, რომლების განწესებას მატიანე ფარნავაზს მიაკუთვნებს, ფარნავაზის დრომდეც იყვენ, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ისინი ამ სახელით არ იწოდებოდეს, ორამედ ცნობილი იყვენ, როგორც მამასახლისნი, ანუ თავადნი, ე. ი. თემთა და გვართა წინამძღოლნი ომში. ამის საბუთს ჩვენ ვპოულობთ ოვით „ქართლის ცხოვრებაში“. მოგვითხრობს რა მცხეთოსის სიკვდილს, მატიანე ასე გახაგრძობს: „იწყეს ბრძოლათ და ხდომაი, ურთერთარს, და გახაგრძელეს ძათ ძორის ბრძოლა, რომელ ჟამსამე აღდგიან აბათგანი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა და სხვანი შეეწეოდიან. რომელ-

*) იხ. ამის შესახებ საინტერესო წერილები ნ. როჟკოვისა. „Денежное хозяйство и формы землевладения“. (Научное обозрение, 1902 г. № 2) და „Город и деревня в русской истории“. („Мир Божий“ №№ 4, 5 и 6 за 1902 г.).

**) ბ-ნი ეორდანიას მიერ გამოცემული ქრონიკების ცნობით საქართველოს პირველი მეფე ყოფილა არაგ. იხ. „ქრონიკები“, გვ. 12.

***) „განმარავლნა ყოველი მხედარნი ქართლისანნი. განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი“. „ქართლის ცხოვრება“. ზ. ჭიჭინაძის გამ. გვ. 39.

საძე ჟამსა იქმნის მშვიდობა მათ შორის, და შეიშალნიან და ებრძოლიან... და არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს. არამედ ადგილითი-ადგილათ თავადნი იჩინიან; ხოლო რომელიცა იყვნის მცხეთისა რეცა თავადი იგი იყვნის ყოველთა მათ სხვათა ზედა, და არცა სახელი ედებათ მეეთ, არცა ერისთავათ, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ, იგი იყვის მაზავებლი და მეჭე სხვათა ქართლოსიანთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებული იყო უმეტეს ყოველთასა". *) აქ წარმოდგენილი სურათი ჩვენი ქვეყნის უძველესი დროის წესწყობილებისა, სანამ პოლიტიკური სახელმწიფო დაარსდებოდა, სიმართლეს ძლიერ უახლოვდება. იგი წარმოგვიდგენს ბარბაროსულ ხანას და თავისი ხასიათით ძლიერ წააგავს იმ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფებოდენ გერმანელთა ტომნი და ნათესავნი, როცა ისინი აწერილ იქნენ ცეზარის [5]) და ტაციტის [6]) მიერ. გარეშე მტერთა თავდასხმამ და მათთან ხშირმა ბრძოლამ ეს დამოუკიდებელი ტომნი და ნათესავნი თავიანთ მამასახლისებით და გმირებით აიძულეს, რომ შეერთებულიყვენ, შეეკრათ ცოტათ თუ ბევრათ ძანგრძლივი ზავი. შემდეგ ეს თავდება იმით, რომ ერთ რომელიმე თემის თუ ნათესავის მამასახლისს ირჩევენ მეფეთ, რომელსაც ყველა დანარჩენი მამასაილისები ანუ თავადნი მორჩილებას უცხადებენ. ასე მოხდა ძველ საბერძნეთში და რომში და საშუალო საუკუნოების ევროპაში; განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ ჩვენში მეფეებმა ვერასოდეს ვერ შესძლეს მძლავრ ფეოდალურ მებატონეთა, მთავართა და ერისთავთა შემუსვრა. მათი ძლიერების და მნიშვნელობის შემცირება და თავისი გავლენის გაძლიერება. ორი ათასი წლის განმავლობაში იშვიათათ ყოფილა ისეთი ხანა, რომ მეფეთა და ფეოდალთ შორის გამწვავებული და სასტიკი ბრძოლა არ ყოფილიყოს. დიდებულნი და ერისთავნი, როცა მათ უნდათ, ირჩევენ მეფეთ და დახმარებას უწევენ. „მაშინ შეკრბეს ყოველნი წარჩინებულნი ამის სამეფოსანი, იმერნი და ამერნი, კათალიკოზი და ეპისკოპოსნი და მეფე ყვეს", — ვკითხულობთ ჩვენ მატიანეში. როცა არ მოსწონთ მეფე, მაშინ არა თუ მორჩილებენ მას, არამედ ღალატობენ და ეხმარებიან სხვას. თვით ფარნავაზის სიკვდილის შემდეგ შეკრბენ ერისთავნი და თქვეს: „არა კეთილარს ჩვენდა, თუმცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩვენს, არამედ ვიყოთ ერთათ და მოვკლათ ჩვენ საუმარგ, და ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ, და მივსცემდეთ ხარკსა, ვინც ავნი გამოჩნდეს მძლე". **) ასეთი იყო საქართველოს პოლიტიკური წყობილება სამეფოს დაარსებიდან მის მოსპობამდე, ე. ი. მეთერამეტე საუკუნის ბოლომდე. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რომელიც შეიცავს ორი ათასზე მეტ წელს, ამ წყობილებაში შესამჩნევი ცვლილება არა მომხდარა რა. თუ ერთი ფეოდალი დაეცემოდა, მის ადგილას მეორე განდიდდებოდა და სხვა ამგვარი. აქ საჭიროა მოვიხსენიოთ შემდეგი გარემოება.

ქრისტიანობის შემოღების შემდეგ ფეოდალურ უფლებას იძენენ სასულიერო წოდების უმაღლესი წარმომადგენელნი. ჩვენ ზევით მოხსენებული გვქონდა, რომ მეფის არჩევის დროს იკრიბებოდენ საერთო ფეოდალებთან ერთათ სასუ-

*) „ქართლის ცხოვრება", გამ. ზ — სა, გვ. 23 — 24.
**) Ibid. გვერ. 40 — 41.

ლმერო წოდების უმაღლესი პირნი: კათალიკოსნი და ეპისკოპოსნი, როგორც ფეოდალები. მაგრამ იმათი ფეოდალური უფლებანი მარტო კრებაში მონაწილეობის მიღებით არ განისაზღვრებოდა. ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთ ევროპაში სასულიერო პირები: ეპისკოპოსები და აბატები იყვენ მთელი პროვინციების გამგენი, როგორც დამოუკიდებელი მთავარნი; ისინი ღებულობდენ მონაწილეობას ომში, როგორც მხედართ მთავარნი. ჩვენშიაც სწორეთ ამას ვხედავთ. ეპისკოპოსები წინაუძღოდენ, უფროსობდენ ჯარს ომში, როგორც სარდლები. *) შემდეგი ამბავი, რომელსაც მოგვითხრობს ქართული მატიანე, მეტათ შესანიშნავია ამ მხრით. „ურჩნი თვისნი შესცვალნა და ადგილთა მათთა — დაადგინა ერთგულნი, გამოლაშქრა ყოვლითა სპითა თვისთა და გარდმოვიდა ქართლს, წარგზავნა მოციქული კახეთს, ითხოვა ციხენი ქართლისანი, რომელი მათ ქონდეს; მას ჟამსა იყო კახეთს ქორეპისკოპოსი დავითი. ხოლო მან არ ინება მოცემა ციხეთა, არამედ მიუმცნო ესრეთ. „უკეთუ ეძიებ ციხეთა იყოს ჩვენ შორის დამჯერებელი მკლავი და ომი, ხოლო მე წინა მოგეგებო ქსანსაზედა“. **) აქედან აშკარათ ჩანს, რომ სასულიერო წოდების წარჩინებული პირნი არაფრით არ ჩამოუვარდებოდენ საერო ფეოდალთ; და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ეკლესიის ხელში გადავიდა დიდძალი მამული, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ეკლესია, როგორც ფეოდალური ბატონი, ბევრათ ჯობნიდა საერო ფეოდალებს და თითქმის წარმოადგენდა სახელმწიფოს სახელმწიფოში. „საქართველოში — ამბობს ცნობილი მ. ბროსსე ?) — როგორც ევროპის ქვეყანაში, სამღვდელოება წარმოადგენდა ერთ დამოუკიდებელ მთელს (corporation), სხვადასხვა უფლებით აღჭურვილს, საეკლესიო ხალხს პოლიტიკური და სამოქალაქო ხალხის გვერდით, რომლისთვისაც არსებობდა განსაკუთრებული წესი და კანონები, მაგრამ რომელიც არას დროს ერ ზრუნავდა ქვეყნის ნივთიერ კეთილდღეობისათვის. კათალიკოზი ცნობილი იყო, როგორც ნამდვილი სულიერი მეფე“. ***) მაგრამ რადგანაც ამ საგანზე ჩვენ კიდევ შემდეგ ვილაპარაკებთ, აქ ვწყვეტთ მაზე სიტყვას და გადავდივართ მეორე საკითხზე, რომელიც აქვე უნდა იქნას განხილული.

ეს საკითხი არის შემდეგი: რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ფეოდალებს დაბლა მდგომი ხალხი, პირველ ხანებში და შემდეგ. სამწუხაროთ, ჩვენი ისტორიის წყაროები ამ საგნის შესახებ თითქმის სრულებით არაფერს ამბობს. პირველ ხანების შესახებ მაინც. აპრიორულათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავისუფალი მიწის მუშა გლეხ-კაცობა გავრცელებული უნდა ყოფილიყო მეათე საუკუნემდის ქრისტეს შემდეგ. ამ თავისუფალ გლეხ-კაცობის მოსპობა ნელი ნაბიჯით ხდებოდა. იბადება კითხვა: რა უფრო ადრე დაკარგა გლეხ-კაცობამ: პირადი დამოუკიდებლობა თუ მიწის თავისუფალი მფლობელობა? ჩვენი შეხედულებით. ეს პროცესი ორივე გზით ხდებოდა, მაგრამ ის კი უნდა ვთქვათ, რომ ეკლესია-მონასტრებმა ძლიერ დააჩქარეს იგი. წინანდელი თავისუფალი გლეხის

*) Пурцеладзе. Церковные Гуджары, გვერ. 2.

**) იხ. „ქართლის ცხ—ბა“, გვ. 304.

***) M. F. Brosset. Histoire de la Georgie, introduction, p. C. XI.

ადგილი თანდათან დაიჭირა დამოუკიდებელმა გლეხმა, ანუ ბატონის ყმამ. როდის გაჩნდა ჩვენში ბატონყმური დამოკიდებულება, ეს საკითხი ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის. ბ. ა. ხახანაშვილი, მაგ., ამ საგნის შესახებ ამბობს: „აღბუღას დროს (ე. ი. მეთოთხმეტე საუკუნის ბოლოს) არ არის ის ყმობა, რომელის კვალს ვპოულობთ ვახტანგის *) კანონებში. აღბუღამ იცის მხოლოთ დროებით მოვალე, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტოს ვალი და განთავისუფლდეს. ამისიანა ყმას კი არ აკლია არც პიროვნული და არც ქონებრივი უფლებაო. *) მეორე ადგილას იგივე ავტორი გაკვრით გვეუბნება: „ეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ გიორგი მეფის კანონებმა სრულებით არ იცის ბატონ-ყმობაო". **) ამნაირათ ბ. ხახანაშვილის აზრით გამოდის, რომ ბატონ-ყმობა ჩვენში მეთოთხმეტე საუკუნიდან იწყება და მხოლოთ მეჩვიდმეტე საუკუნეში ღებულობს განვითარებულ სახეს. მაგრამ ასეთი აზრი დღეს მისაღები არ არის. ბატონ-ყმობის დასაწყისი ჩვენში უფრო წინა საუკუნეებში უნდა ეეძიოთ, ვიდრე მეთხუთმეტე და გინდ მეთოთხმეტე საუკუნეში. სანამ ამის საბუთს დავასახელებთ, მოვიყვანოთ აქ ბ-ნ ურბნელის შეხედულება ამ საგანზე. ამ ავტორის აზრით აღბუღას დროს ბატონ-ყმური ურთიერთობა მეტათ გამწვავებული ყოფილა, ნდობა და სათნოება ბატონსა და ყმას შორის შერყეულა და დამციერებულა. აღბუღას კანონით ბატონს ნება ეძლევა „საგლეხო ფუძე მიყიდოს, გინა კაცრიელი, გინა უკაცური" (მუხ. ნზ), ე. ი. გლეხი გაყიდოსო სახლკარითა და სახლობით, ანუ მარტო სახლ-კარი გაუყიდოსო". ***) შემდეგ ამისა ბ-ნი ნ. ურბნელი, მოიყვანს რა ბ. ა. ხახანაშვილის სიტყვებს, რომ აღბუღას დროს არ არის ის ყმობა, რომელის კვალს ვპოულობთ ვახტანგის კანონებშიო, ამბობს. „არა, აღბუღას დროსაც ისეთივე ყმობა იყო, როგორც ვახტანგ სჯულისმდებლის დროს. განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ რაც დრო მიდიოდა, ყმობა სამძიმო შეიქნა და გლეხის ყმათ მიცემა გაადვილდა". ****) ამნაირათ ბ. ურბნელმა დარღვია ბ. ხახანაშვილის აზრი იმის შესახებ, რომ ვითომც აღბუღას დროს არ ყოფილიყოს ის ყმობა, რომელიც ვახტანგის დროს იყო, მაგრამ იგი სრულებით არ შეეხო ბ. ხახანაშვილის მეორე აზრს, რომ ვითომც გიორგი ბრწყინვალის *) დროს, ე. ი. მეთოთხმეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ბატონ-ყმობა სრულებით არ ყოფილიყოს. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ბ. ურბნელიც ასეთი აზრისაა? თუ რამდენათ შეწყნარებულია დღეს ასეთი შეხედულება, ამას ჩვენ შემდეგ წერილში დავინახავთ.

## V

მიწათმფლობელობის ისტორიის განხილვამ თანდათან მიგვიყვანა იმ კითხვამდის. თუ როდის გაჩნდა ანუ დამკვიდრდა ჩვენში ბატონ-ყმური ურთიერთობა. როგორც ვიცით ბ. ა. ხახანაშვილმა გადაჭრით გამოაცხადა, რომ გიორგი

*) იხ. „ბატონ-ყმობა" გვ. 28.

**) იგივე გვ. 17. აქ მოხსენებული მეფე გიორგი — გიორგი ბრწყინვალეა რომელიც ცხოვრობდა მეთოთხმეტე საუკუნის პირველ ნახევარში.

***) იხ. მისი „ათაბაგნი. ბეჭა და აღბუღა". გვ. 109, 110.

****) იქვე, გვ. 122.

მეფის კანონებმა სრულებით არ იცის ბატონ-ყმობაო. ბ. ნ. ურბნელის აზრით, უკვე მეთოთხმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ურთიერთშორისო დამოკიდებულება ბატონსა და ყმის შორის გამწვავებულია, მაგრამ მეორე მხრით ბ. ხახანაშვილის ზევით მოყვანილ აზრს იგი სრულებით უყურადღებოთ ტოვებს, რაც. ძხოლოთ იმით უნდა აეხსნათ, რომ ბ. ურბნელს ისე, როგორც თვით ბ. ხახანაშვილს, ამ საგნის შესახებ საკმარისი მასალა არ ჰქონია, რომ ის უფრო ღრმათ და საფუძვლიანათ ჩადგომოდა მას კვალში. მართალი რომ ვთქვათ, ბატონ-ყმობის წარმოშობის და განვითარების შესწავლა ჩვენში ჯერ თითქმის არავის არ უცდია. ახლა ვიკითხოთ: არსებობს თუ არა ამისთვის საკმარისი მასალა ლიტერატურაში? უნდა გამოვტყდეთ, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ისტორია სიბნელით არის მოცული, რაც უშეტეს ნაწილათ შესაფერი მასალის უქონლობით უნდა აიხსნას. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ სრულებით არავითარი მასალა არ მოიპოვებოდეს ამის შესახებ. თუ ამასთანავე არსებულ მასალას შეუფარდებთ სხვა ქვეყნების ანალოგიურ ფაქტებს, იმ შემთხვევაში ჩვენ შეგვეძლება წარმოვიდგინოთ რამდენიმეთ მაინც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ვითარება წარსულში. უწინარეს ყოველისა აქ ერთი გარემოებაა მხედველობაში მისაღები, სახელდობრ ის, რომ ყოველივე საზოგადოებრივი მოვლენა მხოლოთ მას შემდეგ გადადის წარმოებით საბუთში, თუ კანონმდებლობაში, როცა მას თვით ცხოვრებაში საკმარისათ მოკიდებული აქვს ფესვი. ასე რომ ის ურთიერთობა, რომლესაც ბატონ-ყმობას ეუწოდებთ, სანამ კანონმდებლობაში ანუ რაიმე იურიდიული ხასიათის საბუთში გადავიდოდა, დიდი ხნიდან შემოღებული იყო ცხოვრებაში.

რამ დაუდვა საფუძველი ბატონ-ყმურ დამოკიდებულებას? აი საკითხი, რომელზედაც თავდაპირველათ პასუხის მიცემა ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია, სანამ მეოთხე საკითხის გამორკვევას შეუდგებოდეთ. ბ. ა. ხახანაშვილის აზრით, „საფუძველი ბატონ-ყმობას სამმა ელემენტმა დაუდო: ნაყიდმა (ყალგადაუხდელმა), ბოძებულმა და თავის ნებით ყმათ მისულმაო". *) ხახანაშვილის აზრს ეთანხმება ბ. ურბნელიც; ის ამბობს: „ტყვეობამ, ვალსა და სისხლში წაყვანამ და თავის გაყიდვამ დაბადა ყმაო". **) აშკარაა, რომ ორივე ზევით დასახელებული ავტორი უფრო იმ ელემენტებზე გვითითებს, რომლებიც ყამთა ვითარების გამო ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაში ვარდებოდენ. ვიდრე ბატონ-ყმობის საფუძველზე. რომ ტყვეც. ვალ-გადაუხდელი კაციც და გინდ თავისი ათვის გამყიდველიც ხდებოდენ ყმებათ. ეს ჩვენ გვესმის. მაგრამ საიდან წარმოდგა ის პირობები, რომლების წყალობით ყველა ეს შესაძლებელი შეიქნა? ცნობილია, რომ წინათ ტყვეებს ხოცავდენ, შემდეგში იმათ მონებათ ხდიდენ, და მხოლოთ განსაზღვრულ პირობებში შესაძლებელი შეიქნა იმათი მებეგრეებათ ანუ ყმებათ გადაქცევა. აგრეთვე ჩვენ დროში ვალგადაუხდელი კაცი შეიძლება ციხეში ჩასვან, მაგრამ ყმათ ვერ გახდიან. გარდა ამისა, განა შესაძლებელი იყო, რომ თუ თვით ცხოვრებაში არ იყო განსაკუთრებული პირობები, ყმის ბოძება, ყიდვა ან თავის.

*) იხ. „ბატონ-ყმობა საქართველოში" გვ. 45

**) ათაბაგანი, ბეჭა და ალბეული, გვ. № 110.

ნებით ყმათ შესვლა შესაძლებელი ყოფილიყო? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საიდან შეიძლებოდა ყმების „ბოძება“, თუ იმას, ვისაც ამ ბოძების უფლება ჰქონდა, ყმები არ ყოლოდა? ამნაირათ ვერც ერთმა ზევით დასახელებულმა ავტორთაგანმა ვერ გვიჩვენა ის საფუძველი, რომელზედაც დამყარდა ბატონ-ყმური ურთიერთობა, ე. ი. ყმების დამოკიდებული მდგომარეობა, მათ მიწაზე დაკვრა, ძირითადი და ქონებრივი უფლების დაკარგვა და სხვ.

ბატონ-ყმობის საძირკველი ჩაიყარა მაშინ, როცა საგვარეულო წესწყობილება დაირღვა, რასაკვირველია ეს დარღვევა ნელ-ნელა და თანდათან ხდებოდა. საგვარეულო წესწყობილების დარღვევა ნიშნავდა იმავე დროს სათემო თუ საოჯახო მიწის მფლობელობის გაქრობას და წვრილი საგლეხო მიწადმფლობელობის გაჩენას. აქედან ერთი ნაბიჯია მსხვილ მიწადმფლობელობამდის. ეს ნაბიჯი ნიშნავს წვრილ საგლეხო მიწადმფლობელობის მოსპობას და იმის ადგილას მსხვილ მიწადმფლობელთა გაჩენას. ამით დაედვა საფუძველი ფეოდალიზმს, ანუ ბატონ-ყმურ ურთიერთობას. „ეკონომიურ საფუძველს, *) — ამბობს ბ. კოვალევსკი — რომელზედაც მყარდება ფეოდალური სისტემა შეადგენს მიწის მსხვილი საკუთრება: სადაც იგი არ არის. სადაც ხალხის უმრავლესობა ფლობს მიწას, ვითარცა კერძო ან სათემო მფლობელი, იქ არ არის აუცილებელი პირობები ფეოდალიზმის განვითარებისათვის... ამისათვის სრულებით გასაკვირალი არ არის, თუ ინგლისში, როგორც საზოგადოთ ევროპს ხმელეთზე, ფეოდალური წესწყობილების განვითარებას წინ მიუძღოდა ხალხის უმრავლესობის უმიწაწყლოთ დარჩენა უმცირესობის სასარგებლოთ“. ჩვენშიაც ასე მოხდა. მაგრამ საქმე იმაშია, თუ რა გზით და საშუალებით მოხდა ეს. მაშინ როცა დასავლეთ ევროპის ისტორია ამ პროცესის შესასწავლათ აურაცხელ მასალას იძლევა, ჩვენი ისტორია ამ მხრით მეტათ ღარიბია.

ცნობილია, რომ მერვე საუკუნის ბოლოს და მეცხრე საუკუნის დასაწყისში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თითქმის მთელი მიწა-მამული ჩაგდებული ჰქონდა ხელში. ერთი მხრით, მეფეთ და უმაღლეს სამხედრო და წარჩინებულ პირთ და, მეორე მხრით, ეკლესიას. და იმავე დროს წვრილი მესაკუთრენი თანდათან კარგავდენ დამოუკიდებლობას და ხდებოდენ მსხვილ მესაკუთრეთა ქვეშევრდომებათ. ევროპის საშუალო საუკუნეების ფეოდალური მიწად-მფლობელობის საათავე რომის იმპერიის მსხვილი მამულებში უნდა ვეძიოთ, თუმცა იმის წარმოშობა და განვითარება სავსებით მიეწერა მერმინდელ სოციალურ პირობებს. იმ საერთო მოუსვენრობის დროს, როგორიც იყო დასავლეთ ევროპაში საშუალო საუკუნეების დასაწყისი. „მიწის-მომუშავე — მესაკუთრენი, — როგორც მოგვითხრობს მ. კოვალევსკი, — და მთელი სოფლები. პოულობენ ძლიერ პირთა მფარველობას იმ საშუალებით, რომ იმათ უთმობდენ მესაკუთრის სახელს და თითონ კი მიწის მხმარებლებათ რჩებოდენ“. **) სილვიანის ცნობით, ეს მსხვილი მესაკუთრენი „ყიდდენ მფარველობას და ყველფდენ წვრილ მფლობელთ“. ***) თუ რამდენათ

*) M. M. Ковалевский. Экономический рост Европы до возник. капит. хозяйства т. I. ст. 408.

**) Ibid. გვერ. 388.

***) Ibid. გვერ. 389.

გავრცელდა ამ მხრით წვრილ მფლობელთა გაყვლეფა, ეს აშკარათ ჩანს კარლოს დიდის შემდეგი დეკრეტიდან: „არავის არ ეძლევა ნება გადაიტანოს სხვის ხელში თავისი სამკვიდრო მამული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამას აიძულებს შიმშილობა“. *) გარდა ამისა მსხვილ მფლობელობის განვითარებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მეფეები მოხელე პირთ აჯილდოებდენ მიწა-ადგილით. პირველათ მხოლოთ სიკვდილამდის, შემდეგ სრულ საკუთრებათ. განსაკუთრებით დიდძალი მიწა-ადგილი გადავიდა ამ გზით ეკლესიის ხელში. ეკლესია ერთობ ჩქარა შეიქნა დიდძალი მამულის მფლობელი. ასე წარმოიდგინეთ, იქაც კი, სადაც მიწის გადაცემა შეუძლებელი იყო არსებული წესწყობილების ძალით, ეკლესიამ შემოიღო რომის უფლება, რომლის ძალით, მიწა თავისუფლათ გადადის ერთ მფლობელიდან მეორეზე. ამ მხრით ეკლესიამ მეტად რევოლიუციონური როლი ითამაშა ძველი წესწყობილების გაუქმებაში. ქვეყნიურმა ანგაოებამ იქამდის გაიტაცა სასულიერო მფლობელნი, რომ ისინი არ შედრკენ და ეკლესიის კეთილისმყოფელთ პირდებოდენ საუკუნო ნეტარებას და ვინც არაფერს წირავდა. აშინებდენ საუკუნო ტანჯვით. მოიპოვებოდენ ისეთი გულუბრყვილონიც, რომლებიც მათ უჯერებდენ, უარს ამბობდენ თავის მამულზე წყო იმ გარემოებამ, რომ მეფეები მოხელე პირთ აჯილდოებდენ მიწა-ადგილით, და შვილებს ტოვებდენ უმიწა-წყლოთ. **)

აი ასეთი იყო დასავლეთ ევროპაში მსხვილ• მიწადმფლობელობის აღორძინების პროცესი. თუ როგორ განხორციელდა ის ჩვენში, ამის შესახებ, როგორც ზევითაც ვამბობდით, არა გვაქვს ცოტათ თუ ბევრათ გარკვეული ცნობები. დანამდვილებით უნდა ვთქვათ მხოლოთ ის, რომ ეს პროცესი, ჩვენში ბევრათ არ განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპისაგან, ვინაიდან მამულის შეწირვის კვალს ეკლესიისათვის სულის საოხათ და საცხონებლათ ივენშიაც უძველეს დროიდან ვხედავთ; აგრეთვე სამსახურისათვის მამულის ბრძენებას. არა გვაქვს ცნობა პირველ ხანებში მხოლოთ იმის შესახებ, როცა წვრილი შესაკუთრე მფარველობისათვის უთმობდა მსხვილ მფლობელს მესაკუთრის სახელს, თუმცა შემდეგში ამის ნიშნებსაც ვპოულობთ. ყოველ ეჭვს გარეშეა ის გარემოება, რომ მეშვიდე საუკუნის ბოლოს და მერვეს დასაწყისში ჩვენში საკმარისათ განვითარებული სახე აქვს მიღებული მსხვილ მიწადმფლობელობას, როგორც საეროს, ისე საეკლესიოსაც. და წვრილი თავისუფალი მიწადმფლობელობა, ანუ თავისუფალი გლეხობა მოსპობის გზაზეა შემდგარი, თუ კიდევ სულ გამქრალი არ არის. ***)

აქ უადგილო არ იქნება შევნიშნოთ, რომ სიტყვა გ ლ ე ხ ი ჩვენ პირველათ გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში“ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში, სახელდობრ მეფე ვახტანგ გორგასლანის დროს (446 — 499 წ. ქრისტეს შემდეგ) და ისიც არა ჩვენი ქვეყნის შესახებ, არამედ უცხო ქვეყნის. რომელსაც ეწოდებოდა

*) Ibid. გვერ. 392.

**) Ibid. 405.

***) საინტერესოა. რომ რუსეთში მსხვილი მიწათმფლობელობის კვალს. თაეადების. მთავრების და მონასტრებისას — ვპოულობთ მხოლოდ მეათე საუკუნიდან. რაც შეეხება რუსეთის გლეხობას. მას მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნის შემდეგ ეკარგება საკუთარი მიწა.

ჯორჯანეთი. „პირველათ მივიდენ ჯორჯანეთს და წარმოგყვენეს... და ამიერიდან იქმნეს ჯორჯიანი გ ლ ე ხ ა თ, რომელნი აწ არიამ მებეგარენი სპარსთანა". *) თუმცა ეს ცნობები ეკუთვნის უცხო მხარეს, მაგრამ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ გლეხებათა იწოდებოდენ ისინი, ვინც ჩვენ ქვეყანაში იმ დროს მიწის მუშაობას მისდევდენ. როგორი იყო იმათი მდგომარეობა იმ ხანებში, ჩვენ ამის შესახებ თითქმის არაფერი არ ვიცით; შეგვიძლია ეიფიქროთ მხოლოთ, რომ გლეხები ამ დროს უკვე იხდიდენ ბეგარას, ე. ი. იყვენ მებეგრენი. მაგრამ ცხადია, რომ ის კიდეე სრულებით არ ნიშნავდა ბატონ-ყმურ დამოკიდებულებას, რომლის უტყუარ ნიშნებს ჩვენ მხოლოთ შემდეგ საუკუნოებში ვხედავთ.

უწინარეს ყოვლისა მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ შემდეგ ცნობაზე, რომელსაც ვპოულობთ „ქართლის ცხოვრებაში": „ხოლო ცოლმან ძმისმან (მეფე არჩილ მე-II-ზეა ლაპარაკი, რომელიც იწამა) მიუბოძა სოფლები მათი, რომელთა მიიღეს გვამი წმინდისა არჩილისა, კახეთს ბინა, სამკვიდრებელათ მათდა". **) ეს ცნობა ეკუთვნის მერვე საუკუნის დასაწყისს, სახელდობრ, 718 წელს. აქ ჩვენ ვხედავთ პირველ მაგალითს სოფლების ჩუქებისას, რომელიც დაცულია ძველ ჩვენ მატიანებში. ეს მაგალითი ამტკიცებს იმას, რასაც ჩვენ ზევით ვამბობდით სხვილი მიწადმფლობელობის შესახებ. ამის შემდეგ რამდენათაც ეუახლოვდებით ჩვენ დროს, ასეთი ჩუქების რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობს. ჩვენ აქ მოვიყვანთ ჩვენი მატიანედან მხოლოთ ერთ-ორ მაგალითს საეკლესიო მიწადმფლობელობის საოცარი ზრდისას. ჩვენ ვიცით, რომ საეკლესიო მამული იზრდებოდა შეწირვით. მაგრამ მიუხედავათ ამისა სასულიერო პირნი სხვა საშუალებითაც ადიდებდენ თავიანთ მამულს. აი მაგალითად, რას ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში": „პატრიარქი მელქისედეგ (მე-X საუკუნის მეორე ნახევარი) წავიდა კონსტანტინე მეფის წინაშე... შეიწყნარა მეფემან და მისცა შესამკობელი ეკლესიათანი, მოვიდა ქვეყანასა და სამწყოსსა თვისსა და ი ყ ი დ ა სოფლები ტაოს". ამავე პატრიარქმა მელქისედეგმა მოიგო ქართლის მონასტერი „პალთერა, ოთხითა სოფლითა, და ღუქეთი შესავლითა მისითა, ყინვისი შესავლითა მისითა... და შემდეგ შექმნა საფლავი თავისი და დააყენა საფლავსა თვისსა ზედა გაზრდილი მისი იოანე და უჩინა ამას საკურთხეველსა ჟამის მწირველისა, და მ ი ს ც ა თ ე ძ ს გ ლ ე ხ ი სამი ფოძითა სრულითა, ციხე-დიდს გლეხები ერთი და იტათლოლანს გლეხი ერთი ორივე ფოძითა სრულათა".***) ამ ცნობაში, რომელიც ეკუთვნის მეათე საუკუნის მეორე ნახევარს, ორი გარემოებაა მეტათ საყურადღებო, სახელდობრ: ერთი ისა, რომ ეკლესია მარტო შეწირულ მამულს არ ჯერდებოდა, არამედ დიდძალ მამულს იძენდა ყიდვით პირველ ხანებშივე. მეორე გარემოება ის არის, რომ უკვე მეათე საუკუნეში ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხი იმყოფება ისეთ დამოკიდებულებაში, რომელიც დიდათ წააგავს ბატონ-ყმურ ურთიერთობას. მაგ., რას ნიშნავს ფრაზა „თეძს მისცა გლეხი სამი ფოძითა სრულითა", თუ არ იმას, რომ გლეხს იმ დროს უკვე დაკარგული ჰქონდა არა მარტო ქონებრივი უფლება, არამედ პირადი თავისუფლებაც. სხვანაირათ ჩვენ

*) იხ. „ქართლის ცხოვრება", გამ. ზ. ჭიჭინაძისა. გვ. 194.

**) „ქ — ის ცხოვრება", გვ. 265.

***) იქავე, გვ. 216, 321 — 2. შეად. „ქრონიკები", გამ. თ. ჟორდანიას მიერ, გვ. 185 — 6.

ამ წინადადებას ვერ ავხსნით, და საზოგადოთ იგი ძლიერ მიაგავს მერმინდელ ოიგელების და გუჯრების ენას, რომლებითაც ბატონ-პატრონები თავიანთ ყმებს მიუბოძებდენ სხვებს.

თუ მეათე საუკუნეში კიდევ საეჭვოა ჩვენი ბატონ-ყმური ურთიერთობის არსებობა, ეს აღარ ითქმის მეთვრამეტე და განსაკუთრებით მეთორმეტე საუკუნის შესახებ. მოგვყავს აქ დასაწყისი ერთი გუჯრისა, რომელიც მიცემულია მეფე ბაგრატ IV [10]) მიერ შიო მღვიმეზე [11]) 1058 წელს: „სალახანებლათ ცოდვათა ჩემთა შევსწირე მამას მთის ადგილი ბურცვის ჯვარი ყოველითა მზღვარითა მისითა, მინდვრითა მისითა, წყლითა, ტყითა, წისქვილითა და ყოვლითა სახმართა და ჯხმართა და გავათავისუფლეთ ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან სახელმწიფოის. ჯაერისთვოის, საეზნაურიოის". *) მართალია აქ გლეხები არ არიან ჰოხსენებული, მაგრამ ცხადია, რომ ისინი იგულისხმებიან, თორემ ისე რა აზრი და მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ან შესავალს და ან გამოსავალს? ეს გლეხები უკვე დაკრული იყვენ ბატონის მიწაზე და იხდიდენ სხვადასხვა გადასახადს. როგორც მის სასარგებლოთ, ისე სახელმწიფოსათვისაც. თუ რა ზომამდე განვითარდა ბატონ-ყმობა მეთორმეტე საუკუნეში, განსაკუთრებით თამარ მეფის დროს. ე. ი. თუ რამდენათ დაკარგა გლეხმა როგორც ქონებრივი უფლება, ისე პირადი თავისუფლება, ამას ყველაზე უფრო შემდეგი გუჯარი დაგვანახვებს, რომელიც ბ. თ. ჟორდანიის [12]) გამოკვლევით, შედგენილი უნდა იყოს 1190 — 1207 წლებში: „და გაეჩინა მისისა სულისა სამლოცავათ ერთი თუვიძე გლეხი და ოის ვახშამაისძე, რუეის უშიშარაისძე... და გქონდეს ჩვენგანაცა შეუვალათ, ვ ი თ ა რ ცა გ ი ნ დ ე ს. ე გ რ ე ცა ი მ ს ა ხ ურ ე ბ დ ი თ; დაედვას ღალა ნათხალი, დ ა რ ა ზ ო მ ც ა ს ა მ ს ა ხ ურ ი გ ი ნ დ ე ს, მ უ ნ ი თ ი მ ს ა ხ ურ ე ბ დ ი თ". **) გარდა ამისა ბ. დ. ფურცელაძის [13]) „საეკლესიო გუჯრებში" მოყვანილია ერთი გუჯარი, რომელიც ეკუთვნის მეფე დავითს [14]) და მეფე თამარს. რომლითაც ისინი სწირავენ მონასტრებს საკომლო გლეხებს. ***) ყოველივე ეს მოწმობს, რომ მეთორმეტე საუკუნეში ბატონ-ყმური ურთიერთობა ჩვენში უკვე გამეფებულია. გლეხებს თავისი საკუთარი თავისუფალი მიწა-ადგილი აღარ მოეპოვებოდა; ეს სულ გადასულია მეფის, თავად-აზნაურობის და ეკლესიის ხელში: გლეხ-კაცობა, მისი უდიდესი ნაწილი მაინც დაკრულია სხვის მიწაზე. ქონებრივ დამოკიდებულებამ გამოიწვია მისი პირადი დამოკიდებულებაც.

ამნაირათ ჩვენ დავინახეთ, თუ რა პირობებმა ჩაუყარა საფუძველი ბატონ-ყმობის წარმოშობისათვის; დავინახეთ აგრეთვე. თუ მეცხრე საუკუნიდან დაწყებული როგორ განვითარდა ჩვენში ხსენებული საზოგადოებრივი ურთიერთობა.

ეურ. „კვალი" 1902 წ.
№№ 20, 23, 24, 26, 32.
„მოსაუბრე"-ს ფსევდონიმით.

---

*) „ქრონიკები"; გამოც. თ. ჟორდანიას მიერ. გვ. 204.
**) Ibid. გვ. 279.
***) Пурцеладзе. Груз. Церков. гуджары, გვ. 63.

# აგრარული საკითხი ჩვენში

## შესავალი

თანამედროვე აგრარული საკითხი გაჩნდა ჩვენში ეგრედ წოდებულ საგლეხო რეფორმის ანუ გლეხების „განთავისუფლების“ მოხდენის დროს. ბატონყმობის დროს გლეხმა არ იცოდა, რა იყო მიწის საკითხი. მიწის საკითხი გლეხ-კაცობაში იბადება მხოლოდ გლეხების განთავისუფლების შემდეგ ბატონყმური მონობისაგან. ვიტყვით პირდაპირ: მიწის საკითხი დაბადა თვით რეფორმამ. ამიტომ თავისთავად აშკარა ხდება, რომ თანამედროვე აგრარული საკითხის შესწავლა გასული წლის საგლეხო რეფორმიდან უნდა იქნას დაწყებული. ეს ერთი.

მეორე გარემოება, რომელზედაც აქვე უნდა იქნას ჩვენი ყურადღება მიქცეული, მდგომარეობს იმაში, რომ თანამედროვე მეურნეობა ჩაყენებულია კაპიტალისტური წარმოების პირობებში. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული ჩვენში თანდათან ქრება ნატურალური წარმოება და იმავე დროს შესამჩნევი სიჩქარით ვითარდება კაპიტალისტური წარმოება. ამნაირათ, ერთი მხრით, საგლეხო რეფორმა, რომლის წყალობით გლეხ-კაცობას ყოველგვარი მიწა ჩამოერთვა, და მეორე მხრით კაპიტალისტური წარმოების განვითარება. — აი ის პირობები, რომლებშიაც ხდებოდა ჩვენში მეურნეობის განვითარება ამ უკანასკნელი 40 — 50 წლის განმავლობაში და საიდანაც წარმოსდგა დღეანდელი აგრარული საკითხი მთელი თავისი სიმწვავით.

ყველა ამის შესწავლა და გაგება საფუძვლათ უნდა დაედვას აგრარული საკითხის გადაჭრას. მთელი წარსული გამოცდილება და დღეანდელი მოძრაობა იმის თავდებია, რომ ამჟამად ის აღარ განმეორდება, რაც ამ 40–45 წლის წინათ იქნა ჩადენილი გლეხ-კაცობის წინააღმდეგ. მეორე მხრით, თანამედროვე საზოგადოებრივ ეკონომიური პირობები ჯერ კიდევ იმდენათ მომწიფებული არაა, რომ გლეხ-კაცობაში შესაძლებელი იყოს დღესვე წარმოების სოციალისტური ფორმის განხორციელება, რაზედაც სოც.-რევოლიუციონერები ოცნებობენ.

თანამედროვე აგრარული ურთიერთობანი მეტათ რთულ მოვლენას წარმოადგენენ. იმათ შესასწავლათ და გასარკვევათ მარტო თეორიული ცოდნა არ კმარა, გარდა სწორი და ნათელი თეორიისა, საჭიროა კიდევ შესაფერი სტატისტიკური მასალა, ე. ი. ცოტათ თუ ბევრათ მართალი და შემოწმეული ცნობები, რომლებიც უნდა გვიხატავდენ, ერთი მხრით, მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთობას მიწადმფლობელობაში და მიწადსარგებლობაში, როგორც წარსულში, ისე დღეს, მეორე მხრით, მიწის საკუთრების მობილიზაციას, ე. ი. ერთი მფლობელისაგან მეორეს ხელში გადასვლას. თითქმის მეათასეჯერ გვიხდება იმის

გამეორება, რომ ამიერ-კავკასიის აგრარულ ურთიერთობათა შესასწავლად თითქმის არავითარი სწორი სტატისტიკური მასალა არ მოიპოვება. ასეთი მასალის შექმნა დღეს არ მოხერხდება; იმავე დროს არსებულ აგრარულ ურთიერთობათა შესახებ გაჩუმებაც ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ სულ არ მოგვეპოვება ასეთი მასალა. და რაც ტკვე არის, იმის გამოყენებაც, ჩვენი აზრით, აუცილებლად საჭიროა და სარგებლობის მოტანაც შეეძლება.

გარდა ამისა, აგრარული საკითხის შესწავლა ძნელდება კიდევ იმით, რომ აგრარული პირობები ყოველგან ერთნაირი როდია; ეს პირობები თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე იცვლებიან; განსაკუთრებით ითქმის ეს ამიერ-კავკასიის შესახებ. თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ აქ ისეთი პირობები გვაქვს, რომელთა სხვადასხვაობას იწვევენ საზოგადოებრივ ეკონომიური ურთიერთობანი, და არა ისეთები, რომელთა სხვადასხვაობა გამოწვეულია ჰავისა და ადგილ-მდებარეობის გამო.

ჩვენი მიზანია გამოვიკვლიოთ მეურნეობის განვითარების პირობები ამიერ-კავკასიაში საგლეხო რეფორმების მოხდენის შემდეგ ვიდრე ჩვენ დრომდე. თავისთავად იგულისხმება, რომ როგორც საგლეხო რეფორმის დახასიათება-დაფასება. ისე უკანასკნელ წლების აგრარულ მოძრაობას განსაკუთრებული ყურადღება. ექნება მიქცეული ამ შრომაში. გასული საუკუნის მესამოცე წლების რეფორმას. და უკანასკნელ წლების აგრარულ რევოლიუციას მჭიდრო კავშირი აქვს ერთმანეთთან: უკანასკნელი მოვლენა პირველის ლოგიკური შედეგია.

ამ მოკლე განმარტების შემდეგ ჩვენ შეგვიძლია შევუდგეთ საქმეს.

## I. სოფლის მეურნეობა და მრეწველობა

მთელი თანამედროვე წარმოება, ე. ი. წარმოება იმ საგნების, რომლებიც საჭიროა ერთი მხრით ადამიანის ნივთიერი არსებობისათვის და მეორე მხრით მის გონებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, შეცავს ორ დიდ დარგს: სოფლის მეურნეობას და მრეწველობას. წარმოების ამ ორ დარგათ დაყოფა უმთავრეს შემთხვევაში პირდაპირ ბუნებრივია. და თუ თავს დავანებებთ როგორც მეურნეობის, ისე მრეწველობის ნაწარმოებთ, რომლებიც ყოველგან და ყოველთვის დიდათ განირჩევიან ერთიმეორისაგან, და ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ იმ გარემოებას, თუ ვისთან გვაქვს საქმე თითეულ იმათგანში, ჩვენ დავინახავთ, ერთი მხრით, მიწადმფლობელებს, კაპიტალისტ-ფერმერებს და გლეხებს ანუ მიწის უბრალო მუშებს (სოფლის მეურნეობა) და, მეორე მხრით, კაპიტალისტებს, ხელოსნებს და მუშათა კლასს, ანუ პროლეტარიატს (მრეწველობა); სოფლის მეურნეობის ერთ ნიშნობლივ და დამახასიათებელ თვისებას შეადგენს აგრეთვე ის გარემოება, რომ სამეურნეო წარმოების ერთ უმთავრეს იარაღს, წარმოადგენს მიწა, რომელსაც ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული სივრცე აქვს. ამიტომ ამ იარაღის გადიდება, მისი გაფართოება შეზღუდულია. და, მაშასადამე, ამნაირათ შეზღუდულია თვით სამეურნეო წარმოება; მრეწველობაში კი ასეთ შეზღუდვას ალაგი არ აქვს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ისიც,

რომ სოფლის მეურნეობაში წარმოება შესაძლებელია მხოლოდ წელიწადის განსაზღვრულ დროს, მაშინ, როცა მრეწველობაში წარმოება მთელი წლის განმავლობაში შეუწყვეტელია.

მაგრამ ის, რაც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, როგორც სოფლის მეურნეობის და მრეწველობის ნამდვილი თვისებები, უფრო გარეგან მხარეს ეხება. ყველაფერი იცის, რომ გლეხი, როგორც ასეთი უკიდურესი კონსერვატორია; იგი საზოგადოთ წარსულის დაბრუნებაში ხედავს თავის ხსნას, იქ ეძებს თავის იდეალს; მაშინ, როცა პროლეტარიატი წყვევლა-კრულვით იხსენიებს წარსულს და თავის იდეალის განხორციელებას მხოლოდ მომავალში მოელის.

რატომაა ეს ასე? საიდან წარმოსდგა ასეთი არსებითი განსხვავება? ამაზე ყველაზე უფრო სწორ და ნათელ პასუხს იძლევა დიალექტიური მატერიალიზმის მოძღვრება. იგი გვეუბნება, რომ მდგომარეობა განსაზღვრავს აზროვნებას და არა აზროვნება მდგომარეობას. გლეხის, ე. ი. მიწის მუშის, მდგომარეობა მთელი საუკუნეების, ზოგჯერ ათასი წლების განმავლობაში, უცვლელი რჩება და ამის მიზეზი ის იყო, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალები, წარმოების იარაღები და, მაშასადამე, თვით წარმოების წესი, სისტემა არსებითად უცვლელი რჩებოდა. ცნობილია, რომ ჩვენი გლეხ-კაცობის წინაპრები რამდენიმე ასის, შეიძლება ათასის წლის წინათ ისევე ხნავდენ, თესავდენ და ფარცხავდენ, როგორც დღევანდელი ქართლელი, კახელი და გინდ იმერელი გლეხი, ე. ი. ამ რამოდენიმე ასი წლის წინათ ჩვენს გლეხობას თითქმის ისეთივე წესი ჰქონდა სოფლის მეურნეობაში, რომელიც ზოგიერთი გამონაკლისით, დღესაც ძალაშია. აი ერთად ერთი სწორი ახსნა იმისი, თუ რათ არსებობს გლეხებში კონსერვატორული სული, თუ რათ ებღაუჭებიან გლეხები წარსულს და რათ აშინებს მათ ყოველივე ახალი. მაგრამ ასე იყო იმ დრომდე, სანამ ნატურალური წარმოება არსებობდა. ნატურალური წარმოების უმთავრესი დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ წარმოებას იქ არ აქვს ხალხური, საზოგადოებრივი ხასიათი; თითოეული თემი, თითოეული ოჯახიც კი ცალკე ცხოვრობს, იგი დახშულია დანარჩენი ქვეყნიდან, ეს უკანასკნელი არც კი არსებობს მისთვის; ერთი სიტყვით, წარმოება დაქუცმაცებულია და ერთ მთელს არ წარმოადგენს. გარემოება იცვლება, როცა ნატურალური წარმოების ალაგს კაპიტალისტური წარმოება იქერს. კაპიტალისტური წარმოება სჯობს არა თუ ცალკე ოჯახობის და ცალკე თემების კარჩაკეტილ ცხოვრებას და იმათ დახშულ წარმოებას, არამედ იგი აერთებს ყველა ქვეყნის წარმოებას ერთ უზარმაზარ საერთაშორისო წარმოებათ. ამრიგად წარმოება პირველყოფილი კომუნიზმის შემდეგ პირველი ღებულობს საზოგადოებრივ ხასიათს, მხოლოდ გაცილებით უფრო დიდ ფარგლებში.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენში კაპიტალიზმმა ფეხი შემოდგა. ჩვენმა სასიქადულო მწერლებმა და პუბლიცისტებმა, რომლებიც ნატურალური წარმოების ნიადაგზე იყვენ აღზრდილნი და რომლებიც იმავე დროს ნახევრად ბატონ-ყმურ და ნახევრად ბურჟუაზიულ იდეებით იყვნენ გაჟღენთილი, რუსეთის „ნაროდნიკების“ წაბაძვით, რომელთა ძირითადი შეხედულება ჩვენი მწერლებისათვის გაუგებარი დარჩა, მაშინვე ყიჟინა მორთეს და ამტკიცებდენ, რომ ქართველი ხალხის ხსნა ძველი წარმოების დაბრუნებაშია, ე. ი. თავად-

აზნაურობის გამდიდრებაში და გლეხ-კაცობის მორჩილებაშიო. იმავე დროს ამტკიცებდნენ, რომ ჩვენში, ღვთის მადლით, კაპიტალიზმი ფეხს ვერ მოიკიდებს. ვინაიდან ჩვენი ხალხი მიწის მუშა ხალხია და ჩვენში ბოგანო, უმიწაწყლო ხალხი არ მოიპოვებაო.

დღეს ყველამ კარგად იცის, რომ სინამდვილემ სამუდამოთ უარყო ასეთი უსაფუძვლო შეხედულება. აღმოჩნდა, რომ კაპიტალისტურმა მრეწველობამ ამიერ-კავკასიაში სულ რაღაც 20-30 წლის განმავლობაში უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა წინ; აღმოჩნდა აგრეთვე ისიც, რომ ჩვენში უმიწაწყლოთ დარჩენილთა რიცხვიც საკმარისათ დიდი ყოფილა, თორემ უამისოთ მრეწველობის აღორძინება და ზრდა შეუძლებელი იქნებოდა. როცა დარწმუნდნენ, რომ მრეწველობაში კაპიტალიზმის უარყოფა მეტად აშკარა უგუნურება იქნებოდა, საკითხი სოფლის მეურნეობაში გადაიტანეს. ცდილობდენ იმის დამტკიცებას, რომ სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური წარმოება ფეხს ვერ მოიკიდებს და ეს დიდი უბედურებაც არის. იმათი შეხედულებით. კაპიტალიზმის განვითარება ნიშნავს წვრილი წარმოების სრულიად აღგვას, გაქრობას და მის ადგილას მსხვილი წარმოების დამყარებას. ასე ხდება მრეწველობაში. და აი, კაპიტალისტურმა წარმოებამაც სწორედ აქ მიაღწია უმაღლეს საფეხურამდე. სოფლის მეურნეობის განვითარება კი სრულებით არ ემორჩილება კაპიტალისტურ წარმოების კანონებს. თუ მრეწველობის განვითარება მიისწრაფვის მსხვილ წარმოებისაკენ, სამაგიეროთ სოფლის მეურნეობის განვითარება პირიქით დიდი წარმოების დაქუცმაცებისაკენ მიდის. რამდენათაც ხელსაყრელია და ნაყოფიერი მრეწველობაში მსხვილი წარმოება, გაიძახიან ძველი და ახალი „ნაროდნიკები", იმდენათ სოფლის მეურნეობაში ხელსაყრელია და ნაყოფიერია წვრილი წარმოებაო. ამის დასამტკიცებლად ჩვენ გვითითებენ ფაქტებზე და მოვლენებზე სამეურნეო ცხოვრებიდან. აქედან თითქო მართლდება ნაროდნიკული შეხედულება *) მეურნეობის განვითარებაზე და მტყუნდება მარქსის „დოგმა". *)

ახლა ჩვენ ვიკითხოთ: მართლა არსებობენ ისეთი ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური წარმოების განვითარება შეუძლებელია? თავის დროზე, როგორც სხვადასხვა ქვეყნის, ისე ამიერ-კავკასიის მაგალითებიდან, ჩვენ დავინახავთ, თუ რას ამტკიცებენ ეს ფაქტები. აქ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ როგორც უკვე კაუცკიმ აღნიშნა, „სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განვითარება ერთ და იმავე ყალიბზე (ერთი და იგივე შაბლონით) არ ხდება". **) ეს არის და ეს, რაც იმათ განსხვავებას შეეხება. არსებითად კი, როგორც მრეწველობის, ისე მეურნეობის გზა და საბოლოო მიზანი ერთი და

*) შორს რომ არ წავიდეთ საკმარისია ერთი მაგალითი დაეასახელოთ: ამას წინეთ ბ. გრ. გველესიანი с ученым видом знатока, სწერდა: „კაუცკი ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულა ძველი შეხედულებისაგანო" (იგულისხმე: მარქსის დოგმისაგან) იხ. გაზ. „ისარი", № 97 (1907 წ.) მისი შეხედულებით. კაუცკი აგრარულ საკითხში ორპოფობას იჩენს. არ იცის რა გზას დაადგეს. შემდეგ ბ. გველესიანი განაგრძობს: ჩვენ მხარეზე კიდევ მეტი დამამტკიცებელი ( ? ) არგუმენტიაო. ე. ი. რიცხვი პატარა წერილ შემამულეებისა გაცილებით მეტია, ვიდრე დიდის მემამულების"! ბ. გველესიანს გონია, რომ მან ამერიკა აღმოაჩინა!

**) იხ. მისი „Аграрный вопрос" რუს. თარგ. გვ. 8.

იგივეა. ძირითადი შეცდომა იმათი, ვინც სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განვითარებაში სხვადასხვა გზას და მიზანს ხედავს, იმაში მდგომარეობს, რომ იმათი წარმოდგენით, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა თანამედროვე საზოგადოებაში ერთმანეთისაგან სრულებით დახშული არიან, თითქო მათ ერთმანეთთან არავითარი დამოკიდებულება, არავითარი კავშირი არ ჰქონდეთ. მაგრამ ასეთი შეხედულება ეწინააღმდეგება სინამდვილეს, მთელ ცხოვრებას; მას არავითარი მეცნიერული საფუძველი არა აქვს. ხალხის მთელი თანამედროვე ეკონომიური ცხოვრება ერთ განუყოფელ მოვლენას, ერთ მთელ პროცესს წარმოადგენს. განა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ხალხის საზოგადოებრივ ეკონომიური ცხოვრება, როგორც ერთი მთელი პროცესი, ერთ და იმავე დროს სხვადასხვა გზით, სხვადასხვა მიმართულებით ვიდოდეს? „უგუნურება იქნება ვიფიქროთ, ამბობს იგივე კაუცკი. რომ საზოგადოებაში ერთი ნაწილის განვითარება ერთი მიმართულებით ხდება, მეორესი კი სხვა, წინააღმდეგი მიმართულებით". *) საზოგადოება ხომ ერთნაირი ორგანიზმია. თუმც სულ სხვა განსაკუთრებული ფორმის. მაგრამ რაც უნდა იყოს მაინც ორგანიზმი, და ამიტომ წარმოუდგენელია, რომ მის სხვადასხვა ნაწილებს სხვადასხვა გზით, სხვადასხვა მიმართულებით შეეძლოთ განვითარება. ეს რომ ასე იყოს, საზოგადოების მთლიანობა დაირღვეოდა. შესაძლებელია მხოლოდ ის (და ამას მართლაც აქვს ცხოვრებაში ადგილი), რომ საზოგადოების ერთი რომელიმე ნაწილის განვითარება რაიმე მიზეზის გამო დროებით შეფერხდეს, რაიმე დაბრკოლება გადაეღობოს წინ. აი და აი, სწორედ ასეთ დაბრკოლებასთან გვაქვს საქმე, როცა ჩვენ მეურნეობაში კაპიტალისტური წარმოების განვითარებაზე ვლაპარაკობთ. აქ უადგილო არ იქნება შემდეგ გარემოებას მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

სამეურნეო მოვლენათა ისეთ დაფასებაში, რომელიც გვეუბნება, რომ სასოფლო მეურნეობის განვითარება სულ სხვა მიმართულებით ხდება, ვიდრე მრეწველობისაო, ბევრი საერთო რამ აქვთ ერთი მხრივ ბურჟუაზიულ მწერლების ერთ ნაწილს და მეორე მხრივ რუსეთის ეგრედ წოდებულ „ნაროდნიკებს".

ბურჟუა-კაპიტალისტების იდეოლოგებისათვის დღესავით ნათელია, რომ კაპიტალიზმის განვითარებას აუცილებლად უნდა მოყვეს კაპიტალისტ-მყვლეფელთა კლასის მოსპობა და სოციალიზმის დამყარება. ამ მხრით კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებამ. — რომლის მეოხებით ერთი მხრით აუარებელი სიმდიდრე მოსახმარ საგნების და წარმოების საშუალებათა სახით ერთი მუჭა მუქთა ხორა კაპიტალისტების ხელში გროვდება და, მეორე მხრით, ხალხის გაპროლეტარება და გაყვლეფა სულ უფრო და უფრო შეუჩერებლად წინ მიდის, — უკვე საკმარისად დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. სოფლის მეურნეობაზე კი ჯერ ეს ასე არ ითქმის. ამიტომაც არის. რომ ბურჟუაზიის იდეოლოგები სწორედ სოფლის მეურნეობაში ხედავენ სოციალისტურ პროლეტარიატის ლტოლვილებათა შემაჩერებელ საშუალებას მაგრამ როგორ და რა გზით?

თავისთავად იგულისხმება, რომ ბურჟუაზიის იდეოლოგები საზოგადოდ კაპიტალისტურ მეურნეობის წინააღმდეგი არ იქნებიან. იმათი შიში მხოლოდ

*) იქვე გვ. 270.

იმაში მდგომარეობს, ვაი თუ კაპიტალიზმის განვითარებამ სოფლის მეურნეობაშიაც იგი მიდრეკილება გამოიჩინოს, რა მდრეკილებაც მან მრეწველობაში გამოიჩინაო. ე. ი. ბურჟუაზიის იდეოლოგები დღეს იმის ცდაში არიან, რომ სამრეწველო პროლეტარიატის სოციალისტურ ლტოლვილებას წინ დაუყენონ სოფლის მკვიდრთა, ე. ი. გლეხ-კაცობის, წვრილბურჟუაზიული მიდრეკილება, რაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში ისე არ მოხდება, როგორც ეს მრეწველობაში მოხდა. ამ გარემოებას მჭიდრო კავშირი აქვს იმ მოვლენასთან, რომ ამ უკანასკნელ დროს თითქმის ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული მთავრობები და საზოგადოდ გაბატონებული კლასის დამცველები სხვადასხვა ზომებს იგონებენ, რომ სოფლის ხალხი, ე. ი. გლეხობა, მიწას არ მოაშორონ. რა თქმა უნდა, რომ ასეთი ზომებით გაბატონებულ კლასების დამცველთ და დარაჯებს კაპიტალისტური მეურნეობისათვის მუშა ხელის უზრუნველყოფაც არა ნაკლებ აქვთ მხედველობაში. და მართლაც, ეს ზომები ამ მეორე მიზანს უფრო ემსახურებიან, ვინემ პირველს, ე. ი. კაპიტალისტური მეურნეობის ზრდის შეჩერებას. რამდენათაც ამ უკანასკნელ მიზანს ისახავენ ბურჟუაზიის დამცველები, იმდენათ იმათი განზრახვა პირდაპირ უტოპიური ხდება.

კაპიტალისტური წარმოების ზრდის შეჩერება სოფლის მეურნეობაში შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ეს წარმოება საზოგადოთ მთელ თანამედროვე საზოგადოებაში მოისპობა, მანამ კი იმის წადილი, რომ სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური წარმოების განვითარება შეჩერებულ იქნას, ფუჭი ოცნებაა. თუ ბურჟუაზიის დამცველები სოფლის წვრილ ბურჟუაზიის, ე. ი. გლეხკაცობის, გადარჩენისათვის ზრუნავენ იმ მიზნით, რომ ეს უკანასკნელი გამოიყენონ დღევანდელი კაპიტალისტური წესწყობილების დასახსნელად, მეორე მხრით, ნაროდნიკები, რომელთაც ამ უკანასკნელ დროს ჩვენშიაც გამოუჩნდენ მიმბაძველები, იმას ცდილობენ, რომ რამენაირათ ხელი შეუშალონ სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარებას, რათა იქ პირდაპირ სოციალისტური წარმოება იქნას შემოღებული; სოციალისტური წესწყობილების დასამკვიდრებლათ სოფლათ ისინი საუკეთესო საშუალებას დღევანდელ გლეხკაცობაში ხედავენ.

ამნაირათ, როგორც ხედავთ, ბურჟუაზიის დამცველნი და „სოციალიზმის მომხრენი" სოფლის დღევანდელ ეკონომიურ ვითარებას თუმც სულ სხვადასხვანაირათ აფასებენ, მაგრამ იმათ დაფასებას საფუძვლათ ერთი და იგივე ძირითადი შეცდომა უდევს, სახელდობრ ის, თითქო შესაძლებელი იყოს დღევანდელი ეკონომიური ცხოვრებიდან სოფლის მეურნეობის გამოყოფა და თავის სურვილისამებრ იქ ან კაპიტალისტური წარმოების განვითარების შეჩერება და წვრილი ბურჟუაზიული საკუთრების უკლებლად დაცვა, ან კიდევ პირდაპირ წარმოების უმაღლესი ფორმის, ე. ი. სოციალისტური წესწყობილების შემოღება. ამნაირი შეხედულება დღევანდელ სოფლის მეურნეობაზე სინამდვილესთან ძლიერ დაშორებულია; იგი სრულებით მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს და სავსებით გაჟღენთილია უტოპიზმით. როგორც შეუძლებელია სოფლის წვრილი ბურჟუაზიის საშუალებით მთელი თანამედროვე კაპი-

ტალისტური წესწყობილების ხსნა, ისევე შეუძლებელია ამჟამად სოფლის მეურნეობაში სოციალიზმის დამყარება, იმ დროს, როცა მთელი საზოგადოებრივი წესწყობილება საქონლის წარმოებაზე და დაქირავებულ შრომაზე არის დაყრდნობილი.

## II. ძველის ნაშთები და ახალის ჩანასახები

თითოეულ განსაზღვრულ ეპოქაში ყველაზე უფრო გავრცელებული და გაბატონებული არის უეჭველად საზოგადოებრივი წარმოების ერთი რომელიმე ფორმა, წესი ანუ სისტემა. პირველყოფილი კომუნიზმის დროსაც აქა-იქ მოიპოვებოდენ მომავალი წარმოების ნიშნები, ჩანასახი, მაგრამ სანამ საწარმოო ძალების განვითარებამ პირველყოფილ კომუნიზმს ძირი არ გამოუთხარა, წარმოების დედა-ძარღვს კომუნიზმი შეადგენდა. ასევე ითქმის მონობის, ფეოდალიზმის და კაპიტალიზმის შესახებაც. როცა პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოება დაირღვა, მისი ადგილი მონურმა საზოგადოებამ დაიკირა; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კომუნისტური წარმოების ნაშთები იმ ღროს უკვე სრულებით გამქრალი იყვნენ. საზოგადოების განვითარების ისტორია გვეუბნება, რომ მონობის დროს აქა-იქ კიდევ განაგრძობდენ არსებობას პირველყოფილი კომუნიზმის ნაშთები; იგივე ისტორია მოწმობს, რომ მონობის დროსვე გაჩნდენ, ჩაისახენ ფეოდალური წარმოების ნაშთები, რომელსაც მომავალში მონობის ადგილი უნდა დაეკირა. მაგრამ ჩვენ მაინც ვამბობთ, რომ იყო დრო, რომლის უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას, მის დედა-ძარღვს, მხოლოდ მონობა შეადგენდა, რომელსაც მონობა ასვამდა თავის დაღს. მონობას ფეოდალური წყობილება მოყვა, როცა მონის ადგილს მიწაზე მიკრული გლეხი, ანუ ყმა იკერს. მთელი ამ ეპოქის დედა-ძარღვს ბატონყმური ურთიერთობა შეადგენს; მაგრამ ამავე დროს ფეოდალიზმის ხანაში ჩვენ ვხედავთ ერთი მხრით წარმოების წინანდელ წესების დარჩენილ კვალს, ე. ი. კომუნიზმის და მონობის ნაშთებს და მეორე მხრით შემდეგი მომავალი ხანის, ე. ი. ბურჟუაზიულ წესწყობილების ნიშნებს.

ამნაირად, თითოეულ ისტორიულ ეპოქაში გაბატონებულია წარმოების ერთი რომელიმე განსაზღვრული წესი ანუ სისტემა, რომელიც იმ დროს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას თავის გავლენას უმორჩილებს და თავის ბეჭედს ასვამს. იმავე დროს არსებობენ წარმოების სხვა ფორმებიც, წესებიც ან როგორც წარსულის ნაშთები, ან კიდევ როგორც მომავალის ჩანასახი. რამდენათაც კაცობრიობა წინ მიდის, რამდენათაც იგი წარმოების ერთი ფორმიდან მეორეზე გადადის, იმდენათ საზოგადოებრივი ცხოვრება რთულდება საწარმოო ძალთა განვითარებით. ავიღოთ, მაგ., წარმოების ის ფორმა, რომელიც ჩვენ დროშია გაბატონებული, ე. ი. კაპიტალიზმი. კაპიტალისტურმა წარმოებამ უკვე ყველაფერს თავის დაღი დაასვა, ძან ყველაფერი თავის გავლენას დაუმორჩილა; მან მოსპო ძველი კარჩაკეტილობა და ცალკე თემები ცალკე ძლიერ ერებათ გადაადგა; მან გაუქმა ძველი პრივილეგიები, საზოგადოების დაყოფა წოდებათ გვარ-ტომობის მიხედვით და სამაგიეროთ გამოიწვია საზოგადოების ორ

დიდ ნაწილად. ორ დიდ ერთი მეორის მოწინააღმდეგე კლასათ დაყოფა: ბურჟუაზიათ და პროლეტარიატათ. ბურჟუაზია — ეს წარმოების საშუალებათა მესაკუთრეების კლასია; პროლეტარიატი კი — დაქირავებულ მუშების კლასი, რომლებიც ამ საშუალებებს ჰოკლებულნი არიან. მაგრამ არ იფიქროთ, რომ წმინდა კაპიტალისტური ურთიერთობა, ე. ი. ურთიერთობა კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის თავისი წმინდა სახით, სადმე არსებობდეს, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა. თითქმის იმ ქვეყნებშიაც კი, რომლებიც კაპიტალიზმის სამშობლოთ ითვლებიან, როგორც, მაგ., ინგლისი, კაპიტალისტური ურთიერთობა თავისი წმინდა სახით, კლასიკური ფორმით, ჯერ არ დამკვიდრებულა. თითქმის ყოველგან, განსაკუთრებით ძველ კაპიტალისტურ ქვეყნებში, კაპიტალისტურ ურთიერთობის და კაპიტალისტური წარმოების ვგვრდით შენახულია ძველი დროის ურთიერთობის ნაშთები, განსაკუთრებით კი ფეოდალიზმის. მართალია, ძველი ურთიერთობის ნაშთებს წინანდელი ძალა და გავლენა აღარ აქვთ, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობენ არსებობას და ასე თუ ისე ერთნაირ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე: გავიხსენოთ, მაგ., ფეოდალურ მიწადმფლობელთა კლასი ინგლისში, გერმანიაში, რუსეთში, ავსტრო-უნგრეთში, რუმინიაში, იტალიაში და სხვ. მიწის საზოგადო მფლობელობის ნაშთები რუსეთში („ობშჩინა") და მრავალი სხვა. ყოველივე ეს დღესაც არსებობს იქ, სადაც ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება არსებულ საზოგადოებრივ წესწყობილებას. განსაკუთრებით კაპიტალისტურ წარმოებას. „თანამედროვე საზოგადოებაში. — ამბობს კაუცკი, [17]) — გაბატონებულია წარმოების კაპიტალისტური წესი. მაგრამ წარმოების კაპიტალისტური ფორმა არ არის წარმოების ერთად-ერთი ფორმა, რომელიც თანამედროვე საზოგადოებაში არსებობს. მის გვერდით მოიპოვებიან წარმოების იმ ფორმათა ნაშთები, რომლებიც კაპიტალისტურ ეპოქამდის არსებობდენ და რომლებიც ჩვენ დრომდის დაცულია". *) ამას ამბობს კაუცკი იმ ქვეყნის შესახებ, სადაც კაპიტალისტურმა წარმოებაშ უმაღლეს საფეხურამდე მიაღწია. აქედან აშკარაა ის, რომ წარმოების ძველ ფორმათა ნაშთები განსაკუთრებით საგრძნობელი უნდა იყოს ისეთ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმი შედარებით ახალი მოვლენაა, სადაც იგი მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს.

წარმოების ძველი ფორმების ნაშთების არსებობა განსაკუთრებით საგრძნობელია რუსეთში, რომელიც იმ ქვეყნების ჯგუფს ეკუთვნის, სადაც კაპიტალიზმმა შედარებით გვიან იწყო განვითარება და სადაც კაპიტალისტური წარმოების გვერდით თქვენ შეხვდებით არა თუ ფეოდალური წესწყობილების ნაშთებს, არამედ პირველყოფილ კომუნიზმის ცოცხალ კვალსაც კი. და საჭირო იყო მართლაც რომ ძლევა-მოსილი გავლენა ორთქლის და ელექტრონისა, ტელეგრაფის და რკინის გზებისა, რომ კაპიტალისტურ წარმოებას დაეძლია ყველა ეს დაბრკოლებანი და გზა გაეკაფა თავის ძლევა-მოსილი მსვლელობისათვის.

ყველაზე უფრო გამწვავებული ბრძოლა წარმოების ძლევამოსილების ნაშთებსა და კაპიტალიზმს შორის ხდება არა ქალაქის მრეწველობაში, არამედ

*) იქვე, გვ. 6.

სასოფლო მეურნეობაში. რუსეთის კაპიტალიზმის ერთი საუკეთესო მკვლევარ-თაგანი, ვლ. ილინი,[18]) სხვათა შორის ამბობს: „სოფლის მეურნეობაში, კაპიტალიზმი ძლიერ ძნელი ნაბიჯით შემოდის და ამასთანავე იგი აქ ათასგვარ ფორმას ღებულობს“. *)

და მართლაც, კაპიტალისტური წარმოება ყველაზე უფრო სოფლის მეურნეობაში ეჯახება იმ ათასგვარ დაბრკოლებებს, რომლებიც წარსულის ცხოვრების ნაშთების სახით კაპიტალისტურ წარმოებას ყოველ ფეხის ნაბიჯზე წინ ეღობებიან. მაგრამ ასეა თუ ისე, თანამედროვე სოფლის მეურნეობა, თუ მას ჯერ კიდევ კაპიტალისტური ფორმა არ მიუღია, სულ ერთია, მაინც ვერ ასცდება კაპიტალისტურ განვითარების გზას. თანამედროვე სოფლის მეურნეობა ეს სულ სხვაგვარი მოვლენაა. იგი უკვე ჩათრეულია საქონლის ტრიალში და ემორჩილება იმას, რასაც მას მსოფლიო ბაზარი უკარნახებს.

ამნაირათ, ის განსხვავება სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის, რომელიც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ და რომელიც ხაზს ავლებს მიწის მუშასა და ქალაქის მუშას შორის, როგორც ნაანდერძევი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ, კაპიტალისტური წარმოების განვითარებისთანავე კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას, და ჩვენ თანდათან ვუახლოვდებით იმ დროს, როცა ქალაქის და სოფლის მუშებს შორის გაქრება ყოველგვარი წინააღმდეგობა და ისინი ერთ სოციალისტურ არმიას შეადგენენ.

გაზ. „ეკალი“
1908 წ. 18 და 20 სექტემბერი,
№ № 15 და 17.

*) იხ. В. Ильин — „Развитие капитализма в России“. ეს. 123.

# მიწის იჯარა

მიწის იჯარით აღება შეიძლება ორი მიზნით: როცა იჯარით აღებული მიწის საშუალებით მეიჯარეს სურს მოგების აღება, ე. ი. როცა მას ამით სურს ზედმეტი ღირებულების მითვისება. ეს არის. ეგრედ წოდებული, კაპიტალისტური იჯარა. მეორე შემთხვევაში მიწას იღებენ იჯარით იმ მიზნით მხოლოდ. რომ თავის გამოსაკვები სარჩო მოიპოვონ; აქ არავინ ფიქრობს მოგების აღებაზე; აქ არ აფასებენ შრომას ოღონდ კი სიმშილისაგან თავი იხსნან. ამას ეძახიან არა კაპიტალისტურ იჯარას. *) თითოეული აქ ნაჩვენები ფორმა იჯარისა არსებობს განსაკუთრებულ პირობებში. პირველი ფორმა, ე. ი. კაპიტალისტური იჯარა გავრცელებულია იქ, სადაც განვითარებულია მრეწველობა, ე. ი. იქ, სადაც საწარმოო ძალა მაღლა დგას და მრეწველობა თხოულობს მრავალ მუშა ხელს: ეს იწვევს სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებთა მეტ მოთხოვნილებას. ამიტომ იმათი ფასი იწევს მაღლა, რაც ადიდებს სასოფლო მეურნეობის მოგებას. ამის გამო სასოფლო მეურნეობას ჰკიდებენ ხელს ფულიანი კაცები, კაპიტალისტები, რომლებიც იჯარით იღებენ მიწას მემამულეთაგან რამდენიმე წლის ვადით, როშლის განმაელობაში ცდილობენ გამოსწოვონ საიჯარო მიწას რაც შეიძლება მეტი წვენი იმნაირად, რომ ვადის გათავების შემდეგ მიატოვონ და სხვა ახალი ნაჭერი აიღონ იჯარით, სადაც ესევე განმეორდება. **) კაპიტალისტური იჯარისათვის საჭიროა უმთავრესად ორი პირობა: გრძელი საიჯარო ვადა და დიდძალი მიწის აღება. მისთვის ხელსაყრელი არ არის არც მოკლე ვადიანი იჯარა და არც წვრილი ნაჭრების აღება.

სულ სხვა ხასიათი აქვს არა კაპიტალისტურ იჯარას. აქ მიწას ღებულობენ არა მოგებისათვის, არამედ თავის სარჩენად. სოფლის მუშა იძულებულია ცხოვრების სარჩო მოიპოვოს. იმ მოიჯარეს, რომელიც მოგებისათვის იღებს მიწას იჯარით, არავითარი ანგარიში არა აქვს მსცეს მემამულეს დიდი საიჯარო გადასახადი (მასლოვი გვ. 261). რომელშიაც შედის არა თუ მოგება. არამედ ნა-

*) განსხვავება კაპიტალისტურ და არა კაპიტალისტურ იჯარას შორის დაწვრილებით გაპროკვლეულია პეტრე მასლოვის წიგნში:

**) მაგრამ ამას აღწევს კაპიტალისტი მეიჯარე მხოლოდ იმ შემთხვევაში. როცა მას მიწა აღებული აქვს შედარებით დიდი ვადით. ხოლო რამდენადაც მცირეა იჯარის ვადა და ამას კი სულ ყოველთვის ცდილობენ მემამულენი, მიწას ემატება, ეინემ აკლდება და ეს მეტი გარდა ჩვეულებრივი საიჯარო გადასახადისა სრულებით მუქთათ რჩება მემამულეს. ამნაირად მემამულე ეპატრონება არა თუ სხვის მოგებას, არამედ სხვის კაპიტალსაც

წილი სამუშაო ქირისა. მაგრამ, როცა გლეხს, სოფლის მუშას სხვა სახსარი არა აქვს რა თავის სარჩენად, გარდა იმისა, რომ იჯარით მიწა აიღოს, იგი იძულებულია დათანხმდეს ისეთ დიდ საიჯარო ქირაზე, რომელიც ნთქავს არა თუ ჩვეულებრივ მოგებას, არამედ მის დღიურ ქირის ნაწილსაც. მიწის იჯარის ასეთი სისტემა უმთავრესად გამეფებულია მივარდნილ ადგილებში, სადაც დაცულია ძველი წესი, სადაც წარმოების პირობებს არავითარი ცვლილების ნიშნები არ დატყობია, ე. ი. ტეხნიკას არავითარი გაუმჯობესება არ ეტყობა. ასეთი პირობები ხელს უწყობს წვრილ იჯარას მოკლე ვადით და დიდი საიჯარო გადასახადით: კლასიკურ მაგალითს წვრილ იჯარისას წარმოადგენდა ირლანდია ამ 50 წლის წინათ, სადაც მარქსის სიტყვით, *) მეიჯარე იგივე წვრილი გლეხკაცობაა. ის, რასაც იგი აძლევს მემამულეს იჯარის სახით არა თუ უმეტეს ნაწილად ნთქავს მისი მოგების ნაწილს, ე. ი. ნაწილს მისი საკუთარი ზედმეტი შრომისას, რაზედაც მას აქვს უფლება, როგორც შრომის საკუთარი იარაღთა პატრონი, არამედ ნორმალური სამუშაო ქირის ნაწილსაც, რასაც იგი აიღებდა სხვა პირობებში თავის შრომისათვის. ასეთი სისტემით იჯარის ვადა მოკლდება, მიწა იცემა პატარ-პატარა ნაკრებათ. იმავე დროს მემამულეს ხელს არ აძლევს თვითონ აწარმოოს მეურნეობა; მისთვის ბევრათ უფრო საპრიანო არის იჯარით გაცემა, რადგანაც აქ თვითონ არაფრის დახარჯვა არ უხდება და იმავე დროს იღებს არა თუ დიდ საიჯარო გადასახადს, არამედ ეპატრონება სხვის შრომას და სხვის კაპიტალს.

არც მსხვილ მეიჯარეს აძლევს ხელს ასეთ პირობებში მეურნეობას ხელი მოჰკიდოს. უკვე დიდი ხნიდან შენიშნულია, რომ მსხვილი იჯარის რენტა უფრო ნაკლებია, ვინემ წვრილი იჯარის, ვინაიდან მოცილეობა წვრილ მეიჯარეებში უფრო მეტია და რადგანაც წვრილ მეიჯარეთ იშვიათად შეუძლიათ სხვა საქმეს ძოკიდონ ხელი გარდა მეურნეობისა. **) ყოველივე ეს ხელს უწყობს, რომ საიჯარო გადასახადმა აიწიოს, რაც „საზოგადოებრივი უბედურების დასამტკიცებელი საბუთია" (ტომი III გვ. 549). ასეთი სისტემა მეორდება იქ, სადაც სოფლის მუშას, მიწადმომქმედ კლასს საკუთარი მიწა ან სულ არა აქვს და ან არ ყოფნის. ამ შემთხვევაში სოფლის ხალხი თანდათან ღარიბდება და ეცემა ნიკოთიერად.

„ხალხის გამრავლების დროს. როცა მეტი მუშა ხელი ეძებს სამუშაოს, როცა მოთხოვნილებები მცირდებიან minimum-ამდე და გამწარებული დაეძებენ ლუკმა პურს, პირველი ადგილი უნდა დაიჭიროს ნატურალურმა იჯარამ, რომელმაც უნდა განდევნოს კაპიტალისტური იჯარა" (ვ. მასლოვი გვ. 142).

რა გვარი მიწის იჯარაა ჩვენში გავრცელებული? მსხვილი მეიჯარეს, ე. ი. კაპიტალისტურ იჯარას უქირავს ჩვენში პირველი ადგილი თუ წვრილ იჯარას? რამდენია იჯარით გაცემული მიწები? როგორია საიჯარო გადასახადი? რა ცვლილებას ეხედავთ ამ მხრით ამ უკანასკნელ დროს? ამ კითხვებზე პასუხის მიცემა მეტად ძნელია. უმთავრესი და უპირველესი დაბრკოლება მომდინარეობს იქი-

*) „კაპიტალი" ტომი III. გვერ. 516.
**) Ibid. გვერ. 519.

დან, რომ ამის შესახებ, როგორც საზოგადოთ, მაგალ. აგრარულ კითხვაზე, არ ვოიპოვება საჭირო ცნობები. სახელდობრ, არ მოგვეპოვება ცნობები არა თუ იმის შესახებ, თუ რა ნაწილი გლეხკაცობისა იღებს იჯარით მიწას, ან თუ რამდენი მიწა იცემა წლიდან-წლამდის იჯართ ჩვენში, არამედ არ ვიცით სისწორით აგრეთვე იჯარის პირობები. ის ცნობები, რომლებიც მოყვანილია ქვეეით ამ საგნის შესახებ, ვერ წარმოგვიდგენენ იჯარის შესახებ ჩვენში ცოტათ თუ ბევრად ნამდვილ სურათს მთელი თავისი სახით. გადაჭრით შეგვიძლიან ვთქვათ იმ საბუთების ძალით, რომლებიც ზევით არის მოყვანილი, რომ ჩვენ გლეხკაცობაში და აგრეთვე თავად-აზნაურობის იმ დიდ ნაწილში ქუთაისის გუბერნიაში, რომელსაც ნაკლები მამული აქვს, დიდი საჭიროებაა მიწის იჯარით აღებაში; დაახლოვებით შეგვიძლია აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ ტფილისის და განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში, სადაც შედარებით თავადაზნაურობის ხელშია ვარგისიანი მიწები, უმეტეს შემთხვევაში კერძო პირებიდან იღებენ, დანარჩენ გუბერნიებში განჯის, ბაქოს და ერევნისაში, სადაც თავისუფალი მიწები უმეტეს ნაწილად სახაზინოა, უფრო გავრცელებულია ხაზინის მიწების იჯარით აღება. ამასთანავე პირველ გუბერნიაში გავრცელებულია მოკლე ვადიანი, უმეტეს ნაწილად, ერთი წლით იჯარა, დანარჩენ გუბერნიებში კი უფრო დიდ ვადიანი იჯარა. ცოტა უფრო დანამდვილებით და სისწორით ჩვენ გვაქვს ცნობები საიჯარო ფასის სიდიდეზე და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა და რა სახით აძლევენ ჩვენში მემამულეები მიწას იჯარით.

როგორც ზევით შევნიშნეთ მეტად ძნელია იმ კითხვის გადაწყვეტა, თუ რამდენნი არის გავრცელებული ჩვენში კაპიტალისტური იჯარა, ერთი მხრით, და ის იჯარა, რომლის მიზანი მხოლოდ თავის რჩენაა, მეორე მხრით. მართალია ამ უკანასკნელ 30-40 წლის განმავლობაში მრეწველობამ საკმარისათ გაიდგა ფეხი ამიერ-კავკასიაში, განსაკუთრებით ნავთის წარმოებაში და სხვა მადნეულობის დამუშავებაში; მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო მრეწველობის განვითარება ჩვენში ძლიერ შეფერხებულია, თუმცა მის ზრდას მრავალი გარემოება უწყობს ხელს, როგორც მაგალ. ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე. ამიტომ მრეწველობისა და აღებ-მიცემობის განვითარება ვერ უდრის, ვერ იტანს ხალხის გამრავლებას; ასე რომ სოფლის ხალხის შედარებით ნაკლები ნაწილია ჩაბმული აღებ-მიცემობაში.

აქ ერთი საყურადღებო გარემოებაა: სახელდობრ აი რა: ჩვენ ქალაქებს და იმ ადგილებს, სადაც სამრეწველო და სააღებ-მიცემო დაწესებულებებია, უცხო ქვეყნიდან აწყდება ხალხი, რუსები, სომხები, ბერძნები და თითქმის ბოლგარელები, სერბიელები და ჩერნოგორელებიც კი. ეს ხალხი, ამათი უმრავლესობა ვაინც, უფრო ნაკლებ სამუშაო ფასს ჯერდება, ვინემ ადგილობრივი მუშები. მაგრამ აქ შეიძლება ასე გვიპასუხონ: თუ ადგილობრივ მუშებს უცხო ქვეყნიდან მოსული მუშები აცლიან ხელიდან სამუშაოს სამრეწველო დაწესებულებაში, სამაგიეროდ იგივე ხალხი ხმარობს ადგილობრივი მეურნეობის ნაწარმოებს. ამიტომ ეს უნდა დატყობოდა ჩვენში მეურნეობის განვითარებას, ე. ი. მასში ფულის დატრიალებას ფულსავე მოსაგებად, ე. ი. კაპიტალისტურ მეურნეობას. კაპიტალისტური მეურნეობა კი ნიშნავს კაპიტალისტური იჯარის სიჭარბეს, მაგ-

რამ აქ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ხელს უშლის ადგილობრივი მეურნეობის განვითარებას; ეს ის, რომ უცხო ქვეყნებიდან მოსული მუშები აქ სამუდამოთ თავისი ცოლშვილით არ არიან ჩამოსახლებული. ხშირად წაიმუშავებენ აქ თუ არა ისევე ბრუნდებიან თავის ქვეყნებში, ასე რომ ადგილობრივი სამეურნეო ნაწარმოების მუშტარი მცირედია. ეს რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ქალაქებში ხალხი უქმად დადის და ვერ პოულობს ქალაქურ ცხოვრებაში ნიადაგს, როგორც ამბობს ბ-ნი ფ. გოგიჩაშვილი,[20]) ამას უარყოფს ის ყველასათვის ცნობილი ფაქტი, რომ ამჟამად ა/კ. ქალაქებში მუშახალხის რიცხვი ათიათასობით იზომება.

ამნაირად სოფლად მაინც დიდძალი ხალხი ცხოვრობს; 1897 წლის აღწერით 87% მეტი; ამათში 82% მარტო გლეხობაა, რომლის უმეტესობას საკმარისი მიწა არ მოეპოვება, რომ თავი ირჩინოს. რასაკვირველია აზნაურობის დიდი ნაწილის მდგომარეობაც ამის მსგავსია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იურიდიული და უფლებრივი მდგომარეობით იგი განირჩევა გლეხობისაგან.

ამნაირად ჩვენში კაპიტალისტური მეურნეობა და კაპიტალისტური იჯარა აქამდე არ არის დიდათ განვითარებული. თუმცა სასოფლო მეურნეობის ზოგიერთ დარგში, როგორც მაგალითად, მეღვინეობაში, მევენახეობაში, ხეხილის მოშენებაში, საქონლის მოშენებაში უკვე ჰყავს საკმარისად მრავალი წარმომადგენლები, რომლებიც ნამდვილ კაპიტალისტურ პირობებში აწარმოებენ თავიანთ საქმეებს.

მიუხედავათ ამისა ხვნა-თესვაში, რომელსაც ჯერ კიდევ ჩვენს სასოფლო მეურნეობაში უპირველესი ადგილი უჭირავს, უფრო სჭარბობს ნატურალური იჯარა, ე. ი. უმეტესობა მხოლოდ თავის სარჩენათ იღებს იჯარით. მოვიყვანოთ ახლა კანტი-კუნტი ცნობები მიწის იჯარის შესახებ ჩვენში. დავიწყოთ ტფილისის გუბერნიიდან. ამ 15-20 წლის წინათ შეკრებილ ცნობებიდან ჩანს, რომ ტფილისის გუბერნიაში მაშინ 393 სოფელი იყო ისეთი, სადაც საეკლესიო გლეხები კერძო მემამულეებისაგან იჯარით მიწას იღებდენ, სამწუხაროთ არ არის გამორკვეული არც ის, თუ რამდენი კომლი იღებდა მიწას იჯარით, რა ხნით, რა ზომისას, და არც ის, თუ რას უდრიდა საერთოდ იმათგან საიჯაროთ აღებულ მიწების რაოდენობა. „სტატისტიკური ცნობების კრებულში“ *) მოყვანილი ცნობები, რომ ასეთი მიწების რაოდენობა 49,611 დესეტინას უდრიდა სიმართლეს მოკლებულია, რადგანაც 393 სოფლიდან მხოლოდ 235 სოფლის შესახებ არის მოყვანილი ცნობები და ისიც არა სავსებით. ამიტომ იქ მოყვანილი ცნობები ბევრათ ნაკლებია იმაზე, რაც ნამდვილად აღებული ჰქონდათ ამ 15-20 წლის წინათ სახაზინო გლეხებს ტფილისის გუბერნიაში. რაც შეეხება გლეხების დანარჩენ კატეგორიებს ჩვენ სრულებით არ ვიცით არც ის, თუ რამდენ მიწას იღებენ ისინი იჯარით კომლებათ, და არც ის, თუ საერთოდ რამდენი მიწა აქვთ იმათ აღებული იჯარით და რა პირობებით. ყოველივე ამის უქონლობა შეადგენს არსებით ნაკლულევანებას, რომელიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე საგრძნობელია და ურომლისოთ არა თუ ძნელია, არამედ საშიშია რაიმე დასკვნის გამოყვანა. ჩვენ

*) იხ. გვერ. 10.

გვაქვს დღეს მხოლოდ რამდენიმე კერძოთ შეკრებილი ცნობა, რომლებიც გაფანტულია აქა-იქ ადგილობრივ დროგამოშვებით გამოცემებში და რომლებიც უმეტეს ნაწილად ეხებიან მიწის იჯარის ფასს.

ასე მაგალ., 1900 წელს გაზ. „კავკაზსში“ [21]) (№ 129) აგრონომი თავად — ანდრონიკაშვილის წერილია მოთავსებული. საიდანაც ვტყობილობთ, რომ ტფილისის გუბერნიაში კერძო მემამულეთა შორის მეტად გავრცელებულია მიწის იჯარით გაცემა. თითქმის 99% მემამულეთა არ მისდევს მეურნეობას, არამედ პატარ-პატარა ნაკრებათ აძლევს გლეხებს იჯარით, ვინაიდან მამულის იჯარით გაცემა ბევრათ უფრო სასარგებლოა მემამულეთათვის. თითქმის 1.200.000 დესეტინა მიწის, რომელიც ტფილისის გუბერნიის კერძო მემამულეთა ხელშია. დიდძალი ნაწილი ნახევარ მილიონზე მეტი იჯარით უნდა იყოს გაცემული, ვინაიდან იჯარით მიწის გაცემა თავად ანდრონიკაშვილის აზრით, მემამულესათვის ბევრათ უფრო ხელსაყრელია. თავადი ანდრონიკაშვილი არ გადმოგვცემს რა ვადით იცემა ტფილისის მებატონეთაგან ამოდენი მიწები იჯარით; ის გვეუბნება მხოლოდ იმას, რომ ეს მიწები იძლევა პატარ-პატარა ნაკრებათ. ეს დიდათ საგულისხმიეროა, ეს მოწმობს, რომ ტფილისის გუბერნიაში ჯერ კიდევ ეგრედ წოდებული ნატურალური იჯარაა უფრო გავრცელებული, ვინაიდან, რომ ეს ასე არ ყოფილიყო იმ შემთხვევაში აქ ადგილი ექნებოდა უფრო მსხვილ იჯარას.

1907 წელი. [22])

# ბატონყმობის დამხობა რუსეთში

**(სოციალ-ეკონომიური თვალსაზრისით)**

„И рабству долгому пришедшая на смену
„Свобода, наконец, внесла ли перемену,
„В народные судьбы"

**Некрасов.**

1861 წლის გლეხთა რეფორმაზე შეხედულებებში არსებითი ცვლილებები შოხდა ამ უკანასკნელ ხანებში.

ჯერ კიდევ სულ რამდენიმე ხნის წინად გლეხთა განთავისუფლება და ბატონ-ყმობის მოსპობა მიაჩნდათ მრავრობის ნებისყოფის და ნაწილობრივ ლიტერატურის მოთხოვნის შედეგათ. ცნობილი ისტორიკოსი რუსეთში. ვ. სემიოვსკი, ასე აყალიბებს ამ შეხედულებას:

„როდესაც ვიკვლევთ მთავრობის, საზოგადოების და ლიტერატურის როლს გლეხთა საკითხის მსვლელობასა და განვითარებაში, როდესაც თვალყურს ვადევნებთ ბატონყმობის უფლების დამხობის თანდათანობით მომზადებას, შეუძლებელია მხედველობაში არ მივიღოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობდა ემანსიპაციის აუცილებლობის აზრის განმტკიცებას, — ეს არის თვით გლეხობის დამოკიდებულება მემამულეთა ხელისუფლებისადმი".

მაშასადამე, პირველ სამ ფაქტორს — მთავრობას, საზოგადოებას და ლიტერატურას. — რომელთაც მოამზადეს რუსეთში ბატონ-ყმობის დამხობა, — უერთდება კიდევ მეოთხე მნიშვნელოვანი ფაქტორი. — გლეხთა მოძრაობა და აჯანყებანი.

შეუძლებელია იმის უარყოფა, თითქოს თითოეულ ზემოჩამოთვლილ ფაქტორთაგანს არ ეთამაშოს ესა თუ ის როლი მთელი ჩვენი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამ საუკუნოებრივი საკითხის გადაჭრაში. ამიტომ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ამ შემთხვევაში საკითხი ეხება უფრო მეტად წმინდა სუბიექტიურ ფაქტორებს, რომელნიც პირველ ყოვლისა და უმთავრესად გამოხატავენ პირად და წუთიერ განწყობილებასა და აზრებს. — სულ ერთია ცალკე პიროვნებათა, თუ მთელი ჯგუფებისას, — ვინემ ობიექტიურ შიზეზებს ან ფაქტორებს, რომელნიც ქმნიდან ნამდვილ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათ. და მართლაც. რაში მდგომარეობდა ის „შემოქმედებითი დასაწყისი", სად უნდა ვეძიოთ ის ძალები, რომელთაც არა თუ მოამზადეს, არამედ „აუცილებელიც" გახადეს რუსეთში ბატონ-ყმობის მოსპობა.

თუ პირველ ყოვლისა შევეხებით იმ ხანების სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას, დავინახავთ, რომ ეკატერინე II [23]) გამეფებიდან, როდესაც ნათლად ჩამო-

ყალიბდა განმათავისუფლებელი ტენდენცია, — ალექსანდრე II [24]) მეფობის დასაწყისამდე, ხელისუფლებას არა თუ სწადდა გლეხთა განთავისუფლება, არამედ იგი ყოველი საშუალებით დევნიდა განმათავისუფლებელ იდეებს და სცდილობდა შეენარჩუნებია ბატონყმობა მთელი თავისი სიძლიერით და სიმკაცრით. მაშასადამე, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების როლი გლეხთა განთავისუფლების საქმეში უფრო ჩქარა უარყოფითი იყო, ვინემ დადებითი.

პუბლიცისტის როლი საზოგადოების თვითშეგნების განვითარების საქმეში შეიძლეოდა მეტად დიდი ყოფილიყო, მაგრამ ცენზურის მაშინდელ პირობებში ჩვენი პუბლიცისტიკა ბატონ-ყმობის არსებობის მთელი დროის განმავლობაში მეტად საცოდავ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ჩვენი ლიტერატურის ბედ-ილბალს განაგებდენ დუბელტები და უვაროები და პუბლიცისტიკის მხრით მცირეოდენ ცდასაც კი გაეშუქებია სინამდვილე, მოყვებოდა ხოლმე მეტად მკაცრი რეპრესიები. ყოველ შემთხვევაში ლიტერატურას შეეძლო გავლენა მოეხდინა ხალხის ამა თუ იმ მოთხოვნილების გადაჭრაზე. ვინაიდან იგი ამა თუ იმ სახით გამოხატავდა „დროის სულის“ გარდამავალ მოთხოვნებს.

რაც შეეხება საზოგადოებას. ნება მოგვეცით პირველ ყოვლისა ვიკითხოთ: სახელდობრ. რომელ საზოგადოებაზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც ბატონ-ყმობა რკინის ჯაჭვებით ახრჩობდა და ბორკავდა ყოველგვარ ცოცხალ ეაძოსახულებას, სადაც ყოველივე გაეღენთილი იყო კერპების თაყვანისმცემლობით, დამამცირებელი მონური გრძნობებითა და აზრებით. არ არსებობდა არც საზოგადოება და არც საზოგადოებრივი აზრი. იყვნენ მხოლოდ ცალკე პიროვნებანი და პიროვნებათა ჯგუფები, რომელთაც არავითარი ძალა და გავლენა არა ჰქონდათ.

ერთად-ერთი საზოგადოებრივი წრე, რომელსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა და მართლაც ახდენდა გავლენას ბატონყმობის საკითხის გადაჭრაზე. იყო გლეხობა. ისტორიკოსი სემიოვსკი, რომელსაც აზრათაც არ მოუვიდოდა როლის გადამეტებულათ შეფასება, ამ შემთხვევაში იძულებულია აღიაროს. რომ თუ არ ყოფილიყო გლეხობის მუდმივი და განუწყვეტელი პროტესტი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. მაშინ შესაძლებელია ბატონ-ყმობის არსებობა გაგრძელებულიყო 1861 წლის შემდეგაც. ეჭვს გარეშეა, რომ გლეხთა აჯანყებანი და არეულობანი, რომელნიც არ შეწყვეტილან ბატონ-ყმობის არსებობის მთელი ხნის განმავლობაში. რომ აღარაფერი ვთქვათ გლეხობის უფრო ნაკლებათ მნიშვნელოვან არეულობებსა და მემამულეთა წინააღმდეგ ურჩობაზე, — სერიოზულათ აიძულებდენ როგორც მემამულეებს, ისე მთავრობას გამოეწახათ საშუალებანი და გზები ბატონ-ყმობის საკითხის გადასაჭრელად. დასასრულ. თვით ალექსანდრე II სიტყვები. რომელიც მან უთხრა მოსკოვის თავად-აზნაურობის დეპუტაციას. — რომ თუ არ მოხდება გლეხთა განთავისუფლება ზევიდან, იგი მაშინ ქვევიდან მოხდებაო, — ფრაზა, რომელიც შემდეგ კლასიკური ფრაზათ იქცა, — სავსებით ააშკარავებენ იმას. რომ გლეხობის განწყობილებამ მეტად დააჩქარა ბატონ-ყმობის გადავარდნა — მოსპობა.

ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ გლეხობა იმ დროს სრულებით დაუურაზმავი იყო და შეუგნებლათაც მოქმედობდა. მათ მოძრაობას მხოლოდ

სტიქიური ხასიათი ჰქონდა. როგორც ვიცით გლეხობის აჯანყებას ჯარის ნაწილებით აქრობდენ და აჯანყების მონაწილეთ მეტათ მკაცრათ და ბარბაროსულად სჯიდენ. მაგრამ მიუხედავათ ამისა გლეხთა არეულობანი უფრო ხშირად მეორდებოდა და მას უფრო სასტიკი ხასიათი ეძლეოდა. ბოლოს და ბოლოს ბატონ-ყმობა გაუქმებულ იქნა ზევიდან — 1861 წლის თებერვლის 19-ს დებულებით.

ბატონ-ყმობის ზევიდან გაუქმება იმის მაჩვენებელი იყო, რომ ამ დროისათვის ბატონ-ყმობა რუსეთში უკვე განწირული იყო ცხოვრებისაგან, რომ იგი უკვე წარმოადგენდა წარსულის ნაშთს. მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსეთში თანდათან ვითარდება ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობანი. რომელთაც მე-XIX საუკუნის პირველი ნახევრის შიწურულში უკვე გაუსწრეს იმ ხანებში არსებულ საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმებს. ბატონ-ყმობა კი შეიძლება აღმოცენებულიყო და განვითარებულიყო სრულებით სხვაგვარ პირობებში.

ბატონ-ყმური ურთიერთობათა ჩასახვა და განვითარება მიეკუთვნება იმ ეპოქას, როდესაც ჯერ კიდევ ბატონობდა ეგრედ წოდებული „ნატურალური მეურნეობა". რუსეთის ისტორიაში ბატონ-ყმობა შედარებით უფრო გვიან ჩაისახა. ყველაზე უფრო გარკვეულ ნაშთებს გლეხობის დამონებისას რუსეთში ვხვდებით მხოლოდ მე-XVI საუკუნეში. „გლეხები მე-XVI საუკუნის მეორე ნახევრის აქტების მიხედვით, — ამბობს მ. ლიუბავსკი, — უკვე პასიურ არსებებს წარმოადგენენ, რომელთა ბედიღბალსაც განაგებენ მიწადმფლობელნი". იმ დროის გელხობის მდგომარეობის დასახასიათებლად დიდი მნიშვნელობა ეძლევა 1597 წლის ცნობილ ბრძანებას, რომლითაც ეკრძალებოდათ აღეძრათ სარჩელი იმ გლეხების დაბრუნების შესახებ. რომელნიც გაექცენ მემამულეებს 5 ან მეტი წლის წინათ ამ ბრძანების გამოქვეყნებამდე. ეს ბრძანება არაფერს გვეუბნება იმის შესახებ. მიმაგრებული იყვნენ თუ არა იმ დროს ყველა გლეხები მიწაზე, მაგრამ იგი იმას მაინც ადასტურებს, რომ მათი მიმაგრების პროცესმა მეტათ წაიწია წინ. ამ მდროიდან მიწის მუშათა მიმაგრება მეტად სწრაფად მიმდინარეობს, განსაკუთრებით პეტრე დიდის [23]) დროიდან. მაგრამ მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ეს პროცესი აღწევს თავის უმაღლეს წერტილს, და აქ უკვე შეგვიძლია შევამჩნიოთ წინააღმდეგი პროცესის, ე. ი. გლეხთა განთავისუფლების — დასაწყისი.

ამჟამად საბოლოოდ გამორკვეულია, რომ ბატონ-ყმობა რუსეთში აღმოცენდა და განვითარდა თავისუფალი მიწის მუშა — გლეხების მიერ გალატაკებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის ნიადაგზე, რაც შედეგი იყო მათი დავალიანებისა, ნაწილობრივ თავად-აზნაურობის შორის ატეხილი დავისა. ნაწილობრივ კი შედეგი იმ განადგურებისა, რაც მათ მიაყენა თათრების შემოსევამ. ამავე დროს სწარმოებდა, ერთის მხრით, თავადებისა და ბოიარების და, მეორე მხრით, უმაღლესი სასულიერო წოდებისა და მონასტრების ძალა-უფლების გაძლიერება. ყველანი ისინი სარგებლობდენ ხელსაყრელი შემთხვევებით, ხელში იგდებენ მიწებს და იტოვებენ მათ სრულ თავის საკუთრებაში. გალატაკებული გლეხები თავდაპირველად ნებაყოფლობით სახლდებოდენ თავადების, ბოიარების და მონასტრების მიწებზე. ხოლო შემდეგ კი ამაგრებენ ამ მიწებზე მთავ-

ობის ბრძანებები და კანონები. ნატურალური მეურნეობის ბატონობა, საჯარო ტრიალის სისუსტე და განუვითარებლობა ქმნიან მტკიცე ნიადაგს, რომელზედაც ზევით აღნიშნულ განსაკუთრებულ პირობებში თავისუფლად იფურჩქნება და ოვავის მემამულეთა ბატონ-ყმური მეურნეობა. მტკიცდება და ძლიერდება ბატონ-ყმური ურთიერთობანი.

მაგრამ მე-XVIII საუკუნის დასაწყისიდან რუსეთში თანდათან იწყება ნატურალური მეურნეობის გახრწნა და ამავე დროს კი სავაჭრო ტრიალი უფრო ძლავრად იკიდებს ფესვს. ამ პროცესს აძლიერებს უმთავრესად, ერთის მხრით. მოსკოვის სახელმწიფოს გარდაქმნა დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოების ყაიდაზე. და მეორეს მხრით. კი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის აღმოცენება. ოქაე პეტრე I. რომელმაც ხელი შეუწყო ბატონ-ყმობის გაძლიერებასა და განვითარებას. მეორეს მხრით, საფუძველი ჩაუყარა მსხვილ წარმოებას, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა გამხდარიყო მიზეზი ახალ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა აღმოცენებისა. მართალია, პეტრე დიდის დროის ფაბრიკა დაფუძნებული იყო ყმა-გლეხების შრომაზე. რომელთაც ამიერიდან ეძლეოდათ განსაკუთრებული სახელწოდება — „პოსესიონური გლეხებისა". ამრიგად პირველ ხანებში ბატონ-ყმობა თითქმის სრულებით არ უშლიდა ხელს რუსეთში მსხვილი მრეწველობის განვითარებას. პირიქით, საერთო ტეხნიკური განუვითარებლობის დროს. როდესაც არ არსებობდა კონკურენცია, ყმა-გლეხის შრომა მაშინდელ პირობებში ყველაზე უფრო გამოსადეგი და ხელსაყრელი იყო საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობისათვის. ცნობილია, რომ უკვე მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მსხვილმა მრეწველობამ მეტად დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ. მისი წარმატების შესახებ სხვათა შორის ლაპარაკობენ შემდეგი საბუთები: ეკატერინე II ხეფობის დასაწყისში იყო 984 ფაბრიკა და ქარხანა. ხოლო მისი გარდაცვალების წელს კი მათი რიცხვი აღწევდა უკვე 3161. სწორედ ამ დროს იჩინა თავი განხეთქილებამ ფაბრიკებსა და მემამულეებს შორის. ე. ი. ახლად ჩასახული ბურჟუაზიისა და გახრწნის გზაზე შემდგარი თავად-აზნაურობის შორის.

პეტრე დიდის დროს პირველი ფაბრიკანტები რუსეთში იყვნენ დაბალი წოდებიდან გამოსული პირები. იმ მსხვილ ვაჭართა წრის წევრები, რომელნიც არსებობდენ რუსეთში თვით პეტრე დიდამდე. სახაზინო ქარხნების წყალობით და ამასთან იმის გამო. რომ მათ თავის განკარგულებაში ჰყავდათ ფაბრიკებზე მიმაგრებული გლეხები-მუშები, ამ ფაბრიკანტებმა მეტად ხანმოკლე დროის განმავლობაში კოლოსალური სიმდიდრე შეიძინეს, ისე რომ ჩქარა მათ წინაშე ქედი უნდა მოეხარათ ბრწყინვალე თავადებსა და გრაფებს (მაგ. ფაბრიკანტი-ვაჭრები დემიდოვები). აზნაურობამ მხოლოდ ეხლა იგრძნო, რომ მარტო სახელწოდება აზნაურობისა მათ არაფერს მისცემდა, თუ ამასთან ერთად მას არ ექნებოდა მატერიალური სიმდიდრე. პრივილეგიებით აღჭურვილ წოდებაში იღვიძებს გრძნობა შურისა იმ ფაბრიკანტების მიმართ, რომელნიც დაბალი წოდებიდან იყვნენ გამოსულნი. ამ უკანასკნელთ უცხადებენ აშკარა ომს და ეკატერინე II მთავრობა სცემს კანონს, რომლითაც არა აზნაურებს ეკრძალებათ იყოლიონ ყმები ამით სურდათ მახვილი ჩაეცათ ფაბრიკანტებისათვის, რომელნიც არ ეკუთვნოდენ აზნაურთა წოდებას, და რომელთაც, მაშასადამე, არ ჰქონდათ ყმების ყო-

ლების უფლება. ხოლო სავსებით თავისუფლად დაქირავებულ შრომაზე დამყარება იმ ხანად შეუძლებელი რამ იყო.

მაგრამ ეს კანონი ამასთანავე ზიანს აყენებდა სახელმწიფოსაც. რომელსაც ეხლა თვითონ ესაჭიროებოდა მსხვილი მრეწველობის პროდუქტები, მართალია. პრივილეგიებით აღჭურვილ წოდებას ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის კი არ გამოუცხადებია ომი. არამედ მხოლოდ არა აზნაურთა ფაბრიკანტებისათვის; მისი მიზანი იყო თავად-აზნაურობის ხელში ჩაეგდო მთელი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა. ამ საკითხში თავად-აზნაურობის გამარჯვება არსებითად ნიშნავდა იმას. რომ ამიერიდან თვით იგი სდგებოდა ბურჟუაზიული წარმოების გზაზე.

„თავად-აზნაურობამ. — ამბობს პრიჩეტა, — დაკაფასა მსხვილი წარმოების უპირატესობა და მასთან ჰყავდა რა თავის განკარგულებაში უფასო შრომა, დაიწყო მაუდების ფაბრიკების გახსნა და წინასწარ უზრუნველჰყო თავისი თავი სახაზინო შეკვეთებით". „ეკატერინა პოსესიონურ ფაბრიკას. — ამბობს თავის მხრით პროფ. ტუგან-ბარანოვსკი. [26]) — რომელიც მე-XVIII საუკუნის პირველ ათეულ წლებში წარმოადგენდა ჩვენი ფაბრიკების თითქმის ერთად-ერთ სახეს, — სახიფათო მტერი ჰყავდა თავად-აზნაურობა. ჰეტრე დიდის ფაბრიკანტების შორის თავად-აზნაურობა თითქმის არ იყვნენ. მაგრამ თუ გადავხედავთ ეკატერინე დიდის დროის ფაბრიკანტებს, მათ შორის უკვე ბევრ აზნაურს შეხვდებით. მე-XVIII საუკუნის მიწურულში ყველაზე დიდი ფაბრიკანტები იყვნენ უკვე არა ვაჭრები, არამედ აზნაურები".

ამრიგად, თავად-აზნაურობამ. რომელიც უკვე აღარ წარმოადგენდა „მოსამსახურეთა წოდებას", გაიჩინა ახალი პროფესია. თავისთავად ცხადია. რომ შუვალოვები. ორლოვები. შერემეტიევები და პორონცოვები, ხსნიდენ რა ფაბრიკა-ქარხნებს ამით კიდევ არ სდგებოდნენ ბურჟუაზიის რიგებში. ამ შემოხვევაში ისინი მხოლოდ უფრო ხელსაყრელად იყენებდენ იმ უფასო შრომას, რომელიც მათ განკაოგულებაში იყო გლეხების სახით. მაგრამ დროთა მსვლელობაში ამ მხრივთაც უნდა მომხდარიყო სათანადო ცვლილებები.

მსხვილი მრეწველობის ზრდას მოჰყვა კიდევ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგი. მრავალ მემამულეთ უფრო ხელსაყრელად მიაჩნდათ გადაყვანა გლეხობისა გადასახადზე. რომლის დროსაც იგი თავისუფლებას აძლევდა გლეხს ხელობის ამორჩევაში და აღარ სტოვებდა მათ თავის მამულში სამუშაოდ. ასეთ გადასახადზე გადაყვანას უმთავრესად ადგილი ჰქონდა არა ნოყიერი მიწებიან გუბერნიებში: აქ. პირიქით. ვამჩნევთ მემამულის მიწებზე მომუშავე გლეხობის ზრდას.

ტუგან-ბარანოვსკის ცნობით 1804 წელში რუსეთის ყველა ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობდა სულ 95.202 მუშა; აქედან თავისუფლად დაქირავებული იყო 45.625 კაცი, ე. ი. ნახევარზე ნაკლები. 1825 წელში ყველა ფაბრიკებსა და ქარხნებში ირიცხებოდა უკვე 210.568 მუშა, ე. ი. 20 წლის განმავლობაში მათი რიცხვი ორჯერ მეტად გაიზარდა: ეს მოვლენა მაჩვენებელია მსხვილი წარმოების ახალ-ახალ გამარჯვებებისა. ამ რიცხვიდან ყმა-გლეხების რიცხვი უდრის 66.725 კაცს. ხოლო პოსესიონური-გლეხების კი — 29.328. ამრიგად მემამულეთა

(საგვარეულო) ფაბრიკამ, რომელიც პირველად გაჩნდა მხოლოდ მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. სწორედ გაუსწორო პოსესიონურ ფაბრიკას.

მაგრამ ამ დროისათვის, ე. ი. გასული საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში უკვე გამოირკვა, რომ იმ ხანებში არსებულ პირობებში, ე. ი. ბატონ-ყმობის არსებობის დროს მსხვილი მრეწველობის შემდეგი განვითარება შეუძლებელია. მსხვილი მრეწველობა ეხლა შედიოდა იმ სტადიაში, როდესაც შრომის ნაყოფიერების აწევა, ტეხნიკურ გაუმჯობესებებთან დაკავშირებით, წარმოადგენდა წარმოების აუცილებელ ფაქტორს.

ამავე დროს კი ბატონ-ყმური ურთიერთობანი წარმოადგენდენ გარდაუვალ დაბრკოლებას შრომის ნაყოფიერების განვითარებისათვის. ყველაზე ადრე ეს თავის თავზე იგრძნო პოსესიონურმა ფაბრიკამ. „იძულებითი შრომით სარგებლობა უფლება, — ამბობს ტუგან-ბარანოვსკი, — რომელსაც ეგზომ აფასებდენ პეტრე დიდის დროინდელი ფაბრიკანტები, ერთი საუკუნის შემდეგ გადაიქცა მძიმე ტვირთად თვით მეპატრონეთათვის. თავიდან მოშორების საშუალებასაც ისინი ეძიებდენ". მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო საინტერესო არის ვაპრების ხლებნიკოვების თხოვნა. სადაც სხვათა შორის აი რას ვკითხულობთ: „დროის გამო შეიცვალა საფაბრიკო წარმოება, მასში შეტანილია მექანიზმი, რომელიც ეწევა ხელით შრომის მაგიერობას და ამის გამო ფაბრიკებში მუშაობის წარმოება პოსესიონური მუშებით არა თუ უვარგისია, არამედ მას მუდამ მნიშვნელოვანი ზარალი მოაქვს. და ამიტომ ჩვენ გვაქვს რა განზრახვა ჩვენი ტილოსა და მაუდის ფაბრიკა მოვაწყოთ უფრო კომერციულ უფლებებზე, სურვილი გვაქვს ფაბრიკებზე მირიცხული გლეხები გადავსცეთ ხაზინას".

ეს უბრალო ფაქტი მოწმობს უკვე იმ დიდი გარდატეხის შესახებ, რომელიც მოხდა არა მარტო ნაწარმოების, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროში. მისი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ამიერიდან იძულებითი შრომა უვარგისათ არის მიჩნეული მსხვილ სამრეწველო წარმოებაში.

მაგრამ იგი ჩქარა უვარგისათ იქნება ცნობილი სოფლის მეურნეობის სფეროშიც. არსებითად ეს უკვე მოასწავებდა სიკვდილის განაჩენის გამოტანას ბატონ-ყმობისათვის. როგორც იძულებითი, მონური შრომის საფუძვლისათვის.

ბუნებრივია, რომ თუ კი იძულებითი შრომა შეიქნა მძიმე ტვირთი პოსესიონური ფაბრიკისათვის, ასეთივე მძიმე ტვირთად უნდა გამხდარიყო იგი მემამულის ფაბრიკისათვისაც. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო,რომ მემამულეებმა როგორც არა კომერციულმა პირებმა. ეს ერთბაშად ვერ შეიგნეს. ისინი კარგად ხედავდენ მხოლოდ ერთ რასმე, სახელდობრ, იმას, რომ მეტად არა ნაყოფიერი იყო ყმების შრომა; მაგრამ ამას ისინი აწერდენ მხოლოდ გლეხების სიზარმაცეს, მუქთახორობას და სხვა ნაკლულევანებათ. ხოლო რადგანაც ამასთან ერთად ისინი იმედოვნებდენ. რომ გლეხობის გაწვრთნა შესაძლებელია, რომ მათგან შესაძლებელია კარგი მუშების აღზრდა, ამიტომაც მათ დიდხანს აზრადაც არ მოსდიოდათ უარი ეთქვათ თავის მონათ-მფლობელობის უფლებებზე. მაგრამ მათი ისეთი გაწვრთნის იმედები ამაო იყო. თავისუფლად დაქირავებული შრომის უპირატესობა იძულებითი შრომის წინაშე ჩქარა გამოაშკარავდა. „რა განსხვავებაა შეხედეთ იმ მანუფაქტურაში, რომელიც ჭეშმარიტად კომერციულ საფუძ-

ვლებზეა მოწყობილი" — გაკვირვებით კითხულობდა ბ-ნი კოშელოვი გაზეთ „ზემლედ. გაზეტა"-ში 1847 წ.

იძულებითი შრომის არა ნაყოფიერება თანდათან თავს იჩენდა სოფლის მეურნეობის სფეროშიც. იგივე კოშელოვი აღნიშნავს: „გლეხი მოვა რაც შეიძლება დაგვიანებით... ხოლო მუშაობს რაც შეიძლება ზანტად — მას აინტერესებს არა საქმის გაკეთება, არამედ როგორმე დღის გათავება".

განსაკუთრებით აშკარად იჩინა ამ გარემოებამ თავი მას შემდეგ, რაც ნოყიერი მიწების რაიონის მემამულეებმა დაიწყეს პურის მრავლად დამზადება ბაზრისათვის. მებატონეთა ნახნავის გადიდება უმთავრესად ხდებოდა იმით, რომ გლეხობას ართმევდენ მის მიერ დამუშავებულ მიწას და მათ კი აქცევდენ მემამულის უმიწა-წყლო შინაურ ყმათ. ტროინიცკის გამოანგარიშებით ასეთი ყმების რიცხვი 4,14 პროცენტიდან, რომელიც იყო მერვე რევიზიის დროს ავიდა 6,79%-მდის მეათე რევიზიის დროს და ეს მაშინ, როდესაც მათი რიცხვი კლებულობს არა ნოყიერი მიწებიან გუბერნიებში, ე. ი. იქ, სადაც გლეხობა უმთავრესად გადასახადზე იყო გადაყვანილი.

ამისდა მიხედვით მოხდა საკმაოდ რადიკალური ცვლილება მემამულის შეხედულებაში მიწაზე და ყმებზე. „ნოყიერი მიწებიანი გუბერნიების მემამულეები, — ამბობს ბ-ნი პიჩეტა, — აფასებდენ თავის მამულს არა მარტო ამ მამულში დასახლებულ ყმების სივრცის მიხედვით, არამედ თვით ნიადაგის პირობების მიხედვითაც, რადგანაც მათ კარგად ესმოდათ, რომ რადიკალურად შეცვლილი ეკონომიური პირობების დროს მიწის კაპიტალს უფრო მეტი ღირებულება აქვს მათი მატერიალური კეთილდღეობს გაუმჯობესებისათვის". თავის მხრით ეკონომისტი პ. მასლოვი [27]) დასახლებული და დაუსახლებელი მიწების ფასების განსხვავებაზე განსაზღვრავს ერთი სული ყმის ფასს სამრეწველო გუბერნიებისათვის 50 მანეთად. ხოლო ნოყიერი მიწებიან გუბერნიებისათვის მხოლოდ 20,4 მანეთად. აქედან ცხადია, რომ ბატონყმობამ ჯერ კიდევ ძალიან აღრე მისი ფორმალურად გაუქმებამდე, მემამულეთათვის, ყოველ შემთხვევაში, ნოყიერი მიწებიანი გუბერნიების მემამულეთათვის — დაკარგა მთელი თავისი ფასი. მაშასადამე, არსებითად შეცვლილი ეკონომიური პირობები კატეგორიულად მოითხოვენ ბატონ-ყმობის გაუქმებას. ეს აუცილებელი იყო თვით მემამულეთა ინტერესებისათვისაც. თავისთავად ცხადია, რომ მემამულეებს არ შეეძლოთ შიეღწიათ ბატონ-ყმობის გაუქმებამდე: ეს მოითხოვდა მათგან ისეთი მსხვერპლის გაღებას, რომლის გაღებაც შეეძლოთ მხოლოდ ერთეულებს. ხოლო მემამულეთა მასისათვის საკითხი ამ შემთხვევაში შეიძლებოდა შეხებოდა მხოლოდ ბატონ-ყმობის უფლების გარდაქმნას, რეფორმაციას. იმ გვარად, რომ მას დაეკმაყოფილებია მფლობელთა კლასის ინტერესები, თანახმად ცხოვრების ახალი მოთხოვნილებებისა.

მე-XIX საუკუნის მეორმოცე წლებში თავად-აზნაურობა უკვე გრძნობდა, რომ ბატონ-ყმობის აღსასრული ახლოვდებოდა, და როგორც წყალწაღებული ხავსს, ისე იგი ყველაფერს იმას ებღაუჭება. რაც შესძლებდა მისი ძველთა-ძველი უფლებების შენარჩუნებას. ყველანი დაფაცურდნენ და მსწრაფლად ადგენენ ახალ-ახალ პროექტებს, თუ როგორ შეუფარდონ ბატონ-ყმობა ცხოვრების ახალ

პირობებს. ამ მხრით ყურადღება უნდა მიექცეს ზაბლოცკი-დესიატსკის სიტყვებს. რომელიც მან წარმოსთქვა მე-40 წლების მიწურულში: „არ შეიძლება არ შევამჩნიოთ. — სთქვა მან. — რომ ბატონ-ყმობის შეცვლის საკითხი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად ყველას საშინელბათ მიაჩნდა, ეხლა უკვე აღარავის არ აკვირვებს". ჩვენ უკვე ვიცით რამ გამოიწვია ფრონტის ასეთი შეცვლა უპირველესი წოდების მხრით.

რაღა უნდა ეხლა აზნაურობას? როგორი იყო მისი მოთხოვნები რადიკალურად შეცვლილ პირობებში?

გამოუკლებლივ ყველა პროექტები აზნაურებისა გამომდინარეობენ იმ აზრიდან. რომ მთელი მიწა შეადგენდა აზნაურების უდავო და უცილობელ საკუთრებას. ყველაზე უფრო ნათლათ ეს აზრი ჩამოყალიბებული იყო თავადი ლრუკაკო-სოკოლინსკის ცნობილ წერილში, რომელიც მან მიართვა იმპერ. ნიკოლოზ I. [28]) სხვათა შორის აქ ნათქვამი იყო: „რომ გამოვიდეთ ეხლანდელ მდგომარეობიდან საჭიროა: რომ როგორც მებატონენი, ისე გლეხები დამოკიდებულნი იქნენ ერთიმეორისაგან და არ იქნებიან რა ისინი დაკავშირებულნი ისე, როგორც ეხლა, ორთავეს ესაჭიროებოდეთ ერთიმეორე საკუთარივე ინტერესებისათვის, — მემამულეებს, — მუშები. გლეხებს — მიწა და სამუშაო".

ამრიგად, მემამულენი ეხლა თვითონ ამბობენ უარს თავის უფლებებზე გლეხის პიროვნებაზე, ვინაიდან იძულებითი შრომა ყმების პატრონისათვის გამოუსადეგარი შეიქნა. სამაგიეროთ ეხლა ეს მებატონენი მთელი თავისი ძალღონით ებღაუჭებიან დედა-მიწას, ვინაიდან შეცვლილ ეკონომიურ პირობებში მას უფრო მეტი ღირებულება მიეცა. და ამიტომაც არაფერია გასაკვირალი ინაში, რომ ვიწრო-წოდებრივი, კლასიური ინტერესები აიძულებენ მემამულეებს ყოველი ზომა მიეღოთ ზევით აღნიშნული აზრით ბატონ-ყმობის გარდასაქმნელად.

მაშასადამე, თავად-აზნაურობამ უკვე საკმაოდ გამოარკვია თავისი დამოკიდებულება მაშინ არსებულ ბატონ-ყმობისადმი; ამასთანავე იგი ერთგვარათ მზად იყო უარი ეთქვა თავის უფლებებზე გლეხის პიროვნებაზე, მხოლოდ კი შეენარჩუნებია საკუთრება მიწაზე. საქმე ეხლა მხოლოდ მთავრობაზე იყო.

როგორც ვიცით მთავრობის დამოკიდებულება ბატონ-ყმობისადმი ჯერ კიდევ ეკატერინე მე-II-დან იყო მეტად გაურკვეველი და ბუნდოვანი, მისი ზომებიც ამ მხრით იყო არა ლოღიკური, არა თანდათანობითი და გაურკვეველი. მხოლოდ ერთი რამ იყო მეტად აშკარა: მთავრობას ეშინოდა თავად-აზნაურობის უკმაყოფილებისა და იმის სურვილში. რომ არ გამოეწვია მათი გულისწყრომა, იგი ხშირად ივიწყებდა არა თუ ჰუმანიურობისა და სამართლიანობის უმთავრესსა და ძირითად მოთხოვნილებებს, არამედ სახელმწიფოს არსებით ინტერესებსაც. უზარმაზარ რუსეთის სახელმწიფოში არა თუ იყვნენ სრულ-უფლებიანი მოქალაქენი. არამედ არსებითად რომ ვილაპარაკოთ, რუსეთის მეფეს არ ჰყავდა თვით ნამდვილი, თავისი მოვალეობის შემგნები ქვეშევრდომნიც. ეს ჭეშმარიტება სავსებით გამოააშკარავა ყირიმის ომმა. ბატონ-ყმურ რუსეთს თავისი ძალები უნდა დაეპირისპირებია დასავლეთის სახელმწიფოებისათვის. აბსოლუტისტური-ბატონყმური რუსეთი დარწმუნებული იყო თავის ძლევა-მოსილებაში, თა-

ვის უპირატესობაში · კონსტიტუციონალური სახელმწიფოების წინაშე, სადაც ბატონ-ყმობა უკვე დიდი ხანია ჩაბარებოდა ისტორიას.

და აი ბატონ-ყმურმა რუსეთმა კულტუროსან მტრებთან პირველ სერიოზულ შეტაკებისათანავე გამოააშკარავა მთელი თავისი სიკოტრე. მისი ძლიერება მხოლოდ მოჩვენებითი შეიქნა. სევასტოპოლის მარცხი ისევე. როგორც შემდეგში მანჯურიის მარცხი არსებითად იყო ბატონ-ყმური რუსეთის და იმ წესწყობილების დამარცხება. რომელიც დაფუძნებული იყო ხალხური მასების მონობასა და უმეცრებაზე. მაშინ რუსეთის სახელმწიფო მოღალწენი დარწმუნდენ და უნდა დარწმუნებულიყვნენ ინაში. რომ ბატონ-ყმობაზე აშენებულ სახელმწიფოს არ შეუძლია შეუკავშირდეს კულტუროსან ერებს. და აი ასეთი შერცხვენისა და დამცირების შემდეგ. რომელიც რუსეთს მიაყენა ყირიმის ომმა. მთავრობაში ბოლოს და ბოლოს მტკიცდება ის აზრი, რომ აუცილებელია და გადაუდებელი ბატონ-ყმობის რეფორმა.

მთელი საკითხი მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, თუ მთავრობა როგორ გადასჭრიდა იმ დროის ამ ყველაზე უფრო რთულსა და უდიდეს საკითხს. არა ნაკლებად საინტერესო იყო ისიც. თუ სახელდობრ ვის მიიწვევდა დამხმარედ ამ ამოცანის გადაჭრაში.

ყირიმის ომის დასრულება მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც ტახტზე ავიდა იმპერატორი ალექსანდრე II. თითქოს ეს იყო ყველაზე მეტად ხელსაყრელი მომენტი იმისათვის. რომ შესდგომოდენ გლეხთა განთავისუფლების საქმეს. მით უმეტეს. რომ გლეხობა განთავისუფლების მოლოდინში მრავალ გუბერნიებში მოუსვენრობას იჩენდა და გამოსვლებს აწყობდა. მაგრამ მთავრობა მაინც აყოვნებდა, იგი სცდილობდა მიეჩქმალა სახელმწიფოს ეს მტკივნეული ადგილი. ამასთან ერთად იგი აწყნარებდა აღელვებულ მფლობელთა წოდებას დაპირებებით შესახებ იმისა, რომ იგი გლეხთა განთავისუფლების შესახებ ჯერ-ჯერობით არცა ფიქრობს.

მაგრამ მახათის ტომარაში დამალვა შეუძლებელია. ჰაერი გაჟღენთილი იყო ამ სენით. გლეხთა საკითხი ყველას პირზე ეკრა.

დაბრკოლება მხოლოდ იმაში იყო, რომ თავად-აზნაურობა ამ საკითხში ერთსულოვანია. მეორეც, თავად-აზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამასთანავე ყველაზე მეტად გავლენიანიც. როგორც უკვე ვიცით მომზადებული იყო ბატონ-ყმობის რეფორმისათვის.

მმართველი ხელისუფლება მეტად ფრთხილად უდგებოდა ამ რეფორმას. 1856 წლის ოქტომბერში იმპერატორი ალექსანდრე II გამოსთქვამს სურვილს. „რომ დასახელებული მამულების კეთილ მოაზროვნე მფლობელებმა თვითონ გამოსთქვან აზრი, რამდენათ მიაჩნიათ მათ შესაძლებლად გააუმჯობესონ თავიანთი გლეხების მდგომარეობა ორივე მხარისათვის არა დამამძიმებელ და კაცთმოყვარეობის საფუძვლებზე“. ამრიგად რეფორმის დასაწყისიდანვე ჩამოყალიბდა ერთი ძირითადი თვისება, — ეს იყო დათმობა და ანგარიშის გაწევა მემამულეთათვის. ამასთანავე. იმ თავითვე ნათელი გახდა, რომ მრავალ მილიონიანი გლეხობის ბედ-ილბალის გადაჭრის დროს თვით გლეხობის აზრი არ იქნებოდა მოსმენილი.

მთელი პროცედურა ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლებული გლეხობის დებულების შემუშავებისა ხდება მარტოოდენ თავად-აზნაურობის კრებებსა და თავად-აზნაურობის — ბიუროკრატიულ კომიტეტებში. ადგილობრივი კომიტეტების მიერ შემუშავებული პროექტები ეგზავნება მთავარ კომიტეტს, ხოლო აქედან კი სარედაქციო კომისიას, რომელიც შესდგებოდა უმაღლესი ბიუროკრატიისა და თავად-აზნაურობის წარმომადგენელთაგან. აი ასეთი მოსამზადებელი მუშაობა მთელი თავისი პერიფერიებით გრძელდება სამ წელიწადზე მეტი.

ამ მუშაობის მსვლელობის დასურათება არ შედის ჩვენს ამოცანაში. ჩვენ აქ ხაზი გვინდა გაუსვათ მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან გარემობას, რომელმაც წარუშლელი დაღი დაასვა მთელი 1861 წლის რეფორმას.

ყველა ასეთ კომიტეტებსა და კომისიებში გლეხთა საკითხის გადაჭრის დროს უმთავრესი დაინტერესებული მხარეები იყვნენ თავად-აზნაურობა და გლეხობა. ხოლო ამავე დროს კი საკითხს ყოველთვის სწყვეტდა მარტოოდენ ერთი დაინტერესებული მხარე. ე. ი. თავად-აზნაურობა. რაც შეეხება მეორე დაინტერესებულ, შეუოაცყოფილ მხარეს — გლეხობას, მას არა თუ არავითარ მონაწილეობას არ აღებიებდენ მისი ბედ-იღბალის საკითხის გადაჭრაში, არამედ მისი აზრი და ხმა არც ერთხელ არ ყოფილა მოსმენილი არც საგუბერნიო კომიტეტებში, არც მთავარ კომიტეტში და არც სარედაქციო კომისიებში. ასეთი დამოკიდებულებას ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარისადმი მთელი რეფორმისათვის უნდა მიეცა მეტად ცალმხრივი ხასიათი. ხანდახან, რომ მიეჩქმალათ გლეხობის ინტერესებისადმი მეტად გულცივად მოპყრობა, ერთის მხრით და, მეორეს მხრით, მეტად მიკერძოებითი დამოკიდებულება მემამულეთა ინტერესებისადმი, საქმეში ჩაერეოდა ხოლმე უმაღლესი ცენტრალური ბიუროკრატია, რომელიც თითქმის სავსებით მსხვილ მემამულეთაგან შესდგებოდა.

გლეხობამ არსებითად არა იცოდა რა იმის შესახებ, თუ რა კეთდებოდა კომიტეტებსა და კომისიებში, სადაც ირჩეოდა მათი საკითხი. ამ ვაუბატონებს არ მიაჩნდათ საჭიროთ რაიმე ეცნობებიათ გლეხობისათვის იმ პროექტების შესახებ. რომელიც სწორედ მათ შეეხებოდათ.

მთელი მუშაობა მიმდიმარეობდა კანცელარიის საიდუმლოების საფარველის ქვეშ.

ამის გამო გლეხობაში მრავალი ბუნდოვანი ხმები დადიოდა მხოლოდ იმის შესახებ, რომ მათ თავისუფლებას აძლევენ. მიწის შესახებ მაშინ მათ არც კი ებადებოდათ კითხვა, — მიწების გარეშე გლეხობას არც კი შეეძლო წარმოედგინა თავისუფალი ცხოვრება და გარდა ამისა, მათ მეტად სტანჯავდა. მეტად სჩაგრავდა ბატონ-ყმობა და არც კი ეცალათ თავისუფლების პირობებზე ფიქრისათვის.

ამრიგად, თებერვლის 19-ს დებულებებმა გაიარეს თავად-აზნაურობის ყველა ინსტანციები ზევიდან ქვევითამდე და ქვეეიდან ზევითამდე, ვიდრე კანონის სახეს მიიღებდენ.

აშკარავდებოდა, რომ თავად-აზნაურობა ჰკარგავდა თავის უფლებებს გლეხის პიროვნებაზე, მაგრამ სამაგიეროთ იღებდა დიდ უპირატესობას ეკონომიურის მხრით.

გლეხები იღებდენ პირად თავისუფლებას, თავისუფლდებოდენ მძიმე მონობისაგან და ხდებოდენ სოფლის თავისუფალი მოსახლენი, მაგრამ არსებითად ისინი ჰკარგავდენ მიწას, რომლითაც ისინი ამდენხანს სარგებლობდენ.

თავის მხრით სახელმწიფო ღებულობდა ნამდვილ ქვეშევრდომებს და გადასახადით დაბეგვრის ახალ წყაროებს. თითქმის რთული და მძიმე ამოცანა — ინტერესების გათანასწორებისა—გადაჭრილ იქნა. მაგრამ რა იყო სინამდვილეში?

ერთი რამ იყო უდავო: გლეხებმა მიიღეს თავისუფლება, ისინი აღარ წარმოადგენდენ საგანს, ხდებოდენ ადამიანები. ეს თავისთავად შეტად დიდი საქმე იყო.

მაგრამ რით იყო უზრუნველყოფილი გლეხის ეს პირადი თავისუფლება, სად იყო ამ თავისუფლების გარანტია? სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ: როგორი იყო გლეხობის ამ რეფორმის ეკონომიური საფუძველი? აი მეტად საინტერესო და სამართლიანი საკითხი.

პირველ ყოვლისა მოვიგონოთ მემამულეთა გლეხობის ეკონომიური სტრუქტურა.

ბატონ-ყმობის დროს ყველა მიწები, გარდა კარ-მიდამოსი, იყოფოდა სამ კატეგორიათ. ერთი კატეგორიას შეადგენდენ მებატონეთა მიწები, რომელსაც ამუშავებდენ გლეხები მემამულთა სასარგებლოდ; მორე კატგორიას შეადგენდენ ის მიწები, რომელნიც იყვნენ გლეხობის უშუალო სარგებლობაში და რომელსაც ისინი ამუშავებდენ თავისი თავის და ოჯახობის გამოსაკვებათ; დასასრულ, მესამე კატეგორიას შეადგენდენ უმთავრესად ტყეები, საძოვრები, და სათიბები, რომელნიც ბატონ-ყმობის დროს არ იმყოფებოდენ ვისიმე განსაკუთრებით სარგებლობაში; საჭიროების მიხედვით ასეთი მიწებით დაუბრკოლებლად სარგებლობდენ როგორც გლეხები, ისე მემამულენიც. ბატონ-ყმობის დროს გლეხები თითქმის არ განიცდიდენ მიწის სიეიწროვეს. მემამულის მეუნეობა მაშინ ერთგვარად წარმოადგენდა საკმაოდ დამთავრებულ და სწორ სისტემას, რომლის სათავეშიც იდგა მემამულე, რომელიც აძლევდა გლეხებ მიწას და ავალებდა მათ ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებას. ერთი სიტყვით, გლეხისა და მათი მფლობელის მეურნეობა, შადგენდენ რა ორ დამოუკიდებელ ერთეულს. იმავე დროს წარმოადგენდენ მთლიან, რთულსა და ერთგვარად ჩამოყალიბებულ სამეურნეო ერთეულს. ეს წარმოადგენდა ბატონ-ყმობის ერთად-ერთ დადებით მხარეს, თუ კი საერთოდ შეიძლება რაიმე ითქვას დადებითი ამ არსებითად უარყოფითი მოვლენის შესახებ.

თებერვლის 19-ს დებულებით ეს ეკონომიური საფუძვლები ძირიანად იქნენ შეცვლილნი. პირველ ყოვლისა ის ორგანიული კავშირი, რომელიც არსებობდა მემამულის მეურნეობისა და მისი გლეხის მეურნეობის შორის, საბოლოოდ იქნა გადაწყვეტილი. შემდეგ, — პირველი და მესამე კატეგორიის მიწები გამოცხადებულ იქნენ მემამულეთა' განსაკუთრებულ საკუთრებათ და დატოვებულ იქნენ მარტოოდენ მათ სარგებლობაში.

გლეხებს უკვე აღარ შეეძლოთ ესარგებლათ, როგორც ეს იყო ბატონ-ყმობის დროს, არც ტყით, არც სათიბით, არც საძოვრით და არც წყლებით. რაც შეეხება მეორე კატეგორიის მიწებს, ე. ი. იმ მიწებს, რომელნიც ბატონ-ყმობის დროს

იყვნენ დატოვებულნი გლეხობის სარგებლობაში, ეს მიწებიც კი თებერვლის 19-ს დებულებით გამოცხადებულ იყვნენ მემამულეთა საკუთრებათ, მაგრამ ერთგვარი შეზღუდვით: ეს მიწები დატოვებულ იქნა გლეხობის სარგებლობაში და ამ უკანასკნელთ მიეცათ უფლება გამოესყიდათ იგი განსაზღვრულ ფასებში ან განსაზღვრული ბეგარის მიხედვით. მემამულეს უკვე აღარ შეეძლო თავისი სურვილისამებრ მოეხმარა არც გლეხის მამული და არც მათთვის გადაცემული სახნავ-სათესი. მისი საკუთრების უფლება ხორციელდება მხოლოდ იმ სასყიდელის მიღებით. რომელსაც იგი იღებდა გლეხისაგან მიწით სარგებლობისათვის.

ძალიან დიდი მუშაობის გაწევა დასჭირდათ დებულების შემდგენელთ გლეხთა მიწის ნორმების განსაზღვრისათვის. რასაკვირველია, ბატონ-ყმობის რეფორმის მეთაურნი უმთავრესად ზრუნავდენ იმის შესახებ, რომ მემამულეთა მიწადმფლობელობა არსებითად და მნიშვნელოვანად არ შემცირებულიყო. ამ მოსაზრებით ისინი ასეთი მიწების ერთ ნორმას ღებულობდენ მრავალ-მიწებიანი, დიდ-ველებიანი გუბერნიებისათვის: ველიკორუსების. მალოროსების და ბელოროსების გუბერნიებისათვის დაწესებული იყო ორგვარი ნორმა: უმაღლესი. რომელიც უფლებას აძლევდა მემამულეს ჩამოეჭრა ნაკერი მიწისა თავის სასარგებლოდ. და უმდაბლესი. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში მემამულეს უფლება ეძლეოდა დაეტოვებია თავის სარგებლობაში $^1/_3$ (ხოლო დიდ-ველებიან გუბერნიებში კი — $^1/_2$) მთელი სახნავ-სათესი და გამოსადეგი მიწებისა, რის გამოც გლეხობისათვის მისაცემი მიწის ნორმა კიდევ უფრო მცირდებოდა.

მიწის ასეთი ნორმების სარგებლობა ქმნიდა მემამულისა და გლეხის შორის განსაკუთრებულ სავალდებულო საადგილ-მამულო ურთიერთობას, რასაც ბოლო ეღებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გლეხი შეიძენდა საკუთრად მისთვის მოზომილ მიწის ნორმას. რისთვისაც. აგრეთვე, საჭირო იყო მემამულის თანხმობა. გარდა გამოყიდვისა, თებერვლის 19-ს დებულებამ შემოიღო კიდევ ერთი წესი ამ სავალდებულო ურთიერთობათა მოსასპობად. — სახელდობრ, — გლეხებთან ნებაყოფლობითი შეთანხმებით — მემამულეებს შეეძლოთ ეჩუქებიათ გლეხთა საზოგადოებისათვის თავისი მიწების ნაწილი. საკარ-მიდამო მიწებითურთ. იმ ანგარიშებით, რომ ეს ნაჩუქარი (ხალხში ამას ეძახოდენ „ობოლთა“, „სამათხოვრო“ ნაკერს) მიწა არ ყოფილიყო უმაღლესი ხარისხის მიწების ერთიმეორეზედ მეტი. როგორც ვიცით, სავალდებულო საადგილ-მამულო ურთიერთობათა მოსპობის ამ წესს მოჰქონდა მეტად სამწუხარო შედეგები გლეხებისათვის. რომელნიც შეაცდინა ასეთი „სამათხოვრო“ ნაკერების მიღებამ.

ზევით იყო ნათქვამი. რომ გუბერნიების უმრავლესობისათვის დაწესებული იყო მიწის ნორმა: უმაღლესი და უმდაბლესი. უმაღლესი ნორმა უფლებას აძლევდა მემამულეს ჩამოეჭრა თავის სასარგებლოდ იმ მიწების ნაწილი, რომელიც წინად იმყოფებოდა გლეხის სარგებლობაში. ამ ჩამონაჭრების სიდიდის შესახებ. რაც მეტად ხელს უწყობდა გლეხებისათვის გადასაცემი მიწის ნორმის დიდათ შემცირებას. — შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც შეეხებიან ევროპიულ რუსეთის 36 გუბერნიას. ლოსიცკის გამოანგარიშებით, ბატონ-ყმობის საბოლოო ლიკვიდაციის დროს, იმ მიწებიდან, რომელნიც იმყოფებოდენ გლეხობის სარგებლობაში, ჩამოჭრილ იქნა არა ნოყიერ მი-

წებიან გუბერნიებში (15 გუბერ.) — 1.437.000 დესეტინა, ანუ 9,9% იმ მიწებისა, რომელნიც იმყოფებოდენ გლეხობის სარგებლობაში 1860 წლამდე, ხოლო ნოყიერ მიწებიან გუბერნიებში (2 გუბერნ.) 3.825.000 დესეტინა, ანუ მთელი მიწების 26,2%.

„ამრიგად, იმ რაიონებში, სადაც მიწადმოქმედება წარმოადგენდა გლეხობის თითქმის ერთად-ერთ ხელობას, გლეხობას ჩამოუჭრეს¼ მეტი იმ მიწებისა, რომელიც მათ განკარგულებაში იყო ბატონ-ყმობის დროს. ცალკე რაიონებში კიდევ უფრო მეტი მიწები ჩამოსჭრეს: მაგალითად — პოვოლოჟიეში — 34,4%, მალოროსიაში — 31,6% ნოვოროსიაში — 30%“ (ბ. მასლოვი).

ამრიგად მემამულეებმა შეინარჩუნეს თითქმის ყველაფერი. მათ წაართვეს მხოლოდ ერთი რამ, — გლეხების სავალდებულო შრომა, რომელმაც ბატონ-ყმობის გაუქმების დროსათვის, როგორც ეს ჩვენ ზევით გამოვარკვიეთ, თითქმის უკვე დაკარგა თავის ღირებულება.

მაგრამ ჩქარა გამოირკვა, რომ მემამულეებმა ამ მხრითაც ცოტა რამ დაჰკარგეს. გლეხის პიროვნებაზე უფლებების დაკარგვა (როგორც ამას კიდევაც წინასწარ ხედავდენ ბევრი მემამულენი) მემამულეებს ორგვარად აუნაზღაურდათ. ერთის მხრით, მემამულეთა მიწებზე საიჯარო ფასების სწრაფი ზრდით, ხოლო მეორეს მხრით, მაღალი გამოსასყიდი გადასახადით. ცნობილია, რომ გამოსასყიდი გადასახადები არ შეეფერებოდენ გლეხების მიწების არც ღირებულებასა და არც შემოსავლიანობას. „გადასახადის რაოდენობის განსაზღვრის დროს, — ამბობს პროფეს. ხოდსკი, — რომელიც დაედვა საფუძვლად გამოსასყიდი თნახის განსაზღვრას, მხედველობაში იყო მიღებული მიწების არა მარტო შედარებითი თვისებები და შემოსავლიანობა, არამედ გლეხების სხვა გარეშე სამუშაოებიც. ამის გამო, გამოყიდვის დროს, ფაქტიურად გამოიყიდიდდენ ხოლმე არა მარტო მიწას, არამედ ყმების უფლებასაც.

ეს არის თებერვლის 19-ს დებულების ერთი შავ-ბნელი მხარეთაგანი, რაც წარმოადგენს კანონმდებელის დიდ დათმობას ბატონ-ყმობის სულის წინაშე. ეს მხარე ჯერ კიდევ პროფეს. ხოდსკიმდე გამოარკვია დ. ფ. სამარინმა, რომელიც იყო ერთი მოწინააღმდეგეთაგანი გლეხების განთავისუფლებისა თვით რეფორმის შემდეგაც.

იგი პირდაპირ ამტკიცებდა, რომ (1860 წელში) „გამოსყიდვის ოპერაცია არასდროს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყიდვა მარტოოდენ მიწისა, არამედ იგი გამოყიდვა იმ ბეგარისა, რომელიც ნაწილობრივ ვრცელდებოდა მიწაზე და ნაწილობრივ პიროვნებაზე“.

რაც შეეხება გლეხების მიერ თავისი მიწების სრულ საკუთრებათ გამოყიდვას, ეს მეტად ბრკოლდებოდა განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც მემამულენი არ თანხმდებოდენ გამოსყიდვის გარიგებაზე, რადგან იგი საზარალოდ მიაჩნდათ თავისთვის. 15-20 წლის შემდეგ გამოირკვა, რომ „დროებით ვალდებული“ გლეხების მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი იყო, ხოლო დროებით-სავალდებულო ურთიერთობანი ბევრგან იმუქრებოდენ გადაქცეულიყვენ მუდმივ-სავალდებულო ურთიერთობათ. გლეხების მეურნეობის ერთი საუკეთესო ობიექტიური მკვლევართაგანი — პროფ. იანსონი ჯერ კიდევ 1877 წელში სწერდა: „გამო-

ვიკვლიეთ ჩვენი გლეხობის მდგომარეობა, ჩვენ ყველგან ვნახეთ მასში მეურნეობის ყოფა-ცხოვრების სასტიკად უზრუნველობა, განსაკუთრებით მის იმ ნაწილებში, რომელსაც 1861 წლის დიადი აქტით უნდა გამოეწვია თავისუფალი შრომის კეთილდღეობა და აყვავება".

ამავე დროს განთავისუფლებული გლეხების ბეგარა და ყოველგვარი გადასახადები მათი მეურნეობის შემოსავალთან შედარებით — მეტად დიდი და აუტანელი იყვნენ. „ყოფილ მემამულეთა" გლეხების მატერიალური მდგომარეობა სწრაფად უარესდებოდა და ეს იმდენათ აშკარა შეიქნა, რომ მთავრობამ საჭიროთ სცნო გამოეცა ახალი კანონი (1881 წ.), რომლის ძალითაც გლეხების მიწების ნორმის გამოყიდვა მოხდა სავალდებულო თვით გამოსასყიდი თანხის შემცირებასთან ერთად.

მაგრამ მდგომარეობა იმდენათ მძიმე იყო, რომ 1881 წლის კანონს არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია. იმ დროინდელი გამოანგარიშებით გამოსყიდვის ოპერაცია უნდა დასრულებულიყო მხოლოდ 1932 წელს. მაგრამ როგორც ვიცით 1905 წ. ნოემბრის 3-ს მანიფესტით გამოსასყიდი თანხები 1906 წლიდან სანახევროდ იქნენ შემცირებულნი, ხოლო შემდგომი 1907 წლიდან სავსებით მოსპობილნი. ამასთანავე ხელ-ახლა აცხადებდენ, რომ გამოსასყიდი გადასახადის შეტანა დასრულდებოდა არა უგვიანეს 1931 წლისა. ზოგიერთი ავტორების გამოანგარიშებით, უწყების მიერ შედგენილ გამოსასყიდი ოპერაციის ფინანსიურ ანგარიშებში მომავალი დიდი შეცდომები იყო. ის თანხა, რომელიც მემამულეებ. უნდა მიეღოთ თავის გლეხებისაგან გამოსასყიდი თანხების სახით, უდრიდა 897 მილიონ მანეთს. როგორც ვიცით, ამ ვალის გადახდა იკისრა სახელმწიფომ, რომელმაც დააკმაყოფილა მემამულენი პროცენტიანი ქაღალდების გამოშვებით. დაწვრილებითი ანგარიში კი გვიჩვენებს, რომ 44 წლის (1861 — 1905 წ. წ.) განმავლობაში ყოფილმა მემამულეთა გლეხებმა შეიტანეს ხაზინაში 1.570 მილიონი მანეთი. ამ თანხიდან 447 მილ. მანეთი წავიდა თავად-აზნაურობის საიპოტეკო ვალის დასაფარავად, რომელიც გადაიტანეს გლეხობაზე. დანარჩენი 1.123 მილ. მან. მოხმარდა: 578 მილ. დარჩენილი ვალის დაფარვას, 18 მილ. მან. სხვადასხვა ხარჯებს სესხისას, 15 მილიონი საქმის წარმოებას და 2 მილიონიც წმინდა მოგება. ამრიგად, თანახმად ამ ანგარიშისა, 1906 წლისათვის გლეხობის ყველა ვალდებულებანი გამოსასყიდი გადასახადების მიმართ თითქმის შესრულებული იყო მათ მიერ. რასაკვირველია ამ ანგარიშს დეტალური შემოწმება ესაჭიროება.

მაგრამ ზოგიერთი კატეგორიის გლეხებს თებერვლის 19-ს დებულებით სრულებით არ მიეღიათ მიწის ნორმა, ან და მიიღეს იგი მეტად პატარა რაოდენობისა; ესენი იყვნენ — შინა-მოსამსახურენი და პატარა მემამულეთა ყმები. რეფორმის წინა ხანებში პირველთა რიცხვი უდრიდა 750 ათას სარეევიზიო სულს; მათ ეძლეოდათ პირადი უფლებები და არა მიწის ნორმებით სარგებლობის უფლება, ვინაიდან თუ ამ კატეგორიის გლეხებსაც მიეცემოდა მიწები, მაშინ საგრძნობლად შემცირდებოდა მიწის ის ფონდი, რომელიც რჩებოდა მემამულეთა უშუალო განკარგულებაში და კანონმდებლებმა უარი სთქვეს ამ ნაბიჯზე. არ დაივიწყეს მცირე მიწაწყლიანი მემამულენიც, რომელნიც რეფორმის წყალობით ჰკარგავდენ უფასო შრომას. ხაზინამ მათ მისცა დაახლოვებით 5 მილიონი მანეთი

დანაკლისის ასანაზღაურებლათ (იმის დასამტკიცებლად, რომ გამოსასყიდი ოპერაციები არ წარმოადგენდენ მარტო მიწების გამოსყიდვას, არამედ ბეგარის გამოყიდვასაც, როგორც ამას სამარანი ამტკიცებდა).

საერთოდ გლეხების მიწის ნორმების სიმცირე ამჟამად საკმაოდ არის გამორკვეული. პროფ. ხოდსკის გამოანგარიშებით ევროპის რუსეთის 49 გუბერნიაში 39,7% და არა საკმაოდ 27,7%. მაგრამ თუ ცალკე გამოვყოფთ ყოფილ მემამულეთა გლეხებს, მაშინ ცოტა სხვაგვარ სურათს მივიღებთ: სახელდობრ: გლეხების ამ კატეგორიიდან, 10.608 ათასი სულიდან გულუხვათ მიწა მიეცა მხოლოდ 13,9%, საკმაოდ 43,5% და არა საკმაოდ 42,6%. შემდეგ, იგივე ავტორი უფარდებს ერთი დესეტინა მიწის გამოსასყიდ თანხას გლეხობის ამ ორ ჯგუფს ევროპის რუსეთის 37 გუბერნიაში და შემდეგ დასკვნამდე მიდის: საშუალო გამოსასყიდი თანხა ერთი დესეტინა მიწისა უდრიდა დაყოფილ სახელმწიფო გლეხებისათვის 83 კაპ., ე. ი. ამ უკანასკნელთათვის იყო 48 კაპ. მეტი, ანუ 57,8% მეტი.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. 1872 წელს შეკრებილი ცნობებიდან სჩანს, რომ კერძო მფლობელთა მიწაზე მოდიოდა საშუალოდ 14½ კაპიკზე ნაკლები სხვადასხვა გადასახადი ერთ დესეტინა მიწაზე, ხოლო გლეხების მიწებზე კი 95½ კაპიკზე მეტი. იმავე ცნობების მიხედვით გამოანგარიშებული იყო, რომ რეფორმის შემდეგ ყოფილ სახელმწიფო და საუფლისწულო გლეხების გადასახადები შეადგენდენ მამულების წმინდა შემოსავლის 92,75%, ხოლო ყოფილ მემამულეთა გლეხების კი — 198,25%; ამასთანავე ცალკე მეურნეთათვის ეს ურთიერთობანი მეტად მძაფრად იცვლებოდენ და ხშირად უჩვეულო რაოდენობას აღწევდენ.

ცხადია, რომ მარტო ამ მიწებით გლეხები ვერ იარსებებდენ და ვერ შესძლებდენ აღესრულებიათ ყველა ის ვალდებულებანი მემამულეთა და სახელმწიფოს მიმართ, რომელთაც მათ აკისრებდა რეფორმა. ეს მცირე ნაკრები მიწისა, მაშინ, როდესაც რუსეთში მეტად დაბალ დონეზე იდგა სასოფლო-სამეურნეო კულტურა და თვით გლეხობაში უვიცობა და უმეცრება სუფევდა, უზრუნველყოფდენ მამულების მფლობელთათვის იაფფასიან სამუშაო ხელს და ამასთანავე მეტად დიდ საიჯაროთ ფასებს მემამულეთა მიწებისათვის.

და გლეხებმა ისევ მიაშურეს მემამულეთა მიწებს, როგორც ამას წინასწარმეტყველდა ჯერ კიდევ თავ. დრუცკი — სოკოლინსკი (იხ. ზევით).

თანდათან გამწვავებულმა მოთხოვნილებამ კერძო მემამულეთა, საუფლისწულო და სახელმწიფო მიწებზე გამოიწვია უჩვეულო ზრდა საიჯარო ფასებისა. ჯერ კიდევ გასულის საუკუნის მე-80 წლების დასაწყისში, ე. ი. 20 წლის შემდეგ რეფორმის გამოცხადებისა, — კარიშევის გამოანგარიშებით, ევროპის რუსეთის 90 გუბერნიაში, ყოფილ მემამულეთა გლეხების 600 ათასი მეურნეობის საერთო რიცხვიდან, იჯარით მიწას ამუშავებდა 323 მეურნე, ე. ი. 55%. მაგრამ დროთა მსვლეობაში მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდებოდა, დაიწყო „მიწის სიმშილი“ და ამავე დროს გლეხურმა იჯარამ მიიღო წმინდა მონური, ჩარჩული ხასიათი, წინანდელი ბატონ-ყმური დაღის ყველა ატრიბუტებით. ფულადი იჯარასთან ერთად, გლეხური მეურნეობის თანდათანობით გაუარესების გამო, თან-

დათან განვითარდა იჯარა ნატურით, რომელსაც მიეცა იჯარის ყველაზე ცუდი სახე. გარდა იმისა, რომ ასეთი სახის იჯარა ყოველთვის უფრო მძიმეა და აუტანელი ფულად იჯარაზე, იგი ამაგრებს გლეხს მიწის იმ ნაჭერზე, რომელსაც იგი იჯარით იღებს. მაგრამ სამაგიეროთ იჯარის ეს ფორმა ყველაზე მეტად გამოსადეგია რენტიერისათვის — მიწათმფლობელისათვის. ნატურალური იჯარა უმთავრესად უღარიბესი გლეხობის შორის არსებობდა.

„ასეთი ნატურალური იჯარის წყალობით", — ამბობს ერთი ავტორი — მოიჯარადრე გლეხები ვერასდროს ვერ თავისუფლდებიან ადგილობრივი მიწადმფლობელობის ვალებისაგან და რადგანაც მისგან ასეთ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, იძულებულნი არიან დასთანხმდენ ყოველგვარ სამუშაოზე". ამრიგად, იჯარით აღებული მიწა წარმოადგენს იმ იარაღს, რომლის მეოხებითაც თავისუფალი მიწადმომქმედი ფაქტიურად იქცევა მებატონის მუშად. მებატონისათვის ასეთ იჯარას კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ იაფფასიან მუშებთან ერთად იგი იღებს აგრეთვე გლეხის ინვენტარსაც. გლეხების დამონება ზოგან იქამდისაც კი მიდის, რომ გლეხები იძულებული ხდებიან თავი მიანებონ თავის მიწებს, რომ იმუშაონ მიწადმფლობელთათვის.

ყოველივე ზემონათქვამიდან ცხადია, რომ 1861 წლის რეფორმამ მხოლოდ სანახევროდ გადასჭრა გლეხთა საკითხი. ეკონომიურის მხრით მან გამოიწვია გლეხის მეურნეობის გამოფიტვა, მიწის სიმშილი, ბატონ-ყმობის საშინელების დაბრუნება და, დასასრულ, კრიზისი, რომელიც გადაიქცა გლეხურ მოძრაობად ჯერ 1902 წელსა და შემდეგ 1905-6 წლებში. ამის შემდეგ დაწყებულმა მთავრობის აგრარულმა რეფორმამ ახალი გართულება შეიტანა გლეხთა წრეებში. ყოველ შემთხვევაში, დიადი საგლეხო რეფორმა მოითხოვს თავის დასრულებას. მისი ღრმა სოციალური მნიშვნელობა საესებით უნდა შეეფარდოს მის ეკონომიურ საფუძვლებს.

**გაზეთი: „ასტრახანსკი ლისტოკი"**
**1911 წლის 19 თებერვალი.**
**№ 40.**

# ნაწილი მეოთხე

# მოხსენება აგრარული საკითხის შესახებ[29])

(ნაწყვეტები)

ერთად-ერთი მამოძრავებელი ძალა რუსეთის დიდი რევოლიუციისა, რომელიც ხდება საერთაშორისო კაპიტალიზმის უაღრესად განვითარებისა და კლასიური ბრძოლის გამწვავების ხანაში და კაპიტალისტთა და მემამულეთა მტაცებლურ-უაჩაღური მისწრაფებით გამოწვეული იმპერიალისტური ომის პირობებში, — არის პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა.

მხოლოდ ეს ორი კლასია ყველაზე მეტად დაინტერესებული, რომ საბოლოოდ მოისპოს მეფის თვითმპყრობელობის ნაშთები, განვითარდეს და გაღრმავდეს რევოლიუცია, დამყარდეს ხალხის ძალა-უფლება და დაიმსხვრეს კაპიტალიზმის მძიმე უღელი.

აგრარული საკითხი არის ერთი ძირითადი საკითხთაგანი თანამედროვე მომენტისა, რომლის გადაწყვეტაზე თითქმის სავსებით დამოკიდებულია რევოლიუციის ბედიღბალი.

როგორც ცარიზმის დამხობა იყო შედეგი მუშათა აჯანყებისა, რომელსაც მხარი დაუჭირა მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარმა რევოლიუციონურმა არმიამ, ისე აგრარული საკითხის გადაწყვეტაც რუსეთში წარმოუდგენელია გარეშე გლეხური რევოლიუციისა, რომლის ხელმძღვანელიც იქნება პროლეტარიატი.

აგრარული საკითხი დასმულია დღიურ წესრიგში ჯერ კიდევ 1861 წ. ეგრედ წოდებული საგლეხო რეფორმის დროიდან, მაგრამ იგი განსაკუთრებით გამწვავდა ამ უკანასკნელ ათეულ წლებში; ამას მოწმობს გლეხთა გახშირებული „ბუნტები“ და აშკარა აჯანყებანი, რომელთა ჩასაქრობად მთავრობა მიმართავდა ხოლმე დრაკონისებურ და სასტიკ ზომებს.

ეს ჩაქრობა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ გლეხთა მოძრაობა პირველ ხანებში თითქმის სრულიად არ იყო დაკავშირებული ქალაქის მუშათა მოძრაობასთან; თვით მუშათა მოძრაობა კი იმ დროს მხოლოდ ისახებოდა, იგი იმდენად სუსტი იყო, რომ არ შეეძლო ხელმძღვანელობა გაეწია გლეხთა მოძრაობისათვის.

მაგრამ პეტროგრადის პროლეტარიატის მედგარმა იერიშმა მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, ძირიან-ფესვიანათ შესცვალა ძალთა განწყობილება და შეჰქმნა რუსეთში ფრიად ხელსაყრელი პირობები საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის.

აგრარული საკითხის გადაწყვეტა საერთოდ რუსეთში და კერძოთ კავკასიაში, გულისხმობს ბატონყმობის ყველა ნაშთის აღმოფხვრას, წოდებათა გაუქმებას და პირველ რიგში, მემამულეთა მიწადმფლობელობისა და მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას.

ჩვენ ვდგევართ იმ რეზოლიუციის [30]) თვალსაზრისზე, რომელიც აგრარული საკითხის შესახებ მიიღო ჩვენმა პარტიულმა კონფერენციამ აპრილში [31]) და ვამბობთ:

1) მიწის ნაციონალიზაცია უდიდესი რევოლიუციის ხანაში, როგორიც კი ოდესმე განუცდია მსოფლიოს, არის უმეტესად რევოლიუციური ნაბიჯი, რომელიც საბოლოოდ მოსპობს ბატონყმობის დროიდან მომდინარე ყველა ურთიერთობას და დამოკიდებულებას, რაც აუტანელ პირობებს ქმნიდა მიწადმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სფეროში და ამიტომ ეს ნაბიჯი არის ერთადერთი სწორი საშუალება რუსეთში მიწის საკითხის გადასაწყვეტად;

2) მიწის ნაციონალიზაცია სრულიად არ წარმოადგენს სოციალისტურ ღონისძიებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი, როგორც გაუქმება კერძო საკუთრებისა წარმოების ერთ-ერთ მძლე იარაღზე — მიწაზე, სინამდვილეში მახვილს სცემს კერძო საკუთრებას წარმოების ყველა საშუალებაზე, საერთოდ და ამიტომ პროლეტარიატის პარტია მოვალეა ყოველნაირად ხელი-შეუწყოს ამ მოთხოვნის განხორციელებას.

ერთად-ერთ გარანტიად ასეთი ცვლილებისა შეიძლება იყოს მხოლოდ მთელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების სრული დემოკრატიზაცია, მოსპობა პოლიციისა, მუდმივი ჯარისა და პრივილეგიანი მოხელეობისა, ერთის მხრით, და საყოველთაო სახალხო შეიარაღებისა და მოხელეთა ამორჩევისა და გადაყენების შემოღება, მეორეს მხრით.

ყრილობა [32]) ადასტურებს, რომ 7 თვის განმავლობაში დროებით მთავრობას არ გადაუდგამს არავითარი ნაბიჯი და არაფერი არ გაუკეთებია იმ მძიმე და აუტანელი მდგომარეობის მოსაგვარებლად, რომელშიც იმყოფება რუსეთის გლეხობის დიდი უმრავლესობა, რომ, პირიქით, დროებითი მთავრობა ყოვალნაირად ებრძოდა და ებრძვის გლეხთა მოძრაობას, რომელიც მიზნათ ისახავს — რევოლიუციური გზით განახორციელოს გლეხობის სანატრელი ოცნებანი, უმთავრესად კი დაუყოვნებლივ დაიპყროს მემამულეთა მიწები და გადასცეს იგი გლეხთა კომიტეტებს; რომ დროებითი მთავრობა, ყველა შემადგენლობისა, მემამულეთა და მიწადმფლობელთა გულის გასახარად ჰკვეებავდა გლეხობას მხოლოდ ცარიელი დაპირებებით, ნამდვილად კი მონური მიწადმფლობელობითი ურთიერთობის შენარჩუნებისათვის აწარმოებდა მასთან ნამდვილ ომს ხან ცირკულიარებითა და ხან დამსჯელი ექსპედიციების საშუალებით; რომ პარტია, მენშევიკებისა და ესერებისა, რომელთაც ბურჟუაზიულ მთავრობაში ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები და ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციაში უკანასკნელ დრომდე უმრავლესობას შეადგენდენ, ნდობას უცხადებდენ და მხარს უჭერდნენ კაპიტალისტთა და მემამულეთა მთავრობას და, ატყუებდენ გლეხობას; რომ კერძოთ, ესერების პარტია, თავს აფარებს „მიწის და თავისუფლების“ ლოზუნგებს, თავს აფარებს მიწის „სოციალიზაციას“, სინამდვილეში კი იცავს მხოლოდ ბურჟუაზიული გლეხობის, სტოლიპინის [33]) მსხვილი გლეხობის ინტერესებს და არა ღარიბი გლეხობის ინტერესებს.

გაზეთი: „კავკასკი რაბოჩი“,
1917 წლის 15 ოქტომბერი, № 174.

# ამიერ-კავკასიის კომისარიატი და მიწის საკითხი

ამიერ-კავკასიის კომისარიატი, როგორც წინეთ, ისე ახლაც, ბლოკია ერთი მხრით ბურჟუაზიისა და მემამულეებს შორს და მეორე მხრით რევოლიუციის მოღალატეებსა და რენეგატებს, ე. ი. მენშევიკებსა და მემარჯვენე ესერებს შორის.

სახალხო რევოლიუცია, რომლმაც თბერვალში იფეთქა, როდი ნიშნავდა ნიკოლოზ მეორის ტახტიდან ჩამოგდებას. რევოლიუციის მთავარი აზრი და მნიშვნელობა ბუარჟუაზიის და მემამულეების სრულ ალაგმვაში მდგომარეობდა. რევოლიუცია ნიშნავდა მუშა-ხალხის ყველა არსებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, უწინარეს ყოვლისა ყველა მიწების გლეხების ხელში გადაცემას. ღარიბი გლეხკაცობა მართლაც ასე უყურებდა რევოლიუციას, და მარ ამ განზრახვით რევოლიუციის პირველ ხანებშივე შეუდგა პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ჩქარა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს სათავეში მოექცა ჯერ წმინდა ბურჟუაზიული მთავრობა, ე. ი. მთავრობა შემდგარი კაპიტალისტებისა და მემამულეებისაგან (თავადი ლვოვები [24]) და მილიუკოვები [25]), შემდეგ იგივე მთავრობა მხოლოდ კოალიციის სახით, რომელშიაც შედიოდენ ერთი მხრით კაპიტალისტები და მემამულეები და მეორე მხრით მენშევიკები და მემარჯვენე ესერები. ეს მთავრობა მუშების და გლეხების წინააღმდეგი იყო; კიდევ მეტი, ის წინააღმდეგი იყო თვით რევოლიუციის, თუმცა სიტყვა „რევოლიუცია“ მას წამდაუწუმ ენაზე ეკერა. იგი ლაგამს დებდა როგორც მუშებს, ისე გლეხებს. კერძოთ გლეხებს კოალიციონური მთავრობა გაჩუმებას და დაწყნარებას ურჩევდა და თან პირდებოდა, რომ მიწის საკითხს გადაჭრის დამფუძნებელი კრება, ამიტომ გლეხები ვალდებული არიან დამფუძნებელი კრების მოწვევას დაუცადონ, მანამ კი ისინი ისევ მემამულეების კლანჭებში უნდა დარჩენ, ე. ი. სოფელში უნდა გაგრძელდეს ისეთივე ურთიერთობა მიწის შესახებ, რომელიც რევოლიუციამდე არსებობდა.

კაპიტალისტებს და მემამულეებს მენშევიკებმა და ესერებმა ძალიან გაუადვილეს თავიანთ განზრახვის შესრულება: გლეხობამ დაუჯერა მენშევიკებს და ესერების სიტყვებს, რევოლიუციონური გზით მიწების დატაცებას ხელი შეუშვა და დაუწყო ლოდინი დამფუძნებელი კრების მოწვევას. მაგრამ ბურჟუაზია ჯერ ამაზე სრულებით არ ფიქრობდა. იყო მხოლოდ ერთად-ერთი პარტია, რომელიც იმ თავიდანვე ურჩევდა გლეხებს მიწების რევოლიუციონური გზით ხელში ჩაგდებას დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. ეს იყო სოც.-დემოკრატ [26])-ბოლშევიკების პარტია. ბოლშევიკები სამართლიანად ამბობდენ, რომ კაპიტალისტების და მემამულეების მთავრობა გლეხებს მიწებს არ მისცემს, ის მხოლოდ ატყუი-

ლებს გლეხებს, ვინაიდან იმათ მხოლოდ დროს მოგება სწადიათ, რომ როგორმე ბოლო მოუღონ თვით რევოლიუციას.

ბოლშევიკების სიტყვები საესებით გამართლდა. ხალხი დატყუილებული დარჩა. მაგრამ იგი ჩქარა მოვიდა გონს. თავისი საბჭოების საშუალებით მან გარეკა მთავრობიდან ყველა მატყუარები და მოღალატენი და იმათ ადგილზე დასვა ისინი, ვინც მართლა საქმით და არა სიტყვით იცავს ხალხის ინტერესებს. ეს ზოხდა პეტროგრადში 25 ოქტომბერს, როცა იქ დაარსდა მუშების და გლეხების მთავრობა, რომლის ერთი უპირველეს ნაბიჯთაგანი იყო დეკრეტი მიწის შესახებ. [97]) ამ დეკრეტმა სამუდამოთ გააუქმა რუსეთში კერძო საკუთრება მიწაზე. ეს უკანასკნელი ამიერიდან შეადგენს მთელი ხალხის საკუთრებას. საბოლოოთ მიწის საკითხს გადასწყვეტს დამფუძნებელი კრება, მაგრამ ფაქტიურად ამ საკითხს სწყვეტს დღეს პირდაპირ თვით გლეხობა. ასეთი მდგომარეობაა დღეს რუსეთში.

რას ვხედავთ ჩვენ კურთხეულ ამიერ-კავკასიაში?

სამწუხაროთ, აქ ჯერ სანუგეშო არაფერი სჩანს. ხალხი ჯერ კიდევ ვერ მოსულა გონს; მუშები და გლეხები თავის უმეტესობაში ჯერ კიდევ მისდევენ კუდში მენშევიკებს, მემარჯვენე ესერებს და სხვა ნაციონალისტურ და ბურჟუაზიულ პარტიებს. ამიტომ მოხდა ის, რომ დამარცხებულნი და გაკოტრებულნი რევოლიუციის სათავეში, პეტროგრადში, მოსკოვში და საზოგადოთ მთელ რუსეთში. მენშევიკები და მემარჯვენე ესერები ნაციონალისტურ ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან ერთად ჩრდილოეთ და სამხრთ კავკასიაში აცხადებენ თავის თავს დამოუკიდებლად რუსეთის რევოლიუციონური ცენტრებიდან. ისინი არ ცნობენ მუშების და გლეხების მთავრობას იმიტომ, რომ მათ არ უნდოდათ და არც დღეს უნდათ მისცენ გლეხებს მიწა, ქვეყანას ზავი და პური. აი რისთვის გადაუდგენ ისინი რევოლიუციონურ რუსეთს და შექმნეს თავისი მთავრობები. დღეს ამიერ-კავკასიაში მენშევიკები და ესერები კაპიტალისტებთან და მემამულეებთან ერთად თვლიან თავის თავს გამარჯვებულებათ. მაგრამ ისინი კარგათ გრძნობენ, რომ იმათი მდგომარეობა მეტად უიმედოა. როგორც იცით, მენშევიკებს და ესერებს თავიანთი თავი რევოლიუციონერებათ მოაქვთ და გლეხობას მიწას პირდებიან. იმათ იციან, რომ რამდენიც არ უნდა იცრუონ, ხალხს ვერ დაუმალავენ იმას, რომ რუსეთის გლეხობამ მიწა უკვე მიიღო უსასყიდლოთ. რა უნდა ქნან ასეთ პირობებში აქ, ამიერ-კავკასიაში, მენშევიკებმა და ესერებმა! — აშკარაა, რომ მარტო სიტყვებით მენშევიკები და ესერები ხალხს ახლა ვერ დაკმაყოფილებენ, საჭიროა სიტყვებიდან საქმეზე გადასვლა, და აი სად არის იმათი გასაჭირი. სანამ მარტო სიტყვებით შეიძლებოდა ფონს განსვლა ისინი რევოლიუციონერებიც იყვენ და სოციალისტებიც, მაგრამ როცა საქმე შეიქნა აუცილებელი, მაშინ აშკარათ გამოჩნდა იმათი მოღალატეობა როგორც რევოლიუციის, ისე ხალხის წინაშე.

ამიერ-კავკასიის კომისარების სულის ჩამდგმელებმა, მენშევიკებმა და ესერებმა დღიდან ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის გამოცხადებისა, ყურები გამოგვიქედეს იმით, რომ ეს ამიერ-კავკასიის მთავრობა ბ-ნ გეგეჭკორის მეთაურობით ამ დღეებში გამოსცემს დეკრეტს მიწის შესახებო. მას შემდეგ

გავიდა ხუთ კვირაზე მეტი, და ეს დეკრეტი ჯერ არსად სჩანს. მართალია მენშევიკების და ესერების გაზეთებში თითქმის ყოველდღე ამოიკითხავთ ხოლმე, რომ მემარჯვენე ესერმა ნერუჩევმა [98]) უკვე შეიმუშავა და შეადგინა მიწის შესახებ დეკრეტი, რომელიც ამ დღეებში უნდა გამოქვეყნდესო. ასეთი დაპირებებით კვებავენ ჩვენი მენშევიკები და ესერები გლეხობას. რუსეთის გლეხობამ მიწა უკვე მიიღო საქმით, აქ კი მხოლოდ დაპირებით უმასპინძლდებიან გლეხებს. და რაც შეეხება საქმეს, ამ მხრით კარგათ მოქმედებს იმავე კომისარების საშინაო საქმეთა „მინისტრი" ჩხენკელი. [99]) იგი ცირკულიარებს უგზავნის მაზრების და სოფლის კომისარებს იმის შესახებ, რომ არამც და არამც გლეხებმა არ გაბედონ რევოლიუციონური გზით რაიმე ცვლილების მოხდენა არსებულ ურთიერთობაში; გლეხებმა მშვიდათ და წყნარად უნდა უყურონ, მანამ არ შეიკრიბება დამფუძნებელი კრება და არ გამოსცემს მიწის შესახებ კანონს. წარმოიდგინეთ, მანამ ჩხენკელის ცირკულიარების თანახმად ღალის შემცირებაც ვი არ შეუძლიათ გლეხებს თავისი ინიციატივით. ეს ქნებოდა თურმე რევოლიუციის დაღუპვა. ჩვენ კი გვეგონა, რომ ეს იქნებოდა მხოლოდ მემამულეების დაღუპვა და რევოლიუციის გამარჯვება.

ასეთია მენშევიკების და ესერების „საქმიანობა" და ამათი სიტყვები. ისინი სიტყვით ლაპარაკობენ და საქმით კი სულ სხვას აკეთებენ. ვინაიდან ისინი შეკავშირებული არიან ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან, აშკარაა იმათ არ ძალუძთ გლეხების და მუშების მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამიტომ ისინი იძულებული არიან საქმით კაპიტალისტებს და მემამულეებს ემსახურონ, იმათი საქმე აკეთონ, მუშები და გლეხები კი მხოლოდ სიტყვებით კვებონ. რათ გაუჭირდათ მაგ. ადგილობრივ მენშევიკებს და ესერებს მიწის დეკრეტის გამოცემა? აშკარაა, იმიტომ, რომ იმათ უნდათ, რომ როგორმე დაატყუილონ გლეხობა და იხსნან დაღუპვისაგან მემამულეები. ამას მოწმობს მთელი იმათი მოღვაწეობა წარსულში, ამასვე ამტკიცებს მთელი მათი ტაქტიკა აწმყოში. ჩვენ ვხდით იმათ მოღვაწეობას ფარდას. ჩვენ გვწამს, რომ იმათ მიერ დატყუილებული მუშები და გლეხები ჩქარა მოვლენ გონს და მოეპყრობიან იმათ ისე, როგორც დაიმსახურეს.

გაზეთი „ბრძოლა".
1917 წლის 16 დეკემბერი
№ 57.

# ესეც „დეკრეტია“

როგორც იქნა ველირსეთ და ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გამოაქვეყნა დიდი ხნის წინათ დანაპირები „დეკრეტი“ მიწის შესახებ. მას მეტად გრძელი სახელწოდება აქვს, სახელდობრ: „დებულება საადგილ-მამულო კომიტეტების ხელში სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მიწათმფლობელთა მიწების გადაცემის შესახებ“.

ჩვენ იმ თავითვე ვიცოდით და ვწინასწარმეტყველობდით კიდეც, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომელშიც მენშევიკებსა და მემარჯვენე ესერებთან ერთად შედიან ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურობის წარმომადგენლები, — არ შეუძლია გადასჭრას არც ერთი რევოლიუციის მიერ წამოყენებული ძირითადი საკითხი და, პირველ ყოვლსა, აგრარული საკითხი. ეხლახან გამოქვეყნებულმა „დებულებამ“ აშკარად გაამართლა ჩვენი მოლოდინი. პირველ ყოვლისა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს „დებულება“ გამოქვეყნებულია წინააღმდეგ სახალხო კომისართა საბჭოს [102]) დეკრეტისა მიწის შესახებ. როგორც ვიცით, სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტი გამოხატავს თვით ხალხის ნებისყოფას; იგი დამფუძნებელია გლეხობის 242 ნაკაზზე და თანახმად ამ ნაკაზებისა დეკრეტით სამუდამოთ გაუქმებულია რუსეთში კერძო საკუთრება მიწაზე და მთელი მიწა თვით გლეხების მიერ არჩეულ გლეხთა კომიტეტების სახით გადადის ხალხის სარგებლობაში. გარდა ამისა ყველა კერძო მიწათმფლობელთა და მემამულეების მიწები ეძლევა ხალხს ყოველგვარი გამოყიდვის გარეშე.

აი მთავარი დებულებანი მიწის შესახებ იმ მუშათა და გლეხთა მთავრობის გამოცემული დეკრეტისა, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ ემყარება მოსახლეობის დიდ უმრავლესობის ნებისყოფას.

ამავე დროს კი ეხლახან გამოცემული „დებულება“ ყველა იმ ძირითად საკითხებს დიპლომატიურად გვერდს უხვევს და სცდილობს როგორმე მიაფუჩეჩოს იგი. მაგრამ მახათი ჩანთაში არ დაიმალება. დებულება აშკარად და გარკვეულად მიუთითებს იმაზე, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატის მესვეურნი, გეგეკკორისა [103]) და კომპ. მეთაურობით, ამ „დებულების“ შედგენის დროს ბევრათ უფრო ზრუნავდენ მსხვილ მიწათმფლობელთა და მემამულეთა შესახებ, ვინამ ღარიბ-ღატაკი გლეხობის ინტერესების შესახებ. როგორც ცარიზმის დროს მემამულეთა და „ჩინოვნიკების“ მთავრობა ატყუილებდა ხალხს სხვადასხვაგვარი დაპირებებით და ნასუფრალის გადაყრით, სწორედ ისევე ეხლა ამავე ხერხს მიმართავს ამიერ-კავკასიის კომისარიატიც. ეს რომ ნათელი იქნეს, ჩვენ მიუთითებთ ამ ეხლახან გამოქვეყნებულ „დებულების“ ზოგიერთ მუხლებზე.

პირველ ყოვლისა ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ „დებულებაში“ ლაპარაკია მიწების არა ხალხის ან გლეხთა კომიტეტების ხელში გადასვლის შესახებ, არამედ საადგილ-მამულო კომიტეტების ხელში გადასვლის შესახებ. და ეს შემთხვევითი როდია. ამიერ-კავკასიის კომისარიატის „დებულება“ ხელუხლებლად სტოვებს კერძო საკუთრების უფლებას და ამ „წმინდათა-წმინდა“ ინსტიტუტის ხელის შეხებას ვერ ბედავს.

„დებულება“ არაფერს ამბობს თუ რას წარმოადგენენ თავის თავად ის საადგილ-მამულო კომიტეტები, რომელთაც ეძლევათ უფლება მიწის ფონდის განაწილებისა და განკარგულებისა. არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ ვინ ირჩევს ამ საადგილ-მამულო კომიტეტებს, ან ვისგან უნდა შესდგებოდენ ისინი?

ყველა ამ საკითხების შესახებ „დებულება“, ალბათ, განზრახ, არავითარ პასუხს არ იძლევა.

თავისთავად ცხადია, რომ ბ. ბ. გეგეჭკორებს, ნერუჩევებს და კომპანიას კარგათ ესმოდათ, რასაც სჩადიოდენ, როდესაც გვერდს უვლიდენ ასეთ მნიშვნელოვან საკითხებს. მათ იცოდენ, რასაც აკეთებდენ. მათ მხოლოდ სურდათ მოეტყუებინათ ხალხი, ვინაიდან ერთია ის გარემოება, როდესაც საადგილ-მამულო კომიტეტს ირჩევს თვით ხალხი, ლარიბ-ლატაკი გლეხობა და სულ სხვაა, როდესაც ამ კომიტეტებს ზევიდან ნიშნავენ, როგორც ალბათ კიდევაც განზრახული აქვთ. როგორც უნდა იქნეს განაწილებული მიწები, როგორი ნორმით, ან რა პირობებში, ყოველივე ეს თვით საადგილ-მამულო კომიტეტებმა უნდა შეიმუშაონ.

რომელი მიწები გადადის საადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში? ძირითადი, საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო და კერძო მიწათმფლობელთა მიწებიც. ცხადია, მთავარი ყურადღება აქ კერძო მიწათმფლობელთა მიწებს უნდა მიექცეს. როგორ ზომებს მიმართავს ამიერ-კავკასიის კომისარიატი ამ მიწების მიმართ? კონფისკაციას უშვებს თუ არა მათ ხალხის სასარგებლოთ, თუ ისევ სტოვებს მათ წინანდელ მესაკუთრეთა მფლობელობაში? „დებულება“ ამ საკითხის შესახებ იძლევა საკმაოდ ნათელ და გარკვეულ პასუხს. აი რას ვკითხულობთ ჩვენ პირველ პარაგრაფში: „ყველა სახაზინო და კერძო მიწათმფლობელთა მიწები, იმ განსაზღვრულ ნორმის ზევით, რომლის რაოდენობა ცალკე იქნება განსაზღვრული, შეადგენენ საოლქო საადგილ-მამულო ფონდს“... ამრიგად კერძო მფლობელთა მიწები, იმ განსაზღვრულ ნორმის ზევით, რომლის რაოდენობა ჯერ არ არის გამორკვეული და არც არავინ იცის როდის იქნება განსაზღვრული, შეადგენენ საადგილ-მამულო ფონდს. დიახ, სწორედ ეს ნიშნავს იმას, რომ კერძო მესაკუთრეთა მიწები, რომელნიც წარმოადგენენ სოფლად დამონების საფუძველს და ბატონყმობის ნაშთებს, ჯერჯერობით ხელუხლებელნი რჩებიან, კონტრ-რევოლიუციონურ მემამულეებს შეუძლიანთ დამშვიდებულნი იყვნენ, ვინაიდან მათ მიწებს ხელს ვერავინ ახლებს, რადგან ნაციონალურ ძალებზე დამყარებული ამიერ-კავკასიის კომისარიატი ზურგს უმაგრებს მათ. მსხვილ მიწათმფლობელებს „დებულება“ მეორე საჩუქარსაც აძლევს; თანახმად პირველი

ლებსაც თვით გლეხობა ირჩევს. აი ერთად-ერთი სწორი და სამართლიანი გადაწყვეტა მიწის საკითხის. მისი სხვანარათ გადაჭრა დღევანდელ პირობებში შეუძლებელია. როგორ წყვეტს მიწის საკითხს ამიერ-კავკასიის კომისარიატის „დებულება"? ჩვენ ვიცოდით, რომ ამ უკანასკნელს არ შეეძლო მიწის საკითხის გადაჭრა ისე, როგორც ეს შეეფერება დღევანდელ მომენტს, არ შეეძლო იმიტომ, რომ ის თვითონ თავის შემადგენლობით არ გამოხატავს ხალხის, ამ შემთხვევაში მუშების და გლეხების ინტერესებს. ამიერ-კავკასიის კომისარიატს არ შეუძლია მოსპოს კერძო საკუთრების უფლება მიწაზე, გადასცეს ყველა მიწები ხალხს, ხალხისავე არჩეულ კომიტეტს, ამის ნებას არ მისცემენ მას ბურჟუაზია და მემამულეები. რომელთანაც ამიერ-კავკასიის მთავრობა გეგეკორის მეთაურობით შეკავშირებულია.

მართლაც ბ. ბ. გეგეკორის და ნერუჩევის „დებულება" მიწებს აბარებს არა ხალხს, არა საგლეხო კომიტეტებს, არამედ მაღლიდან დანიშნულ საადგილ-მამულო კომიტეტებს. ამ დებულების ძალით ხალხი მიწის საკითხის გადაჭრაში თითქმის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს, ყველაფერს აკეთებენ კომიტეტები: ამავე დროს „დებულება" არაფერს ამბობს არც იმაზე, თუ ვისგან შესდგება ეს კომიტეტები, არც იმაზე, თუ ვინ ირჩევს კომიტეტებს.

აქ კომიტეტების ხელში გადადის მიწები: სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, სამონასტრო, საეკლესიო და კერძო მემამულეთა. ყველამ კარგათ იცის რომ თავი და თავი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში უკანასკნელ კატეგორიის მიწებს. ე. ი. კერძო მიწის მფლობელებს აქვს. „დებულება" კი სწორეთ ისეა შედგენილი, რომ როგორმე ხელუხლებლათ იქნას დატოვილი კერძო მემამულეების მიწები, მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც განსაზღვრულ ნორმას აღემატება ეს ნორმა ჯერ განსაზღვრული არ არის, ამიტომ სანამ ეს ნორმა დადგენილი არ იქნება მემამულეების მფლობელობა ხელუხლებელი რჩება. სანამდის გაგრძელდება ეს, ჩვენ არ ვიცით. სხვა საკითხია, თუ რანაირი იქნება ეს ნორმა. უნდა ვიფიქროთ, რომ სანამ დღევანდელ კომისარიატის ხელში დარჩება ძალაუფლება, ის თავის მფარველობას არ მოაკლებს კერძო მემამულეებს და რაც შეიძლება მეტ მიწებს დაუტოვებს იმათ, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს არ მოხდება, ვინაიდან შეუძლებელია, რომ ასეთ მოტყუელების თავი ჰქონდეთ არამკითხე ოპეკუნებს, მაშინ როცა რუსეთში ყველა მიწები ხალხს გადაეცა. ბ. გეგეკორის და ნერუჩევის „დებულება" არაფერს ამბობს აგრეთვე იმაზე, თუ მემამულეთა ის ზედმეტი მიწები, რომლებიც კომიტეტებს უნდა გადაეცეს უსასყიდლოთ, უნდა გადავიდეს კომიტეტის ხელში, თუ მემამულეები მისთვის დაჯილდოებული უნდა იქნენ ხალხის ჯიბიდან, „დებულება" განგებ არაფერს ამბობს ამის შესახებ, სამაგიეროთ ყველა საეზოე და ეზოს მახლობლად მდებარე მიწები უნაკლულოდ ისევ კერძო მესაკუთრეების ხელში რჩება. ეს დადგენილება სავსებით მხოლოდ მსხვილ მემამულეების ინტერესებს იცავს. ვინ არ იცის, რომ უმეტესად მხოლოდ იმათ აქვთ დიდი ეზოები. ამას თუ დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ ხშირად ეზოს აკრავს სხვა ამგვარი მიწებიც: საევნახე, სახნავ-სათესი და სხვა ჩვენთვის აშკარა შეიქნება ის გარემოება, თუ

როგორი გულმოდგინეობით და ლოღიკური თანდათანობით იცავს ამიერ-კავკასიის მთავრობა მემამულეების ინტერესებს.

„დებულება“ ეხება სხვათა შორის ხიზნებს. ის ამბობს, რომ ხიზნების ურითერთობა ისპობაო, მაგრამ როგორ, რა პირობით, ყველა ამას ის მოშავლისათვის ტოვებს გადასაჭრელად. უნდა ითქვას რომ ბოლოს ეს თავისებური „დეკრეტი“ არაფერს არ სწყვეტს. ასე თანახმად მე-9 მუხლისა ყველა საკითხები, რომელსაც ეხება ის, საადგილ-მამულო კომიტეტებმა უნდა გადასწყვიტონ. ამასთანავე უნდა დაუმატოთ, რომ დებულებაში ნაჩვენები არ არის, თუ როდის უნდა გამოიწვიონ ეს კომიტეტები, ან ვინ უნდა მოიწვიოს ისინი, არც ის. თუ ვისგან უნდა იქნენ ისინი შედგენილი. ამ ხასიათის დებულება ჯერ არავის უნახავს. ეს ამიერ-კავკასიის უნიადაგო კომისარიატის თავისებური შემოქმედების ნაყოფია. ის იძულებული იყო რაიმე ეთქვა თავის არსებობის გასამართლებლად გლეხების თვალში. „დებულება“ გამოცემულია იმ მიზნით, რომ როგორმე თვალი აუხვიოს გლეხობას, დაამშვიდოს იგი და დაიფარონ მემამულეები გლეხების რევოლიუციონურ ნაბიჯებისაგან.

ვნახოთ, თუ რამდენათ მიახწევს ამიერ-კავკასიის კომისარიატი თავის მიზანს.

გაზეთი „ბრძოლა“,
1917 წლის 22 დეკემბერი, № 62.

# მენშევიკეგი და მიწის საკითხი

როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ამას წინათ ამიერ-კავკ. მთავრობაძ კომისარიატის სახელით გამოსცა რაღაცნაირი „კანონი“ [34]) მიწების შესახებ. ეს თავისებური „კანონი“ ბევრათ უფრო შეეფერება თავად-აზნაურულ ბიუროკრატიულ წყობილებას, ვინემ რევოლიუციონური ხალხის მთავრობას. სახელწოდება და ფორმაც ვითომდა „კანონს“ ისეთიცე აქვს. როგორიც მითვისებული ჰქონდა' სამეფო კანონმდებლობას. რაც შეეხება შინაარსს, ამ მხრით ამიერ-კავკასიის ნაწარმოებს რევოლიუციის სრულებით არაფერი სცხია. ბ. ბ. გეგეკ-კორის [35]) და ნერუჩევის [36]) „დებულება“ შეიცავს მხოლოდ ზოგიერთ კატეგორიის მიწების გადაცემას საადგილ-მამულო კომიტეტისადმი, მორჩა და გათავდა, ეს არ არის არც მემამულეთა მიწების კონფისკაცია გამოუყიდველად, არც მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობა, მაშინ, როცა მხოლოდ ასეთი ზომები შეიძლება დღევანდელ პირობებში ჩაითავალოს რევოლიუციონურ ზომებათ.

ჩვენ მოკლეთ შევეხეთ ხსენებულ „დებულებას“ და აღვნიშნეთ ის. რომ ის არ იძლევა პასუხს მიწის საკითხის გადაჭრის შესახებ გლეხკაცობის სასარგებლოდ დღევანდელ მომენტში. ჩვენ კრიტიკას, როგორც სჩანს, მოთმინებიდან გამოუყვანია ქართველ მენშევიკების (იგულისხმე სოც.-ფედერალისტების [37]) ანუ ქართველ დაშნაკელების [38]) ორგანო „ერთობა“ [39]) (იხ. № 224), რომელიც ამ კრიტიკის გამო გვამკობს ჩვენ შემდეგი შეუდარებელი ტერმინებით: „გონება დაკარგული“, „უზნეო“, „მოშლილი აზროვნება“ და სხვ. ამ უმსგავს და ულაზათო ლანძღვა-გინებას ჩვენ გვერდს ვუხვევთ, დეე ილანძღონ, ვინაიდან ამით მხოლოდ თავისთავს აყენებენ შეურაცყოფას. რაც შეეხება იმ „საბუთებს“, რომლების მეოხებით „ერთობა“-ს სურს ჩვენი კრიტიკის გაქარწყლება, ამაზე კი ჩვენ ვალდებული ვართ პასუხი გავსცეთ მას.

დავიწყოთ თავიდან. „ერთობა“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ჩვენ რუსულ ენაზე დავწერეთ ჩვენი კრიტიკა ბ. ბ. გეგეკკორის და ნერუჩევის „დებულების“ შესახებ და არა ქართულ *) ან სხვა ადგილობრივ ენაზეო. „ერთობა“ გაიძახის, რა საჭიროა რუსულ ენაზე მიწის საკითხის შესახებ წერა, როცა ამიერ-კავკასიაში რუსი გლეხობა სრულებით არ მოიპოვებაო; ავტორი მხოლოდ სალდათებისათვის სწერსო. ამაზე აი რა უნდა მოვახსენოთ „ერთობის“ ბრძენთ: ეს

*) ფაქტიური შენიშვნა: ქართულ ენაზედაც დაიწერა იგივე კრიტიკა („ბრძოლა“ [40]) № 62). ეს გარემოება, ეჭვი არაა, დაკმაყოფილებს გაზ. „ერთობა“-ს.

„დებულება" დაიბეჭდა რუსულ ენაზედაც და თუ ეს საჭირო არ იყო, რათ გამოქვეყნდა ეს ამ ენაზე? 1) ვთქვათ, რომ მე სალდათებისთვის დავსწერე რუსულ ენაზე, — მერე რა არის აქ ცუდი? ან შეიძლება სალდათები არ არიან იმის ღირსი, რომ იცოდენ რას ჩადის ეგრედ წოდებული ამიერ-კავკასიის მთავრობა? 2) „ერთობას" ჰგონია, რომ რუსი გლეხობა ამიერ-კავკასიაში არ არის. ეს დიდი შეცდომაა ამ დარბაისელ გაზეთის მხრით. მართალია, რუსი გლეხობა აქ ნაკლებია, ვინემ თათრების, ქართველების და სომხების, მაგრამ განა ამ საბუთის ძალით შეიძლება იმის მტკიცება, როგორც ამას „ერთობა" ჩადის, რომ ამიერ-კავკასიაში რუსი გლეხობა არ არსებობს და ამიტომ რუსულათ წერა მიწის საკითხის შესახებ ყოვლად უსარგებლოა? მაგრამ დავანებოთ ამას თავი, აშკარაა, რომ ქართველ მენშევიკებს გზა-კვალი აბნევიათ.

რომ ეს მართლა ასეა, ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება. „ერთობა" დიდი ყველრებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ „დებულებას მიწის გადაცემის" შესახებ მე ვაწერ ბ. ბ. გეგეჭკორს, ნერუჩევს და საერთოდ ამიერ-კავკასიის კომისარიატს. „ერთობა" ძლიერ სწუხს ამის გამო და ამბობს, რომ ჩვენ ვითომც „მისამართი შეგვშლოდეს, ვინაიდან მიწის დებულება შეიმუშავა გლეხთა ცენტრმა და არა კომისარიატმაო". ამიტომ მატყუარები არიან არა კომისარიატი და გეგეჭკორი, არამედ გლეხთა ცენტრიო. რა უნდა უპასუხოთ ამაზე „ერთობის" ბრძენთ? — ჩვენ მივაწერთ და ახლაც ვაწერთ ამ „დებულებას" იმათ, ვისაც მაზე ხელი უწერია და ვგონებთ ასე მოიქცეოდა ყველა ჭკუათამყოფელი ადამიანი. ჩვენ არავითარი საბუთი არ გვქონებია, ეს „დებულება" გლეხთა ცენტრისთვის მიგვეწერა. დღეს ასეთ საბუთს გვაძლევს ჩვენ გაზ. „ერთობა", რომელიც გვეუბნება, რომ ეს ახირებული „დებულება", რომელიც გლეხთა რევოლიუციის ხანაში მსხვილ მემამულეების ინტერესებს იცავს, თურმე შეუდგენია არა მემამულეების ორგანიზაციას. არამედ გლეხთა ცენტრს. ახლა ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, თუ როგორი ცენტრი ჰყოლია ამიერ-კავკასიის გლეხკაცობას. ახლა ჩვენ გვეძლევა სრული და შეურყეველი საბუთი ვუთხრათ ამიერ-კავკასიის გლეხობას, რომ მან სრული უნდობლობა უნდა გამოუცხადოს ამიერ-კავკასიის გლეხთა ცენტრს, სადაც მეთაურობენ ქართველი მენშევიკები, ესერები, დაშნაკელები და თათრის ბეგები. რომლებიც გლეხობას ღალატობენ და მემამულეების ინტერესებს იცავენ აგრარული რევოლიუციის ხანაში.

ერთი სიტყვით, „ერთობა" დიდი მადლობის ღირსია ჩვენი მხრით. ვინაიდან მან მეტად სერიოზული საბუთი მოგვცა ეგრედ წოდებული გლეხთა ცენტრის წინააღმდეგ აგიტაციის საწარმოებლათ.

შემდეგ ჩვენ თავის კრიტიკაში აღვნიშნეთ, რომ „დებულებაში" ნაჩვენები არ არის „როგორ გადადის მიწები საადგილ-მამულო კომიტეტის ხელში გამოუყიდველათ, თუ გამოყიდვით. „ერთობას" უკვირს, თუ რათ მივაქციეთ ჩვენ ამ გარემოებას ასეთი ყურადღება? განა საეჭვო უნდა იყოს, რომ გამოუყიდველათ უნდა გადავიდეს მიწები საადგილ-მამულო კომიტეტების ხელში, რომ დღეს „არც ერთს ცოტათ თუ ბევრათ ჭკუიან ადამიანს არ შეუძლია იმის თქმა — მიწა მემამულეებისაგან უნდა გამოყიდულ იქნასო". დავანებოთ თავი „ჭკუიან ადამიანებს", „ერთობას" მოეხსენება ალბათ, რომ კადეტები [43]) გვარიანი „ჭკუ-

იანი ადამიანებია", რომლებსაც ჩვენი მენშევიკები თავგამოდებით იცავენ ხანდისხან, და აბა ჰკითხეთ „ერთობის" ბრძენნო ამ ჭკუიან ადამიანებს, ამბობენ ისინი თუ არა, რომ მიწა მემამულეებისაგან გამოყიდვით უნდა იქნას ჩამორთმეული? დავანებოთ თავი კადეტებს; განა მემარჯვენე ესერები და თვით თქვენი თანამოაზრენი მენშევიკები (მასლოვი [42]) და სხვ.) და დაშნაკელები და ის ბეგები, რომლებთანაც თქვენ ერთ ბლოკში იმყოფებით, არ ამტკიცებენ, რომ მემამულეებს სასყიდელი უნდა მიეცეს ჩამორთმეულ მიწებშიო. — არა, „ერთობის" ბოძენნო, ჭკვიან ადამიანებს თქვენ თავი დაანებეთ, სიტყვას ბანზე ნუ აგდებთ. თქვენ კარგათ იცით, თუ რისთვის არ არის ნათქვამი თქვენ „დებულებაში" გამოუყიდველათ თუ გამოყიდვით ჩამოერთვას ზედმეტი მიწები მემამულეებს. ამის თქმა „დებულებაში" აუცილებელი იყო, ვინაიდან უამისოთ თქვენი „დებულება" ჰკარგავს ყოველივე მნიშვნელობას. თქვენ ორ სკამს შუა ზიხართ; თქვენ გინდათ მემამულეების გული მოიგოთ და გლეხებსაც აჩვენოთ, რომ ვითომც იმათი ინტერესებიც გაწუხებთ. მაგრამ არა; ჩვენ ფარდას ვხდით თქვენს მოღალატურ ტაქტიკას: ჩვენ ვამბობთ, რომ ბ. ბ. გეგეჭკორის და ნერუჩევის და ახლა იმ განმარტების შემდეგ, რომელიც თქვენ მიეცით, გლეხთა ცენტრის „დებულება" განზრახ გვერდს უვლის ამ მეტად სერიოზულ და გლეხებისათვის ფრიად არსებით საკითხს. აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი სასაცილო გარემოება. „დებულების" მესამე მუხლში ნათქვამია, რომ 1918 წლის პირველ იანვრიდან ისპობა მიწების გამოსასყიდი გადასახადი, რომელსაც ყოფილი დროებითი ვალდებული გლეხები იხდიდენ". „ერთობას" ეს მუხლი მოჰყავს ჩვენ წინააღმდეგ იმის დასამტკიცებლად, რომ მიწები მემამულეებს გამოუყიდველად უნდა ჩამოერთვასო და დაცინვით ამბობს, რომ ფ. მ-მ „დებულება" ვერ გაიგოო. ნეტა ვის იგდებს აბუჩათ „ერთობა"... თავის თავს თუ თავის საბრალო მკითხველებს? ეს მუხლი შეეხება მხოლოდ და მხოლოდ სანადელო მიწებს, რომლებიც „დებულების" ძალით ახლა უნდა ჩამოერთვას მემამულეებს. რათ ურევს გაზეთი აშ ორ კატეგორიის მიწებს ერთმანეთ შორის? მხოლოდ იმიტომ, რომ მენშევიკებს მეტი არა დარჩენიათ რა გარდა იმისა, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ტყუილები ილაპარაკონ.

როგორც ვიცით, ბ. ბ. გეგეჭკორის და ნერუჩევის „დებულების" პირველ მუხლში ნათლად და გარკვევით ნათქვამია, რომ საადგილ-მამულო კომიტეტების ხელში გადადის კერძო პირთა მიწები ან განსაზღვრულ ნორმაზე ზედმეტი ნაწილი. რომლის რაოდენობა ცალკე იქნება მიღებული. ხოლო მეცხრე მუხლის ძალით, როგორც ამ საკითხის, ე. ი. იმის, თუ რამდენი მიწა უნდა გადაეცეს საადგილ-მამულო კომიტეტს და რამდენი უნდა დარჩეს მემამულეს ხელში, ისე სხვა მრავალ საკითხების განხილვა ენიჭება საადგილ-მამულო კომიტეტს, მაგრამ ყველა ამ კითხვებს საბოლოოდ სწყვეტს მთავრობა. გარდა ამისა პირველი მუხლის პირველი შენიშვნის თანახმად საეზო და ეზოს მახლობლად მდებარე მიწები (усадебная и приусадебная земли) კომიტეტების განკარგულებაში არ გადადის.

ყველა ამ მუხლებიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომელიც ჩვენ გამოვიყვანეთ, სახელდობრ ის, რომ ბ. ბ. გეგეჭკორის და ნერუჩევის

(რომ „ერთობა“ არ გაჯავრდეს, დავუმატოთ აქ კიდევ: საგლეხო ცენტრის) „დებულება“ არსებითად თითქმის ხელუხლებელათ ტოვებს კერძო მემამულეთა მიწებს, ვინაიდან ჯერ ერთი ის, რომ „დებულების“ ძალით საეზოე და ეზოს მახლობლად მდებარე მიწები, როგორც წინეთ, ისე მომავალშიაც ძველ მფლობელთა ხელში უნდა დარჩეს; მეორე ის, რომ საადგილ-მამულო კომიტეტების ხელში გადადის მხოლოდ განსაზღვრულ ნორმაზე ზედმეტი ნაწილი, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნება ეს ნორმა, არც ის ვიცით, თუ ვინ უნდა განსაზღვროს ეს ნორმა; მესამე ის, თუ როდის იქნება ეს ნორმა დადგენილი. ამიტომ ჩვენ ვამბობდით წინანდელ წერილში და ახლაც ვამბობთ, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატის, ე. ი. ადგილობრივ კოალიციონური მთავრობის „დებულება“ მიწის შესახებ, ძველ ურთიერთობას სოფლად თითქმის უცვლელათ ტოვებს. „ერთობა“ კი ზეპირათ გაიძახის: ჩვენ არ გვესმის საიდან მოჩმახა ასეთი დასკვნა ფ. მ. „ჩვენ გიპასუხებთ: ასეთი დასკვნა პირდაპირ ლოლიკურად გამომდინარეობს კომისარიატის „დებულებიდან“ და როცა ასეთი დასკვნა გამოგვყავს, ჩვენ ვემყარებით თვით „დებულების“ ტექსტზე და არა თქვენ განმარტებაზე. შემდეგ „დებულება“ საზოგადოთ ბევრს ლაპარაკობს ეგრედ წოდებულ საადგილ-მამულო კომიტეტზე, იმათ ფუნქციებზე; თითქმის მთელი „დებულება“ აშენებულია ამ კომიტეტების მოქმედებაზე. იმავე დროს კი „დებულებაში“ კრინტიც არ არის დაძრული, ვისგან შესდგება ეს კომიტეტები, ვინ ირჩევს მათ ან და როდის უნდა შედგენ ისინი და სხვ. ყველა ეს გარემოება უკარგავს ხსენებულ დებულებას ყოველივე პრაქტიკულ მნიშვნელობას. „დებულება“ გადაკრით ამბობს, რომ მიწები საადგილ-მამულო კომიტეტების ხელში გადადისო. ამას შემდეგ ყველა ჭკუათმყოფელი ადამიანი ვალდებულია იკითხოს, ვისგან შესდგება ან ვინ ირჩევს ამ კომიტეტებს? ასეთი კითხვები დაუსვით ჩვენ „დებულების“ ავტორებს პირველ წერილშივე. „ერთობა“ ამითაც უკმაყოფილოა: როგორ არ იცი, ხალხი აირჩევს. მაგრამ აქ ასეთი კომენტარიები „დებულება“-ს ვერას უშველის, ჩვენ გვაინტერესებს არა ის, თუ როგორ ფიქრობს ამ საყურადღებო საკითხის შესახებ „ერთობის“ რედაქცია, არამედ კომისარიატის მიერ გამოცემული „კანონი“, თუ კანონად შეიძლება ჩაითვალოს ის აბდა-უბდა, რასაც ხსენებული „დებულება“ წარმოადგენს.

დიახ ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ როცა ჩვენშიაც მემამულეთა მიწების კონფისკაციაზე მიდგება საქმე და ხალხი შეუდგება იმათგან მიწების ჩამორთმევას, ეს მიწები გადავა თვით გლეხების მიერვე არჩეულ საგლეხო კომიტეტების ხელში. სხვა გზა ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ ამ გზით შეიძლება მიწის გადასვლა ხალხის ხელში. მაგრამ ეს ის გზაა, რომელსაც თავიდანვე დაადგა მხოლოდ სახალხო კომისართა საბჭო, ე. ი. მუშების და გლეხების მთავრობა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ბოლშევიკების მეთაურობით. მაგრამ როგორც იცით, ამიერ-კავკასიის კომისარიატმა, ქართველ მენშევიკების და ესერების მეთაურობით, დაშნაკელებთან და თათრების ბეგებთან შეკავშირებით ომი გამოუცხადა რუსეთის მუშების და გლეხების მთავრობას საზოგადოთ და მიწის დეკრეტს კერძოთ.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის „დებულებაც“ სწორედ სახალხო კომისარების მთავრობის წინააღმდეგ არის გამოცემული. „ერთობამ“ კარგათ იცის,

რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატი უარყოფს იმ გზას, რომელიც აირჩია სახალხო კომისართა საბჭომ: მან კარგათ უწყის, რომ „დებულების“ ძალით ხალხი არ ირჩევს საადგილ-მამულო კომიტეტებს; ეს რომ ასე არ ყოფილიყო თვით „დებულებაში“ იქნებოდა ნათქვამი, თუ ვინ ირჩევს კომიტეტებს, და თუ არ არის ნათქვამი, ეს არის განგებ თვალების ასახვევად, ანუ ხალხის დასატყუილებლად. „ერთობაც“ ამ შემთხვევაში ატყუილებს გლეხებს, როცა ამბობს, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატის „დებულების“ ძალით ვითომც ხალხი ირჩევდეს საადგილ-მამულო კომიტეტებს.

ერთი სიტყვით, რუსეთის დიდი რევოლიუციის ბედი და გლეხკაცობის არსებითი ინტერესები თხოულობენ, რომ მთელი მიწა გადავიდეს თვით ხალხის ხელში მის მიერ არჩეული საგლეხო კომიტეტების სახით. ეს არის მიწის საკითხის რევოლიუციონური გზით გადაწყვეტა. მემამულეებთან შეთანხმებით და ბურჟუაზიული რეფორმების საშუალებით ეს კითხვა დღეს არ გადაიჭრება. ამიერ-კავკასიის მთავრობას მენშევიკების და ესერების მეთაურობით სწორედ ამ უკანასკნელი გზით უნდათ რევოლიუციის ერთი უძირითადესი კითხვის გადაჭრა. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის გარემოება, რომ ისინი, ე. ი. მენშევიკები და ესერები ებრძვიან გლეხების მოძრაობას. მოიგონეთ ბ. ბ. წერეთელის [43]) და ჩხენკელის [44]) ცირკულიარები, რომლებიც მიმართული იყვნენ და არიან გლეხების ყოველგვარი რევოლიუციონური ნაბიჯის წინააღმდეგ. ისინი აქრობენ რევოლიუციას; ისინი ცდილობენ რაიმენაირად მოარიგონ გლეხები და მემამულეები, რათა ეს უკანასკნელები, ე. ი. მემამულეები დაიხსნან განსაცდელისაგან (ზომები: ნორმაზე ზედმეტი მიწების ჩამორთმევა, საეზოე და ეზოს მახლობლად მდებარე მიწების ხელუხლებლად დატოვება და სხვა და სხვა).

ასეთია არსებითად ქართველ მენშევიკების და ესერების ტაქტიკა მიწის საკითხში. შესძლებენ ისინი თუ არა ამის განხორციელებას, შესძლებენ ისინი გლეხების დატყუილებას ისე, როგორც იმათ ატყუილებდენ წინათ სხვადასხვა რეფორმების საშუალებით, — ეს სხვა საკითხია. ეს დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა თვით გლეხ-კაცობაზე, მის თვითმოქმედებაზე და რევოლიუციონურ შეგნებაზე. ერთი აშკარაა: ადრე იქნება თუ გვიან მიწა თვით ხალხის ხელში უნდა გადავიდეს. ეს ნიშნავს იმას, რომ მიწაზე კერძო საკუთრება უნდა მოისპოს და ეს მთელი ხალხის საკუთრებათ უნდა შეიქნეს.

„ერთობა“ და მაშასადამე ქართველი მენშევიკები ამას ვერ ინელებენ. მათთვის ეს უბედურება იქნებოდა. ეს მეტად დამახასიათებელი გარემოებაა ამ ვითომდა „სოციალისტების“ გასაგებათ. ისინი დღეს არა თუ სოციალიზმისაკენ დგამენ ნაბიჯებს, არამედ, პირიქით, ხალხს აშიშებენ სოციალიზმით, რომ ეს უკანასკნელი მას დაღუპავს. ე. ი. ქადაგებენ და მოქმედებენ ისე, როგორც ნამდვილი ბურჟუები და მემამულეები. საჭიროა, რომ ეს დროზე შეიგნონ მუშებმა და გლეხებმა. მთელი იმათი გოდება და ყვირილი იმის გამო, რომ თუ ახლავე შეუდექით სოციალისტური ზომების მიღებას, ეს ხალხს დაღუპავს, რევოლუციას ბოლოს მოუღებს და რომანოვების ბატონობას დაგვიბრუნებსო, — ეს მხოლოდ თავზარდაცემულ მემამულეებისა და კაპიტალისტების გოდებას და ვაის ძახილია და მეტი არაფერი.

ის გარემოება, რომ ქართველი მენშევიკები იცავენ და თავის მფარველობის ქვეშ ღებულობენ ამიერ-კავკასიის კომისარიატის „დებულებას“ მიწის შესახებ, ჩვენ სრულებით არ გვაკვირვებს, ვინაიდან ეს მათი ნაწარმოებია. ამავე დროს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს ის გარემოება. რომ ვერც ერთი ნამდვილი რევოლიუციონერი, ვერც ერთი ნამდვილი სოციალისტი ვერ დადგება იმ პოზიციაზე, რომელიც უპირავს ამიერ-კავკასიის კომისარიატის „დებულებას“ მიწის შესახებ.

გაზ. „ბრძოლა“
1917 წ. 30 დეკემბერი, № 66. და
1918 წ. 1 იანვარი, № 1.

# ამიერ-კავკასიის კომისარიატის ერთ-ერთი ვითომდა „დეკრეტის“ გად-იღგალის შესახებ

როგორც ვიცით ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ამას წინად გამოსცა „დებულება საადგილ-მამულო კომიტეტებისათვის მიწების გადაცემის შესახებ“. ჩვენ ერთხელ მოკლედ შევეხეთ ამ „დებულებას“ და აღვნიშნეთ, რომ ახალ დებულებით ჯერჯერობით არსებითად არაფერი არ იცვლება, რომ ყოველივე ძველებურად რჩება, ვინაიდან კერძო საკუთრება მიწაზე, რომელიც წარმოადგენს ბოროტების მთავარ წყაროს საადგილ-მამულო ურთიერთობაში ხელუხლებლად რჩება, რომ მხოლოდ მსხვილ მემამულეთა მიწების ნაწილი ჯერ ყველასათვის კიდევ უცნობი ნორმის ზევით გადაეცემა რაღაც საადგილ-მამულო კომიტეტებს: ამასთანავე არავინ არ იცის როგორი იქნება ამ კომიტეტების შემადგენლობა და არ იცის ვადა, როდესაც ეს გადაცემა უნდა მოხდეს. არც კერძო მესაკუთრეთა მიწების კონფისკაციისა და მათი გლეხებისათვის გადაცემის შესახებ, არც მიწის სოციალიზაციის, ე. ი. მიწის სარგებლობის გათანასწორების შესახებ ამ „დებულებაში“, რომელსაც ხელს აწერენ მენშევიკებისა და მემარჯვენე ესერების წარმომადგენლები, — ხსენებაც არ არის. ამავე დროს კი, როგორც მენშევიკების, ისე ესერების აგრარულ პროგრამებში არის მუხლი, სადაც ლაპარაკია კერძო მესაკუთრეთა მიწების კონფისკაციისა და მათი გლეხობისავის გადაცემის შესახებ (მენშევიკები) და აგრეთვე ამ მიწების სოციალიზაციის შესახებ (ესერები).

ამრიგად, ამ პარტიების პროგრამაში სწერია ერთი, ხოლო პრაქტიკაში ისინი სულ სხვა რამეს ანხორციელებენ. და თუ მათ მიუთითებენ ასეთ წინააღმდეგობაზე, მაშინ ისინი ან სდუმან, ან ილანძღებიან. იმ მუშებმა და გლეხებმა, რომელნიც ამ პარტიებს მისდევენ მეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ასეთ წინააღმდეგობას. საქმე იმაშია, რომ ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემული „დებულება“ მიწის შესახებ წინასწარ გამზადებულია დამარცხებისათვის. სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ კომისარიატიც ასე უყურებდა ამ თავის „დებულებას“. როდესაც ამ თავისებურ კანონს სცემდა, მისი ავტორები ფიქრობდენ მიწის საკითხის გადაპრა, ე. ი. ყველა მიწების ხალხისათვის გადაცემა. გადაედვათ თუგინდ რამდენიმე ხნით მაინც, ვინაიდან თუმცა ამიერ-კავკასიის კომისარიატში მოკალათებულ მენშევკებსა და მემარჯვენე ესერებს შეიძლება ძალიანაც სურდათ გლეხების მოთხოვნილების დაკმაყოფილება, მაგრამ, მეორეს მხრით, ისიც ყველასათვის აშკარაა, რომ მათ იმავე დროს სრულებით არ სურდათ გაეწყვიტათ კავშირი მსხვილ მიწათმფლობელებთანაც. ჩვენ ეხლა ვიცით, რომ ამიერ-კავკასიის კომისხრიატის მიერ გამოცემული „დებულე-

ბის" შედგენის ასეთი საიდუმლოება შემთხვევით გამოამჟღავნა ჩვენთან კამათის დროს ქართველ მენშევიკების გაზეთმა „ერთობამ", [100]) რისთვისაც ჩვენ მას დიდ მადლობას მოვახსენებთ. როგორი უნდა იყოს ის საგლეხო ცენტრი, რომელიც აშკარად ბევრ რამეს უთმობს მსხვილ კერძო მესაკუთრეებს, ღარიბ-ღატაკის გლეხობის საზიანოდ? როგორი უნდა იყოს ის საგლეხო ცენტრი, რომელიც დიდი ხნით აპირობს აგრარული საკითხის გადაჭრის გადადებას. იმ საკითხის გადაჭრის გადადებას, რომელც არსებითად ეხება ღარიბ-ღატაკ გლეხობის ინტერესებს, როგორი უნდა იყოს ის საგლეხო ცენტრი, რომელიც წინადადებას იძლევა გადასცენ მიწები არა გლეხობას, არა თვით ხალხს მათ მიერ არჩეულ კომიტეტების სახით, არამედ ვიღაც უცნობ საადგილ-მამულო კომიტეტებს.

„დებულების" გამოქვეყნების შემდეგ ყველასათვის და მათ შორის თვით მისი ავტორებისათვისაც ცხადი შეიქმნა, რომ „დებულება" მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი დარჩებოდა. და აი ავტორებისათვის საჭირო იყო რაიმე გარეშე საბაბი, რომ ამით გაემართლებიათ ამიერ-კავკასიის კომისარიატის აგრარული კანონმდებლობის სრული მარცხი. და ასეთს საბაბს ისინი ხედავენ ამას წინად განჯაში მომხდარ ამბებში. განჯაში მომხდარ დარბევას ისინი თავისებურად ხსნიან. როგორც ვიცით ეს ამბები დატრიალდა „დებულების" გამოქვეყნების შემდეგ. ამის გამო მენშევიკებიც ამტკიცებენ, რომ ისინი გამოწვეული იყვნეს ან „დებულებით", ვინაიდან თურქ მემამულეები გააბრაზა ამ „დებულებამ" და მათაც გლეხობის მასა მიუსიეს სომხებსა და რუსებსო („ბორბა" [101]) № 118).

„ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო" — სწორედ ასეა. წარმოვიდგინოთ. რომ თათრის ბეგები უკმაყოფილონი არიან „დებულებით", რომ მათი აზრით, მათ მცირე რამ დაუთმეს და ისინი კიდევ მეტს მოითხოვენ. თათრის ბეგებიც მართალნი არიან, თავის თვალსაზრისით, მაგრამ საკითხავია: თუ მართალია ეს გარემოება, რომ „დებულებით" უკმაყოფილო თათრის ბეგებმა გაიყოლიეს გლეხობის ბნელი მასა, — მაშინ ჰქონდა თუ არა უფლება ან საბუთი ამ გლეხობის მასას კმაყოფილი ყოფილიყო იმ „დებულებით", რომელნიც გამოაქვეყნა ამიერ-კავკასიის კომისარიატმა და რომელიც შემუშავებული იყო საგლეხო ცენტრის მიერ? აი სწორედ ამის მტკიცება ჩვენ არ შეგვიძლია. პირიქით თუ თათრის, და საერთოდ ყველა გლეხობა გაეცნობოდა ამ ხანების „დებულებას" (რაშიდაც ჩვენ ექვი შეგვდის), იგი არ შეიძლებოდა კმაყოფილი დარჩენილი მიწის საკითხის ამგვარი გადაჭრით, როგორსაც იძლევა „დებულება". ვინაიდან „დებულებაში" არაფერი არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ისპრა მემამულეთა მიწათმფლობელობა, რომლის უღლის ქვეშ დღევანდლამდე სულს ღაფავს გლეხობა, და არც იმის შესახებ, რომ ეს მიწები გადაეცემა გლეხობას. ჩვენ შეგვიძლია სავსებით დავამშვიდოთ მენშევიკები და მემარჯვენე ესერები იმაში, რომ თუ მათი მიწის კანონი მარცხდება და კოტრდება, ეს ხდება არა იმიტომ, რომ ბეგები და სხვა მემამულენი უკმაყოფილონი არიან ამ დებულებით, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ „კანონით" სრულებით არ არის და არავითარ შემთხვევაში არ არის დაკმაყოფილებული გლეხობის ინტერესები.

გაზეთი „კავკასკი რაბოჩი",
1918 წლის 9 იანვარი, № 4.

# მიწის საკითხი და რევოლიუცია

რუსეთის რევოლიუციის ერთ უდიდეს მამოძრავებელ ძალად ითვლებოდა და ითვლება დღესაც უღარიბესი გლეხობა, რომელიც მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას შეადგენს.

პროლეტარიატის შემდეგ რევოლიუციის მოხდენაში არსებითად დაინტერესებული იყო და არის გლეხკაცობა, ვინაიდან მხოლოდ რევოლიუციას შეეძლო მიენიჭებია მისთვის მიწა.

1917 წლის რევოლიუცია დაიწყო პეტროგრადის პროლეტარიატმა, მას მხარი დაუჭირა პეტროგრადის ჯარმა, ამით დამხობილ იქნა მეფობა.

ეს იყო რევოლიუციის დასაწყისი, რაც შედარებით უმსხვერპლოდ ჩატარდა. ბევრს ეგონა, რომ რევოლიუცია რუსეთში დაიწყო და დამთავრდა კიდეც და გატაცებას ეძლეოდენ იმის გამო, რომ ეს უდიდესი რევოლიუცია თითქმის სისხლის დაუღვრელად მოხდაო. ეგონათ, რომ რევოლიუცია მარტოოდენ გარეგანი პოლიტიკური ცვლილებაა, რომ ის თითქო სრულებით არ ეხება საზოგადოებრივ ურთიერთობას. თითქო დაივიწყეს კიდეც, რომ რევოლიუციამ უნდა გადაჭრას იმ კლასების სოციალური კითხვები, რომლებიც ამ რევოლიუციის მატარებელნი და, რომლებიც მის მამოძრავებელ ძალას შეადგენენ. დაივიწყეს ის, რომ რევოლიუცია კლასობრივი ბრძოლის ანუ სამოქალაქო ომის უმაღლეს წერტილამდე გამწვავებაა.

ერთი სიტყვით, რევოლიუციის შეუჩერებელი მსვლელობა წინ, ანუ მისი გაღრმავება და გაფართოება შეუძლებელი იყო უიმისოდ, რომ კლასობრივი ბრძოლა არ გამწვავებულიყო, რაც სამოქალაქო ომის გაჩაღებას ნიშნავდა.

ჩვენ თავი უნდა დავანებოთ იმაზე ლაპარაკს, იყო სასურველი თუ არა კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ან სამოქალაქო ომის გაჩაღება. ჩვენ უნდა მივიღოთ მხოლოდ ის, რომ ყოველივე ეს აუცილებელი იყო; ასე უნდა ეფიქრა ყველა ნამდვილ რევოლიუციონერს, და განსაკუთრებით იმათ, ვინც რევოლიუციას სათავეში მოექცა.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვამბობთ, რომ რევოლიუციის საშუალებით მთელი ძალა-უფლება მქონებელ და გაბატონებულ კლასებიდან და მემამულეებიდან, პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხობის ხელში უნდა გადასულიყო. ამას თხოულობდა ხალხის დიდი უმრავლესობის არსებითი ინტერესები. ვინც გაიძახოდა და გაიძახის დღესაც, რომ რევოლიუციის მოხდენაში ყველა კლასები იყვენ დაინტერესებული, ისინი ან გულუბრყვილოდ სცდებიან, ან განზრახ სიყალბეს ჩადიან, ვინაიდან ყველასათვის აშკარა უნდა იყოს ის გარემოება, რომ გაჭირვებული გლეხი და მემამულე. კაპიტალისტი და მუშა ერთნაირად ვერ იქნებიან დაინტერესებული რევოლიუციით. კაპიტალისტები და მემამულეები კარგად გრძნობდნენ, რომ რევოლიუცია მათ წაართმევს არა მარტო ძალა-უფლებას,

არამედ კაპიტალს და მიწას, რომლის საშუალებით ხალხს ისინი იმონებდენ. ამიტომ იყო, რომ კაპიტალისტებმა და მემამულეებმა ნიკოლოზის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, როცა ძალა-უფლება სავსებით იმათ ჩაუვარდათ ხელში, მუშებთან და გლეხებთან შერიგების და თანხმობის ქადაგება იწყეს. ასეთ ტაქტიკას თხოულობდა იმათი კლასობრივი ინტერესები.

ისინი სამართლიანად ფიქრობდენ და იმედოვნებდენ, რომ თუ იმათ ძალა-უფლება შერჩებათ ხელში, მუშებს და გლეხებს თავის სუფრიდან ნაფინჩხებს გადაუგდებდნენ, და შესაძლებელი იყო ამ ხერხით იმათ მუშები და გლეხები ჩაეჩუმებიათ და თავისი მდგომარეობის შენარჩუნება უზრუნველეყოთ.

თუ კაპიტალისტები და მემამულეები ამ თავის საწადილს განახორციელებდენ, იმ შემთხვევაში ისინი შესძლებდენ ერთსა და იმავე დროს მუშების და გლეხების დატყუილებასაც და რევოლიუციის ჩაქრობასაც.

მაშასადამე, კაპიტალისტების და მემამულეების კონტრრევოლიუციონური განზრახვა და სულისკვეთება ყველასათვის ცხადი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მენშევიკებმა და სოც.-რევოლიუციონერებმა თითქმის სავსებით გაიზიარეს კაპიტალისტების და მემამულეების თვალთახედვის წერტილი.

ისინი, განსაკუთრებით მენშევიკები, ამტკიცებდენ, რომ რუსეთის დღევანდელი რევოლიუცია წმინდა ბურჟუაზიულია, და როგორც ასეთმა მან უნდა განამტკიცოს და გაამაგროს ბურჟუაზიული წყობილება, რომელიც დაყრდნობილია კერძო საკუთრებასა და დაქირავებულ შრომაზე. ასეთი შეხედულების და ტაქტიკის მავნებელობა გამოიხატა ყველაზე უფრო მიწის საკითხის გადაჭრის საქმეში. კაპიტალისტები და მემამულეები, ერთი მხრით, და მენშევიკები და სოც.-რევოლიუციონერები, მეორე მხრით, შეთანხმდენ იმაში, რომ მიწის საკითხი უნდა გადაიჭრას დამფუძნებელ კრებაზე, მანამ კი სოფლად გლეხებსა და მემამულეებს შორის უნდა დაცულ იქნას არსებული წესები. ამავე დროს დამფუძნებელი კრების მოწვევას კი შორს სდებდენ.

ამ ტაქტიკის სავსებით გატარება ცხოვრებაში ნიშნავდა რევოლიუციის ერთი უდიდესი მამოძრავებელი ძალის რევოლიუციისათვის ჩამოშორებას, რაც იმავე დროს მოასწავებდა რევოლიუციის შეფერხებას, მასში დეზორგანიზაციის ანუ ანარქიის შეტანას, ყოველ შემთხვევაში, ის ხელსაყრელი იყო კონტრ-რევოლიუციისათვის და მავნებელი რევოლიუციისათვის.

საკვირველი ის იყო, რომ, როგორც მენშევიკები, ისე სოც.-რევოლიუციონერები, მუდამ იმას ამბობდენ, რომ მიწის საკითხს რუსეთში გადაჭრის მხოლოდ რევოლიუცია და, როცა ამის განხორციელებაზე მიდგა საქმე, მაშინ იმათ უღალატეს თავის რწმენას და მემამულეებს შეუთანხმდენ. ახლა ვიკითხოთ, როგორ შეხვდა გლეხკაცობა რევოლიუციას.

ყველამ იცის, რომ გლეხობის დიდი უმრავლესობა გონება გაწუვითარებელია, ის ბნელ მასას წარმოადგენს: იმავე დროს ის დაჩაქსულია, შეუკავშირებელია, ყოველ შემთხვევაში, ის შედარებით საკმარისად დიდხანს ელოდებოდა, რომ მას რევოლიუცია მიწას მისცემდა. გავიდა ერთხელ ხენა-თესვის დრო, მოახლოვდა მეორედ, მაგრამ მიწის საკითხი ისევ ძველებურად იყო. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ დროს თავი იჩინა სტიქიურმა მოძრაობამ, რომლის წინა-

აღმდეგ კერენსკის და კონოვალოვის მთავრობა დამსჯელ რაზმებს გზავნიდა. მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ გადასჭრა სავსებით მიწის საკითხი გლეხების სასარგებლოდ. მაგრამ ეს იყო თვით რუსეთში. რაც შეეხება ამიერ-კავკასიას. მიწის საკითხი აქ ბევრად უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო იმ თავითვე და დღეს კიდევ უფრო უარესათაა; მიწის საკითხი აქ დღემდე მოუგვარებელი და გადაუჭრელია. და ეს ერთი წლის რევოლიუციის შემდეგ. ამას ცნობენ დღეს ოფიციალურად ა/კ მთავრობის წარმომადგენლები და სულის ჩამდგმელები, ამას აცხადებს დღეს თვით ნ. ჟორდანია. [45]) ესე იგი ის პირნი, რომლებიც სათავეში უდგენ ამიერ-კავკასიის „რევოლიუციონურ" მთავრობას და რომელთა ხელშიაც იყო მიწის საკითხის გადაჭრის საქმეც. მაგრამ ეს არ მოისურვეს ამიერ-კავკასიის მენშევიკებმა და სოც.-რევოლ. ისინი მხოლოდ სიტყვით პირდებოდენ გლეხობას მიწის მიცემას, საქმით კი ქართველ მემამულეებს, თათრის ბეგებს და ხანებს და სომხის კაპიტალისტებს უწევდენ ანგარიშს, მათთან ახდენდენ მორიგებას. და, როცა ბოლშევიკები იწუნებდენ და გმობდენ მენშევიკების და ესერების ასეთ ბოლალატურ ტაქტიკას, როცა ისინი ფარდას ხდიდენ ამ ვაჟბატონების კონტრ-რევოლიუციასთან დაკავშირებას გლეხების და მუშების რევოლიუციის წინააღმდეგ, ისინი ჩვენ ანარქისტებად და დეზორგანიზატორებად გვნათლავდენ. დღეს კი, როცა იმათი ტაქტიკა სავსებით გაკოტრდა, ვინაიდან იმათი დამღუპველი ტაქტიკის წყალობით ამიერ-კავკასიის გლეხობა, ან სრულებით ვერ შეიქნა დაინტერესებული რევოლიუციით, ან მას გულგრილად უცქერის. დღეს ნ. ჟორდანია და მისი ამხანაგები აშკარად ხედავენ, რომ თათრის გლეხკაცობა ოსმალეთის ორიენტაციას იზიარებს და ის სრულებით არ არის დაინტერესებული ამ რევოლიუციით. რა მისცა მას რევოლიუციამ? თითქმის არაფერი — ჩვენ გვესმის, როცა რუსეთის მუშები და გლეხკაცობა აღფრთოვანებით ებრძვიან შინაურ და გარეშე კაპიტალისტებს და მემამულეებს. მაგრამ რისთვის უნდა იბრძოლოს ამიერ-კავკასიის გლეხკაცობამ რევოლიუციის დასაცავად, როცა მას ჯერ გლეხკაცობისათვის არაფერი გაუკეთებია. მენშევიკებს შესანიშნავი შემთხვევა ჰქონდათ დაეინტერესებიათ რევოლიუციით ამიერ-კავკასიის გლეხკაცობა, განსაკუთრებით თათრის გლეხკაცობა. მაგრამ იმათი მიწის პოლიტიკა თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა მტარვალი მეფის პოლიტიკისაგან, — არსებული მიწადმფლობელობის და მიწის სარგებლობის წესების უმნიშვნელო დარღვევისათვის მენშევიკები გზავნიდენ დამსჯელ რაზმებს გლეხების წინააღმდგ რევოლიუციის ხანაში.

და აი, ეს ტაქტიკა სავსებით გაკოტრდა, და მით თვით მენშევიზმიც. მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ეს ტაქტიკა ღუპავს თვით რევოლიუციას; მენშევიკები გაიძახიან დღეს მიწის საკითხის გადაჭრის დაჩქარებაზე. იმათ აინტერესებს მხოლოდ თავისი ბატონობის შენარჩუნება.

ისინი ფიქრობენ ამ საკითხის გადაჭრას სეიმის [46]) საშუალებით, ე. ი. კაპიტალისტებთან და მემამულეებთან შეთანხმებით. ეს ტყუილი ამბავია. გლეხობამ თითონ უნდა აიღოს თავის ხელში მიწის საკითხის გადაჭრა.

გაზეთი „ჩვენი ბრძოლა"
1918 წლის 9 და 10 მარტი, №№ 2 და 3.

# აგრარული საკითხი მმართველი პარტიის ყრილობაზე

აგრარული საკითხი ერთი მთავარი მამოძრავებელი ღერძი იყო და არის დღეს რუსეთის დიდ რევოლიუციაში; ამავე როლს თამაშობდა და თამაშობს ეს საკითხი ჩვენშიაც. თუ რუსეთის დიდძალი გლეხობა ჩათრეულ იქნა რევოლიუციაში, თუ იგი შეიქნა არა მარტო მისი მამოძრავებელი ძალა, არამედ გახდა თვით ამ რევოლიუციის ბურჯათ, და თუ გლეხობის მიმხრობა ბოლოს და ბოლოს ვერ შესძლო ვერც უცხოელმა და ვერც შინაურმა ბურჟუაზიამ, ყოველივე ეს აიხსნება იმით. რომ რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ) შესძლო ისე გადაეჭრა აგრარული საკითხი, როგორც ამას მშრომელი მასის დიდი უმრავლესობა თხოულობდა. კიდევ მეტი. მიწის საკითხი საბჭოთა რუსეთში ამ რევოლიუციის ხანაში გადაიჭრა თითქმის უშუალოდ თვით დაინტერესებული გლეხობის მიერ. კომუნისტური პარტია აკვირდებოდა და ანგარიშს უწევდა იმას, რასაც გლეხკაცობის დიდი უმრავლესობა თხოულობდა მიწის საკითხის გადასაჭრელად. ეს იყო ერთად-ერთი სწორი, ერთად-ერთი მისაღები გზა, და ამ გზას ლოღიკური თანდათანობით გაყვა რუსეთის მუშების და გლეხების მთავრობა. მიწის საკითხის სფეროში საბჭოთა რუსეთში ხდება კოლოსალური შემოქმედებითი მუშაობა, ამაზე მიქცეულია მთავარი ყურადღება.

სულ სხვა გზით წავიდა მიწის საკითხის გადაჭრის საქმე საქართველოში. აქ ხალხი, დაინტერესებული გლეხკაცობა ვერ იღებს მონაწილეობას ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან საკითხის გადაჭრაში. უმთავრესი საქმე ამ შემთხვევაში, თუ გნებავთ ის კი არ არის, თუ როგორ, რა პროგრამით ხდება მიწის საკითხის გადაჭრა, არამედ ის, თუ რამდენად ახლო ღებულობს ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას თვით მშრომელი გლეხკაცობა. და ჩვენ ვამბობთ, რომ შეიძლება საქართველოს დღევანდელი მთავრობა შესანიშნავად სჭრიდეს ამ საკითხს, მაგრამ ის სჭრის მას ზ ე ვ ი დ ა ნ, ხალხის დაუხმარებლად. გადააგლეთ თვალი აგრარულ რეფორმას საქართველოში ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წლის დეკემბრის თვეში გამოცემულ დეკრეტიდან [47]) ვიდრე დღევანდლამდე, და თქვეს დარწმუნდებით იმაში, რომ მთელი ეს კანონმდებლობა მიწის შესახებ ხდება არა გლეხკაცობის საშუალებით. რომელსაც ის არსებითად ეხება, არამედ მის დაუკითხავად. რა თქმა უნდა, თუ ეს აგრარული რეფორმა, რომელსაც მენშევიკური მთავრობა ატარებს, ხალხის ინტერესებს იცავს, თუ მიწის საკითხს გლეხკაცობის დიდი უმრავლესობის სასარგებლოთ სჭრის. მაშინ კიდევ ჯანი გავარდეს. მაგრამ, რამდენათაც ჩვენ ვიცით, საქმე ასე როდია. მართალია, „ცნობილი“ ა ი ო ლ ლ ო [48]) მენშევიკების პარტიის ყრილობაზე ხმამაღლა გაიძახოდა, რომ აგრარული რეფორმა საესებით შეეფერება სინამდვილეს და სრულებით

სიმართლეს მოკლებულია ის მტკიცება, რომ ვითომც გლეხკაცობა უკმაყოფილო იყოს ამ რეფორმითო.

ბ-ნ აიოლლოს სიტყვით, თუ ამ უკმაყოფილებას აქვს ადგილი, ეს აიხსნება ჭეოლოდ ზოგიერთ უპასუხისმგებლო აგიტაციითო, — თორემ ის აგრარული რეფორმა, რომელიც დღეს საქართველოში გაჰყავთ, კანონმდებლობის უკანასკნელი სიტყვაა. ამას ამბობს ის პირი, რომელიც ისე იცნობს საქართველოს გლეხკაცობის მდგომარეობას, როგორც მე და შენ, მკითხველო, ჩინურ ენას. მაგრამ ბ. აიოლლომ, რა თქმა უნდა, ნამეტანი გადააჭარბა, რას იზამთ, ამას თხოულობს ლაქიობის და დამსახურების სურვილი. თვით მიწადმოქმედების მინისტრი ბ-ნი ხომერიკიც [10]) თავში როგორღაც საზეიმო ტონს იღებს. მან ყრილობაზე განაცხადა: „რევოლიუცია მსნელათ მოევლინა გლეხობას. მ ა ნ მ ო უ პ ო ვ ა მ ი წ ა გ ლ ე ხ ო ბ ა ს: მისი შრომის ნაყოფი მის საკუთრებას შეადგენს. რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ა მ ს რ უ ლ ი ა დ გ ა ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ რ ო ე ბ ი თ ი ვ ა ლ დ ებ უ ლ ი გ ლ ე ხ ვ ბ ი დ ა ხ ი ზ ნ ე ბ ი. მ ა თ ცხ ო ვ რ ე ბ ი ს ს ა შ უ ა ლ ებ ა მ ი ს ც ა ო". როგორც ხედავთ ბ-ნ ხომერიკს სიტყვა ბანზე აუგდია: საკითხი ეხება, თუ რა მისცეს მენშევიკებმა გლეხ-კაცობას და არა იმას, თუ რა ნაყოფი მოუტანა რევოლიუციამ გლეხ-კაცობას. რევოლიუციამ მიწა მოუპოვაო. — განაცხადა ბ. ხომერიკმა. მაგრამ ამ დებულებას იგი თითონ უარყოფს შემდეგ განცხადებაში. მიიღო თუ არა გლეხკაცობამ მიწა? ამ კითხვის შესახებ აი რა განაცხადა თვით მინისტრმა: „მართალია, განაცხადა მან — საქართველოში გლეხებს ბევრი მიწა არ შეხვდენია. მაგრამ ბევრის მიცემა შეუძლებელია, ვინაიდან მიწის რაოდენობა მცირეაო". „საერთო გამოანგარიშებით თვითეული გლეხის ოჯახი მ ი ი ღ ებ ს (მაშ ჯერ არ მიუღიათ) ე რ თ დ ე ს ე ტ ი ნ ა მეტ მიწასაო". მაშ ბატონ ხომერიკის პირველი განცხადება, რომ რევოლიუციამ გლეხკაცობას მიწა მოუპოვაო, სიმართლეს მოკლებული ყოფილა, ვინაიდან მას მომავალში ჰპირდებიან მხოლოდ მიწის მიცემას. და ეს სწორედ ასეც უნდა იყოს, რაც ბ-ნი ხომერიკის შემდეგი სიტყვებიდან სჩანს: „აგრარულ რეფორმის პირველი ნაწილი ჩამოსართმევ მიწების სახელმწიფო ფონდში გადარიცხვა დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოსო. რ ა ც შ ე ე ხ ებ ა მ ე ო რ ე ნ ა წ ი ლ ს — ფ ო ნ დ ი დ ა ნ მ ი წ ებ ი ს დ ა რ ი გ ებ ა ს (უფრო მართალი, რომ ვთქვათ, მიყიდვას), აქ სამინისტროს ბევრი დაბრკოლება შეხვდა... მიღებულია ზომები... რომ ამა წლის სეზონში თუ სავსებით არა, — დიდი ნაწილი მაინც შესრულებული იქნებაო".

ამნაირად გლეხკაცობის დიდ ნაწილს ჯერ-ჯერობით მიწა არ მიუღია თუ მიიღებს, სულ მცირედს. მიწას დაეპატრონენ სახელმწიფო და თვითმართველობები, რომლებიც იჯარით აძლევენ მიწას მეტად მძიმე პირობებში.

ასეთია მენშევიკების ნაქები აგრარული რეფორმა. ყრილობაზე შესაფერი რეზოლიუციაც კი არ იქნა წარმოდგენილი.

გაზ. „საქართველოს კომუნისტი"
1920 წლ. 27 ივნისი, № 9.

# მიწის საკითხი

ჩვენი რევოლიუციის მსვლელობაში მიწის საკითხი თამაშობდა და ახლაც თამაშობს პირველხარისხოვან როლს. საქართველოში, როგორც საერთოდ რუსეთშიაც, იგი პირველ რიგში დადგა ჯერ კიდევ პირველი რევოლიუციის დროს 1904 — 1905 წლებში. მიწის დიდი სიმცირე და ბატონყმობის ნაშთები, რომელნიც უკანასკნელ დრომდე არსებობდენ, მეტისმეტად ავიწროვებდენ საქართველოს გლეხობას. აგრარული რევოლიუცია ჩვენში საქართველოში დაიწყო უკვე 1903 წლიდან. რამდენიმე მაზრების გლეხები აჯანყდნენ მემამულეების წინააღმდეგ და, განდევნეს რა ისინი თავიანთი სამფლობელოებიდან, მათ მამულებს თითონ დაეუფლენ. მაგრამ რევოლიუციის დამარცხების შემდეგ 1905 და 1906 წლებში, გლეხები სასტიკად იქნენ დასჯილნი, დამცირებულნი და ისევ დამონებულნი მემამულეების მიერ. ამას შემდეგ მენშევიკები თავიანთ გაზეთებში, რომლებიც განაგრძობდნენ გამოსვლას შავი რაქციის მთელი ხნის განმავლობაში, დაწყებული 1907 წლიდან 1917 წლამდე. — არწმუნებდნენ ხალხს, რომ რევოლიუციის პერიოდი რუსეთში უკვე დასრულდა. რევოლიუციის მოლოდინი არ უნდა ვიქონიოთ, ახლა უნდა მოვითხოვოთ და მივაღწიოთ სახელმწიფო სათათბიროს საშუალებით. რომელიც თითქო პარლამენტს წარმოადგენს. სხვადასხვა სოციალურ რეფორმების გატარებას მუშების და გლეხების მდგომარეობის გასუმჯობესებლად. სტოლიპინ [30])-დურნოვო [31])-ტრეპოვის [32]) რეაქციის ხანაში, სახ. სათათბიროს მენშევიკი წევრები ჩხეიძე. [33]) ჩხენკელი, [34]) გეგეჭკორი. [35]) მენშევიკი პუბლიცისტები ჟორდანიას [36]) მეთაურობით და მენშევიკების მთელი პრესა საქართველოში სისტემატიურად და დაჟინებით სცდილობდნენ ცხოვრებაში ლეგალური პარტიის აუცილებლობა გაეტარებინათ, ერთხელ და სამუდამოთ კავშირი გაეწყვიტათ არალეგალობასთან, შეთქმულებასთან და გარდაქცეული ყოფილიყვნენ პირდაპირ ოპოზიციურ პარტიათ. და თუ ყველა ამის მიუხედავათ მენშევიკებმა ამ ხნის განმავლობაში კიდევ ვერ შესძლეს საბოლოოთ მოესპოთ თავიანთ რიგებში არალეგალური ორგანიზაციები, — ეს აიხსნება იმით. რომ მთავრობა, ჯერ ერთი, ჩვენში მენშევიკებს არ ენდობოდა, და მეორე. იგი მოითხოვდა მათგან უფრო მეტ დათმობებს, ე. ი. მათი, როგორც პოლიტიკური პარტიის, სრულ მოსპობას, ე. ი. მათი საბოლოო გაშავებას მუშების წინაშე. ყველა ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი რომ თებერვლის რევოლიუციის წინ 1917 წელს მენშევიკების საოლქო კომიტეტი არსებობდა ნახევრად ლეგალურად, ყველა მისი წევრები იცოდა კავკასიის უმაღლესმა საადმინისტრაციო ხელისუფლებამ და ყველა ისინი ლეგალურათ ცხოვრობდნენ, ამასთან, მენშევი-

ქების ცაზეთები დაუბრკოლებლად გამოდიოდნენ. აღნიშვნის ღირსია აქ ისიც, რომ მენშევიკები, როგორც სიტყვიერათ, ისე პრესაში, იმპერიალისტური ომის დროს გაძლიერებულ კამპანიას აწარმოებდენ მუშების სამხედრო სამრეწველო კომიტეტებში მონაწილეობის სასარგებლოთ ერთის მხრივ, და გაფიცვითი მოძრაობის წინააღმდეგ — მერეს მხრივ.

ამავე დროს მენშევიკები: ჩხენკელი, ჩხეიძე, გეგეჭკორი, როგორც სახელმწიფო სათათბიროს წევრნი, სისტემატიურად მოგზაურობდნენ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. მუხლმოდრეკით წარმოუდგებოდნენ ადგილობრივი ადმინისტრატიულ და სხვა ხელისუფლებებს, ღძრავდნენ მათ წინაშე ყოველგვარ შუამდგომლობას ადგილობრივი მუშების და გლეხების სახელით დამოუკიდებლად იმისა, იძლეოდნენ თუ არა რეალურ შედეგებს ეს შუამდგომლობანი (შევნიშნავთ გაკვრით. რომ აქედან სრულიად არაფერი სარგებლობა არ გამოვიდოდა), მაინც მასის თვალში. უმთავრესად, ჩამორჩენილისაში, ყველა ეს მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი იმაზე, რომ სოციალ-დემოკრატიული დეპუტატები თხოულობენ, შუამდგომლობენ ხელისუფლებათა წინაშე გზების და ხიდეების შეკეთებაზე, სკოლების გახსნაზე, მუშებისათვის სამუშაო ხელფასის მომატებაზე და სხვა, ხდიდნენ მათ პოპულიარულ ადამიანებად ამ მასების თვალში. ამით აიხსნება, თუ ერთბაშად რატომ მოექცნენ ეს ვაჟბატონები თითქმის ყველა ორგანიზაციას სათავეში თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, რომელიც მათთვის სრულიად მოულოდნელი იყო; თუ რატომ ამ რევოლიუციის პირველივე დღეებიდან მათ მასებში დიდი გავლენა ჰქონდათ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზევით, რომ თებერვლის რევოლიუცია საქართველოში და მთელს ამიერ-კავკასიაში სრულიად მოულოდნელი რამ იყო. საქართველოს მუშები, მით უმეტეს გლეხები არამც თუ არ ემზადებოდნენ ახალი რევოლიუციისათვის, მათში არ იყო უბრალო რევოლიუციონური სულიერი განწყობილებაც. ეს სამწუხარო ფაქტი მენშევიკების მთელი წინანდელი მოღვაწეობის ნაყოფი და შედეგი იყო.

ვინაიდან მენშევიკებს საქართველოს მასებში უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდათ. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ეს მასები დირექტივებს მათგანვე ელოდნენ, მენშევიკები კი ასეთ დირექტივებს აძლევდნენ, რომ დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ყველაფერი ძველებურად უნდა დარჩენილიყო, რომ მუშების და გლეხების მიერ არ უნდა ყოფილიყო არავითარი დამოუკიდებელი. აქტიური, თვითნებური ნაბიჯი და მოქმედება გადადგმული და ჩადენილი, ე. ი. მუშებს უწინდებურათ კაპიტალისტების სასარგებლოთ უნდა ემუშავნათ, გლეხებს მემამულეების, ხოლო ჯერჯერობით უნდა დამორჩილებოდნენ კაპიტალისტების და მემამულეთა დროებითი მთავრობას. ამიერ-კავკასიაში დროებით მთავრობის წარმომადგენლის, მენშევიკ ჩხენკელის [87]) მიერ გაგზავნილი იყვნენ დამსჯელი რაზმები გლეხთა „დასამშვიდებლად", მაგრამ დამსჯელ რაზმებთან ერთად გლეხებთან იგზავნებოდნენ მენშევიკი აგიტატორები იმავე მიზნით. გლეხებს იმ აზრს აგონებდენ, რომ დაუშვებელია მიწის თავისნებითი დაუფლება, ან თვითნება უარის თქმა მემამულეებისათვის საიჯარო საფასურის გადახდაზე მიწის სარგებლობისათვის, რომ გლეხებმა უნდა დაუცადონ მიწის საკითხის გადაწყვეტას

დამფუძნებელი კრების მიერ, რომელიც უახლოეს დროში იქნება მოწვეულიო. საქართველოს გლეხობა უმრავლეს შემთხვევაში დაენდო ამ დაპირებებს და უცდიდა დამფუძნებელ კრების მოწვევას, მაგრამ განვლო გაზაფხულმა, გაიარა ზაფხულმა, დადგა შემოდგომა, ხოლო დამფუძნებელი კრების შესახებ, დაპირებების გარდა, არაფერი ისმოდა. ამ ამაო მოლოდინში განვლო მინდვრის, ყანის დამუშავების დრომ. ამ დროს მთელ საქართველოს მიეღო ცნობა ოქტომბრის რევოლიუციაზე რუსეთში და მისი მნიშვნელობის შესახებ მშრომელ მასებისათვის, უმთავრესად, მიწის საკითხის გადაჭრაზე მშრომელი გლეხობის მოთხოვნილებათა და საჭიროებათა თანახმად. თავის თავად იგულისხმება, რომ ამ ამბავმა საქართველოს გლეხობა აამოძრავა. ამას გარდა, სწორედ 1917 წლის შემოდგომის მიწურულებში დაიწყეს სოფლად დაბრუნება ფრონტელებმა, რომელნიც მეტ წილად ბოლშევიკურად იყვნენ განწყობილნი. ხოლო ამიერ-კავკასიის კომისარიატი კი აგვიანებდა მიწის საკითხის გადაჭრას. გლეხებმა ეჭვი შეიტანეს მენშევიკების დაპირებათა გულწრფელობაში. საქართველოს გლეხობისათვის, რომელიც რუსეთს უყურებდა როგორც მშობლიურ ქვეყანას, ხოლო რუს მუშათა კლასს, როგორც თავის ძმას, — უცნაური და გაუგებარი იყო, რომ ქართველმა მენშევიკებმა, რომელნიც უწინ მუდამ რუს პროლეტარიატსა და გლეხობასთან ერთობას ჰქადაგებდნენ, — ერთბაშად შეაქციეს ზურგი საბჭოთა, მუშურ-გლეხურ რუსეთს. და საკვირველი არ არის, რომ გლეხობას, რომელიც აქამდე მოლოდინით ცხოვრობდა, 1917 წლის შემოდგომის მიწურულისთვის სერიოზული მღელვარება აეტყო. რომ აეცილებინათ გლეხების მღელვარება აგრარულ ნიადაგზე, ამიერ-კავკასიის კომისარიატმა, რომელსაც მენშევიკები მეთაურობდნენ და რომელშიაც შედიოდენ მემარჯვენე ესერები და დაშნაკელები, აგრეთვე მემამულეთა წარმომადგენელნი (ხანების, ბეგების და სხვ.), 1917 წლის დეკემბერში 16 დეკემბერს) გ ა მ ო ს ც ა „დ ე კ რ ე ტ ი მ ი წ ი ს შ ე ს ა ხ ებ“.[68]) ამ უკაცრავად სიტყვაა „დეკრეტის“ მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ გლეხებს არაფერი მისცემოდა. დაეტყუებინა ისინი ბუნდოვანი, არაფრის მთქმელი ფრაზებით მემამულეთა მიწების კონფისკაციის შესახებ და ამით, არსებითად რომ ვილაპარაკოთ, დ ა ე ხ ს ნ ა მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა ს ა კ უ თ რ ე ბ ა მ ი წ ა ზ ე. ხსენებული დეკრეტის მთავარი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ლაპარაკობს მიწის მფლობელების რაღაც ნორმებზე მსხვილი მემამულეებისათვის: მიწები ამ ნორმაზე ზევით, როგორც „ზედმეტი“ უნდა ჩამოერთმიათ. უნდა ითქვას, რომ „დეკრეტი“ მიწის შესახებ ამიერ-კავკასიის კომისარიატმა მ ი ი ღ ო ე რ თ ხ მ ა დ, მას ხმა მისცეს მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ებ მ ა ც. ის კიდევ არ ემყარება არავითარ ნორმებს. მენშევიკურ-დაშნაკურ-მუსავატისტურ შემოქმედების ამ ღირსეულ ნაყოფის პირველ მუხლში ნათქვამია: „ყველა მიწები სახაზინო, საუფლისწულო, კერძო და სხვა გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ნ ო რ მ ი ს ზ ე ვ ი თ, რომლის რაოდენობა ცალკე იქნება დაწესებული, გადადიან მიწის საოლქო ფონდში“ და სხვა. ამ პარაგრაფის შენიშვნაში ნათქვამი იყო: „ჩამორთმევას არ ექვემდებარებიან სამოსახლკარო და ახლო მდებარე ადგილები“. შემდეგ „დეკრეტში“ ლაპარაკი იყო მიწის კომიტეტების როლზე, განსაკუთრებული სახალხო-სამეურნეო ღირებულების მქონე მამულებზე და სხვ.,

მაგრამ არავითარ პრაქტიკულ, კონკრეტულ დებულებებს მიწის საკითხის თუ განდ დაახლოვებით გადაჭრის აზრით ის არ შეიცავდა. და ცხადია ამიტომ, რომ ეს „დეკრეტი“ მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

ამ „დეკრეტის“ გამოცემიდან სწორედ ორი თვის შემდეგ 1918 წლის თებერვალს, ამიერ-კავკასიის კომისარიატის სხდომაზე ბ. ჟორდანია *) იძულებული იყო აღიარებინა, რომ „ჩვენმა ხალხმა ჯერ კიდევ ვერ მიიღო ის მთავარი ძირითადი დაკმაყოფილება, რასაც ის მოითხოვდა იმ თავითვე და რისთვისაც ის ჩადგა რევოლიუციის რიგებში, ჩ ვ ე ნ ი ხ ა ლ ხ ი კ ი დ ე ვ ვ ე რ ე ღ ი რ ს ა ა გ რ ა რ უ ლ ს ა კ ი თ ხ ი ს გ ა დ ა ჭ რ ა ს. ჩ ვ ე ნ მ ო გ ვ ე პ ო ვ ე ბ ა დ ე კ რ ე ტ ე ბ ი. მ ა გ რ ა მ ი ს ი ნ ი ქ ა ღ ა ლ დ ზ ე დ ა რ ჩ ნ ე ნ!.. და სანამ ჩვენში არ იქნება მოგვარებული აგრარული საკითხი.... ანარქია თანდათან გაიზრდება, და შესაძლებელია, ეს ანარქია ბოლოს და ბოლოს ჩვენ წაგვლეკავს“. *)

ჟორდანიას სიტყვებიდან სჩანს, რომ მენშევიკებს, რომელნიც რევოლიუციის დასაწყისიდანვე ხელმძღვანელობდნენ ქვეყნის ცხოვრებას, ხალხისათვის არაფერი გაუკეთებიათ, მათ მიერ გამოცემული დეკრეტები ქაღალდზე რჩებოდნენ. ჟორდანიას სიტყვებიდან ჩვენ აგრეთვე იმასაც ვხედავთ, რომ სოციალ-გამცემლების და კადეტების მიერ მოტყუილებული გლეხობა უკვე თვითონ შეუდგა რევოლიუციონურ მოქმედებას, მემამულეთა მიწების დაუფლებას და სხვა. თავისთავად იგულისხმება, რომ ბ. ჟორდანია, როგორც „წესიერების“ და „კანონიერების“ დამცველი, რევოლიუციურ მოქმედებას უწოდებდა და ეხლაც უწოდებს „ანარქიას“, კანონი, კანონი უწინარეს ყოვლისა! კანონს გარეშე არც ერთი ნაბიჯი! ღაღადებს ბ. ჟორდანია. „გლეხებს, — სწერდა ის ჯერ კიდევ 1918 წლის დასასრულს გერმანიის 1848 წლის რევოლიუციაზე და პრუსიელ გლეხებზე, — არ გაეგებოდათ (ჩვენებური ბოლშევიკების მსგავსად), რომ მიწის კონფისკაციისა გადასვლა გლეხობაზედ უნდა იქნენ უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ ნ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს, დ ა მ ფ უ ძ ნ ე ბ ე ლ ი კ რ ე ბ ი ს, კ ა ნ ო ნ ი ს მ ი ე რ, რ ო მ დ ა პ ყ რ ო ბ ა თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ა რ ა ვ ი ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ს“. ჟორდანიას და მენშევიკებს საერთოდ უნდოდათ რევოლიუციისათვის კანონები დაეწერათ, მაგრამ გულუბრყვილო გლეხებს ამის არაფერი გაეგებოდათ. გაბრუებულმა გლეხური რევოლიუციის შიშით, მკვიდრად დაბადებულმა და კონტრ-რევოლიუციონურმა ამიერ-კავკასიის სეიმმა გამოსცა კანონი *) (1918 წლის 8 მარტის თარიღით) „მ ფ ლ ო ბ ე ლ თ ა თ ვ ი ს დ ა ს ა ტ ო ვ ებ ე ლ მ ი წ ი ს ნ ო რ მ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა ზ ე დ ა მ ი წ ი ს რ ე ფ ო რ მ ი ს გ ა ნ ს ა ხ ო რ ც ი ე ლ ებ ე ლ ზ ო მ ებ ზ ე“.

ყველაზე უფრო მთავარი და მნიშვნელოვანი ამ კანონში არის მეორე მუხლი მისი შენიშვნით, და ამიტომ ის აქ უცვლელად მოგვყავს.

„§ 2. მიწის რაოდენობა, რომელიც რჩება ჩამორთმეულ მამულის მესაკუთრეს, ისაზღვრება: ა) 7 დესეტინით, თუ ჩამოსართმევი მამული იმყოფება იმ რაიონში, სადაც მისდევენ მაღალ, ძვირფას კულტურათა მეურნეობას; ბ) 15 დე-

*) მოსსენებანი და სიტყვები, გვ. 66.

სეტინით სახორბლე მეურნეობის რაიონში; გ) 4 დესეტინით უმთავრესად საქონლის მეურნეობათათვის. შენიშვნა: 1. საგუბერნიო (საოლქო მიწის კომიტეტებს) უფლება ეძლევათ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, გ ა ა დ ი დ ო ნ ა მ (2) მ უ ხ ლ ი თ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი მ ე ს ა კ უ თ რ ი ს ა თ ვ ი ს დ ა ს ა ტ ო ვ ე ბ ე ლ ი მ ი წ ი ს ნ ო რ მ ა: პირველი კატეგორიის მამულების კონფისკაციის დროს 10 დესეტინამდე, მეორე კატეგორიისათვის 20 დესეტინამდე და მესამე კატეგორიისათვის 50 დესეტინამდე". *)

უნდა იყოთ გაცნობილი მეურნეობის პირობებს და მიწის სივიწროვეს ამიერ-კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, რომ შეაფასოთ, და გაიგოთ ამ ნორმების მნიშვნელობა. 7 — 10 დეს. საენახე ან თამბაქოს პლანტაციისთვის, 15 — 20 დეს. სახნავ-სათესი და 40 — 50 დეს. საძოვარი — ეს ისეთი ნორმაა საქართველოსა და ამიერ-კავკასიისათვის, რომელიც სრულ შესაძლებლობას იძლევა სხვისი შრომის საექსპლოატაციოდ, ვინაიდან ვერც საშუალო, და მით უმეტეს ვერც წვრილი მეურნე ამოდენა მიწას ვერ გასწვდება. მაგრამ საქმე ამაში არ არის. პირველ ყოვლისა მემამულეებმა მაშინათვე მოისაზრეს, თუ აქ რაშია საქმე და ერთბაშად მიიღეს სათანადო ზომები: მემამულეთა ოჯახების ფიქტიური გაყრა მიწის მეტი რაოდენობის შენარჩუნების მიზნით. ამას გარდა, კადასტრის უქონლობა შეუძლებელს ხდიდა და ხდის მემამულეთა მიწების სწორ აღნუსხვას, — ეს გარემოება მემამულეებმა თავის ინტერესებისათვის მოხერხებულათ გამოიყენეს. ამ მხრივ ტფილ. საგ. სამიწო გამგეობის ინსტრუქციების მე-3 მუხლი, რომელშიაც ლაპარაკია იმაზე, რომ „ო ჯ ა ხ ე ბ ს უნდა დაეტოვოთ ნორმა წ ე ვ რ თ ა რ ი ც ხ ვ ი ს დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ", სწორედ მემამულეთა სურვილებს და ინტერესებს აკმაყოფილებდა და ემსახურებოდა. მაგრამ მემამულეებისათვის საერთო კანონიდან კიდევ უფრო მნიშვნელოვან გამონაკლისს უშვებდენ; ასე მაგალითად. ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის 2 მაისის კანონის [61]) თანახმად, § 4, „კერძო მესაკუთრისაგან ჩამორთმეული მ ა მ უ ლ ე ბ ი ან მ ა თ ი ნ ა წ ი ლ ე ბ ი. რ ო მ ლ ე ბ ს ა ც ა ქ ვ ს გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა მ ე უ რ ნ ე ო ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა, ს ა ო ლ ქ ო ან ს ა გ უ ბ ე რ ნ ი ო მ ი წ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ი ს გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ი თ, შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა ე ტ ო ვ ო თ წ ი ნ ა ნ დ ე ლ ფ ლ ო ბ ე ლ ებ ს დ რ ო ე ბ ი თ, მეურნეობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით". **)

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ, როგორც ამიერ-კავკასიის კომისარიატის. ისე სეიმის მიწის კანონები იწერებოდნენ თითქმის მარტო მემამულეთა ინტერესებისათვის, მათი საკუთრების დასაცავად; ამ მიზნებით ეს კანონები საზღვრავდნენ მათი მამულების მინიმუმს, უშვებდნენ დათმობას, გამონაკლისს, რათა მემამულეებისათვის უზრუნველეყოთ რაც შეიძლებოდა მეტი მიწა. თუ რა მზრუნველობას იჩენდნენ ამ მხრივ მენშევიკები, შეიძლება შემდეგი ფაქტიდან დავინახოთ. 7 მარტის კანონის დასამატებლად, 17 მარტს სეიმმა მიიღო კანონი [62]) ჩამორ-

*) მიწად. მოქ. სამინისტროს კანონების, ინსტრუქციების და განმარტებათა კრებული. თბილისი, 1918 წ. გვ. 45 — 46.

**) იქვე, გვ. 54.

თმეულ მამულების სამეურნეო ინვენტარის რეკვიზიციის შესახებ. ამ კანონის პირველი მუხლი ამბობს: „მიწის სამაზრო კომიტეტებს, ხოლო სადაც ასეთები არ არიან — მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებულთ, უფლება აქვთ ჩამოართვან მამულის კონფისკაციის დროს კერძო მესაკუთრეს ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, თუ ამას ისინი საჭიროდ მიიჩნევენ, გარდა ნაწილისა, რომელიც აუცილებელია მესაკუთრისათვის მის მფლობელობაში დატოვებულ მიწის მეურნეობის საჭიროებისათვის". ხოლო მეორე მუხლი ამავე კანონისა ამბობს: „ჩაბორთმეულ ინვენტარისათვის (შენობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და მასალები, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი და სხვა) მესაკუთრე იღებს საფასურს მიწადმოქმედების მინისტრის მიერ დაწესებულ წესის მიხედვით". *)

ამ მუხლების წაკითხვის დროს ძალაუნებურად გაგონდებათ წარსული საუკუნის 50 — 60 წლები, როდესაც მემამულეები აგრეთვე სწერდნენ კანონებს გლეხებისათვის, რომელნიც ბატონ-ყმურ ურთიერთობას აღწევდნენ თავს. ჩვენი მენშევიკები, მემარჯვენე ესერები, დაშნაკელები და მუსავატელები აგრეთვე ეხზავენ მიწის რეფორმას უდიდეს სოციალისტური რევოლიუციის ხანაში ექსპლოატატორ კლასის — მემამულეთა უფლებების და ინტერესების დასაცავად.

საკითხავია, რაში გამოიხატა უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხობის ინტერესების დაცვა? ამაზე ლაპარაკობს მხოლოდ პირველი მუხლი 1917 წლის 16 დეკემბრის დეკრეტისა, რომელშიაც ჩვენ, სხვათა შორის, ვკითხულობთ შემდეგს: „მშრომელი და მიწადმომქმედი მოსახლეობის უმიწაწყლო და მცირე მიწიანი ნაწილის უზრუნველყოფის მიზნით, მთელი მიწა სახაზინო და სხვა გადაირიცხება მიწის საოლქო ფონდში, რომელიც გადადის სამიწო კომიტეტების გამგებლობაში"... შემდეგ იმავე „დეკრეტის" მეოთხე მუხლი ამბობს: „მიწის კომიტეტები, ცალკე მიწადმომქმედთა საჭიროების ხარისხის გამორკვევის შემდეგ პირველ მუხლში აღნიშნულ მიწებს ანაწილებენ ამ დებულების შემდგომ მუხლებში ნაჩვენებ გამონაკლისებით... მათ შორის, ვისაც ესაჭიროება, — მიწის კომიტეტების მიერ გამომუშავებულ პირობების თანახმად".

ხოლო მე-5 და მე-6 მუხლები გვიჩვენებენ, რანაირი მიწები ექვემდებარებოდნენ ამ გამონაკლისს. მცხოვრებთა შორის არ განაწილდებიან: ა) ტყეები, მიწის წიაღი, წყლები; ბ) სახაზინო, ყოფ. საუფლისწულო, კერძო მესაკუთრეთა და სხვა, რომლებიც გადადიან მიწის კომიტეტების გამგებლობაში, საზაფხულო და საზამთრო საძოვარი, სხვადასხვა ველების, სახაზინო სახარკო (оброчные) სტატიები, აგრედვე მოსარწყავი, ამოსაშრობი და სხვა სამელიორაციო მიწები; გ) განსაკუთრებული სახალხო-სამეურნეო ღირებულების მქონე მამულები".

§ 6. განსაკუთრებული სახალხო-სამეურნეო ღირებულების მქონე მამულებს ეკუთვნიან: ა) რომელნიც იძლევიან მცხოვრებთა მიერ მასიურად მოსახმარ ისეთ

*) იქვე, გვერ. 51-55.

პროდუქტებს, რომლებიც მიწადმომქმედთ არ მოჰყავთ, ან მოჰყავთ არა საკმაო რაოდენობით (სარძეო მეურნეობა, მევენახეობა, მეხილეობა, ჩაის მეურნეობა); ბ) რომელნიც იძლევიან მეურნეობისათვის აუცილებელ ან მისი გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვან საწარმოო საშუალებებს; გ) რომელთაც აქვთ ტეხნიკის ან მეურნეობის ორგანიზაციის მხრივ საჩვენებელი ხასიათი".

მაგრამ ეს სია კიდევ არ აღმოჩნდა საკმარისი: 1918 წლის 2 მაისის კანონით[63] უფრო გამრავლებულ იქნენ მამულების კატეგორიები, რომელნიც მცხოვრებთა შორის განაწილებას არ ექვემდებარებიან. ამ კანონის პირველი მუხლი ამბობს: „ჩამორთმევას და განაწილებას მცხოვრებთა შორის არ ექვემდებარებიან მიწები, რომელნიც ეკუთვნიან ან იმყოფებიან აგრონომიულ დაწესებულებათა, სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო, საქველმოქმედო-სამკურნალო და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე დაწესებულებების სარგებლობაში". II. ა) მცხოვრებლები ვერ ისარგებლებენ და მათ შორის ვერ ნაწილდებიან: ა) მიწის ნაკვრები, რომელნიც მიჩნეულნი არიან ბუნების ძეგლებად და სახატე, შეწირული მიწები და ბ) ნაკვრები ისტორიული და არქეოლოგიური ნაშთებით, როგორც: ნაქალაქევნი, ისტორიული ადგილები, ეზოები კულტურულ განძეულობით და ხელოვნების ნაშთებით, მიწები გაერანებული ეკლესიებით, მონასტრებით, მეჩეთებით, სასაფლაოებით, კოშკებით და სხვა. დასასრულ, მე-3 მუხლის მიხედვით, მიწის კომიტეტებს უფლება ეძლევათ არ გაანაწილონ მცხოვრებთა შორის აგრეთვე ის მიწებიც, რომელნიც თუმცა არ წარმოადგენენ განსაკუთრებულ სახალხო სამეურნეო ღირებულებას ამ კანონის გამოცემის დროს, მაგრამ აუცილებელნი არიან სასოფლო-სამეურნეო საცდელი საქმისათვის, სასოფლო-სამეურნეო განათლებისთვის ან სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მიზნების განსახორციელებლათ".

ამგვარათ მთელი ამ თითქო მიწის რეფორმის მიზანი იყო უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხობის უზრუნველყოფა მიწით, რისთვისაც ყველა სახაზინო, მემამულეთა, საუფლისწულო, საეკლესიო და სხვა მიწა გადადიოდა საოლქო მიწის ფონდში გაპირებულ გლეხთა შორის გასანაწილებლად. ნამდვილად კი საკონფისკაციო მიწების უმეტესობა ჩამოურთმეველი დარჩა წინანდელ მესაკუთრეთა ხელში, ანდა არ ექვემდებარება გლეხთა შორის განაწილებას. ამნაირად ცხადია, რომ გლეხთა შორის გასანაწილებლად შეიძლებოდა დარჩენილიყო მიწის მეტად მცირე რაოდენობა, რომელსაც გლეხების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მცირედაც არ შეეძლო.

როგორც ზევით ნათქვამი იყო, ყველა ამ კანონების ერთი ნაწილი გამოცემული იყო ამიერ-კავკასიის კომისარიატის, ხოლო ნაწილობრივ კი სეიმის მიერ, რომელნიც ორივე ასე სამარცხვნოდ მოკვდენ. მაგრამ ამერ-კავკასიის სახელმწიფოს მაგივრად, რომელიც ფაქტიურად არასოდეს არ არსებობდა, აღმოცენდნენ სამი ერთმანეთის მოძულე რესპუბლიკები: საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი, ამასთან თითოეულმა მათგანმა, იყო რა გართული, გერმანულ-ოსმალელ იმპერიალისტური ჯარების დახმარებით თავის ქვეყნის შიგნით მუშურ-გლეხური რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, სრულებით მიივიწყა კომისარიატის და სეიმის მიერ გამოცემული კანონების არსებობა. და თუ 1918 წლის

დასაწყისში ბ. ჟორდანია [41]) ამბობდა, რომ „ჩვენი ხალხი კიდევ ვერ ეღირსა აგრარულ საკითხის გადაჭრას. რომ აგრარული კანონმდებლობა ქაღალდზე დარჩა", ეს მას არა ნაკლები საბუთით შეეძლო განემეორებინა არა მარტო 1919 წლის დასაწყისს. არამედ 1920 წლის დასაწყისშიაც.

1918 წელმა მენშევიკებისათვის განვლო გლეხურ აჯანყებებთან ბრძოლაში, ის საშინელებანი და სიმხეცენი, რომლებსაც ჩადიოდნენ ამ აჯანყებათა ჩაქროთველოს და მენშევიკურ მთავრობას ემუქრებოდნენ დედამიწის ზურგიდან აღგვით. რევოლიუციის დასაწყისში გლეხები დარწმუნებული იყვნენ, რომ ისინი ბოლოს განთავისუფლდებოდნენ მენშევიკების ულლისაგან, მათი ჩაგვრისაგან, და მენშევიკებიც თავიანთი დაპირებებით უძლიერებდნენ მათ ამ რწმენას. მაგრამ როდესაც გლეხები დარწმუნდნენ, რომ მენშევიკები მათ ატყუებენ, რომ მათ სურთ დასტოვონ და იხსნან მემამულეთა საკუთრება, მაშინ დაიწყო აჯანყებები. ეს აჯანყებები, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი ხდებოდნენ სრულიად სტიქიურად, — ატარებდნენ სავსებით რევოლიუციურ ხასიათს; გლეხები გარკვევით მოითხოვდნენ ყველა კერძო მესაკუთრეთა, სამონასტრო, საეკლესიო, საუფლისწულო და სხვა მიწების დაუყოვნებლივი ჩამორთმევას და მათი გადაცემას გლეხთა კომიტეტების ხელში და მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების დაბუყარებას და საბჭოთა კავშირის აღდგენას. გლეხები აჯანყებების დროს ამ ლოზუნგებს სავსებით ატარებდნენ ცხოვრებაში. მენშევიკებმა სისხლით და რკინით მოახერხეს ამ აჯანყებათა ჩაქრობა 1918 წელს. აქ ადგილი არ არის ავწეროთ ის საშინელებანი და სიმხეცენი, რომლებსაც ჩადიოდნენ ამ აჯანყებათა ჩაქროობის დროს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ამ შემთხვევაში არაკი ჩამოუარდებიან ფინელ და უნგრეთელ თეთრგვარდიელებს.

ამ აჯანყებებს ჰქონდათ ის დადებითი შედეგი, რომ გლეხები უკვე სავსებით დარწმუნდნენ იმაში, რომ მენშევიკები მატყუარები და მოღალატეებია. რომ ისინი ნამდვილათ მხოლოდ თავად-აზნაურობას და ბურჟუაზიის ინტერესებს იცავენ, რომ მათი წითელი გვარდია — ნამდვილი-თეთრი გვარდიაა, რომელიც ღვრის გლეხების სისხლს მათ ბრძოლაში ბურჟუა-მემამულეთა საკუთრების წინააღმდეგ. საქართველოს მუშების სასირცხვილოდ უნდა ითქვას, რომ მენშევიკების ლიდერებმა მოახერხეს პროვოკაციის, ცილისწამების და სიცრუის გზით რევოლიუციური გლეხების წინააღმდეგ მუშების ნაწილის ამხედრება, რომლებიც „წითელი" გვარდიის სახით სჩადიოდნენ და ახლაც ჩადიან საქართველოს მუშებისა და გლეხების მიმართ მეტად ველურ სიმხეცეს და უმზგავსოებას. მენშევიკებმა მუშების ნაწილი დაარწმუნეს იმაში, რომ გლეხები აღსდგნენ არა მემამულეების და ბურჟუაზიის, არამედ რევოლიუციის და ქალაქის მუშების წინააღმდეგ და მოდიან ქალაქში, რომ აღადგინონ ძველი მეფის რეჟიმიო. მათთვის საჭირო იყო ეს საზიზღარი პროვოკაცია, რათა მემამულეები და ბურჟუაზია დაეხსნათ. და ტყუილად კი არ გაერთიანებულან მენშევიკებთან რევოლიუციური გლეხობის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი ბურჟუაზია-მემამულეთა ხროვა, ყველა პარაზიტი, თავად-აზნაურობა. ეაპარი, სამღვდელოება და სხვ. მართალია, გლეხობა ფიზიკურათ დამარცხდა, მაგრამ ზნეობრივი გამარჯვება, იგულისხმება. იყო არა რევოლიუციის მესაფლავეთა, მემამულეების და ბურჟუაზიის და

მათი დამქაშ მენშევიკების მხარეზე. თვით მენშევიკები იძულებულნი იყვნენ ეს აღეარებინათ, როდესაც ისინი, აჯანყებათა ჩაქრობის შემდეგ, თავიანთი გაზეთების ფურცლებზე აშკარად ამბობდნენ, რომ ამბოხებისათვის ნიადაგი იყო, რადგან აგრარული საკითხი გადაუჭრელი დარჩაო...

საფიქრებელი იყო, რომ ასეთი მძიმე გამოცდილების შემდეგ, მენშევიკები ანგარიშს გაუწევდნენ მწარე გაკვეთილებს და სერიოზულათ მოკიდებდნენ ხელს აგრარულ საკითხის გადაჭრას. მაგრამ არა. ისინი ბოლომდის დარჩენ თავის თავის ერთგულნი. მთელი მათი მუშაობა იმაში გამოიხატა, რომ 1919 წლის 2 იანვარს გამოიცა „კანონი მიწის სახელმწიფო ფონდიდან მცხოვრებლებისათვის მიწების კერძო საკუთრებად გადაცემის შესახებ". [88]) არაფერ საკანონმდებლოს ან ახალს ეს „კანონი" არ შეიცავს. იგი მხოლოდ ადასტურებს კომისარიატის და სეიმის საკანონმდებლო ვარჯიშობას, რომელიც მიმართულია ბურჟუაზია-მემამულეთა საკუთრების დაცვისაკენ. ის ახალი რამ, რაც მენშევიკებმა შეიტანეს მიწის საკითხის გადაჭრაში, იმაში მდგომარეობს, რომ უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებს საფასურის გადახდით უნდა მისცემოდა კერძო საკუთრებად მიწა ფონდის ნაშთებიდან, გარდა იმ უუდიდეს გამოკლებათა, რომლების შესახებ ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი. ამასთან მთელი ეს პროცედურა იმდენათ რთულია, გარემოცულია იმდენი დაბრკოლებებით, რომ უმიწო ან მცირემიწიან გლეხების მიერ მიწის სახელმწიფო ფონდიდან მიწების შესყიდვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მეტად იშვიათ შემთხვევებში.

ამნაირად, ქართველმა მენშევიკებმა ვერაფერი შესძლეს იმაზე მეტის გაკეთება, რომ ხან-ბეგების სეიმის და ბურჟუაზია-მემამულეთა კომისარიატის აგრარული კანონები გამოაცხადეს უდიდეს აგრარულ რეფორმად, რომელიც როდისმე გაუტარებია რომელიმე სახელმწიფოს. ისინი აცხადებენ, რომ ასეთი რეფორმის გატარება შეეძლო მხოლოდ ქართველ მენშევიკების „სოციალისტურ" მთავრობას. მაგრამ ამ რეფორმის საუკეთესო დადასიათება მოცემულია თვით გლეხების მიერ, ერთის მხრივ, და იმ მოწონებით, რომლითაც შეხვდნენ მენშევიკების აგრარულ კანონმდებლობას მემამულეები და საერთოდ ბურჟუაზიული კლასები. გლეხებმა, როდესაც მათ მოუხდათ ამ რეფორმის დაახლოვებით გასცნობოდნენ, ასე განაცხადეს: „თუ ეს რეფორმა განხორციელდება, არა მემამულეების მიწებს ჩამოეჭრებათ ზედმეტი ჩვენდა სასარგებლოთ, არამედ, პირიქით, ცნობილია, რომ მემამულენი საერთოდ ამ რეფორმით სავსებით კმაყოფილნი დარჩნენ, რომ არავისთვისაა საიდუმლო, გლეხებს რომ გაეგარკვათ და საბჭოთა ხელისუფლება დამყარებულიყო, მემამულეთა საკუთრება მიწაზე სავსებით მოსპობილი იქნებოდა. მემამულეთ ეს კარგათ ესმით და მხედველობაში იღებენ: იმათ იციან, რომ მენშევიკებმა ისინი დაღუპვისაგან იხსნეს. ამიტომაც მემამულენი, აზნაურები, თავადები, ბურჟუები მუდამ ხალისით ილაშქრებენ მენშევიკებთან ერთად გლეხების წინააღმდეგ. სიმართლე რომ ითქვას, მემამულენი თანდათან აღწევენ ყველაფერ იმას, რაც მათ უნდათ, და ყველაფერი ეს ხდება მენშევიკების „სოციალისტური" კანონების თანახმად. იქ, სადაც ისინი ვერ ახერხებენ მთლიანად დატოვონ მთელი თავისი მამული, როდესაც

საამისოდ სრულიად არავითარი საფუძველი არ მოიპოვება, ისინი მაინც ახერხებენ მთელი თავისი მამულის შენარჩუნებას, მთავრობისაგან იჯარით აღებულის სახით.

უკანასკნელ დროს მემამულე-ბურჟუაზიის ჯგუფმა გაატარა მენშევიკურ დამფუძნებელ კრებაში კანონი მიწის სახელმწიფო ფონდიდან გლეხების მიერ შეძენილ მიწების გაყიდვის შესახებ. ეს პრინციპიალური საკითხია. საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ თავად ლევოვის [86]) დროებით მთავრობის დროიდან აკრძალული იყო მიწის სყიდვა-გაყიდვა. მაგრამ მიწაზე კერძო საკუთრების პრინციპი, როგელიც საფუძვლად დაედო მენშევიკების აგრარულ კანონმდებლობას, იგულისხმება, ამ აკრძალვას ვერ შეურიგდებოდა. და აი, მენშევიკების დამფუძნებელმა კრებამ გაატარა კანონი მიწების სყიდვა-გაყიდვაზე. ცხადია, რომ ამიერიდან ყველა ნორმა, ყველა მინიმუმი და მაქსიმუმი ჰკარგავს თითქმის ყოველგვარ მნიშვნელობას, და მხოლოდ დამაბრკოლებელია მიწით სპეკულიაციის თავისუფალი განვითარებისათვის და მიწის საკუთრების თავმოყრისათვის მსხვილი მიწათმფლობელთა ხელში. რანაირია მენშევიკური აგრარულ რეფორმის შედეგები? გადაკრილია თუ არა საქართველოში მიწის საკითხი თუგინდ რამდენიმედ მაინც გლეხების სასარგებლოთ? ამ კითხვებზე მხოლოდ უარყოფითი პასუხის გაცემა შეიძლება. მენშევიკების აგრარულმა რეფორმამ სარგებლობა მოუტანა მხოლოდ მდიდარ, საშუალო და მსხვილ მიწის მესაკუთრეთ. გლეხებს, განსაკუთრებით წვრილ, უმიწაწყლო და მტირე მიწებიანს მან არაფერი, ან თითქმის არაფერი არ მისცა.

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ამ ფაქტების უარყოფას ვერ ახერხებს თვით მსხვილი ქართველი მიწის მფლობელთა ორგანოც, გაზ. „მიწა“. [87]) 1920 წლის ნოემბრის ერთ-ერთ ნომერში ეს გაზეთი სწერს: „ცნობილია, რომ ბ. ხომერიკის [88]) (მიწადმოქმედების მინისტრის) აგრარულმა რეფორმამ დიდი მითქმა-მოთქმა და ხმაურობა გამოიწვია თავისი გაურკვევლობით და უსამართლობით. ზოგს დაუტოვეს ერთი ნორმა, ზოგს კიდევ ორი-სამი (საქმე ეხება მსხვილი მიწის მესაკუთრეთა ნორმებს. ფ. მ.). განაწილების საქმეში არ ხელმძღვანელობდნენ არავითარი პრინციპით და თვით მიწის კომისიამ არ იცოდა რატომ ერთ ინტელიგენტს აძლევდნენ ერთს ნორმას ხოლო მეორეს ორს, მესამეს კი სრულიად უნორმოდ სტოვებდენ (აქ, ცხადია, ლაპარაკია მემამულეთა მიერ ნორმების მიღებაზე ყალბი დოკუმენტებით, ამასთან ერთი და იმავე პირი ახერხებდა ზოგჯერ ორი-სამი ნორმის მიღებას. ფ. მ.)... ჩვენ არაფერი გვექნებოდა სათქმელი, რომ ეს მიწები უღარიბეს გლეხების ხელში გადადიოდეს, მაგრამ ესეც რო არა ხდება. მიწებს ისევ შეძლებულნი დაეუფლენ“... ასე სწერენ მიწის მსხვილ მესაკუთრეთა ორგანოში. აშკარაა, რომ არა ეს ვაჟბატონები, გამოვლენ ღარიბ გლეხობის დამცველთა როლში! უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ისინი უკმაყოფილონი არიან მენშევიკებით, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა მათ მოახერხეს ორ-ორი, სამ-სამი ნორმის მიღება. აი რაშია საქმე. და ამიტომ გლეხების დამოკიდებულება მენშევიკების აგრარულ რეფორმისადმი ღრმად უარყოფითი იყო და ასეთივე რჩება. და იგი არ შეიძლება

ასვაგვარი იყოს იმ მდგომარეობაში, როდესაც, მენშევიკების ბელადის და ერთდროულად მთავრობის მეთაურის ბ. ჟორდანიას [*]) განცხადებითაც, გლეხობის 90 პროც. იძულებულია სხვის მიწაზე იმუშაოს. ამგვარად, მენშევიკების მმართველობის თითქმის სამი წლის შემდეგ გლეხობა ამ მდგომარეობამდე მივიდა! მე მგონია, უარესი მდგომარეობა არ ყოფილა თვით მეფის დროსაც. ჩვენი ულრმესი რწმენით მენშევიკების აგრარული რეფორმა უდიდესი მსოფლიო რევოლიუციის ხანაში, მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში, თავის შედეგებით საქართველოს მშრომელი მასების მიმართ გაცილებით დაბლა დგას 1861 წლის მეფის რეფორმაზედაც კი. თუ მიწების ნაწილი წინანდელ მსხვილ მესაკუთრეებს ჩამოერთვა კიდეც, ეს მიწები გადავიდნენ მენშევიკების ბურჟუაზიულ სახელმწიფოს განკარგულებაში, რომელიც თუ ზოგჯერ გასცემს მათ გლეხებზე იჯარით, გაცილებით უარეს პირობებში, ვინემ ეს ხდებოდა წინანდელ მესაკუთრეების დროს. ბოლოს და ბოლოს, მიწამ მხოლოდ მესაკუთრე გამოიცვალა: ძველი მესაკუთრის ნაცვლად გაჩნდა ახალი მოიჯარადრე სხვადასხვა მენშევიკურ აგენტების სახით, რომლებსაც ქართული მთავრობა უხვად აჯილდოვებს უდიდესი მამულებით, რევოლიუციურ გლეხობის და მუშების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. და როდესაც ბ. ჟორდანია ამბობს, რომ „ჩვენ ჩამოვართვით ყველაფერი ჩვენ ზუბრებს და ხალხს გადავეცით“-ო, [*]) ეს სიცრუეა და პირმოთნეობა, ვინაიდან ეს რომ მართალი ყოფილიყო, მაშინ აღარ იქნებოდა 90 პროც. მშრომელი გლეხობა, რომელიც იძულებულია სხვისი მიწა დაამუშავოს. დამახასიათებელია, მაგ., ასეთი მოვლენა. ერთი წლის წინედ ხონის რაიონში (ქუთ. გუბ.) დაარსდა გლეხთა კავშირი, რომელშიაც შედიან უმიწაწყლო და მცირეწიწიანი გლეხები. ამ კავშირის მიზანია შეაკავშიროს უმიწო და მცირემიწიანი გლეხები და დაუპირდაპიროს მათი გაერთიანებული ძალა მიწის მესაკუთრეთ, რომელნიც მიწას იჯარით იძლევიან. კავშირმა გამოიმუშავა განსაზღვრული პირობები, რომლების თანახმად მის წევრებს იჯარით უნდა აეღოთ შემამულეთა მიწები. მემამულეები ამ პირობებზე არ დასთანხმდნენ, გამოაცხადეს ისინი კერძო საკუთრების შელახვად. ძალდატანებად მათი ნებისყოფაზე და სხვა. მაშინ კავშირმა მათ ბოიკოტი გამოუცხადა. მემამულენი ამით აღშფოთდნენ და მოითხოვეს, რომ მენშევიკების მთავრობა ჩარეულიყო საქმეში და გლეხობა აეძულებინა კანონს დამორჩილებოდა. ეს კონფლიქტი დღემდე დასრულებული არ არის, ამასთან მენშევიკების მმართველი პარტია საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში იქნა ჩაყენებული. ვინაიდან აღმოჩნდა, რომ გლეხთა კავშირს სათავეში უდგას ერთი თვალსაჩინო ადგილობრივი მენშევიკის მეუღლე.

მეორე მხრივ, მემამულენიც კავშირდებიან. ამას წინად მათ მოაწყვეს ს ა ს ო ფ ლ ო-ს ა მ ე უ რ ნ ე ო პ ა ლ ა ტ ა. ამის გამო ქართული აგრარიელიეს ორგანო, გაზ. „მიწა“ 1920 წლის 7 ნოემბრის თარიღით სწერდა, პალატის უმთავრესი მიზნებია: „მ ე ღ ვ ი ნ ე თ ა ყ რ ი ლ ო ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ს, მ ე ვ ე ნ ა ხ ე თ ა, მ ე თ ა მ ბ ა ქ ო ე პ ლ ა ნ ტ ა ტ ო რ ე ბ ი ს დ ა მ ე ც ხ ვ ა რ ე თ ა გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა“. ეს ჯერ საკმაოდ უწყინარი განზრახვაა, მაგრამ ისინი ეორ-

[*]) მოხსენებანი და სიტყვები, გვ. 180.

დანია-რამიშვილის [70]) მთავრობის შემწეობით თავის საქმეს წარმატებით განაგრძობენ.

რაც შეეხება გლეხობას, განსაკუთრებით ღარიბ გლეხობას, მას მხოლოდ თავისი თავის იმედი უნდა ჰქონდეს. რაც არ უნდა „ასწავლოს ჭკუა“ ჩვენ გლეხებს მენშევიკების ჯალათმა დგებუაძემ, [71]) გოგუაძემ [72]) და სხვებმა ჯერ კიდევ 1918 წელს, მაგრამ გლეხებს მაინც არ დაუყრიან იარაღი. ოქტომბრის აჯანყება 1919 წელს თვით გლეხების თაოსნობით იყო მოწყობილი. ისინი აცხადებდნენ, რომ მენშევიკური რეჟიმის ატანა შემდეგში აღარ შეუძლიათ, რომ სულ ერთია მაინც იღუპებიან. დეე ბრძოლაში მაინც დაიღუპონ.

1919 წელს მენშევიკები უფრო საშინლად, უფრო სასტიკად გაუსწორდნენ თავიანთ მსხვერპლს, ვინემ 1918 წელს. ათეული და ასეული მუშები ისევ დახვრეტილ იქნენ ან კატორღაში გაგზავნილნი. ასობით და ათასობით ჩასვეს საპყრობილეებში, მაგრამ ასეთი მსხვერპლის მიუხედავათ, რევოლიუციური სული სრულებით არ გამქრალა: აღფრთოვანება, მისწრაფება ბოლო მოეღოთ მენშევიკების რეჟიმისათვის არამც თუ კლებულობდა, უფრო იზრდებოდა, ვინაიდან მთელი წინანდელი გამოცდილება და მენშევიკური მთავრობის მთელი მოღვაწეობა ჩვენ გვეუბნება, რომ არავითარი შერიგება მენშევიკების მთავრობასა და საქართველოს მუშურ-გლეხურ მასებს შორის არ არის და არც შეიძლება იყოს. [73])

# ნაწილი მესამე

# მიწის საკითხის გადაჭრა

მთელი ოთხი წლის განმავლობაში ამაოთ ელოდებოდა საქართველოს გლეხკაცობა მიწის საკითხის სამართლიანათ გადაჭრას. 1917 წლის რევოლიუციამ მას მიწის გადაცემა დაპირდა, მაგრამ მხოლოდ იმავე წლის ოქტომბრის რევოლიუციამ მიანიჭა რუსეთის გლეხ-კაცობას ეს მიწა. მაგრამ. როგორც მოგეხსენებათ, ეს მოხდა მხოლოდ საბჭოთა რუსეთში. რაც შეეხება საქართველოს, აზერბეიჯანს და სომხეთს, ე. ი. წინანდელ ამიერ-კავკასიას, აქ მიწის საკითხის გადაჭრამ სულ სხვა მიმართულება მიიღო.

აქ გაბატონებულმა პარტიებმა — მენშევიკებმა, დაშნაკელებმა და მუსავათელებმა მოინდომეს გლეხკაცობის დატყუება, რათა მემამულეთა მიწადმფლობელობა დაეხსნათ განსაცდელისაგან. სიტყვით ეს პარტიები და ყველაზე უწინ ქართველი მენშევიკები გლეხკაცობას მიწას ჰპირდებოდენ. თითქო აძლევდენ კიდეც, სიტყვით ისინი ახდენდენ მსხვილ მემამულეთაგან მიწის კონფისკაციას საქმით გაჭირვებულ გლეხკაცობას მიწა ან სრულებით არ მიუღია ან, თუ მიიღო სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა. დიდძალი მიწები ან ისევ წინანდელ მემამულეთა ხელში დარჩა ან თვით მენშევიკების მთავრობის განკარგულებაში გადავიდა მიწის ფონდის სახით. ამ ფონდიდან მენშევიკებმა იწყეს მიწის იჯარით გაცემა უმეტეს ნაწილათ სხვილ მეიჯარადრეებზე და მხოლოდ სულ უკანასკნელ ხანებში გადასწყვიტეს მცირე მიწის მეპატრონეებისთვის მიეყიდათ მიწის განსაზღვრული რაოდენობა. თავისთავად იგულისხმება, რომ მენშევიკების ასეთი აგრარული რეფორმა, რომლთაც ისინი იკვეხნიდენ თავს, სავსებით მოკლებულია სამართლიანობას. ამ რეფორმამ უზრუნველჰყო მხოლოდ წინანდელი მსხვილი მემამულეები; გაჭირვებულ, უმიწაწყლო და მცირე მიწის მეპატრონე გლეხკაცობას არა შესძენია რა, როგორც იყო იგი დამოკიდებული მემამულეამუშავებდა სხვა მიწას, ყოველივე ეს ისევ უცვლელი დარჩა. მენშევიკების რეთაგან, ისევ ისეთი დარჩა, როგორ იხდიდა წინეთ ღალას, იჯარას, როგორც ამუშავებდა სხვა მიწას, ყოველივე ეს ისევ უცვლელი დარჩა. მენშევიკების რეფორმით ჩვენი გლეხკაცობა ყოველთვის დიდათ უკმაყოფილო იყო, მან არა ერთხელ სცადა იარაღით ხელში ამ უსამართლობის თავიდან აცილება, მაგრამ მტერი მაზე უფრო ძლიერი გამოდგა. და მხოლოდ აი ახლა, ოთხი წლის ამაო ლოდინის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებით საქართველოში, მიწის საკითხის გადაჭრა ხდება სამართლიანად მშრომელი გლეხკაცობის სასარგებლოთ.

მენშევიკებმა, რა თქმა უნდა, ბევრი ჭორი, ბევრი სიცრუე და ცილისწამება გაავრცელეს ბოლშევიკების წინააღმდეგ იმედგაცრუებული გლეხკაცობის გულის მოსაგებათ, მათ სცადეს გლეხებისთვის ჩაეგონებიათ, რომ ბოლშევიკები

მოსვლისთანავე არა თუ არ მისცემენ გაპირვებულ გლეხებს მიწას, არამედ წაართმევენ მათ იმათაც, რაც აქვთო. ამ ცილისწამებასაც, ამ საზიზღარ ჭორსაც დღეს ბოლო ეღება. საქართველოს რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ო ნ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს დ ე კ რ ე ტ ი მ ი წ ი ს შ ე ს ა ხ ებ, [74]) რომელიც ამასთანავე საყოველთაოდ ქვეყნდება, ცხადყოფს ჩვენი მტრების და ხალხის მატყუარების სიყალბეს და სიფლიდეს. საქართველოში ამიერიდან ყველა მიწები მთელი მშრომელი ხალხის კუთვნილებას შეადგენს. მიწა ყველა მშრომელისთვის ხელმისაწდომი ხდება. ყველა მსხვილ მემამულეებს მიწა შენობებით, სამეურნეო იარაღებით, პირუტყვით უნდა ჩამოერთვას უსასყიდლოთ და მშრომელ გლეხკაცობის განკარგულებაში უნდა გადვიდეს. რა თქმა უნდა, ამ გარემოებას ხაზი უნდა გაესვას, — წვრილი და საშუალო მიწის მფლობელი ხელუხლებელი რჩება. ის მიწა, რომელიც დღეს იმათ ხელშია, უნაკლულო რჩება იმათვე სარგებლობაში და მიეცემათ კიდევ იმდენი მიწა, რამდენიც საჭიროა იმათ ოჯახურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. დღიდან დეკრეტის გამოქვეყნებისა სოფლებში და სასოფლო საზოგადოებებში ანუ თამებში უნდა შესდგეს ადგილობრივ ღარიბ გლეხებიდან მიწის კომიტეტები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც მიწის ნორმას, რომელიც უნდა ჩამოერთვათ ყოფილ მემამულეებს, ისე ნორმას, რომელიც უნდა მიწის ფონდიდან გადაეცეს სრულიად უსასყიდლოთ გლეხ-კაცობის ცალკე ოჯახებს. ის ნორმები, რომლებიც დაწესებული იყო მენშევიკების მიერ სხვილ მიწადმფლობელებისთვის, რა თქმა უნდა, უქმდება. უქმდებიან ამასთანავე ყ ა ლ ა ის კანონები მიწის შესახებ, რომლებიც გამოცემული იყვენ 1921 წლის 23 თებერვლამდე საქართველოში. გარდა ამისა მენშევიკების მიერ ჩადენილ უსამართლობას რომ ბოლო მოეღოს, საბჭოთა მთავრობა საჭიროთ თვლის, რომ იმ წვრილ და საშუალო გლეხებს, რომლებმაც მიწის ფონდიდან იყიდეს მიწა. გაღებული ფული უკანვე დაუბრუნდეს, და თვით შეძენილი მიწა კი იმათვე სარგებლობაში დარჩეს.

ასეთია მოკლედ მიწის საკითხის გადაჭრა, რომელსაც შეურყეველად გაატარებს ცხოვრებაში საქართველოს საბჭოთა მთავრობა. ეს არის ერთად-ერთი სწორი და სამართლიანი გადაჭრა ამ უდიდესი და ფრიად სერიოზული საკითხისა. მხოლოდ საბჭოთა მთავრობას, მხოლოდ კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკების) შეუძლია მიწის საკითხის გადაჭრა ხალხის დიდი უმრავლესობის, ანუ ყველა მშრომელთა სასარგებლოთ. ყველა დანარჩენი პარტიები, დაწყებული აშკარა ბურჟუაზიულ პარტიებიდან და გათავებული მენშევიკებით, მიწის საკითხს აფუჩეჩებდენ და გლეხკაცობას ატყუებდენ. მხოლოდ კომუნისტების პარტიამ, ე. ი. ბოლშევიკების პარტიამ შესძლო მიწის საკითხის სინათლეზე გამოტანა, მისი პირდაპირ დაყენება. მხოლოდ ამ პარტიამ შესძლო სრული სიმართლის თქმა საჯაროთ, დაუფარავათ, ვინაიდან მხოლოდ ის ერთად-ერთი პარტიაა, რომელიც ბოლომდის იცავს მშრომელი ხალხის ინტერესებს.

გაზ. „კომუნისტი“ 9 აპრილი,
1921 წ. № 31. ფ. მახარაძე.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შ. მახარაძე

ს. ს. ს. რ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარი,

# საქართველოს საბჭოთა მთავრობის კანონები მიწის შესახებ

ყველა ადგილობრივ მიწის განყოფილებებს და მიწის კომიტეტებს სახელმძღვანელოთ და მთელი გლეხკაცობის საყურადღებოთ.

სახალხო გამოცემა

ტფილისი, 1921 წ.

საქართველოს რევკომის სტამბა

პირველი გამოცემის გარეკანი

# საქართველოს საბჭოთა მთავრობის კანონები მიწის შესახებ

**ყველა ადგილობრივ მიწის განყოფილებებს და მიწის კომიტეტებს სახელმძღვანელოთ და მთელი გლეხკაცობის საყურადღებოდ.**

საქართველოს გლეხკაცობა მთელი ათეული და ასეული წლების განმავლობაში ამაოთ ელოდებოდა მიწის საკითხის გადაჭრას ისე, როგორც ამას მშრომელი გლეხობის ინტერესები მოითხოვდა. დღეს ყველამ კარგათ იცის, რომ ჩვენი გლეხები მენშევიკების დროსაც იყვენ შევიწროებულნი და ისევე იჩაგრებოდენ უმიწობის გამო, როგორც მეფის დროს. სამაგიეროთ ყოფილი თავადები, მემამულეები და სოფლის მევახშენი (შეძლებული, მდიდარი გლეხები) მენშევიკების მთავრობის დროსაც ისევე არხეინად გრძნობდენ თავს, როგორც ძველ იმათთვის სანატრელ დროს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას. ე. ი. მუშების და გლეხების მთავრობას შეეძლო სამუდამოთ ბოლო მოეღო იმ დიდი უსამართლობისათვის, რასაც წარმოადგენდა ის ურთიერთობა, რომელსაც ადგილი ქონდა მიწის მფლობელობის და კერძო საკუთრების ნიადაგზე, როგორც რომანოვების, [7]) ისე მენშევიკების ბატონობის დროს.

ამიტომ თავის-თავად იგულისხმება, რომ დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისა საქართველოში რევოლიუციონური მთავრობა შეუდგა ყველა იმ ურთიერთობათა და დამოკიდებულებათა აღმოფხვრას, რასაც ადგილი ქონდა მიწის მფლობელობის ნიადაგზე და რაზედაც წინეთ დამყარებული იყო მშრომელი გლეხკაცობის დაჩაგვრა და დამონება, რისთვისაც მან ჩქარა გამოიმუშავა შესაფერი კანონები.

ამა წლის 6 აპრილის რიცხვით საქართველოს რევოლიუციონურმა მთავრობამ გამოსცა პირველი ძირითადი კანონი (დეკრეტი № 17), რომელიც საფუძვლად დაედვა მიწის საკითხის გადაჭრას ჩვენში მშრომელთა სასარგებლოთ. ამ კანონის მთავარი დებულებები ასეთია:

1. ყველა მიწები მთელი მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებას შეადგენს. მიწის ყიდვა-გაყიდვა, მისი იჯარით ან რაიმე სხვა სახით ვისმეზე გადაცემა ისპობა (მუხლ. 1).

2. ის მიწები, რომლებიც მენშევიკების დროს ჩამოურმეველი შერჩათ კერძო მემამულეებს, ეკლესიებს და სხვებს და მიცემული ქონდათ იმათ როგორც

„ნორმა", შენობებით, ყოველივე იარაღით და სხვ. უნდა ჩამოერთვათ მათ სრულიად უსასყიდლოდ და წინეთ ჩამორთმეულ მიწებთან ერთად უნდა ჩაირიცხოს მიწის სახელმწიფო ფონდში უმიწაწყლო და მცირე მიწიან გლეხებისათვის გადასაცემად. (მუხ. 2).

3. ყველა სოფლის საზოგადოებაში ან თემში დაუყოვნებლივ უნდა შესდგეს უმიწაწყლო, მცირე და საშუალო მიწის მშრომელთაგან, ე. ი. ღარიბი გლეხკაცობისაგან მიწის კომიტეტები, რომლებიც მიწადმოქმედების კომისარიატის და მაზრის რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ახდენენ მიწის ჩამორთმევას (კონფისკაციას) და რომლებიც ადგილობრივი პირობების მიხედვით განსაზღვრავენ მიწის ნორმას, რომელიც უნდა გადაეცეს მიწის ფონდიდან გლეხკაცობის ცალკე ოჯახებს სასარგებლოდ და აგრეთვე იმ ნორმასაც, რომელიც შეიძლება დაეტოვოს წინანდელ მეგმამულეს. (მუხ.6).

4. მიწის სარგებლობის უფლება ეძლევა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, ვინც კი მოინდომებს მიწის დამუშავებას საკუთარი შრომით, თავისი ოჯახის დახმარებით ან ამხანაგობით, და მხოლოდ იმ დრომდე, სანამ შეეძლება მიწის დამუშავება. მიწის მშრომელნი, რომელთაც მოხუცებულობის ან დასნეულების გამო სამუდამოთ მოესპობათ მუშაობის უნარი, კარგავენ უფლებას მიწის სარგებლობისას, ხოლო სამაგიეროდ სახელმწიფოსაგან იღებენ დახმარებას პენსიის სახით (მუხ. 10).

5. ყველა მიწის მუშაკი, უმიწაწყლოთ თუ მცირე მიწის მქონებელი გლეხი მიწის ფონდიდან მიიღებს სამყოფ მიწას, რაც უზრუნველყოფს მის და მისი ოჯახის არსებობას. (მუხ. 11).

6. დეკრეტის № 17-ის ძალით ყოველგვარი გადასახადი მიწაზე (ღალა და სხვა) საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამუდამოთ მოისპო და აგრეთვე გაუქმებულია ყველა ის კანონები, რომლებიც იქნენ გამოცემული აქ სხვა და სხვა მთავრობების მიერ 1921 წლის 25 თებერვალამდე. (მუხ. 15 და 16).

7. იმ უმიწაწყლო ან მცირე მიწიან გლეხებს, რომლებმაც მენშევიკების მთავრობის დროს მიწა შეიძინეს მიწის ფონდიდან ფულზე, რა თქმა უნდა ნაყიდი მიწა რჩებათ სარგებლობაში, ხოლო გაღებული ფული უნდა დაუბრუნდეთ ხაზინიდან. (მუხ. 17).

აი მთავარი დებულება მიწის კანონისა, რომელიც საქართველოს საბჭოთა მთავრობამ გამოსცა ამ ოთხი თვის წინეთ. ამ კანონის ძალით საქართველოში მოისპო მსხვილი მიწათმფლობელობა, გაუქმდა სამუდამოთ მიწის ღალა, მიწა შეიქნა ხელმისაწვდენი ყველა იმათთვის, ვინც კი მოისურვებს იმის დამუშავებას. თავისი შრომით ან ამხანაგურათ და მთელი ამ დიდი რეფორმის მოგვარება და მოწყობა ადგილობრივ მიენდო თვით ღარიბ გლეხკაცობას, ანუ მის მიერ არჩეულ მიწის კომიტეტს.

6 აპრილის კანონს (დეკრეტი № 17) მოყვა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული სხვადასხვა განმარტებები და ინსტრუქციები ხსენებული კანონის ცხოვრებაში გასატარებლად, როგორც, მაგ., *განმარტებები, მიწის კომიტეტების დროებითი წესები*, (20 *აპრილს*), *წესები მიწების ჩამორთმევა-განაწილების შესახებ* (23 აპრილს), და სხვადასხვა. სამწუხაროდ, როგორც დღეს ირკვევა, ჩვენმა ადგილობრივმა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა, სამაზრო და საოფლო რევკომებმა და იმათ სამიწადმოქმედო განყოფილებებმა ვერ შესძლეს არა თუ სისწორით და უკლებლად გაეტარებინათ ცხოვრებაში საბჭოთა კანონმდებლობა მიწის შესახებ, არამედ, რაც კიდევ უფრო სამწუხარო და სავალალოა, მათ ვერ შესძლეს გაეცნოთ და განემარტათ გლეხკაცობისათვის მიწის შესახებ გამოცემული კანონები. ამნაირად გლეხკაცობისათვის ამ გარემოებამ ხელი შეუწყო იმას, რომ ყოფილმა მემამულეებმა ალაგ-ალაგ ისევ წამოყვეს თავი და ისე გათამამდენ. რომ ადგილობრივ რევკომებიდან დაიწყეს მოთხოვნა, რომ ამ უკანასკნელთ აღედგინათ ისინი თავის წინანდელ უფლებებში, ე. ი. დაებრუნებინათ იმათთვის ჩამორთმეული მიწები და იმავე დროს აეძულებინათ გლეხები მიწის ღალები, როგორც წარსული წლების, ისე წლევანდელიც გადაეხადათ ყოფილ მემამულეთა სასარგებლოთ. წარმოიდგინეთ, იმათ ასეთ სრულიად უკანონო სურვილს ზოგიერთ ადგილას გასავალი მიეცა. ასე, მაგალითად, გორის მაზრაში ყოფილმა მემამულეებმა სიყალბით და დატყუილებით, ერთი მხრით, და საბჭოთა ხელისუფლების სისუსტით თუ შეუგნებლობით, მეორე მხრით, თავის წინანდელ ნორმების დაბრუნება მოახერხეს და ღალების აკრეფასაც შეუდგენ. შეიძლება ამავე გარემოებას სხვა მაზრებშიაც ,ქონდა და ან დღესაც აქვს ადგილი. ჩვენ კი ამის შესახებ შესაფერი ცნობები არა გვაქვს.

ამიტომ. მე, როგორც მიწადმოქმედების სახალხო კომისარი [76]) და საქართველოს რევოლიუციონური მთავრობის წევრი. საყოველთაოთ, ყველას გასაგონათ და უწინარეს ყოვლისა *გლეხკაცობის საყურადღებოთ* ვაცხადებ: ყოველივე ეს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კანონების უტიფარი და თავხედური დარღვევაა, რომ საქართველოს მუშების და გლეხების მთავრობა მიიღებს და უკვე ღებულობს უსასტიკეს ზომებს ამ კანონების დამრღვეველთა წინააღმდეგ, რომ ყოფილ მემამულეებს, რომელთაც სიყალბით და დატყუილებით მოახერხეს თავის წინანდელი მიწების დაბრუნება და ღალების აღება. ყოველივე ეს მათ ხელახლად ჩამოერთმევათ და პასუხისგებაზიაც იქნებიან მიცემულნი. დეე იცოდნენ როგორც გლეხებმა, ისე ყოფილმა თავადებმა და მემამულეებმა, რომ ძველი მიწათმფლობელობის წესი და მასთან მჭიდროთ დაკავშირებული ღალა სამუდამოთ მოისპო, და ვინც ამის აღდგენას მოიწადინებს, ის როგორც ნამდვილი კონტრ-რევოლიუციონერი და მშრომელი ხალხის მტერი სასტიკათ დაისჯება რევოლიუციონური დროის კანონებით.

არ შეიძლება აქ არ აღვნიშნოთ ერთი გარემოება. ხალხის მტრები და მისი მოღალატენი ძლიერ მოხერხებულათ და ეშმაკურათ იქცევიან. ასე მაგალითად. წინანდელ მიწების უკან დაბრუნებას და ღალების გადახდევინებას ეს ვაუბატონები თითქო ჩვენივე კანონებით. ე. ი. თვით საბჭოთა ხელისუფლების კანონებით,

ასაბუთებენ. ამიერიდან „ცნობილი" ხაშურის „მოსამართლე" კიკნაძე და ყოფილი თავადები და მემამულეები ვეზირიშვილები ღალების აღებას დეკრეტით № 17 ასაბუთებდენ, ე. ი. იმ ძირითადი კანონით, რომელმაც ყოველიე ეს მოსპო. აი სადამდის მიდის იმათი კადნიერება და გათამამება! მაგრამ ისინი უთითებენ კიდევ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორ ცირკულიარზე (№№ 3 და 4), სახელდობრ ამ ცირკულიარების მეორე მუხლზე. აი რა არის ნათქვამი იქ სიტყვა-სიტყვით: „საზიაროთ გაცემული წვრილი და საშუალო ზომის მიწების შესახებ პირობები უნდა ძალაში დარჩეს ამ წლის მოსავლის მოწვეევამდე". აშკარაა თუ ვისზეა აქ ლაპარაკი, თუ ვინ იგულისხმება აქ. საქმე იმაშია, რომ არის ისეთი შემთხვევები, როცა წვრილი მფლობელი გლეხი, ე. ი. სოფლის ან ქალაქის მუშა იძულებული ხდება თავისი მიწის მცირე ნაკერი მისცეს სხვას დასამუშავებლად და ამაზე ამყარებს ის მთელ თავის იმედს. აშკარაა, რომ ასეთი წვრილი მფლობელობის ინტერესებს მუშურ გლეხური მთავრობა ვერ დაივიწყებდა სავსებით, და ამიტომაც წვრილ და საშუალო ზომის მიწების პირობები ძალაში დასტოვა ამ წლის მოსავლის მოწვეევამდე. ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ აქ ჩვეულებრივი ღალის ნასახიც არაა და არც შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან იმავე ცირკულიარის პირველი მუხლი გადაჭრით უარყოფს და აუქმებს მიწის გაცემას ქირით ან ღალით „გარდა წვრილ მიწიან ქვრივ დედაკაცებისა, სამხედრო ან სამოქალაქო სამსახურში მობილიზაციით გაწვეულთა და ისეთი პირებისა, რომლებიც დასნეულების ან ძლიერ მოხუცებულობის გამო თვითონ ვერ შესძლებენ მიწის დამუშავებას".

კიდევ უფრო ბორბოტათ იყენებენ ცირკულიარს № 4 მეორე მუხლს. აი რას ეკითხულობთ იქ: „ყოფილ მემამულეს, რომელიც დაბრუნდება თავის მამულში ამა წლის 15 ივნისამდე და განაცხადებს, რომ მას სურს მიწის დამუშავება სა კუთარი შრომით, ს ა ე რ თ ო წ ე ს ი თ უნდა მიეცეს ნორმა დეკრეტის ძალით თავის ყოფილ მამულში", ეს საერთო წესი არის მიწის დეკრეტის № 17-ის მეექვსე მუხლი, სადაც ლაპარაკია მიწის კომიტეტებზე, რომლებსაც უფლება აქვთ ყოფილ მემამულეს მიუზომოს საჭიროების კვალობაზე მიწის საშუალო ნორმა. რომელიც ამ რაიონში მიღებული იქნება, თუ მართლა სურს მას დაამუშაოს ის თავისი საკუთარი შრომით. მორჩა და გათავდა. ამ ახალ ნორმას არაფერი საერთო არა აქვს წინანდელ ნორმებთან. რომლების აღდგენას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ თხოულობენ. მაგ.. ვეზირიშვილები ხაშურის რევკომისაგან. მაგრამ მიწის კომიტეტებს სრული უფლება ავქვთ მინიჭებული, რომ ყოფილ მემამულეებს სრულებით არ მისცენ რაიმე ნორმა. არავითარი გაუგებრობას აქ ადგილი არ უნდა ქონებოდა. და თუ ასეთი გაუგებრობა მაინც ხდებოდა, ყველა ამის გამოსარკვევათ სათანადო დაწესებულებებს თუ კერძო პირთ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის უნდა მიემართათ, როგორც ეს ნაჩვენებია თვით დეკრეტის № 17 მეოთხე მუხლში, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ყველა ორგანოები მიწის საკითხის მოწესრიგების ს ა ქ მ ე შ ი ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო დ ი რ ე ქ ტ ი ვ ებ ს ღ ებ უ ლ ობ ენ მ ი წ ა დ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ს ა ხ ა ლ ხ ო კ ო მ ი ს ა რ ი ა ტ ი ს ა გ ან". გარდა ამისა ცირკულიარის № 3-ის მეშვიდე მუხლიც პირდაპირ ამბობს: „საერთოდ ყველა კითხვები საადგილ-მამულო ურ-

თიერთობის და მიწის შესახებ უნდა გადაწყვეტილ იქნეს რევოლიუციონურ სინიდისის და სამართლიანობის თანამხათ, და ყველა გადაწყვეტილებები მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ეცნობოს". სამწუხაროთ, დღემდის ეს ასე არ ხდებოდა. როგორც ჩანს მთავრობის დეკრეტებს და განკარგულებებს ადგილობრივ ჩვენი ორგანოები არ იცნობენ, და ამას ბოლო-უნდა მოელოს.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი დღეიდან მიიღებს საჩქარო ზომებს, რათა ყოველივე იმ გაუგებრობას, და ვიტყვით პირდაპირ: ყოველივე იმ ბოროტებას, რასაც ადგილი ქონდა აქამდის საადგილ-მამულო კითხვების გადაჭრის ნიადაგზე, ამიერიდან ადგილი აღარ ჰქონდეს.

ამისთვის კი საჭიროა, რომ ყველა ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები მტკიცეთ ასრულებდენ და იცავდენ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კანონებს და დადგენილებებს. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საბჭოთა ხელის-უფლების მიერ მიწის საკითხის მოწესრიგება აუცილებლათ თხულობს, რომ ამ საქმეში მახლობელი და აქტიური მონაწილეობა მიიღოს თვით მშრომელმა გლეხობამ. ჩვენი ძირითადი კანონი მიწის შესახებ (დეკრეტი № 17) აშენებულია სწორედ მშრომელი გლეხკაცობის თვითმოქმედებაზე; მან თითონ უნდა მოკიდოს ხელი ამ საქმეს, თითონ იკისროს მისი გატარება ცხოვრებაში ისე, როგორც ამას თვით კანონი თხოულობს. მთავრობა, ადგილობრივი რევკომი, სახალხო მილიცია ვალდებულია გლეხებისაგან არჩეული მიწის კომიტეტებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ეს ორგანოები პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემულნი.

ჩქარა გლეხკაცობა ზემოდგომის ხვნა-თესვის საქმეს უნდა შეუდგეს. ბევრ ალაგას თურმე არ იციან, ვის სად. რომელ მიწის დათესვის უფლება აქვს. ეს ადვილი ასახსნელია, ვინაიდან გამოცემული კანონები გლეხებამდე ჯერ კიდევ არ მისულა. მთავრობა. განსაკუთრებით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, ღებულობს ამ გარემოებას მხედველობაში და მას შესაფერ ანგარიშს გაუწევს შესაფერ ზომების საჩქაროთ მიღებით.

მაგრამ საჭიროა ადგილობრივ საბჭოთა ყველა ორგანოების ენერგიული მუშაობა ამ საქმეში. ვინაიდან მიწის საკითხის მოწესრიგება თანახმად საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცემულ კანონებისა დღეს უპირველესი საქმეა და იგი პირველ რიგში უნდა იქნეს დაყენებული. საჭიროა, რომ ყველა პარტიული მუშაკი, ყველა პროპაგანდისტი და აგიტატორი. რომელიც სოფელში გაემგზავრება, კარგად იყოს გაცნობილი მიწის საკითხთან და მიწის დეკრეტებთან და თან ქონდეს ყველა საჭირო მასალა.

პრაქტიკამ და გამოცდილებამ დაგვანახა. რომ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცემული ძირითადი კანონი სავსებით აკმაყოფილებს გლეხკაცობის დიდი უმრავლესობის ინტერესებს და გლეხკაცობა. როცა მას ეცნობა, სავსებთ იწონებს მას. საჭიროა მხოლოდ, რომ შესაძლებელი გავხადოთ მისი გატარება ცხოვრებაში რაც შეიძლება დაჩქარებით. მაშინ გლეხობა შეიქმნება საბჭოთა ხელისუფლების ერთგული დამცველი. ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, ყველა პარტიულ ამხანაგებს, ყველა იმათ, ვისაც გლეხკაცობისათვის მართლა ნესტკივა გული, მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ

საქმეში. მოვუწოდებთ ყველა სამაზრო და სასოფლო საბჭოთა ორგანოებს და თვით გლეხკაცობას ენერგიულათ და ერთგულათ მოკიდონ ხელი ამ საქმეს, მოულონ ბოლო იმ გაუგებრობას, რასაც აქამდის ადგილი ქონდა, ალაგმონ ყოფილი მემამულეები და მით უზრუნველყონ საქართველოში მშრომელი ხალხის ნამდვილი გამარჯვება მის მყვლეფელებზე, ე. ი. განამტკიცონ მუშების და გლეხების სრული ბატონობა (დიქტატურა).

3 აგვისტო 1921 წ.

---

# დამატებები

დამატება № 1.

## დეკრეტი № 17

## საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტისა მიწის შესახებ

საქართველოს საბჭოთა მთავრობა მთელი ხალხის წინაშე აცხადებს, რომ მიწის საკითხის გადაჭრა უნდა მოხდეს მხოლოდ მშრომელთა სასარგებლოდ შემდეგ საფუძველზე:

1. ყველა მიწები მთელი მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებას შეადგენს. მიწის ყიდვა-გაყიდვა, მისი იჯარით ან რაიმე სხვა სახით ვისმეზე გადაცემა ისპობა.

2. ის მიწები და სხვილი მამულები, რომლებიც ყოფილ მთავრობის დროს ჩამოურთმეველი შერჩათ კერძო მემამულეებს, ეკლესიებს, მონასტრებს და სხვა სხვილ მფლობელთ, შენობებიფ, ყოველივე ინვენტარით, სამეურნეო იარაღებით ერთმევათ დღევანდელ მფლობელთ სრულიად უსასყიდლოდ და წინეთ ჩამორთმეულ მიწებთან ერთად ჩაირიცხებიან მიწის სახელმწიფო ფონდში და გადადიან მშრომელთა სასარგებლოდ.

> შენიშვნა: ეს მუხლი არ ეხება წვრილ და საშუალო მფლობელთ. ამ კატეგორიის მფლობელები პირიქით მიიღებენ დასამუშავებლად მიწის საკმაო რაოდენობას თავის ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3. სამოსახლო ადგილები (ეზოები) პატარა ზომისა სოფლად და ქალაქად პატარა ბაღებით და ბოსტნებით დღევანდელ მფლობელთა სარგებლობაში დარჩება, ხოლო მიწის ან ნაკვეთის სიდიდე განსაზღვრული იქნება ცალკე დამატებით კანონით თანახმად ამა დეკრეტის მეექვსე მუხლისა.

4. ყველა, როგორც წინეთ, ისე ამ დეკრეტის ძალით ჩამორთმეული მიწები მთელი შენობებით, ყოველგვარი მოწყობილობით, სამეურნეო ინვენტარით გადაირიცხება მიწის სახელმწიფო ფონდში და გადადის ადგილობრივ (სათემო, სამაზრო ან საგუბერნიო) გლეხთა დეპუტატების საბჭოების პირდაპირ განკარგულებაში; სანამ კი ასეთები არ შემდგარან, ეს მიწები გადავა სათანადო რევოლიუციონურ

კომიტეტების განკარგულებაში. ყველა ეს ორგანოები მიწის საკითხის მოწესრიგების საქმეში სახელმძღვანელო დირექტივებს ღებულობენ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატისაგან.

5. ჩამორთმეული ან ჩამოსართმევი მამულის რაიმე დაზიანება ან გაფუჭება, რომელიც ამიერიდან შეადგენს სახალხო კუთვნილებას, გამოცხადებულია სასტიკ დანაშაულად, რაც დასჯილი უნდა იქნეს რევოლიუციონური კანონით.

გლეხთა დეპუტატების სათემო და სამაზრო საბჭოები, ან რევოლიუციონური კომიტეტები ღებულობენ ყოველივე საჭირო ზომებს მიწების ჩამორთმევის დროს სასტიკი წესრიგის დასაცავად.

6. ყველა სოფლის საზოგადოებაში ან თემში დაუყოვნებლივ უნდა შესდგეს უმიწაწყლო, წვრილი და საშუალო მიწის მშრომელთაგან, ე. ი. ღარიბი გლეხკაცობისაგან, მიწის კომიტეტები, რომლებიც მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის და სამაზრო გლეხთა დეპუტატების საბჭოს ან რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ახდენენ მიწის ჩამორთმევას (კონფისკაციას) და ადგილობრივ პირობების მიხედვით განსაზღვრავენ როგორც მიწის იმ ნორმას, რომელიც უნდა ჩამორთმეულ იქნეს, აგრეთვე მიწის ნორმას, ანუ რაოდენობას, რომელიც უნდა გადაეცეს გლეხკაცობის ცალკე ოჯახებს სასარგებლოდ მიწის არსებული ფონდიდან, გარდა იმ მამულებისა, რომელთა მოვლა-პატრონობა და დამუშავება, თანახმად ამ დეკრეტისა, დაკისრებული აქვს თვით სახელმწიფოს ან თემს (მუხ. 7).

7. ასხვილი მამულები, სადაც გაშენებულია სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის და მაღალი კულტურის პლანტაციები, სანერგეები, ბაღები, ორნაჟერეები და სხვ. არ იქნებიან დანაწილებულნი, არამედ გადაიქცევიან კულტურულ-საჩვენებლ სახალხო მამულებად და გადაეცემიან თავისი სიდიდის და მნიშვნელობის მიხედვით სახელმწიფოს, ან ადგილობრივ საბჭოების განკარგულებაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: აგრეთვე ჯიშიანი ოთხფეხის. ან ფრინველის. მომშენებელი ყოველი კერძო წარმოება უნდა გამოცხადდეს სახალხო ქონებად და უნდა გადაეცეს თავისი სიდიდის და მნიშვნელობის მიხედვით სახელმწიფოს. ან თემს. —

8. საბჭოთა მთავრობა, როგორც სასოფლო მეურნეობის წარსამატებლად და განსავითარებლად, ისე მშრომელი მასის საკეთილდღეოთ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს სათემო ანუ კოლექტიური მეურნეობის სხვადასხვა ფორმების (კომუნების, არტელების და სხვა) შემოღებას და ზრდა-განვითარებას. კოლექტიურ მეურნეობაში მიწვეულ უნდა იქნენ სოფლის პროლეტარები და ნახევარპროლეტარები, ანუ ის გლეხები, რომელთაც ან სრულებით არ აქვთ საკუთარი მეურნეობა, ან თუ აქვთ მეტად უმნიშვნელო, ე. ი. არ მოეპოვებათ არც სამყოფი მიწა და არც სამყოფი სამეურნეო იარაღი მის დასამუშავებლად. ასეთ კომუნებს თუ არტელებს განსაზღვრულ პირობებში გადაეცემა თავისუფალი მიწის ნაკვრები, გარდა ამისა სახელმწიფო აღმოუჩენს მათ როგორც აგრონომიულ დახმარებას, ისე ნივთიერ სახსარსაც, მიწის დამუშავების საუკეთესოდ მოსაწყობად.

9. მიწის წიაღი: მადნეულობა, ნავთი, ქვანახშირი, შავიქვა, მარილი და სხვ. აგრეთვე ტყეები, მდინარეები და ტბები, რომელთაც აქვთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, გადადიან სახელმწიფოს განსაკუთრებულ სარგებლობაში. ყველა პატარა მდინარეები, ტბები და ტყეები (ბუჩქნარები) გადადიან სათემო სარგებლობაში, რომელთაც განაგებენ ადგილობრივი თვითმართველი ორგანოები (გლეხთა დეპუტატების საბჭოები).

10. მიწით სარგებლობის უფლება ეძლევა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს განურჩეველად სქესისა, ვინც კი მოინდომებს მიწის დამუშავებას საკუთარის შრომით თავის ოჯახის დახმარებით ან ამხანაგობით და მხოლოდ იმ დრომდე, სანამ შეეძლება მიწის მუშაობა.

მიწის მშრომელნი, რომელთაც მოხუცებულობის ან დასნეულების გამო სამუდამოთ მოესპობათ მუშაობის უნარი, კარგავენ უფლებას მიწით სარგებლობისას, ხოლო სამაგიეროდ სახელმწიფოსაგან იღებენ დახმარებას პენსიის სახით.

ამ გზით ჩამორთმეული მიწის ნაკრები გადადიან სახელმწიფოს საადგილმამულო ფონდში. უპირატესობა ამ ნაწილების მიღებისა ეძლევა ახლობელ ნათესავებს იმ პირისა და მისივე ჩვენებით, რომელსაც ჩამოერთვა მიწა.

11. ყველა მიწის მუშაკი, უმიწაწყლო თუ მცირე მიწის მქონებელი გლეხი სახალხო საფონდო მიწიდან მიიღებს სამყოფ მიწას, რაც უზრუნველყოფს მის და მისი ოჯახის არსებობას.

12. თუ ვინიცობაა რომელიმე ადგილას მიწის სივიწროვეა და არსებული ფონდი სამყოფი არ იქნება ყველა ადგილობრივ მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლად. შესაძლებელია მოხდეს გადასახლება ერთი ადგილიდან მეორე ადგილას. ამ შემთხვევაში გადასახლების მოწყობას და აგრეთვე ამის გამო გამოწვეულ ხარჯებს და გადასახლებულებისათვის საჭირო სამეურნეო იარაღების მიწოდებას კისრულობს თვით სახელმწიფო. თვით გადასახლება უნდა მოხდეს ნებაყოფლობით და არავითარ იძულებით მოქმედებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

13. ვინც ამ ქონებრივი გადატრიალების დროს დაზარალდება, მას აქვს უფლება მხოლოდ საზოგადოებრივ დახმარებაზე იმ დრომდე, სანამ ის ახალ პირობებს შეეწყობა.

14. ჩამორთმეული მიწების მთელი სამეურნეო ინვენტარი ანუ სამეურნეო იარაღები, მაშინები, პირუტყვი და სხვა უსასყიდლოდ გადადის თავისი სიდიდის და მნიშვნელობის მიხედვით სახელმწიფოს ან თემის სარგებლობაში.

15. ამ დეკრეტის ძალით ყოველგვარი გადასახადი მიწაზე საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამუდამოდ ისპობა.

16. ამ დეკრეტის გამოქვეყნების დღიდან გაუქმებულია ყველა მიწის კანონები, რომლებიც იქნენ გამოცემული სხვადასხვა მთავრობისაგან 1921 წ. 25 თებერვლამდე, როგორც მაგალითად, 1917 წლ. 16 დეკემბრის, 1918 წ. მარტის 7-ს, 1919 წლ. 28 იანვრის და 1920 წ. 10 თებერვლის.

17. იმ უმიწაწყლო ან მცირე მიწიან გლეხებს, რომლებმაც ყოფილი მთავრობის დროს მიწა შეიძინეს მიწის ფონდიდან ფულზე, ნაყიდი მიწა რჩებათ

სარგებლობაში ამ დეკრეტის საფუძველზე, ხოლო გაღებული ფული უნდა დაუბრუნდეს ხაზინიდან.

18. საბოლოო დაწვრილებით კანონი მიწის საკითხის მოსაგვარებლად ცხოვრებაში გასატარებლად ამ დეკრეტის საფუძველზე გამომუშავებული და გამოქვეყნებული იქნება სულ ახლო მომავალში.

1921 წ., აპრილის 6.

დამატება № 2.

## მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ცირკულიარები სამაზრო რევკომების ჟიმართ მიწების შესახებ

### № 1

საადგილ-მამულო ურთიერთობის და მიწით სარგებლობის მოწესრიგების დროს, ყოველივე ანარქიის და არევ-დარევის თავიდან ასაცილებლად, წინადადება გეძლევათ, თანახმად მუხ. 6 ა. წ. 6 აპრილის დეკრეტისა № 17 მიწის შესახებ, დაუყოვნებლივ შეუდგეთ მიწის კომიტეტების შედგენას, რის შესრულების დროსაც უნდა იხელმძღვანელოთ შემდეგით:

1) სამაზრო რევკომის რწმუნებულნი მიდიან სოფლებში, შეჰყრიან უმიწაწყალო, მცირე და საშუალო მიწის მქონე მშრომელთა ყრილობას და ეს უკანასკნელი თავიანთ შორის ირჩევს მიწის კომიტეტს; ყრილობას თავმჯდომარეობს რევკომის რწმუნებული.

2) როცა ორი ან მეტი სოფელი ერთმანეთთან ახლო მდებარეობენ ან მათ მიწაწყლის ურთიერთობა და საკითხი იმდენათ გადაბმული არიან, რომ გარემოება მოითხოვს მათი მიწების საქმის ერთად და თანხმობით გადაჭრას, ასეთ სოფლებს შეუძლიანთ აირჩიონ ერთი კომიტეტი.

3) როცა მიწის კომიტეტს ირჩევს ერთი სოფელი, მასში უნდა აირჩეს არა ნაკლებ სამისა და არა უმეტეს ხუთი პირისა და როცა კომიტეტს ირჩევს ორი ან მეტი სოფელი ერთად, ამ კომიტეტში თითო სოფლიდან უნდა აირჩეს არა უმეტეს სამი კაცისა.

4) მიწის კომიტეტები თავის წევრებს შორის აირჩევს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც შეასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას, თუ ამ თანამდებობით აღჭურვილი არ აღმოჩნდება მიწადმოქმედების კომისარიატის წარმომადგენელი.

5) თანახმად დეკრეტისა, მიწის კომიტეტები ახდენენ მიწის ჩამორთმევას (კონფისკაციას) მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის და სამაზრო გლეხთა დეპუტატების საბჭოს ან რევ. კომ. წარმომადგენლებთან ერთად (მუხ. 6 დეკრ.). ამის გამო მიწის კომიტეტებს არ შეუძლიანთ აწარმოონ მიწების ჩამორთმევა (კონფისკაცია) აღნიშნულ წარმომადგენელთა მოსვლამდე.

6) დამთავრდება რა კომიტეტების მოწყობა, სამაზრო რევკომები ტელეგრაფით აცნობებენ სახალხო კომისარიატს კომიტეტების რაოდენობას, რათა კომისარიატმა იცოდეს თუ რამდენი წარმომადგენელი დასჭირდება გასაგზავნათ თავის მხრით თითო მაზრაში.

7) მიწის კომიტეტებს ჯილდოს მისცემს მთელი სოფელი. ჯილდო განსაზღვრულ უნდა იქნეს კომიტეტის ამრჩევ ყრილობაზე. მიწის კომიტეტი მიიღებს ჯილდოს დღიდან მისი მოქმედების დაწყებისა.

14 აპრილი 1921 წ.

№ 2

მიუხედავათ საქართველოს რევკომის ცირკულიარულ განკარგულებისა და ამავე რევკომის მიწის დეკრეტის დედა აზრისა, რესპუბლიკაში და განსაკუთრებით რამოდენიმე მაზრაში ფართოთ აქვს ადგილი არა სასურველ მოვლენებს მიწის დარგში, ე. ი. მცხოვრებნი თავის ნებით და ძალადობით იტაცებენ მიწებს: ამას ადასტურებს მეტად ხშირი საჩივრები, რომლებიც შემოდიან კომისარიატში.

კიდევ განმეორებით გაცნობებთ სახელმძღვანელოთ, რომ სანამ არ მოეწყობა მიწის კომიტეტები, რომლებიც მიწადმოქმედების კომისარიატის ხელშძღვანელობით განახორციელებენ მიწის რეფორმას რევკომებმა მაზრაში არ უნდა დაუშვან ანარქიის გამეფება, ე. ი. მცხოვრებნი თავის ნებით და ძალადობით ნუ შეეხებიან წვრილ და საშუალო მესაკუთრეებს და საერთოდ ნუ არღვევენ ფაქტიურ მფლობელობას.

19 აპრილი 1921 წ.

№ 3

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი, იღებს რა მხედველობაში, რომ მიწის კომიტეტების მუშაობას ნორმების გამოკვლევის შესახებ და გეგმების გამომუშავებას, დამტკიცებას და ადგილზე შესრულებას დასჭირდება დიდი დრო, ცხოვრება კი თხოულობს აგრარულ კითხვების ამ წუთშივე ასე თუ ისე გადაჭრას, ავალებს სამაზრო რევოლიუციონურ კომიტეტებს მიიღონ ეხლავე შემდეგი დროებითი წესები სახელმძღვანელოთ:

1) არავინ გასცეს მიწა სამუშაოთ ქირით ან ღალით, გარდა წვრილ-შვილიანი ქვრივი დედაკაცებისა, სამხედრო, ან სამოქალაქო სამსახურში მობილიზაციით გაწვეულთა და ისეთი პირებისა, რომლებიც დასნეულების ან ღრმა მოხუცებულობის გამო თითონ ვერ შესძლებენ მიწის დამუშავებას და არც ოჯახში ეყოლებათ მიწის მუშაკნი.

2) საზიაროთ გაცემული წვრილი და საშუალო ზომის მიწების შესახებ პირობები უნდა ძალაში დარჩეს ამ წლის მოსავლის მოწევამდე.

3) უმიწაწყლო ან მცირე მიწის მქონე სოფლელთ აღმოეჩინოთ დახმარება, რათა ისინი შეერთდენ ნებაყოფლობით კომუნებში ან ამხანაგობებში და ერთად დაამუშაონ მიწა. ამ შემთხვევაში მათ უნდა მიეცეს დროებით, სათანადო კანონის გამოცემამდე, ცალკე ნაკერი სახნავ-სათესი მიწისა საადგილ-მამულო თავისუფალი ფონდიდან და თუ საჭირო და შესაძლებელია, მუშა-საქონელი, იარაღი და სათესი მასალა.

4) თუ კომუნებათ, ამხანაგობებათ ან ჯგუფებად შეერთება არ მოეწყო, მიეცეს უმიწაწყლოებს და მცირე მიწის მქონე სოფლის მუშას სახელმწიფო საადგილ-მამულო თავისუფალი ფონდიდან საკმაო მიწა დასამუშავებლად და საჭიროების და შეძლების დაგვარათ დახმარება მუშა-საქონლით, იარაღით და სათესი მასალით.

5) არ დარჩეს დაუმუშავებელი არც ერთი სახნავ-სათესათ ვარგებული მიწის ნაკერი, ბაღი ან ვენახი მოუვლელი.

6) როდესაც აღიძრება რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეეხება რამოდენიმე სოფელს, მოხდეს ამ სოფლების მიწის კომიტეტების შეერთებული კრება სამაზრო რევ. კომ. წარმომადგენლის თანადასწრებით საქმის მოსაგვარებლად.

7) საერთოდ ყველა კითხვები საადგილ-მამულო ურთიერთობის და მიწის შესახებ უნდა გადაწყვეტილ იქნას რევოლიუციონურ სინიდისის და სამართლიანობის თანახმად, და ყველა გადაწყვეტილებები მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს ეცნობოს.

8) მეშვიდე მუხლში ნაჩვენები გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირთ შეუძლიანთ განასაჩივრონ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში არა უგვიანეს ორი კვირისა.

9) საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას.

20 აპრილი 1921 წ.

## № 4

მიწის დეკრეტის (6 აპრ. № 17) ზოგიერთ მუხლების განსამარტებლათ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი აცხადებს:

1) თანახმად ა. წ. 23 აპრილის დამტკიცებულ „წესების“ მე-3-მე მუხლისა, მიწების ჩამორთმევა-დანაწილების შესახებ. საქართველოში მიწით სარგებლობის უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვინც კი დაამუშავებს მას საკუთარი შრომით.

2) ყოფილ მემამულეს, რომელიც დაბრუნდება თავის მამულში ამა წლის 15 ივნისამდე და განაცხადებს, რომ მას სურს მიწის დამუშავება საკუთარი შრომით, საერთო წესით უნდა მიეცეს ნორმა დეკრეტის ძალით თავის ყოფილ მამულში.

3) დაბრუნებული მემამულე, რომელიც 1922 წ. 1 იანვრამდე არ შეუდგება მიცემული ნორმის თავისი შრომით დამუშავებას, ჰკარგავს უფლებას მინიჭებულ ნორმაზე. რომელიც ჩაითვლება მიწის ფონდში.

4) ყველა მუშა-მოსამსახურეს საქართველოს საბჭოთა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სამრეწველო დაწესებულებებისა, რომლის მფლობელობაში არის მცირე ანუ საშუალო ზომის მიწა-ადგილი, დამუშავებული თუ დასამუშავებელი, და რომელიც მხოლოდ დროგამოშვებით მიდის სოფლად სამუშაოდ, უფლება აქვს დაიტოვოს თავის მფლობელობაში ასეთი მიწები.

5) მეხუთე მუხლი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ცხოვრობენ სხვისი შრომის ექსპლოატაციით (ვაჭრები, ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონენი და სხვა).

27 აპრილი 1921 წ.

დამატება № 3.

## ინსტრუქცია

## მიწის ნორმების გამოუშავების შესახებ

(1921 წლის 6 აპრილის დეკრეტი № 17 და 23 აპრილის „წესები")

1. თანახმად 1921 წლის 6 აპრილისა დეკრეტისა მიწის საკითხის გადასაწყვეტად მიწის კომიტეტები პირველ ყოვლისა შეუდგებიან მიწის ნორმის გამორკვევას.

2. ამ მიზნისათვის კომიტეტი მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელის თავმჯდომარეობით იკვლევს სამოქმედო რაიონის საზღვრებში საშუალო გლეხის ოჯახის ადგილ-მამულს, როგორც სიერცის და ავკარგიანობის, ისე მეურნეობის მდგომარეობის მხრივ.

შენიშვნა: საშუალო გლეხის ოჯახათ ჩაითვლება ისეთი ოჯახი, რომლის წევრთა რიცხვი არ აღემატება 3 — 5 სულს, რომელიც არ სარგებლობს საერთო დაქირავებული მუშით, თუ არა თესვის, თოხნის და ჭირნახულის მოკრეფის დროს, და რომელიც თავის მხრივ საჭიროებს ქირაზე გასვლას.

3. საშუალო ოჯახის მიწების რაოდენობის და ღირსების გამორკვევის შემდეგ კომიტეტი იკვლევს მიწის ნორმას სულზე, ე. ი. გამოიანგარიშებს რამდენი მიწა მოსდის საშუალო ოჯახის თითო სულს.

4. თუ მე-2-რე მუხლში მოხსენებული ადგილ-მამული შესდგება სხვადასხვა ღირსების ნაწილებისაგან, მაშინ მას კომიტეტი ჰყოფს კატეგორიებად და ყოველ კატეგორიისათვის ცალკე ირკვევს ნორმას.

5. იმ შემოხვევისათვის, თუ ვინმე ნორმაზე მეტი მიწების ჩამორთმევის დროს მოისურვებს ხვედრი მიწის მიღებას ერთს რომელიმე კატეგორიაში კომიტეტი ირკვევს სხვადასხვა კატეგორიის შორის პროპორციას, ე. ი. რამდენ დესეტინას დაბალი კატეგორიის მიწისა ეთანასწორება ერთი დესეტინა მაღალი კატეგორიისა.

6. კომიტეტი ყოველ თავის მოქმედების შესახებ ადგენს ოქმს, რომელსაც იგი აწერს ხელს.

7. თუ ნორმის გამომუშავების დროს ამა თუ იმ კითხვის შესახებ კომიტეტის წევრთა შორის უთანხმოებამ იჩინა თავი, დავა გადაწყდება უბრალო ხმის უმეტესობით.

8. ნორმის გამორკვევასთან ერთად კომიტეტი არკვევს თავის სამოქმედო რაიონის საზღვრებში მთელ საადგილ-მამულო ფონდს და ახდენს მცხოვრებთა აღრიცხვას. საადგილ-მამულო ფონდის ანგარიში უნდა შეიკავდეს საერთო ჯამს ყველა მიწებისას, რომლებიც ვარგან მცხოვრებთა შორის დასანაწილებლად. მცხოვრებთა აღრიცხვა უნდა შეიკავდეს კომლთა რიცხვს და სულთა რაოდენობას სქესის, წლოვანობის, მუშაობის უნარის, ხელობის, მუდმივ საცხოვრებელ ალაგის და ცოცხალ თუ უსულო ინვენტარის აღნიშვნით (მუხ. 15 „წესებისა").

9. ნორმების გამოკვლევის და საადგილ-მამულო ფონდისა და მცხოვრებთა აღრიცხვის შემდეგ მიწის კომიტეტის თავმჯდომარე წარუდგენს სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებას თავის მოსაზრებას შესრულებულ მუშაობის შესახებ და მთელ მასალას ნორმების ფონდის და მცხოვრებთა აღრიცხვის შესახებ.

10. სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილება, განიხილავს რა კომიტეტების მიერ შეკრებილ მასალას მთელს მაზრაში, წარუდგენს მაწ კომისარიატს თავის მოსაზრებით და შენიშვნებით, რომელსაც თუ საჭიროთ დაინახავს, დაურთავს თავის პროექტს ნორმების შესახებ.

11. მიწადმოქმედების კომისარიატის საადგილ-მამულო პოლიტიკის განყოფილება, განიხილავს რა სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილებათაგან წარმოდგენილ პროექტებს, ამტკიცებს მათ უცვლელათ ან შესწორებით, ან უკან აბრუნებს თავის შენიშვნებით პროექტის ახლად შესადგენად.

12. მიწადმოქმედების კომისარიატის საადგილ-მამულო პოლიტიკის განყოფილებას შეუძლიან, თუ მან საჭიროთ და შესაძლებლად დაინახა, შეიმუშავოს ერთი რომელიმე ნორმა ან ნორმების რაიმე ცხრილი რესპუბლიკის რამოდენიმე მაზრებისათვის და მთელ რესპუბლიკისათვისაც, ხოლო ამ შემთხვევაში იგი სათანადო პროექტს წარუდგენს კომისარიატის თავმჯდომარეს დასამტკიცებლად.

13. მეორე და მერვე მუხლებში გამოსახულ მიზნების უკეთესად მისაღწევად კომიტეტი ჰკრებს საჭირო ცნობებს სპეციალურ საანკეტო ფურცლების შემწეობით.

14. მიწის კომიტეტის თავმჯდომარე აწარმოებს დღიურს. სადაც აღნიშნავს დღის განმავლობაში შესრულებულ მუშაობის შინაარსს და მუშაობის დამაბრკოლებელ მიზეზებს. დღიურს ხელს აწერს ყოველდღე კომიტეტის ერთი ადგილობრივი წევრი. დღიური წარედგინება სარევიზიოთ მოსულ რევიზორს, რომელიც აღნიშნავს მასში რევიზიის დღეს შემჩნეულ დეფექტებს მუშაობისას და თავის დირექტივებს.

დამატება № 4.

დედანზე მიწ. მოქ. სახ. კომისარის მიერ
წარწერილია; „ვამტკიცებ"
ფ. მახარაძე
3/VIII — 1921 წ."

# ინსტრუქცია

## მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან განსაკუთრებულ კომისიის მოწყობის შესახებ თანახმად დეკრეტისა № 62 1921 წლ. ივლისის 27 თარიღით

### 1. საერთო დებულება

1. მიწის მფლობელობით და მისი ურთიერთობით გამოწვეული დავის გარჩევა და გადაწყვეტა ევალება მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ საადგილ-მამულო კომისიას და მის განყოფილებებს მაზრებში (სამაზრო კომისიები).

2. საქმე ირჩევა საჯაროთ და დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ გამოგზავნონ რწმუნებულები.

3. საქმე სწყდება თანახმათ მიწის დეკრეტის № 17 და სოციალისტურ სინიდისის მიხედვით.

### 2. ორგანიზაცია

4. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ საადგილ-მამულო კომისიაში შედიან: თავმჯდომარე, მისი მოადგილე და შვიდი წევრი.

5. თავმჯდომარეს ნიშნავს მიწადმოქმედების კომისარიატი, ხოლო მის მოადგილეთ ითვლება საადგილ-მამულო პოლიტიკის განყოფილების გამგე; შვიდი წევრიდან თოხს იძლევა საადგილ-მამულო პოლიტიკის განყოფილება (თანახმად ქვეგანყოფილებათა რიცხვისა), და თითოს: მუშათა და გლეხთა ინსპექცია, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და პროფესიონალური კავშირთა საბჭო.

6. კომისიასთან არსებობს კანცელარია, რომელიც შესდგება: მდივნისა, საქმის მწარმოებლისა და მანქანაზე გადამწერისაგან.

7. კომისიის სხდომა ჩაითვლება კანონიერათ, თუ მას დაესწრო თავმჯდომარე ანუ მისი მოადგილე და არა ნაკლებ ორი წევრისა.

### 3. კომისიის სამაზრო განყოფილება

8. კომისიის სამაზრო განყოფილებაში შედიან თავმჯდომარე და ხუთი წევრი.

9. თავმჯდომარეს ნიშნავს სახალხო კომისარი, ხოლო წევრებათ ითვლებიან სამაზრო საადგილ-მამულო განყოფილების კოლეგიის წევრები და თითო

წარმომადგენელი სამაზრო მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, პარტკომისა და პროფკავშირის.

10. სხდომა ჩაითვლება კანონიერათ თანახმად მეშვიდე მუხლისა.

## 4. საქმის გარჩევა სამაზრო კომისიაში

11. ყოველი საქმე, დავა თუ პრეტენზია, წყდება სამაზრო კომისიაში.

12. საქმის გარჩევის დღისთვის კომისია იწვევს მხარეებს და მოწმეებს უწყებით.

13. კომისია შეუდგება საქმის გარჩევას, თუ მხარეებს ჩაბარებული აქვთ უწყებები.

14. თუ საქმე მორიგებით არ გათავდა, კომისია შეუდგება მხარეების და მოწმეების დაკითხვას და საბუთების შემოწმებას, თუ უკანასკნელი საჭირო აღმოჩნდა.

15. როდესაც კომისია დაინახავს, რომ კითხვა საკმაოთ არის გამორკვეული, ადგენს თავის განაჩენს, რომელსაც უცხადებს მხარეებს.

16. უკმაყოფილო მხარეს შეუძლიან განასაჩივროს კომისიის დადგენილება სამი დღის განმავლობაში დღიდან დადგენილებისა კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კომისია საჩქაროთ აცხადებს განსაჩივრების ვადას.

17. ძალაში შესული დადგენილება უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტის საშუალებით.

## 5. საქმის გარჩევა კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში

18. განსაკუთრებული კომისია, მიიღებს რა განსაჩივრებულ საქმეს, ნიშნავს გარჩევის დღეს სამი დღის განმავლობაში დღიდან საქმის მიღებისა და იწვევს მხარეებს უწყებებით.

19. კომისიის მიერ გამოტანილი დადგენილება არა უგვიანეს ორი დღისა წარედგინება მიწადმოქმედის სახალხო კომისარიატის კოლეგიას დასამტკიცებლად.

# მიწის რეფორმის პრაქტიკული მხარე ანუ მისი გატარება ცხოვრებაში

(ამხ. სვანიძის წერილის გამო. იხ. „კომუნისტი“ № 158)

საბჭოთა მთავრობის მიერ დაწყებული რეფორმა მიწის საკითხის გადასაჭრელად ჩვენში ერთად-ერთი სწორი გამოსავალია იმ უსამართლოებიდან, რომელიც საუკუნოების განმავლობაში ხდებოდა მიწის მფლობელობის და სარგებლობის დარგში. არ არის სხვა არავითარი გზა, სხვა არავითარი საშუალება ამ უსამართლოების მოსასპობად. მაგრამ თუ შედარებით ადვილი იყო მიწის კანონის გამომუშავება და შედგენა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს მშრომელი გლეხკაცობის ინტერესებს, როგორც არის საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიწის დეკრეტი № 17, ასე ადვილი როდია ამ კანონის ცხოვრებაში გატარება. უნდა წარმოიდგინოთ ის სხვადასხვაობა მიწისმფლობელობისა და სარგებლობისა, ის უთვალავი უურთულესი ურთიერთობანი წინანდელ მემამულეთა შორის, — ურთიერთობანი, რომლებიც მიწის მშრომელთ აყენებდენ პირდაპირ მონურ მდგომარეობაში. რა თქმა უნდა ასეთ ურთიერთობათა გაბათილება შედარებით საძნელო საქმე არაა, ჩვენ იმათ ვაბათილებთ სწრაფად და დაუზოგველად.

მაგრამ მეორე მხრით არის ურთიერთობანი თვითმშრომელთა ხალხის. არის სხვადასხვა კატეგორიები მშრომელ გლეხკაცობისა მეტი თუ ნაკლები შეძლებულობის კვალობაზე. არის ძველთაგან დარჩენილი და გლეხკაცობის ძვალსა და რბილში გამჯდარი ტრადიციები, — და ყოველივე ეს რეფორმის ცხოვრებაში გატარების დროს წინ გველობება და ჩვენ მუშაობას აბრკოლებს. აშკარაა ყველა ამ ურთიერთობათა გათვალისწინება თითქმის შეუძლებელია, და ისინი გეხვდებიან ჩვენ ცხოვრებაში. თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე. მხოლოდ იმას, ვინც სისწორით შეთვისებული აქვს საბჭოთა ხელისუფლების დედა-აზრი და მნიშვნელობა, ვინც სავსებით იცნობს საბჭოთა კანონებს მიწის შესახებ. მხოლოდ მას შეუძლია სამართლიანად გადასჭრას ყველა ის კითხვები, რომლებიც გამომდინარეობენ მიწისმფლობელობის და სარგებლობის ძველ ურთიერთობათაგან. მაგ. ღალის ანუ მიწის იჯარის გადახდის საკითხი და სხვა. სამწუხაროდ ასეთი პირები ჩვენ ცოტა გვყავს. და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მიწის საკითხის ნიადაგზე ადგილი აქვს ბევრ გაუგებრობას და შეიძლება პირდაპირ ბოროტმოქმედებასაც.

მაგრამ მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარებას ხვდება კიდევ სხვაგვარი, უფრო ტეხნიკური ხასიათის დაბრკოლებაც. ჩვენ ვამბობთ იმაზე, რომ მიწის რეფორმის გატარება ცხოვრებაში მთელ საბჭოთა საქართველოს ფარგლებში, თანახმად მიწის დეკრეტისა № 17, თხოულობს წინასწარ მუშაობის შესრულებულებას, ესეიგი ამისათვის აუცილებლად საჭიროა, სანამ რეფორმის განხორციელებას მოვკიდებთ ხელს გამორკვეულ იქნას ყველა თავისუფალ ანუ დასანაწილებელ მიწების რაოდენობა, როგორც საერთოდ მთელ რესპუბლიკაში, ისე ცალკე რაიონებში, მაზრებში და სოფლებში; აგრეთვე საჭიროა გამორკვევა უმიწაწყლოთა და მცირე მიწის პატრონთა რაოდენობისა როგორც ცალკე სოფლებსა და მაზრებში, ისე მთელ რესპუბლიკებში; და ამავე დროს მიწის საშუალო ნორმის გამომუშავება საშუალო ოჯახისათვის. აშკარაა, თუ ასეთი ცნობები არ გვექნება ხელში, მთავრობა ისე ვერ შეუდგება მიწის დანაწილებას მშრომელთა შორის მთელ რესპუბლიკის ფარგლებში. ისიც აშკარაა, რომ ასეთი ცნობების შეგროვება და შემდეგ იმათი გაცხრილვა და შესწორება თხოულობს დროს და ამ ხნის განმავლობაში რეფორმის გატარება ცხოვრებაში უნდა შეჩერებულ იქნას. ეს, რა თქმა უნდა, ენებს იმათ ინტერესებს, ვინც მიწას საჭიროებს დღესვე და ამ გარემოებამ შეიძლება რამდნიმეთ სახელიც გაუტეხოს გლეხკაცობის თვალში საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ დასაშვებად ვთვლით დროებით ზომების მიღებას გაჭირვებულ გლეხების დასაკმაყოფილებლად მიწით. აქ, ამ ნიადაგზე მიწადმოქმედების კომისარიატის სამაზრო განყოფილებებს და მიწის კომიტეტებს შეეძლოთ ფართო თვითმოქმედების გამოჩენა. სამწუხაროდ, სინამდვილეში ჩვენ ჯერ ამას ვერ ვხედავთ, ან თუ ვხედავთ, ძლიერ იშვიათად.

და ასეთ იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ხონის რაიონი, როგორც ამას მოწმობს ამხ. სანაძის წერილი („კომუნისტი" № 158). როგორც სჩანს ამ წერილიდან ხონის ამხანაგებს და კერძოთ თვით ხსენებულ წერილის ავტორს მიწის რეფორმა გაუგიათ სწორედ ისე, როგორც ეს წარმოდგენილი ჰქონდა თვით მთავრობას. და ამავე დროს მის პრაქტიკულ განხორციელებასაც შესდგომიან. მასთან მეტათ საგულისხმიერია ის გარემოებაც, რომ ხსენებულ ამხანაგების მიერ ვადადგმული ნაბიჯები, რამდენათაც ეს სჩანს ამხ. სანაძის წერილიდან, თითქმის ყველა სწორი და მისაღებია, მით უფრო, რომ ყოველივე ეს პირდაპირ გამომდინარეობს ჩვენი მთავრობის მიერ გამოცემულ მიწის კანონებიდან.

რა თქმა უნდა, როგორც კი მიწადმოქმედების კომისარიატი დაამთავრებს იმ წინასწარ მუშაობას, რომელზედაც ჩვენ ზევით ვამბობდით, ხონის რაიონში დროებით მიღებული მიწის საშუალო ნორმა და სხვა ზომები შეიცვლება თანახმად იმ ნორმებისა, რომლებიც რესპუბლიკანურ ფარგლებში იქნება მიღებული.

მიუხედავად ამისა ეს გადადგმული ნაბიჯი მოსაწონია, ვინაიდან ის მშრომელი გლეხკაცობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ არის გაკეთებული: შისაღები და მოსაწონია აგრეთვე ყველა ის შენიშვნები და მოსაზრებები, რომლებსაც ამხ. სანაძე იძლევა თავის საყურადღებო წერილში. თავისთავად იგუ-

ლისსმება, რომ ყველა ასეთ მოსაზრებებს და პრაქტიკულ დაკვირვებებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მიწის რეფორმის ცხოვრებაში გასატარებლად. ჩვენ სიამოვნებით და დიდი ყურადღებით გადავიკითხეთ ამხ. სანაძის წერილი, რომელიც სავსეა პრაქტიკული შენიშვნებით და დაკვრვებით და ვურჩევთ ყველა ჩვენ ამხანაგებს, რომლებიც ახლო უდგანან მიწის რეფორმის საქმეს, შესაფერი ყურადღებით გადაიკითხონ ის და გამოიყვანონ იქიდან სათანადო დასკვნები.

თავდაპირველი რეფორმის გატარებისათვის მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაწყებულია და საკმარისათ ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ, ასე რომ მომავალი გაზაფხულიდან ჩვენ იმედი გვაქვს განხორციელებას შევუდგებით რესპუბლიკანურ ფარგლებში; მეტად საინტერესო და სასარგებლოც იქნებოდა, რომ იმგვარი მუშაობა, რომელიც მოუხდებათ ხონის რაიონში მიწის რეფორმის ირგლივ, მომხდარიყო სხვა რაიონებშიაც, მაგ., ნორმების გამომუშავება, მიწის მსურველების დაყოფა კატეგორიებათ, საეზოე ნორმები და სხვა და სხვა. მაშინ რეფორმის დამყარება, მისი გატარება ცხოვრებაში ერთი ათად გაადვილდებოდა. ჩვენ ვურჩევთ მხოლოდ სხვა რაიონების და მაზრების ამხანაგებს ყურადღება მიაქციონ ხონის ამხანაგების ნაბიჯებს და რამდენათაც შესაძლებელი იქნება, წაბაძონ მათ. მიწის რეფორმის საქმეში.

ჩვენ დაგვრჩა აქ მხოლოდ ერთი შენიშვნის გაკეთება ამხ. სანაძის წერილის გამო. საქმე აი რაშია: თავის წერილში ამხ. სანაძე ეხება აგრეთვე მენშევიკების აგრარულ რეფორმას და საერთოდ სისწორით და მართლად ახასიათებს. მას. მხოლოდ ის ცდება როცა ამბობს, რომ მენშევიკების რეფორმამ „მოსპო მსხვილი მიწადმფლობელობაო". ეს დებულება სიმართლეს მოკლებულია. ფაქტიურათ და არსებითათ რეფორმა არ სპობდა მსხვილ მიწადმფლობელობას. მართალია ერთ დროს ფიქრობდენ მაქსიმალურ, უდიდეს ნორმის დაწესებას მიწადმფლობელთათვის, რომლის ზევით არაევის არ შეეძლო მიწის შეძენა, მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებათ დარჩა და სინამდვილეში მსხვილი მიწისმფლობელობა არსებითათ ისევ ძალაში დარჩა. ჯერ თქვენ ყურადღება მიაქციეთ მენშევიკების ნორმებს: 1) ვენახები, ბაღები და საერთოდ კულტურულად დამუშავებული მიწები 7-დან 10 დესეტინამდე, 2) სახნავ-სათესი მიწები 15 — 20 დესეტინ., 3) საძოვრები და სხვა 40 — 50 დესეტინამდე. დამეთანხმეთ, რომ ეს ნორმები საშუალოზე მეტია. მაგრამ ეს არაფერი. ყველამ კარგად იცის, რომ ძველი მემამულეები ახერხებდენ, რომ მათ შერჩენოდათ ყველა ის მიწები, რომლებიც წინეთ ეკუთვნოდათ გაიძვერაობით და ათასგვარი ეშმაკობით, რაც არავისთვის დაფარული და საიდუმლო არ იყო. ისინი ყოფდენ თავის მამულებს ოჯახის წევრებს შორის და თითოეული წევრი ღებულობდა თავის ნორმას. გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში მენშევიკების მთავრობა ყოფილ მემამულეებს სავსებით უტოვებდა მთელ მამულს ოჯახით მეტად შეღავათიან პირობებში. მაგრამ ამით კიდევ არ გათავებულა საქმე. მენშევიკებმა დაიკანონეს მიწის ყიდვა-გაყიდვა, მართალია ნორმის ფარგლებში, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო, რასაც ლოლიკურათ მიწის შეუზღუდველი ყიდვა გაყიდვა და სპეკულიაცია უნდა მოყოლოდა. აშკარაა, რომ ყოველივე ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მენშევიკების აგრარულმა რეფორმამ მოსპო კერძო მსხვილი მიწადმფლობელობა. პირ-

იქით ყოველივე ამტკიცებს იმას, რომ მენშეეიკები ხელს უწყობდენ და შეელიდენ ასეთი მიწადმფლობელობის განვითარებას, ისინი პირდაპირ აკანონებდენ მას, და ჩვენ გვიკვირს, რომ ასეთმა დაკვირვებულმა ამხანაგმა, როგორიც არის ამხ. სანაძე, ვერ შენიშნა ეს გარემოება.

აი ის დებულება, რომელშიაც ჩვენ არ ვეთანხმებით ამხ. სანაძეს და რისთვისაც რედაქციამ მის წერილს შენიშვნა გაუკეთა. მაგრამ ამ გარემოებას არსებითათ დღეს ჩვენთვის პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს და წერილის ეს ნაკლი სავსებით იფარება იმ დიდი ღირსებით, რომელიც ამხ. სანაძის წერილს აქვს.

გაზ. „კომუნისტი“ № 164, 1921 წ. 18 სექტემბერი.

# მიწის საკითხის მნიშვნელობა

მიწის ანუ გლეხთა საკითხს, როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ყველა რევოლიუციების დროს. 1905-6 წლებში რევოლიუციის დამარცხების ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო ის გარემოება, რომ გლეხკაცობამ საკმარისად ვერ დაუჭირა მას მხარი. მაგრამ რევოლიუციის დამარცხება მოასწავებდა მემამულეების სრულ გამარჯვებას, რაც გამოიხატა უღარიბესი გლეხკაცობის კიდევ უფრო მეტ შევიწროებაში. სტოლიპინის [77]) რეფორმა შეეხო მხოლოდ გლეხკაცობის შეძლებულ ღონიერ ნაწილს („კულაკებს"), უღარიბესი გლეხობა კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავარდა. აშკარა შეიქნა ის, რომ გლეხობას გამოიყვანდა ამ მდგომარეობიდან მხოლოდ რევოლიუციის ახალი აფეთქება. სხვა გამოსავალი არ იყო.

1917 წლის თებერვლის რევოლიუცია მოხდა რუსეთში გლეხკაცობის დაუხმარებლად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ქალაქის რევოლიუციონური მუშების მხარეზე თებერვალ-მარტის დღეებში აქა-იქ გადავიდენ ჯარის ზოგიერთი რევოლიუციონური ნაწილებიც. მაგრამ ვინც რუსეთის ცხოვრებას აკვირდებოდა, ვინც ამ ცხოვრებას აფასებდა, მისთვის აშკარა იყო, რომ რევოლიუცია რუსეთში ზურგს ვერ შეაქცევდა გლეხობას. კიდევ მეტი: ჩვენთვის, ე. ი. კომუნისტ-ბოლშევიკებისთვის ცხადზე უცხადესი იყო, რომ რევოლიუცია გაიმარჯვებს ჩვენში, როგორც რევოლიუცია მუშების და გლეხების. და მართლაც გლეხკაცობის საარსებო და ძირითად საკითხს მიწის შესახებ გადასჭრიდა მხოლოდ მუშურ-გლეხური რევოლიუცია. მაშასადამე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა მუშის და გლეხის მჭიდრო დაკავშირება, თებერვლის შემდეგ დაწყებულ რევოლიუციაში. გლეხების დაინტერესება რევოლიუციით, იმათი მიმხრობა რევოლიუციისადმი უზრუნველყოფდა თვით რევოლიუციის გამარჯვებით დაგვირგვინებას. უამისოდ კი მას წინანდელი ბედი მოელოდა.

რევოლიუციის ყველა აშკარა და ფარული მტრები, როგორც ბურჟუა-მემამულეები, ისე მათი დამჭაშები მენშევიკები და სოციალისტ-რევოლიუციონერები ყოველგვარ ზომებს ხმარობდენ იმისთვის, რომ გლეხკაცობა არასგზით რევოლიუციაში არ ჩაბმულიყო, რომ ის რევოლიუციონური ბრძოლის გარეთ დარჩენილიყო. მათ უნდოდათ გაემარტოებინათ ქალაქის მუშები, რომ ამ გზით რევოლიუცია უფრო ადვილათ დაემარცხებიათ.

მაგრამ იმათ საუბედუროთ რუსეთში არსებობდა და მოქმედობდა ნამდვილი რევოლიუციონური პარტია მუშათა კლასის, ე. ი. პროლეტარიატის და უღარი-

ბესი გლეხკაცობის, პარტია ბოლშევიკ-კომუნისტების. უკვე 1905 წლის რევოლიუციის დაწყებიდან ამ პარტიამ გლეხების მოთხოვნილებას ანგარიში გაუწია და ისეთი ქადაგებით გავიდა სოფლად, რომ გლეხობა მიემხრო რევოლიუციას. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ კი ბოლშევიკების მიერ კიდევ უფრო მკაფიოდ, კიდევ უფრო გადაჭრით იქნენ წამოყენებული გლეხთა სასარგებლო რეფორმები. ყველა მიწის ჩამორთმევა მუქთა-ხორებისაგან და მათი გადაცემა მშრომელ გლეხკაცობაზე — ასეთი იყო ბოლშევიკების მთავარი მოთხოვნილება, რომელიც პირდაპირ გლეხკაცობას ეხებოდა და რომელიც პირდაპირ აყენებდა გლეხკაცობისათვის საარსებო საკითხს.

ბოლშევიკები ამ საკითხს პირდაპირ საქმიანობის და ბრძოლის საგნათ აცხადებდენ და გლეხებს უჩვენებდენ დაუყოვნებლივ შესდგომოდენ მიწების ჩამოართმევას მემამულეებისაგან და ერთმანეთ შორის განაწილებას დეპუტატების და საბჭოების საშუალებით, რა თქმა უნდა წინდაწინვე შემუშავებული გეგმით და დიდი სიფრთხილით.

საგულისხმიერია, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერებსაც ჰქონდათ თავის პროგრამაში მიწის ჩამორთმევა მემამულეებისაგან და გლეხკაცობისათვის გადაცემა, პაგრამ, როცა ეს საქმით უნდა განხორციელებულიყო, მაშინ ესენებმა უარალტეს თავის პროგრამას და მენშევიკებთან ერთად მემამულეებს ამოუდგენ გვერდში. ამ გარემოებამ ერთბაშად დასცა ორივე მოღალატე პარტიების პატივისცემა გლეხკაცობაში და სამაგიეროთ ბოლშევიკების პარტია გახდა მის თვალში ყველაზე უფრო მიმზიდველი და მისი ერთგული.

ბოლშევიკებმა საქმით გაამართლეს გლეხკაცობის ყველა იმედები. როგორც კი 1917 წლის ოქტომბრის 25-ს სახელმწფიო ძალაუფლება საბჭოების ხელში გადავიდა და ბოლშევიკები სახელმწიფო მართვა-გამგეობის სათავეში მოექცენ, საბჭოთა მთავრობამ მაშინვე გამოსცა თავის ცნობილი დეკრეტი მიწის შესახებ, [18]) რომლის ძალით ყველა მიწები მშრომელი ხალხის საკუთრებათ იქნა გამოცხადებული. გლეხთა დეპუტატების საბჭოებს და გლეხების კომიტეტებს დაევალათ ამ დეკრეტის ცხოვრებაში გატარება და იმავე დღიდან რუსეთში დაიწყო გლეხთა რევოლიუცია.

როგორც ვიცით, იმ დღიდან მთელი ამიერ-კავკასია და მასთან ერთად საქართველო ქართველ მენშევიკების წყალობით კაშოეყო საბჭოთა რუსეთს. ამ გამოყოფის ერთი უმთავრესი საბუთი ის იყო, რომ აქ გადაერჩინათ ჩამორთმევისაგან მემამულეთა მიწები. რა თქმა უნდა, მენშევიკებმა სავსებით ვერ განახორციელეს ეს მიზანი, ვინაიდან ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ჩვენშიაც დაიწყო გლეხობის რევოლიუციონური მოძრაობა მიწის ნიადაგზე, მაგრამ მიწის საკითხის გადაჭრა მშრომელი ღარიბ-ღატაკი გლეხის სასარგებლოთ მენშევიკებმა მაინც ვერ შესძლეს. და ეს სრულებით გასაკვირი არაა, ვინაიდან მიწის საკითხის გადაჭრა ამ აზრით შეუძლია მხოლოდ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას.

მთელი სამი წლის განმავლობაში, როცა მთელი სახელმწიფო ძალაუფლება სავსებით იმათ ხელში იყო, მათ თითქმის არაფერი გაუკეთებიათ, ვინაიდან გლეხკაცობა ისევ უმიწოთ დარჩა, იგი სხვისი შემყურე იყო, როგორც წინეთ მეფობის

დროს. კერძო საკუთრება მიწაზე, მიწის ყიდვა-გაყიდვა, შეჩერებული ჯერ კიდევ თებერვლის რევოლიუციის ხანაში დროებითი მთავრობის მიერ, მენშევიკებმა ისევ დააკანონეს, რითაც კარი გაუღეს მიწით სპეკულიაციას. გარდა ამისა მენშევიკებმა, მართალია, თითო-ოროლა მემამულეებს ჩამოართვეს ზედმეტი მიწა, კარგა მოზრდილი ნორმის ზევით, მაგრამ ეს ჩამორთმეული მიწები მათ გლეხებისათვის არ გადაუციათ.

თუმცა მენშევიკებმა უკანასკნელ ხანებში გადასწყვიტეს მიწების ერთი ნაწილის გლეხებისათვის გადაცემა, მაგრამ მხოლოდ საფასურით. მენშევიკები მემამულეებს ზედმეტ მიწას თითქო იმიტომ ართმევდენ, რომ ის გლეხებისათვის გადაეცათ, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვაზე იყო ასე, საქმით კი გლეხები არაფერს იღებდენ. მენშევიკებმა თავის რეფორმით იხსნეს მხოლოდ მემამულეები, რომლებმაც უმეტეს ნაწილად თითქმის შეინარჩუნეს. უკლებლად ის, რაც ჰქონდათ.

ამიტომ სრულებით გასაკვირალი არაა ის გარემოება, რომ საქართველოს გლეხკაცობა მოუთმენლად მოელოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, რისთვისაც მან რამდენჯერმე მოახდინა შეიარაღებული აჯანყება და ღვრიდა სისხლს.

გაამართლა ეს იმედები საბჭოთა ხელისუფლებამ?

დიახ გაამართლა; ამის თქმა შეგვიძლია ჩვენ თამამად. ამა წლის 6 აპრილის დეკრეტით [79]) საქართველოს რევოლიუციონურმა მთავრობამ ყველა მიწები მშრომელი ხალხის საკუთრებათ გამოაცხადა და მით გააქუმა კერძო საკუთრების უფლება მიწებზე, ე. ი. მიწის ყიდვა-გაყიდვა ანუ ფულათ ან რაიმე საფასურით შეძენა, ან სხვაზე გადაცემა.

ამიტომ ყველა კერძო მემამულეებს მიწები უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს ადგილობრივ გლეხკაცობას. ამ ჩამორთმევას და საშუალო ნორმის გამოკვლევას, თუ რომელ ოჯახს რამდენი მიწა უნდა გადაეცეს სასარგებლოთ, აწარმოებენ ულარიბესი გლეხების მიერ არჩეული მიწის კომიტეტები მიწადმოქმედების კომისარიატის წარმომადგენლებთან ერთად.

მწის საერთო წესიერი ჩამორთმევა ჯერ არაა დაწყებული, ამისათვის წინასწარი მუშაობა იყო საჭირო, ე. ი. ჩამორთმევის დაწერილებითი გეგმის და მიწის საშუალო ნორმის გამომუშავება თითოეული რაიონის და თითოეული მაზრისთვის ცალ-ცალკე, მაგრამ მიწების ნაწილობრივი ჩამორთმევა და გაჭირვებულ გლეხებს შორის დროებით განაწილება დაიწყო თითქმის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდგანვე.

მიწების ჩამორთმევა და განაწილება დაიწყება მომავალი გაზაფხულიდან. მართალია საბჭოთა ხელისუფლების მიწის რეფორმის გატარება ცხოვრებაში ეევრ ადგილას ბრკოლდება იმის გამო, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შესაფერ დახმარებას ვერ უწევენ მიწათმოქმედების კომისარიატს, ზოგან კი თვით კომისარიატის წარმომადგენლებიც ვერ არიან თავის სიმაღლეზე, ნებით თუ უხებლიეთ საქმეს ახდენენ და ბოროტმოქმედებასაც ჩადიან, მაგრამ კომისარიატი იღებდა და იღებს სასტიკ ზომებს ყველა ამის წინააღმდეგ.

უნდა აღვნიშნოთ და ხაზი გაუსვათ აქ ერთ სამწუხარო გარემოებას: წელს გლეხებს აქა-იქ, უმეტეს ნაწილად გორის მაზრაში, დაუწყეს ღალის გადახდე-

ეინება ყოფილი მიწის მფლობელის სასარგებლოთ. სამწუხაროთ, ამ ღალის აკრეფის საქმეში ყოფილ მემამულეებს შველიდენ თვით საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები. კომისარიატმა, როგორც კი გაიგო ეს გარემოება, დაუყოვნებლივ მიიღო სასწრაფო და სასტიკი ზომები, რათა ღალის აკრეფა შეეჩერებია, გარდა განსაკუთრებული შეთხვევებისა, როგორც ეს ნაჩვენებია მის ცირკულიარებში.

ამგვარათ მიწის საკითხი საბოლოოთ იკრება მშრომელი გლეხების სასარგებლოთ, მიწის მუშა სავსებით ხდება თავისი შრომის ნაყოფის სრული პატრონი: მას აღარ ყავს სხვა რომელიმე ბატონი. მიწის საკითხის ასე ძირიანათ გადაჭრა შეეძლო მხოლოდ მუშურ-გლეხურ მთავრობას.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ამით არ დაკმაყოფილდება. ის აწყობს აგრეთვე აგრონომიულ დახმარებას გლეხებისათვის, აარსებს სააგრონომო პირველ დაწყებით კურსებს. უდიდეს ყურადღებას აქცევს საბჭოთა ხელისუფლება ამავე დროს უმიწა-წყლო ღარიბ-ღატაკთ.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველ მხრივ ხელს უწყობს სამეურნეო ამხანაგობებისა და კომუნების შედგენას და შემდეგ იმათ ნივთიერ და ზნეობრივ დახმარებას უწევს.

ამნაირათ უკვე ამ ცხრა თვის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალმა მთავრობამ ბევრი რამის გაკეთება შესძლო, რომ მიწის საკითხის გადაჭრა სწორ საფუძველზე დაეყენებია და ამავე დროს პრაქტიკულადაც შესდგომოდა მის გადაჭრას. აქ სიტყვების ლაპარაკი მეტია. დეე თვით გლეხკაცობამ დააფასოს ის, თუ რა გააკეთა მისთვის საბჭოთა ხელისუფლებამ. შეადაროს ამასთან მენშევიკების საქმენი და ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ გლეხობა თითონ შესაფერისად დააფასებს ერთსაც და მეორესაც.

1921 წლის ნოემბერი.

# საადგილ-მამულო პოლიტიკა საქართველოში

საადგილ-მამულო საკითხის გადაჭრის დროს, რომელიც მუდმივ აღელვებს გლეხობას, საბჭოთა ხელისუფლებამ გამონახა ყველაზე უფრო სწორი და ერთად-ერთი შესაძლებელი გამოსავალი: ერთ-ერთი პირველი თავისი საკანონმდებლო აქტით [80]) საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა კერძო საკუთრება მიწაზე. მისი სყიდვა-გაყიდვა, და მიწა მისაწვდომი გახადა იმათთვის, ვისაც თავის შრომით სურს მისი დამუშავება. ამ ნაბიჯით ბოლო მოეღო წარსულის ყველა ნაშთებს, ბატონყმური მონობის, ჩაგვრის და ძალადობის ყველა ნაშთებს. ზომა, რომლისთვისაც ვერ მიუმართავს ვერც ერთ წინანდელ მთავრობას, მათ შორის ქართველ მენშევიკებიც მთავრობასაც პირველ რიგში იქნა განხორციელებული საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ.

7-8 თვის განმავლობაში, რომელმაც განვლო მიწის შესახებ პირველი ძირითადი დეკრეტის (№ 17) გამოცემიდან, მიწათმოქმედების კომისარიატმა, მიუხედავად კოლოსალურ სიძნელისა, შეასრულა უზარმაზარი წინასწარი სამუშაო უდიდესი საადგილ-მამულო რეფორმის გასატარებლად ცხოვრებაში, რომელიც ბოლოს უღებს გლეხის შრომის ექსპლოატაციას და რადიკალურად ცვლის ადამიანთა შორის ურთიერთობას, ერთი მხრივ, და ადამიანთა და ბუნების შორის, მეორე მხრივ. რა თქმა უნდა, რომ საუკუნოებით გამომუშავებული, დღევანდლამდე არსებული საადგილ-მამულო ურთიერთობანი ფრიად რთულია და უკიდურესად დახლართული და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეს დამოკიდებულებანი უკვე ჩანერგილია მოსახლეობის ზნეჩვეულებებში და ამიტომ გასაგებია, რომ შეუძლებელია ამ ურთიერთობის ერთბაშად შეცვლა, მისთვის ერთის დაკვრით ბოლოს მოღება. საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს ხალხის ყოფა-ცხოვრების ყველა პირობებს და ზნე-ჩვეულებებს და, ახდენს რა ძირითად გარდატეხას საადგილ-მამულო დამოკიდებულებაში, იგი ამ დამოკიდებულებას უაღრესად ფრთხილად უნდა მიუდგეს.

მაგრამ საქმე უკვე დაწყებულია, ყველაზე მთავარი მიწის საკითხის გადაჭრა შესრულებულია ჩვენში, ახლა დაგვრჩენია მეთოდიურად, ნაბიჯი ნაბიჯზე, შეუპოვრად წინსვლა. საბედნიეროდ, ამ მხრივ ჩვენ გვაქვს საბჭოთა რუსეთის მდიდარი გამოცდილება; ჩვენ სავსებით უნდა გავითვალისწინოთ ეს გამოცდილება. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა აცილოთ იმ შეცდომების განმეორება, რომელნიც აუცილებელი იყვნენ პირველად მიწის სოციალიზაციის გატარების დროს რუსეთში. ერთი მხრივ, სასოფლო მეურნეობის საშინელი ჩამორჩენილობის დროს

რუსეთში, გლეხობის სხვადასხვა წრეების ეკონომიურ უთანასწორობის დროს, მეორე მხრივ და, მესამე მხრივ, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს უკიდურესი სიღარიბის დროს, — გამთანასწორებელი მიწით სარგებლობას არ შეიძლებოდა რგებოდა წარმატება; და ეს გარემოება ეხლა ყველასათვის ცხადი შეიქნა. ამასთან ერთად სხვადასხვა კოლექტიური ფორმები მიწათმოქმედებაში აგრეთვე ცოტათ თუ ბევრათ ფართედ ვერ განვითარდნენ ამ 3-4 წლის განმავლობაში მიუხედავათ იმ ღონისძიებებისა, რომლებსაც ამ მიზნით მიმართავდა მუშურ-გლეხური სახელმწიფო. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ უდიდესი აგრარული რევოლიუციის შედეგები, რომელიც მოხდა რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების დროიდან, გამოიხატა არა მარტო მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებაში და არა მარტო მსხვილი კერძო, მემამულეთა მიწით სარგებლობის მოსპობაში, არამედ პირველ ყოვლისა და უმთავრესად გლეხურ მოსახლეობის გათანაბრებაში, ე. ი. შუათანების რაოდენობის სწრაფ ზრდაში, ერთი მხრივ, უმიწაწყლო და მცირე-მიწიან გლეხობისა და, მეორე მხრივ, ბევრი მიწის მქონე ან „კულაკ" გლეხობის ხარჯზე. მაგრამ გლეხობის ამ გათანაბრებას არ გამოუწვევია არც სასოფლო-სამეურნეო წარმატება საერთოდ, არც წვრილ და საშუალო გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ დაწყებულმა გლეხებს შორის მიწების ხშირმა გადაყოფამ, ერთი მხრივ, და სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებზე სახელმწიფო გაწერამ და მონოპოლიამ, მეორე მხრივ, გამოიწვიეს, პირველი: გლეხები არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ თავიანთი ნაკრებით ისარგებლებდნენ, და მეორე, სათესი სივრცის ძლიერი შემცირება, ხოლო ყველაფერ ამას ერთად აღებულს მოყვა სასოფლო მეურნეობის საგრძნობი დაქვეითება. ამავე დროს ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა რუსეთი, საქართველო და სხვა, სადაც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას გლეხობა შეადგენს და სადაც სასოფლო მეურნეობა ასრულებს ფრიად მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეკონომიკაში, მთელი მოსახლეობის ეკონომიური კეთილდღეობა დამოკიდებულია პირველ ყოვლისა და უმთავრესად სასოფლო მეურნეობის წარმატებასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ეხლა, როცა საბჭოთა რესპუბლიკები ასეთ მწვავე სასურსათო კრიზისს განიცდიან. ცხადი ხდებოდა, რომ თუ მიწათმოქმედი კლასი არ დაამუშავებს სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ისეთ რაოდენობას, რომელიც საკმარისი იქნება არა მარტო ამ პროდუქტების თვით მწარმოებელთა გამოსაკვებად, არამედ აგრეთვე სამრეწველო მუშების, არმიის და საბჭოთა მოსამსახურეებისათვისაც და საერთოდ ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის, — მუშათა სახელმწიფო აღმოჩნდება საშინელ კრიტიკულ მდგომარეობაში, რომლიდან გამოსავალის პოვნა შეუძლებელი იქნება.

ამიტომ საჭირო იყო რაც არ უნდა დამჯდარიყო, გამოგვენახა საშუალებანი სასოფლო მეურნეობის ასაღორძინებლად, გამოგვეწვია გლეხებში ხალისი პურეულის სათეს სივრცის გასაფართოებლად, ძვირფას ტეხნიკურ მცენარეების მოსაყვანად, რაც რევოლიუციის განმავლობაში თითქმის სავსებით შეწყდა. აქედან იყო დამოკიდებული მომავალი არა მარტო მთელი ნაციონალიზაცია ახ სოციალიზაცია მოხდენილ მრეწველობისა ქალაქებში, არამედ მუშა-გლეხთა რევოლიუციის და საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების ბედიც. აქაა მიზეზი და სა-

ფუძველი ახალ ეკონომიურ პოლიტიკისა, რომელიც არსებითად წარმოადგენს დაბრუნებას იმისაკენ, რაც იყო 1918 წლის დასაწყისში.

როგორც ცნობილია ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც გამოიხატა დასაწყისში სასოფლო მეურნეობის პროდუქტებზე სახელმწიფოებრივი გაწერის და პურეულის მონოპოლიის გაუქმებაში და ყველა ამის შეცვლაში სასურსათო გადასახადით, ერთი მხრივ, და ადგილობრივი ტრიალის თავისუფლების დაშვებაში, მეორე მხრივ, მოასწავებდა პირველ ყოვლისა დათმობებს შუათანა გლეხობის მიმართ.

ამგვარათ ამ პოლიტიკამ თავი იჩნა პირველ ყოვლისა და უმთავრესად სასოფლო მეურნეობის დარგში, მისი აღორძინების და დაუყოვნებლივი გაუმჯობესების მიზნით, და მხოლოდ შემდეგ ის ლოღიკურად გავრცელდა მრეწველობაზედაც. სამწუხაროდ. როდესაც ლაპარაკობენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებაზე ცხოვრებაში, ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სასოფლო მეურნეობას განსაკუთრებით ჩვენში, საქართველოში. ასე იყო დღევანდლამდე მაინც.

თუმც არ მოგვეპოვება სწორი სტატისტიკური ცმობები სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის როლსა და მნიშვნელობაზე ჩვენში, საქართველოში. ქვეყნის ეკონომიკაში, მაგრამ მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს როლი ფრიად მნიშვნელოვანია, სასოფლო მეურნეობა შეადგენს მთელი სახალხო წარმოების თუ ცხრამეათედს არა, ყოველ შემთხვევაში შვიდმერვედს. აქედან ცხადია თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის სასოფლო მეურნეობას და როგორი ყურადღება უნდა მიაქციოს მას საბჭოთა ხელისუფლებამ.

მაგრამ სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება, მისი მაღალ დონემდე აყვანა დღევანდელ მძიმე პირობებში დამოკიდებულია ჩვენი აგრარულ რეფორმის წარმატებით გატარებაზე-ცხოვრებაში, ე. ი. მიწადმოწყობის სასწრაფოდ დამთავრებაზე. მიწათმოწყობის და მიწათსარგებლობის საკითხები ფრიად რთულია და საპასუხისმგებლო. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მიწათსარგებლობის ფორმებსა და ხასიათთან, საშუალო საშრომო ნორმების გამომუშავებასთან რესპუბლიკის ცალკე რაიონებისათვის და სხვა. შემდეგ მოგვიხდება დავაწესოთ მემკვიდრეობის ფორმები ახალ პირობებში, ახალ გადაყოფათა ვადები, პირველ ხანებში დაუშვათ შესაძლებლობა თავისუფალ მიწების იჯარით გაცემისა წითელარმიელთა ოჯახების ან საერთოდ შეუძლო გლეხების მიერ საზოგადოებრივი ორგანოების კონტროლ ქვეშ, დაუშვათ დაქირავებული შრომის გამოყენება განსაზღვრულ პირობებით და სხვა. ყველა ამ საკითხების სწორი გადაჭრას და მოწესრიგებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობის კულტურის წარმატებისათვის, სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად იმ მხრივ, რათა ყველამ, ვინც ეწევა სამიწათმოქმედო შრომას, იცოდეს თავისი უფლებანი და მოვალეობანი, ვინაიდან ცხადია, რომ შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესება და მაღალ დონეზე აყვანა, თუ მიწათმომქმედს არ მიეცემა ცოტად თუ ბევრად მტკიცე უფლებები და ნორმები. რა თქმა უნდა, რომ მუშა-გლეხთა სახელმწიფო ყოველმხრივ უნდა აქეზებდეს და ხელს უწყობდეს მიწათსარგებლობის კოლექტიურ ფორმებს. მაგრამ უნდა ეცოდეთ, რომ გადასვლა მიწათ-

სარგებლობის კოლექტიურ ფორმებზე შეიძლება ხდებოდეს გლეხების მხოლოდ ნებაყოფლობითი გაერთიანებით. უნდა კარგად შევითვისოთ ის აზრი, რომ საბჭოთა ხელისუფლება გადაჭრით უარყოფს გლეხურ მეურნეობაზე ზეგავლენის ყოველგვარ იძულებითი ზომებს. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ისეთი საშუალებები, რომ გლეხები პირადად დაინტერესდენ სასოფლო მეურნეობის აღორძინებასა და ზრდაში. პირადი დაინტერესების გარეშე, მარტო ერთი იძულების ზომებით ჩვენ გლეხურ მეურნეობას მკვიდრ წერტილიდან ვერ დავსძრავთ. ამაში აშკარად დაგვარწმუნა საბჭოთა რუსეთის გამოცდილებამ. ვაძლევთ რა გლეხობას ძტკიცე გარანტიებს მისთვის მიზომილ მიწის ნაკრებზე, ჩვენ ამავე დროს ზეგავლენა უნდა მოვახდინოთ გლეხებზე დამარწმუნებელი მეთოდებით და თვალსაჩინო მაგალითებით (სხვადასხვა საცდელი საჩვენებელი, აგრონომიული სადგურები და სხვა).

ინტერესს არ იქნება მოკლებული მოვიყვანოთ აქ რუსეთის „მიწა-ტყის" კავშირის ახლახან დასრულებული მეორე კონფერენციის რეზოლიუცია ახალ ეკონომიურ პოლიტიკის საფუძვლების განხორციელების შესახებ სასოფლო მეურნეობაში. ამ პოლიტიკას საფუძვლად დაედო შემდეგი დებულებანი: 1) წვრილ მეურნეთა თაოსნობის ფართე თავისუფლება; 2) ამ თაოსნობის წახალისება ტეხნიკური დახმარებით სახელმწიფოს მხრიდან; 3) სამეურნეო განვითარების მოწესრიგება ეკონომიური და არა იძულებითი ხასიათის ზომებით; 4) ყველა სამეურნეო მიზნების ჩამოყალიბება წარმოებითი გეგმაში; 5) სამეურნეო თაოსნობის გამაგრება ზოგიერთ შემთხვევაში სავალდებულო მოთხოვნებით. შემდეგ თესვის გეგმის შესახებ რეზოლიუცია მხარს უჭერს მის, როგორც საერთო წარმოებითი გეგმის ჩანასახის, შენარჩუნებას მომავალი წლისათვისაც. მაგრამ თესვის გეგმა არ უნდა ზღუდავდეს გლეხობის სამეურნეო თაოსნობას („ბედნოტა", № 1058).

ამასთან სრული შეფარდებით ჩვენი უახლოესი მიზნები საადგილ-მამულო პოლიტიკის სფეროში შემდეგ ძირითად დებულებებში გამოიხატება:

1. მიწის მტკიცე ნორმების გამომუშავება და დაწესება;

2. მიწათმოწყობის დამთავრების დაჩქარება, რათა მოისპოს არევ-დარევა საადგილ-მამულო ურთიერთობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება და განვითარება;

3. მიწის იჯარით გაცემას საბჭოთა წყობილების დროს არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს, ვინაიდან ეს იქნებოდა ნაბიჯი უკან, მიწაზე კერძო საკუთრების აღდგენისაკენ, მაგრამ დროებით დასაშვებია იჯარით გაცემა შეუძლებელ გლეხების მიერ თავიანთ თავისუფალ ადგილებისა, როდესაც ამა თუ იმ საპატიო მიზეზების წყალობით ვერ შესძლებენ საკუთარ დამუშავონ თავისი მიზომილი მიწა; ასეთ მდგომარეობაში შეიძლება ჩავარდეს ყოველი გლეხის ოჯახი, სტიქიურ და სხვა უბედურებათა გამო და ამიტომ თავის მეურნეობის აღსადგენად ასეთ შემთხვევაში შეიძლება იჯარით დროებით დაშვებულ იქნას, მაგრამ უეჭველად სათანადო საადგილ-მამულო ორგანოს კონტროლ ქვეშ;

4. დაქირავებული შრომა სასოფლო მეურნეობაში ჯერჯერობით უნდა იქნეს დაშვებული, ვინაიდან სანამ კოლექტივიზაცია არ არის გატარებული მიწათმო-

ქმედებაში, ის გლეხურ მეურნეობაში იუცილებელი იქნება, მაგრამ ის სასტიკად უნდა იქნას მოწესრიგებული სახელმწიფოს მიერ;

5. სასოფლო მეურნეობის კულტურის ასაღორძინებლად გლეხურ მეურნეობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებათა გატარების დროს ყოველნაირად უნდა აურბოდეთ იძულებით მეთოდებს, საჭიროა ვიმოქმედოთ მხოლოთ და მხოლოთ დამარწმუნებული ზომებით, პრაქტიკული საჩვენებელი გამოცდილებით და სხვა;

6. საცდელ-საჩვენებელი სადგურების ქსელის ორგანიზაცია, რომლებიც პირველ რიგში უნდა შეუდგნენ სასოფლო მეურნეობის მომწიფებულ საკითხების გადაჭრას;

7. ფრიად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას.

ეჭვი არ არის, რომ მიმდინარე ხანაში, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ეპოქაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია წარმოადგენს ერთ მნიშვნელოვან პირობათაგანს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის განსავითარებლად. კოოპერაცია უნდა გავრცელდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების და გასაღების დარგშიაც, მელიორაციის და განსაკუთრებით ელექტროფიკაციის სფეროშიაც. გლეხების ორგანიზაციის გზით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციებში სულ მოკლე დროში შესაძლებელია მივახწიოთ გლეხურ მეურნეობის საგრძნობ ამაღლებას, ერთი მხრივ, და ავიცილოთ საშიშროება, რათა ღარიბლატაკი გლეხობა არ მოექცეს სოფლის ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ; მეორე მხრივ, ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში წვრილ გლეხობას შეუძლია გაუმჯობესოს თავისი მდგომარეობა უმთავრესად კოოპერაციაში შეკავშირების გზით;

8. უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენში საბჭოთა მეურნეობებს, ხოლო მომავალში, კარგი ორგანიზაციის წყალობით, საქმის საზრიანი წარმართვის მეოხებით, ისინი უფრო მეტ როლს შეასრულებენ. საბჭოთა მეურნეობებმა ორგვარი როლი უნდა ითამაშონ: პირველი, მათ სახელმწიფოს უნდა მისცენ შემოსავალი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახით, რომელთაც აქვთ სავალიუტო ხასიათი; და მეორე, ისინი აგრეთვე უნდა წარმოადგენდენ საჩვენებელ დაწესებულებებს გლეხურ მეურნეობისათვის. ამ უკანასკნელ მიზნისათვის ჩვენს სამეურნეო საბჭოებს ბევრი არაფერი გაუკეთებიათ და ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭოთა მეურნეობები უნდა მოეწყოს ახალი ეკონომიურ პოლიტიკის მოთხოვნებთან შეფარდებით, ამასთან მიზანშეწონილი იქნებოდა წვრილი ნაკლებ შემოსავლიანი მეურნეობები გაგვეცა სხვადასხვა კოლექტიურ ან პროფესიონალურ ორგანიზაციებისათვის მათი სარგებლობაში, მაგრამ არავითარ შემთხვევაში კერძო პირებისათვის.

9. სახელმწიფოებრივი ხელისუფლება უნდა მიისწრაფოდეს გეგმიანი თესვის გატარებისაკენ, ერთი მხრივ, და ებრძოდეს დაუთესველობას, მეორე მხრივ, ამასთან სრულიად არ უნდა მიმართავდეს იძულებით ზომებს.

10. ყველა ამ საკითხების განსაკუთრებით მიწათმოწყობის და მიწათსარგებლობის საკითხების განსახილველად უნდა მოვიზიდოთ თვით გლეხობის წარ-

მომადგენლები, სხვადასხვა რაიონებისა და მაზრებიდან. ყველა პროექტები, რომელნიც ეხებიან მიწათმოწყობას და მიწათსარგებლობას, საკითხები, რომელნიც ეხებიან გლეხურ მეურნეობას, — წინასწარ უნდა გადაეცეს გლეხებს განსახილველად ან პრესის საშუალებით ან ამ მიზნით საგანგებოდ მოწვეულ თათბირებზე. საჭიროა, რომ გლეხებმა ცხოველი მონაწილეობა მიიღონ ყველა ამ საკითხების განხილვაში, გამოსთქვან თავისი აზრი, კრტიკის თვალთ შეხედონ სამთავრო ხელისუფლების ამა თუ იმ მოსაზრებებს სასოფლო მეურნეობის სფეროში და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნან საბოლოოდ მიღებულნი ესა თუ ის პროექტები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ დღევანდლამდე ასეთი პრაქტიკა არ ყოფილა, გლეხის ხმა არ ისმოდა, ყველაფერი რაც შეეხებოდა მას, თუმცა მის სასარგებლოდ კეთდებოდა, მაგრამ იგი მონაწილეობას არ ღებულობდა. უნდა მივიღოთ ზომები, რათა მომავალში ამას ადგილი არ ექნეს.

11. დასასრულ, ვინაიდან ჩვენში სასოფლო-სამეურნეო განათლება ფრიად დაბალ დონეზე დგას და იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურა ჩვენში ჯერ კიდევ პრიმიტიულ მდგომარეობაში იმყოფება, — საჭიროა მივიღოთ ზომები: პირველი, აგრონომიულ ძალებს გასამრავლებლად ქვეყანაში, მეორედ, სასოფლო-სამეურნეო სკოლების, საცდელ-საჩვენებელი სადგურების, აგრეთვე „საპროკატო“ პუნქტების და შემკეთებელ სახელოსნოების მთელი ქსელის შესაქმნელად და, მესამე, პოპულიარულ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის შესაქმნელად, გლეხებისათვის მისაწვდომ, „ბედნოტა“-ს ტიპის გაზეთის გამოსაცემათ და სხვა.,

ყველა ამ ღონისძიებათა თუნდაც ნაწილობრივათ გატარებით ჩვენ მივაღწევთ სასოფლო მეურნეობის სწრაფ აღორძინებას. ახლა საჭიროა არა თეორიები, არა განყენებული მსჯელობანი, არამედ პრაქტიკული ღონისძიებანი. განყენებულ მსჯელობათა დრომ განვლო, დადგა პრაქტიკულ მოქმედების დრო. ამაშია საბჭოთა ხელისუფლების ბუნება.

გაზეთი: „კომუნისტი“,
1922 წლის იანვარი, № 7.
ბოსკოვი, დეკემბერი.

# საადგილ-მამულო პოლიტიკა და სასოფლო მეურნეობა საბჭოთა საქართველოში

(თეზისები) [21])

1. სასოფლო მეურნეობის აღორძინების საკითხი საბჭოთა ხელისუფლებისათვის წარმოადგენს ამჟამად ყველაზე უფრო მთავარ, ან ერთ პირველ ხარისხოვან და დამკვრელ საკითხთაგანს. სახელმწიფოებრივ ან სახალხო მეურნეობის რა დარგსაც არ უნდა შევეხოთ, ჩვენ ყველგან ვხვდებით ამა თუ იმ სახით ერთ და იმავე ბაზას — საფუძველს, სახელდობრ ს ა ს ო ფ ლ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ს.

ეკონომიური პოლიტიკის ახალ კურსს იმ თავითვე ჰქონდა მხედველობაში თითქმის მხოლოდ სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება და აღორძინება, მალე მთელი ყურადღება მიექცა მარტო ინდუსტრიულ მრეწველობას და ფინანსებს, ხოლო სასოფლო მეურნეობის ინტერესები თუ არ დაივიწყეს სავსებით, ყოველ შემთხვევაში უკანა რიგში დასწიეს, მაშინ როცა ჩვენ ქვეყანაში სასოფლო მეურნეობა წარმოადგენს ერთად-ერთ საძირკველს, რომელზედაც მხოლოდ შეიძლება ავაშენოთ როგორც ინდუსტრია, ისე ფინანსები.

ახლა უკვე ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების დროს ცხოვრებაში, როგორც პარტიამ, სე საბჭოთა ხელისუფლებამ უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს საადგილ-მამულო საკითხს და სასოფლო მეურნეობის ყველა ეს საკითხები, ე. ი. საკითხები, დაკავშირებულნი ერთი მხრივ ჩვენი საადგილ-მამულო პოლიტკასთან — მწათმოწყობასა და მიწათსარგებლობასთან, მეორე მხრივ — სამიწათმოქმედო კულტურის აღორძინებასთან, გლეხურ მეურნეობის გაუმჯობესებასთან და სხვა, — ბუნებრივად განიყოფებიან ორ ნაწილად: 1) საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ამ გარდამავალ ხანაში და 2) სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის, მისი სწრაფი გაუმჯობეხების და აღორძინების საკითხები.

## საადგილ-მამულო პოლიტიკა

2. სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება, მისი უფრო მაღალ დონეზე აყვანა დღეევანდელს მძიმე პირობებში დამოკიდებულია პირველ ყოვლისა და უმთავრესად მთელი ჩვენი ა გ რ ა რ უ ლ რ ე ფ ო რ მ ი ს წარმატებით გატარებაზე ცხოვრებაში, ე. ი. მ ი წ ა თ მ ო წ ყ ო ბ ი ს სასწრაფო წესით დამთავრებაზე.

9-10 თვის განმავლობაში, რომელმაც განვლო მიწის შესახებ ჩვენი პირველი ძირითადი დეკრეტის (№ 17) გამოცემიდან, მიწათმოქმედების კომისარიატმა, მიუხედავად უდიდესი დაბრკოლებისა, შეასრულა უშველებელი წინასწარი სამუშაო, ურომლისოდ წარმოუდგენელი იყო ცხოვრებაში გატარება ამ ეშმარიტად უდიდესი საადგილ-მამულო რეფორმისა, რომელიც ბოლოს უღებს გლეხობის ექსპლოატაციას და, მაშასადამე, რადიკალურად ცვლის ურთიერთობათ როგორც კაცთა შორის ერთი მხრივ, ისე ადამიანთა და ბუნების შორის მეორე მხრივ.

ეს მუშაობა შემდეგში მდგომარეობს. ჩვენ გამოვარკვიეთ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით: ა) მიწათმომქმედ სასოფლო მოსახლეობის რაოდენობა თითოეულ სოფელში, შრომის უნარიანსა და შრომის უუნაროზე დაყოფით; ბ) მეკომურთა რაოდენობა სოფლებადვე, მიწების რაოდენობა სოფლებადვე, მიწების რაოდენობის სწორი აღრიცხვით, რომელნიც იმყოფებიან მათ სარგებლობაში გატეგორიებათ დანაწილებით: მიწები სამოსახლო, სახნავი, ძვირფასი კულტურის. ტყიანი ადგილი და სხვა; და გ) გამოანგარიშებულია მიწის საშუალო ნორმა სულზე ცალკე თითეულ სოფლისათვის.

ამგვარად, ამ ნამუშევარის ცნობები ჩვენ გვაძლევენ ძვირფას მასალას ჩვენი სახელმწიფოებრივი საადგილმამულო ფონდის რაოდენობაზე; მის განაწილებაზე რაიონებსა, მაზრებსა და სოფლებში, აგრეთვე საქართველოს სოფლის მოსახლეობის მიწის საჭიროებაზე მაზრებსა და რაიონებში. ამ წინასწარი და ძირითადი მუშაობის გარეშე ჩვენ არ გვექნებოდა სინამდვილესთან ცოტათ თუ ბევრად დაახლოებული წარმოდგენა მიწის მშრომელთა შორის გასანაწილებელ ჩვენი საადგილ-მამულო ფონდზე, არც მიწის საჭიროებაზე მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. აქედან ცხადია, რომ აქვს რა ასეთი ძვირფასი მასალა, მიწათმოქმედების კომისარიატს შეუძლია უკვე შეუდგეს ჩვენ მიერ დაწყებულ საადგილ-მამულო რეფორმის უფრო სწორ, უფრო გეგმაშეწონილათ გატარებას ცხოვრებაში.

თავის თავად იგულისხმება, რომ ამ მუშაობასთან ერთად, მიწათმოქმედების კომისარიატი აწარმოებდა სხვა მუშაობასაც საადგილ-მამულო რეფორმის განხორციელების მიზნით, თავის ორგანოების საშუალებით სწყვეტდა ადგილობრივად საკითხს, ჩამოართმევდა ზედმეტ ნაკრებს, ვისაც ასეთი გააჩნდა, და აძლევდა იმას, ვისაც ესაჭიროებოდა. ამგვარად შესაძლებლობისდაგვარად დაკმაყოფილებულ იქნა მიწის შიმშილი. უმიწაწყლო და მცირე მიწიან გლეხებმა უმრავლეს შემთხვევაში მიიღეს მიწა გაფრთხილებით, რომ ეს მიზომვა არ არის საბოლოო, არამედ მას აქვს დროებითი ხასიათი, სანამ რესპუბლიკის მასშტაბით არ გამოირკვევა საკითხი ჩვენი საადგილ-მამულო რესურსების შესახებ, აგრეთვე მიწის საჭიროების საკითხიც. მართალია, მრავალი მიზეზის გამო, როგორც მაგ., ნივთიერ საშუალებათა უქონლობა, მომზადებულ მუშაკების უკიდურესი ნაკლებობა და სხვა, მუშაობა რეფორმის გასატარებლად ცხოვრებაში, მთელი მიწა ან ზედმეტების ჩამორთმევა მსხვილი მფლობელობისაგან და მიწის დროებით გადაცემა უმიწაწყლო და მცირე მიწიან გლეხურ მოსახლეობისათვის, — ბრკოლდებოდა ერთგვარი ინტენსივობით და წარმატებით, რომ ზოგ ადგილას, ჩვენ და სამწუხაროთ, არა მარტო ჩვენი საადგილ-მამულო განყოფილებანი, არამედ რევ-

კომებიც ამ მხრივ ვერ იდგნენ თავიანთ დანიშნულების სიმაღლეზე, რომ იყო შემთხვევები, როცა ეს ორგანოები, არ იყვნენ რა გაცნობილნი დეკრეტებს და საბჭოთა ხელისუფლების სხვა დაკანონებათ მიწის საკითხში, გულგრილათ ეკიდებოდნენ კომისარიატის განკარგულებებს და ღონისძიებათ, ხოლო ალაგ-ალაგ წინააღმდეგობასაც კი უწევდნენ მათ. განსაკუთრებით 1921 წლის გაზაფხულზე ფრიად მწვავეთ დადგა და მრავალი გაუგებრობა გამოიწვია მეტადრე გორის მაზრაში. ღ ა ლ ი ს ა ნ ს ა ი ჯ ა რ ო გ ა დ ა ს ა ხ ა დ ი ს საკითხში თავი იჩინა ტენდენციამ განემარტათ ზოგიერთი ჩვენი ცირკულიარი და ინსტრუქცია ყოფილ მიწის მფლობელთა სასარგებლოთ, მაგრამ კომისარიატის ენერგიული ჩარევით მოხერხდა ყველა ამ გაუგებრობათ სწრაფი ლიკვიდაცია.

3. ეკვს გარეშეა, დღევანდლამდე არსებული საუკუნოებით და ათასი წლობით გამომუშავებული საადგილ-მამულო წესები და დამოკიდებულებანი ფრიად რთულია და უკიდურესად დახლართული, ამიტომ შეუძლებელია ერთბაშად, ერთის დაკვრით ბოლო მოეღოს ყველა ამ დამოკიდებულებას, ყველა ამ საადგილ-მამულო ტრადიციებს. პირველ ხანად რუსეთშიაც და ჩვენშიაც ბევრს ეგონა, რომ საკმარისია მხოლოდ გამოიცეს დეკრეტი მიწის სოციალიზაციის გამათანასწორებელ მიწათსარგებლობის, ან და სასოფლო-სამეურნეო კომუნების და ამხანაგობების შესახებ და გლეხები ერთხმად გაიმსჭვალებიან კოლექტივიზაციის სულით და დაიწყებენ კომუნების, შრომის ამხანაგობების, არტელების და სხვა ასეთების დაარსებას. მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა გვიჩვენა.

მართალია, რომ განცხადებები ასეთი ამხანაგობების და კომუნების შექმნაზე ყოველმხრივად შემოდიოდა ჩვენშიაც, საბჭოთა ხელისუფლების პირველ დღიდანვე, და დაიხსომეთ ეს კიდევ, მიწის შესახებ დეკრეტის გამოცემამდე, მაგრამ ყველა ამ განცხადებათა თითქმის 99% მიზნათ ჰქონდა ყოფილ მსხვილ მიწათმფლობელთათვის თავიანთ მიწებზე უფლებების შენარჩუნება. ერთი სიტყვით, საქმე ეხებოდა ფაქტიურ ამხანაგობების, კომუნების და არტელების დაარსებას. წვრილბურჟუაზიული გლეხური მასა კი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, აღმოჩნდა კოლექტიური მეურნეობის ნაკლებათ შემთვისებელი. რა თქმა უნდა, კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს მშრომელ მასების ნებისყოფას.

ყველაზე მთავარი, ყველაზე უფრო არსებითი საადგილ-მამულო საკითხის გადაჭრაში ჩვენ უკვე გავაკეთეთ. ესაა მ ი წ ა ზ ე კ ე რ ძ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს გ ა უ ქ მ ე ბ ა, ყიდვა-გაყიდვის მოსპობა და მიწაზე ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ე ბ ი ვ ი ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს გამოცხადება, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალ სარგებლობას მიწით ყველა იმათთვის, ვინც თავისი შრომით დაამუშავებს მას. მაგრამ ამასთან საბჭოთა ხელისუფლება სრულებით არ აძლევს გლეხობას ზევიდან მიწის კოლექტიურ სარგებლობის ამა თუ იმ ფორმას, პირიქით, უწევს რა ანგარიშს გლეხურ ფსიქოლოგიას, იგი სცნობს ე რ თ პ ი რ ო ვ ნ უ ლ ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ი ს ფორგალს, ვინაიდან გლეხობის დიდი უმრავლესობა ჯერჯერობით კიდევ მიწათსარგებლობის სწორედ ამ ფორმის მომხრეა; მეორე მხრივ სასოფლო მეურნეობის სწრაფი აღდგენის ინტერესებისათვის, საბჭოთა ხელისუფლებამ დღევანდელ მომენტში ყოველ მხრივ უნდა შეუწყოს ხელი ერთპი-

ოვენულ გლეხურ მეურნეობას. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ამჟამად ვარს ვამბობთ ვაწარმოვოთ ფრიად ენერგიული პროპაგანდა სიტყვით და საქმითაც სოციალისტურ მიწათმოქმედების, მიწათსარგებლობის კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ფ ო რ მ ე ბ ი ს თანდათანი გაფართოების და გაღრმავების სასარგებლოდ. ჩვენ ყოველი ზომით დავამტკიცებთ და ნათელვყოფთ მიწით კოლექტიური სარგებლობის უპირატესობებს ერთპიროვნულ, განცალკევებულ მეურნეობებთან შედარებით. ჩვენ უნდა ვიაროთ წინ, მეთოდიურათ ნაბიჯი-ნაბიჯზე კოლექტივიზმისაკენ, კომუნისტური საფუძვლების სრული განხორციელებისაკენ მიწათმოქმედებაში. საბედნიეროთ, ჩვენ მივდივართ ამ ახალი გზით არა მარტონი, არამედ მთელი საბჭოთა ფედერაციის გლეხებთან და მუშებთან ერთად, ამასთან სრულიად არ გაიმოგვაქვს შაბლონიურათ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების გამოცდილება, არამედ ვარკვევთ შეძლებისდაგვარად და ვაუმჯობესებთ მას საქართველოში გამოყენების დროს.

4. ფრიად რთული და სერიოზულია მ ი წ ა თ მ ო წ ყ ო ბ ა ს და მ ი წ ა თ ს ა რ გ ე ბ ლ ო ბ ი ს საკითხები. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მიწათსარგებლობის არსებულ ფორმებსა და ხასიათთან, შრომის საშუალო ნორმებისგამომუშავებასთან საქართველოს ცალკე რაიონებისათვის, ადგილების ნიადაგსა, ჰავასა და სხვა პირობებთან შეფარდებით.

როგორც უკვე ზევით იყო ნათქვამი, საბჭოთა ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ მოახვევს გლეხურ მოსახლეობას მიწათსარგებლობის ამა თუ იმ ფორმას, თვით გლეხებს ანიჭებს მიწათსარგებლობის მათთვის უფრო სასურველ ფორმის არჩევის უფლებას. შემდეგ, როგორც საბჭოთა რუსეთის, ისე საბჭოთა საქართველოს გამოცდილება და პრაქტიკა გვეუბნება: პირველი, საჭიროა გარკვეულად განვსაზღვროთ მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი ს ზოგიერთი ფორმები ახალ პირობებში, აგრეთვე მიწების ხელახალი გადანაწილების ვადები; მეორე, უნდა დაუშვათ განსაზღვრულ პირობებით წითელარმიელთა ოჯახების, აგრეთვე შეუძლო ან ტრაღიკულ უბედურებით დაზარალებულ გლეხების მიწის ი ჯ ა რ ა საზოგადოებრივი ორგანოების სასტიკ კონტროლ ქვეშ და, შემდეგ, შეუძლო ან ტრაღიკულ უბედურებით დაზარალებულ გლეხების მიწის რობებში დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ ი შ რ ო მ ა სასოფლო მეურნეობის სფეროში და სხვა. რა თქმა უნდა, რომ ყველა ამ საკითხების მართებულად გადაჭრას და ცოტად თუ ბევრად სწორად მოწესრიგებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო კულტურის გაუმჯობესებისათვის იმ მხრივ, რომ ყველამ, ვინც ეწევა სამოწათმოქმედო შრომას, სისწორით იცოდნენ თავისი უფლება-ვალდებულებანი, ვინაიდან ცხადია, რომ შეუძლებელია მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესებას და სათანადო დონეზე აყვანას, თუ არ მივცემთ მიწათმომქმედს ცოტად თუ ბევრად მკვიდრ უფლებებს და ნორმებს მიწათსარგებლობის მხრივ.

ყოველმხრივ აქეზებს და ხელს უწყობს რა მიწათსარგებლობის კოლექტიურ ფორმებს, როგორც მაგ. კომუნებს, ამხანაგობებს, არტელებს და სხვა. და განსაკუთრებით აყენებს რა დღევანდელ მომენტში ყველაზე უფრო ცხოველ და გლეხურ მასისათვის არსებულ პირობებში ამ გაერთიანებათა უფრო მისაწვდომ

ფორმას — სას.-სამეურნეო კოოპერაციას, საბჭოთა ხელისუფლებამ ამასთან ერთად უნდა აღნიშნოს ის ფაქტი, რომ მიწათსარგებლობის კოლექტიური ფორმებზე გადასვლა შეიძლება ხდებოდეს მხოლოდ გლეხობის ნებაყოფლობითი გაერთიანების გზით. კარგათ უნდა შეეითვისოთ ის აზრი, რომ საბჭოთა ხელისუფლება გადაჭრით უარყოფს გლეხურ მეურნეობაზე ზეგავლენის იძულებითი საშუალებებს.

დღევანდელ მომენტში, როცა ჩვენი ქვეყანა საჭიროებს სასოფლო მეურნეობის ფრიად სწრაფ აღორძინებას, რათა გამრავლდეს პურის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რაოდენობა, ჩვენ უნდა გამოვძებნოთ ისეთი საშუალებები, რომ გლეხებმა ცხადად დაინახონ თავისი პირადი დაინტერესება სასოფლო მეურნეობის აღორძინებასა და ზრდაში. ახლა გლეხობის პირადი დაინტერესების გარეშე, მარტო ერთი იძულების ზომებით ჩვენ გლეხურ მეურნეობას მკვდარ წერტილიდან ვერ დავსძრავთ.

5. ყველა ზემოთ ნათქვამი რომ კონკრეტიულად გამოეხატოთ. საადგილ-მამულო პოლიტიკის სფეროში შემდეგ ძირითად დებულებებს ვაკენებთ.

ა) მიწა შეურყეველად ეკუთვნის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, ე. ი. მთელ მშრომელ ხალხს.

ბ) ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების უმთავრეს ძირითად მიზანს ამჟამად შეადგენს გლეხურ მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარებისათვის ყოველგვარ დაბრკოლებათა მოსპობა და აგრეთვე ყოველგვარ გაურკვევლობის ასაცილებლად მიწათსარგებლობის ფორმების საკითხებში, საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა დაამყაროს სასოფლო და საადგილ-მამულო საზოგადოების მიერ მიწათსარგებლობის ფორმების არჩევის თავისუფლება: გამოყოფილ-გამოცალკევებული, საამხანაგო კოოპერატიული და სხვა.

გ) იმავე მიზნებისა და აგრეთვე იმისათვის, რათა მიწათსარგებლობას მიეცეს ერთგვარი სიმტკიცე და ურყევლობა, საჭიროა: პირველი, ცნობილ იქნას ის გრძელ-ვადიანათ; მეორე, ცნობილ იქნას დაუშვებლად მიწის ჩამორთმევა სხვაგვარად, თუ არა თვით მიწათსარგებლობის უარის თქმით, ან კანონში ცალკე აღნიშნულ შემთხვევებში; მესამე, მიწათსარგებლობის რაოდენობის, შემადგენლობის და საზღვრების ცვლილება დაშვებულ იქნას მხოლოდ მიწათმოქმედების საერთო მოწესრიგების შემთხვევებში სასოფლო საზოგადოებაში საერთო გადამიჯვნების წესით, აგრეთვე სხვადასხვა სამელიორაციო ღონისძიებათა გატარების შემთხვევებში; მეოთხე, მიწათსარგებლობის სამეურნეო მხრივ უკიდურესად მავნებელ დაქუცმაცების ასაცილებლად ოჯახურ გაყრის დროს საჭიროა დაწესდეს მისი დანაწილების ფარგლები, რისთვისაც მიენდოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს სასწრაფოდ დაიწესოს ეს ნორმები ცალკე რაიონებისათვის.

დ) საბჭოთა ხელისუფლების საადგილ-მამულო პოლიტიკას ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში უახლოეს დროში მტკიცეთ და გარკვევით უნდა ეჭიროს გეზი შუათანაზე, ცდილობდეს ყოველმხრივ შეუწყოს ხელი გაჭირვებულ, ღარიბ გლეხობას, მიიღოს ყოველი ზომა, რათა ღარიბი სუსტი გლე-

ხობა იქცეს უფრო ძლიერი, ე. ი. აამაღლოს იგი შუათანას დონემდე. რაც შეეხება მსხვილ მეურნეობებს მიწათმოქმედების და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის სფეროში, საბჭოთა ხელისუფლება უშვებს მათ მხოლოდ მ ს ხ ვ ი ლ ს ა ბ ჭ ო თ ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ე ბ ი ს ფ ო რ მ ი თ ან სხვადასხვა კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა თ ა ს ა ს ო ფ ლ ო-ს ა მ ე უ რ ნ ე ო კ ო მ უ ნ ე ბ ი ს, ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ე ბ ი ს, კ ო ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი ს და სხვა ასეთების ფორმით.

ე) მ ი წ ი ს ი ჯ ა რ ა გლეხების მხრით დაუშვებელია, რადგან ის ეწინააღმდეგება პრინციპს: მიწა ეკუთვნის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს. მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში, სტიქიურ უბედურებათა (მოუსავლობა, პირუტყვის გაწყვეტა და სხვა ან მუშა ხელის სიკვდილი, მობილიზაციით გაწვევა და სხვა) გამო დროებით შერყეულ მეურნეობებს უფლება ეძლევათ მიწა გასცენ იჯარით საადგილ-მამულო ორგანოების კონტროლ ქვეშ მიწის იჯარის გამცემისათვის იჯარის ფასის მიცემით და შემდეგი პირობების დაცვით: პირველი, მოიჯარადრეს ნება ეძლევა იქონიოს მიწა თავისი ნაკრის ჩათვლით არა უმეტეს იმ რაოდენობისა, რომლის დამუშავება მას შეუძლია თავის ოჯახის ძალების გამოყენების გზით; მეორე, იჯარის საერთო ხანგრძლივობა არ შეიძლება აღემატებოდეს 1 — 2 წელს, რის შემდეგ თუ მიწის იჯარით გამცემი ვერ შესძლებს თავისი უშუალო შრომით მიწის გამოყენებას. უკანასკნელი გადადის სამარაგო ძიწის ფონდში; მესამე. მოიჯარადრის მიერ მიწის გადაცემა მესამე პირისათვის არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება; და მეოთხე, იჯარა შეუძლებელია დაშვებულ იქნას იმ შემთხვევაშიაც, როცა სოფლის მეურნე, გლეხი, ან ვინც უნდა იყოს ის, თავს ანებებს სასოფლო მეურნეობის წარმოებას მიზომილ ნაკერზე, სხვა ადგილას გადასახლების ან სხვა ხელობაზე გადასვლის გამო შემდეგი გამონაკლისით: დროებით დაშვებულ იქნეს მიწის იჯარით გაცემა იმ მუშების მხრივ, რომლებიც მუშაობენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ყველაზე უფრო საჭირო დაწესებულებებში და რომელთაც უკვე აქვთ სოფლად თავისი ნაკერი მიწები.

ვ) აგრეთვე უნდა დაუშვათ დ ა ქ ი რ ა ვ ე ბ უ ლ შ რ ო მ ი ს გამოყენება სასოფლო მეურნეობაში ისევ დროებით დასუსტებულ მეოჯახეთათვის, აგრეთვე ინტენსიურ კულტურაზე გადასულ მეურნეობებისათვის, განსაკუთრებით სასეზონო და ვადიან მუშაობის დროს.

ზ) ცნობილ იქნას დასახული გეგმიანი მიწათმოწყობის უსწრაფესი გატარება დამკვრელ ამოცანათ და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცეს ამას მოახმაროს მთელი ძალღონე, რადგან სხვანაირათ შეუძლებელია სასოფლო მეურნეობის რაიმე გაუმჯობესებას მივაღწიოთ. ამასთან შრომის საშუალო ნორმების გამომუშავების და მათი გადაცემის დროს გლეხურ მეურნეობებზე საჭირო არ არის სავსებით დავიცვათ შემამულეთაგან ჩამორთმეულ მიწების გ ა მ თ ა ნ ა ს წ ო რ ე ბ ე ლ ი დ ა ყ ო ფ ა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ეს საჭიროა მაღალ კულტურულ მამულების, ვენახების, ჩაის, თამბაქოს, მანდარინის, დაფნის პლანტაციების, ხილის ბაღების და სხვათა მთლიანობის შენარჩუნების ინტერესებისათვის. ყველა ამ შემთხვევაში უნდა ვიზრ-

ქმედოთ განსაკუთრებული სიფრთხილით, რათა ზიანი არ მივაყენოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურას და არ გამოვიწვიოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაქვეითება.

თ) მიწათმოწყობის მუშაობის უფრო წარმატებით და სწრაფი გატარების მიზნით საჭიროა თვით გლეხობის უშუალოდ ჩაბმა მიწათმოწყობის საქმეში, ამ მუშაობაში მისი აქტიური მონაწილეობის საფუძველზე, ამასთან სამიწათმზომელო. და მიწათმომწყობ მუშაკების ნაკლებობის გამო სასურველია უახლოეს დროში მოეწყოს მოკლე ვადიანი კურსები ასეთ მუშაკების მოსამზადებლად თვით გლეხობის წრიდან.

ი) საბჭოთა მეურნეობის (მამულების) ორგანიზაცია უნდა იყოს აშენებული შემდეგ ზოგად საფუძვლებზე: 1) ყველა ამჟამად არსებული საბჭოთა მეურნეობები დამოუკიდებლად იმაზე, თუ ვის სარგებლობაში იმყოფებიან ისინი, ჩაითვალოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის და მის ორგანოების გამგებლობაში არსებულად; 2) ამიერიდან ახალი საბჭოთა მეურნეობების შემდგომი ორგანიზაციის ნება მიეცეს მხოლოდ და მარტო მიწათმოქმედებისსახ. კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს კომისარიატის ნებართვით; 3) საბჭოთა მეურნეობების ექსპლოატაციას აწარმოებს უშუალოდ მიწათმოქმედების კომისარიატი ან მისი ადგილობრივი ორგანოები; 4) საბჭოთა მეურნეობები შეიძლება გადაეცეს საიჯარო სარგებლობაში (ფასით ან უფასოთ) სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს ან წარმოებებს, პროფსიონალურ ან სხვა საზოგადოერივ ორგანიზაციებს; რაც შეეხება საბჭოთა მეურნეობების კერძო პირებზე გადაცემას, ასეთი მიუღებლად იქნას ცნობილი.

კ) ყველა საბჭოთა მეურნეობები იყოფიან შემდეგ ჯგუფებად:

1) საცდელი მეურნეობები სამეცნიერო გამომკვლევე ამოცანებით და დანიშნულებით, საჩენებელი და აგრიკულტურულ ღონისძიებათა მწარმოებელი მეურნეობანი, როგორც სათესლე ჯიშიანი საქონლის მოსაშენებელი, ხილის ნამყენები და სხ.

2) მეურნეობანი, რომელნიც ქმნიან უმთავრესად სასურსათო ხასიათის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და ნედლეულს.

მ) მიენდოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს სასწრაფო წესით ღაამუშავოს ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან შეფარდებით დებულება საძოკრებზე (ბალახზე), მეცხვარეობაზე.

ნ) მწვავე უმიწაწყლობა ან მცირე მიწიანობა, რომელიც საგრნობია განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიაში (რაჭის, შორაპნის, ოზურგეთის და სხვა მაზრებში) ე .ი. მიწის ფონდის ნაკლებობა ადგილობრივად გლეხობის ნაწილს იძულებულს ხდის გადასახლდეს სხვა მცირედ დასახლებულ რაიონებსა და მაზრებში. მრავალი მიზეზის გამო, უმთავრესად საშუალებათა უქონლობის წყალობით, გადასახლების საქმე ჩვენში დღევანდლამდე არადამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული; მიწათმოქმედების კომისარიატი გასული წლის განმავლობაში აკეთებდა ყველაფერს, რაც შესაძლებელი იყო: არკვევდა თავისუფალ გადასასახლებელ ფონდის მდგომარეობას (ახალქალაქის, ბორჩალოს და სხვ. მაზრებში. აგრეთვე აწარმოებდა პრაქტიკულ მუშაობას გადასახლებულთა საჭიროების ნა-

წილობრივი დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ამ საქმის ფართე განვითარებას ხელს უშლიდა ფულის უქონლობა. უნდა ვაღიაროთ, რომ გადასახლებულთათვის ნივთიერ და სხვა დახმარების გარეშე სახელმწიფოს მხრივ, შეუძლებელია გადასახლების საქმის წინ წაწევა. ამიტომ საჭიროა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გადასდოს აუცილებელი თანხა გადასახლების საქმის მოსაწყობად.

## სასოფლო მეურნეობა

გლეხური სასოფლო მეურნეობა საქართველოში ეხლაც ფრიად დაბალ დონეზე სდგას. მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ მეთოდებს, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და მანქანებს საქართველოს გლეხური მოსახლეობა თითქმის არ იცნობს. უკანასკნელ 7-8 წლის განმავლობაში ჩვენში არამც თუ გაუმჯობესდა სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა, არამედ ის უფრო და უფრო დაქვეითდა. აქ მენშევიკურ ბურჟუაზიულ ხელისუფლების არსებობის დროს გლეხურ სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად სრულებით არაფერი არ ყოფილა გაკეთებული. აქიტომ სრულებით გასაკვირველი არაა, რომ სასოფლო მეურნეობა ჩვენში მისულია კატასტროფიულ მდგომარეობამდე. აგრონომიული დახმარება გლეხურ მოსახლეობისადმი საქართველოში მხოლოდ სიტყვით არსებობდა, სრულიად მივიწყებული იყო სამელიორაციო მუშაობის წარმოება სასოფლო მეურნეობის დარგში.

აქედან ცხადია, რომ საქართველოს სოფლის მიწათმომქმედი მოსახლეობა იყო და რჩება სრულიად უმწეო სტიქიურ უბედურებასთან, გვალვასა მოუსავლობასა, მავნებლობასა და სხვასთან ბრძოლაში. და გასაგებია, რომ ერთი მხრივ გვალვას წარსულ წლის გაზაფხულზე და ზაფხულში, მეორე მხრივ განუწყვეტელ წვიმებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა გაზაფხულზე, უმთავრესად იმერეთსა, გურიასა და სამეგრელოში, მოჰყვა ჭირნახულის დაღუპვა. მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ შეკრებილ ცნობებით გამორკვეულია შემდეგი:

ა) გორის მაზრაში, რომელიც არის ერთად-ერთი პურის ფრიად მოსავლიანი მაზრათაგანი მთელს საქართველოში, პურეულის შარშანდელი მოსავალი არ აღემატება ჩვეულებრივ მოსავლის ერთ მეოთხედს (50 — 60 ფუთის მაგივრად 12 — 16 ფუთი დესეტინიდან).

ბ) ბორჩალოს მაზრას მოუვიდა საშუალო მოსავლის 30%-ტი.

გ) დუშეთის მაზრაში მოუსავლობა იმდენათ საგრძნობი იყო, რომ ბევრ ადგილას გლეხებმა სათესლეც ვერ აკრიფეს.

დ) მთელს ქუთაისის გუბერნიაში და უმთავრესად მაზრებში: ოზურგეთის, სენაკის, რაჭის და შორაპნის სიმინდმა ვერ მოასწრო მომწიფება, ხოლო ბევრ ალაგას ის სავსებით დაიღუპა განუწყვეტელ წვიმებისაგან.

შექმნილ მდგომარეობის გამო პარტიასა და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დგანან უაღრესად სერიოზული და მძიმე ამოცანები. რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა საკითხი ეხება ყანების დათესვას, ჩვენ ვდგევარ მომავალ გაზაფხულზე სათესი კამპანიის გატარების უძნელეს ამოცანის წინაშე.

წარსულ სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში, 1921 წელში, 1920 წელთან შე-

დარებით. დაუთესველობას თითქმის არ ჰქონია ადგილი, ხოლო თუ ჰქონდა ფრიად უმნიშვნელო პროცენტს, სამი-ხუთი პროც. და თუ არ მოუსავლობა, რესპუბლიკის სასურსათო მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა. თუ ეხლავე არ მივიღეთ ფრიად ენერგიული ზომები, ყანების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთესავი დარჩება და 1922 წელს სასურსათო მხრივ ჩვენ აღმოვჩნდებით უფრო ცუდ მდგომარეობაში, ვინემ 1921 წელს. საქმე ის არის, რომ თესვის კამპანია 1921 წ. შემოდგომაზე ჩვენში ჩაიშალა სათესლე მასალის ნაკლებობის გამო. მიწათმოქმედების კომისარიატთან არსებულ თესვის ცენტრალურ კომისიას განზრახვა ჰქონდა დაერიგებინა მოსახლეობისათვის 1921 წ. შემოდგომის სათესი კამპანიის განმავლობაში 130 — 150 ათასი ფუთი სხვადასხვა თესლეულობა ყანების დასათესათ. მაგრამ იმის გამო, რომ ეს მოითხოვდა ჩვენთვის შეუძლებელ ხარჯებს თვით კომისიამ შეამცირა გლეხებისათვის დასარიგებელ სათესი მასალის რაოდენობა 50.000 ფუთამდე და ამისათვისაც საჭირო იყო 8-9 მილიარდი ჩვენი ბონებით, მაგრამ ფულის ამ რაოდენობის მაგიერ დათესვის კომიტეტმა მიიღო მხოლოდ ერთ მილიარდ მანეთამდე და ისიც დაგვიანებით. რა თქმა უნდა ამ საშუალებით კამპანიის ჩატარება ყოველად შეუძლებელი იყო.

შემოდგომის კამპანიის დამარცხების გამო მთელი ძალღონე უნდა მოვიკრიბოთ, რათა ცოტათ თუ ბევრათ წარმატებით ჩავატაროთ მომავალი გაზაფხულის თესვის კამპანია. თესვის კომიტეტი უკვე შეუდგა ამ კამპანიის ორგანიზაციას. შედგენილია გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. გეგმა დამყარებულია 300 ათას ფუთამდე სხვადასხვა სათესი მასალის, განსაკუთრებით სიმინდის შეძენაზე, უმთავრესად საზღვარგარეთ. თესლი ურიგდება გლეხობის უღარიბეს ნაწილს უპროცენტო სესხის სახით, რომელიც ჭირნახულის მოკრეფის შემდეგ უნდა იქნას დაბრუნებული ნატურით.

ამას გარდა მომავალი სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩასატარებლათ ჩვენ გვესაჭიროება: 80.000 ფუთი შაბიამანი, 60.000 ფუთი გოგირდი დაახლოვებით 6-7 მილიარდ მან. ღირებულების და სხვა სამკურნალო მასალები სასოფლო მეურნეობის მავნებლობასთან საბრძოლველად 700 მილ. მანეთისა. რა თქმა უნდა, მთელი ეს თანხა ანაზღაურებული იქნება ყველა ამ საგნების რეალიზაციის შემდეგ, მაგრამ მათი შეძენა მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია.

8. ძირითად ღონისძიებათა ქვაკუთხედად სასოფლო მეურნეობის აღორძინების და გაუმჯობესების სფეროში უნდა დავაყენოთ: პირველი, სამელიორაციო მუშაობა ჭაობების ამოსაშრობად, ტყეების გასაკაფად დაბლობ ადგილებში და პირველ ყოველისა მინდვრების მოსარწყავად და, მეორე, ჩვენი სოფლის, მთელი სასოფლო მეურნეობის ელექტროფიკაცია. როორც ცნობილია, ჩვენ მოგვეპოვება უფართოესი, უწყლობის გამო მოცდენილი და უდაბური ადგილები, რომელნიც სარწყავ არხების მოწყობით გარდაიქცევიან აყვავებულ, უნოყიერეს ველებად. მაგრამ ამჟამად ჩვენ ვერ დავისახავთ ფრიად ფართე პერსპექტივებს ამ დარგში, როგორც ელექტროფიკაციის სფეროშიაც. ამ დარგში უნდა შევეწლუდოთ ჩვენი მიზნები, ვიკისროთ ისეთი საქმეები, რომელთა შესრულებას მოვახერხებთ. კონკრეტიულად რომ მოვილაპარაკოთ, სრულებით არ ვიღებთ

რა ხელს დიდი სამელიორაციო სამუშაოების ასრულებაზე, აგრეთვე დიდი ელექტრონის სადგურების აშენებაზე და ვდგამთ რა ამ მიმართულებით სათანადო ნაბიჯებს, ჩვენ ამჟამად უნდა შევუდგეთ მუშაობას პატარა სარწყავ არხების და მცირე ელექტრონულ სადგურების მოსაწყობად, რომლებისათვის ჩვენ ძალა შეგვწევს, და ამ მიზნით გამოვიყენოთ ადგილობრივი ძალები და საშუალებანი და ჩავაბათ ამ მუშაობაში თვით გლეხები. საჭიროა აღვძრათ გლეხების თაოსნობა და თვითმოქმედება, და ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს რამდენიმე მაგალითი. მნიშვნელოვან შედეგების მიღწევა შეიძლება ყველა ამ დარგში კოოპერატიულ აქხანაგობების გზით.

პირველ რიგში ამჟამად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა იზრუნოს და მიიღოს სასწრაფო ზომები ყარაიასა და გიაურარხში (ბორჩალოს მაზრაში) არსებულ ორი სარწყავი სისტემის შესაკეთებლად და წესიერში მოსაყვანად; მათი საშუალებით შეიძლება მოირწყოს ათეული ათასი დესეტინა უნოყიერესი მიწებისა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ დარგში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოღვაწეობა აწყდება ზოგიერთ სიძნელეს. საქმე ის არის. რომ მიწათმოქმედების კომისარიატი ამა თუ იმ სამელიორაციო სამუშაოს წარმოების მხრივ საკუთებით დამოკიდებულია სახელმწიფო შენებათა კომიტეტისაგან, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედებს და რომელსაც აქვს თავისი გეგმა. გამოცდილებამ დაგვანახა, რომ მიწათმოქმედების კომისარიატის ასეთი დამოკიდებულება ამ მხრივ საგრძნობლად ართულებს და აბრკოლებს მის მოქმედებას სხვადასხვა სამელიორაციო სამუშაოების გასატარებლად. მომქმედი დებულებების თანახმად, სახ. შენებათა კომიტეტი აწარმოებს ყველა კაპიტალურ სამუშაოს მიწების მორწყვისა და ამოშრობის სფეროში, ხოლო მიწათმოქმედების კომისარიატს მინიჭებული აქვს მათი ექსპლოატაციის და წვრილი რემონტის წარმოების უფლება.

ასეთი დანაწილება ვნებს საქმეს, ირღვევა გეგმის მთლიანობა და დამღუპველია სასოფლო მეურნეობისათვის. საჭიროა ამ მთლიანობის შექმნა, მთელი ამ საქმის თავმოყრა ერთ უწყებაში, ერთ კომისარიატში; ხოლო ასეთ უწყებას ბუნებრივად წარმოადგენს მიწათმოქმედების კომისარიატი.

9. მოსახლეობისათვის უშუალო ა გ რ ო ნ ო მ ი უ ლ დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს ორგანიზაცია და ფრიად ფართედ დაყენება აგრონომიულ პუნქტების ქსელის შექმნის და გაფართოების გზით: გამაქირავებელ („სპროკატო"), შემკეთებელ სახელოსნოების, მარცვლეულის გამწმენდი, საქონლის საგრილებელის, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების, სამკურნალო და სხვა სასოფლო-სამეურნეო მასალების საწყობების გახსნით, ხეხილის სანერგეების და ნამყენ ამერიკულ ვაზების, ჯიშიან ცხოველების გამავრცელებელ პუნქტების და სხვათა მოწყობის გზით. შემდეგ საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებების განვითარება. აგრეთვე ფართე პროპაგანდა გლეხებ შორის სიტყვით და საქმით სათეს მასალის გაწმენდისა და შერჩევისა, აღმოსავლეთ საქართველოს ერთგვარ მარცვლეულის მეურნეობაში მცენარეების — სიმინდის და კარტოფილის — შემოღების აუცილებლობისა, ნიადაგის დამუშავების გაუმჯობესებისა და მისი განოყიერებისა,

ხოლო დასავლეთ საქართველოში სიმინდის მწკრივად თესვის და ფართე კულტურის შემოღებისა.

10. ბოლო დროს განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით საგანგებო ყურადღება სასოფლო მეურნეობის აღორძინების და გაუმჯობესების საქმეში ექცევა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას. კოოპერაცია უნდა გავრცელდეს სასოფლო მეურნეობის წარმოების ყველა სახეზე როგორც სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოების და მათი გასაღების სფეროში, ისე მელიორაციის და განსაკუთრებით ელექტროფიკაციის დარგში. გლეხების ორგანიზაციის გზით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში შესაძლებელია უმოკლეს დროში მივაღწიოთ გლეხურ მეურნეობის მნიშვნელოვან აღორძინებას ერთი მხრივ, და მეორე მხრივ ჩვენ დავეხმარებით წვრილ და მცირე შეძლებულ გლეხებს გაამაგრონ და გამოასწორონ თავისი მდგომარეობა. საბჭოთა ხელისუფლება ყოველნაირად უნდა უწყობდეს ხელს გლეხობის უღარიბეს ნაწილის განვითარებას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში.

აქედან გამომდინარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის აღიარების საჭიროება დიდი სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმედ, ამასთან ეს საქმე სავსებით უნდა იყოს მოქცეული მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან.

გარდა ამისა, სავაჭრო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების მოწესრიგება და სასურველ ნიადაგზე დაყენება.

11. ჩვენი ქვეყანა ყოველთვის იტანჯებოდა აგრონომიულ ძალების ნაკლებობით და სასოფლო-სამეურნეო განათლებას ფრიად სუსტი განვითარებით. საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს მეტად ენერგიული ზომები ამ ნაკლულევანებათა დასაძლევათ. ყველა საფეხურის სასოფლო-სამეურნეო სკოლების განათლების სახალხო კომისარიატთან თავმოყრის ცდა, რომელსაც ახლახან ადგილი ჰქონდა ჩვენში, აღმოჩნდა სრულიად უვარგისი და მან ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო განათლების დაყენების უფრო არევ-დარევას და დეზორგანიზაციას, ვინემ მის გაუმჯობესებას. ამიტომ საჭიროა რომ სასოფლო-სამეურნეო განათლება კვლავ იქნეს გადაცემული განათლების კომისარიატის გამგეობიდან მიწათმოქმედების კომისარიატის გამგეობაში. ამასთან მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მიენდოს სასწრაფო წესით გამოიმუშავოს სასოფლო-საეურნეო განათლების მოწყობის უფრო რაციონალური გეგმა, რომლის ბიხედვით უნდა მოხდეს ამ საქმის არსებული დაყენების რეორგანიზაცია; ამასთან უნდა შეუდგეთ სკოლის გარეშე სასოფლო-სამეურნეო კურსების, ლექციების და საუბრების მთელი ქსელის შექმნას სხვადასხვა ჰასაკის მოზრდილ მოსახლეობისათვის. ამაშიე უნდა შევიდეს მდაბიო აგრონომიულ ლიტერატურის და სასოფლო-სამეურნეო გაზეთის შექმნა.

12. სასურსათო გადასახადით სოფლის მეურნეობის დაბეგვრის და გადახდევინების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ საქმეში ადგილი ჰქონდა ზოგიერთ შეცდომებს, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოსწორებული, და საერთოდ საჭიროა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება სოფლის მოსახლეო-

ბის სხვადასხვა გადასახადით დაბეგვრის დროს უალრეს სიფრთხილეს უნდა იჩენდეს.

13. საქართველოს სატყეო მეურნეობა ტყეებით დაფარულ ტერიტორიის სიერცის გამო, შეადგენს სახალხო მეურნეობის ერთი უმნიშვნელოვანეს დარგს, ხოლო მომავალში მან უფრო დიდი როლი უნდა ითამაშოს.

უნდა ვაღიაროთ, რომ რევოლიუციის დროს ტყეები ძალიან დაზარალდნენ, უდიდესი ტყეები დასჩეხეს და დაიტაცეს, კიდევ უარო უნდა გავაძლიეროთ ტყის სიმდიდრის დასაცავი ზომები და უნდა ჩაუნერგოთ ხალხს ის აზრი, რომ ტყეები შეადგენს სახელმწიფოს საკუთრებას.

სატყეო მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის უნდა ვსცნოთ, რომ ამ საქმის არსებული დაყენება — დაწესებულებების ღანაწილება, რომელნიც ერთი მხრივ ემსახურებიან ტყეების დაცვას და აღრენებას, მეორე მხრივ დაწესებულებების, რომლებიც ამზადებენ სატყეო მასალას ან ეწევიან ტყის ექსპლოატაციას, — სრულიად მიზანშეუწონელია და თვით მეურნეობის ინტერესებს არ აკმაყოფილებს; ამიტომ საჭიროა მათი გაერთიანება ერთ ორგანოში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან.

სატყეო მეურნეობა სავსებით უნდა გადავიყვანოთ, ნაწილობრივ უკვე გადაყვანილია, სამეურნეო ანგარიშზე. ამასთან გამოვყოთ ზოგად ახელმწიფოებრივი ხასიათის ტყეები ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებიდან და გავაძლიეროთ მუშაობა ტყეების გამოსაკვლევად და ტყეების მოსაწყობად.

14. სასოფლო მეურნეობის აღორძინების და გაუმჯობესების საქმეში პროფკავშირებმა საერთოდ და „მიწა-ტყის" მუშაკთა კავშირმა, რომელიც უფრო ახლო სდგას მიწათმოქმედების კომისარიატთან, უნდა მიიღონ ფრიად ფართო მონაწილეობა სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კამპანიების, პროლეტარულ მიწათმოქმედების ორგანიზაციის გზით, ამასთან „მიწა-ტყის" კავშირის მთელი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს მიწათმოქმედების კომისარიატთან სრული შეთანხმებით.

15. სასოფლო მეურნეობის და საადილ-მამულო პოლიტიკის ყველა მთავარი საკითხების გასახილველად უნდა იქნან მიზიდულნი თვით გლეხების წარმომადგენელნი სხვადასხვა რაიონებსა და მაზრებიდან. ყველა საკითხები, რომელნიც ეხებიან მიწათმოწყობას და მიწათსარგებლობას, აგრეთვე სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების და აღორძინების საკითხები წინასწარ განსახილველად უნდა გადაეცეს მასებს ან პრესის საშუალებით ან ამ მიზნით საგანგებოთ მოწვეულ თათბირებზე. საჭიროა, რომ გლეხები უშუალო მონაწილეობას იღებდენ ყველა ამ საკითხების განხილვაში, გამოსთქვამდნენ თავიანთ აზრს, კრიტიკის თვალით აფასებდნენ მთავრობის ამა თუ იმ მოსაზრებებს და პროექტებს სასოფლო მეურნეობის სფეროში, და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნენ საბოლოოდ მიღებულნი ეს დებულებები და პროექტები.

16. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოქმედების სფერო შეიცავს ფრიად მრავალგვარ მოღვაწეობას: კულტურულ სფეროსაც, წარმოების დარგსაც. მიწათმოქმედების კომისარიატს დაკისრებული აქვს არა მარტო სასოფლო მეურნეობის აღორძინების და გაუმჯობესების მიზნები,

არა მარტო ზრუნვა გლეხურ მეურნეობაზე, არამედ საბჭოთა ხელისუფლების თვით აგრარული რეფორმის გატარება, მიწათმოქმედების და მიწათსარგებლობის ურთულესი საკითხები და სხვა. მიწათმოქმედების კომისარიატის ნაყოფიერ და წარმატებითი მოღვაწეობაზეა დამოკიდებული არა მარტო სასოფლო მეურნეობის აღორძინება და აყვავება, არამედ მრეწველობის ზრდაც (ნედლეულის, პურის და სხვათა დამზადება) და სასურსათო საქმის გაუმჯობესებაც. ამიტომ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ მიწათმოქმედების კომისარიატს უნდა მიაქციოს ყურადღება როგორც მის განკარგულებაში პატიოსან და ენერგიულ მუშაობის შესაფერ კადრის გადაცემით, ისე ფინანსებით მომარაგების მხრივ.

ზევით უკვე იყო მოხსენებული, თუ როგორ ბრკოლდებოდა მიწათმოქმედების კომისარიატის მუშაობა გასულ 1921 წელში 1 მარტიდან 1922 წლის 1 იანვრამდე. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატზე სახელმწიფო ხაზინის მიერ გამოშვებულია 12 ნახ. მილიარდ მანეთამდე ჩვენი ბონებით, მაშინ როცა მარტო სათესი კამპანიისათვის წარსულ წლის შემოდგომაზე კომისარიატი ითხოვდა დაახლოვებთ 9 მილიარდ მანეთს. რა თქმა უნდა, ეს მცირე თანხა სრულებით არ იყო საკმარისი და თუ მაინც კომისარიატის მუშაობა არ შეჩერებულა, ეს იმით აიხსნება, რომ მიწათმოქმედების კომისარიატის ზოგიერთმა დაწესებულებამ და წარმოებამ ნაწილობრივ იწყო გადასვლა სამეურნეო ანგარიშზე. ეს საკითხი 1922 წლის დაწყებიდან დადგება უფრო სწორ ლიანდაგზე, ამ მხრივ უკვე მიღებულია ზომები: ყველა სამეურნეო წარმოება გადაყვანილ იქნება სრულ სამეურნეო ანგარიშზე, მაგრამ მიუხედავათ ამისა აგრარულ რეფორმის გასატარებლად, სასოფლო მეურნეობის აღორძინებისათვის ზოგადი ზომების მისაღებათ, მცირე შეძლებულ გლეხების დასახმარებლათ, უმიწაწყლო და მცირე მიწიან გლეხების გადასახლების მოსაწყობათ ერთი რაიონიდან მეორეში და სხვა. საჭიროა გაცილებით მეტი საშუალება, ვინემ ეძლევა მიწათმოქმედებს კომისარიატს; ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს არსებითად და 6 პროც. მაგივრათ, რომელიც ეხლა ეძლევა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს, ეს რაოდენობა გადიდებულ უნდა იქნას ყოველ შემთხვევაში 12 — 15 პროცენტამდე.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შესძლებს მიწათმოქმედების კომისარიატი თავისი მოღვაწეობის სასურველ ფარგლებში გაშლას.

გაზეთი „კომუნისტი"
1922 წლის 31 იანვარი,
№ 23.

# საადგილ-მამულო პოლიტიკა და სასოფლო მეურ-ნეობა საქართველოში

ჩემი მოხსენება [82]) შეეხება საადგილ-მამულო პოლიტიკას და სასოფლო მეურნეობის მდგომარეობას საქართველოში. საადგილ-მამულო პოლიტიკას მე შეეხები იმდენად, რამდენადაც ის ხელს უწყობს დაცემული მეურნეობის აღდგენას და დაქსაქსული წვრილი სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ მეურნეობათ გარდაქმნას. საქართველოს გლეხობა მოუთმენლად მოელოდა მიწის საკითხის გადაჭრას. ჩვენ შევიმუშავეთ ახალი აგრარული რეფორმა. საბჭოთა მთავრობის დამყარების პირველ ხანებში მეტად გამოურკვეველი მდგომარეობა სუფევდა სოფლად,ბევრ პროვოკაციას ჰქონდა ადგილი. გლეხობამ არ იცოდა, შერჩებოდა თუ არა მას მიწა ან რა სახით და რაოდენობით; იყო შემთხვევები, რომ პროვოკაციის და გაუგებრობის ნიადაგზე გლეხებმა გაჩეხეს ვენახები და ჩაიდინეს ზოგიერთი სხვა უწესრიგობა. პირველ ხანებში ჩვენც არ გვქონდა ნათლად წარმოდგენილი, თუ როგორ გაგვეტარებია აგრარული რეფორმა. როცა ჩვენ ვებრძოლით მეფის და კერენსკის [83]) მთავრობას, ჩვენი პოლიტიკა და მეთოდები რევოლიუციონურ ლოზუნგებით იყო მოქარგული. ჩვენ ვეუბნებოდთ გლეხობას: დაეუფლეთ მემამულეების მიწას, ნუ გაქვთ იმედი, რომ მიწის საკითხი წესიერად გადასწყდეს ზევიდან. ცხადია, ასეთი ლოზუნგებით ვერ გამოვიდოდით ჩვენ მას შემდეგ, რაც ძალაუფლება მუშათა კლასმა და უღარიბესმა გლეხობამ დაიპყრო. ასეთი ლოზუნგებით გამოსვლა ნიშნავდა სამოქალაქო ომის ხელოვნურად გამოწვევას, რაც მუშურ-გლეხური მთავრობისათვის სრულებით არ არი ხელსაყრელი და რაც აშკარათ მტკიცდება რუსეთის მაგალითით. რა თქმა უნდა, რუსეთის სამოქალაქო ომი შედეგი იყო ბურჟუა მემამულეების შეურიგებლობის და არა მშრომელი ხალხის და მისი მთავრობის სურვილის, მაგრამ საქართველოში მემამულეთა მცირე სუსტი ჯგუფი ვერ გამოიჩენდა ასეთ შეურიგებლობას, ამიტომ უნდა მოვრიდებოდით მდგომარეობის გამწვავებას და დავადექით კანონმდებლობით გზას. სამოქალაქო ომის მაგიერ პირდაპირ გადავედით აღმშენებლობითი მუშაობაზე. ჩვენ თავიდანვე მივმართეთ აგიტაციას იმის შესახებ, რომ მთელი მიწა გლეხობას გადაეცემა. მხოლოდ არ უნდა მოხდეს მიწის თვითნებობით დატაცება და მითვისება. მთელი იმედები გლეხობას უნდა დაემყარებია მუშათა და გლეხთა მთავრობაზე, რომელიც იძლეოდა და იძლევა მიწის რეფორმის სისწორით გატარების გარანტიას. გლეხობამ გონიერობა გამოიჩინა და მხოლოდ იშვიათ

შემთხვევაში ჰქონდა ადგილი თვითნებობას. უმთავრეს დეკრეტს მიწის შესახებ, რომელიც გამოიცა 6 აპრილს. თან მოჰყვა მთელი რიგი მოწოდებები, ინსტრუქციები და სხვა, რომლებმაც გაურკვიეს ხალხს დეკრეტის მნიშვნელობა და ხასიათი. პრაქტიკულად ამ დეკრეტის განხორციელება მიენდო ადგილობრივ ულარიბეს გლეხობის მიერ ამორჩეულ კომიტეტებს. ამასთან ჩვენ თავიდანვე გავითვალისწინეთ ის გარემოება, რომ იქ იქნებოდა მიზანშეწონილი და ნორმალური, რომ თითეულ სოფელს ან მაზრას დამოუკიდებლად მოეხდინათ მიწის ჩამორთმევა და განაწილება. საჭიროთ ვცანით, ანგარიში გასწევოდა და გაგვეთვალისწინებია მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მიწათმფლობელობის სურათი: რომელ ადგილში რამდენი მიწა იყო მეტი, სად როგორი ხარისხის მიწა არის, სად რამდენი მიწა აკლია გლეხობას და სხვა. როდესაც მიწის ზედმეტობას ან დანაკლისს ვარკვევთ, რა თქმა უნდა, ჩვენ ვხელმძღვანელობთ შუათანა გლეხის მიწის ნორმით. ეს მუშაობა კომისარიატმა დაიწყო მაისში, რისთვისაც დაგზავნილი იქნენ სოფლად სპეციალისტები და ინსტრუქციები და დღეს ეს მუშაობა უკვე დამთავრებულია. არ დარჩენილა თითქმის ერთი სოფელი, რომ გამორკვეული და შესწავლილი არ იყოს მისი თითეული კომლის მიწათმფლობელობა, ოჯახის შემადგენლობა შინ და გარედ. მიწის კატეგორია, რომლითაც ოჯახი მიწით სარგებლობს და სხვა. გამომუშავებულია მიწის ნორმა თვითეულ სოფელში, რაიონში და შემდეგ მაზრაში. ეს მასალები დაგროვილია და გამზადებულია დასამუშავებლად, — უამისოდ ჩვენ არ შეგვიძლია მიწის რეფორმის ჩატარებაეხლა ჩვენ შევიმუშავებთ დაწვრილებითი გეგმას რეფორმის საბოლოოდ ჩასატარებლად, რომელსაც წარუდგენთ განსახილველად ახლო მომავალში ჩვენ მიერ მოწვეულ მიწის კომიტეტების ყრილობას, სადაც თვითეულ მაზრიდან იქნებიან სამ-სამი გლეხების წარმომადგენლებიც. ამ ძრითად მუშაობასთან ერთად კომისარიატი ხელმძღვანელობდა აგრეთვე მიწების ნაწილობრივ ჩამორთმევას და ღარიბ გლეხებზე დარიგებას. ამ ნიადაგზე შესაძლებელი იყო ბევრი გაუგებრობა, ექსცესები, რომ ჩვენ გვეცადა საერთოდ მიწის რეფორმის ჩატარებისათვის. ამავე დროს ჩვენ მოვსპეთ ოჯარით გაცემის უფლება, რომელსაც მეტათ ჰქონდა ადგილი გორის მაზრაში, მაგალითად, სახალხო მსაჯული კიკნაძე ხუთი წლის ოჯარის გადახდას უსჯიდა გლეხებს. ეს სასტიკათ ავკრძალეთ ჩვენ. მაგრამ გამონაკლისები აქაც არის, ჩვენ არ შეგვეძლო ოჯარის სრულებით მოსპობა, რადგანაც არიან ქვრივ-ობლები, არიან ცოცხალი ინვენტარის არ მქონე ოჯახები, რომელთა შენახვა ჯერჯერობით სახელმწიფოს არ შეუძლია. აი ასეთებს დროებითი წესით ვაძლევთ ოჯარის უფლებას. რომ მიწის საკითხი სისწორით გადიჭრას ყველგან, ამისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა მაგარი მთავრობის ყოლა ადგილობრივ. გლეხობა ფსიხოლოგიურად დაბეჩავებულია და თუ მას არ ყავს კარგი და მტკიცე მთავრობა, რევკომების და აღმასრულებელი კომიტეტების სახით ძალიან ძნელი ხდება ასეთი უზარმაზარი რეფორმის ნორმალურად ჩატარება.

რაც შეეხება მიწით სარგებლობის ფორმებს აქ ჩვენ ვსარგებლოთ რუსეთის 4 წლის და ჩვენი პატარა გამოცდილებით. რუსეთში ფიქრობდენ პირველ ხანებში, რომ კერძო ინდივიდუალურმა მეურნეობამ მოსპამა თავისი დრო, რომ ის წარსული ფორმა არის და ამიტომ საბჭოთა მთავრობა უნდა დაყრდნობოდა

მიწათმფლობელობის ახალ ფორმებს — კომუნებს, არტელებს და საზოგადოთ კოლექტივებს. 4 წლის ისტორიამ დაგვარწმუნა რომ ასეთი წარმოდგენა ნაადრევი ყოფილა, კომუნები და არტელები რუსეთის სასოფლო მეურნეობაში იყვნენ და არან წვეთი ზღვაში. მათი ზრდა-განვითარება არამც თუ მატულობს, არამედ თანდათანობით კლებულობს. ამას აშკარად ამტკიცებს სტატისტიკა. საქართველოშიც თითქმის რუსეთის ისტორია გამეორდა. პირველ ხანებშივე ჩვენ ძოგვაყარეს აუარებელი განცხადებები, სადაც თხოულობდენ კომუნების და არტელების დაარსების უფლების მიცემას, მაგრამ ეს გამომდინარეობდა არა გლეხებიდან, არამედ ყოფილ მემამულეებიდან, რომელნიც ამით ლამობდენ მიწების შენარჩუნებას. მეურნეობის განვითარებისათვის შეუძლებელია კომუნებზე დაყრდნობა, ჩვენ ძალაში უნდა დავსტოვოთ მიწით სარგებლობის ძველი ფორმა და მივცეთ უფლება თვითეულ კერძო მწარმოებელს სრული თავისუფლება დაიმუშავოს მიწა და მოიხმაროს თავისი შრომის ნაყოფი, როგორც მას უნდა, გარდა იმ მცირე ნაწილისა, რომელსაც აძლევს სახელმწიფოს სასურსათო გადასახადის სახით. ამნაირათ მიწით სარგებლობის ფორმა თავისუფალია, — მაგრამ მიწა არ წარმოადგენს კერძო საკუთრებას, რომლის გაყიდვა ან გადაცემა შეიძლებოდეს. ამაზე ლაპარაკიც მეტია. რაც შეეხება დაქირავებულ შრომას, რომელსაც ჩვენ უშვებთ ქალაქის წარმოებაში, უნდა ვსთქვათ, რომ სოფლად მისი შეუზღუდველათ დაშვება აგრარული რეფორმის შეფერხება იქნებოდა. მაგრამ მეურნეობის აღდგენის ინტერესით, დაქირავებული შრომის ნაწილობრივი და კანონით განსაზღვრული დაშვება აუცილებელია, ისე როგორც იჯარის, სულ ერთია ამას არა ლეგალურად ექნება ადგილი. ამიტომ სჯობია მისი კანონის ძალით დაშვება გამონაკლისის შემთხვევაში ქვრივ-ობლებისათვის, უხარო ოჯახებისათვის და სხვა, რაც აუცილებლად უნდა იქნეს კანონით შემოფარგლული.

ერთი მწვავე საკითხი სდგას ჩვენ წინ, რომელმაც სწორი და ფართო გაშუქება უნდა მიიღოს მიწის კომიტეტების ყრილობაზე, რომელსაც ჩვენ ვიწვევთ თებერვალში. ეს არის კულტურული მეურნეობის და მათი სარგებლობის ნორმის საკითხი, როგორიც არის ვენახი, ჩაის და მანდარინის პლანტაციები. მათი დაქუცმაცება, დაჭრა და დაყოფა უთუოდ გამოიწვევს ამ მეურნეობის დაცემას და განადგურებას. რომ ავცდეთ ასეთ მავნე შედეგებს, უნდა ვეცადოთ რომ ეს კულტურული მეურნეობა ან სრულიათ დარჩეს ძველი მფლობელების ხელში ნორმაზე მეტი და ნაწილი გადაეცეს მას იჯარით. ან გადაეცეს ამხანაგობებს, ღარიბ გლეხკაცობისაგან შემდგარს. მაგრამ სამაგიეროთ უნდა შემცირდეს კულტურული მეურნეობის მფლობელთა სახნავ-სათესი ადგილები, რომელთა ჩამორთმევა აუცილებელი იქნება. ამნაირად, საკითხის გადაჭრას უნდა ჰიუდგეთ არსებული მეურნეობის დაცვის და განვითარების თვალსაზრისით. არა ნაკლებ მწვავედ სდგას ჩვენს წინაშე გადასახლების საკითხი, რომლის წარმოშობას დიდი ხნის ისტორია აქვს და რომლის მოსაგვარებლად მენშევიკებს არაფერი არ გაუკეთებიათ. გადასახლების საკითხი მეტად მწვავედ სდგას დასავლეთ საქართველოში, სადაც მიწის სიმცირე პერიოდიულ შიმშილობას იწვევს. გადასახლების მოსაწყობთ საჭიროა სახელმწიფოს მხრივ დიდი დახმარება: ფულით, სამეურნეო ინვენტარით და გადამზიდავი საშუალებებით. აქამდე მიწათმოქმე-

დების კომისარიატის მოღვაწეობა ამ დარგში ვერ იყო ნაყოფიერი ოდნავადაც-კი, რადგან არც ფული და არც სამეურნეო იარაღები მინიმალური რაოდენობით მაინც არ იყო ჩვენს განკარგულებაში.

ეხლა მე შევჩერდები სახალხო მამულებზე. აქ ჩვენ გვაქვს სხვადასხვა კატეგორიის წარმოება: ღვინის, პურის, ხილის ბაღების და სხვა, არის აგრეთვე საცდელი მინდვრები და ჯიშის საქონლის გამავრცელებელნი პუნქტები. მათი ძდგომარეობა ძლიერ უნუგეშოა უმეტეს ნაწილად. მეურნეობის ეს დარგი მიფანტულ-მოფანტულია. მიუხედავათ ამისა ეს მამულები უნდა დარჩეს სახელმწიფოს ხელში და უკანასკნელმა უნდა იკისროს მათი მოვლა-პატრონობა და და განვითარება. უკანასკნელ დროს ეს მამულები უკვე სასურველ დონეზეა და გამომუშავებულია გეგმა მათი სამეურნეო ანგარიშზე გადასაყვანად.

მე გამომრჩა ერთი: სახელდობრ ის, რომ ჩვენ ვეყრდნობით საშუალო გლეხობას, რაც შეეხება ღარიბ გლეხკაცობას, უკანასკნელის ცხოვრების დონე უნდა ავწიოთ და ავიყვანოთ საშუალო გლეხის მდგომარეობამდე. ხოლო მსხვილ კერძო წარმოების სასოფლო მეურნეობაში მსხვილი წარმოება უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფოს, გარდა კომუნების და კოოპერატიული წარმოებისა.

ეხლა მე გადავალ საქართველოს სასოფლო მეურნეობის მდგომარეობაზე. რას წარმოადგენს ეს მეურნეობა? მე მომიხდა უცხოელებთან საუბარი ამის შესახებ და ისინი გაკვირვებული იყვნენ, რომ ჩვენი მეურნეობა ვერ გასცილებია პირველყოფილ ტეხნიკას. მართლაც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენს სამეურნეო ტეხნიკაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, არავითარი პროგრესი არ დასტყობია. სამეურნეო კულტურა ოდნავად არ გაუმჯობესებულა. ამასთანავე სათესი მიწების რაოდენობამ გაზრდის მაგიერ საკმაოდ იკლო ეს არა იმიტომ, რომ მიწის შემცირება მომხდარიყოს კულტურული მეურნეობის ზრდის გამო, სრულებითაც არა, ვინაიდან თვით უკანასკნელიც ძლიერ შემცირდა და ასეთ პირობებში ჩვენი სასოფლო მეურნეობის საკითხი არ არის ერთი დაკვრის საქმე. საჭიროა სისტემატიური და ინტენსიური მუშაობა მეურნეობის თანდათანობითი გაუმჯობესებისათვის. ეხლა კი შეიძლება ზოგერთის ზომების გატარება, რომელიც ოდნავად მაინც ასწევს ჩვენი მეურნეობის ნაყოფიერებას. აქ პირველ ყოვლისა საკითხი ეხება სათეს კამპანიების ჩატარებას. შარშანწინდელი წელიწადი ამ მხრით ძლიერ ცუდი იყო. შარშანწინ ადრე დაზამთრებამ გამოიწვია ბევრი ადგილების დაუთესავათ დატოვება, ხოლო გაზაფხულზე, როცა საქართველოში დამყარდა საბჭოთა მთავრობა, ჩვენ არ დაგვრჩენია იმდენი დრო, რომ შესაძლებელი ყოფილიყოს სათესი კამპანიის ფართოდ ჩატარება. ცხადი იყო, რომ შემოდგომის დანაკლისი უნდა შეგვევსო რამდენადაც კი შეიძლებოდა. ჩემს ხელთ არის სტატისტიკური ცნობები ამ კამპანიის ჩატარების შესახებ. ჩვენ შევიძინეთ 70 ათას ფუთამდე სათესლე მასალა, დაითესა სათეს კომისიის საშუალებით 80 ათასი დესეტინა მიწა მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არც გამოცდილება და არც ტრადიცია გვქონდა ამ დარგში და არც ორგანიზაციები გვყავდა ადგილობრივ, ჩვენ შევძელით მთელი ამ სათესლე მასალის დარიგება მაზრებზედ. შევძელით იქ საჭირო აპარატების მოწყობა და იმავე დროს ჩავატარეთ აგიტაცია, რომ თესლის დანაკლისი შეევსო იმ გლეხებს, რომლებსაც

ზედმეტი სათესლე მასალა ჰქონდათ. სამწუხაროთ ჩვენი მუშაობა გააბათილა საშინელმა მოუსავლობამ, რამაც დიდათ დაბრკოლა შემდეგი შემოდგომის კამპანიაც, რადგანაც ველარ მოვკრიბეთ ის მცირეოდენი სათესლე ხორბალი, რომელიც სესხათ მივეცით გლეხობას. რუსეთის მსგავსათ ჩვენ არ შეგვიქმნია სათესლე ფონდი, მოკლე ხნის არსებობის გამო. მთელი ჩვენი იმედები დამყარებული იყო და არის ფულზე, გაზ. „პრავდა გრუზიაში" [84]) იყო მოთავსებული წერილები, რომელთა ავტორები ჩაშლილათ სთვლიდენ შარშანდელი წლის შემოდგომის კამპანიას და ამის მიზეზათ ასახელებდენ მიწათმოქმედების კომისარიატის უმოქმედობას. ეს დაუმსახურებელი საყვედურია. დასაბუთებით შემიძლია დავამტკიცო, რომ ამ საქმეში ბრალი არ მიუძღვის მიწათმოქ. კომისარიატს, რაც მას ჰქონდა და მოეპოვებოდა, კომისარიატმა მოუარა და დაანაწილა მიზანშეწონილად. ზაფხულის მიწურულში ჩვენ შევკრიბეთ ცნობები და გამოირკვა. რომ ცუდი მოსავალი იყო. 17 სექტემბერს წარედგინა საქართ. რევკომა სათესი კამპანიის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. 11 ოქტომბერს მეხუთედ ვაცნობეთ საქ. რევკომს, რომ კომისარიატი ყოველივე პასუხისმგებლობას იხსნის თავიდან, რადგანაც ჩვენი ხარჯთაღრიცხვა დაკმაყოფილებული არ იქნა. საჭირო იყო სულ მცირე 150.000 ფუთი სათესლე ხორბალი. ბოლოს იძულებული ვიყავით შეგვემცირებია ეს რაოდენობა 50 ათას ფუთამდე. ამის შესახებ მე ცეკაშიაც შევიტანე განცხადება და დიდი ვაივაგლახის შემდეგ მოგვცეს ერთი მილიარდი მანეთი. ამ ერთი მილიარდით ჩვენ შეეიძინეთ იმხ. ერქომაიშვილის საშუალებით 7-8 ვაგონი ხორბალი. წითელმა ჯარმა მოგვცა 18 ვაგონი სათესლე ხორბალი „ობვნეშტორგიდან" შეძენილ ფქვილში გადაცვლით.

ამნაირად, სულ შემოდგომის კამპანიისათვის შეეიძინეთ 26 ვაგონი სათესლე მასალა, რომელიც დავარიგეთ უღარობეს გლეხებზე.

მე არ ვამტყუნებ არც სასურსათო კომისარიატს, არც რევკომს, რომლებმაც ვერ შესძლეს ხორბალის და ფულის მოცემა, მაგრამ შეუძლებელია კამპანიის სუსტი ჩატარების დამნაშავეთ ჩავსთვალოთ მიწათმოქმედების კომისარიატი. ეხლა ჩვენ ვდგევართ 22 წლის გაზაფხულის თესვის კამპანიის წინაშე, რომლისთვისაც საჭიროა სულ ცოტა 300 ათასი ფუთი სათესლე ხორბალი, უმეტესად სიმინდი. ამის შეძენა შეიძლება მხოლოდ საზღვარგარეთ. ჩვენ გვაქვს საკმაო გარანტია, რომ შეეიძენთ დაახლოვებით 250 ათას ფ. საზღვარგარეთ, დანარჩენის შეძენა კი უნდა მოხდეს ადგილობრივ. უკვე არის გამორკვეული, რომ ამ რაოდენობით შეძენას მოვახერხებთ.

თესვის კამპანიის ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორი მხრით, პოლიტიკური და ეკონომიური: ამით ჩვენ ვეხმარებით რეალური საშუალებებით ღარიბ გლეხებს და ვამაგრებთ მათ შორის საბჭოთა მთავრობის ავტორიტეტს. იმავე დროს ხელს უწყობთ მეურნეობის აღდგენას და გაფართოვებას. როგორც ვთქვი, სათესი კამპანია არის ერთდროული ზომა, რომლის საშვალებით ჩვენ ოდნავად მაინც მივაღწევთ მეურნეობის გაფართოვებას და ნაყოფიერებას. მხოლოდ თავი და თავი ზომები, რომლებიც ჩვენ უნდა გავატაროთ მეურნეობის გასაუმჯობესებლათ არის მელიორაცია და ელექტროფიკაცია. ჭაობების ამოშრობა და სარწყავი არხების გაყვანა — არის უახლოესი

ჩვენი ძიზნები. უამისოთ შეუძლებელია ბრძოლა გვალვასთან, ამ სტიქიურ უბედურებასთან. ასეთი არხების გაყვანა გვაქვს დასახული ტირიფონის ველზე. საერთოდ ჩვენ ინჟინრებს შემუშავებული აქვთ დიდი გეგმები ელექტროფიკაციის განსახორციელებლად, მაგრამ ამას უნდა ათეული წლები, ჩვენ-კი ეხლავე უხდა დავიწყოთ მუშაობა პატარა მასშტაბით მაინც. მუშაობის დაწყება საჭიროა ერთ რაიონში და ერთ ადგილას. ეს მალე მოგვცემს სასურველ ნაყოფს. გლეხობამ კარგათ შეიგნო მოუსაელობის მიზეზები, შეიგნო აგრეთვე ამ მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროება. საჭიროა მხოლოდ მაგალითის ჩვენება, სპეციალისტებით დახმარება, რომ გლეხობამ თვითონ მოჰკიდოს ხელი ამ დიდ საქმეს. ასევე სდგას ელექტროფიკაციის საკითხი. ჩვენ არ შეგვიძლია ეხლავე, ამ საერთო დაღარიბების ხანაში, ხელი მოვკიდოთ დიდი ელექტრონის სადგურების აგებას. მაგრამ შესაძლებელია და აუცილებელი სოფლად ელექტრონის მოწყობა, როგორც მაგალითს გლეხობის დასაინტერესებლათ და ამ საქმეში ჩასაბმელად.

ამის შემდეგ მე გადავალ აგრონომიული დახმარების საქმის გაშუქებაზე, რომელზედაც სამწუხაროთ დიდხანს ვერ შევჩერდები. შეიძლებოდა ამ საქმის უფრო თვალსაჩინოდ მოწყობა, მაგრამ ამისთვის არ გვქონდა არავითარი საშუალება. პირველ ყოვლისა არ გვყავს საკმაო კადრი სპეციალისტების, რომ ისინი დავგზავნოთ სოფლად აგრონომიული დახმარებისათვის მათი ცოდნით და გამოცდილებით. ამასთან ერთად არ იყო სამეურნეო იარაღებიც, რომ ადგილობრივ მოგვეწყო სამეურნეო და აგრონომიული დახმარების აპარატები, სახელოსნოები და სხვა პუნქტები. მომავალში, თუ ცოტა დახმარება მაინც გვექნა მთავრობის მხრივ, ჩვენ შევძლებთ ეს საქმე გამოვაცოცხლოთ და სასურველ ნიადაგზე დავაყენოთ, საამისო პირობები არის საქართველოში, ჯერჯერობით კი კომისარიატის მუშაობის ეს დარგი ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე.

სოფლის ცხოვრებაში ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, ეს არის ერთი უმთავრესი საშუალება წვრილი მწარმოებლების გაერთიანებისა და პირველი ნაბიჯი კოლექტიური შრომის განხორციელებისათვის. ამ საქმეში არსებითი დახმარება უნდა გაუწიოს გლეხობას სახელმწიფომ. მაშინ საწარმოო კოოპერაციას მიეცემა გლეხის თვალში პატივი და უპირატესობა. რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია გავრცელდეს და განვითარდეს, მიწათმოქმედების კომისარიატთან არსდება სათანადო სახელმძღვანელო ორგანო, რომელსაც ადგილობრივ ეყოლება თავისი წარმომადგენლები. რა თქმა უნდა კოოპერაციის იძულებითი გატარება შეუძლებელი და დაუშვებელია. მისი გავრცელება და განვითარება უნდა მოხდეს მხოლოდ დარწმუნებით, ჩაგონებით, — აგიტაციის საშუალებით. სასოფლო-საწარმოო კოპერაცია უთუოდ დიდი ნაბიჯი იქნება სასოფლო მეურნეობის აღდგენის პროცესში. აქვე უნდა მიუთითოდ ერთ გარემოებაზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის გაუმჯობესება-განვითარებისათვის: ეს არის სასოფლო-სამეურნეო სწავლა-განათლება. ამ საქმეში მოხდა დიდი არევ-დარევა იმით, რომ მისი ხელმძღვანელობა გადაეცა სახალხო განათლების კომისარიატს. სამეურნეო სწავლა-განათლება სპეციალური დარგია, რომელსაც აუცილებლად უნდა გაუძღვეს სასოფლო მეურ-

ნეობის აღდგენაში დაინტერესებული უწყება. ამას ადრევე ვწინასწარმეტყველებდი, მაგრამ საუბედუროთ პირველ ხანებში, ისე როგორც რუსეთში, აქ გაიმარჯვა სწავლის ცენტრალიზაციის პრინციპმა. რუსეთში ისევ მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ სამეურნეო სწავლა-განათლების საქმე უნდა დაუბრუნდეს ისევ მიწათმოქმედების კომისარიატს. უბედურობა ის არის, რომ სანამ ამ დასკვნამდი მივიდოდით ბევრი რამ გაფუჭდა. სასოფლო-სამეურნეო სწავლა-განათლების საქმეში გამეფდა ანარქია და არევ-დარევა. ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო ამ მნიშვნელოვან დარგის მოწყობა და მოგვარება. ხოლო თუ მისი გაჯანსაღება ამ ახლო მომავალში ვერ შეესძელით შეუძლებელი გახდება ჩვენი მეურნეობის წინმსვლელობა, ამ საქმეს რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა მოკიდოს ხელი მიწათმოქმედების კომისარიატმა, რომელმაც უკეთ იცის სად რა ტიპის და სახის სამეურნეო სასწავლებელი არის საჭირო. რაც შეეხება სასურსათო გადასახადს, უნდა ითქვას, რომ ამ ნიადაგზე ადგილი აქვს უკმაყოფილებას. რომ ეს თავიდან მოვიშოროთ. საჭიროა საბჭოთა მთავრობის პრინციპები შეუკვეცავად გავატაროთ ცხოვრებაში. სტატისტიკური ცნობების მიხედვით საქართველოს დააკლდა ძოუსავლობის გამო 10.000.000 ფუთი მეტი მოსავალი. ამის და მიხედვით ჩვენ უნდა შევამციროთ სასურსათო გადასახადი იმ რაიონზეში, სადაც მოსავალი მეტად ცუდი იყო. ასეთი რაიონები რუსეთში სრულიად განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან.

რაც შეეხება ტყის მოვლა-პატრონობის საქმეს აქ დიდ უწესრიგობას აქვს და ჰქონდა ადგილი. პირველ ყოვლისა თვით გლეხობას არა აქვს. შეგნებული ტყეების დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და ამ შეუგნებლობის ნაყოფი იყო, რომ ბევრგან ადგილი ჰქონდა ტყეების გაჩეხას. ამავე დროს ადგილობრივი ამხანაგები ვერ აღმოჩნდენ ბევრგან თავის სიმაღლეზე. ისინი პირიქით მოუწოდებდენ გლეხებს: გაჩეხეთ და ისარგებლეთ ტყეებითო. ეს სიმდიდრე თქვენ გეკუთვნითო.

მეორე მხრით ტყის უწესრიგო ექსპლოატაციას ხელს უწყობს ორი აპარატის არსებობა, რამაც ორათ გაჰყო ტყის ექსპლოატაციის მოწესრიგების საქმე. ერთი ამ აპარატიდან ხელს უწყობს და განაგებს (მიწათმოქმედების კომისარიატი) ტყეების დაცვას და მოვლას, ხოლო მეოოე („ლესკომი") დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტათ გაჩეხოს ჩვენი ტყეები. ამის გამო ტყის რაციონალური ექსპლოატაციისა და მოვლა-პატრონობის საქმე ძნელდება. ამას უნდა მოეღოს ბოლო.

რუსეთში უკვე დაადგენ იმ აზრს, რომ საჭიროა ამ საქმის ერთ ხელში მოქცევა და ხელმძღვანელობა, ამავე გზას უნდა დავადგეთ ჩვენც და ტყეების საქმე სავსებით უნდა გადავიდეს მიწათმოქმედების კომისარიატის სრულ გამგებლობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი თვალსაჩინო გარემოება: რუსეთის მსგავსათ ერთ მშვენიერ დღეს აქ დაარსდა მიწა-ტყის პროფესიონალური კავშირი. რუსეთში ეს კავშირი მუშაობს კომისარიატთან ერთად და აკეთებს ერთ სასარგებლო საქმეს. აქ კი საქართველოში მან დაისახა მიზნად კომისარიატის მუშაობის შეფერხება და გაბათილება. ამ კავშირში თავი მოიყარეს ხომერიკის [83]) ჩინოვნი-

კებმა, რომელნიც აშკარად კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას აწარმოებენ. საჭიროა, რომ საქართველოს პროფესიონალური კავშირების საბჭომ სათანადო ყურადღება მიაქციოს მიწის და ტყის მუშაკების პროფესიონალურ კავშირს, და მისი მუშაობა სათანადოთ მიმართოს.

დასასრულ უნდა ვსთქვა, რომ სასოფლო მეურნეობა არის საფუძველი შეელი ჩვენი წარმოების და ის თანხა, რომელსაც კომისარიატი ღებულობდა და მიიღო ამ 11 თვის განმავლობაში ერთი თვის საჭიროებასაც არ ამოსწურავდა. მარტო შემოდგომის სათესი კამპანიის ჩასატარებლად საჭირო იყო სულ 9 მილიარდი მანეთი, მაშინ, როცა მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში კომისარიატმა მიიღო მხოლოდ 12 ნახ. მილიარდი მან. ზედმეტია იმის თქმა თუ რა ძნელ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა სოფლად აგრარული რეფორმისათვის საჭირო ცნობების შესაკრებად, უმეტეს შემთხვევაში ჩვენი ინსტრუქტორები ფეხშიშველი და ნახევრად მშიერი ეწეოდენ ამ ტვირთს, მიუხედავათ ამისა ჩვენ პირნათლად შევასრულეთ აგრარული რეფორმისათვის საჭირო წინასწარი და არსებითი ნაწილი. მომავალში რომ კომისარიატის მუშაობა ნაყოფიერი იქნეს, რომ კომისარიატმა შესძლოს ყველა იმ დიდი საქმის პირნათლად შესრულება, რომელიც მის წინაშე სდგას, საჭიროა აუცილებლად კომისარიატისათვის კრედიტის გადიდება.

გაზეთი „კომუნისტი“
1922 წლის 4 თებერვალი,
№ 27.

# ჩვენი საადგილ-მამულო პოლიტიკა და სასოფლო მეურნეობა

ამხანაგებო, მე მოგახსენებთ [86]) საადგილ-მამულო პოლიტიკის და ჩვენი სოფლის მეურნეობის შესახებ. თქვენ უკვე ხელთ გაქვთ კომისარიატის ანგარიში, აგრეთვე გაქვთ იმ ყრილობის ანგარიში, რომელიც ჩვენ ამ რამდენიმე კვირის წინად გვქონდა მოწვეული საადგილ-მამულო პოლიტიკის და ჩვენი მეურნეობის გამო. აგრეთვე გაქვთ ხელში ის თეზისები, რომლებიც ამას წინად მიიღო ჩვენმა პარტიულმა ყრილობამ და რომლებიც ამავე დროს ერთხმად მოწონებული იყო მიწათმოქმედების კომისარიატის მიერ მოწვეულ ყრილობაზე.

ამხანაგებო, მე ბევრს არ შეეჩერდები ამ საგანზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ თვითეულ თქვენთაგანს აინტერესებს ის დარგი ჩვენი მოქმედებისა, რომელზედაც მე დღეს აქ მოხსენებას ვაკეთებ.

ჩვენი საადგილ-მამულო პოლიტიკა, ე. ი. მიწის საკითხის გადაჭრა — ეს თავი და თავი საგანია დღეს, დიდი თავსამტვრევი საგანია და ამას დიდი მეცადინეობა უნდა. სამი წლის გამოცდილებამ დიდი მასალა მოგვცა იმისთვის, რომ ბევრი შეცდომები აგვეცილებია თავიდან. თქვენ იცით, რომ მიწის საკითხი მენშევიკების დროს გადაუჭრელი დარჩა. როცა საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, აუცილებლად ამ საგანს მთავარი ყურადღება უნდა მიქცეოდა. როგორ და რა გზით წავიდეთ? აქ რამოდენიმედ მოგვიხდა დამოუკიდებლად გვეწარმოებინა ეს პოლიტიკა. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენში წვრილ გლეხკაცურ მეურნეობას დიდი ადგილი უჭირავს. გადატრიალება რომ მოხდა, ეს იყო ის ხანა, როდესაც ხენათესვა კარზე გვქონდა მომდგარი. თქვენ იცით რა აურზაური, რანაირი ატმოსფერა იყო შექმნილი. არავინ არ იყო დარწმუნებული, რა იქნებოდა, შერჩებოდა ვისმეს ის მიწა, რომელზედაც ის მუშაობდა, თუ მას წავართმევდით. ამისათვის მაშინვე გამოვაცხადეთ, რომ ისინი, ვინც თავის შრომით სცხოვრობენ, ყველანი თავის მფლობელობაში დარჩებიან. ჩვენ ამნაირად იმისთვის მიუდექით ამ საკითხს, რომ მაშინ არევ-დარევის გამოწვევა შეაფერხებდა დათესვის საქმეს. ის რეფორმა, რომელიც ჩვენ მოვახდინეთ 6 აპრილს, სწორედ ზედგამოჭრილი შეიქნა გლეხკაცობის უმრავლესობისათვის, მშრომელ ნაწილისათვის ეს მისაღები შეიქნა, და ჩვენც სწორედ ისე მიუდექით საკითხს, როგორც ამას თხოულობდა ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

ვაგრამ აქ არ იყო მეორე მხარე — ეს არის რეფორმის ცხოვრებაში გატარება.

თქვენ იცით, რომ რეფორმის გატარება მეტად მძიმე საქმეა. ახლად უნდა მოეწყოს მიწის საკითხი, მიწის სარგებლობის წესი, რომელიც არა თუ ძველთაგან არსებობდა, არამედ რომელიც გამჯდარია გლეხკაცობის და, საზოგადოდ, ხალხის ძვალსა და რბილში, და უნდა შეიცვალოს ახალი წესით. რა თქმა უნდა, ამის ცხოვრებაში გატარება ერთი დაკვრით, ერთი ხელის მოქნევით, ყოველად შეუძლებელია. ამას უნდა მომზადება, გამოვკლევა იმისა, თუ სად რა სჭირია, სად არის ზედმეტი მიწა, ვის რა აკლია, საიდან უნდა გამოვასახლოთ, სად ჩავასახლოთ. ყველა ეს წინდაწინ უნდა იყოს გამოკვლეული, რომ რეფორმა გატარდეს. მაგრამ ჩვენ ვერც ამით დავკმაყოფილდით. საჭირო იყო, რომ დღესვე, გლეხკაცობის იმ ნაწილისთვის, რომელიც ამდენ ხნის განმავლობაში სხვის მიწას ამუშავებდა, სხვის მიწაზე ღვრიდა ოფლს, რომ იმისთვის მიგვეცა საშუალება, გვეთქვა გამოგვეცხადებია არა სიტყვით, საქმითაც, რომ ის ამ მიწას სთვლიდეს როგორც თავის საკუთრებას, რომ მას არავინ მოდავე არა ჰყავს, ის მიწა, რომელზედაც ის იხდის ღალას, იმისია. ამ საგანზე არ შეგაჩერებთ, ვიტყვი, მხოლოდ, რომ აქ ბევრ გაუგებრობას და უსიამოვნებას ჰქონდა ადგილი. უნდა განვაცხადო, რომ საუბედუროთ, ჩვენი დეკრეტები, ცირკულიარები, ინსტრუქციები გლეხკაცობას არ მოსდიოდა, ეს პირველი. მეორე სამწუხარო მდგომარეობა იყო ის, რომ ადგილობრივ ხელისუფლების ხელმძღვანელებს ჩვენი დეკრეტები მიწის შესახებ ან არ ესმოდათ, ან წაკითხვაც არ უნდოდათ, რომ ცხოვრებაში გაეტარებიათ. იყო შემთხვევები ამისთანა ბოროტმოქმედებისა, ზოგი მოდიოდა კომისაიატამდე ზოგი კი, შეიძლება, არ მოდიოდა და შესაძლებელია, რომ დღესაც ბევრი არ ვიცით.

ის. რაც ჩვენ დროებით მოვაწყვეთ რეფორმისათვის მკვიდრ ნიადაგის მხოლოდ მომზადება იყო. მაგრამ ამით ვერ დავკმაყოფილდებით ჩვენ. ჩვენ უნდა მოვახდინოთ საერთო გადასინჯვა, გადაყოფა. თქვენ ხედავთ, ამხანაგებო, რომ ეს უდიდესი ცვლილებაა, ეს დიდი ცვლილებაა, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არ მომხდარა. ამას დიდი მომზადება უნდა. ეს პირველ დაწყებითი მუშაობა უკვე დამთავრებული არის. დღეს ჩვენ ხელთ გვაქვს მარილაც ძვირფასი მასალა თვითეულ სოფლისა. ამას წინად ჩვენ მოვიწვიეთ მიწის სამაზრო განყოფილებების და ადგილობრივ გლეხობის ყრილობა, რომელზედაც ჩწორედ ასე იყო დაყენებული საკითხი, თუ როგორ უნდა მოხდეს მიწის გადანაწილება. აი საქმე რაშია, ჩვენ გვაქვს დღეს სტატისტიკური ცნობები, როგორც მცხოვრებლების, ისე თვით მიწის რაოდენობის შესახებ მაზრების, რაიონების და სოფლების. ამავე დროს ჩვენ გვაქვს შემუშავებული თვითეულ სოფლისათვის საშუალო ნორმა: რამდენი უნდა ჰქონდეს გლეხს მიწა, რომ მას შეეძლოს გაუჭირვებლად ცხოვრება, რომ შეეძლოს დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება, რომ არ მიდიოდეს მუდამ საქირაოზე და არც ჰყავდეს დაქირავებული მუშა.

უნდა მოგახსენოთ, ამხანაგებო, რომ ეს მეტად საძნელო საქმეა. ყრილობამ აირჩია კომისია მცოდნე პირებისაგან. მას გადაეცა მთელი ეს მასალა. დღეს ეს ნორმა გამომუშავებულია. მე მაქვს აქ პროექტი ამ ნორმებისა. თქვენ არ იფიქროთ, რომ ჩვენ ეხლავე შეუდგებეით ამის განხილვას ეს მეტად რთული საქმეა,

მთელი საქართველო დაყოფილია რაიონებათ, ათ რაიონათ. მიწები არის დაყოფილი კატეგორიებათ ნიადაგის, თვისების, ჰავის და მდებარეობის კვალობაზე.ეს ნორმები ამ დღეებში გაზეთებში იქნება გამოქვეყნებული, საჭიროა, რომ განსაზღვრულ ვადაში თვითეულ მაზრაში ეს ნორმები ხელახლა იქნეს გადასინჯული თვით გლეხკაცობის წარმომადგენელთა კრებებზე, რომ შემდგომ ამისა ისინი დამტკიცებული იქნენ საბოლოოდ.

ამავე დროს გამომუშავებული არის დებულება, თუ როგორ უნდა მოხდეს მიწის მოწყობის საქმე. სამწუხაროთ ვერ მოვასწარით ამის დაბეჭდვა და დარიგება. მაგრამ მოკლე ხანში უნდა იქნეს საბოლოოდ დამტკიცებული და მიღებული. ახალი დებულება შემდეგში მდგომარეობს: (კუთხულობს) „მიწათმოწყობის მიზანია საერთოდ მოვაწესრიგოთ მიწით სარგებლობა ისეთ საფუძველზე, რომ სოფლის მუშას გაუადვილოს შრომის საუკეთესო შედეგის მიღწევა.

ამ მიზნით მიწათმოქმედების სამოქმედო საგანს შეადგენს: კოლექტიურად, საამხანაგოთ, არტელით ან საზოგადოებრივად მიწის დამუშავების იდეის გავრცელება და კოლექტიურ მეურნეობათა ორგანიზაცია, მიწის მუშისათვის საკმაო მიწის მიჩენა, მჭიდროთ დასახლებულ სოფლების განტვირთვა და ახალშენების მოწყობა, საზამთრო და საზაფხულო საძოვრების მოწყობა და მიწის დაქუცმაცების, მიწის ნაკვეთების უხერხული ფორმის და მათი მუშისაგან სიშორის თავიდან აცილება“.

აი საერთო მიზანი, საერთო დებულებები. ამ ახლო მომავალში, მაშასადამე, თანახმად ამ დებულებისა, რომელიც წინდაწინვე გამოქვეყნებული იქნება და ეცნობება მთელ ხალხს, კომისარიატი შეუდგება ამ გეგმით მიწის საქმის მოწყობას მთელს რესპუბლიკაში. ჩვენ ნავარაუდევი გვაქვს, რომ ეს მუშაობა მოესწრება ერთი წლის განმავლობაში. ეს მუშაობა დასრულებული ჯერაც არ არის რუსეთში.

ამხანაგებო, მე არ შევეხები თვით კომისარიატის მოქმედებას. აქ მე მოვიხსენიებ მხოლოდ რამოდენიმე დარგს მისი მოღვაწეობისა, მაგალითად საახალშენო საქმე, ადგილობრივი დახმარების საქმე, კოლექტიური მეურნეობა, სახელმწიფო მამულები, საცდელი მინდვრები და სხვა დაწესებულებები, კულტურული დაწესებულებები, რომელთა მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ დაუახლოვოს, გააცნოს ხალხს მეცნიერული მეთოდები აგრონომიული დახმარებისა და სამეურნეო საქმიანობისა. საქმე იმაში არის, რომ ამ ნიადაგზე ჩვენ ბევრი დაბრკოლება გვხვდება. უნდა მოგახსენოთ, რომ სამეურნეო იარაღები ჩვენ ძლიერ ნაკლებად გვაქვს. თვითონ აგრონომიული ძალებიც ნაკლებათ არის. მაგრამ რაც ყველაზე უფრო დამაბრკოლებელი არის ჩვენთვის, ეს ის, რომ მუდამ მოკლებული ვიყავით საშუალებას, სახსარს. ამ სახსრის უქონლობამ შეაფერხა ის დახმარებაც კი, რაც ჩვენ შეგვეძლო აღმოგვეჩინა, ყოველ შემთხვევაში გასული წლის განმავლობაში აგრონომიული დახმარების მხრით მაზრებს გადაეცათ ორჯერ სხვადასხვანაირი გუთნები. ჩვენ დავარიგეთ შარშან მთელ რესპუბლიკაში სამასზე მეტი გუთაანი. ეს დანაწილებულია თვით მაზრების სიდიდის მიხედვით. ჩვენ გვაქვს საწყობები, საიდანაც გლეხკაცობას შეუძლია ისარგებლოს. ამისათვის არის ერთნაირი წესი შემოღებული.

მე მოგახსენეთ, ამხანაგებო, რომ აღარ შევჩერდებით სხვა დარგების მოღვაწეობაზე, ვინაიდან თქვენ დაწვრილებით გაეცნობით იმ ანგარიშებს, რომლებიც გაქვთ. მე არ შევჩერდები, როგორ უნდა მოეწყოს ჩვენში ეს მიწათმოქმედების საქმე, რა პრინციპზე უნდა იყოს აგებული. ეს გაცნობილი გაქვთ, რადგან რამოდენიმეჯერ გამოქვეყნებული იყო გაზეთებში და დარიგებული ის თეზისები, რომელშიაც აღნიშნული არის მიწათმოქმედების მოწყობის საქმე ჩვენი დღევანდელ პირობებთან შეფარდებით ჩვენ ვამბობთ, რომ მიწის კერძო საკუთრება აღარ არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყიდვა-გაყიდვა სამუდამოთ მოსპობილია, მაგრამ იმავე დროს ჩვენ ვამბობთ, რომ უნდა იყოს ერთნაირი სიმტკიცე მიწის სარგებლობისა, ერთნაირი ურყევლობა იმიტომ, რომ მიწის მუშა თუ არ გრძნობს, რომ ის ნაჭერი მიწისა, რომელზედაც ის მუშაობს, მას ეკუთვნის, და რამდენიმე წლის შემდეგ მას ხელიდან არ გამოეცლება, არ ჩამოართმევენ, იგი მას არ გაუმჯობესებს. ყოვლად შეუძლებელია, რომ ამის ჩამორთმევას შეურიგდეს გლეხკაცი. მიწის მოვლა და პატრონობა თხოულობს, რომ მან გამუდმებით იმუშაოს იმ ნაჭერ მიწაზე, რომელიც მის სარგებლობაში და განკარგულებაშია. გლეხკაცი მუშაობს მხოლოდ მაშინ, თუ დარწმუნებულია, რომ ეკუთვნის არამც თუ დღეს, არამედ შემდეგშიაც. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ერთგვარი ურყევი წესები უნდა დავაწესოთ. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ გლეხკაცს, რომელიც სარგებლობს მიწით, მას საშუალება აქვს იმით ისარგებლოს მანამ, სანამ თვითონ არ იტყვის უარს და არ დაარღვევს საერთო წესებს. ამავე დროს ჩვენ ვამბობთ, ამხანაგებო, რომ საერთოდ დღეს მიწის მუშაობის, სოფლის მეურნეობის დარგში გამოცდილება გვეუბნება, ამას რუსეთის მაგალითიც ამტკიცებს, რომ უნდა ავიღოთ გეზი შუათანა გლეხკაცზე, რაც შეიძლება შეუწყოთ ხელი მას, განვავითაროთ მისი მეურნეობა. რაც შეეხება გლეხკაცობის ღარიბ ნაწილს, რომელიც დაბლა სდგას, სახელმწიფომ მიზნად უნდა დაისახოს, რომ ეს დღემდე დაჩაგრული ნაწილი გლეხკაცობისა ამოვიყვანოთ გაჭირვებიდან და მივცეთ საშუალება, რომ ის შეიქნეს საშუალო დონეზე მყოფ მეურნეთ. სოფლის მეურნეობაში მსხვილი წარმოება, კერძო მსხვილი წარმოება, ეს დაუშვებელი არის. ვინაიდან ეს იქნება ჩვენი რეფორმის საბოლოო გაუქმება. ჩვენ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ეს მსხვილი წარმოება იმ სახით, თუ ის იქნება თვით სახელმწიფოს ხელში და ანდა თუ იქნება კოლექტიური მეურნეობა, საამხანაგო, კოოპერატიული, ე. ი. შემდგარი გლეხკაცობისაგან. აი ასეთი მსხვილი მეურნეობა სოფლად ამნაირად გვაქვს წარმოდგენილი.

არის კიდევ ერთი მწვავე საკითხი, რომელიც ასე თუ ისე უნდა იქმნას განსაზღვრული.

ახალი ეკონომიური პოლიტიკაო ჩვენ რომ ვამბობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება რამოდენიმეთ ავწიოთ, უნდა დავაინტერესოთ აქ კერძო მწარმოებელი გლეხები. სწორედ ეს საშუალო თუ ღარიბი წვრილი გლეხკაცობა უნდა დავაინტერესოთ პირადათ, ვინაიდან თუ დავაინტერესებთ, მაშინ იგი გაუმჯობესებს თავის წარმოებას. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს აუცილებლად საჭირო არის. გამოცდილება, გვიჩვენებს, რომ კოლექტიური მეურნეობა, სასოფლო კომუნები ჯერჯერობით ვერ პოულობენ ამ გლეხკაცებში ნიადაგს.

რომ ჩვენ არ შეგვიძლია სავსებით დავემყაროთ ამ კომუნაზე და ვთქვათ ამის საშუალებით შევძლებთ მეურნეობის აყვავებას, ამისათვის ჩვენ ვამბობთ, რასაკვირველია იგულისხმება, რომ ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ ხალხში გავავრცელოთ, დავანახოთ მაგალითი, რომ შეერთება ძალის, შეერთება წვრილ-წვრილ ნაკრების, რათა სასოფლო მეურნეობამ მეტი ნაყოფიერება გამოიღოს, სასარგებლოა. მაგრამ ჯერ კიდევ ეს მომავლის საქმეა. დღეს რომ გავამრავლოთ სამეურნეო საგნების რაოდენობა, შევქმნათ დიდი მოსავალი, პური და სხვა, აუცილებლად საჭიროა, რომ დავაინტერესოთ კერძო მეურნე, პირადათ დავაინტერესოთ ის.

აი უმთავრესი გეზი დღევანდელი ახალი ეკონომიური პოლიტიკისა.

ჩვენი გაჭირვება დღეს აიხსნება იმით, რომ ნაკლები პური გვაქვს, ნაკლები ხორცი გვაქვს და სხვა. გადიდება კი ამის შეიძლება მით, რომ დავაინტერესებთ კერძო პირს და საშუალო გლეხკაცს და ის რომ მეტ ქონებას შეიძენს, რადგანაც ის პირადათ დაინტერესებული იქნება, ეს რასაკვირველია სახელმწიფოსთვის სასარგებლოა. არის სხვა მწვავე კითხვა, იჯარის კითხვა, არის აგრეთვე დაქირავებული შრომის გამოყენების საკითხი; ის რომ ვსთქვათ, რომ დაქირვებული შრომის გამოყენება არ შეიძლება, იჯარით ადგილის გაცემა არ შეიძლება, ეს მართალია, და სისწორით გამოხატავს ჩვენი რეფორმის დედა-აზრს, მაგრამ აქ აუცილებლათ საჭიროა გამონაკლისის დაშვება. ავიღოთ, მაგ., უმწეო დარჩენილი ოჯახები, რომელთაც არ შეუძლიათ აწარმოონ და დაიმუშონ მისი ნაკერი მიწა, მას არ ყავს მარჩენალი, ან ავად გახდა ან ხარი არა ყავს, მაგრამ მის მეზობელს კი შეუძლია თავისი ადგილიც დაიმუშაოს და იმისაც, ერთი სიტყვით, შეუძლია მეტი იმუშაოს, და ამიტომ ჩვენ უნდა მივცეთ მათ ნება, რომ დაიმუშაოს მეზობლის მიწა იჯარით, ხოლო ამას ექნება ერთგვარი კონტროლი, ერთგვარი ზედამხედველობა ადგილობრივ ორგანოების მხრით, რომ არ მოხდეს ბოროტმოქმედება. ასევე ითქმის დაქირავებული შრომის გამოყენებაზე. რომ ვსთქვათ, რომ დაქირავებულ შრომას ვაუქმებთო, როგორც წინათ ვამბობდით, ეს შეუძლებელი არის, რადგანაც შესაძლებელი არის ისეთი შემთხვევა, რომ თუ ეს საქმე დღეს არ შესრულდა, მაშინ ის მთელი წლით დაიკარგება და რადგანაც ეს საზარალო იქნება თვით სახელმწიფოსათვის, ამიტომ ამ შემთხვევაში საჭირო არის ნებადართული იქნეს დაქირავებული შრომის გამოყენება, რომ ერთი ციდა მიწაც არ დარჩეს დაუმუშავებელი. რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შეესძლებთ სახელმწიფოებრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ვერ შეესძლებთ ჩვენი მრეწველობის ,ე. ი. სოციალისტური მრეწველობის, რკინის გზის, წითელი ჯარის და სხვის შენახვას. რა თქმა უნდა აქ, ამ საქმეში უნდა იყოს დაწესებული ერთგვარი კანონიერება, უნდა იქნეს დაცული ერთგვარი წესიერება, რომელიც შეეფერება საბჭოთა ხელისუფლებას.

ამხანაგებო, მე დაწვრილებით არ შევეხები ამ საგანს, ვინაიდან მე მგონია თქვენთვის ეს ახალი არ არის. ახლა მე შევჩერდები რამოდენიმეთ ჩვენი სასოფლო მეურნეობის მდგომარეობაზე. ჩვენი ქვეყანა, როგორც იცით ცნობილია როგორც პურისა და ღვინის ქვეყანა, როგორც სასოფლო მეურნეობის ქვეყანა. საუბედუროთ, ეს ჯერჯერობით არ მართლდება. თქვენ იცით, რომ უკ-

ნასკნელ დროს 20-25 წლის განმავლობაში საქართველო ნაწილობრივ იკვებებოდა უცხოეთიდან შემოატანილი პურით. უნდა ჩაითვალოს უბედურებათ ის, რომ ჩვენი ხალხი ვერ იკვებება თავის საკუთარ მიწაზე მოწეულ პურით. ეს არის ჩვენი სიგლახე, ჩვენი დაბეჩავება, ჩვენი მეურნეობის ჩამორჩენა. ჩვენში ისეთი პირობებია პურის, სიმინდის და სხვა ხორბლეულის მოყვანისა, რომ დაუშვებელია ასეთ ქვეყანაში არა თუ საკმარისი პური მოდიოდეს, არამედ, რომ აქედან სხვა ქვეყანაში არ გადიოდეს. რამოდენიმე წლების განმავლობაში საბოფლო მეურნეობისათვის არაფერი არ გაკეთებულა. ჩვენ მივადექით დღეს ისეთ ხანას, რომ ჩვენი საკუთარი პურით ვერ ვცხოვრობთ და ამავე დროს შემოტანაც ადვილი საქმე არ არის. თქვენ ხედავთ, რა გვიჭდება ის მცირეოდენი პური. რომელიც აქ შემოდის და ურომლისოდ ჩვენ რასაკვირველია ვერ გავსძლებთ. უნდა აღვნიშნოთ აქ ერთი განსაკვიფრებელი ფაქტი, ის, რომ უკანასკნელ ომის დროს ჩვენში შემცირდა დათესილ მიწების რაოდენობა. თითქოს ყველას ეგონა, რომ რადგან ჩვენ მოწყვეტილი დავრჩით რუსეთისაგან, როცა აღარ შემოდიოდა სხვა მხრიდან პური, რომ აქ გადიდდა თითქო დათესილ მიწის რაოდენობა, ვინაიდგან თითქმის სრულებით მოისპო თამბაქოს, ბამბის და სხვა ამგვარის და მეორე — უცხოეთიდან — ამერიკიდან მოტანილი სიმინდი შეიძლება აქ არ გამოდგეს, როგორც სათესლე მასალა. ყოველ შემთხვევაში შემოტანა, რასაკვირველია, მაინც აუცილებელია. თუ სათესლეთ არ გამოდგა, საკვებათ პაინც გამოდგება. ჩვენ მიღებული გვაქვს ავსტრალიიდან პური — ხორბალი. მაგრამ საუბედუროთ ესეც სათესლეთ არ გამოდგება და ისიც სათესლე სიმინდზე ან ხორბალზე უნდა გადავცვალოთ. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი სტატისტიკა, თუ რამდენათ მართალია ამას ვერ გეტყვით, ყოველ შემთხვევაში ოფიციალური სტატისტიკა მოწმობს იმას, რომ 1915 წელთან შედარებით 1920 წელს, როდესაც აქ მენშევიკები იყვნენ, 56.000 დესეტინით შემცირდა დათესილ ყანების რაოდემობა. რასაკვირველია ეს 56.000 დეს. 'დიდი რაოდენობა არ არის, მაგრამ საქართველოსთვის, სადაც 600.000 დესეტინას არ გადასცილებია დათესილ ყანების რაოდენობა, საშუალოთ რასაკვირველია ეს ციფრი საკმარისად საგრძნობი არის. მთავარი საგანი დღეს ჩვენში არის ამ დათესვის კამპანიის გატარება. უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ ჩვენ უფრო უმწეო მდგომარეობაში ვართ,ვიდრე დამშეული რუსეთი, ვინაიდან იქ, ასეა თუ ისე, მაინც არის მარაგი, საიდგანაც შეუძლია სახელმწიფოს მიაწოდოს ხალხს სათესლე მასალა. ჩვენში კი არავითარი მარაგი სათესლე მასალისა არ არსებობს. ჩვენ შევეცადეთ შარშან ამ მარაგის დამზადებას, მაგრამ საუბედუროთ მოუსავლობამ ეს იმედი გაგვიცრუა. დღეს ჩვენ ვდგევართ მეტად მძიმე პრობლემის წინაშე. შარშანდელმა მოუსავლობამ მეტად მძიმე პირობებში ჩააყენა მთელი ჩვენი ქვეყანა. როგორც ვიცით განსაკუთრებით იმერეთში სათესლე სიმინდიც კი ნაკლებად მოიპოვება. ჩვენ გვაქვს მიღებული ზომები, მაგრამ რა თქმა უნდა სახელმწიფო ვერ შესძლებს სავსებით დააკმაყოფილოს გლეხკაცობის საჭიროება ამ მხრით. სათესლე მასალა ჩვენ უნდა შემოვიტანოთ საზღვარგარეთიდან, სხვა გზა არ არის. ამას წინ ეღობება ათასგვარი დაბრკოლება. ჯერ ერთი, რომ აქას დიდი საშუალება უნდა. ჩვენ გამოწერილი გვაქვს ორასი ათასი ფუთი სიმინდი.

მაგრამ ეს არ კმარა. აქ საჭიროა დათესვის გარშემო უდიდესი ყურადღება. უნდა მოგახსენოთ, რომ გასულ წელს ჩვენი ორგანოები ჯერ კიდევ ნამეტანი სუსტი იყო. საზოგადოდ, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები, როგორიც იყვნენ რევკომები, მეტად სუსტი და მოუმზადებელნი გამოდგენ და დიდი დაბრკოლება ჰქონდათ დათესვის ორგანოებს, ისინი უმეტეს ნაწილად ვერ პოულობდენ თანაგრძნობას. მიუხედავათ ამისა ერთი საგულისხმიერო ამბავი მოხდა, ის, რომ მთავრობის საშუალებით შეძენილ სათესლეთი დაითესა, დაახლოვებით, ოცი ათასი დესეტინა. ზოგიერთ გლეხებს ჰქონდათ ზედმეტი სათესლე მასალა. მაგრამ ისინი ამას თავის მეზობლებისათვის არ იმეტებდნენ და ჩვენმა ორგანიზაციებმა შესძლეს დაეჯერებინა გლეხები, რომ იმათ მიეცათ სესხათ ღარიბებისათვის, ვისაც თესლი არ ჰქონდათ. ამ საშუალებით ჩვენ ამ შემთხვევაში უფრო უკეთეს მდგომარეობაში ვიმყოფებით. არა თუ გვაქვს ცოტაოდენი გამოცდილება, არამედ ამავე დროს გვყვანან უფრო მკვიდრი ორგანოები. მე ვამბობ, ჩვენ ლოზუნგათ დღეს უნდა გახდეს: ერთი ნაჭერი მიწა დაუთესავი არ დარჩეს. ყველა სოფელში თუ არა, საზოგადოეაში, თემში აუცილებლად უნდა შესდგეს განსაკუთრებული ორგანოები, დამთესავი კომისიები გლეხკაცობის მიერ არჩეული, რომლებმაც უნდა გასწიონ თავის საკუთარი ძალით აგიტაცია იმის თაობაზე, რომ არსად დაუთესავი მიწა არ დარჩეს. მე ვამბობ, რომ ამ შემთხვევაში მთავრობა დიდ დახმარებას აღმოუჩენს. რა თქმა უნდა, თუ ადგილობრივი ორგანოები არ იქნებიან შექმნილი, მთავრობა თავის ძალით ამას ვერ შესძლებს და თუ, საზოგადოთ. თვით ხალხი ჩაუდგება ამ საქმეს სათავეში, თითონ გაიხდის ამას თავის საქმეთ — ამ შემთხვევაში მთავრობაც შესძლებს დახმარება გაუწიოს და მართლაც ყურადღებაც მიაქციოს იმას, რომ დათესილ მიწების რაოდენობა რაც შეიძლება გავადიდოთ, რომ უზრუნველყოთ მომავალ წელში პურის და სიმინდის მოსავალი. ამ შემთხვევაში, ამხანაგებო, თქვენ გექნებათ დათესვის ადგილობრივ ორგანოებთან საქმე. და რამდენათაც ეს შესაძლებელი იქნება. მთავრობაც თავის მხრივ ზომებს მიიღებს, მაგრამ ბევრ იმედებს მთავრობაზე ნუ დაამყარებთ, ვინაიდან ჩვენ სასურსათო კომისარიატს არავითარი მარაგი არ მოეპოვება, რომ მიწათმოქმედების კომისარიატს გადასცეს. მაშასადამე, მთელი ჩვენი იმედი დამყარებულია საზღვარგარეთიდან შემოტანილ ხორბალზე და მის გადაცემაზე ადგილობრივ სათესლე მასალაზე. ამას დიდი ყურადღება უნდა და მე თქვენ მოგიწოდებთ, რომ ამის გარშემო მოხდეს დიდი მუშაობა. შემდეგ მე დავასახელებ აქ იმ გარემოებას. რომ დღეს ჩვენ გლეხკაცობას შეგნებული აქვს მიზეზები, თუ რისთვის ჩვენში სხვადასხვა სტიქიურ მოვლენების გამო გვალვისა და შარშანდელი მოუსავლობით არ იფარგლება; ამბობენ, რომ მოუსავლობა, ე. ი. გვალვა მოსალოდნელია წელსაც.

არის სხვადასხვა ზომები, რომლითაც შესაძლებელია აცდენა იმ მავნე შედეგებისა, ან ყოველ შემთხვევაში მათი შესუსტება. ეს გვალვა ყველგან არის, მაგრამ მოუსავლობა მხოლოდ იქ არის, სადაც მეურნეობა ჩამორჩენილია და მიწის კულტურულ დამუშავების საქმე დაბლა სდგას. ის, რაც ჩვენში არის, დრომოჭმულია და არ შეეფერება დღევანდელ პირობებს. დამუშავება მიწის ნიადაგისა ჩვენში არავითარ ახალ რამეს არ წარმოადგენს. თუ ნიადაგი დამუ-

შავდება ისე. როგორც ამას თხოულობს დღევანდელი გამოცდილება, რა თქმა უნდა, ეს მოუსავლობა ბევრად შემცირდება. მე გეტყვით თქვენ, რომ გამოცდილი აგრონომები ამბობენ, რომ ჩვენ შეგვიძლიან გონივრულ საშუალებით მიწის მოსავალი ავსწიოთ. მაგ., დღეს დესეტინა მიწა იძლევა არა უმეტეს 40 ფუთისა. ჩვენ კი შეგვიძლია ეს ავიყვანოთ 50 ფუთზე და ეს მოგვცემს იმდენს, რაც აანაზღაურებს პურის დანაკლისს საქართველოში. ამას ჩვენ უბრალო გამოაგარიშება გვეუბნება განა ბევრი რამ არის საჭირო, რომ 40-დან 50 ფუთამდე ავიყვანოთ მოსავალი. რა თქმა უნდა, რომ ცოტაოდენი სწავლა-გამოცდილება, შესაძლებელია დღესვე მივაწოდოთ გლეხობას. მე არ ვამბობ სხვადასხვა საშუალებებზე, როგორც არის — მორწყვა, ამას დღეს დიდი ქადაგება აღარ სჭირია. ყველა მეურნე დღეს დარწმუნებულია, რომ მორწყვა დიდი საშუალებაა გვალვის წინააღმდეგ. მაგრამ ფართოდ მოწყობილი მორწყვა ძნელი საქმეა. ხოლო პატარა არხის გაყვანა ჩვენში, სადაც მდინარეები უხვად არის, რა თქმა უნდა, ადვილი საქმეა. და ამ ბოლო დროს უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ქვეყანას ამ მხრივ ემჩნევა წარმატება. მაგალითად, შარშანდელი წელიწადი მოწმობს, რომ სხვადასხვა ადგილებში გლეხკაცობა თითონ თხოულობს ასეთ არხების გაყვანას. წინათ, ძველ დროში, დიდი არხები ყოფილა გაყვანილი საქართველოში. სადაც არ უნდა გახვიდეთ ტფილისის მახლობლად კახეთში თუ შირაქში შეხვდებით კვალს, ნიშნებს წინანდელი არხებისას. მაგრამ, დღეს ეს, რასაკვირველია დავიწყებულია, თუმცა პროექტები ბევრი ყოფილა ამისათვის შედგენილი, ძველადაც და ახლო წარსულშიაც. ასეთი გეგმები იყო, მაგ. იორის მახლობელ მიდამოებზე, რომელიც რამოდენიმე ათას დესეტინას შეადგენს და დღეს სრულიად გაველარებულია და მოსავალს სრულიად არ იძლევა და იქ გამოყვანილი არხები თითქმის ნახევარ კახეთსა და ტფილისს დააკმაყოფილებს. მე ვამბობ, რომ ამ დიდი არხების გაყვანა მომავლის საქმეა.

მაგრამ პატარა არხების გაყვანა კი ყოველ სოფელს შეუძლიან. ამ მხრივ — ნაბიჯი გადადგმულია. თვითონ ხალხი დაინტერესებულია ამით. და ჩვენ აქ უნდა შევქმნათ ნებაყოფლობითი ბეგარა. გარდა ამისა, შესაძლებელია ამ ნიადაგზე სხვადასხვა კოოპერაციების შექმნა. მე ვამბობ, რომ წინანდელი კოოპერაციები, სასოფლო კოოპერაციები იყო მხოლოდ საკრედიტო კოოპეოაციები. ნიადაგის წარმოებას აქ იშვიათად ჰქონდა ადგილი. დღეს ჩვენ სამეურნეო კოოპერაციას დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ამ დარგში უნდა შეუაერთოთ გლეხკაცობა, განსაკუთრებით, ულარიბესი ნაწილი. წარმოების ნიადაგზე ყველაზე წინ უნდა დავაყენოთ მორწყვის საქმის მოწყობა და საერთოთ ყოველგვარ წარმოების ნიადაგზე კოოპერაციების შექმნა. რასაკვირველია, მთავრობამ უნდა გაუწიოს დახმარება. უნდა იყოს ერთნაირი კრედიტი იმისთვის, მაგრამ თვითონ ხალხს დაინტერესება ერთ უმთავრეს საქმეთ უნდა გავხადოთ.

იყო რამდენიმე გარემოება, რომელიც ხელს უშლიდა ერთნაირად ამ მორწყვის და საზოგადოდ მელიორაციის საქმეს. ჩვენ ვგრძნობდით, რომ მორწყვის საქმე ფერხდებოდა იმით, რომ ეს საქმე იყო დაყოფილი ორ უწყებათა შორის: მიწათმოქმედების კომისარიატის და უმაღლეს სამეურნეო საბჭოს შორის. ერთი და იგივე საქმეს აკეთებდა ორი სხვადასხვა უწყება, რა თქმა უნდა, რომ აქ დიდი

შეფერხება იყო. დღესაც ასეთი მდგომარეობა არის: იქ სადაც არხები უნდა გაკეთებულიყვანოთ, ეს საქმე არის არა ჩვენ ხელში, არამედ მეორე უწყების, რომელიც განაგებს მას. რა თქმა უნდა, რომ ეს ჩვენი შექმნილი არ არის. ეს ჩვენ მზამზარეულათ მივიღეთ. მაგრამ ახლა იქაც ამ დასკვნამდე მივიდენ, რომ სამელიორაციო საქმე ე. ი., რაც დაკავშირებული არის სასოფლო მეურნეობასთან, უნდა დარჩეს ამ უწყების გამგებლობაში, როგორც ერთი მთლიანი საქმე. ამის დანაწილება ყოვლად შეუძელებელია.

მიწათმოქმედების კომისარიატი განაგებს აგრეთვე ტყის საქმეს. ტყის მეურნეობა საქართველოში უდიდეს როლს თამაშობს. დიდი ნაწილი ჩვენი ტერიტორიისა დაფარულია ძვირფასი ტყით. ამ რევოლიუციის დროს ტყეს დიდი განსაცდელი დაადგა, ისარგებლეს არეკ-დარევით და ტყეს დიდი ზარალი მიაყენეს. რამდენათაც შეიძლება, რასაკვირველია, აშას ბოლოს ვუღებთ. თუმცა დიდი შეფერხება არის განსაკუთრებით იმ მხრით, რომ ტყის წარმოება, ტყის ექსპლოატაცია, ხე-ტყის მოჭრა და მისი მოხმარება გამოყოფილია ცალკე და იმავე დროს ტყის მოვლა-პატრონობა დატოვებულია მიწათმოქმედების კომისარიატში. წარმოიდგინეთ, რომ გამოცდილება, ყოვლად შეუძლებელია ასეთი მდგომარეობის შენარჩუნება. რუსეთის გამოცდილებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს ორად გაყოფილი ერთი საქმე უნდა შეერთდეს. თქვეს იცით, რომ ტყის კომიტეტი (ლესკომი), რომელიც დაინტერესებულია მხოლოდ ტყის ექსპლოატაციით, არის ცალკე და ის ემორჩილება უმაღლეს სამეურნეო საბჭოს. მეორე მხრით ტყის შენახვა ცალკეა. ეს უნდა იყოს ერთ და იმავე დაწესებულებაში. ეს უნდა შეადგენდეს ერთ დაწესებულებას, ეს გაუმჯობესებს საქმეს. ამ ნიადაგზე ბევრი უსიამოვნობა არის. ჩვენ გვაქვს სხვადასხვაგვარი ტყე: ერთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მთელი რესპუბლიკისათვის, მეორე მხრით ტყეები ადგილობრივ მნიშვნელობისა, რომლებიც ადგილობრივი ორგანოების ხელში უნდა იყოს და იმავე დროს არის ტყეები პატარა უმნიშვნელო ხაჩები, ბუჩქნარები, სულ მცირე მნიშვნელობის, რომელიც შეიძლება კერძო კაცის ხელში დარჩეს. მეორე თითონ ტყის სარგებლობა. რა თქმა უნდა, რომ ეს საქმე ჯერჯერობით საქართველოში ვერ შეეძელით მოგვეწყო კარგად. გამოცემულია რამოდენიმე ცირკულიარი, მაგრამ თქვენ იცით, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ადგილობრივ ხელისუფლებაზე, ადგილობრივ ჩვენ აგენტებზე.

მდგომარეობა ისეთია, რომ ადგილობრივი ორგანოები ვერ არიან თავის სიმაღლეზე, რასაკვირველია, ცენტრალური მთავრობა მარტო საქმეს ვერ მოაგვარებს. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ ტყის მცველებს, ტყის გამგეებს, ხშირად დიდი საყვედური და საფრთხე ხვდებათ, შესაძლებელია ეს დამსახურებულიც ზოგიერთ შემთხვევაში, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მეტად აუტანელი პირობებია. ამ ნიადაგზე ათასგვარი უსიამოვნებაა. ამას უნდა მოეღოს ბოლო.

მიწათმოქმედების კომისარიატი, როგორც ვამბობდი ზევით, თავის ფარგლებში შეიცავს მრავალ სხვადასხვა დარგს. მე შევაჩერებ თქვენ ყურადღებას კიდევ ერთ გარემოებაზე. ერთ დაგრზე. ეს არის ს ა ბ ე ი თ ლ ო გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა. თქვენ იცით, მეურნეობა მჭიდროთ შეკავშირებულია საქონელთან, თუ პირუტყვი არ არის, უხარო, უცხენო კაცი, რასაკვირველია, ვერაფერს ვერ

გააკეთებს. მეურნეობა იმისათვის მიუწვდენელია. ამისათვის არსებობს საბეითლო განყოფილება. სამწუხაროთ ბევრი არ შემიძლიან გითხრათ, რაც აწევს თავზე ამ განყოფილებას, რადგანაც დრო არ მაქვს, მე მივაქცევ თქვენ ყურადღებას იმას, რომ ეხლა ჩვენში გავრცელებულია საქონლის ჭირი. ამ უკანასკნელ დროს ჩვენ გვესმის ყოველ მხრიდან: მოგვეშველეთ, მოგვეცით რაიმე საშუალებაო. თქვენ იცით, რომ არის დღეს ერთი საშუალება ამის წინააღმდეგ და ეს არის შრატის დამზადება. მაგრამ ამას უნდა დიდი თანხა. მე არ ვიცი თქვენ რამდენათ გაცნობილი ხართ ამ საქმესთან, მაგრამ ეს თხოულობს დიდ კაპიტალს, ეს თხოულობს ჯანსაღ საქონელს იმავე დროს თხოულობს დიდ მეურნეობას, სჭირია დიდი საკვები მასალა, თივა, მუშაობა და მრავალი მუშა ხელი. გასული წლის განმავლობაში კომისარიატი ეხმარებოდა ამ საქმეს თავისი საკუთარი სახსრით. მაგრამ ეს არ არის მკვიდრი ნიადაგი. თუ ჩვენ მოვაწყვეთ საქმე ისე, რომ მთელ საქართველოსთვის დავამზადეთ შრატი, ამას დასჭირდება დიდი თანხა. პირველ ჩვენ ყრილობაზე, მიწის სამაზრო განყოფილებების და გლეხკაცობის ყრილობაზე, რომელიც რამოდენიმე კვირის წინ მოხდა, იყო ამის შესახებ მსჯელობა და შემუშავებულ იქნა პროექტი, რომლის თანახმად თითონ ხალხი ნატურით ეხმარება ამ შრატის სადგურს. ხალხის დახმარება გამოიხატება ნატურით დახმარებაში: მიაწოდოს საჭირო რაოდენობა საქონლისა. ამ მიზნით ჩვენ გამოვიმუშავეთ კანონპროექტი, რომ უზრუნველვყოთ შრატის სადგური საჭირო არის რვაასი სული საქონელი. ეს რვაასი სული საქონელი უნდა განაწილდეს მთელ საქართველოში, ყველა მაზრებზე იმისდამიხედვით ,თუ რომელ მაზრაში რამდენი საქონელი ითვლება დაახლოვებით. მე ვამბობ ამხანაგებო, რომ ეს არის ხმა თითონ ხალხისა. ამას თხოულობს თითონ ხალხი, თითო მაზრას შეხვდება ოცი-ორმოცი საქონელი. მე მგონია, ყრილობა მიიღებს ამ დებულებას და დაავალებს მთავრობას გამოსცეს ისეთი კანონი, რომ ბრძოლა საქონლის ჭირის წინააღმდეგ, რომელიც მუსრს ავლებს მას, სწარმოებდეს რაც შეიძლება მიზანშეწონილად. ამით დიდი ნაბიჯი იქნება გადადგმული წინ. საქმე იმაშია, რომ საკითხი სადგურის მოწყობის შესახებ შეიძლება ისე მოგვარდეს, რომ ჩვენ იმდენი შრატი დავამზადოთ, რომლითაც არა თუ უზრუნველვყოთ საქართველო, არამედ სხვა მეზობელ რესპუბლიკებსაც მივაწოდოთ. რა თქმა უნდა ეს მიწოდება უფასო არ იქნება, მაგრამ ხომ იცით, რომ ჩვენ ვერ მოვსპობთ საქონლის ჭირს საქართველოში, თუ არ მოვსპეთ ეს ჭირი მეზობელ სახელმწიფოებში. მეზობელს სახელმწიფოებში კი ასეთი სადგური თითქმის არ არსებობს და შრატი აქედან უნდა მიიღონ. შესაძლებელია, ზოგს ეს ეგონა პატარა საქმეთ, მაგრამ ეს კი უდიდესი საქმეა.

ერთი სიტყვით, მე ვამბობ, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მიწათმოქმედების კომისარიატს. ჩვენში ეს ერთად-ერთი კომისარიატია, რომელიც დღეს ხელმძღვანელობს არა მარტო ამ რეფორმის საქმეს, არა მარტო კულტურის საქმეს, არამედ იმავე დროს ხელმძღვანელობს ისეთ საქმეს, რომლითაც შეიძლება ჩვენი მეურნეობის აწევა. რა თქმა უნდა, ეს არ შეიძლება დღესვე იქნეს განხორციელებული სავსებით, ეს სხვადასხვა აგრონომიული დაწესებულებების, სხვადასხვა კულტურულ-განმანათლებელ და საცდელ დაწესებულებების საქმეა

იმავე დროს ჩვენ გვაქვს პირდაპირ საწარმოო საქმე, როგორიც არის სახელმწიფო მამულები, რომელნიც უდიდეს შემოსავალს მისცემს სახელმწიფოს; რა თქმა უნდა ყველა ამას დიდი დახმარება ესაჭიროება. გუშინ ამბ. სვანიძემ [87]) მოგახსენათ, რომ მენშევიკების დროს სახალხო მამულები აძლევდენ სახელმწიფოს მგონი შემოსავლის 50 პროცენტამდეო. მაგრამ, რასაკვირველია, მას დაავიწყდა ორი თუ სამი გარემოება: პირველი ის, რომ ეს სახალხო მამულები, ეს საცდელი მინდვრები და სხვა დაწესებულებები, რომელნიც ჩვენ მივიღეთ, მეტად გავერანებულ მდგომარეობაში იმყოფებოდენ. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ დიდათ დაზარალებული იყო განსაკუთრებით ინვენტარი, ცოცხალი ინვენტარი, საქონელი, ცხენები და სხვა, ყოველივე ეს სრულებით გატაცებული იყო და შეიძლება ითქვას, რომ გადატრიალების დროს მეტად დაზიანდენ ჩვენი მამულები, გარდა ჩაქვის მამულისა. ეს გარემოება დაავიწყდა ამბ. სვანიძეს, მაგრამ მას დაავიწყდა კიდევ ორი უდიდესი გარემოებაც. უნდა მოგახსენოთ, რომ სახალხო მამულები იმდენ შემოსავალს როდი იძლევიან როგორც მაგ., ტყეები. ეს ტყეები კი მიწათმოქმედების კომისარიატს ჩამოერთვა და გადავიდა უმაღლესი სამეურნეო საბჭოს ხელში. რასაკვირველია შემოსავალიც იქ გადავიდა და ჩვენ კი დაგვრჩა მხოლდ ხარჯები. გარდა ამისა ბორჯომის მამული. — ეს უდიდესი განძია, ეს ბორჯომის მამული მიწათმოქმედების კომისარიატს ჩამოაცალეს. მაშასადამე, ჩვენს მიწათმოქმედების კომისარიატს დღეს არ შეუძლია იმდენი შემოსავლის მიცემა, რამდენსაც წინეთ იძლეოდა. მაგრამ მიწათმოქმედების კომისარიატი მაინც ემსახურება ისეთ დიდ საქმეს, რომელიც შეადგენს საფუძველს ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისას. თქვენ გუშინ მოისმინეთ, რომ მიწათმოქმედების კომისარიატმა გასული 1921 წლის განმავლობაში მიიღო ხაზინიდან სულ 11 თუ 12 მილიარდი მანეთი ქალალდის ფული. ყველა იმ აუარება საქმეების და ათასგვარი დაწესებულებების დასაკმაყოფილებლად, რომელთა ჩამოთვლაც აქ არც კი შემიძლია, — მე ვამბობ, რომ მიწათმოქმედების კომისარიატი შეადგენს საფუძველს მთელი ჩვენი ეკონომიურ ცხოვრებისას და ამ კომისარიატს უნდა მიეცს უდიდესი მნიშვნელობა. მე ვამბობ, რომ ეს ყრილობა მიაქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას იმ თეზისებს, რომელიც უნდა დაედვას საფუძვლათ ჩვენ მიწის მოწყობას, ერთის მხრით და სასოფლო მეურნეობის აღდგენას, მეორე მხრით. მე დარწმუნებული ვარ, — ყრილობა მოიწონებს ამ დებულებებს და მით საშუალებას მისცემს მთავრობას, რომ მან ახლო მომავალში განახორციელოს და ცხოვრებაში გაატაროს ყველა ის დებულებები, რომელნიც პრაქტიკამ და გამოცდილებამ წარმოშობა და წინ დაგვიყენა. მე დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი ყრილობა ამ მიწის საქმეს და იმავე დროს ამ მეურნეობის საქმეს ჩაუყრის მკვიდრ საფუძველს და დააყენებს მკვიდრ ნიადაგზე.

## (პასუხი შეკითხვებზე)

ამბ. მ ა ხ ა რ ა ძ ე კითხულობს ბარათებს: „გაამართლეს თუ არა იმედები სახალხო მამულებმა, რომლებიც გადავიდნენ ნარკომზემის განკარგულებაში? ჯერჯერობით კი ვგონებ „ჩიტი ბღენად არ ღირდა, დევნა მეტი იყოვო“.

მე არ მესმის რაზე ამყარებს თავის აზრს ამხანაგი. სასურველია წამოგვიყენოს კონკრეტული ფაქტები. ჩქნება მას სურს დაურიგოს ეს მამულები როძელიმე მოიჯარადრეს ან გაანაწილოს ადგილობრივ მოსახლეთა შორის, რაც შეეხება იმას, იძლევიან რასმე ეს მამულები თუ არა, მე ვაცხადებ, რომ იძლევიან. და თუ წარსულ წელს მათ იმდენი არ მოგვცეს, რამდენიც უნდა მოეცათ, ეს აიხსნება მრავალ საყურადღებო მიზეზით. ვინა სდგას ამ მამულების სათავეში? აი ეს უნდა ჰკითხოს თავის თავს ამხანაგმა. ამ მამულების სათავეში სდგანან იგივე გამგეები, რომლებიც იყვნენ წინეთ. ჩვენ შევცვლიდით მათ, მაგრამ ჯერჯერობით მათზე უკეთესები ვერ გვიშოვია. ჩვენ მაინც ვეძებთ მათ. ყველამ იცის, რომ რისამე გაკეთება ძნელია, თუ ამისთვის არა გვყავს სათანადო მომზადებული ხალხი.

-კეთილ ინებეთ და გაგვიმარტეთ, როგორ ხდება, რომ საადგილ-მამულო ორგანოები მიწას ურიგებენ არტელებს მიუხედავათ იმისა, თუ ვისგან შესდგება ეს არტელები. ხშირად არის შემთხვევა, როდესაც ხსენებულ არტელში შედიან მეწაღეები, ვაჭრები და სხვ.; მუშა-მოსამსახურეები კი ველარ ღებულობენ ბიჭას კართოფილის დასათესად. თქმა არ უნდა, რომ მუშა-მოსამსახურეებს ეს მიწები დიდ დახმარებას გაუწევენ". მე მაინც არ მესმის რაზეა აქ ლაპარაკი — საჭიროა კონკრეტული ფაქტები. ჩვენ არ ვაძლევთ არავის უპირატესობას, მით უმეტეს ვაჭრებს. თუ ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდათ, იცოდეთ. რომ ამის გამორკვევა არც ისე ადვილია. თუ თქვენ გყავთ მოსამსახურენი, რომლებიც უცოდინარობით ან ვისმეს ბოროტგანზრახვით ვერ ღებულობენ მიწას, თქვენ ამაზე გარკვევით უნდა მიგვითითოთ. თქვენ ეს უნდა გადასცეთ იმ ორგანოებს, რომლებიც პრაქტიკულად სწყვეტენ ამ საკითხს.

მე ვილაპარაკე მიწის საერთო პოლიტიკაზე. მე ვსთხოვ დამსწრე ამხანაგებს კონკრეტულად აღნიშნონ ყველა ნაკლულევანებანი და სათანადო განცხადებით მიმართონ ხოლმე იმას, ვისაც ადგილობრივ თუ ცენტრში შეუძლია მათი გამოსწორება. თუ თქვენ აცხადებთ, რომ აქ ამითაც არაფერი გამოდისო, მაშინ თქვენ გარკვევით უნდა დაგვიახელოთ, რომელმა მოსამსახურეებმა არ მიიღეს მიწა და რომელი ვაჭრები სარგებლობენ საარტელო უფლებით. აქ არის შეკითხვები, რომლებზედაც მე სრულებით არ გავსცემ პასუხს. „ჰქონდა თუ არა უფლება მამულის გამგეს ემუშავებინა თავის სასარგებლოდ ამ მამულის მუშებიო".

ნუ თუ თქვენ არ გესმით, რომ არავითარ მამულის გამგეს არა აქვს უფლება ამუშაოს მუშები თავის სასარგებლოდ. ნუ თუ ეს შესაძლოა ამისთანა კითხვების აღძრა? თუ კი ამისთანა შემთხვევას ჰქონდა სადმე ადგილი, დაგვისახელეთ კონკრეტულად და დამნაშავენი მიცემული იქნებიან სასამართლოში.

„გზავნიდა თუ არა მიწათმოქმედების კომისარიატი ინსტრუქტორებს, რომლებსაც უნდა გაეწიათ ხელმძღვანელობა ადგილობრივ მიწის განაყოფილებათათვის"?

ამხანაგებმა უნდა გვიჩვენონ კონკრეტულად თუ სად არ სწარმოებდა ასეთი ხელმძღვანელობა. ამაზე პასუხს გასცემენ ის ამხანაგები, რომლებიც ადგი-

ლობრივ არიან დანიშნული, მხოლოდ შემკითხველებმა დაგვისახელონ, სად ძოხდა ეს.

ამხანაგებო, გარდა წაკითხულისა, აუარებლი შეკითხვები არის. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მე ჩემის მხრივ უკმაყოფილებას ვაცხადებ იმის გამო, რომ მიწის პოლიტიკის გარშემო კამათი არ იქნა გამართული, მაგრამ მიღებული შეკითხვებიდან მე მგონია, შესაძლებელია გამოვიტანოთ ისეთი საერთო დასკვნა, რომ საადგილ-მამულო პოლიტიკა, რომელსაც დღეს აწარმოებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება, საერთოდ უკმაყოფილებას არ იწვევს. ეს პოლიტიკა საერთოდ მიზანშეწონილი არის და შეეფერება ჩვენს დღევანდელ პირობებს. რა თქმა უნდა, მიწის საკითხის გადაჭრის ირგლივ აუარებელი გაუგებრობა არის. მართლაც, მეტად ძნელი და გაუთვალისწინებლია მიწის საკითხის მოგვარება ახლანდელ პირობებში. მე ჩამოვთვალი ამ შეკითხვებს და აქედან დაინახავთ, რომ ჩვენ ყველას გვაწუხებს ეს საკითხები. ეს საკითხები ძე მესმის შარშანდელი წლიდან. ყველგან სადაც მე მიხდება გამოსვლა: გლეხთა ყრილობაზე ან პარტიულ ყრილობაზე, ყველგან ეს საკითხები არის დაყენებული; იმათი გადაჭრა ერთი დაკვრით ყოვლად შეუძლებელია, იმიტომ რომ მიწასთან ყველა ჩვენთაგანი არის დაკავშირებული, არამც თუ მიწის მუშები, არამედ ის მუშებიც, რომლებიც რკინის გზაში და ფაბრიკებში მუშაობენ, ერთი სიტყვით პროლეტარიატი, რომელიც ქალაქში იმყოფება, ისიც დაკავშირებულია ამ მიწის საკითხთან. ამას არ შეიძლება ანგარში არ გავუწიოთ და ჩვენ ვუწევთ ანგარიშს.

მე მივაქცევ თქვენ ყურადღებას უმთავრეს შეკითხვებზე, რომლებიც აქ მომცეს.

ერთი უმთავრესი შეკითხვა ეხება იმას, თუ როგორ გატარდება ეს რეფორმა მიწის მოწყობის შესახებ. ეს დაკავშირებულია ყანების დათესვასთან. შარშანაც ვიდექით და დღესაც ვდგევართ ამ საკითხის წინაშე. ამხანაგები შიშობენ, რომ დათესვა კარზეა მომდგარი, ეს ახალი მიწის მოწყობის საქმე ჯერაც არ დაწყებულა, ამიტომ ჩვენ დავაგვიანებთ დათესვასო. ჩვენ ამას, რასაკვირველია, ანგარიშს ვუწევთ, მაგრამ როგორ გნებავთ შევსძლოთ ეს? განა მთელ საქართველოში, ყველა სოფლებში შესაძლებელია ერთის ხელის მოსმით მოვაწყოთ ეს საქმე? ეს ყოვლად შეუძლებელი არის. შარშან იმისთანა პირობებში შევძელით ყანების დათესვა, როდესაც გაუგებრობა იყო, ყველგან ეჭვში იყო, რაღაცა მოხდებაო. ჩვენ დავთესეთ თითქმის იმდენი, რამდენიც მენშევიკების დროს იყო დათესილი, დააკლდა მხოლოდ 3-5 პროცენტი, და ესეც იმიტომ, რომ 1920 წლის შემოდგომაზე ყანები ნაკლებათ იყო დათესილი. გაზაფხულზე კი მეტი დაითესა ვიდრე წინეთ. წელს, ამხანაგებო, მართალია მიწის მოწყობა არ დამთავრებულა, მაგრამ ყველა ისინი, ვინც სარგებლობენ მიწით, უსათუოდ დასთესენ მიწებს და ხელუხლებელნი იქნებიან. თქვენ გაქვთ მიწის კომიტეტები და მათ აქვთ უფლება, ისინი ვერ სარგებლობენ სამწუხაროდ ამ თავის უფლებებით. დღეს, სწორეთ აი ამ შემთხვევაში უკეთეს პირობებში ვიმყოფებით, ვიდრე შარშან. დღეს ვიცით გარკვეულად, რომ ვინც სარგებლობს მიწით, იგი ხელუხლებელი არის, მას არავინ ახლებს ხელს. არ შეი-

ძლება ვთქვათ, რომ ამას მიწის საბოლოო მოუწყობლობა დაუშლის ხელს. რაიგოიც ცენტრალურმა მთავრობამ, ისე ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ ყანები არ დარჩეს დაუთესელი. ზოგიერთი საკითხები ეხება იმას, რომ თუ კომისარიატი არ დაეხმარა და ხელი არ შეუწყო გლეხებს, დათესვის საქმე დავარდებაო. მე მოგახსენებთ, რომ ამის მოსაგვარებლათ მიღებულია ზომები, მაგრამ მთავრობის ხელში არ არის იმდენი მარაგი, რომ შესძლოს ყველას დაკმაყოფილება. ზომები არის მიღებული და რას მოგვცემს ეს ჩვენგანაც არის დამოკიდებული. ამხანაგებო, ყველა შეკითხვებზე რომ პასუხი მივცე, რამდენიმე საათი მომინდება. მაგალითად, ერთი ამხანაგი კითხულობს: დაკლული საქონლის სისხლით ვინ სარგებლობსო. ამხანაგს წარმოდგენა არა აქვს შრატის დამზადებაზე, თორემ ასეთ კითხვას არ მომცემდა. რამდენიმე ამხანაგი იძლევა ერთ და იმაკე კითხვას, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა აკრძალულია და მიუხედავად ამისა მიწის ყიდვა-გაყიდვა ხდება სოფლად. რა ვქნათ ამხანაგებო, კაცის მოკვლა აკრძალულია, მაგრამ ხდება. ეს არის დანაშაული და დამნაშავე მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში. მართალია, კანონი არ არის, თუ რა სასჯელი მოელის, მაგრამ მიწის ყიდვას არავითარი გამართლება არა აქვს. თუ ის შეგნებულია, რად უნდა ჰყიდდეს და, მით უფრო, რათ უნდა ყიდულობდეს, როდესაც არის ორგანოები, რომელიც მიწის ყიდვის მაგივრად უფასოდ გადასცემს. რასაკვირველია, ან ჩვენი ორგანოები ადგილობრივ ვერ არიან სიმაღლეზე ან გლეხი, რომელიც ამას სჩადის შეუგნებელი არის, უმჯობესია ამ შეკითხვის მომცემმა ამხანაგებმა ეს ქითხვა დააყენონ ადგილობრივ და იქ მიიღონ ზომები, აუხსნან გლეხკაცობას. რომ თუ სასყიდელი აქვს მიწა, ნუ იყიდის, მიწას მას უფასოდ გადაცემენ.

მე მეკითხებიან განსაკუთრებულ კომისიის შესახებ, რომ განსაკუთრებული კომისია გაუქმებული არის. ეს გაუგებრობაა, ასეთი ზომები არ არის მიღებული. განსაკუთრებული კომისია მიწის დავის შესახებ განაგრძობს ჯერჯერობით მოქმედებას. ზოგიერთი ამხანაგები მეკითხებიან: როგორი იქნება ნორმა, სულზე თუ კომლზე? ჩვენ დავადექით ისეთ დებულებას, რომ ნორმა მიეცემა ოჯახს, როგორც სამეურნეო ერთეულს. ოჯახს მიეცემა საშუალო ნორმა და თუ ასეთი ნორმა ვერ აკმაყოფილებს ოჯახს, თუ ის მრავალრიცხოვანი იქნება, მაშინ ისეთ ოჯახს მიეცემა ნორმაზე მეტი. მაგრამ ჩვენ გვინდა უზრუნველვყოთ საშუალო გლეხის ოჯახი, მიუხედავად იმისა, სამი თუ ხუთი სულისაგან შესდგება ის. მე უკვე ვთქვი და ვიმეორებ, თუ მრავალრიცხოვანი იქნება ოჯახი, რა თქმა უნდა, მიეცემა საშუალო ნორმაზე მეტი. ამხანაგები აქცევენ ყურადღებას, თუ რა მდგომარეობაშია გადასახადების საქმე. ზოგიერთ ადგილებში მიწის სივიწროვეა. ეს ცნობილია და საჭიროა მიწის მოწყობა ახალ ნიადაგზე. ამისთვის არსებობს კომისია, რომელიც იღებს ზომას, რომ ამ ადგილებიდან უმიწაწყლო გლეხკაცობა იქნეს გადასახლებული იმ მაზრებში, სადაც მოიპოვება ზედმეტი მიწა. უპირველესად ყოვლისა ყურადღება არის მიქცეული, რომ მიწის საქმე კარგათ მოეწყოს ასეთ მაზრებში, რათა იქ ვიქონიოთ თავისუფალი ადგილი, სადაც ჩავასახლებთ უმიწაწყლო გლეხკაცობას.

რაიონის დელეგატი კითხულობს: ბორჯომის რაიონში სახნავ-სათესი მიწა საკმაოდ არ არის, ძალიან სივიწროვეა; იქ დასახლებულ გლეხკაცობას რომ მიეცეს საშუალება სახნავ-სათესი მიწის ქონების, — ეს გამოიწვევს ტყეების გაჩეხას; დასაშვებია ეს თუ არა? ამხანაგებო, ეს ყოვლად დაუშვებელია. ბორჯომის ხეობის ტყის გაჩეხა სიმდიდრეს მოსპობს. ამის შესახებ გვქონდა ზომები მიღებული და ახლაც ვიღებთ. გაჩეხა არ შეიძლება და იქაურ ზედმეტ მცხოვრებლებს მიწა მიეცემათ სხვა რაიონში.

ამხანაგი მეკითხება: გთხოვთ გვიპასუხოთ ექნება თუ არა ვაჭრებს უფლება მოიხმარონ დაქირავებული მუშები?

ამხანაგებო, ეს საკითხი ისეთი არის, რომ არ ღირს ლაპარაკი. რასაკვირველია მათ არ უნდა ექნეს ამის უფლება და გარკვეული არის ვის მიეცემა ამის უფლება და ვის არა.

აქ მეკითხებიან ცალკე რაიონების შესახებ. რათ არის მუშაობა შეჩერებული, რათ ხდება ხე-ტყის გაჩეხა და სხვაო. ეს საკითხი შეიძლება გადაეცეს კომისარიატს და ის მოგცემთ პასუხს. შეუძლებელია მთელს ყრილობას აინტერესებდეს ამა თუ იმ სოფელში რა ხდება. თუ რაიმე უწესობაა ეს კომისარიატს უნდა ეცნობოს.

ამხანაგი მეკითხება: აჭარისტანის სოციალისტური რესპუბლიკის მიწათმოქმედების კომისარიატი ექვემდებარება თუ არა საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატს? რა თქმა უნდა, აჭარისტანი წარმოადგენს ავტონომიურ რესპუბლიკას, რომელზედაც ვრცელდება ჩვენი დეკრეტები, ხოლო იქ გაჰყავთ ეს დეკრეტები იქაური პირობების მიხედვით. ამხანაგი მეკითხება: რა ზომები არის მიღებული გლეხების ოჯახების გაყოფით გამოწვეულ შედეგების წინააღმდეგ? მე მოგახსენებთ, რომ უნდა იქნეს გამომუშავებული კანონი, რომ მიწა არ დაქუცმაცდეს, შეიძლება რამოდენიმე წლის შემდეგ ოჯახი გაიყოს, მაგრამ უნდა იყოს კანონი და არის კანონი, რომ ასეთ შემთხვევაში მათი კუთვნილი მიწა არ დაქუცმაცდეს.

ამხანაგი მეკითხება: სდგას თუ არა პირველ რიგში ტირიფონის ველის მორწყვა? — როგორც მოგეხსენებათ, ამხანაგებო, ეს საქმე არის განაწილებული ორ უწყებათა შორის. რა თქმა უნდა ეს საკითხი წამოყენებულია, მაგრამ ვერ გეტყვით, რამდენათ სდგას ის პირველ რიგში.

ამხანაგი მეკითხება, რომელ მიწის მეპატრონესაც ნორმაზე მეტი მიწა აქვს, მივიღოთ ზომები და ჩამოვართვათ, თუ არა? — რა თქმა უნდა, უნდა მივიღოთ ზომები და ჩამოვართვათ.

აქ მეკითხებიან: რამდენი ეკუთვნის პირველი ხარისხის მიწა გლეხს? — ეს ნორმები ამ დღეებში იქნება გამოცხადებული; საქართველო დაყოფილია 10 რაიონათ, მიწები დაყოფილია რაიონში 5 ხარისხათ და ეს პროექტი იქნება ხვალ თუ ზეგ გამოცხადებული, აქამდის ვერ მოვასწარით. იქნება აგრეთვე გამოქვეყნებული დებულება მიწის მოწყობის შესახებ. დაენიშნავთ ვადას და იმ ვადაში უნდა იქნეს ყოველივე ცვლილებები და შენიშვნები წარმოდგენილი, თუ ვადაში ვერ იქნა წარმოდგენილი, იმ შემთხვევაში ეს დებულება იქნება აუცილებლად მიღებული და სავალდებულო ყველასათვის.

აქ ამხანაგი მეკითხება: შესაძლებელია თუ არა, რომ ულარიბეს გლეხობას უსასყიდლოთ დაეთმოს ხე-ტყის მასალა. ამის შესახებ გვაქვს ცირკულიარი, განკარგულება, თითქმის კანონი, რომ საჭირო ხე-ტყე მიეცეს უსასყიდლოთ მართლაც და ღარიბ გლეხკაცობას, რისთვისაც საკალდებულოა სათანადო მოწმობის წარმოდგენა. რაც შეეხება შეძლებულ გლეხებს, მას რასაკვირველია გადაახდეინებენ სასყიდელს.

ამხანაგი მეკითხება: გლეხს ქონდა აღებული მეზობლის ადგილი და იხდიდა ღალას, ეხლა ღალა მოსპობილია, ვის რჩება ადგილიო. ამხანაგებო, ასეთი კითხვა ნიშნავს იმას, რომ ამხანაგი არ არის კარგათ გაცნობილი საკითხთან. თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ უნდა აღმოუჩინოთ-დახმარება დაზარალებულ გლეხებს, ე. ი. იმათ, ვინც შრომის უნარ მოკლებულია. ეს ჩვენ არ გვითქვამს, ამხანაგებო, ჩვენ ვამბობდით იმას, რომ იმ ოჯახს, რომელსაც გამოაკლდება მუშა-ხელი — უფლება აქვს თავისი მიწა გადასცეს ღალით თავის მეზობელს.

შემდეგ მეკითხებიან, ქონდა თუ არა უფლება სახალხო მამულის გამგეს ემუშავებინა თავის სასარგებლოთ მამულის მუშები.

შემდეგი კითხვაა, მიეცემა თუ არა სათესლე ღარიბ გლეხობას. ამხანაგებო, რა თქმა უნდა მიეცემათ თუ კი გვექნება, მაგრამ უნდა იცოდეთ რომ ამ სათესლეს უფასოთ არ მივცემთ, მივცემთ მათ, როგორც სესხს, რომელიც შემდეგში უნდა დაგვიბრუნონ. ჩვენ ამისათვის შევქმნით სათანადო ფონდს საიდანაც საშუალება გვექნება დაურიგოთ გლეხკაცობას სათესლე.

მაშასადამე, ამხანაგებო, საერთო ჩემი აზრი ასეთია: რომ ბევრ ამხანაგს ჯერ კიდევ არა აქვს სავსებით გათვალისწინებული ჩვენი რეფორმა და ისინი განსაკუთრებით გაცნობილი არ არიან იმ დეკრეტებს, რომლებიც ჩვენ გვაქვს გამოცემული. მეორე მხრივ, ვიმეორებ, მიწის საკითხის მოგვარება უმსხვერპლოთ ისე, რომ აქ ვინმემ არ იზარალოს ყოვლად შეუძლებელია. ამ საკითხის მოგვარება იწვევს დიდ უსიამოვნებას, რადგან მიწის ყველგან ერთნაირად განაწილება ყოვლად შეუძლებელია. მიწის ნორმის დაწესების დროს მხედველობაში მიღებული უნდა იყოს ღირსება მიწისა, ადგილ-მამულის მდებარეობა, მისი ჰაეა და სხვა. ამგვარათ ჩვენ მეტის მეტ რთულ საკითხთან გვაქვს საქმე. და უნდა ვთქვათ, რომ მის მოგვარებას სჭირდება დიდი ყურადღება და აგრეთვე დროც. ყოვლად შეუძლებელია ყველაფრის ერთბაშად მოწყობა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთი წლის განმავლობაში ჩვენ ამ საქმეს სავსებით მოვაწყობთ.

კიდევ ვიმეორებ, თუ ვისმეს აქვს საბუთები იმისა, რომ სადმე ხდება ბოროტება, ხდება დანაშაული იმ მიწის ნიადაგზე, მან უნდა განაცხადოს, რომ მთავრობას შეეძლოს ბოლო მოუღოს ასეთ მოვლენებს. გაჩუმება ამ შემთხვევაში, ყოვლად შეუძლებელია.

ამხანაგებო, მოგიწოდებთ: ადგილობრივ დიდი ყურადღება მიაქციოთ ამ მიწის საკითხის გადაჭრას. განსაკუთრებით თქვენს ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ჩვენ ეხლა ვდგევართ საგაზაფხულო თესვის საკითხის წინაშე, ამიტომ თქვენ უნდა ეცადოთ, რომ ეს დათესვის საქმე არ შეფერხდეს ჩვენი რეფორმის დაუსრულებლობის მიზეზით, არამც და არამც თქვენ ყურადღება არ უნდა-

მიაქციოთ ამას — ვინც მოახერხებს დათესვას უნდა უსათუოდ დათესოს. იმიტომ, რომ ჩვენი მთავარი ლოზუნგია: რამდენადაც შესაძლებელია არ-სად არ დარჩეს დაუთესავი მიწა. აი ეს უნდა განახორციელოთ. რაც შეეხება იმას, დამრჩება თუ არ დამრჩება სამუდამოთ მიწა, ამას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. ვინც დღეს შესძლებს ისარგებლოს ამ მიწით, უნდა ისარგებლოს. ვისაც ჰყავს საქონელი, ხარი — ის ისარგებლებს. მე იმას კი არ ვამბობ, რომ შემძლებელმა გლეხობამ, ან ძველმა მემამულემ უნდა განაგრძოს თავისი მოქმე-დება, როგორც წინად — ამას მე არ ვამბობ. ის დრო მორჩენილია და იმის დაბრუნება ყოვლად შეუძლებელია. გუშინაც ვამბობდი, რომ უნდა იქნეს ყო-ველ სოფელში დაარსებული თესვის რაიმე ორგანოები. ეს იქნება უპარტიო გლეხების კომისია. უნდა შეყაროთ სოფლის ყრილობები და გამოიტანოთ და-დგენილებები, რომ დაუთესავი ყანები არ დარჩეს. რა საშუალებით? მთავრობა თითონ შეასრულებს ამას, თუ ადგილობრივ ლონისძიებით გაკეთდება ეს საქმე. ეს უნდა გადაწყდეს. თუ მთავრობას ექნება საშუალება, ის დაგეხმარებათ, და თუ არ დაგეხმარებათ, იქ ურთიერთშორის უნდა მოაწყოთ ეს საქმე. უამისოდ ჩვენ ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩავცვივით იმიტომ, რომ საზღვარგა-რეთიდან შემოტანილი პური და სიმინდი ვერ გვიხსნის, ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. ამით ვერ წავალთ წინ, თუ აქვე არ შევქენით ეს მარაგი.

დასასრულ, — თქვენ გაქვთ წარმოდგენილი თეზისები და მე მგონია, რომ ამ თეზისების წინააღმდეგ შეკითხვებში არაფერი იყო. მაშასადამე, დარწმუ-ნებული ვარ, რომ ეს თეზისები, როგორც მოწონებული პარტიული ყრილობის მიერ, მერე მიწათმოქმედების კომისარიატის სამაზრო განყოფილებების და გლე-ხების ყრილობის მიერ, ამ ყრილობის მიერაც იქნება მიღებული და დადასტუ-რებული, რომ მის სახელით იქნეს გამოცხადებული. (ტაში).

# გაუგებრობაა თუ რა?

ტფილისში დაბრუნების შემდეგ მე მომიხდა ადგილობრივ გაზეთების გადათვალიერება. აქ. სხვათაშორის, ჩემი ყურადღება მიიპყრო გაზ. „კომუნისტში“ მოთავსებულმა მოწინავე წერილმა სათაურით: „მოსპობილია თუ არა ფეოდალური მიწათმფლობელობის ნაშთები საბჭოთა საქართველოში“ *). მით უფრო მიიპყრო ამ წერილმა ჩემი ყურადღება, რომ ის ხელმოწერილი იყო ამხ. მ. ორახელაშვილის მიერ.

მკითხველებს, ალბათ მოეხსენებათ, რომ საერთოთ მიწის საკითხთან მე პირადათ იმ თავითვე ვიყავი დაკავშირებული, დიდი ხნიდან, ჯერ კიდევ მაშინ, როცა საბჭოთა ხელისუფლებაზე ჯერ ხსენებაც არსად იყო. რაც შეეხება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში მე ყველაზე უფრო ახლო ვუდექი [88]) ამ საკითხის პრაქტიკულათ გადაჭრასთან და მის ცხოვრებაში გატარებასთან.

ამხანაგ მკითხველებს ალბათ ახსოვთ, სხვათა შორის, ჩემი წერილებიც საბჭოთა ხელისუფლების მიწის კანონების გატარებაზე ცხოვრებაში. მკითხველებს ეხსომებათ აგრეთვე ისიც, რომ პირადათ მე სხვადასხვა კრებებზე, კონფერენციებზე თუ ყრილობებზე, მუდამ და ყველგან ხაზს უსვამდი იმ გარემოებას, რომ სამწუხაროთ, ადგილობრივ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები შესაფერ ხელმძღვანელობას ვერ უწევდენ მიწის რეფორმის გატარებას. ვერ აცნობდენ გლეხკაცობას, განსაკუთრებით მის ღარიბ ნაწილს, საბჭოთა ხელისუფლების მიწის რეფორმას.

მეორე მხრით, ჩვენ კარგათ ვიცით, რომ აქაც. — საქართველო თავისი მიწაწყლის სივრცით დიდი არაა, — ამ პატარა სივრცეზედაც მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის ფორმების მხრით მრავალფეროვნებას და სხვადასხვაობას აქვს ადგილი. არის მივარდნილი და მიყრუებული რაიონები და კუთხეები, როგორც. მაგ., ხევსურეთი, სვანეთი და სხვ., რომელთაც ჯერ კიდევ ვერ დაეხწევიათ თავი მამაპაპეულ და შეიძლება პირველყოფილი მდგომარეობისათვისაც კი. აშკარაა, რომ ასეთ კუთხეებში ჩვენ ჯერ შეიძლება სამწუხაროთ, ვერც კი შევედით, როგორც ხელისუფ-

*) იხ. „კომუნისტი“, № 300, 1922 წ. 29 დეკემბერი.

ლ ე ბ ა, არამც თუ მიწის დეკრეტი გაგვეხორციელებია იქ. გარდა ამისა, არის რაიონები, სადაც ჩვენ სულ არა გვყავს შესაფერი ძალები; ან თუ გვყავს, მეტად სუსტი. ამ უკანასკნელ დრომდის ეს მაინც ასე იყო. ჩვენ არასოდეს არ დაგვიმალავს ის გარემოება, რ ო მ ა ს ე თ რ ა ი ო ნ ე ბ შ ი ან ფ ე რ ხ დ ე ბ ა ან ს უ ს ტ ა დ ტ ა რ დ ე ბ ა ჩ ვ ე ნ ი კ ა ნ ო ნ ე ბ ი მ ი წ ი ს რ ე ფ ო რ მ ი ს შ ე ს ა ხ ებ. ამიტომაც იყო, რომ მე ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებს ვთხოვდი ყოველთვის ან პირადათ ან გაზეთის საშუალებით ეცნობებია, თუ რა მდგომარეობაშია მიწის რეფორმის გატარება, რა აფერხებს ან რა უწყობს ხელს ამ საქმეს, რათა ამის მიხედვით ცენტრალურ მთავრობას მიეღო ესა თუ ის ზომები. მით უფრო, რომ ჭ ი რ ი ს დ ა მ ა ლ ვ ა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა, ი ს ა დ რ ე ი ქ ნ ე ბ ა თ უ გ ვ ი ა ნ, თ ა ვ ს მ ა ი ნ ც გ ა მ ო ი ჩ ე ნ ს. მ ა ს თ ა ნ, რ ა დ ა ს ა მ ა ლ ა ვ ი ა, რ ო მ ჩ ვ ე ნ ბ ე ვ რ შ ე ც დ ო მ ებ ს ვ ა კ ე თ ებ თ, რ ო მ ე ლ თ ა ც გ ა ს წ ო რ ე ბ ა ე ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა თ ა ვ ი ს დ რ ო ზ ე. და განა ვისმეს შეუძლია იმის თქმა, რომ იგი შეცდომას არასოდეს არ ჩაიდენს?!

ამიტომ თავის თავად იგულისხმება, რომ მე დიდათ დამაინტერესა ზევით დასახელებულმა წერილმა, უფრო კი მისმა სათაურმა.

ალბათ, ავტორს, გავიფიქრე მე, აღმოუჩენია სადმე საქართველოში ისეთი კუთხე, ან კუთხეები, სადაც კ ი დ ე ე დ ღ ე მ დ ი ნ ა ც დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ა ბ ა ტ ო ნ-ყ მ უ რ ი (ფ ე ო დ ა ლ უ რ ი) მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ი ს ნ ა შ თ ები, და აი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შესაფერი ზომები მიღებული, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი მთავრობის მიერ, რათა ბოლო მოეღოს ამ მართლაც არა თუ შეუსაბამო, არამედ პირდაპირ „საჯაყ" მდგომარეობას საბჭოთა რესპუბლიკებშითქო. წარმოიდგინეთ, თუ მივიღებთ მხედველობაში ყოველივე იმას, რაც ჩვენ ზევით ვთქვით, აქ გასაკვირალი მაინცდამაინც არაფერი იქნებოდა. ჩემ ასეთ ფიქრში კიდევ უფრო დამარწმუნა დასახელებული წერილის შემდეგმა ადგილმა:

„ამას წინათ, — ამბობს ავტორი — ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია ადგილობრივ მუშაკთა თათბირი იმის გამოსარკვევათ, თუ როგორ ტარდება სოფლად მიწის რეფორმა, რომელ საფეხურზეა შემდგარი და რა ღონისძიებანი დააჩქარებენ მის საბოლოოდ დამთავრებასო".

ალბათ სწორეთ ამ თათბირზე გამოირკვა, რომ ამა და ამ ადგილას კიდევ შენახულან ბატონყმური, ფეოდალური მიწათმფლობელობის ნაშთები-თქო — ვიფიქრე მე. მაგრამ წერილის გულდასმით გადაკითხვამ დამარწმუნა იმაში, რომ ასეთი კუთხეები, საბედნიეროთ, ჯერ არსად აღმოჩენილა საბჭოთა საქართველოში. პირიქით, თათბირზე გამორკვეულა, აი, რა:

„საბჭოთა ხელისუფლების კანონმდებლობა მიწის შესახებ ს ა ვ ს ე ბ ი თ მ ი ს ა ღ ე ბ ი ა მ შ რ ო მ ე ლ ე ბ ლ ე ხ ბ ი ს ა თ ვ ი ს. იმავე დროს ხ ულ შ ე მ წ ყ ო ბ ი მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ცენტრ. კომიტეტის მიერ მოწვეულმა თათბირმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ის, რაც არა ერთხელ იყო დადასტურებული ამ მოკლე ხნის ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს ა ღ დ გ ე ნ ა-გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს". *)

*) ხაზს ჩვენ ვუსვამთ ფ. მ.

განმავლობაში, როგორც პარტიულ, ისე უპარტიო კონფერენციებზე თუ ყრილობებზე.

ასეთი დასტური რა თქმა უნდა, მეტი არასოდეს არ არის, და ამან არ შეიძლება არ გამოიწვიოს ერთნაირი სიამოვნება საბჭოთა ხელისუფლების ყველა ნამდვილ მეგობრებში. და თუმც ასეთია საბჭოთა ხელისუფლების მიწის რეფორმა, მისი ცხოვრებაში გატარება თურმე შეფერხებულა.

ამხ. ორახელაშვილი სწერს:

„მაგრამ კანონების გატარების სიჩქარე, ტემპი ვერ გამოდგა რევოლიუციონური ამოცანის შესაფერისი. ევოლიუციური, თანდათანობითი გზა თუმცა მიზანშეწონილი იყო ჩვენ პირობებში, მარა ამ გზაზე ბლომათ აღმოჩნდა ისეთი დაბრკოლებები, რომლების ზეგავლენით რეფორმა შეფერხდა რამდენიმეთო“.

ეჭვი არაა, აქ ბევრ გაუგებრობას უნდა ქონდეს ადგილი.

ჯერ ერთი, ჩემთვის უცნობია ის გარემოება, იყო თუ არა ზევით დასახელებულ თათბირზე ცნობების მისაცემათ მიწვეული მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მიწათმომწყობი განყოფილების წარმომადგენელი, რომელიც ამ შემთხვევაში მიაწვდიდა ხსენებულ თათბირს საჭირო და დამაკმაყოფილებელ ფაქტიურ მასალას და ცნობებს საქმის ნამდვილ მდგომარეობის შესახებ. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ეს მასალა და ცნობები რომ ქონებოდა თათბირს, იმ შემთხვევაში ბევრი გაუგებრობა იქნებოდა თავიდან აცილებული. მაგრამ, საკვირველია, აი რა:

ა) როგორ აქვს წარმოდგენილი ამხ. ორახელაშვილს ხსენებული რეფორმის ცხოვრებაში გატარებაზ

ბ) ან რომელი რეფორმა აქვს მას მხედველობაში, ვინაიდან მისი სიტყვები რაღაც „ევოლიუციის და თანდათანობითი გზაზე“, კიდევ მეტ გაუგებრობას იწვევს.

ყოველ შემთხვევაში მე ვფიქრობ, რომ აქ ლაპარაკია იმ „დებულებაზე მიწათმოწყობის“ შესახებ, რომლის გამომუშავებას ჩვენი პარტია და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მოუნდა ერთ წელიწადს და რომელიც გამოქვეყნდა, როგორც კანონი, მხოლოდ გასული 1922 წლის 26 მაისს.[89]) ამ კანონის პრაქტიკულად გატარებაში, ე. ი. მუშაობა სოფლებში მიწების ჩამორთმევის და განაწილების შესახებ დაიწყო გასული წლის 20 ივნისიდან, ვინაიდან მანამდი შეუძლებელი იყო უფულობის გამო საქმის დაწყება. აქ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, უნდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ფაქტიური ჩამორთმევა მიწებისა იმ პირებიდან, ვისაც ზედმეტი ქონდა და აქირარავებდა მიწებს სხვებზე, უკვე დაიწყო დღიდან საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განსაკუთრებით 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტის (№ 17) გამოცემის შემდეგ. ახალი დებულებით კი ხდება უმთავრესად გამოსწორება და მოწესრიგება, თუ შეიძლება ასე ითქვას, იურიდიული სახის მიცემა იმისთვის, რაც რევოლიუციამ უკვე მოახდინა.

რა თქმა უნდა, ალაგ-ალაგ არის შემთხვევები, როცა ადგილობრივ მიწის კომიტეტებს და ხელისუფლების წარმომადგენლებს სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ მოუხერხებიათ, თუ ვერ მოუსწრიათ რომელიმე პირისთვის ზედმეტი მიწის ჩამორთმევა, მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ასეთი შემთხვევების რიცხვი ძლიერ მცირეა და ისინი ალბათ გამონაკლისს შეადგენენ.

რათა რამდენიმეთ მაინც ვიცოდეთ თუ რას წარმოადგენს მიწათმოწყობის მუშაობა სინამდვილეში, მე მოკლეთ დავახასიათებ ამ მუშაობის მსვლელობას, თუ რაში მდგომარეობს ის.

აქაა ორი გარემოება:

პირველი, მიწათსარგებლობის მოწესრიგება, როდესაც კანონით განსაზღვრულ ნორმაზე მეტი პატრონს ერთმევა, გადადის ფონდში და ეძლევა უმიწაწყლოს ან მცირე მიწის მქონეს.

მეორე, საადგილ-მამულო დავების გათავება მორიგებით, სადაც ეს შესაძლებელია კომიტეტების საშუალებით.

გარდა ამისა, მიწათმოწყობის მუშაობის უძნელეს ნაწილს შეადგენს მიწების გახარისხება ანუ დაყოფა ხარისხებათ, მოსავლიანობის და ნაყოფიერების მიხედვით. საერთოდ, მთელი ეს მუშაობა თხოულობს, გარდა საერთო ხელმძღვანელობისა, ტეხნიკურ ძალებს, ე. ი. მიწისმზომელებს. უამისოდ მუშაობის წარმოება ყოველად შეუძლებელია. ასეთი მიწისმზომელები რესპუბლიკაში არის დაახლოებით 70-დე, რომლებიც მიწათმოქმედების კომისარიატის განკარგულებაში იმყოფებიან და დაგზავნილები არიან ყველა მაზრებში. ამ მიწათმომწყობი კომისიების საშუალებით გლეხკაცობა მეტათ კმაყოფილია. მე პირადათ მომიხდა იმათი მუშაობის დათვალიერება ზოგიერთ მაზრებში. ამავე დროს ხშირად მოუმართავთ ჩემთვის გლეხებს თხოვნით, რომ მთავრობას დაეჩქარებია იმათ რაიონშიაც მიწისმზომელების გაგზავნა.

რა თქმა უნდა, ერთბაშათ, ყოველგან, ყველა რაიონში და ყველა სოფელში ხომ ვერ მოხერხდებოდა მიწათმომწყობი კომისიების დაგზავნა. ამისათვის არც ტეხნიკური ძალები იყო და არც სახსარი. ჩვენ გაზეთებში არა იშვიათათ შეეხვდებით მოწერილი ამბებს ამ მიწათმომწყობი კომისიების ნაყოფიერ მუშაობის შესახებ. მართალია, ალბათ აქაც არის შემთხვევები, როცა ისინი ვერ დგანან თავის სიმაღლეზე, მაგრამ ეს ხომ საკუთარი ჩვენი ნაკლი და დანაშაულიცაა, რომ ჩვენ დაუდევრები ვართ ზოგიერთ შემთხვევაში მაინც.

ყოველ შემთხვევაში მიწათმოწყობის მუშაობა მთელ რესპუბლიკაში ნავა რაუდევია ისე, რომ ის აუცილებლათ უნდა დამთავრდეს ამ მიმდინარე 1922 წელს. ამ დიდი და რთული საქმის დამთავრება, რა თქმა უნდა, ჩვენი დიდი გამარჯვებაა. თვით გლეხკაცობა დიდი იმედით და ხალისით მოელის ამ მუშაობის დამთავრებას.

რა თქმა უნდა, ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ ეს მუშაობა ჩქარა დამთავრდეს. სხვათა შორის, მიწათმოწყობის საშუალებით უნდა გამოირკვეს, თუ სად და რამდენი საახალ შენო მიწები

მოგვეპოვება საქართველოში უმიწაწყლოთა დასახლებლათ. ვინ არ იცის, თუ რა დიდი გაჭირვებაა უმიწობის გამო ზოგიერთ რაიონებში და მაზრებში, მაგ. რაჭაში, შორაპანში და სხვ. ეს გამოირკვევა მხოლოდ მაშინ, როცა მიწათმოწყობის მუშაობა დამთავრდებოდა. სწორედ ამ მიზნით უმთავრესი ტეხნიკური ძალა გაგზავნილია ბორჩალოს, ახალქალაქის, გორის და ტფილისის მაზრებში, სადაც მოსალოდნელია მიწის სათადარიგო ფონდის შექმნა'სა-ახალშენო მიზნით. ესეც ერთი სასწრაფო ამოცანათაგანია საბჭოთა ხელისუფლებისათვის დღეს ჩვენში.

ამნაირათ, ჩვენ დავინახეთ, რომ მიწის რეფორმა ჩვენში, რომელიც თვით მ. ორახელაშვილის და თათბირის სიტყვით „სავსებით მისაღებია მშრომელი გლეხობისათვის და იმავე დროს ხელშემწყობი მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის", ცხოვრებაში დღეს უკვე გატარდა და სულ ახლო მომავალში, სახელდობრ მიმდინარე 1923 წლის განმავლობაში, სავსებით მოსრულდება.

რა თქმა უნდა, როგორც ვამბობდი, რეფორმის გატარების დაჩქარება შეიძლებოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში უფრო მეტი სახსარი და უფრო მეტი ტეხნიკური ძალები ყოფილიყო; და განა ახლა არ შეიძლება ამისთვის შესაფერი ზომების მიღება? არამც თუ შეიძლება, არამედ ეს ზომები აუცილებლათ უნდა იქნას მიღებული, რადგანაც ამას მოითხოვს როგორც ულარიბესი გლეხობის, ისე თვით სასოფლო მეურნეობის აღდგენა-განვითარების ინტერესები.

ესაა ერთად-ერთი დასკვნა, რომელზედაც მტკიცეთ უნდა გაჩერდეს საბჭოთა ხელისუფლება და რომელიც გამომდინარეობს თვით ამხ. ორახელაშვილის მთავარი დებულებებიდან. მაგრამ, სამწუხაროთ, რაღაც გაუგებრობის ძალით, მ. ორახელაშვილი იძლევა სრულიად წინააღმდეგ წინადადებებს.

იგი სწერს:

„მიწის რეფორმის პირველი ნაწილი, ე. ი. მიწის ფაქტიური გადაცემა მშრომელ გლეხობაზე ახლავე უნდა დასრულდეს.

რაც შეეხება რეფორმის მეორე ნაწილს, ე. ი. მიწათსარგებლობის იურიდიულათ ჩამოყალიბებას, ამას არსებითი მიუცილებელი მნიშვნელობა არა აქვს და შემდეგისათვის გადაიდება მისი დამთავრებაო". *)

რას ნიშნავს ეს?

საკმარისია სულ მცირეოდენი დაკვირვება და ცოტაოდენი საქმის გაცნობა, რათა ასეთ წინადადების მიუღებლობაში მყისვე დარწმუნდეთ.

როგორ? რეფორმა მიღებული და დადასტურებული ყველა ყრილობებზე, ყველა კონფერენციებზე და თათბირზე, რეფორმა გამართლებული მთელი ჩვენი სინამდვილით, რეფორმა, რომელიც „სავსებით მისაღებია მშრომელი გლეხო-

*) ხაზი ყველგან ჩვენია ფ. მ.

ბისთვის და ამავე დროს ხელშემწყობი მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის" და რომლის ცხოვრებაში გატარებას გლეხობა მოუთმენლად მოელის, — ეს რეფორმა უნდა გადადებულ იქნასო!

მე არ ვიცი, ამას რა უნდა ეწოდოს.

დეე, ეს სხვებმა თქვან.

ამბ. ორახელაშვილი იძლევა ახალ გეგმას მიწის რეფორმის გასატარებლათ. იგი ამბობს: „მიწის ფაქტიური გადაცემა მშრომელ გლეხობაზე ახლავე უნდა დასრულდესო". ეტყობა, მან სრულებით არ იცის ამ საქმის მდგომარეობა არც ჩვენში და არც საბჭოთა რუსეთთში. მას ალბათ გონია, რომ ფაქტიურათ თითქო მიწა არ არის გადასული მშრომელი გლეხობის ხელში. ვარწმუნებთ ამბ. ორახელაშვილს, რომ ფაქტიურად ყველა მიწები გადავიდა მშრომელი გლეხობის ხელში, დღიდან ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა, 1921 წლის 6 აპრილის აქტით, რომლის ძალით ყველგან იქნა დაარსებული სოფლის მიწის კომიტეტები უღარიბესი გლეხობისაგან.

მაგრამ ეს იყო უფრო არევ-დარევის და ერთიანი ანარქიის ხანა, ჩვენში საბედნიეროთ უფრო ხანმოკლე და არა ისე მწვავე, როგორც რუსეთში, სადაც ის ცხარე სამოქალაქო ომის დროს რამდენიმე წელს გაგძელდა. ოასაკვირველია გაშმაგებული სამოქალაქო ომის დროს შეუძლებელი იყო ლაპარაკი მიწის რაიმე ნორმების შემოღებაზე და იმათ იურიდიულ განმტკიცებაზე. მაგრამ როგორც კი ეს ომი მინელდა, მაშინვე აღმოჩნდა, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელი იყო, რომ გამეფებულ ანარქიას მიწის ირგლივ ბოლო უნდა მოღებოდა.

და ახლა, ხანგრძლივი გამოცდილების შემდეგ, საბჭოთა რუსეთი „მიწის სოციალისტურად მოწყობიდან" გადავიდა, „შრომის მიხედვით მიწათსარგებლობაზე". („трудовое землепользование"). რომლის კანონ-პროექტი საბოლოოთ მიღებულ და დამტკიცებულ იქნა გასულ წელს [99]) სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის მესამე სესიაზე მაისში.

გარდა იმ განსხვავებათა, რომლებიც გამომდინარეობს ეგრედ წოდებულ „ობშჩინის" არსებობიდან რუსეთში, დანარჩენში იმ დებულებას, რომელიც მიღებულია სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმ. კომიტეტის მესამე სესიაზე, და იმ დებულებას შორის, რომელიც საქართველოს ცენტრ. აღმ. კომიტეტის სესიაჰ მიიღო შარშან გაზაფხულზე, თითქმის არავითარი განსხვავება არაა.

ყველა დებულებები, როგორც საბჭოთა რუსეთში, ისე საბჭოთა საქართველოს მიწის კანონებისა შეფარდებულია ცხოვრებასთან, გლეხკაცობის უდიდესი ნაწილის საჭიროება-მოთხოვნილებებთან და აგრეთვე სასოფლო მეურნეობის განვითარება-წარმატებისათვის აუცილებელ პირობებთან. ეს დებულებანი გამომდინარეობენ სინამდვილის ღრმა დაკვირვებიდან და შესწავლიდან, ისინი ემყარებიან რევოლიუციის გამოცდილებასა და იმ გაკვეთილებზე, რომლებსაც ეს მდიდარი გამოცდილება იძლევა.

როგორც ვიცით, ჯერ კიდევ 1918 წელს პარტიის მერვე ყრილობაზე, როგორც რეზოლიუციაში, ისე პროგრამაში აგრარულის საკითხის შესახებ, პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ წვრილი გლეხკაცობის მეურნეობა კიდევ დიდხანს იარსებებსო, და ამიტომ დასახელებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებათა მთელი რიგი, რომლებიც მიმართული უნდა ყოფილიყო გლეხკაცის მეურნეობის საწარმოო ძალის განსავითარებლად.

გამოცდილებამ ყველა დაარწმუნა იმაში, რომ მთავარი პირობა ამისთვის არის ის, რომ იმ ნაჭერ მიწაზე, რომლითაც წვრილი გლეხი სარგებლობს, იგი მტკიცეთ და ურყევლათ გრძნობდეს თავის თავს, მტკიცე კანონის საფუძველზე. რომ მხოლოდ კანონის ძალით შეიძლებოდეს მისგან მიწის ჩამორთმევა ანდა მიწით სარგებლობის უფლების სრულებით წართმევა.

ამნაირათ ეწყობა და ტარდება დღეს ცხოვრებაში მიწის რეფორმა.

მ. ორახელაშვილს შეცდომით გონია ალბათ, რომ მიწის რეფორმა შესდგება ორი ნაწილისაგან, რომლებიც ერთი მეორისაგან დაშორებულია დროის მანძილით. ერთია მიწის ფაქტიური გადაცემა მშრომელ გლეხკაცობაზე, მეორე მიწათსარგებლობის იურიდიული ჩამოყალიბება. თავისთავად იგულისხმება, რომ რეფორმა ასე არ იყოფა. ის ერთსა და იმავე დროს გადაცემაც არის და იურიდიული ჩამოყალიბებაც.

სხვანაირად მისი ცხოვრებაში გატარება ყოველად წარმოუდგენელი და გეუგებარი იქნებოდა.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ მ. ორახელაშვილი იმაში, რასაც იგი რეფორმის პირველ ნაწილს უწოდებს, სულ სხვა რამეს გულისხმობს. იგი ამბობს რაღაც „რევოლიუციონურ გარდატეხაზე“, რომელიც მისი სიტყვით „პირდაპირი და მოკლეა, თუმცა ხშირად ძვირად ჯდება“.

აშკარაა, ვინაიდან ამხ. ორახელაშვილი წინადადებას იძლევა იმ რეფორმის შეჩერების და გადადების შესახებ, რომელიც დღეს ცხოვრებაში ტარდება, იგი გვირჩევს ისევ დაუბრუნდეთ პირვანდელ არევ-დარევის დროს. ჩვენ არ ვიცით, თუ რისთვის უნდა აუხვიოთ გვერდი იმ კანონების ცხოვრებაში გატარებას, რომლებიც, მისივე სიტყვით, „სავსებით მისაღებია მშრომელი გლეხობისათვის“ და იმავე დროს ხელშემწყობია საბჭოთა მეურნეობისათვისაც“.

თქმა არ უნდა, შეუძლებელია, რომ მ. ორახელაშვილს ისე, უმიზნოთ მოსვლოდეს თავში ასეთი ახირებული აზრი, მით უფრო, რომ იგი თითონაც ამბობს: „ჩვენი ობიექტიური პირობები არ მოითხოვდა ასეთი (ე. ი. რევოლიუციონურ) გზის არჩევას და ამიტომაც ევოლიუციის თანდათანობის გზა ავირჩიეთო“. ცუდი და დაუშვებელი არაფერი იყო ასეთ არჩევაში, მაგრამ ცოტაოდენი ბრუნდათ მოგვივლია იმ გზაზე შემდგართო.

მაშ რაშია საქმე?

მ. ორახელაშვილი სწერს:

„კანონიერების გზა ყოველთვის გატკეპნილი გამოდგა ძველი ურთიერთობათა მომხრეთათვის. აფუსფუსდა ძველ ადვოკატთა ოჯახი, დაიძრენ სოფლებისაკენ წინეთ ქალაქებში შეხიზნული მევახშე-სპეკულიანტები, იმედის სიწითლემ შეღება გაფითრებული ლოყები ბოლშევიკების ბატონობის მომსწრე ფეოდალებისა.

ერთი სიტყვით, ფეოდალური და ვაჭრულ-ბურჟუაზიული სტიქიის ბურანში გაეხვია ჩვენი მიწის რეფორმა, და განა გასაკვირალია ამის შემდეგ, რომ დღეს როგორც გამოირკვა თათბირზე, აქა-იქ ადგილი ქონებია სოფლად მიწა-მამულების ყიდვა-გაყიდვას, მიწების საღალოდ გადაცემას, დიდი მამულების ძველ მეპატრონეთ ხელში დარჩენასო“ და სხვ.

და აი სწორედ ამიტომ მ. ორახელაშვილი გვირჩევს კანონიერების გზას ავცდეთ, რეფორმა გადავდვათ და რევოლიუციონურ გზას დავადგეთო.

ყველაფერი ეს კარგი.

მართლაც, რაღას რევოლიუციონერები ვართ, თუ მართლა ჩვენ რევოლიუციონურ გზას უარვყოფთ? მაგრამ ასე მსჯელობა არ შეიძლება.

ჩვენ ვიბრძოდით, აჯანყებას და რევოლიუციას ვახდენდით ჯერ თვითმპყრობელობის და შემდეგ კერენსკის და მენშევიკების წინააღმდეგ, ვინაიდან ისინი იცავდენ ბურჟუაზიულ-პომეშჩიკურ წესწყობილებას, ვინაიდან ისინი სცემდენ კანონებს ხალხის ექსპლოატატორების სასარგებლოთ და მუშების და გლეხების საწინააღმდეგოთ აბა ერთი გვითხრან, აბა ერთი დაგვისახელონ, ვის წინააღმდეგ უნდა მოხდეს ახლა ჩვენში კანონიერების გზის მიტოვება? თქვენ დალოცვილებო! ძალა-უფლება ხომ თვით მუშების და გლეხების ხელშია ორში ერთი: ან ჩვენი კანონები მიწის რეფორმების შესახებ არ ვარგა, და ისინი უნდა გაუქმდეს, ანდა თვით ჩვენ არ ვარგივართ. მაგრამ ამ კანონების უვარგისობა, შეუფერებლობა ან უსარგებლობა მშრომელი გლეხობისთვის, ჯერ არავის უთქვამს.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ყოვლად უნაკლონი იყვენ და არ საჭიროებდენ შესწორებას და დამატებას, ე. ი. გაუმჯობესებას. მაგრამ, მეორე მხრით, ეს კანონები, ავათ თუ კარგათ, ხომ ჩვენვე შევიმუშავეთ, ე. ი. მუშების და გლეხების წარმომადგენლებმა, მოთავეებმა. შეიძლება ჩვენ ყველანი თქვენთან ერთად ცუდი გამტარებლები ვიყვენთ, მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია. ხოლო თქმა იმის, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიწის რეფორმა საქართველოში იღუპება რომ ის გაეხვია ფეოდალური და ვაჭრულ-ბურჟუაზიულ სტიქიის ბურანში“, რაღაც ნამეტანი დიდი გაუგებრობაა, რომ მეტი არა ვთქვათ .

რასაკვირველია, ბრუნდი და მართალი, ვაჭარ-სპეკულიანტი თუ ყოფილი მემამულე ცდილობს რეფორმის თავის სასარგებლოთ გამოყენებას, მაგრამ კა-

ნონი ხომ იმათ სასარგებლოთ არაა შედგენილი, ის ხომ მშრომელი გლეხობისთვის საკუთებით მისაღებია.

მაშ, საკითხი დგას მის შესრულებაზე, მის ცხოვრებაში ურყევლად გატარებაზე. სახელმწიფო ძალა-უფლება ხომ საკუთებით მუშების და გლეხების ხელშია, და რა უშლის ხელს საბჭოთა ხელისუფლებას შეუდრეკელად სისწორით და პირდაპირობით გაატაროს ის ცხოვრებაში! თუ ეს ვერ ხდება მთელი ათვისი სისწორით და ძლიერებით, ის მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატის სისუსტის ბრალია. მაგ., შარშანწინ, ე. ი. 1921 წ. ზაფხულში, გორის მაზრაში ასეთი შემთხვევა იყო: ვიღაც ყოფილი მემამულე გლეხებს ღალას ედავებოდა. სახალხო მოსამართლემ (თუ არ ვცდები, მისი გვარი კიკნაძე იყო) გლეხებს მიუსაჯა ყოფილი მემამულის სასარგებლოდ გასული ოთხი წლის ღალა, და ასეთი განაჩენი გამოიტანა მან სოციალისტური სინიდისის და 1921 წლის 6 აპრილის თარიღით გამოცემულ მიწის დეკრეტის ნიღაბ ქვეშ!

გორელი სახალხო მოსამართლე ამ შემთხვევაში გლეხობის სასარგებლოდ გამოცემულ დეკრეტს იყენებდა სწორედ გლეხების საწინააღმდეგოთ და მათი მტრების სასარგებლოდ.

შესაძლებელია, რაიმე ამის მზგავსი ახლაც ხდებოდეს, მაგრამ ამის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღი განა თვით მუშების და გლეხების ხელში არაა?! და სწორედ ამის წინააღმდეგაა გამოცემული ცალკე კანონი, რომლის ძალით სასტიკათ ისჯებოდა დამნაშავე, როგორც მყიდველი, ისე გამყიდველი. გაატარეთ ეს კანონი ცხოვრებაში და იმავე დროს აუხსენით მშრომელ გლეხობას მიწის ყიდვა გაყიდვის სრული უაზრობა საბჭოთა წესწყობილებაში.

მაგრამ ყველაზე უწინ მოსპობს ამ მოვლენას მიწის რეფორმის დაჩქარებით გატარება ცხოვრებაში, როცა მშრომელ გლეხობას მიეცემა საშრომი მიწის ნორმა.

შემდეგ მ. ორახელაშვილი აღნიშნავს „მიწების საღალოთ გაცემას“. ზოგიერთ სისწორით განსაზღვრულ შემთხვევაში, როცა მშრომელი გლეხის ოჯახი დასუსტებულია ან დაბრკოლებულ-დაზიანებული, ან კიდევ ოჯახში ქვრივ-ობლებია, ან ერთად-ერთი მარჩენალი ოჯახისა სამხედრო მობილიზაციითაა გაწვეული, ასეთ შემთხვევებში დებულებენებას რთავს კუთვნილი ნორმის იჯარით გაცემაზე საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების ზედამხედველობის ქვეშ.

მე მესმის, რომ ამ კანონის ნიადაგზედაც იქნება ცხოვრებაში ბოროტმოქმედება, რომ ამითაც შეიძლება ისარგებლონ ვაჭარ-სპეკულიანტებმა, შეძლებულმა ან ღონიერმა გლეხებმა. მე თითონ ვჭონდა შემთხვევა ჩემი თვალით მენახა ამ კანონის დარღვევა, მაგ., სიღნაღის მაზრაში. მაგრამ ეს აიხსნება ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატის სისუსტით და ჩვენი ხელისუფალთა გამოუცდელობით. ამიტომაც საჭიროა მტკიცე და მაგარი ხელი კანონის დასაცავად მხოლოდ და მხოლო

მშრომელი გლეხობის ინტერესებისათვის. ამისათვის სრულებით საჭირო არაა რევოლიუციონური კანონიერების გზიდან გადახვევა და ამ კანონიერების გვერდზე მიგდება. პირიქით, ჩვენი ლოზუნგია საბჭოთა ხელისუფლების რევოლიუციონური კანონიერების სასტიკათ ცხოვრებაში გატარება და კანონიერების საფუძველზე მტკიცეთ დგომა.

კიდევ უფრო ნაკლებათაა საჭირო ამ კანონების განზე მიტოვება იმ მოსაზრებით, რომ შეიძლება აქა-იქ, თუმცა ეს მე არ მჯერა, ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს ისეთ მოვლენას საბჭოთა საქართველოში, როგორიცაა „დიდი მამულების ძველ მეპატრონეთა მფლობელობაში დარჩენა“.

თუ სადმე მართლა აქვს ადგილი ასეთ ფაქტს, განა ჩვენ ხელშივე არაა ყოველივე საშუალება მას ბოლო მოულოთ არსებულ რევოლიუციონურ კანონების ძალით? ან ამ კანონებს შეიძლება რაიმე აკლია, ამ შემთხვევაში, შეიძლება აქ რაიმე ცვლილების შეტანაა საჭირო, მაგრამ ლაპარაკი დღეს იმაზე, რომ ჩვენში ბატონყმობის მიწათმფლობელობის ნაშთები დაცულია, რომ „ბატონ-ყმურ და ვაკრულ-ბურჟუაზიულ სტიქიას ბურანში გაუხვევია ჩვენი რეფორმა“, და ამიტომ ეს კონტრ-რევოლიუციონური რეფორმა უკუვაგდოთ და ახალ რევოლიუციონურ რეფორმას შივმართოთო, მე ვერ გამიგია, რა არის ეს?

აქამდის ყველა ჩვენგანს ეგონა, რომ ჩვენ ვატარებდით სწორედ რევოლიუციონურ რეფორმას. ახლა გამოდის, რომ რევოლიუციისა მას თურმე არაფერი სცხებია.

მაშ, თუ ასეა, რაღა საჭიროა მისი სარერმისოთ გადადება. და თუ ეს ასეა, ახლავე, დაუყოვნებლივ საჭიროა მისი გაუქმება და ახალი რევოლიუციონური რეფორმის გამომუშავება და ცხოვრებაში გაყვანა.

მოდით ასე დავსვათ საკითხი. მაშინ ყველაფერი ადვილათ გასაგები იქნება. ისე აქ ვერავინ ვერაფერს გაიგებს.

დასასრულ, არ შეიძლება აქ არ მოვიხსენიოთ კიდევ ვ. ორახელაშვილის ერთი ბრალდება საბჭოთა საქართველოს მიწის კონტრ-რევოლიუციონური რეფორმის საწინააღმდეგოთ მიმართული. კითხვა ეხება ცენტრალურ საადგილ-მამულო კომისიის ერთს მართლაც კონტრ-რევოლიუციონურ დადგენილებას, რომლითაც ძალაში რჩებოდენ ძველი სასამართლოების (მენშევიკების დროის) განაჩენი. ეს მართლაც დიდი შეცდომა და დანაშაული იყო.

მაგრამ ის იყო, როგორც ვთქვი, ცენტრ. საადგილ-მამულო კომისიის დადგენილება და როგორც კი ეს დადგენილება სათანადო უმაღლეს ორგანოს ემცნო, ის მაშინვე იქნა გაუქმებული. ეს უკვე რამდენიმე თვის ამბავია. შეიძლება, რა თქმა უნდა, მაზე მითითება, როგორც ყოველად შეუსაბამო და დაუშვებელ დადგენილებაზე საბჭოთა რესპუბლიკაში, მაგრამ ავტორს ისიც უნდა ეხსენებია ამასთანავე, რომ ის უმსგავსო დადგენილება თავის დროზეევე იქნა

გაუქმებული სათანადო ორგანოს მიერ, მაგრამ ეს არ ქნა მან. ეს, რა თქმა უნდა, მისი საქმეა, და მით უმეტეს, არაფერ შუაშია მიწის რეფორმა, როგორც ასეთი.

ჩვენ ვათავებთ.

დასკვნა ასეთია.

1) მეტი ანგარიშის გაწევა იმისთვის, რაც დღემდის გაკეთებულა ან კეთდება საბჭოთა აღმშენებლობის ნიადაგზე. ცალკე შეცდომების და ნაკლულოვანების თავიდან აცილება.

2) არას შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ახალ გაუგებრობათა შეტანა სოფლის ცხოვრებაში, რაც არევ-დარევასა და ანარქიას შეიტანს იქ.

3) კერძოთ მიწის რეფორმის სასტიკათ გატარება ცხოვრებაში რევოლიუციონური კანონიერების ნიადაგზე.

4) ასეთი შრომით და ენერგიით დაწყებული მიწის რეფორმის გატარება ცხოვრებაში, რომელიც უკვე ტარდება, არამც თუ არ უნდა გადაიდვას, არამედ რაც შეიძლება უნდა დაჩქარდეს, რადგანაც ამას თხოულობენ, არა თუ მშრომელი გლეხების, არამედ სასოფლო მეურნეობის აღდგენის და განვითარების ინტერესებიც.

სხვანაირათ საკითხის დაყენება იქნება პირდაპირ დიდმნიშვნელოვანი საქმის არა თუ დაბრკოლება, არამედ გაფუჭება და წ-ახდენა.

ვიმეორებ, ამხ. მ. ორახელაშვილის წერილი, რაღაც დიდი გაუგებრობითაა გამოწვეული და ამიტომ, როცა სინამდვილე გამომჟღავნდება, იგი თითონაც დარწმუნდება ამაში.

გაზეთი: „მუშა“,
1923 წლის 18 იანვარი,
№ 49.

# რამდენიმე სიტყვა მიწის რეფორმის შესახებ საბჭოთა საქართველოში

ეკვს გარეშეა, რომ საკითხი მიწის რეფორმის შესახებ საბჭოთა საქართველოში ინტერესს არ არის მოკლებული „პრავდა"-ს მკითხველების ფართო წრისათვის, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეცდომაში არ შეიყვანთ ცოტად ან სავსებით უცოდინარ მკითხველს. და ეს ვითხოვნილება განსაკუთრებით იმ ავტორებს უნდა წავეუყენოთ, რომელთაც მეტად პასუხსაგები თანამდებობა უკავიათ და ამავე დროს ადგილობრივი მკვიდრნიც არიან, რადგან რაც შეიძლება ეპატიოს შემთხვევით კორესპონდენტს, ის არ ეპატიება იმას, ვინც ერთსა და იმავე დროს პასუხისმგებელი მომუშავეც არის და ადგილობრივი მკვიდრიც.

ამ ანბანური ჭეშმარიტების თქმა, აი, რისთვის დამჭირდა: ამ რამდენიშე ხნის წინათ გაზეთ „პრავდა"-ში *) (15/IV — 23 წ. № 82) მოთავსებული იყო წერილი შემდეგი სათაურით: „Гул октябрьского колокола в грузинской деревне", რომელსაც ხელს აწერდა ამხ. მ. ორახელაშვილი. ეს წერილი მოკლებულია ყოველგვარ ობიექტივობას და სინამდვილეს და დაწერილია მხოლოდ იმ ანგარიშით, რომ რუსი ამხანაგები ავტორის მშრალ სიტყვებსაც დაუჯერებენ.

ამხ. ორახელაშვილი აგრარული რეფორმის მდგომარეობას საბჭოთა საქართველოში ასე გვიხატავს:

გასული წლის (1922) 25-26 ნოემბრამდე მდგომარეობა ისეთივე იყო, როგორც მენშევიკების დროს, და შეიძლება კიდევ უარესიც, რადგან მენშევიკებმა ასე იყო თუ ისე — მაინც შეანჯღრიეს მემამულეები და თავად-აზნაურობა, ეხლა-კი — საბჭოთა ხელისუფლების დროს — აი რას ეხედავთ: „თავად-აზნაურობამ, — სწერს ამხ. ორახელაშვილი, — წინანდებურად დაიწყო ცხოვრება და სასახლეებში, საიდანაც ცენტრიდან ბრძანების თანახმად ჰყრიდენ საბჭოთა დაწესებულებებსა და ახკომკავშირელთა კომიტეტებს; მემამულეები ცენტრში ნახულობდნენ მფარველობას და სხვადასხვა საშუალებებით ახერხებდნენ თავისი ბაღებისა და ვენახების ჩამოუკლებლად შენარჩუნებას; თითონ არ მუშაობენ

*) შემდეგ ეს წერილი მოთავსებული იყო შემოკლებულად გაზეთ „რაბოჩაია პრავდა"-ში № 82.

და ყოველნაირად ექსპლოატაციას უკეთებენ გლეხების შრომას“ და სხვ. „განსაკუთრებით აღელდენ, — მოგვითხრობს ეპიური ტონით ჩვენი ავტორი, — მაზრაში მომუშავე ამხანაგები, რომელთაც საბჭოთა საქართველოში მესამე გაზაფხულზედაც კი არ უნახავთ „წყლის მოძრაობა“ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აგრარული შემოქმედების ყინულოვან ლოდებს შორის (რა მხატვრული გამოთქმებია! ფ. მ.). ადგილებზე ნათლად ხედავდენ გლეხების მასის აპატიის თანდათანობით ზრდას, რომელნიც მზად იყვნენ გული გატყდომოდათ (ოლონდაც!) „მუშურ-გლეხურ ხელისუფლებაზე“ (ბრავყალები თვით ამხ. ორახელაშვილს ეკუთვნის! ფ. მ.), ომლის დროსაც მემამულე აზნაურები არა მარტო სცხოვრობდნენ თავიანთ სასახლეებში, არამედ განცხრომიდაც ნებივრობდნენ და გლეხობას ხელახლა ხლართავდენ წინანდელ ფეოდალური დამოკიდებულების ქსელში“. (კურსივი ყველგან ჩემია, ფ. მ.).

დიახ. აქ არის საბუთი, რამაც შეიძლება განცვიფრებაში მოიყვანოს ყველა ჩვენი ამხანაგი — „პოავდა“-ს მკითხველი. თურმე საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და მის ორგანოების სახით დააბრუნა მემამულეები და თავად-აზნაურობა თავის ადგილ-მამულში და სასახლეებში. ამაზე უფრო მეტი შერცხვენა არ შეიძლება. პასუხისგებაში მისაცემია არა მარტო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და მისი ორგანოები, არამედ საქართველოს კომპარტიის ცეკას მთელი ძველი შემადგენლობა, რომელმაც ჩაიდინა უმძიმესი დანაშაული. აქ სხვა აზრი არ შეიძლება იყოს.

მართალია, ამხ. ორახელაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოს გასაბჭოების პირველსავე დღეებში გამოცემული იყო დეკრეტი მიწის შესახებ (1921 წ. აპრილის 6), რომელიც, მისივე სიტყვებით, „ეყრდნობა სწორ პრინციპიალურ საფუძველს, რომელიც მიიმართება უღარიბესი მშრომელი გლეხობის საუკუნოებრივი სურვილების ხაზით და ამავე დროს ანგარიშს უწევს იმ პირობებს, რომელნიც აუცილებელია საქართველოს ჩამორჩენილ, წარღვნის წინადროინდელ სოფლის მეურნეობის პროგრესისათვის“, მაგრამ რას იზამთ, როცა ეს კანონი საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შემდეგი განმარტებებითა და ცირკულიარებით მიწასთან იყო გასწორებული, ან და, როგორც თვით ავტორი ამბობს მხატვრულად: „ცენტრალური ორგანოების გამყინავი, მომაკვდინებელი სუნთქვა ხელფეხს უბორკავდა ადგილების ინიციატივასა და მისწრაფებას“, „საგლეხო კომიტეტების რევოლიუციონური ინიციატივა ბათილდებოდა“, „მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწის პოლიტიკოსების ცირკულიარული შემოქმედება საბედისწეროდ აადვილებდა მემამულე თავადების თავიანთ მამულებსა და სახლ-კარში დაბრუნებას“ და სხვ. და სხვ.

ამნაირად, ამხ. ორახელაშვილის სიტყვებით, საბჭოთა საქართველოში მიწის საკითხის მხრივ — ყველაფერი ძველებურად დარჩა (ან, ყოველ შემთხვევაში, გ/წ ნოემბრის დამლევამდე რჩებოდა), ე. ი., როგორც ფეოდალური მიწათმფლობელობა, ისე თვით მემამულენი და თავად-აზნაურობა სავსებით ხელუხლებელნი დარჩენ. ყველა ამაში ბრალი ედება სავსებით და მთლიანად, თავის თავად ცხადია, საქართველოს ცეკას ძველ შემადგენლობას. და აი, როგორც

კი შეიცვალა ეს შემადგენლობა იმავე წუთიდან ყველაფერი გამოიცვალა, როგორც ჯადოსნური კვერთხის მოქნევით. ან როგორც თვით ამხ. ორახელაშვილი ამბობს: „გამაცოცხლებელი ქუხილივით გაიქროლა გლეხურ საქართველოში ამბავმა ფეოდალური ნაშთის ლიკვიდაციის მტკიცე კურსის აღების შესახებ".

და აი, ეხლა ამხ. ორახელაშვილს უკვე შეუძლია ჯამი გაუკეთოს „მემამულეებზე გლეხების მასის პირველი იერიშის შედეგებს, რომელიც გამოიხატა ერთის მხრივ, საგრძნობ მატერიალურ გაუმჯობესებაში, ხოლო მეორეს მხრივ ფეოდალიზმისა და რეაქციონური დემოკრატიის პარტიის პოლიტიკურ დამარცხებაში". მაგრამ — აქ საჭიროა წინდაწინ აღვნიშნოთ შემდეგი: საქმე იმაშია, რომ საქართველოს ახალმა ცეკამ მთელი მიწის რეფორმის სრული და საბოლოო დასაგვირგვინებლად თვენახევრის ვადა დანიშნა, რომელიც უკვე გავიდა ამ წლის მარტის 15-ს. ნაბრძანები იყო ამ ვადის განმავლობაში დაემთავრებიათ მემამულეთა მიწების კონფისკაცია ინვენტარითა, სახლ-კარითა და სასახლეებით, და ყველაფერი ეს გაენაწილებიათ გლეხებს შორის. რამდენად შესრულდა ეს ამოცანა, და ამასთანავე, რამდენად სწორი იყო საზოგადოდ საკითხის ასე დაყენება, ამის შესახებ ლაპარაკი ქვემოდ გვექნება. ჯერ კი — დავკმაყოფილდეთ იმ ჯამობრივი ციფრების აღნიშვნით, რომელიც თავის წერილში მოჰყავს ამხ. ორახელაშვილს; სახელდობრ — ჩამორთმეულია: შორაპნის მაზრაში — 4.000 დესეტინა, 50 სასახლე და 30 წისქვილი; სენაკის მაზრაში — 5.000 დესეტინა, 6 სასახლე და 4 წისქვილი; გორის მაზრაში — 26.000 დესეტინაზე მეტი, მოსალოდნელია ამდენსავე ჩამორთმევა და ამნაირად ყველა მაზრაში — „საზოგადოდ, — ამბობს ავტორი, — საქართველოს მიწის ფონდი გაიზრდება არა ნაკლებ 100-120 ათას დესეტინით,საგლეხო საბჭოების განკარგულებაში გადავა არა ნაკლებ 150 სასახლისა, — სკოლების, საავადმყოფოებისა და კლუბებისათვის და სხვ.

აინაირად, ამხ. ორახელაშვილის სიტყვებით, ყველა ეს მიწები, სასახლეები, წისქვილები და სხვ. ჩამოერთვა მემამულეებს, ე. ი. თავადებსა და აზნაურებს, რომელთაც ყველაფერი ეს დაუბრუნდათ ძველი ცეკას დროს. დეე, ეს ამბავი კარგად დაიხსოვონ მკითხველებმა.

და ყველაფერი ეს „ექსცესის" ერთი შემთხვევის გარეშე, მოეწყო უბრალოდ, მაგრამ მკვიდრად"... და მთელი ამ სურათის დასაგვირგვინებლად ამხ. ორახელაშვილი, სურდა რა მიემატებია კიდევ ერთი შტრიხი მის მიერვე დახატული საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოში არსებული ფეოდალური დამოკიდებულების სურათისათვის, ათავებს თავის წერილს შემდეგი მგვრგვინავი სიტყვებით: „ოქტომბრის ზარმა მხოლოდ ეხლა დაიგუგუნა საქართველოს სოფელში, რომელიც უხმობს მუშურ-გლეხურ მასებს ფეოდალიზმისათვის საფლავის გასათხრელად, განწირული წოდება სამუდამოდ ჩადის საფლავში. დ ღ ე ი-დ ა ნ საბჭოთა ხელისუფლება იქნება ასჯერ უფრო ძლიერი; მას შეუძლია უთხრას ქართველ გლეხობას: საბჭოთა ხელისუფლება დაგიფარავს შენი საუკუნო შემვიწროველთა დაბრუნებისა და შურისძიებისაგან. ის დაგიცავს ბურჟუაზიული ტურებისა და მგლებისაგან"...

ამნაირად, ამხ. ორახელაშვილი საბჭოთა საქართველოს ისტორიას ორ ნაწილად ჰყოფს: პირველი პერიოდი შეიცავს იმ დროს, როცა საბჭოთა პარტიული საქმეების ხელმძღვანელობა ცეკას ძველი შემადგენლობის ხელთ იყო (დაწყებული 1921 წლ. მარტიდან დაახლოვებით 1922 წლ. ნოემბრის დამლეგამდე) და მეორე პერიოდი — გასული წლის ნოემბრიდან დღეგანდლამდე, როცა ხელმძღვანელობა ახალი ცეკას ხელთ არის.

ამხ. ორახელაშვილის სიტყვებით, მიწის შესახებ დამოკიდებულების სფეროში პირველი პერიოდი ხასიათდება მემამულეების თავიანთ სამფლობელოებსა და სასახლეებში დაბრუნებით, თითქოს ფეოდალური დამოკიდებულების აღდგენით, როცა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი და მისი ორგანოები თანდათანობით და სისტემატიურად სპობს მიწის დეკრეტსა, რომლითაც მიწა გლეხებს გადაეცა, და თავის მფარველობაში აჰყავთ მემამულეები და თავად-აზნაურობა, რითაც აშკარად მფარველობენ ამ უკანასკნელებს გლეხობის ინტერესების საზიანოთ.

და პირიქით, მეორე პერიოდის განმავლობაში ხდება ფეოდალიზმის ჩქარი ლიკვიდაცია, დაუზოგავად ერთმევა მიწები მემამულეებს და ეძლევა გლეხებს, რომლებმაც მხოლოდ ეხლა პრველად იგრძვნეს ოქტომბრის რევოლიუცია.

ასე გვიხატავს ამხ. ორახელაშვილი საქმის ვითარებას. მაგრამ მაშინ რად დაიწყო ეხლა მან ყვირილი და ნაღარას ცემა? განა თითონ ის არ იყო 1921 წლის განმავლობაში 1922 წლის მარტის დამლეგამდე საქართველოს კომპარტიის ცეკას პასუხისმგებელი მდივანი, რომელსაც არ შეეძლო არ დაენახა და არ სცოდნოდა, თუ ასე უცერემონიოდ სწარმოებდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოების მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცემული მიწის ძირითადი კანონის სალიკვიდაციოდ, ერთის მხრით, და, მეორეს მხრით, ითელებოდა გლეხობის ინტერესები? შემდეგ, 1922 წლის განმავლობაში, როცა ის საქართველოს ცეკას წევრი იყო, ითვლებოდა პარტიული უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოს — ა/კ საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად, რომელიც თავის მარწუხებს უწევდა ყველგან და ყოველ მხრივ. განა ის არ იყო, რომ გასული წლის ივლისში, თავის ცნობილ მოხსენებაში, სადაც ის ეხებოდა საქართველოში საბჭოთა მუშაობის დაყენებას, ანალიზს უკეთებდა ამ მუშაობას, არჩევდა მას დეტალურად, — უწოდებდა მას სამაგალითოს? იქვე დადასტურებული იყო უაღრესი თანაგრძნობა და მხურვალე დამოკიდებულება როგორც საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ისე კომპარტიისადმი მუშებისა და გლეხების მხრივ. იქ გაკვრითაც არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს ხდებოდა ფეოდალიზმის აღდგენა ან რაიმე ამის მაგვარი. მაგრამ იბადება კითხვა: თუ ამას მართლა ქონდა ადგილი, შეეძლო თუ არა ამხ. ორხელაშვილს მის შესახებ არაფერი ეთქვა? აშკარაა, რომ იქ რაღაც ასე არ არის. საკითხავია, რომ ამხ. ორახელაშვილმა 1922 წლის ნოემბრამდე რატომ არსად არ დასვა ეს საკითხი? მართალია, 1922 წლის იანვარში საქართველოს კომპარტიის პირველ ყრილობაზე, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი მიწის შესახებ — იყო დიდი კამათი, მაგრამ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოხსენება სავსებით და მთლიანად თითქმის ერთხმად იქნა მოწონებული.

ერთი თვის შემდეგ შესდგა საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა, რომელმაც დეტალური გარჩევის შემდეგ მოიწონა და მიიღო როგორც მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის განვლილი მუშაობა საადგილ-მამულო პოლიტიკის სფეროში, ისე მომავალი მუშაობის გეგმა.

ბოლოს, 1922 წლის ზაფხულში, შესდგა სრულიად საქართველოს პარტკონფერენცია, რომელზედაც მოხსენებები გააკეთეს მაზრების წარმომადგენლებმა ადგილებზე მდგომარეობის შესახებ, პარტიულ და საბჭოთა მუშაობის შესახებ, გლეხების დამოკიდებულების შესახებ საბჭოთა ხელისუფლებისადმი და სხვ. და არც ერთ მომხსენებელს არაფერი არ უთქვამს იმის შესახებ, რაც იმის დამამტკიცებელი იქნებოდა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება ასცდა სწორ გზას მიწის საკითხის სფეროში; პირიქით, მაზრის ყველა პასუხისმგებელი მომუშავე ერთსულოვნად აღნიშნავდა გლეხობაში მომხდარ საგრძნობ გარდატეხას საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, აგრარული რეფორმის ცხოვრებაში გატარებისა, დამშეულთა დახმარებისა და თესვის კამპანიის ორგანიზაციასთან დაკავშირებით, და აგრეთვე სამელიორაციო სამუშაოების წარმოების წყალობით, ე. ი. სარწყავი არხების გაყვანით, ჭაობების ამოშრობით და სხვ.

საკითხავია: ნუ თუ ყველა ამ კონფერენციასა და ყრილობას შეუმჩნეველი დაურჩა ის, რის შესახებაც ასე თამამად ლაპარაკობს ამხ. ორახელაშვილი, თუ ამას მართლა ჰქონდა ადგილი? მაგრამ პირდაპირ გაუგებარი იქნებოდა ის გარეგმოება, რომ ყველა ამ ყრილობამ და კონფერენციამ, ერთის მხრით, და, მეორეს მხრით, ამხ. ორახელაშვილმა ვერ შეამჩნიეს ისეთი დიდშნიშვნელოვანი-ფაქტი, როგორიცაა ყოფილ მემამულეებისა და თავადაზნაურებისათვის მათი წინანდელი მიწებისა და სასახლეების დაბრუნება.

თავისთავად ცხადია, რომ მე იმის დამტკიცება კი არ მინდა აქ, რომ საქართველოში 1921-22 წლებში მიწის რეფორმის გატარების დროს არ იყო დეფექტები და შეცდომები, რომ ამ დარგში ყველაფერი კარგად მიდიოდა და არ იყო უსწორმასწორობა. არა, დეფექტები და შეცდომები გვქონდა და ამის შესახებ არა ერთხელ იწერებოდა, მაგრამ ეს იყო წმინდა საქმიანი თვითკრიტიკა აღნიშნული იყო ჩვენი აპარატების და კერძოთ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოების სისუსტე, მომზადებული და გამოსადეგი მუშაკების ნაკლებობა და ზოგიერთ შემთხვევაში, მათი სრული უყოლობა და სხვ. ამიტომაც 1921 წლის აპრილის 6-ს მიწის დეკრეტი არ ტარდებოდა ყველგან სისწორით და დაუყოვნებლივ, ალაგ-ალაგ მისი მთლიანი გატარება ფერხდებოდა. საბაგიერიდ, საბჭოთა საქართველოში მიწის ანუ საგლეხო საკითხის საერთო კურსი — სავსებით სისწორით იყო აღებული.

ამ საკითხს მაინც სჭირდება რამდენიმეთ გაშუქება. საკითხავია, — მაშ როგორ სწყდებოდა მიწის საკითხი საბჭოთა საქართველოში მისი გასაბჭოების დღიდან?

ამისათვის საჭიროა უპირველესად ყოვლისა ვიცოდეთ საქართველოში მიწის საკითხის ზოგიერთი თავისებურება. ვარგისი და უვარგისი მიწების სივრცის სწორი სტატისტიკა, ერთის მხრივ, და, სხვადასხვა სოციალურ კლასებსა და ჯგუფებს შორის მისი დანაწილება საზოგადოდ საქართველოში არას დროს არ

ყოფილა. მიუხედავათ ამისა, საყოველთაოდ მიღებული ფაქტია ის გარემოება, რომ საქართველოში არსებობდა უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხების შედარებით საგრძნობი კადრი. საქართველოში ყოფნის დროს ამხ. ლიადოვის მიერ შეკრებილი და სისტემატიზაციაქმნილი ცნობების მიხედვით 1919 წელში ვარგისი და უვარგისი მიწების საერთო სივრცე — 5.537.207 დესეტ. განისაზღვრებოდა, რომელიც მეპატრონეთა კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა: კერძო მფლობელობის მიწ. მათ რიცხვში გლეხი

| | | |
|---|---|---|
| მესაკუთრენიც | 2.208.045 | დეს. |
| სახაზინო . . . . . | 2.020.012 | „ |
| გლეხებზე იჯარით ხაზ. გაცემ. და სხვ. . | 1.309.150 | „ |

ციფრების და სტატისტიკური აღრიცხვის მიხედვით — ამხ. ლიადოვს შემდეგი დასკვნა გამოჰყავს: მთელი კულტურული მიწების 61% და ყველა საძოვარის 57,5% გლეხებს ეკუთვნოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა საქართველოში, კერძოდ — იმერეთში, მიწის მწვავე კრიზისი იყო.

საკითხავია, გააკეთეს თუ არა რამე მენშევიკებმა ამ საქმის მოსაგვარებლად და, საზოგადოდ, მიწის საკითხის გადასაწყვეტად? დაწვრილებით ამაზე შეჩერება ადგილის უქონლობის გამო არ შეგვიძლია. რამდენიმე სიტყვით მოგახსენებთ იმის შესახებ, თუ როგორ გადასჭრეს ეს საკითხი მენშევიკებმა. უპირველესად ყოვლისა მენშევიკური კანონი ძალაში სტოვებდა მიწაზე კერძო საკუთრებას. მაგრამ, მეორეს მხრით, კერძო საკუთრებათ არსებული ყველა მიწა, რაც მეტი იქნებოდა თითო კომლისათვის 7 დესეტინაზე პირველი კატეგორიისა (კულტურული მამულები, ბაღები, ვენახები და სხვ.), 15 დეს-ზე მეორე კატეგ. (ხორბლეულის მეურნ.) და 40 დეს-ზე მესამე კატეგ. (მესაქონლეობა), კონფისკაციაქმნილი უნდა ყოფილიყო და გადაცემოდა მიწის ფონდს უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე მიწათმოქმედათთვის დასარიგებლად. მაგრამ საადგილ-მამულო კომიტეტებს უფლება ჰქონდათ ზოგიერთ შემთხვევაში გაეიდიდებიათ ეს ნორმა და 7 დესეტინის ნაცვლად 10 დესეტ. მიეცათ, 15 დესეტ. ნაცვლად — 20, და 40-ის ნაცვლად — 50 დესეტ. მიწის ფონდში გადადის აგრეთვე: საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიული პირების და სახაზინო მიწები, — ტყეებისა, საძოვრებისა. ამის მაგვარი საუფლისწულო მამულებისა და იმ მიწების გამოკლებით, რომელნიც აუცილებელნი არიან კულტურულ-განმანათლებელ მიზნებისათვის. საქართველოს გასაბჭოების მომენტისათვის მენშევიკურმა მთავრობამ მაინც მოასწრო დაესრულებია კერძო მიწათმფლობელობაში არსებული ზემოაღნიშნულ ნორმაზე მეტი მიწების კონფისკაცია და აგრეთვე ნაწილობრივ დაეკმაყოფილებია უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხები. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მენშევიკები მიწის ფონდიდან ნაკვეთებს გლეხებს აძლევდენ არა უსასყიდლოდ, არამედ ფასით.

ამ რეფორმის შედეგად კონფისკაცია ეყო:

| | | |
|---|---|---|
| ტფილისის გუბერნიაში | 487.592 | დეს. |
| ქუთაისის „ | 122.961 | „ |
| სულ | 610.553 | დეს. |

კონფისკაციის შემდეგ კერძო მესაკუთრეთ დარჩათ: *)

| | |
|---|---|
| ტფილისის გუბერნიაში | 27.572 დეს. |
| ქუთაისის | 7.115 „ |
| სულ. | 34.115 დეს. |

ჩემის აზრით, ზემომოყვანილი ცნობები არ არის სწორი; განსაკუთრებით უკანასკნელი ციფრი, რომელიც ეხება კონფისკაციის შემდეგ კერძო მესაკუთრეთა ხელში დარჩენილ მიწების რაოდენობას, ძალიან დამცირებულია. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კერძო მესაკუთრეთ — ყოფილ მემამულეებს — კონფისკაციის შემდეგ, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ორჯერ უფრო მეტი მიწები დარჩათ, ვიდრე ეს ზემოთ არის ნაჩვენები, ე. ი. დაახლოვებით 70.000 დესეტ. მთელ საქართველოში. თუ გინდ ისიც რომ დავუშვათ, რომ მათ ხელში 100.000 დესეტინამდეც კი დარჩა, მაინც არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ საქართველოში მემამულეთა მიწათმფლობელობას, რომელიც, საზოგადოდ, რევოლიუციამდეც საგრძნობლად იყო დაქუცმაცებული, მენშევიკების დროსაც კი საკმაოდ ბასრი მახვილი დაეცა. მართალია, ეს ჭრილობა ჯერ კიდევ სასიკვდილო არ ყოფილა, პირიქით, მემამულეთა კლასს დროთა განმავლობაში მიწაზე კერძო საკუთრების არსებობის პირობებში შეეძლო ფეხზე წამომდგარიყო, მაგრამ ამის თქმა საქართველოს გასაბჭოების მომენტისათვის ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა.

რა გააკეთა და როგორ მიუდგა მიწის საკითხის გადაწყვეტას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გადატრიალების პირველ დღიდანვე? თავისთავად ცხადია, რომ მიწის საკითხის გადაწყვეტა აქ სულ სხვა პირობებში ხდებოდა, ვიდრე ამას რუსეთში ჰქონდა ადგილი. მეორეს მხრივ, საქართველოში მიწის შესახებ დამოკიდებულება სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე რუსეთში. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ რუსეთში მიწის საკითხი, ე. ი. ის, რასაც ჩვენ მემამულეთა და სხვა მსხვილ მესაკუთრეთა მიწების კონფისკაციას ვუწოდებთ, სწყდებოდა გაცხარებულ სამოქალაქო ომის დროს მემამულეთა და ბურჟუაზიული კლასის მხრივ გააფთრებულ წინააღმდეგობის პირობებში. საქართველოში არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა და ამიტომ ჩვენში ყოფილ მემამულეთა და სხვა ცოტად თუ ბევრად მსხვილ კერძო მესაკუთრეთა მიწების კონფისკაცია სავსებით მშვიდობიან პირობებში ხდებოდა და გასაგებია, რომ მას სავსებით გეგმიანი და ორგანიზაციული ხასიათი უნდა მიეღო; საჭირო იყო და მასთან შესაძლებელიც აგვეცდინა ყოველგვარი ექსცესები, რაც დამღუპველად იმოქმედებდა სასოფლო მეურნეობის განვითარებაზე.

მაგრამ საჭირო იყო, რომ გლეხობას გაეგო ეს. და ამიტომ, ჯერ კიდევ მიწის ძირითადი კანონის გამოცემამდე საქართველოს საბჭოთა მთავრობამ გამოუშვა მოწოდება მთელ გლეხობისადმი, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ დღეიდან მემამულეთა და სხვაგვარი საკუთრება მიწაზე სამუდამოთ გაუქმებულია,

*) იხ. გეხტმანი — ა/კ ეკონომიური გეოგრაფიის მოკლე მიმოხილვა. ტფილისი. 1923 წელი გვ. 108.

რომ ყველა მიწა მთელი მუშურ-გლეხური მთავრობის კუთვნილებას წარმოადგენს და რომ ის მშრომელთა სარგებლობაში გადადის. ამიტომ გლეხობა მოწოდებულ იყო არ წაეხდინათ და არ მოესპოთ ძვირფასი კულტურით დანერგილი მიწები, პირიქით, მსხვილ კერძო მესაკუთრეთათვის მიწების ჩამორთმევა და მათი მშრომელ გლეხებს შორის განაწილება ორგანიზაციულათ მოეხდინათ.

ამ მოწოდებამ გლეხებზე უდიდესი გავლენა იქონია. აქა-იქ დაწყებული ექსცესები, როგორც, მაგალითად, ძვირფას კულტურათა მოსპობა, ტყეების გაჩეხვა და სხვ. შეჩერებულ იქნა. ახლო მომავალში გამოიცა ძირითადი დეკრეტი მიწის შესახებ (№ 17, 1921 წ. აპრილის 6).

ამ კანონის მთავარი დებულებანი ასეთია:

1) ყველა მიწა გადადის მშრომელ მოსახლეობის საზოგადო კუთვნილებაში ყიდვა-გაყიდვა და რაიმე სხვა საშუალებით მიწის სხვისთვის გადაცემა აკრძალულია.

2) ყველა მიწის ნაკვეთსა და მსხვილ მამულს, რომლებიც ყოფილ მენშევიკურ მთავრობის მიერ ჩამოურთმეველი დარჩა მემამულეებს, ეკლესიებს, მონასტრებს და სხვა მსხვილ მესაკუთრეს, ყოველგვარი ნაგებობით, ინვენტარითა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, — კონფისკაცია უნდა ეყოს და წინად ჩამორთმეულ მიწებთან ერთად სახელმწიფო მიწის ფონდში უნდა ჩაირიცხოს მშრომელთა შორის გასანაწილებლად და სარგებლობისათვის.

3) ყველა სასოფლო საზოგადოებაში უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე, და აგრეთვე საშუალო შეძლების გლეხებისაგან, ე. ი. მარტო ღარიბ გლეხობისაგან, დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს საგლეხო კომიტეტები, რომლებიც, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, ჩამოართმევენ მიწებს და, ადგილობრივი პირობების მიხედვით, განსაზღვრავენ როგორც იმ ნორმას, რომელიც შეიძლება დაეტოვოს წინანდელ მესაკუთრეს, აგრეთვე იმ ნორმასაც, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მიწების დარიგება გლეხების ოჯახებისათვის (პ. 6).

4) მიწათსარგებლობის უფლება აქვს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, რომელსაც სურვილი აქვს დაამუშაოს მიწა საკუთარი შრომით ან თავისი ოჯახის წევრების დახმარებით, ან და ამხანაგობის საფუძველზე; ამავე დროს, შრომის უნარის დაკარგვისთანავე, — იგი ჰკარგავს მიწით სარგებლობის უფლებას, ხოლო სამაგიეროდ სახელმწიფოსაგან იღებს დახმარებას პენსიის სახით (პუნქტი 10).

5) უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე მშრომელი მიიღებს საერთო-სახელმწიფოებრივ მიწის ფონდიდან იმ ზომის მიწას, რაც საჭირო იქნება იმისი და მისი ოჯახის უზრუნველსაყოფად (პუნქტი 11).

6) უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხები, რომლებმაც მიწა შეიძინეს მიწის ფონდიდან ყოფილ მთავრობის დროს მისი გამოყიდვით, № 17 დეკრეტის ძალით — განაგრძობენ ამ მიწებით სარგებლობას და ამავე დროს გამოსაყიდი ფასი მათ უნდა დაუბრუნდეთ ხაზინიდან (პუნქტი 17).

ამ კანონის ძალით მიწის რეფორმის ადგილობრივ ცხოვრებაში გატარება გადაეცა ულარიბეს გლეხობას საგლეხო კომიტეტების სახით.

6 აპრილის კანონის (№ 17 დეკრეტის) ცხოვრებაში გასატარებლად — გამოცემული იყო განმარტებები და ინსტრუქციები, როგორც, მაგ., ინსტრუქცია საგლეხო კომიტეტების მოწყობის შესახებ (აპრილის 14), დროებითი წესები მიწის ნორმებისა და გეგმების შესამუშავებლად (აპრილის 20), წესები მიწების კონფისკაციისა და განაწილების შესახებ (აპრილის 17).

სამწუხაროდ, ბევრმა ადგილობრივმა სამაზრო და სასოფლო ორგანომ და მიწათმოწყობის განყოფილებამ ვერ შესძლო სავსებით გაეტარებია ცხოვრებაში საბჭოთა კანონი მიწის შესახებ და თავის დროზე განემარტა იგი გლეხობისათვის. ამის გამო — მიწის კანონის დარღვევას ან მისგან გადახვევას ადგილი ჰქონდა კანონის გამოცემის პირველსავე დღეებში. ამას ყურადღება მიაქცია ხელისუფლებამ. ჯერ კიდევ 1921 წლის ივლისში, მიწის კანონების დარღვევის რამდენიმე კონკრეტიულ შემთხვევის გამო, მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა მიმართა სამაზრო ორგანოებს და მიწათმოწყობის განყოფილებებს განსაკუთრებული ცირკულიარით, სადაც, სხვათა შორის,ნათქვამია: „მუშურ-გლეხური ხელისუფლება მიიღებს და დღესაც იღებს უსასტიკეს ზომებს მიწის კანონთა დამრღვეველთა წინააღმდეგ და, სახელდობრ, ყოფილ მემამულეთა წინააღმდეგ, რომელთაც სურთ დაიბრუნონ მათი წინანდელი ქონების ნაწილი და შეკრიბონ საიჯარო ქირა; დეე, მათ იცოდენ, რომ ყველაფერი უკანვე ჩამოერთმევათ და თითონ ისინი პასუხისგებაში იჭნებიან მიცემული. დეე, იცოდეს ყველამ, როგორც გლეხობამ, ისე მემამულეებმა და თავადაზნაურობამ, რომ მიწათსარგებლობის ძველი წესი და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული საიჯარო ქირა (ღალა), სამუდამოდ მოსპობილია და ის, ვინც მოინდომებს მის აღდგენას, როგორც ნამდვილი კონტრ-რევოლიუციონერი და მშრომელი ხალხის მტერი, დაისჯება რევოლიუციონური დროის კანონებით“.

შემდეგ იქ ნათქვამია:

„ამისათვის აუცილებელია, რომ ყველა საბჭოთა ადგილობრივი ორგანო ასრულებდეს და მტკიცედ იცავდეს მუშურ-გლეხური მთავრობის კანონებსა და დადგენილებებს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საბჭოთა წესწყობილებაში მიწათმოწყობა მოითხოვს, რომ ამ საქმეში უახლოესი და აქტიური მონაწილეობა მიიღოს თვითონ მშრომელმა გლეხობამ. ჩვენი ძირითადი კანონი მიწის შესახებ (№ 17 დეკრეტი) ეყრდნობა სწორედ მშრომელი გლეხობის თვითმოქმედებას. გლეხობამ თვითონ უნდა აიღოს ხელში ეს საქმე, თვითონ უნდა იკისროს მისი ცხოვრებაში გატარება — როგორც ამას მოითხოვს თვით ეს კანონი. მთავრობა. ადგილობრივი რევკომები და მუშურ-გლეხური მილიცია ვალდებული არიან ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ გლეხების მიერ ამორჩეულ საადგილ-მამულო კომიტეტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა დამნაშავე და ამ კანონის დამრღვევი — სამართალში უნდა მიეცეს“.

დაბოლოს, დასკვნაში ნათქვამი იყო:

„აუცილებელია ყველა ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულების ენერგიული მუშაობა, რადგან მიწის საკითხის მოწესრიგება, საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცემული კანონის თანახმად, არის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საქმე და იგი პირველ რიგში უნდა დაისვას. აუცლებელია, რომ ყოველი პარტიული

მუშაკი, ყოველი პროპაგანდისტი და აგიტატორი, რომელიც სოფლად მიდის, კარგად იცნობდეს მიწის საკითხსა და დეკრეტს, და თან ჰქონდეს მთელი საჭირო მასალა. ამიტომ ჩვენ მოუწოდებთ ყველა პარტიულ ამხანაგს, მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში. მოუწოდებთ ყველა საბჭოთა სამაზრო და სასოფლო ორგანოებს და თვით გლეხობას — ენერგიულად, ერთსულოვნად მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს, გაფანტონ ის გაუგებრობა, რომელსაც ჰქონდა ადგილი, ლაგამი ამოსდონ ყოფილ მემამულეებს და ამით უზრუნველჰყონ მშრომელი მოსახლეობის ნამდვილი გამარჯვება მათ ექსპლოატატორებზე, ე. ი. განამტკიცონ მუშებისა და გლეხების სრული ბატონობა (დიქტატურა)".

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ეს იწერებოდა იმ ცირკულიარულ განკარგულებების შემდეგ, რომლებიც, ამხ. ორახელაშვილის სიტყვებით, ბორკავდა და ხელს უშლიდა ადგილობრივი ორგანოებისა და საგლეხო კომიტეტების რევოლიუციონურ ინიციატივას. რასაკვირველია, ჩვენ ყველამ (და მათ რიცხვში ამხ. ორახელაშვილმაც) კარგათ ვიცით, რომ ყოველგვარი კანონის თავისებურად განმარტებასა და ამ კანონით ბოროტმოქმედებას წინადაც ჰქონდა ადგილი და ჩვენს პირობებში ამისაგან არც ჩვენ ვართ თავისუფალი, მაგრამ მხოლოდ სავსებით გაბოროტებულ კაცს შეუძლია სთქვას, რომ 1922 წლის ნოემბრამდე საქართველოში აგრარული რეფორმის სფეროში არაფერი არ გაკეთებულა, არავითარი დადებითი მუშაობა არ სწარმოებდა, — პირიქით, თითქოს ყველაფერი ყოფილ მემამულეთა სასარგებლოდ კეთდებოდა, რომ თითქოს დაუბრუნდა ძველი, რევოლიუციამდე არსებული დრო, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს, — მუშურ-გლეხური ხელისუფლების დროს, — თავად-აზნაურობამ ხელახლა დაიწყო უზრუნველი და უდარდელი ცხოვრება გლეხების ხარჯზე.

იქნება ისეთი მკითხველი, რომელიც დაიჯერებს ამ ლაყბობას. ცოტათი კეთილსინდისიერ კრიტიკოსს შეეძლო აღენიშნა ის შეცდომები და დეფექტები, რომელნიც გარდაუვალი იყვნენ ისეთი რთული და ახალი საქმის გაკეთების დროს, როგორიც არის მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარება; მაგრამ იმის თქმა, რომ მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ორგანოებმა აღადგინეს საბჭოთა საქართველოში ნახევრად-ფეოდალური, ნახევრად-ბატონყმური დამოკიდებულება, რომ ისინი თავიანთი ცირკულიარებით თავის მამულებში აბრუნებდენ ყოფ. თავად-აზნაურებს, რომლებიც მენშევიკურ მთავრობასთან ერთად გაიქცენ საზღვარგარეთ, და რომ ეს ორგანოები შეგნებულად უარს ამბობდენ ლარიბ გლეხობის ინტერესების დაცვაზე მემამულეთა ინტერესების წინააღმდეგ, — ეს აღმაშფოთებელი ცილისწამებაა.

ამხ. ორახელაშვილმა მშვენივრად იცის, რასაც ამბობს. მან ისიც ხომ კარგად იცის, — რა ხდებოდა სინამდვილეში ჩვენში? ჯერ კიდევ 1921 წლის შემოდგომაზე თვითონ მან მიმართა ერთი რაიონული რევკომის (ხაშურის, გორის მაზრა) თავმჯდომარეს თხოვნით, რათა ის დახმარებოდა იმაში, რომ სოფელოსიაურის გლეხებს გადაეხადათ „კანონიერი" საიჯარო ქირა ყოფ. მემამულე ქალ ჯაფარიძისათვის და ამავე დროს სწერდა, რომ გლეხებს არ სურთ ამ ქირის გადახდა და ის, რომ ვერ მოახერხებს — მოახდინოს ზეგავლენა მათზე, —

მის მფარველობაში მყოფ მემამულე ქალის ასაარგებლოდ. მე არ ვიცი შეასრულა თუ არა აღნიშნულმა რევკომის თავმჯდომარემ ამხ. ორახელაშვილის თხოვნა, რაშიდაც მე ეჭვი შეპარება, რადგან მჯერა, რომ გლეხები ამას არ იზამდენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფაქტი ფაქტად რჩება და ორახელაშვილს, როგორც საქართველოს ცეკას მდივანს დასჭირდა გამოეყენებია თავისი ავტორიტეტი, რომ დაეცვა ყოფილი მემამულე ქალის, — ამხ. ორახელაშვილის მეგობრის, — ინტერესები, გლეხების ინტერესების საზიანოდ. ეხლა კი — ორახელაშვილი მოსკოვის პრესაში თავსა სდებს გლეხების ინტერესებისათვის! რაშია საქმე? ის მკითხველი, რომელიც არ იცნობს საქართველოს საქმის ვითარებას, ამის გაგებას ვერაფრით ვერ შესძლებს.

მაგრამ, საკითხავია: როგორ-ღა სდგას ან იდგა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს მემამულეთა მიწების კონფისკაციის საქმე? აქ ჩვენა გვაქვს ორი პერიოდი: პირველი პერიოდი იწყება ულარიბესი გლეხებისაგან საგლეხო კომიტეტების მოწყობით (1921 წლ. აპრილი) და თავდება შრომითი მიწათმოწყობის კანონის გამოცემით და მიწათმომწყობი სამუშაოების დაწყებით (1922 წ. მაისი-ივნისი); ხოლო მეორე პერიოდი იწყება მიწათმომწყობი სამუშაოების დაწყებით, რომლის დროსაც საგლეხო კომიტეტები არ იყვნენ გაუქმებულნი და მათი მუშაობა არსებითად არაფრით არ იყო შეზღუდული.

პირველ პერიოდში საგლეხო კომიტეტებს უნდა დაესრულებიათ მემამულეთა მიწათმფლობელობის ნაშთის ლიკვიდაცია და ეს მიწები გაენაწილებიათ უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე გლეხებს შორის კომიტეტების მიერვე გამომომუშავებული ნორმების მიხედვით. ამ კომიტეტებს მტკიცედ უნდა ეხელმძღვანელათ № 17 დეკრეტით, რომელსაც ასე კარგად იხსენიებს თვით ამხ. ორახელაშვილი და აგრეთვე ამ დეკრეტის შემდეგ გამოცემული ინსტრუქციები და წესები ყოფილ მემამულეთა მიწების კონფისკაციის შესახებ. ამ წესებში არის მუხლი, რომლის ძალითაც საგლეხო კომიტეტებს თავისი შეხედულებით შეეძლოთ დაეტოვებიათ ყოფილ მემამულისათვის წინანდელი მისი მიწებიდან რაიმე ნაწილი, მაგრამ არა უმეტეს ამ სოფლისა და რაიონისათვის მიღებული საშუალო შრომითი ნორმისა, ხოლო იმ პირობით, თუ ეს ყოფილი მემამულე თვითონ დაიმუშავებდა მიწას თავისი შრომით. ყოველ შემთხვევაში ეს სავსებით საგლეხო კომიტეტების კომპეტენციაში შედიოდა და აქ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოებს არავითარი საქმე არ ჰქონდათ. ეს არის სწორედ ის მუხლი, რომელზედაც განსაკუთრებით იერიში მიაქვს ამხ. ორახელაშვილს. მაგრამ — ნუთუ საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო კანონით მიწის ნორმა არ მიეცა, თუ ვინდ ყოფილ მემამულესათვისაც, რომელიც თავის შრომით ამუშავებს მიწას და სხვა რამის გაკეთება კი არ შეუძლია, და რომელსაც არსებობის სხვა არც ერთი სახსარი არ მოეპოვება? არ შეიძლებოდა ეს გვექნა განსაკუთრებით საქართველოში, სადაც ესოდენ ბევრი იყო თავადაზნაურობის რიცხვი და, სადაც თავადაზნაურობის უმრავლესობა უკვე დიდი ხანია მიწის მუშად გადაიქცა, რომელიც მხოლოდ აზნაურის გვარს-ღა ატარებს. რასაკვირველია, საგლეხო კომიტეტებს სრული უფლება ჰქონდათ არ მიეცათ ასეთი პირებისა-

თვის არავითარი მიწის ნორმა, მაგრამ აშკარაა, ადგილობრივი პირობების მიხედვით ეს შეუძლებელი იყო, და მიწის კომიტეტები უმრავლეს შემთხვევაში სამართლიანობის გრძნობის გამო, ასეთ პირებს ნორმას უტოვებდა. შესაძლებელია. რომ ამ ნიადაგზე ზოგიერთგან იყო კანონისაგან გადახვევა, ადგილი ჰქონდა ბოროტმოქმედებას, აქ არაფერი არ არის გასაკვირი, განსაკუთრებით მას შემდეგ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პასუხისმგებელი ამხანაგებიც კი, ზოგიერთ შემთხვევაში შუამდგომლობდენ ყოფ. მემამულეთა სასარგებლოდ. მაგრამ შესაძლებელია თუ არა ამ შემთხვევაში მემამულეებზე ლაპარაკი, ან იმის შესახებ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს ხელახლა აღორძინდა ფეოდალური დამოკიდებულება? ამას სხვას ვერაფერს უწოდებთ, თუ არა შეგნებულ სიცრუეს.

და დღეს, როცა ამხ. ორახელაშვილი ლაპარაკობს „მემამულეთათვის" მიწების ჩამორთმევაზე, აქ უმთავრესად ლაპარაკია სწორედ იმ „მემამულეებზე", რომელთაც საგლეხო კომიტეტებმა შრომითი ნორმები დაუტოვა.

მაგრამ, ორახელაშვილს მიზანში ამოუღია საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კიდევ ერთი ცირკულიარი (№ 6), სადაც ლაპარაკია ძვირფას სანერგეთა დაცვის შესახებ. რაზეა იქ ლაპარაკი? იქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ძვირფასი კულტურით დანერგილი მიწები, თუ ისინი გადააჭარბებენ დამყარებულ ნორმას, არ დაექუცმაცდება. და, ნუთუ ეს სწორი არ არის? მაგრამ, ამხ. ორახელაშვილი, ჩვეულებისამებრ, აქაც სცენის და ამახინჯებს სინამდვილეს. ის ამბობს: „ამ ცირკულიარის ძალით მემამულე-თავადს *) უფლება ჰქონდა დაეტოვებია თავისთვის არა მარტო ნორმა, არამედ ძვირფასი კულტურით დანერგილი მთელი მიწები, ე. ი. მთელი თავისი ქონება". ასე ამახინჯებს ამხ. ორახელაშვილი ცირკულარის ნათელსა და სწორ აზრს. უპირველესად ყოვლისა ეს ცირკულიარი სრულებით არავითარ უფლებას არ აძლევს მემამულე-თავადებს და არც შეეძლო მათთვის რაიმე უფლება მიეცა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მართლაც ძირს გამოუთხრიდა მიწის რეფორმას. საკითხი შეეხებოდა ისეთ კულტურულ ნაკვეთებს (ბაღებს, ვენახებს, პლანტაციებს), რომლებიც არც ისე დიდი იყვნენ, რომ მათი ნაციონალიზაცია და სახელმწიფო მამულად გადაქცევა ღირებულიყო, მაგრამ რომლებიც თავისი სიდიდით მაინც სპარბობდენ დამყარებულ საშუალო-შრომით ნორმას. მაშ, როგორ უნდა მოექცეულიყავით ამ შემთხვევაში? ცდებმა და პრაქტიკამ ცხადზე უფრო ცხადად გვაჩვენა, რომ ასეთი ნაკვეთისდაქუცმაცება მის დაღუპვას ნიშნავს. და თუ ასეთმა დაქუცმაცებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, მაშინ ეს გარემოება თვით სოფლის მეურნეობას დაღუპავს. [21])

*) აშკარაა, ორახელაშვილს მიზნად დაუსახავს ვიღაცას უჩქმიტოს, ვიღაცას გვერდი გაჰკრას, ვიღაცას ნდობა დაუკარგოს ხალხში, და ამ თავის სურვილით ის ისეა გატაცებული, რომ საბჭოთა საქართველოს ხატავს როგორც რომელიმე საშუალო საუკუნეების ქვეყანას, სადაც სცხოვრობენ ფეოდალები-მემამულეები, თავადები და აზნაურები თავიანთ მამულებში, სასახლეებში, ციხე-კოშკებში და მორჩილებაში ჰყავთ ყმები, გლეხები.

მეტი ხომ არ არის, ამხ. ორახელაშვილო?

# ლენინი და გლეხკაცობა

შეუძლებელია პატარა საგაზეთო წერილში ამოიწუროს ის თემა, რომელსაც შეიცავს ამ წერილის სათაური. ყოველ შემთხვევაში მე შევეცდები სულ მოკლედ დავახასიათო ის, თუ თავიდანვე რანაირად მიუდგა ლენინი **საგლეხო საკითხის** გადაჭრას რუსეთში.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საგლეხო საკითხი რუსეთში უკიდურესად გამწვავდა. მის გადაჭრას მრავალი ჯგუფი და პარტიები ისახავდენ თავიანთ მიზნად. მაგრამ ყველანი ფიქრობდენ ამ გადაჭრის მოხდენას განცალკევებულად ანუ დაუკავშირებლად მაშინდელ რუსეთის გარდაქმნასთან, ყველაზე უწინ ქალაქის მუშებთან ანუ პროლეტარიატთან დამოუკიდებლად. ამაში ცდებოდენ იმ დროის არა მარტო **ნაროდნიკული პარტიები**, არამედ ახლად **ჩასახული სოც.-დემოკრატიაც.** საქმე მარტო იმაში კი არ იყო, რომ ნაროდნიკული პარტიები ფიქრობდენ მხოლოდ გლეხების დახსნას გაჭირვებიდან და მონობიდან, არამედ იმაშიაც, რომ ამ ამოცანის გადაჭრას ისინი სრულებით არ უკავშირებდენ **მუშათა საკითხის გადაჭრას.** მეორე მხრით ნაროდნიკულ პარტიების იდეების გაცრუების შემდეგ ერთი მხრით და სოც-დემ. მუშათა პარტიის წარმოშობის შემდეგ, რომელიც მთელ თავის იმედებს ამყარებდა განსაკუთრებით ქალაქის მუშებზე ანუ პროლეტარიატზე, მეორე მხრით, შესაძლებელი იყო მეორე უკიდურესობისაკენ გადახრა, სახელდობრ გლეხკაცობის რევოლიუციაში მიმბრობაზე ან სრულიად ხელისაღება, ან ამ საკითხისადმი უყურადღებობა. თუმც ასეთ მიდგომას სოციალ-დემოკრატიის მხრით ჰქონდა რამდენიმედ გასამართლებელი მიზეზი კიდევ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, როგორც. მაგ., გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში და სხვ., სადაც ქალაქის მუშები შედარებით დანარჩენ მოსახლეობასთან დიდ პროცენტს შეადგენდენ, რუსეთში ასეთი მიდგომა ყოველად დაუშვებელი იყო რევოლიუციის ზრდისა და მისი განვითარებისათვის.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრით რუსეთის სოც.-დემოკრატია იმ თავითვე არ იცავდა შაბლონურ, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ მეთოდებს და მან გაუწია სწორი ანგარიში ისეთ ტიპიურ საგლეხო ქვეყანას, როგორიც იყო რუსეთის მაშინდელი სახელმწიფო. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამას ჩვენ სავსებით უნდა ეუმადლოდეთ ლენინს. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ ყოფილა არც ერთი სოც.-დემოკრატი ან, საერთოდ არც ერთი სოციალისტი არა

თუ რუსეთში. არამედ მთელ მსოფლიოში, რომელსაც ისე ღრმად ქონებოდა გაგებული და შეთვისებული ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს რევოლიუციონურ ბრძოლაში სოციალიზმისათვის პროლეტარატსა და გლეხკაცობას შორის, განსაკუთრებით რუსეთში, როგორც ლენინს. ლენინს თავიდანვე კარგად ჰქონდა წარმოდგენილი ის, რომ რუსეთის რევოლიუციის ბედი დამოკიდებულია იმაზე, შესაძლებელი გახდება თუ არა ამ რევოლიუციაში პროლეტარიატის და გლეხკაცობის, მისი უდიდესი ნაწილის — გალატაკებული და დამონებული ნაწილის ერთმანეთთან დაკავშირება. მან იცოდა, რომ გლეხკაცობის დაუხმარებლად ან მიუმხრობლად მაინც, პროლეტარიატი მარტო თავისი საკუთარი ძალით ვერ შესძლებდა ვერც თვითმპყრობელობის და ვერც თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ (მემამულეების და კაპიტალისტების) წესწყობილების დამხობას. ამიტომ ლენინის ერთ უმთავრეს ამოცანას შეადგენდა, როგორმე დაეკავშირებია, გადაება ერთი-ერთმანეთთან ქალაქის მუშები და სოფლის ღატაკი ხალხი, გლეხკაცობა, — ეს ორი მთავარი კლასი, რომლებიც ერთნაირად იყვლიფებოდენ და ჩაგრებოდენ მემამულეებისა და კაპიტალისტების უღლის ქვეშ. საერთო სასიცოცხლო ინტერესები ამ ორ კლასს აერთებდა, მაგრამ გარეგანი პირობები იმათ თიშავდენ. რამდენადაც ქალაქის მუშები გარშემორტყმულ პირობების ზეგავლენით ძალაუნებურად კლასობრივ ბრძოლაში ებმოდენ და ამის მიხედვით ერთმანეთ შორის სხვადასხვაგვარ კავშირს აწყობდენ, იმდენად გლეხკაცობა ერთდაიმავე გაყინულ წერტილზე მდგომს და სრულიად დაქსაქსულ მასას წარმოადგენდა. რას შეეძლო გამოეყვანა ეს გაყინული მასა ამ გაქვავებულ, გაყინულ მდგომარეობიდან? სად იყო ასეთი ძალა? გასული საუკუნის რუსეთის რევოლიუციონურმა ინტელიგენციამ ეს ვერ შესძლო, მიუხედავად მისი თავგანწირული და მართლაც გმირული ბრძოლისა, მან ვერ შეესძლო ამ გალატაკებული და დაბეჩავებული გლეხკაცობის გამოღვიძება და თავის მჩაგვრელების წინააღმდეგ დარაზმვა. ნაროდნიკული ინტელიგენცია დამარცხდა, და გლეხკაცობა ისევ წინანდელად დაქსაქსულ და გონებადახშულ მასას წარმოადგენდა.

ლენინმა შესამჩნევად გამოიყენა ნაროდნიკების გმირული ცდა. იგი იმ თავითვე დარწმუნდა, რომ გლეხკაცობის გამოყვანა იმ თავდავიწყებიდან, რომელშიაც იგი იმყოფებოდა საშინელი ექსპლოატაციის მეოხებით მთელი საუკუნეების განმავლობაში, მარტო ინტელიგენციის საშუალებით შეუძლებელი იყო. ამისთვის საჭირო იყო გლეხკაცობასთან დაახლოება სხვა საშუალებით, სხვა ძალების გამოყენება. საით იყო ასეთი ძალა? ასეთი ძალა იყო და საჭირო იყო ამ ძალაზე უდიდესი ყურადღების მიქცევა. მე ვლაპარაკობ ქალაქის მუშებზე.

ქალაქის მუშები — ეს სოფლიდან მოსული გლეხები იყვენ. აი ვის შეეძლო რომ დაახლოებოდა გლეხკაცობას, აი ვის დაუგდებდა ყურს გლეხკაცობა, ვის გაუვლებდა იგი ბრძოლაშიაც. ლენინმა ყველაზე უწინ გაიგო ეს საკ.ებით. ამხ. კრუპსკაია[105]) ერთ თავის მოგონებაში ლენინის შესახებ სწერს, რომ, როცა ლენინმა პირველად დაიწყო რევოლიუციონური პროპაგანდა პეტერბურგის მუშებში, იგი განსაკუთრებული ყურადღებით ეკითხებოდა მათ გლეხკაცობის

ცხოვრების შესახებ. აი საიდან დაიწყო მან ძაფის გაბმა ქალაქის მუშებსა და გლეხობას შორის.

მაგრამ ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რომ ლენინი არავითარ ილიუზიას არ ეძლეოდა გლეხობის რევოლიუციონურ ბრძოლაში ჩაბმის შესახებ, მან მშვენივრად იცოდა, რომ გლეხკაცობის განძრევა, მისი გამოფხიზლება — ეს მეტად ძნელი საქმე იყო, რომ ეს დაკვრით არ მოხდებოდა, რომ ამისთვის საჭირო იყო ხანგრძლივი და თანდათანი მუშაობა, წამოყენება ისეთი ეკონომიური მოთხოვნების, რომლებიც გლეხობისთვის ადვილი გასაგები იქნებოდა და რომლებსაც ისინი აქტიურად დაუჭერდენ მხარს. მაგრამ ლენინი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ პროლეტარიატის ერთად-ერთი სერიოზული და ბუნებრივი მოკავშირე რევოლიუციონურ ბრძოლაში იყო სწორედ გლეხკაცობა. ლენინი უპირველეს ყოვლისა საფუძვლიანად სწავლობს და იკვლევს გლეხკაცობის მდგომარეობას, იმ ღრმა პროცესებს, რომლებიც მასში ხდებოდენ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების ზეგავლენით („კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", დაწერილი გასული საუკუნის ბოლოს). ლენინი გლეხების საქმეში არ იჩენდა არავითარ გატაცებას, იგი აწარმოებად მეტად ფრთხილ ტაქტიკას, ეს სიფრთხილე მას თანდაყოლილი ჰქონდა. მან არ იცოდა პირველ ხანებში, თუ როგორი ტემპით წავიდოდა წინ რევოლიუციონური მოძრაობა გლეხკაცობაში; მან იცოდა მხოლოდ ის, რომ რევოლიუციონური მოძრაობის ცეცხლის გაჩაღება გლეხკაცობაში აუცილებელი იყო, რომ ეს მოხდებოდა მხოლოდ პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობის ზეგავლენით, და ლენინის მეცადინეობა, მისი მთავარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ სოც.-დემოკრატიას გამოეგლიჯა სხვა პარტიების ხელიდან, როგორიც იყვენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები სოციალისტ-რევოლიუციონერების, ტრუდოვიკების და კადეტების პარტიები, ხელმძღვანელობა გლეხებში რევოლიუციონური მოძრაობის გაღვიძებისა და განვითარებისა.

საჭიროა აღვნიშნოთ აქ ერთხელ და სამუდამოდ, რომ ამ ძირითად საკითხშიაც, როგორც აგრეთვე სხვა მთავარ საკითხებში თავიდანვე აღმოჩნდა ღრმა განსხვავება მაშინდელ სოც.-დემოკრატიის ორ ფრთას შორის, ე. ი. ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, მაშინ როცა ბოლშევიკები ყოველ ფეხის ნაბიჯზე საჭიროდ თვლიდენ გლეხობასთან და მის პარტიებთან დაკავშირებას და ერთად მოქმედებას არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ. მენშევიკები ამას ყოველთვის გაურბოდენ და იმავე დროს უფრო მიზანშეწონილად თვლიდენ დაკავშირებოდენ და შეეკრათ ბლოკი ისეთ ბურჟუაზიულ პარტიებთან, როგორიც იყო, მაგ., კადეტების პარტია, ე. ი. ლიბერალური ბურჟუაზიის და მემამულეების პარტიასთან.

როგორც ვთქვით ზევით, ლენინი მეტად დიდ სიფრთხილეს იჩენდა საგლეხო საკითხში. ასე მაგ., 1903 წელს, ე. ი. ჩვენი პარტიის მეორე ყრილობის დროს, როცა ჯერ კიდევ გამორკვეული არ იყო თუ რამდენად მომწიფებული იყო პირობები გლეხთა რევოლიუციონური მოძრაობისათვის, სოც.-დემ. პროგრამის პროექტში ლენინი აყენებს მხოლოდ ორ წინადადებას: 1) ეგრედ-წოდებულ

„ჩამონაჭრების“ შესახებ და 2) გამოსაყიდ „გადასახადების“ დაბრუნების შესახებ. მაგრამ წლინახევრის შემდეგ იგი რწმუნდება იმაში, რომ დადგა დრო, როცა უკვე შესაძლებელია და აუცილებელიცაა მემამულეების, ეკლესია-მონასტრების, მეფის გვარეულობის და საერთოდ ყველა კერძო მსხვილ მესაკუთრეთა ყველა მიწების ჩამორთმევა და იმათი გადაცემა საგლეხო კომიტეტებისთვის, რომლებიც თვით გლეხების მიერ იქნებიან არჩეულნი. ამნაირად ის, რაც პრეკრესიული და მიზანშეწონილი იყო წლინახევრის წინედ, ახლა 1905 წლის დასაწყისში უკვე დაძველებული იყო და აღარ შეეფერებოდა მდგომარეობას. ლენინი უყოყმანოდ აყენებს შესაფერ ლოზუნგებს გლეხკაცობის რევოლიუციონური მოძრაობის გაფართოვების და გაღრმავების მიზნით და იგი ჯერ კიდევ 1905 წლის დასაწყისში იძლევა იმ დიქტატურის სახეს, რომლის განხორციელება მხოლოდ 12 წლის ბრძოლის და ტანჯვის შემდეგ შეიქნა შესაძლებელი.

შეუძლებელია არ მოვიყვანოთ აქ მისი წინასწარმეტყველური სიტყვები, რომლებსაც იგი სწერდა რუსეთის პირველი რევოლიუციის დაწყების დროს, მარტის თვეში. სტატიაში „პროლეტარიატის და გლეხკაცობის რევოლიუციონურ დიქტატურა“-ში იგი სწერდა, სხვათაშორის, აი რას: „მართლაც, განა აშკარა არაა, რომ ბრძოლა რესპუბლიკის დასაპყრობად პროლეტარიატისთვის წარმოუდგენელია ხალხის წვრილბურჟუაზიულ მასასთან დაუკავშირებლად? განა აშკარა არაა, რომ პროლეტარიატის და გლეხკაცობის რევოლიუციონური დიქტატურის გარეშე არავითარი იმედი არაა ამ ბრძოლის გამარჯვებისათვის“? ან კიდევ იმავე წერილში: დროებითი მთავრობა შეუძლებელია იყოს რაიმე სხვა, თუ არა პროლეტარიატის და გლეხკაცობის რევოლიუციონური დიქტატურა“. მაშასადამე, ლენინმა დიდი ხნიდან ადრე იწინასწარმეტყველა დღევანდელი საბჭოთა ხელისუფლება მუშების და გლეხების რევოლიუციონური დიქტატურის სახით.

რა თქმა უნდა, მარტო წინასწარმეტყველება ამ შემთხვევაში არ კმარობდა. საჭირო იყო ამის შესაფერი პრაქტიკული მოქმედება და ტაქტიკა. რამდენადაც შესაძლებელი იყო პირველი რევოლიუციის ჩაქრობის შემდეგ დამდგარ რეაქციონურ ხანაში ბოლშევიკური პარტია, რომელიც ამ ხანებში უკვე საგანგებით გამოეთიშა მენშევიკურ პარტიას, ლენინის მეთაურობით ეწევა შესაფერ მუშაობას გლეხობაში, ამ დროს ისევ ჩამქრალი რევოლიუციონური ცეცხლის გასაღვივებლად. მაგრამ ლენინის მოქმედებამ გლეხთა საკითხის ირგვლივ ფრთები გაშალა საგანგებით მხოლოდ ჯერ 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის ხანაში და კიდევ უფრო ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, როგორც ვიცით, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მთავრობის სათავეში მოექცენ ერთი მხრით მენშევიკები და ესერები და მორეს მხრით წმინდა ბურჟუაზიული პარტიები (კადეტები და „ოქტომბრისტები“). ყველა ამათი მიზანი იყო რევოლიუციის ჩახჩობა და უკეთეს შემთხვევაში ბურჟუაზიული რესპუბლიკის დაარსება, თორემ კონსტიტუციონური მონარქი-

ითაც მშვენივრად დაკმაყოფილდებოდენ, ე. ი. ფაბრიკები, ქარხნები, რკინის გზები, მაღაროები ისევ კაპიტალისტების ხელში, მიწები კი მემამულეების ხელში. როგორც მენშევიკები და ესერები ერთი მხრით, ისე კადეტები[104]) და სხვა ბურჟუაზიული პარტიები მეორე მხრით ყოველი ღონისძიებით ცდილობდენ, რომ რაიმე ნაირად რევოლიუცია არ გადასულიყო სოფლად, ვინაიდან იმათ კარგად იცოდენ, რომ თუ ეს მოხდებოდა, მაშინ რევოლიუციის ჩაქრობა შეუძლებელი გახდებოდა. ბოლშევიკურმა პარტიამ. ლენინის მეთაურობით ჩაშალა ამ კონტრ-რევოლიუციონურ პარტიების ყველა გეგმა და მით იხსნა რუსეთის დიდი დევოლიუცია დამარცხებისაგან. თავის ცნობილ თეზისებში, რომლებიც წამოაყენა ლენინმა პეტერბურგში მისვლისთანავე 1917 წ. აპრილის 4 რიცხვიდან, იგი სწერდა: „აგრარულ პროგრამაში მთავარი ყურადღების გადატანა მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე თ ა დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ შ ი. ყველა მემამულეთა მიწების ჩამორთმევა (კონფისკაცია); ყველა მიწების სახელმწიფოს ხელში გადასვლა; ა მ მ ი წ ე ბ ი ს გ ა დ ა ც ე მ ა მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე ე ბ ი ს დ ა გ ლ ე ხ კ ა ც ო ბ ი ს დ ე პ უ ტ ა ტ ე ბ ი ს ს ა ბ ჭ ო ე ბ ი ს გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა შ ი“.

ყველა ეს დებულებები დადასტურებულ და განვითარებულ იქნა ცოტა ხნის შემდეგ პარტიულ კონფერენციაზე, აპრილის დასასრულს და ისინი დაედვა საფუძვლად ბოლშევიკური პარტიის სამოქმედო პროგრამას კერენსკის მთავრობის ხანაში. ლენინის მთავარ მიზანს ამ შემთხვევაში შეადგენდა გლეხკაცობის გადმოყვანა რევოლიუციის მხარეზე მისი დაინტერესება პროლეტარიატის რევოლიუციის გამარჯვებაში. მას უნდოდა ეჩვენებია გლეხებისთვის, რომ მენშევიკები და ესერები, რომლებიც მათ დაპირებებს აძლევენ და საქმით მათთვის არაფერს აკეთებენ, მათ უსინდისოთ ატყუებენ. 1917 წლის სექტემბრის თვეში ერთ თავის წერილში („რევოლიუციის ამოცანები“) ლენინი სწერდა, სხვათა შორის, აი რას: „საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა გამოაცხადოს კერძო საკუთრება მემამულეთა მიწებზე გაუქმებულად, გამოუყიდველად და უნდა გადასცეს ეს მიწები საგლეხო კომიტეტებს, ამავე კომიტეტებს უნდა გადაეცეს აგრეთვე მემამულეების ინვენტარიც (სამეურნეო იარაღები, საქონელი და სხვ.), რომლითაც სარგებლობის უფლება უწინარეს ყოვლისა უნდა მიენიჭოს ულარიბეს გლეხებს. ასეთი ზომები, რომლებსაც უკვე დიდი ხანია რაც თხოულობს გლეხკაცობის დიდი უმრავლესობა თავის ყრილობების დადგენილებებში და უთვალავ „ნაკაზებში“. ადგილებიდან (ცნობილი 242 „ნაკაზი“) ყ ო ვ ე ლ ი ვ ე პირობის გარეშე აუცილებელია და აუცილებლად გატარებულ უნდა იქნას ცხოვრებაში. ყოველგვარი გაჭიანურება და გადადება ამ შემთხვევაში, რასაც ადგილი ჰქონდა დროებითი მთავრობის დროს და რის გამო იტანჯებოდა გლეხკაცობა, შემდეგში დაუშვებელია. ყოველივე მთავრობა, რომელიც დაიყოვნებდა ამ ზომების მიღებას, უნდა გამოცხადებულიყო ხალხის საწინააღმდეგო მთავრობად, რომელიც ღირსი იქნებოდა იმის, რომ ის ჩამოეგდო ხალხის აჯანყებასო“.

და მართლაც, ოქტომბრის რევოლიუციის მოხდენის მეორე დღესვე საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა მ ი წ ი ს დ ე კ რ ე ტ ი,[105]) რომელიც სამუდა-

შოდ აუქმებდა კერძო საკუთრებას ყველა მემამულეების მიწებზე და რომელიც ამ მიწებს ანიჭებდა საგლეხო კომიტეტებს იმათ განკარგულებაში თანახმად 242 საგლეხო „ნაკაზებისა". ე. ი. რასაც ესერების პარტია რამდენიმე თვის განმავლობაში სიტყვით პირდებოდა გლეხებს, ოლონდ კი ისინი გაჩერებული ყოფილიყვენ და დამშვიდებულიყვენ, საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლშევიკების მეთაურობით, მეორე დღესვე მიანიჭა გლეხებს. ესერები გაბრაზებით აცხადებდენ, რომ ბოლშევიკებმა და ლენინმა ჩვენ პროგრამა მოგვპარაო. მით უარესი ამ ვაებატონებისათვის. იმათ დიდი ხნით ადრე შეეძლოთ იმის განხორციელება, რაც ბოლშევიკებმა ასეთი გაბედულებით განახორციელეს, როგორც კი მთავრობას სათავეში მოექცენ.

რა თქმა უნდა, ეს კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ რევოლიუცია ამით უნდა დამთავრებულიყო. აქ ჯერ გლეხკაცობისათვის ხდებოდა მხოლოდ ბურჟუაზიული რევოლიუცია ბატონ-ყმობის ყოველივე ნაშთების და მემამულეების მიწათმფლობელობის წინააღმდეგ. სოფელს ჯერ არ განეცადა კლასობრივი ბრძოლა. მაგრამ ოამდენადაც სოფლადაც უნდა გაჩაღებულიყო ის ბრძოლა, რომელიც ხდებოდა ქალაქში, იმდენად გლეხკაცობის შესახებ ჩვენი ტაქტიკა და ურთიერთობა უნდა გართულებულიყო. ასეც მოხდა. 1918 — 1919 წლებში იქ ხდებოდა ნამდვილი ხელჩართული სამოქალაქო ომი სოფლის ბურჟუაზიისა და სოფლის ღატაკ გლეხკაცობის შორის. ეს მდგომარეობა საუკეთესოდ დაახასიათა უკვე თვით ლენინმა თავის მოხსენებაში პარტიის მერვე ყრილობაზე 1919 წლის მარტის თვეში. ამ მოხსენებაში (მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ) ლენინი ამბობდა: „1917 წელს, ოქტომბერში, ჩვენ ვიღებდით ხელში სახელმწიფო ძალა-უფლებას ერთელ გლეხობასთან ერთად. ეს იყო ბურჟუაზიული რევოლიუცია, რამდენადაც კლასობრივ ბრძოლას სოფლად ჯერ კიდევ ფრთები გაშლილი არ ქონებია... მხოლოდ 1918 წელს ზაფხულში დაიწყო ნამდვილი პროლეტარული რევოლიუცია სოფლად. ამ რევოლიუციის მოხდენა რომ არ შეგვძლებოდა ჩვენ, ჩვენი მუშაობა არ ივარგებდა. პირველი ეტაპი ამ რევოლიუციაში იყო გამოყოფა სოფლად პროლეტარულ და ნახევრად პროლეტარულ ელემენტების და დაკავშირება იმათი ქალაქის პროლეტარიატთან სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეს ეტაპი უკვე განვლილია. ის ორგანიზაციები, რომლებიც ჩვენ ამ საქმისთვის შევქენით, — ღატაკთა კომიტეტები, იმდენად გამაგრდენ, რომ ჩვენ შეგვიძლია ახლა იმათი გამოცვლა წესიერად არჩეულ საბჭოებით, ე. ი. სოფლის საბჭოების ისე მოწყობა, რომ ისინი შეიქნენ პროლეტარული ხელისუფლების ორგანოებად სოფლად. ეს საქმე ჩვენ დავამთავრეთ და ახლა რიგში დადგა მეორე უფრო რთული საკითხი: ურთიერთობა და დამოკიდებულება საშუალო გლეხთან".

ეს საშუალო გლეხობა, როგორც ვიცით, მთელი გლეხკაცობის ერთ უდიდეს ნაწილს შეადგენდა და შეადგენს დღესაც. დამოკიდებულებას გლეხკაცობის ამ ნაწილის რევოლიუციასთან, ე. ი. უკანასკნელ ანგარიშში საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომუნისტურ პარტიასთან, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. საქმე იმაში იყო, რომ იმ სამოქალაქო ომის დროს, რომელიც

სოფლად გაჩაღდა 1918 წელს და რომელიც აუცილებლად უნდა გაჩაღებულიყო, სოფლის ბურჟუაზიასთან (კულაკები) ერთად საშუალო გლეხკაცობაც იქნა შევიწროებული, მასაც ბევრი უსიამოვნება მიაყენეს მისი ქონების კონფისკაციის თუ სხვა რეპრესიული ზომების საშუალებით. ამით საშუალო გლეხკაცობა შესაძლებელი იყო სრულიად ჩამოგვეშორებია რევოლიუციისაგან და მის მტრად გვექცია. და აი სწორედ აქ იყო დროზე საჭირო ზომების მიღება ამის წინააღმდეგ, რომ როგორც პარტიის, ისე ხელიუფლების დროზე შეეგნო ნამდვილი შეხედულება საშუალო გლეხობაზე.

პარტიის მერვე ყრილობამ ამ მხრით დასაწყისი მისცა შემობრუნებას ჩვენ დამოკიდებულებაში საშუალო გლეხკაცობასთან. ეს შემობრუნება, ეს ახალი ტაქტიკა გლეხკაცობის წინაშე სავსებით განმარტა და განსაზღვრა მაშინაც ლენინმა. ლენინმა თავის მოხსენებაში ამ ყრილობაზე სავსებით ამოსწურა ეს საკითხი. მან მოიყვანა მარქსიზმის ყველა წინანდელი თეორეთიკოსების აზრი ამის შესახებ და განსაკუთრებით ენგელსის სიტყვები. როგორც თვით მარქსი და ენგელსი, ისე კაუცკიც, როცა იგი კიდევ მარქსისტი იყო, ამტკიცებდენ, რომ სოციალისტური რევოლიუციის ხანაში, როცა ერთიერთმანეთს ებრძვიან ბურჟუაზია და პროლეტარიატი, გლეხკაცობა ნეიტრალური უნდა გავხადოთ, ე. ი. რომ იგი ბურჟუაზიის მხარეზე არ უნდა გადავიდესო. ლენინი უთითებდა იმაზე, რომ ჯერ კიდევ ენგელსმა სამ ნაწილად დაჰყო გლეხკაცობა: წვრილი, საშუალო და მსხვილი. ენგელსი ამბობდა: „შეიძლება მსხვილი გლეხკაცობის ძალდატანებით შევიწროებაც (подавление насилием) არ იქნეს ყოველგან საჭიროვო“. და საშუალო გლეხკაცობას რომ ძალდატანებით მივაყენოთ რაიმე შევიწროება, ეს არ უფიქრია არასოდეს აროც ერთ გონიერ სოციალისტს. ეს თვალთახედვის წერტილი ჩვენ გვითითებს იმ ჭეშმარიტებაზე, რომელსაც ხშირად ივიწყებენ, მაგრამ რომლის შესახებ თეორიულად ყველანი თანახმანი არიან. მემამულეების და კაპიტალისტების მიმართ — სრული ექსპროპრიაცია. მაგრამ „არავითარი ძალდატანება საშუალო გლეხობის მიმართ“. აი რას ამბობდ ლენინი 1919 წლის დასაწყისში, როცა სამოქალაქო ომს სოფლად ჯერ კიდევ გამწვავებული ხასიათი ჰქონდა. იგი გადაჭრით მოითხოვდა, რომ იმ გადახრას და უწესოებას საშუალო გლეხობის მიმართ, რასაც ადგილი ჰქონდა ცხოვრებაში, დაუყოვნებლივ მოღებოდა ბოლო. ამას თხოულობდა მისი აზრით არა მარტო გლეხკაცობის ინტერესი, არამედ თვით რევოლიუციის ინტერესიც. ახლა ყველამ კარგად იცის, თუ რა გამოიწვია გლეხკაცობაში უხეშმა ტაქტიკამ. გლეხები ხშირად გაიძახოდენ: გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას, მაგრამ ძირს კომუნიაო, ე. ი. კომუნისტებიო. ლენინი რამდენიმეჯერ უსობდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ძალდატანებით ჩვენ აქ ვერაფერს ვერ მივაბწევთო. „ძალდატანება საშუალო გლეხკაცობის მიმართ წამოადგენს უდიდეს ბოროტებას“-ო, ამბობდა თავის მოხსენებაში. „საშუალო გლეხის ექსპროპრიაციაში კი არაა დღეს ჩვენი ამოცანა — ამბობდა იგი — არამედ იმაში, რომ გლეხებისგან ვისწავლოთ როგორ უნდა გადავიდეთ უკეთეს წესებზე და არ უნდა გავბედოთ ბრძანებლობა, — წესი, რომელიც ჩვენ მიზნად დავისახეთო“.

მართალია, ლენინის დასახელებულმა მოხსენებამ მერვე ყრილობაზე და იქ მიღებულმა დადგენილებამ საშუალო გლეხობის და სოფლად მუშაობის შესახებ საქმე გამოაუმჯობესა, მაგრამ ეს კიდევ არ ქმაროდა. სამი წლის განმავლობაში განუწყვეტელმა სამოქალაქო ომმა სასოფლო მეურნეობა სულ მთლად გაანადგურა; გლეხკაცობა იბრძოდა მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ ქალაქის მუშებთან ერთად, მაგრამ მას აღარაფერი შერჩა, არც პური, არც ტანსაცმელი, იგი დაიმშა და გატიტვლდა. საბჭოთა ხელისუფლება თხოულობდა მისგან პურს წითელი ჯარის და ქალაქის მუშების გამოსაკვებად. მაგრამ გლეხკაცობა სამაგიეროს ვერაფერს იღებდა. მან ბევრი ითმინა, მაგრამ მეტი თმენა მას აღარ შეეძლო. 1920 წლის ბოლოს და განსაკუთრებით 1921 წლის დასაწყისში გლეხებში გაისმის უკვე დიდი დრტვინვა და უკმაყოფილება. სურსათის გაწერის პრაქტიკა აუტანელი შექნა. ამან პოვა თავს გამოძახილი 1921 წელს მარტის თვეში კრონშტატდის აჯანყებაშიაც. საჭირო იყო ამ უკმაყოფილების დანახვა, მისი განსჯვრეტა ისეთი შორსმხედველი თვალით, რომელიც მარტო ლენინს ჰქონდა. მან თავის შორსმჭვრეტელი თვალით დაინახა, რომ სურსათის გაწერის პოლიტიკა და პურის ყიდვის მონოპოლია უნდა შეიცვალოს, თორემ პროლეტარიატის და გლეხკაცობის კავშირს საფრთხე მოელის. თავის მოხსენებაში მეათე ყრილობაზე [106]) მან განაცხადა: „ჩვენ ვიცით, რომ მხოლოდ შეთანხმებას გლეხკაცობასთან შეუძლია დაიხსნას სოციალისტური რევოლიუცია რუსეთში, სანამ ეს რევოლიუცია არ მომხდარა სხვა ქვეყნებშიო“. ეს შეთანხმება მაშინ თხოულობდა დათმობას გლეხების მიმართ, სურსათის გაწერის მაგიერ სასურსათო გადასახადის შემოღებას და პურის კაჭრობის თავისუფლებას. პროლეტარიატის გენიოსმა ბელადმა იხსნა რევოლიუცია იმ განსაცდელისაგან, რომელიც მას აუცილებლად უნდა დასტეხოდა თავზე. მაგრამ ცხოვრება ხომ არა დგას ერთ და იმავე წერტილზე. ის მუდამ მოძრაობაშია. ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც დაიწყო 1921 წელს სასურსათო გადასახადის და პურის თავისუფალი ვაჭრობის შემოღებით, თხოულობდა სახელმწიფო მსხვილ წარმოებასა და საგლეხო წარმოებას შორის კავშირის ჩამოგდებას, ე. ი. ქალაქის მუშების და გლეხების დ ა კ ა ვ შ ი რ ე ბ ა ს (смычка). და ერთი წლის შემდეგ პარტიის მეთერთმეტე ყრილობაზე [107]) ლენინი არკვევს ამ დაკავშირების პირობებს. იგი ამბობდა თავის მოხსენებაში: „ამ კავშირზე უნდა მიუთითოთ, რომ ის ნათლად დაინახონ, რომ მთელი ხალხი ხედავდეს მას... ჩვენი მიზანია, განვაახლოთ ეს დაკავშირება, დ ა უ მ ტ კ ი ც ო თ გ ლ ე ხ ო ბ ა ს, რომ ჩვენ ვიწყებთ ი ქ ი დ ა ნ, რ ა ც მ ი ს თ ვ ი ს გ ა ს ა გ ე ბ ი ა, რაც მან იცის და რაც მისთვის მ ი ს ა წ ვ დ ო მ ი ა ეხლავე მისი ლატაკი ცხოვრებისათვის, და არა რაღაც შორიდან ფანტასტიურიდან გლეხის თვალსაზრისით და დაუმტკიცოთ იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია მას დავეხმაროთ, რომ კომუნისტები მას ეხმარებიან იმ დროს, როცა იგი განიცდის საშინელ აუტანელ მდგომარეობასო“.

ეს იყო უკანასკნელი პარტიული ყრილობა, რომელსაც ლენინი დაესწრო. მას ჩქარა მოუსწრო საშინელმა ავადმყოფობამ. მაგრამ იგი მაინც ემზადებოდა მეთორმეტე ყრილობისათვის, ამზადებდა ახალ მასალებს გლეხკაცობის მდგო-

მარეობის გასაუმჯობესებლად და მასთან მტკიცე კავშირის შესაქმნელად და გასამაგრებლად. და თუმც მას აღარ შეეძლო თვით ყრილობაზე პირადათ დასწრება და ხელმძღვანელობა, მაგრამ იქ წარდგენილი იყო მისი წინადადებები მისიეე განმარტებებით.

ახლა იგი უწინარეს ყოვლისა ზრუნავდა მუშებისა და გლეხების დაახლოვების, მათში მჭიდრო ურთიერთობის კონკრეტიულ ფორმების გამონახვისთვის. იგი გვითითებდა სახალხო მასწავლებლის როლზე და კიდეე ამ ურთიერთობის ერთ ახალ ფორმაზე — მ უ შ ე ბ ი ს შ ე ფ ო ბ ა ზ ე ს ო ფ ე ლ ზ ე. „უნდა დავიწყოთ იქიდან, რომ დავამყაროთ ურთიერთობა ქალაქსა და სოფელს შორის, მაგრამ არას შემთხვევაში იმ მიზნით, რომ შევიტანოთ სოფელში კომუნიზმი. ასეთი მიზნის მიხწევა დღეს-დღეობით შეუძლებელია. ასეთი მიზანი უდროოა. ასეთი მიზნის დასახვა სარგებლობის მაგიერ ვნებას მოუტანს საქმესო“.

„მაგრამ — განაგრძობდა ლენინი — დამყარება ურთიერთობის და ე რ თ ს უ ლ ო ვ ნ ო ბ ი ს ქ ა ლ ა ქ ი ს მ უ შ ე ბ ს ა დ ა ს ო ფ ლ ი ს მ შ რ ო მ ე ლ ე ბ თ ა შ ო რ ი ს, დ ა მ ყ ა რ ე ბ ა მ ა თ შ ო რ ი ს ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ი ს ი მ ფ ო რ მ ი ს ა, რ ო მ ე ლ ი ც მ ა თ შ ო რ ი ს ა დ ვ ი ლ ა დ შ ე ი ძ ლ ე ბ ა რ ო მ შ ე ი ქ ნ ა ს, ე ს ჩ ვ ე ნ ი მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა ა, ე ს მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ე რ თ ი უ მ თ ა ვ რ ე ს ი ა მ ო ც ა ნ ა თ ა გ ა ნ ი ა, იმ მუშათა კლასის, რომელიც ხელისუფლების სათავეში დგასო“.

სხვა თავის უკანასკნელ წერილებში, რომლებსაც ლენინი მძიმე ავადმყოფი უკარნახებდა გადამწერს, იგი ეხებოდა სოფლის საბჭოთა აპარატს; მას აწუხებდა ის გარემოება, რომ ეს აპარატი არ ვარგოდა, რომ ის ჩვენ არ გვეკუთნოდა, რომ ეს აპარატი, ე. ი. მისი შემადგენლობა, ანუ ადამიანური მასალა, რომლისგანაც ის შესდგებოდა, ძველი ბიუროკრატიული წესწყობილებიდან გადმოცემული იყო, იგი გვითითებდა ამ აპარატს გაუმჯობესების ერთ საშუალებაზე. ს ა კ ო ნ ტ რ ო ლ ო კ ო მ ი ს ი ი ს დ ა მ უ შ ა თ ა დ ა გ ლ ე ხ თ ა ინ ს პ ე ქ ც ი ი ს გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ა ზ ე. მეთორმეტე ყრილობამ [109]) მიიღო ყველა ეს წინადადებები, როგორც ლენინის უკანასკნელი ანდერძი.

ერთი წელიწადი გავიდა, რაც ლენინი ფიზიკურად სამუდამოთ მოგვშორდა. პარტია და ხელისუფლება საზრდოობს მისი იდეებით, მისი მაგალითით, მისი სიტყვით და საქმით. მის დიდ ანდერძებში, რომლებიც მან ჩვენ გაღმოგვცა და დაგვიტოვა, რათა მოვუაროთ და განვახორციელოთ, პირველი ადგილი უთუოდ უჭირავს პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ს ა დ ა გ ლ ე ხ კ ა ც ო ბ ი ს შ ო რ ი ს მ ტ კ ი ც ე დ ა შ ე უ რ ყ ე ვ ე ლ ი კ ა ვ შ ი რ ი ს შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ა ს. ჩვენ ეს ანდერძი უნდა შევასრულოთ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ესაა თავდები რევოლიუციის გამარჯვებისა ჩვენში იმ რთულზე ურთულეს პირობებში, რომლებშიაც ჩვენ გვიხდება სოციალისტურ წესწყობილებაზე გადასვლა, ერთი მხრით მეტად ჩამორჩენილ ქვეყანაში და მეორე მხრით ირგვლივ მტრებით გარემოცულ ქვეყანაში.

გაზეთი „მუშა“
1925 წლის 21 იანვარი
№ 17 (652).

# მიწის საკითხეგი

მიწის საკითხი საერთოდ ყოველთვის ითვლებოდა არა თუ ყველაზე უფრო მწვავე, არამედ ყველაზე უფრო რთულ საკითხად. ასეთსავე მდგომარეობაში დარჩა ეს საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დროსაც. ბევრ გულუბრყვილოთ მართლაც ეგონათ, რომ მიწის საკითხის გადაჭრა ერთი დაკვრით ან ერთი კალმის მოსმით შეიძლებოდა.

მართალია, საბჭოთა ხელისუფლებამ გადაჭრა ამ საკითხის ერთი მხარე, თუმც ყველაზე უფრო საყურადღებო, ყველაზე უფრო არსებითი მხარე. ჩვენ ვამბობთ მიწის ნაციონალიზაციაზე, ე. ი. მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობაზე. ამნაირად საბჭოთა ტერიტორიაზე მიწა გამოცხადდა მუშების და გლეხების სახელმწიფოს კუთნილებად.

ამ აქტით ისპობა მიწის ყიდვა-გაყიდვა, მიწით ვაჭრობა-აღებმიცემობა, ანუ სპეკულიაცია. მშრომელს ენიჭება მიწის სარგებლობის უფლება. ეს დებულება საბჭოთა წესწყობილებისთვის ყოვლად უდავო და ურყეველია, ასე რომ მასში რაიმე ცვლილების, შესწორების ან კორექტივის შეტანა ყოვლად შეუძლებელია და დაუშვებელი. და თუ ჩვენ აქ კვლავ დაგვჭირდა ამ დებულებაზე მითითება, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ უკანასკნელ დროს მიწის შესახებ ადგილი აქვს ზოგიერთ შემთხვევაში ისეთ გადახრას და ისეთ ახსნა-განმარტებას, რომლებიც საფრთხეში აყენებენ მიწის ნაციონალიზაციის პრინციპს და რომლებც შესაძლებლად გახდიან ფაქტიურად მიწის ყიდვა-გაყიდვის დაკანონებას, რაც თანახმად ჩვენი მიწის კოდექსის 25 მუხლისა [92]) კატეგორიულად აკრძალულია.

რათ ხდება ეს? რაში მდგომარეობს ამის მთავარი მიზეზი? რომ ეს მიზეზი ანუ მიზეზები უფრო ადვილად გავიგოთ, მე მოვიყვან აქ შემდეგ შემთხვევას. დაახლოვებით ამ ერთი თვის წინად გაზ. „კომუნისტში" (№ 123), იურიდიულ რჩევა-დარიგების განყოფილებაში მოთავსებული იყო ახსნა-განმარტება მიწის შესახებ ერთი შეკითხვის გამო. მე საჭიროდ მიმაჩნია საქმის გამოსარკვევად, როგორც ეს შეკითხვა, ისე ამ შეკითხვაზე პასუხი მოვიყვანოთ აქ სიტყვა-სიტყვით.

„მაქვს თუ არა უფლება ლიკვიდაცია უყო ქონებას და გადმოვსახლდე ქალაქში.

კ ი თ ხ ვ ა:

მე ვცხოვრობ სოფ. სუჩხეში (სენაკის მაზრა) ვარ ქვრივი. მე გარდამეცვალა შვილიც და ოჯახში დავრჩი უმუშევრად 60 წლის მოხუ-

ცებული, რის გამო იძულებული ვარ გადავსახლდე ქალაქ ტფილისში ჩემს უფროს შვილთან (რკინის გზის მუშაა); მას აკავს ხუთი სული შესანახი, ჯამაგირს იღებს მეხუთე ხარისხით 22 მანეთს; მაქვს საკუთრებაში ეზო შემოვლებული ღობით, სადაც სდგას ერთი ოდა თავის ბეღელით და სამეურნეო მოწყობილობით; მოშენებულია ვენახი და ნამყენი ხეხილი და საკუთარი შრომით გაშენებულია თხმელის ტყე.

ამ სახლკარის მიდამოების (თავის ნაშენით) სივრცე შეადგენს 3 ქცევას; ამას გარდა კიდევ მაქვს გაცალკევებულად სახნავ-სათესი მიწა, დამუშავებული საკუთარი შრომით.

მევაჭრება ამავე სოფლის გლეხი, რომელიც სცხოვრობს ამავე სოფელში უვარგის ხრიოკ ალაგას; ვინაიდან მე ვარ გაქირავებული და მამულის მოვლა არ შემიძლია, მინდა მივყიდო მამული ზემოაღნიშნულ გლეხს და ლიკვიდაცია უყო ჩემს ქონებას და გადმოვსახლდე ქალაქში შვილთან.

ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარე არ მაძლევს გაყიდვის უფლებას და ყოველმხრით ხელს მიშლის.

გთხოვთ მიპასუხოთ, მაქვს თუ არა უფლება ლიკვიდაცია უყო ჩემს ქონებას (გავყიდო სურვილისამებრ) და გადმოვსახლდე ქალაქში.

მიწის მუშის ქვრივი ქრისტინე, საღარსიშვილი".

როგორც ხედავთ, ეს ნამდვილი ტიპიური შემთხვევაა. ასეთი მაგალითები ჩვენ ცხოვრებაში მრავალია. კითხვა ნათლად და აშკარად არის დაყენებული. შემკითხველი თხოულობს მიწის გაყიდვის უფლების მინიჭებას; არც მეტი არც ნაკლები. ეს კი დაუშვებელია ჩვენი მიწის კოდექსის ძალით. როგორ პასუხს აძლევს მას „კომუნისტი" — იურისტი? მოგვყავს აქ ეს პასუხიც სიტყვა-სიტყვით.

პ ა ს უ ხ ი:

„მიწა-წყალი და ტყე შეადგენს რესპუბლიკის საკუთრებას. ამიტომ მათზე მოსპობილია კერძოსაკუთრებრივი უფლებები. მათი (მიწა-წყლის და ტყის) გაყიდვა აკრძალულია — და ამაში დამნაშავენი დაისჯებიან სისხლის სამართლის კოდექსის ძალით (ჩამოერთმევათ აგრეთვე გაყიდული მიწა-წყალი); სხვა ქონების (სახლის და სხვა ნაშენის, შენობების, ვენახის, ბოსტნის, მცენარის, ბაღის და ნათესის) გაყიდვის უფლება თქვენ გაქვთ, ვინაიდან ყველა ეს გეკუთვნით თქვენ) იხ. მიწის კოდექსის მუხ. 23).

გაქვთ უფლება გადასახლდეთ ქალაქში, მხოლოდ დღიდან თქვენი ქალაქში გადასახლებისა სამი წლის განმავლობაში თქვენ უნდა მოახდინოთ ძველ ბინადრობაზე თქვენი ქონების (შენობების, ნაშენის ბაღ-ბოსტნის და მიწაში შეტანილ გაუმჯობესებისა) სრული ლიკვიდაცია. (იხ. მიწ. კოდექსი მუხ. 170)".

ამ პასუხში ყველაფერი არეულია. სახლი, შენობა, ბაღი, ვენახი, მცენარე — ყველა ერთ კალათშია მოთავსებული. ამავე დროს, თუმც ერთი მხრით პასუხის ავტორი აცხადებს, რომ მიწის და ტყის გაყიდვა აკრძალულია, მაგრამ მეორე

მხრით მისი პასუხი ფაქტიურად აკანონებს სწორედ მიწის გაყიდვას. აბა ერთი დაფიქრდით იმაზე, თუ როგორ შეიძლება ვენახის და ბაღის გაყიდვა სინამდვილეში? განა ეს არ ნიშნავს არსებითად მიწის გაყიდვას? რომ ავიღოთ მარტო საქართველო, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ერთი მესამედი ნაწილი მაინც ყველა დამუშავებული მიწებისა შეიცავს აქ ვენახებს, ან ბაღებს. თუ დავეთანხმეთ ზევით დასახელებულ პასუხის ავტორს, გამოდის, რომ ჩვენ უნდა დავუშვათ ყველა ამ მიწების ყიდვა-გაყიდვა, ისე კულტურულ სასოფლო მეურნეობას ჩვენ ვერ წავსწევთ წინ, ვერ ავაყვავებთო, მაგრამ თუ ჩვენ დავეთანხმებით ზემოთ მოყვანილ „პასუხის“ ავტორს და გავყვებით მის ლოღიკას, ჩვენ ეს ლოღიკა აუცილებლად მიგვიყვანს იმ დასკვნამდე, რომ საერთოდ უნდა დაუშვათ მიწის ყიდვა-გაყიდვა, ე. ი. გავაუქმოთ მიწის ნაციონალიზაცია, რაც ნიშნავს ოქტომბრის დიდი რევოლიუციის ერთი უდიდესი მონაპოვარის გაუქმებას. აშკარაა, რომ ამას ჩვენ ვერ დაუშვებთ. მაგრამ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს კი მიწის ყიდვა-გაყიდვის დაკანონება სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის?

ზემოთ მოყვანილ ახსნა-განმარტებას მე თავის დროზე მივაქცივ სათანადო ყურადღება და მოვითხოვე ვისგანაც ჯერ იყო, თუ რაზე ეყრდნობოდა ხსენებული ახსნა-განმარტების ავტორი, როცა იგი ასეთ პასუხს იძლეოდა. გამოირკვა, რომ ავტორი ემყარებოდა ერთი მხრით თვით ჩვენი მიწის კოდექსის 23 მუხლზე და მეორე მხრით მიწათმოქმედების ზოგიერთ სპეციალისტების განნარტებაზე, რომლებც მათი აზრით თითქო ლოღიკურად გამომდინარეობენ მიწის კოდექსის დასახელებული მუხლიდან. რას ამბობს ეს მუხლი? იქ ჩვენ ვკითხულობთ: „ყველა ნაგებობა, შენობა, ნათესი, მცენარე და, საერთოდ, ყველაფერი, რაც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთთან და რაც მიწის მუშის სარგებლობაშია, ეკუთვნის მას“. უნდა აღვნიშნოთ აქ, რომ ეს მუხლი სიტყვა-სიტყვით ნათარგმნია რუსეთის მიწის კოდექსიდან.

უნდა ითქვას, რომ ეს მუხლი როგორც ქართული, ისე რუსულ კოდექსში შეტად ბუნდოვანია და მას შეუძლია გამოიწვიოს მრავალგვარი გაუგებრობა. მაგრამ ჩემის აზრით, რამდენადაც ეს მუხლი არ უნდა იყოს ბუნდოვანი, ყოველ შემთხვევაში იქიდან ყოვლად შეუძლებელია იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ჩვენი მიწის კოდექსის ძალით ვითომც შეიძლებოდეს ვენახის ან ბაღის გაყიდვა ან ყიდვა. როცა ხსენებულ ამხანაგებს მე ასე დაუყენე საკითხი, იმათ თავის მხრით სცადეს დაეცვათ თავისი დასკვნები შემდეგი მოსაზრებით: 1. ამ საკითხს აყენებს დღეს თვით ცხოვრება და ჩვენ იძულებული ვართ ანგარიში გაუწიოთ; 2. თუ მიწის მოსარგებლეთ ჩვენ არ მივეცით ვენახის, ბაღის და საზოგადოთ ძვირფას მცენარეების პლანტაციების ყიდვა-გაყიდვის უფლება, ისე, შეუძლებელი შეიქნება ჩვენში სასოფლო მეურნეობის განვითარებაო; და 3. ასეთი დათმობა უკვე დაშვებულია რუსეთის საზღვრებში მაგ., გერმანელების რესპუბლიკაშიო.

ყველა ეს მოსაზრებები რამდენიმედ განმეორებული იქნა შემდეგ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლების მხრით სოფლის საკითხების გასარჩევად მოწვეულ თათბირზე, როცა მიწის იჯარით გაცემის ვა-

დაზე იყო მსჯელობა. ამიტომ ჩვენ სავალდებულოთ მიგვაჩნია მოკლეთ უპასუხოთ ამ მოსაზრებებზე.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა სოფლად ხდება, რა თქმა უნდა, საიდუმლოდ. ამ მოვლენის აღმოფხვრა ერთბაშად არ შეიძლება. მაგრამ ამ საბუთის ძალით შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავაკანონოთ მიწის ყიდვა-გაყიდვა? არა. ჩვენ ეს არ შეგვიძლია და არც გვაქვს ამის უფლება. ამის დაშვება იქნებოდა კვლავ დიდძალი მიწების მოგროვება ზოგიერთების ხელში და უმიწაწყლო გლეხების ახალი კადრების გაჩენა. მართალია, ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ ცხოვრების მოთხოვნილებებს, მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ წვრილბურჟუაზიულ სტიქიას სავსებით დავემორჩილოთ და მისი მაჩანჩალა შევიქნეთ. რომ ამ სფეროში ჩვენ დღეს მძლავრად გვაწვება წვრილბურჟუაზიული სტიქია — ეს უეჭვოა, მაგრამ განა ჩვენ გულზე ხელები უნდა დავიკრიფოთ და დავიჩოქოთ მის წინაშე? არავითარ შემთხვევაში, პირიქით ჩვენ უნდა ვაწარმოოთ სტიქიის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა მის დასაძლეევათ, რა თქმა უნდა გონივრული ეკონომიური ზომების საშუალებით. ასეთი ზომები უკვე არსებობენ და ჩვენ ისინი უნდა გამოვიყენოთ. რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, უნდა განვაცხადოთ, რომ სასოფლო მეურნეობაში ინტენსიური მეურნეობის განვითარებას ხელს უშლის არა მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა, არამედ სულ სხვა გარემოებები, რომელთა შორის მე დავასახელებ აქ უმთავრეს სამს.

1. მიწების უთავბოლო, უსისტემოდ დაუსრულებელი ჩამორთმევა და შემდეგ ამ მიწების უკანონოდ მითვისება. ეს მოვლენა დღემდისაც გრძელდება. ამ ვაკხანალიას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს; 2. მიწის მოუწყობლობა თანახმად ახალი კოდექსისა, მიწის მოსარგებლეებმა არც კი იციან, დარჩებათ იმათ სარგებლობაში ის ნორმა, რომელიც მათ ამჟამად დატოვებული აქვთ, თუ არა. ამიტომ ჩვენი ამოცანაა არა მიწის ყიდვა-გაყიდვის დაშვება, არამედ მიწის მოწყობის საქმის დაჩქარება, ეს უთუოდ მისცემს დიდ იმპულსს სასოფლო მეურნეობის განვითარებას, და 3. სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების საქონლიანობის განვითარება ამ ნაწარმოებისათვის ბაზრის მოპოებით. ვინ არ იცის, რომ ეს საქონლიანობა დღეს დაცემულია, როცა ჩვენი მეურნეობის ნაწარმოებს (თამბაქოს, ჩაის, ღვინოს, ხეხილის და სხვ.), ბაზარი არა აქვს და ამიტომ ყოველივე ეს ან ჩალის ფასად იყიდება ან სრულიად ფუჭდება და იკარგება. ყველა ამ ნაწარმოებთა მოყვანა, კულტურა, ჩვენში ერთი ათად გაიზრდებოდა, თუ რომ იმათთვის უზრუნველყოფილი იქნებოდა ხელსაყრელ პირობებში გასაღება. აი რისთვის უნდა ვიზრუნოთ ჩვენ დღეს. მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა აქ სრულებით არაფერ შუაშია.

ბოლოს მესამე საბუთი, რომ თითქოს მიწის კოდექსში იყოს ტენდენცია მიწის ყიდვა-გაყიდვის დასაშვებლად. ეს მოსაზრება ყოველად უსაფუძვლოა, ვინაიდან აქ ასეთ ტენდენციას ადგილი არა აქვს.

ასეთია მიწის საკითხის ვითარება ყიდვა-გაყიდვის მხრივ. აშკარაა, რომ წვრილბურჟუაზრული სტიქია ამ სფეროში განსაკუთრებით გვაწვება და ლამობს მუშათა კლასის ერთი უდიდესი გამარჯვების გაქარწყლებას. მაგრამ მეორე

მხრივ ისიც აშკარაა, რომ ამ მოწოლას ჩვენ მთელი ენერგიით, გადაწყვეტით უნდა შევებრძოლოთ და არ მივცეთ საშუალება, რომ მან ჩვენ გვძლიოს.

დეე, იცოდეს ყველამ, რომ მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობა დაკანონებულია საბოლოოდ და ურყევლად და ეს კანონი უცვლელად უნდა გატარდეს ცხოვრებაში. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მიწის საკითხის ირგვლივ ჩვენ არ გვიდგას წინ გადასაჭრელად კიდევ სხვა მრავალი არსებითად უფრო წვრილმანი საკითხები. მრავალი ამ საკითხებიდან მეტად ძნელი გადასაჭრელია. მაგრამ ჩვენ, იმათ ვწყვეტთ.

ამ საკითხებს მე ვეცდები დაუბრუნდე შემდეგ წერილში. [22])

გაზეთი: „კომუნისტი“,
1925 წლის 10 ივლისი,
№ 156 (1311).

# ნაწილი მეოთხე




ფ. მახარაძე.

# სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია

ცფილისი
1928

პირველი გამოცემის გარეკანი

# სოფლის მეურნეოგის კოლექტივიზაცია

## I

როგორც ვიცით, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია არის პირდაპირი გზა სოციალისტური მიწათმოქმედებისაკენ.

სხვა გზა ამ მზნის განსახორციელებლად არ არსებობს. ჯერ კოოპერაცია: სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნერ, ე. ი. ერთი — ქალაქის ნაწარმოების შეძენა და მეორე მხრით — სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გასაღება გლეხკაცობის კოოპერაციაში გაერთიანების საფუძველზე, და შემდეგ უკვე თვით სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწყობა — ორგანიზაცია ცალცალკე დაქსაქსულ გლეხ-მეურნეობათა შეკავშირების საფუძველზე.

ასეთია სოციალისტური მრეწველობის გვერდით სოციალისტური მიწათმოქმედების ორგანიზაციის პირდაპირი გზა.

ჩვენ ვიცით, რომ ეს გზა ადვილი არაა, პირიქით, სოფლის მეურნეობაში სოციალიზმის განხორციელება წარმოადგენს მეტად რთულს და მეტად ძნელ ამოცანას. და აი ეს უდიდესი ამოცანა დგას დღეს ჩვენს წინაშე არა თეორეტიულად, არა განყენებულად, არამედ პრაქტიკულად, სინამდვილეში. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ ჩვენ გვაქვს დირექტივები — დავალებები როგორც პარტიის, ისე საბჭოთა ხაზით, კოლექტიურ მეურნეობათა ორგანიზაციის შესახებ, საქმე იმაშია, რომ სოციალისტური მრეწველობის გვერდით ქალაქად შეუძლებელია დიდი ხნით იარსებოს წვრილმა დაქსაქსულმა საგლეხო მეურნეობამ სოფლად. ერთი მხრით მსხვილი სოციალისტური მეურნეობა პროლეტარიატის ხელში, მეორე მხრით წვრილი დაქუცმაცებული საგლეხო მეურნეობა. ესაა ორი სრულიად სხვადასხვა გვარი სისტემა, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. იმავე დროს ამ ორი სისტემას შორის მუდმივი და მჭიდრო კავშირია გაბმული ნაწარმოებთა ურთიერთშორის გაცვლის საფუძველზე. ამ ნიადაგზე ურთიერთი გავლენა და ზედმოქმედება აუცილებელია. მაგრამ ეს ორი სისტემა ერთნაირად ძლიერი როდია. პროლეტარულ სახელმწიფოს ხელშია მთელი ნაციონალიზაცია ქმნილი მსხვილი მრეწველობა, მთელი ტრანსპორტი (რკინისგზები, ზღვის და მდინარეების მთელი ფლოტი), მიწა, საგარეო ვაჭრობა, მთელი საკრედიტო სისტემა, თითქმის მთელი საბითუმო ვაჭრობა შინაური ბაზარზე (სახელმწიფო ვაჭრობა და კოოპერაცია) და წვრილი საცალო ვაჭრობის დიდი ნაწილი. თავის-

თავად იგულისხმება, რომ ასეთ პირობებში ყოველივე უპირატესობა სოციალისტური მრეწველობის მხარეზეა.

აქედან სრულიად ბუნებრივია, რომ სოციალისტური მრეწველობა თანდათან უნდა გახდეს ხელმძღვანელი სასოფლო მეურნეობის განვითარების საქმეში, და გაიყოლიოს თან სოციალიზმის გზით წვრილი დაქუცმაცებული საგლეხო მეურნეობა. მაგრამ შესაძლებელია განვითარების მეორე გზაც. შესაძლებელია ის, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობის და, მაშასადამე, სოფლის მეურნეობისაც, განვითარება წავიდეს არა სოციალისტური, არამედ ბურჟუაზიული გზით, მაგრამ ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურა დაეცემა ან გადაგვარდება, ე. ი. იმ შემთხვევაში, თუ კომუნისტური პარტიას ხელიდან გამოეცლება ხელმძღვანელობა ან და ის გადაგვარდება. მაგრამ არც პროლეტარიატის დიქტატურის და არც კომუნისტური პარტიის გადაგვარება-გარდაქმნაზე ფიქრიც არ შეიძლება. ჩვენ გამოვდივართ საბჭოთა ხელისუფლების არსებობიდან ერთი მხრით და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობიდან მეორე მხრით. ყოველივე ეს კი უკვე უზრუნველყოფს როგორც ნაციონალიზაციაქმნილი მრეწველობის, ისე საერთოდ ყველა იმ ფაქტორების თანდათან და შეუჩერებელ ზრდას, რომლებიც იმყოფებიან პროლეტარულ სახელმწიფოს ხელში და რომლებიც აძლიერებენ და აჩქარებენ სოციალიზმის შენებას. ასეთ პირობებში საბჭოთა სოფლის განვითარება აუცილებლად სოციალისტური გზით უნდა მოხდეს. და ამ გზაზე უკვე დადგა ჩვენი სოფელი. სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ზრდა-განვითარება ერთი მხრით და სხვადასხვა კოლექტიურ მეურნეობათა გამრავლება სოფლად მეორე მხრით მოწმობენ იმას, რომ სოციალიზმისათვის სოფლად საფუძველი ჩაყრილია ან იყრება ყოველ შემთხვევაში ახლა. ამრიგად სოციალისტური წარმოება სასოფლო მეურნეობაში უკვე დაწყებულია. ახლა საჭიროა მისი გაძლიერება და დაჩქარება.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა დავასახელოთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზები და ფორმები. უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ არ გვიხდება ამ გზების და ფორმების გამოგონება, შეთხზვა. ყოველივე ეს ჩვენ მოცემული გვაქვს თვით ცხოვრების მიერ. პრაქტიკამ შექმნა და გამოიმუშავა ეს ფორმები. ჩვენ მხოლოდ ვაუმჯობესებთ და ვანვითარებთ კოლექტივიზაციის იმ ფორმებს, რომლებიც შექმნა თვით ცხოვრებამ.

ჩვენ არ შევჩერდებით აქ კოოპერაციის არც ერთ ფორმაზე. კოოპერაციის საშუალებით ჩვენ ვაერთიანებთ მხოლოდ კერძო მწარმოებლებს: ან მომხმარებლებს ან გამსაღებლებს.

კოოპერაციაში არც მომხმარებლები და არც გამსაღებლები თავის მუშაობას არ აერთიანებენ. რა თქმა უნდა, საბჭოთა კოოპერაცია არსებითად განირჩევა იმ კოოპერაციიდან, რომელიც ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებობს. საბჭოთა კოოპერაცია წარმოადგენს უკვე ნაბიჯს სოციალიზმისაკენ. მოიგონეთ, თუ რა როლს და მნიშვნელობას აძლევდა ამხ. ლენინი კოოპერაციას საბჭოთა პირობებში. მისი ღრმა რწმენით, ის არის გზა სოციალიზმისაკენ. მაგრამ კოოპერაციიდან საჭიროა გადადგმულ იქნას შემდეგი ნაბიჯი: კოოპერატიული შეკავ-

შირება და გაერთიანება თვით წარმოების საფუძველზე. ადამიანთა პირველი-საზოგადოებანი წარმოიშვენ სწორედ ამ ნიადაგზე, ნივთიერი წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაციის საფუძველზე. ასეთები იყვნენ კაცობრიობის განვითარების პირველ საფეხურზე წარმოშობილი კომუნები მონადირეთა, მეჯოგეთა და სხვ. და სხვ. პირველყოფილი ადამიანთა ტეხნიკის და საერთოდ საწარმოო ძალის უმდაბლეს დონეს და სრულ განუვითარებლობას რამოდენიმედ ანაზღაურებდენ პირველყოფილი კომუნები. მაგრამ როგორც ვიცით, დროთა განმავლობაში ეს კომუნები დაიშალენ და თანდათან გაჰქრენ ცხოვრებიდან. მასთან ერთად გაქრა ადამიანთა თანასწორობაც. ყველა ამის ადგილას წარმოიშვა და თანდათან განვითარდა კერძო თაოსნობა, კერძო ინიციატივა და მასთან ერთად ჩაეყარა საფუძველი უთანასწორობას ადამიანთა შორის. წარმოიშვენ და განვითარდენ ადამიანთა ადამიანების მიერ ყვლეფის და დამორჩილების სხვადასხვა ფორმები: მონობა, ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი. კაცობრიობამ საერთოდ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ გამონაკლისს, განვლო ყველა ეს საფეხურები გარდა უკანასკნელი საფეხურისა, ე. ი. კაპიტალიზმის. კაცობრიობამ უკვე მიაღწია საზოგადოებრივი განვითარების იმ საფეხურს, როცა აუცილებელი ხდება ადამიანთა სრული თანასწორობის დამყარება, ე. ი. სამუდამოდ მოსპობა ადამიანის ადამიანის მიერ ჩაგვრისა და ყვლეფისა. ამ მდგომარეობას ეწოდება სოციალიზმი.

სოციალიზმის დამყარება მოხდება შრომის განსაზოგადოებრივებით, ე. ი. ნივთიერი წარმოების მოწყობით საზოგადოებრივ საფუძველზე. კაცობრიობა ეცდება ისევ ძველ ფორმებს, სხვადასხვა კომუნებს, ე. ი. სამუშაოთა შესრულებას საერთო ძალით, მხოლოდ იმ არსებითი განსხვავებით, რომ ეს კომუნები აღარ არიან ახლა შედეგი საწარმოო ძალთა უმდაბლესი დონისა ან სრული განუვითარებლობისა. პირიქით, ახალი კომუნები უნდა მოეწყონ უაღრესად განვითარებული ტეხნიკის საფუძველზე და ამასთანავე ისინი საძირკველად უნდა დაედვან სოციალიზმს.

როგორც ვიცით, ოქტომბრის რევოლიუციის მეოხებით საბჭოთა ქვეყნებში დაძლეული იქნა კაპიტალიზმიც და დაიწყო სოციალისტური მშენებლობის ხანა. ჩვენ ვეხებით აქ ამ მშენებლობას მხოლოდ სასოფლო მეურნეობის დარგში.

როგორც ვთქვით ზევით, ჩვენ არ გვიხდება აქ რაიმეს გამოგონება. ცხოვრება თითონ იძლევა, რაც საჭიროა. სხვადასხვა გვარი ამხანაგობები, არტელები და კომუნები დიდი ხანია არსებობენ სოფლად, მაგრამ ბურჟუაზიულ ხანაში ისინი ვერ ხეირობდენ, მაშინ ისინი მუდამ სულს ღაფავდენ; და საერთოდ იმ დროს ისინი მეტად იშვიათ მოვლენას წარმოადგენდენ. მდგომარეობა ძირითადად გამოიცვალა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, რომელიც სოციალისტური რევოლიუციის დაწყება იყო. მუშების და გლეხების ერთმა ნაწილმა ეს როგორღაც ინსტიქტიურად იგრძნო და თავისთავად, ყოველივე ხელმძღვანელობის გარეშე ჩნდებიან სასოფლო-სამეურნეო არტელები და კომუნები, რომელთა რიცხვი პირველ ხანებში სოკოსავით იზრდებოდა. სასოფლო-სამეურნეო არტელები და კომუნები წარმოადგენდენ კოლმეურნეობათა უმაღლეს ფორმას, რომელიც მოითხოვს საერთოდ დიდ მომზადებას ერთი მხრით და თვით იმათი წევრების

საკმარისად მაღალ კულტურულ დონეს და სათანადო შეგნებას, მეორე მხრით. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება იმ დროს უმეტეს ნაწილად შეუძლებელი იყო არტელების და კომუნების მხრით, და ეს მით უფრო, რომ არც პარტია და არც ხელისუფლება მაშინ იმათ თითქმის სრულებით არ აქცევდენ ყურადღებას, და, მაშასადამე, ვერც სათანადო ხელმძღვანელობას უწევდენ. ყველა ამის გამო მრავალი არტელი და კომუნა ჩქარა დაიშალა, დანარჩენები უმცა განაგრძობდენ არსებობას, მაგრამ იმათი მდგომარეობა ვერ იყო სასურველი, მოსდიოდათ ზარალი ზარალზე, თითქმის განუწყვეტელი დავა და უკმაყოფილება შიგნით შრომის ორგანიზაციის სრულებით მოუწესრიგობის ნიადაგზე და სხვ. და სხვ.

ამავე დროს პრაქტიკამ წარმოშვა სასოფლო მეურნეობაში შრომის განსაზოგადოების უფრო მარტივი ფორმები სხვადასხვაგვარი ამხანაგობების სახით, რომლების საშუალებით გლეხები აერთებენ თავის მუშაობას, ე. ი. საერთო ძალით ამუშავებენ მიწას, ან თავიანთ მეურნეობათა ნაწარმოებთ, როგორც მაგ. რძიდან აკეთებენ ყველს, ერბო-კარაქს, იძენენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს (ტრაქტორებს, სალეწავ და სანიავებელ მანქანებს და სხვ. და სხვ.), ქმნიან ამხანაგობებს გაუმჯობესებული საქონლის გასაშენებლად, გაუმჯობესებული სათესლე მასალის მისაღებად და სხვ. და სხვ. ყველა ამ შემთხვევებში გლეხური მეურნეობები განაგრძობენ არსებობას როგორც კერძო მეურნეობანი, მაგრამ ასეთი ამხანაგობების წევრი-გლეხები უკვე ეწევიან მუშაობას საერთო ძალით, როგორც მიწის დასამუშავებლად, ისე მეურნეობის სხვადასხვა ნაწარმოების გადასამუშავებლად, და მიღებულ ნაწარმოებს კი ინაწილებენ თანაბრად თითოეული იმათგანის მიერ გაწეული შრომისა. მაგრამ ესაა მხოლოდ დასაწყისი, ესაა მხოლოდ პირველი ნაბიჯი. თუ ამ ამხანაგობებში საქმე კარგად მოეწყო, და გლეხები დარწმუნდენ საქმით იმათ სარგებლობაში, აუცილებლად პირველ ნაბიჯებს მოყვებიან შემდეგი ნაბიჯები, ე. ი. კოლექტიურ მეურნეობათა მარტივი ფორმებიდან ჩვენ გადავალთ უფრო რთულ ფორმებზე, როგორიც არიან არტელები და კომუნები. რა თქმა უნდა, ეს სრულებით არ მოასწავებს იმას, რომ უთუოდ ყველგან და ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა დავიწყოთ მარტივი ფორმებიდან და მხოლოდ შემდეგში გადავიდეთ უფრო რთულ ფორმებზე. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ იმას, რომ პრაქტიკამ და გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ეს დებულება უფრო სწორია, რომ ერთი მხრით გლეხურ მეურნეობათა გაერთების ასეთი ფორმები ბევრად უფრო გასაგები და მისაღებია გლეხებისათვის და მეორე მხრით საქმის მოწყობაც და წაყვანა ამ შემთხვევაში ბევრად უფრო ადვილია, ვინემ კომუნებსა და არტელებში. ამ გამოცდილებისთვის აუცილებლად უნდა გაეწია სათანადო ანგარიში კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას და გაუწიეს კიდეც: ამ უკანასკნელ დროს გამოცემულ იქნენ ისეთი დადგენილებები და მიღებული გვაქვს ისეთი დირექტივები, სადაც საკუთარი ანგარიში აქვს გაწეული წარსულ გამოცდილებას კოლექტიურ მეურნეობათა საქმეში. ეს ერთი გარემოება. მეორე ის, რომ თუ წინედ პირველ ხანებში კოლექტივიზაციის საქმეს სასოფლო მეურნეობაში თითქმის სრულებით არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, ამ უკანასკნელ წლებში ამ დარგში ძირითადი ცვლი-

ლება მოხდა. — სამაგიეროდ ამჟამად კოლექტივიზაციის განვითარებას სასოფლო მეურნეობაში ექცევა უდიდესი ყურადღება, როგორც პარტიის ისე მთავრობის მხრით. წინეთ კოლექტივიზაცია არ შედიოდა ჩვენი მოქმედების გეგმაში, ის არ იყო დაკავშირებული კოოპერაციის სისტემასთან; დახმარებას, თუ ეს ხდებოდა, ქონდა სრულიად შემთხვევითი ხასიათი. როგორც ვიცით, ამ საქმეში მოხდა პირდაპირ ძირითადი გარდატეხა. სასოფლო-სამეურნეო კოლექტივები დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასთან, სადაც შექმნილია განსაკუთრებული სექციები კოლექტიურ მეურნეობათა ხელმძღვანელობის მიზნით, გამოყოფილია განსაკუთრებული კადრი მომუშავეებისა ამ დარგში; გარდა ამისა, რაც ყველაზე უფრო არსებითია, ეს ის, რომ მთავრობა ყოველწლივ იძლევა კოლექტიურ მეურნეობათა გასაძლიერებლად და გასაფართოებლად საკმარისად დიდ თანხებს. თავისთავად იგულისხმება, რომ ყველა ამ ზომებს არ შეეძლო არ გამოეწვია საერთოდ კოლექტიურ მეურნეობათა საქმის გამოცოცხლება, გაუმჯობესება და გამოკეთება. უპირველეს ყოვლისა ჩვენ აქ ვხედავთ კოლექტიურ მეურნეობათა რაოდენობის შესამჩნევ ზრდას, და ეს ზრდა თითქმის სავსებით ეკუთვნის კოლმეურნეობათა უმარტივეს ფორმებს — სხვადასხვაგვარ ამხანაგობებს: კომუნების რიცხვი ან სრულებით არ მატულობს, ან მატულობს სულ მცირე პროცენტით.

ამავე დროს კოლექტიური მეურნეობები უზრუნველყოფილი ხდებიან როგორც კრედიტის მიღებით, ისე აგრონომიული დახმარებით, სამეურნეო მანქანების მიწოდებით, საერთო ხელმძღვანელობის მხრით და სხვ. და სხვ.

მაგრამ მიუხედავად ყველა ამ მიღწევებისა, კოლექტიურ მეურნეობებს ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და დეფექტები აქვს, რაც ხელს უშლის და აფერხებს იმათ ზრდა-განვითარებას. ერთ უპირველეს ამოცანას შეადგენს რაც შეიძლება ჩქარა ამ ნაკლთა და დეფექტების თავიდან აცილება. სანამ გადავიდოდეთ ცოტა უფრო დაწვრილებით ამ ნაკლთა და დეფექტების დასახელებაზე, მიზანშეწონილად მიმაჩნია შევჩერდე მოკლედ კოლექტიურ მეურნეობათა მდგომარეობაზე საქართველოში იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც შეგროვილია „სოფლის კავშირთან“ არსებულ სასოფლო-სამეურნეო კოლექტიურ მეურნეობათა სექციის მიერ მიმდინარე წლის (1928) დასაწყისში.

## III

როგორც ვიცით, საქართველო და საერთოდ ამიერ-კავკასია კოლექტიურ მეურნეობათა განვითარების მხრით რუსეთთან და უკრაინასთან შედარებით უკანასკნელ დრომდე ჩამორჩენილი იყო. დაწყებული 1927 წლიდან კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვი ჩვენში შესამჩნევად იზრდება, და საერთოდ ამ საქმეს ემჩნევა საგრძნობი გამოკეთება. თუ წინა წლებში კოლმეურნეობათა რიცხვი შეიძლებოდა თითებზე ჩამოგეთვალათ, დღეს იმათი რიცხვი აღწევს უკვე რამოდენიმე ასეულს. ასე, მაგ., იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც შეკრიბა კოლმეურნეობათა სექციამ ამა 1928 წლის პირველ იანვრისათვის საქართველოში კოლმეურნეობათა საერთო რიცხვი უდრის 212-ს, გარდა სამანქანო ამხანაგო-

| კოლმეურნეობები | პარტიის წევრები, კანდიდატები და კომკავშირლ. | უპარტიოები | % % | |
|---|---|---|---|---|
| | | | პარტ წევრები და კან. და კომკავშ. | უპარტიო |
| 1. კომუნები . . . . . | 86 | 127 | 40,4 | 59,6 |
| 2. არტელები . . . . . | 278 | 1.188 | 19,0 | 81,0 |
| 3. მიწის ხაზ. შრ. დამ. ამხ-ბი . . | 320 | 1.270 | 20,1 | 79,8 |
| ს უ ლ . . . . | 694 | 2.585 | 21,2 | 78,8 |

მეტი იმათი რაოდენობა; იქ ისინი შეადგენენ დაახლოვებით 40% კომუნებში გაერთიანებულ წევრთა საერთო რიცხვისა.

ეხლა ვიკითხოთ რას წარმოადგენენ, ან გლეხების რომელ კატეგორიას ეკუთვნიან ის საგლეხო მეურნეობანი, რომლებიც კოლექტიურ მეურნეობებში არიან გაერთიანებულნი; იმათ დიდ უმეტესობას 78½-ზე მეტი შეადგენს ღარიბი გლეხობა და დანარჩენი ნაწილი 22% თითქმის საშუალო გლეხობაა.

## V.

როგორც ვიცით, გარდა კოლმეურნეობათა ზევით აღნიშნულ ფორმებისა (კომუნები, არტელები და ამხ — ბი მიწის საზ. შრომით დამუშავებისა) არსებობენ კიდევ სამანქანო ამხანაგობები, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეიძლება კოლექტიურ მეურნეობათ მივაკუთვნოთ, რა თქმა უნდა, ეს ამხანაგობები არ წარმოადგენენ თავისთავად წარმოების კოლექტივიზაციას, რადგანაც შრომა აქ ჯერ კიდევ არაა განსაზოგადოებული. მაგრამ ჩვენ აქ გვაქვს ნაბიჯი წარმოების კოლექტივიზაციისაკენ, და თუ საქმე სასურველად იქნა დაყენებული სამანქანო ამხანაგობებში, სამეურნეო იარაღების მანქანების შეძენას ამხანაგობების საფუძველზე აუცილებლად უნდა მოყვეს შემდგომი ნაბიჯიც, — ე. ი. კოლექტიურ ნიადაგზე შრომის მოწყობა — ორგანიზაცია. მეორე მხრით აქ ჩვენ გვაქვს ერთნაირი საფრთხე, და ეს არ უნდა იქნას მიჩქმალული, სახელდობრ, ის, რომ სამანქანო ამხანაგობების მოწყობას ეტანებიან მეტ ნაწილად გლეხკაცობის უფრო შეძლებული და კულაკური ელემენტები სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენის მიზნით, და ჩვენ ვიცით, რომ ამ უკანასკნელ დრომდის ეს ასე იყო, ეს აიხსნება მით, რომ ტრაქტორების თუ სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეძენისათვის საჭიროა ნივთიერი სახსარი, ფინანსიური საშუალებები, რის გაღება რა თქმა უნდა, მხოლოდ ღონიერ და შეძლებულ გლეხებს შეუძლიათ. მაგრამ, სამწუხაროდ, კრედიტის მიღებას ჩვენი სასოფლო-სამეურნეო ბანკებიდან ამ მიზნით უმეტეს ნაწილად სწორედ ესევე ელემენტები ახერხებენ ჩვენი ორგანოების, როგორც პარტიული, ისე საბჭოთა ხაზით, დაუდევრობით ((ე) უყურადღებობით. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ამ გარემოებას უკვე მიექცა

ბათა, რომელთა რაოდენობა შეადგენდა 90, მაშასადამე საერთოდ კოლმეურნეობათა რიცხვი უდრიდა ამ ნახევარი წლის უკან დაახლოვებით 302. უნდა ვსთქვათ, რომ ეს ცნობები ეხლა უკვე დაძველებულია, ასე რომ ფაქტიურად დღეს კოლმეურნეობათა რიცხვი მთელ საქართველოში გაცილებით მეტი უნდა იყოს, რადგანაც ეს რიცხვი შეუსრულებლად იზრდება.

კოლექტიურ მეურნეობად ითვლებიან მხოლოდ შემდეგი სახის გაერთიანებები: ა) კომუნები, ბ) არტელები და გ) საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობები. თუ რა როლს თამაშობენ კოლმეურნეობათა ზევით დასახელებული ფორმები ჩვენში, ეს სჩანს შემდეგი ცხრილიდან:

| კოლმეურნეობათა ფორმები | მათი რიცხვი | | წევრთა რაოდენობა | |
|---|---|---|---|---|
| | აბსოლ. | %% | აბსოლ. | %% |
| 1. კომუნები . . . | 7 | 3,3 | 1,27 | 4,0 |
| 2. არტელები . | 74 | 34,9 | 1,466 | 46,0 |
| 3. ამხანაგობები მიწის საზ. შრომით დამმუშავებული . . . . . | 121 | 61,3 | 1,590 | 50,0 |
| ს უ ლ . . . . | 212 | 100,0 | 3,158 | 100,0 |

ეს ცხრილი საკმარისად საინტერესო სურათს იძლევა, იქიდან შეიძლება საგულისხმიერო დასკვნების გამოტანა. უპირველეს ყოვლისა კომუნების შესახებ. კომუნა კოლმეურნეობათა უმაღლესი ფორმაა. როგორც მოყვანილი ცხრილიდან სჩანს, იმათი როლი ჯერჯერობით უმნიშვნელოა (3,3% კოლმეურნეობათა საერთო რიცხვიდან შედარებით და 4,0% კოლმეურნეობებში გაერთიანებულ წევრთა საერთო რაოდენობისა). და ეს გარემოება მით უფრო საგულისხმიეროა, რომ კომუნების რიცხვი ჩვენში არ მატულობს. რამდენიმე წლის განმავლობაში ეს რიცხვი ერთ და იმავე დონეზეა გაჩერებული. ზევრად უფრო დიდ როლს თამაშობენ არტელები როგორც კოლმეურნეობათა რიცხვით; 34,9% ყველა კოლმეურნეობათა საერთო რიცხვისა, ისე კიდევ უფრო წევრთა რაოდენობით: 46% იმათი საერთო რაოდენობისა. წარსულ წელთან შედარებით აქ ჩვენ ვამჩნევთ ზრდას, როგორც აბსოლუტურად, ისე შედარებითაც. კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობაში მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელ ამხანაგობებს, რომელთა საერთო რიცხვი უდრის 131-ს, რაც შეადგენს კოლმეურნეობათა საერთო რიცხვის 61,8%; ამ ამხანაგობებში გაერთიანებულია 1,590 წევრი, ე. ი. ყველა წევრთა საერთო რაოდენობის 50%. საინტერესოა მოძრაობის მხრით (დინამიკა) რა სურათს წარმოადგენენ კოლექტიური მეურნეობები გასულ წელს. ამის დასახასიათებლად მომყავს აქ შემდეგი ცხრილი:

## კოლმეურნეობები 1927 წელს

| კოლმეურნეობათა ფორმები | კოლმეურნეობათა რიცხვი | |
|---|---|---|
| | აბსოლ. | %% |
| 1. კომუნები . . . . . | 7 | 8,2 |
| 2. არტელები . . | 19 | 22,4 |
| 3. მიწის საზოგ. შრომ. დამ. ამხანაგობები . . | 59 | 69,4 |
| სულ . . . . . | 85 | 100,0 |

ამნაირად, თუ შევადარებთ კოლმეურნეობათა საერთო რიცხვს 1927 და 1928 წლებში, ჩვენ დავინახავთ, რომ ეს ზრდა რაოდენობის მხრით გამოიხატება 127-თ ანუ 149,4%. ამავე დროს კოლმეურნეობათა ცალცალკე ფორმებში მომხდარა შემდეგი ცვლილებები: კომუნების რიცხვი უცვლელი დარჩა, მაგრამ იმათი როლი 8,2%-დან 1927 წელს დავიდა 3,3%-ზე 1928 წელს. არტელების რიცხვი იყო გასულ წელს 19, რაც შეადგენს კოლმეურნეობათა რიცხვის 22,4%-ს, ხოლო 1928 წელს იმათი რიცხვი ავიდა 74-მდე, ე. ი. მოიმატა 55, რაც შეადგენს უკვე ამ მეურნეობათა საერთო რიცხვის 34,8%. მაშასადამე, აქ ჩვენ გვაქვს როგორც აბსოლუტური, ისე შედარებითი ზრდა, რამდენიმედ სხვა სურათს იძლევა მიწის საზოგადო წესით დამამუშავებელი ამხანაგობები, რომელთა რიცხვი 59-დან ავიდა 131-დე, ე. ი. მოიმატა 72, რაც შეადგენს კოლმეურნეობათა საერთო რიცხვის 61,8%, 1927 წელს კი ამ ამხანაგობების როლი გამოიხატებოდა 69,4%-ით.

მაშასადამე, ამ ორი წლის შედარება იმას გვეუბნება, რომ ყველაზე უფრო ინტენსიური ზრდა კოლექტიურ მეურნეობებში ემჩნევა არტელებს, ნაკლები მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელ ამხანაგობებს, რაც შეეხება კომუნებს იმათი ზრდა, როგორც ზევით იყო ნათქვამი, გაჩერებულია.

გადავიდეთ ახლა კოლმეურნეობათა განაწილებაზე საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში, ე. ი. ავტონომიურ ერთეულებში და მაზრებში. აქ პირველყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ კომუნები მოიპოვებიან მხოლოდ ხუთ მაზრაში, და ყველა ეს მაზრები აღმოსავლეთ საქართველოშია. ამნაირად დასავლეთ საქართველოს არც ერთ მაზრაში და არც ერთ ავტონომიურ ერთეულში კომუნა არ არსებობს.

შემდეგი ცხრილი გვიხატავს კოლმეურნეობათა სხვადასხვა ფორმების გავრცელებას საქართველოში მიმდინარე წლის დასაწყისში.

ქვემოდ მოყვანილი ცხრილი იძლევა დაახლოებით ნამდვილ სურათს კოლმეურნეობათა განაწილების შესახებ მთელ საქართველოში მაზრობრივ. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გვაქვს ისეთი მაზრები, სადაც დღემ-

| ავტ. ერთეულები და მაზრები | კოლმეურნეობები | | | |
|---|---|---|---|---|
| | კომუნები | არტელები | მიწის სახ. შრომით დამ. ამხანაგობები | სულ |
| სიღნაღის . . . . | 2 | 6 | 21 | 29 |
| თელავის . . | — | 13 | 10 | 23 |
| ტფილისის . . . . . | 1 | 3 | 5 | 9 |
| გორის . | 2 | 1 | 4 | 7 |
| ბორჩალოს . . | 1 | — | — | 1 |
| დუშეთის . . | — | 1 | — | 1 |
| ახალციხის . . . . . | — | — | — | — |
| ახალქ-ლაქის . . . . . | 1 | — | — | 1 |
| სულ აღმოს. საქ. . | 7 | 24 | 40 | 71 |
| ქუთაისის . . . . . | — | 6 | 2 | 8 |
| სენაკის . . . . . | — | — | 35 | 35 |
| ზუგდიდის . . | — | 34 | 15 | 49 |

დის არც ერთი კოლექტიური მეურნეობა არ არსებობს; ასეთებია აღმოსავ. საქართველოში ახალციხის მაზრა; ხოლო დასავლეთ საქართველოში: რაჭა, ლეჩხუმი და ზემო-სვანეთი, შემდეგ თითო კოლმეურნეობა გვაქვს სამ მაზრაში: ბორჩალოს, დუშეთის და ახალციხის. პირველი ადგილი კოლმეურნეობათა განვითარების მხრით უჭირავს ზუგდიდის მაზრას (49 კოლმეურნეობა), მას მისდევს ოზურგეთის მაზრა (41), შემდეგ სენაკის მაზრა (35), სიღნაღის (29), თელავის (23). თუ შევადარებთ ერთმანეთს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, ჩვენ მივიღებთ შემდეგს:

აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენ გვაქვს: 1) კომუნები 7, ე. ი. სრული ასი პროცენტით, 2) არტელები 24 ანუ არტელების საერთო რიცხვის 32,4%, 3) მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობები 40, ანუ იმათი საერთო რიცხვის 30,6%, საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში ჩვენ გვაქვს 71 კოლმეურნეობა, ანუ კოლმეურნეობათა საერთო რიცხვის 33,5%, თუ ავიღებთ ახლა დასავლეთ საქართველოს აჭარისტანით და აფხაზეთით იქ ჩვენ გვაქვს:

1) არტელები 50, ანუ საერთო რიცხვის 67,6%, 2) ამხანაგობები 88, ანუ საერთო რიცხვის 67,1%.

საერთოდ დასავლეთ საქართველოში ჩვენ გვაქვს აჭარისტანის ჩაუთვლელად, 138 კოლმეურნეობა ანუ საერთო რაოდენობის 65,1%, ხოლო აჭარის-

| ავტ. ერთეულები და მაზრები | კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ ე ბ ი | | | |
|---|---|---|---|---|
| | კომუნები | არტელები | მიწის საზ. შრომით დამ. ამხანაგობები | ს უ ლ |
| ოზურგეთის | — | 5 | 36 | 41 |
| შორაპნის | — | 5 | — | 5 |
| რაჭის | — | — | — | — |
| ლეჩხუმის | — | — | — | — |
| სვანეთის | — | — | — | — |
| სულ. დასავ. საქ. | — | 50 | 88 | 138 |
| აჭარისტანი | — | — | 3 | 3 |
| აფხაზეთი | — | — | — | — |
| სამხრეთ-ოსეთი | — | — | — | — |
| მთელ საქართვ. | 7 | 74 | 131 | 212 |

ტანით (1,4%) დასავლეთ საქართველოში იყო აქ მოყვანილი ცნობების შეკრების დროს სულ 141 კოლმეურნეობა, რაც შეადგენს ყველა კოლმეურნეობათა რიცხვის 66,5%.

ამგვარად, იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ჩვენ განკარგულებაშია, გამოდის, რომ საერთოდ კოლმეურნეობათა მეტი წილი დასავლეთ საქართველოშია. აქ საჭიროა განმეორებით აღინიშნოს ის გარემოება, რომ ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვსწერთ, კოლმეურნეობებში რაოდენობის მხრით უთუოდ ცვლილებაა მომხდარი, ასე რომ ზევით მოყვანილი ცნობები სინამდვილეს სისწორით აღარ გამოხატავენ. მაგალ., ამას წინეთ გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა ბათომიდან, სადაც ნათქვამი იყო: აჭარისტანში მიმდინარე წელს მოწყობილ იქნა 16 ახალი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი, იმათგან 7 თამბაქოს მოსაყვანი და 9 მეფუტკრეობის; გარდა ამისა მოეწყო ერთი სამანქანო ამხანაგობა და ერთი მებაღეთა არტელიო. ამ მოვლენას ადგილი აქვს ალბად სხვაგანაც, მაგრამ ზევით მოყვანილი ცხრილები ახასიათებენ კოლმეურნეობათა მდგომარეობას ჩვენში გასული 1927 წლის განმავლობაში და მიმდინარე წლის დასაწყისში.

## IV

გადავიდეთ ახლა იმ ცნობებზე, რომლებიც შეეხებიან კოლმეურნეობათა შემადგენლობას. აქ ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ მომენტებს: ა) წევრთა რაოდენობას, ბ) გაერთიანებულ მოსახლეობას, გ) სქესს, და დ) პარ-

ტიულობას: ყველა ამ მომენტების დასახასიათებლად ჩვენ მოვიყვანთ საერთო ჯამს მთელი საქართველოსთვის. შემდეგი ცხრილი იძლევა სურათს კოლმეურნეობათა წევრთა და იმათში გაერთიანებულ მოსახლეობის რაოდენობის შესახებ სქესების აღნიშვნით.

| კოლმეურნეობათა ფორმები | წევრთა რიცხვი | | | გაერთიანებული მოსახლეობა | |
|---|---|---|---|---|---|
| | საერთო რიცხვი | ამათში ქალები | თითო კოლმეურნეობაში საშუალოდ | საერთოდ | საშუალოდ 1 კოლმ-ზე |
| 1. კომუნები . . | 102*) | **) | 19 | 351 | 50 |
| 2. არტელები . . . . | 1,466 | 87 | 20 | 7,688 | 104 |
| 3. მიწის საზ. შრომითი დამუშ. ამხ-ბი | 1,590 | 104 | 12 | 4,777 | 36 |
| ს უ ლ . . . | 8,158 | 191 | 15 | 12,816 | 61 |

ამგვარად ყველა ფორმების კოლმეურნეობებში ირიცხება დაახლოვებით 3.158 წევრი, ამათგან ქალია, თუ კომუნებს არ მივიღებთ მხედველობაში, მხოლოდ 191, ე. ი. 6,1%. საშუალოდ თითოეულ კოლმეურნეობაზე მოდის 15 წევრი, მასთან: თითოეულ კომუნაზე და მიწ. საზ. შრომით დამმუშავებელ ამხანაგობაზე ხუთმეტი, ხოლო თითოეულ არტელზე 20 წევრი.

შემდეგ ყველა ფორმის კოლმეურნეობებში გაერთიანებულია დაახლოვებით 12.816 მცხოვრები, საშუალოდ თითოეულ კოლმეურნეობაზე მოდის 61 მცხოვრები. თუ ავიღებთ ცალცალკე კოლმეურნეობათა სხვადასხვა ფორმებს, დავინახავთ შემდეგს: ყველაზე მეტი მცხოვრები თითოეულ კოლმეურნეობაზე მოდის არტელებზე, სახელდობრ 104 მცხოვრები, ყველაზე ნაკლები კი მიწის საზ. შრომითი დამმუშავებელ ამხ-ზე, ე. ი. 36 მცხოვრები, რაც შეეხება კომუნებს, იმათ უპირავთ საშუალო ადგილი: თითოეულ კომუნაზე მოდის საშუალოდ 50 მცხოვრები. განვიხილოთ ახლა ეს კოლმეურნეობები პარტიულობის მიხედვით. საკითხის გასამარტივებლად ჩვენ ვაერთიანებთ ერთად კომპარტიის წევრებს და კანდიდატებს კომკავშირელებთან ერთად. მაშინ ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს:

როგორც სჩანს ზევით მოყვანილ ცხრილიდან კოლმეურნეობათა წევრების დიდი უმრავლესობას შეადგენს უპარტიო მასა, — 2.586 ანუ წევრთა საერთო რიცხვის 78,8%, რაც შეეხება პარტიულებს და კომკავშირელებს, იმათი რიცხვი უდრის დაახლოვებით 694-ს ანუ 21,2%, მაშასადამე, კოლმეურნეობებში ჩაბმულია უმეტეს ნაწილად უპარტიო მასა, და მხოლოდ კომუნებშია უფრო

*) ცნობები გასულ 1927 წელს ეკუთვნის. იხ. ამხ. ვლ. ცაგარელის წიგნს „სას.-სამ. კომუნები საქართველოში".

სათანადო ყურადღება, ვისგანაც ჯერ იყო, და მდგომარეობა საგრძნობლად გამოკეთდა იმ მხრით, რომ სამანქანო ამხანაგობები თანდათან იწმინდებიან კულაკური ელემენტებისაგან.

სამანქანო ამხანაგობების გავრცელების დასახასიათებლად ჩვენ მოგვყავს აქ შემდეგი ცნობები. მიმდინარე 1928 წლის დასაწყისში საქართველოში იყო დაახლოვებით 90 სამანქანო ამხანაგობა, რომლებშიაც გაერთიანებული იყო სულ 2.625 წევრი-ოჯახი. შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს, თუ მაზრებში როგორ იყო ეს რაოდენობა განაწილებული.

| მ ა ზ რ ე ბ ი | ამხანაგობათა რიცხვი | წევრთა რაოდენ. | იმათში ქალები | საშუალოდ თითო ამხ. |
|---|---|---|---|---|
| 1. სიღნაღის . . . | 46 | 867 | 15 | 19 |
| 2. თელავის . . . . . | 11 | 379 | 1 | 34 |
| 3. ტფილისის . . . . . | 11 | 297 | 6 | 27 |
| 4. ბორჩალოს . . . | 7 | 268 | 2 | 41 |
| 5. გორის . . . . . | 8 | 471 | 4 | 60 |
| 6. დუშეთის . . . | 1 | 78 | 1 | 78 |
| 7. ახალციხის . . . . . | 1 | 13 | — | 13 |
| 8. ქუთაისის . . | 5 | 231 | 2 | 46 |
| ს უ ლ . . . . . | 90 | 2.625 | 31 | 29 |

აქედან ჩანს, რომ სამანქანო ამხანაგობების გავრცელების მხრით პირველი ადგილი მთელ საქართველოში უჭირავს სიღნაღის მაზრას, სადაც ჩვენ გვაქვს ამ ამხანაგობათა ნახევარზე მეტი (46 ამხანაგობა 90-დან) 867 წევრით, რაც შეადგენს წევრთა საერთო რიცხვის 33%. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც სწორედ სიღნაღის მაზრაში ჩვენ გვყავს შედარებით სხვა მაზრებთან ყველაზე უფრო შეძლებული გლეხკაცობა. სიღნაღის მაზრას მოსდევს გორის მაზრა (სადაც სამანქანო ამხანაგობების წევრთა რიცხვი ახწევს 471-ს). შემდეგ თელავის, ტფილის-ბორჩალოს და ქუთაისის. დუშეთის და ახალციხის მაზრაში არის თითო სამანქანო ამხანაგობა. საინტერესოა ის გარემოება, რომ მთელ დასავლეთ საქართველოში, გარდა ქუთაისის მაზრისა, და არც ერთ ავტონომიურ ერთეულში მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის არ იყო არც ერთი სამანქანო ამხანაგობა. შემდეგ თითოეულ სამანქანო ამხანაგობაზე მოდის საშუალოდ 29 წევრი. მაზრობრივ ჩვენ გვაქვს ასეთი სურათი: ყველაზე მეტი წევრი ყავს დუშეთის.

ამხანაგობას (78 წევრი), შემდეგ გორის, ბორჩალოს და თელავის, ყველაზე ნაკლები ახალციხის (13) და სიღნაღის (19).

სამანქანო ამხანაგობათა დასახასიათებლად საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ აქ კიდევ ამხანაგობათა წევრების შემადგენლობაზე პარტიული და სოციალური მდგომარეობის მიხედვით. ავიღოთ ჯერ პარტიული შემადგენლობა, სამ. ამხანაგობათა წევრთა საერთო რიცხვიდან იყვენ:

| | | | |
|---|---|---|---|
| პარტიის წევრები . . . . . | 158 | ანუ | 6,4 % |
| კომკავშირის წევრები . . | 91 | „ | 3,5 „ |
| უპარტიონი „ . . . . . | 2.376 | „ | 90,1 „ |
| | 2.625 | | 100,0 „ |

მაშასადამე, უპარტიოთა რიცხვი სამანქანო ამხანაგობებში კიდევ უფრო მეტია, ვინემ კოლმეურნეობებში. რაც შეეხება წევრების სოციალურ მდგომარეობას, საერთოდ ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი. სამანქანო ამხანაგობებში შეადგენენ:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ღარიბი გლეხები . . . . . | 1.427 | ანუ | 54,6 % |
| 2. საშუალო „ . . . . . | 1.088 | „ | 41,2 „ |
| 3. შეძლებული . . . . . | 110 | „ | 4,2 „ |
| | 2.965 | | 100,0 |

როგორც ხედავთ ამ მხრითაც სამანქანო ამხანაგობებში ჩვენ რამდენიმეედ სხვა სურათი გვაქვს, ვინემ კოლმეურნეობებში.

გარდა ამისა ჩვენ გვაქვს კიდევ ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ტრაქტორი ჰქონდათ დაახლოვებით ამ ნახევარი წლის უკან სამანქანო ამხანაგობებს. სულ მაშინ ამ ამხანაგობებს ქონდათ 85 ტრაქტორი (იმათში 75 ფორდზონი), რომლებიც მაზრებში ასე იყვენ განაწილებული:

| | | |
|---|---|---|
| სიღნაღის მაზრაში . . . . . | 45 | ტრაქტორი |
| თელავის „ . . . . | 14 | „ |
| ტფილისის „ | 7 | „ |
| ბორჩალოს „ | 6 | „ |
| გორის „ | 7 | „ |
| დუშეთის „ | 1 | „ |
| ქუთაისის „ | 5 | „ |

ტრაქტორების რიცხვი ახლა ალბად სხვა უნდა იყოს, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში უთუოდ ახალი ტრაქტორები იქნენ შეძენილი. გარდა ამისა ტრაქტორები აქვთ აგრეთვე სას.-სამეურნეო კომუნებს, არტელებს და მიწის საზ. შრომით დამმუშავებელ ამხანაგობებსაც, რაც აქ არ შედის.

ამნაირად, თუ კულტურულ მეურნეობათა წევრების რიცხვს ჩვენ მივუმატებთ სამანქანო ამხანაგობათა წევრებს ჩვენ მივიღებთ 5.783 წევრ-ოჯახს, რომლებიც ასე თუ ისე ჩაბმული არიან სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციაში. თუ შემდეგ მივიღებთ თითოეულ ოჯახში საშუალოდ 5 წევრს, მაშინ გამოვა, რომ დაახლოვებით კოლექტიურ წარმოებაში ჩაბმულია საქართველოში 29.000—30.000 სოფლის მცხოვრები, ე. ი. დაახლოვებით 1% ან 1½% სოფლის მცხოვ-

რებთა. რა თქმა უნდა, რიცხვი სრულიად პირობითია. ამ მხრით არავითარ გაზვიადებას ადგილი არ უნდა დაურჩეს, საერთოდ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმე ჩვენში ჯერ მხოლოდ ცდის ხანაშია. აქ ჩვენ ჯერ გვჭირდება დიდი მუშაობის და ენერგიის დახარჯვა, რომ სასურველ შედეგებს მივახწიოთ.

უნდა ვსთქვათ, რომ ბევრი წვრილმანი ჩვენ აქ გამოგვრჩა ან განგებ გამოვტოვეთ.

ასეთია საერთოდ კოლმეურნეობათა და სამანქანო ამხანაგობათა მდგომარეობა ჩვენში. რა თქმა უნდა, ის, რაც ჩვენ ვთქვით, ვერ იძლევა კიდევ ამ მეურნეობათა სრულ სურათს. ესაა უფრო მათი გარეგანი დახასიათება. ეს არ შეიცავს იმათ შინაგან მხარეებს, შინაგან მუშაობას, შრომის ორგანიზაციას; ეს არ იძლევა ცნობებს იმის შესახებ, თუ სასოფლო მეურნეობის რა და რა დარგში ვითარდება ჩვენში კოლექტიური წარმოება, როგორაა დაყენებული აგრონომიული დახმარება, თუ რა მიხწევა აქვთ ჩვენ კოლმეურნეობებს. ზარალობენ თუ იგებენ, რა გავლენას ახდენენ იმ გლეხობაზე, რომელიც მათ გარს არტყია, შემდეგ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ და რამდენად აკმაყოფილებენ კოლმეურნეობები თავის წევრების მოთხოვნილებებს. აქვს იქ ადგილი სოციალისტურ დაგროვებას თუ არა და სხვა და სხვა. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ კითხვებზე პასუხის მისაცემად ჩვენ ჯერჯერობით არც კი მოგვეპოვება შესაფერი მასალა. საჭიროა ამ კითხვების განმარტვა-გაშუქება ყველა იმ ნაკლთა და დეფექტების აღნიშვნით, რასაც სინამდვილეში აქვს ადგილი.

## VI

გადავდივართ ახლა ჩვენ კოლმეურნეობათა მიღწევებზე, იმათ წარმატებაზე. როგორც ვამბობდით, საქმე რაოდენობაში როდია. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენში ჯერ-ჯერობით კოლმეურნეობათა რიცხვი ძლიერ მცირეა, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს ვიცოდეთ, თუ როგორია ის, რაც გვაქვს. აქაც კიდევ და კიდევ უნდა გავიხსენოთ ლენინის უკანასკნელი ანდერძი: „лучше меньше, да лучше“ („უკეთესია ცოტა, მაგრამ უკეთესად“). რა თქმა უნდა, საქართველოს კოლმეურნეობათა პრაქტიკა და გამოცდილება ამ მხრით ჯერ კიდევ თითქმის არაფერს იძლევა. ეს აიხსნება უმთავრესად იმით, რომ არტელები და მიწის საზოგადოებრივი შრომით დამმუშავებელი ამხანაგობები და აგრეთვე სხვადასხვა სამანქანო ამხანაგობებიც სულ ცოტა ხანია, რაც არსებობენ, დაახლოვებით წელიწადი თუ წელიწად-ნახევარი; ამიტომ იმათ კონკრეტიულ მიხწევებზე ჯერ-ჯერობით მსჯელობა ნაადრევი იქნება. შეიძლებოდა და საჭიროცაა მსჯელობა კომუნების მიღწევების შესახებ, თუ ასეთები მათ აქვთ, მაგრამ საამისო ანგარიში ჯერ ჩვენ არა გვაქვს. რა უნდა გვაინტერესებდეს ჩვენ ამ შემთხვევაში? ჩვენ გვაინტერესებს შედარებითი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი იყო შრომის ნაყოფიერება კომუნებში წინედ და ახლა, ან თუ როგორია შრომის ნაყოფიერება ერთი მხრით კომუნებში, და მეორე მხრით, იმ გლეხების მეურნეობებში, რომლებიც კომუნების გვერდით ინდივიდუალურად ეწევიან სასოფლო მეურნეობას.

ასევე უნდა ითქვას მოსავლიანობის შესახებ, ასევე უნდა ითქვას ტრაქტორების და საზოგადოდ მანქანების გამოყენების შესახებაც. უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარდა ამისა კოლმეურნეობებში წევრებს შორის არსებულ ურთიერთობათა, რის გამო წევრები იქიდან კი არ გარბიან, არამედ კოლმეურნეობები, პირიქით, ახალ წევრებს იზიდავს. ამნაირად კოლექტიურმა მეურნეობამ თავის უპირატესობა წარმოების მოწყობით, შრომის და მანქანების უკეთესად გამოყენებით უნდა დაუმტკიცოს გლეხებს საქმით, პრაქტიკით, როგორც აღვნიშნეთ ზევით, ჩვენში ამის ანგარიში არაა ჯერ კიდევ გაკეთებული.

უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრით ბევრად უფრო კარგი მდგომარეობაა რუსეთში და უკრაინაში, რაც აიხსნება მით, რომ იქ შედარებით კოლექტიური მეურნეობები უფრო დიდი ხანია რაც არსებობენ. თუ ავიღებთ, მაგ., მოსავლიანობას რუსეთში, უკრაინაში და ბელოროსიაში კოლმეურნეობებში ის მაღლა სდგას შედარებით ინდივიდუალურ, ე. ი. კერძო გლეხის მეურნეობასთან. 30/40% [1]). ასეთი ზრდა პირდაპირი შედეგია, ერთი მხრით, თესვის სწორი ბრუნვის შემოღებისა (Правильный севооборот) და მეორე მხრით სათესლე მასალის წმინდა ჯიშის ხმარებისა კოლმეურნეობებში. ამბ. ნიკულიხინის ცნობით, „მოსავლიანობის და შრომის ნაყოფიერების მხრით კოლმეურნეობებმა გაასწრეს არა თუ საშუალო (ინდივიდუალურ) მეურნეობებს, არამედ კულაკურ მეურნეობებსაც კი, ასე, მაგ., უკრაინაში ერთი დესეტინა მიწის ქერისთვის დასამუშაებლად და დასათესად საჭირო იყო: ღარიბ გლეხისთვის — 16,7 დღე, საშუალოსთვის — 12,2, კულაკისთვის — 11,3, ხოლო კოლმეურნეობებისთვის კი მხოლოდ — 7,8 დღე. ამნაირად, შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებში ორჯერ მაღლა სდგას ღარიბ გლეხის მეურნეობასთან შედარებით და თითქმის 1½-ჯერ მაღლა, ვინემ კულაკის მეურნეობაში“. [2])

მოსავლიანობის გადიდება კოლმეურნეობებში იწვევს საერთო პროდუქციის გადიდებას მჭამელზე და ამასთანავე საქონლის პროდუქციის გადიდებასაც. ამბ. ნიკულიხინი ადარებს, სხვათაშორის, ერთ საუკეთესო კომუნის (სახელწოდებით „ურო“ — „Молот“, ნოვოსიბირსკის ოლქში) საერთო შემოსავალს ერთ მჭამელზე და საქონლის პროდუქციას კერძო გლეხური მეურნეობის ასეთსავე პროდუქციას ორ სხვადასხვა სოფელში იმავე ოლქში და ვღებულობთ ასეთ სურათს:

| | მთელი შემოსავალი ერთ მჭამელზე | საქონლის პროდუქცია |
|---|---|---|
| კომუნაში . . . | 288 | 165 |
| სოფ. შისახმი . . . . . | 97 | 39 |
| მეორე სოფელში . . . . . | 56 | 17 |

„განსხვავება გასაოცარია! — ამბობს ამბ. ნიკულიხინი. ვთქვათ, რომ ეს კომუნა სანიმუშოა, ვთქვათ, რომ სხვა კოლექტიურ მეურნეობებში მიღწევები გა-

[1]) ეს ცნობები ამოღებულია ამბ. ნიკულიხინის წერილიდან: „Об общественном секторе в с. хозяйстве“. იხ. ეურნ. „ბოლშევიკ“ 1928 წ. № 11.

[2]) იხ. ამბ. ნიკულიხინის წერილი ეურნ. „ბოლშევიკ“-ში. ეს ცნობები გასულ წელს ეკუთვნის. დღეს ამ მხრივ კოლმეურნეობებში კიდევ მეტი წარმატებაა.

ცილებით უფრო ნაკლებია, მაგრამ ყველა ამათში შემოსავალი უფრო მეტია, და მეურნეობაც უფრო რაციონალურად არის დაყენებული".

ფრიად საინტერესო ცნობები მოყავს კოლმეურნეობათა მიღწევების შესახებ აგრეთვე ამხ. კუზმინს თავის წერილში „კოლმეურნეობათა ყრილობების შედეგები" (იხ. გაზ. „პრავდა" № 136). ავტორის სიტყვით, კოლმეურნეობათა ყრილობებზე აღნიშნულ იქნა ამ მეურნეობათა მთელი რიგი უპირატესობანი ცალკე გლეხურ მეურნეობებთან. შედარებით, როგორც მაგ., წევრთა შორის ნაყოფიერების ზრდა, მეურნეობის საქონლიანობის მატება, ნაკვეთების ნიეთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ. ნაყოფიერება და პირობითი წმინდა შემოსავალი (условно-чистый доход) სჩანს შემდეგი ცნობებიდან, რომლებიც შეიცავენ 198 კოლმეურნეობებს 1925-26 წელს და რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რას უდრიდა მთელი პროდუქცია და პირობითი წმინდა შემოსავალი ერთ მუშაკზე (იხ. ცხრილი 23 გვ.).

ამ ცხრილიდან აშკარად სჩანს ის, რომ როგორც მთელი პროდუქცია, ისე პირობითი წმინდა შემოსავალი ერთ მუშაკზე კომუნაში საგრძნობლად მაღლა დგას შედარებით არა თუ ინდივიდუალურ, ცალკე საგლეხო მეურნეობასთან, არამედ კოლექტიურ მეურნეობათა სხვა ფორმებთანაც. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ აქ ჩვენ ვხედავთ საერთო პროდუქციის სიმცირეს ამხანაგობებში (ტულის და სმოლენსკის გუბერნიების გარდა) და აგრეთვე პირობითი წმინდა შემოსავლის სიმცირესაც არტელებში (ლენინგრადის გუბერნიის გარდა) გლეხურ მეურნეობასთან შედარებით, ეს აიხსნება მით, რომ გლეხურ მეურნეობებში ნაანგარიშევია საერთო პროდუქცია და შემოსავალი მთელი მეურნობიდან, მაშინ როცა ამხანაგობებში და არტელებში ნაანგარიშევია როგორც პროდუქცია, ისე შემოსავალი მხოლოდ მეურნეობის იმ ნაწილის, რომელიც განსაზოგადოებრივებულია.

| კოლმეურნეობათა ფორმები | ლენინგრადის გუბ. | | მოსკოვის გუბ. | | ურალი და ვიატკის გუბერნია | | ტულის და სმოლენ. გუბ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მთელი პროდუქცია | პირობითი წმინდა შემოსავალი | მთელი პროდუქცია | პირობითი წმინდა შემოსავალი | მთელი პროდუქცია | პირობითი წმინდა შემოსავალი | მთელი პროდუქცია | პირობითი მთელი შემოსავალი |
| კომუნები . . . . . | 732 | 304 | 905 | 399 | 430 | 155 | 545 | 201 |
| არტელები . . . . . | 478 | 153 | 477 | 177 | 102 | 79 | 351 | 147 |
| ამხან. მიწის სახ. დამ. . . . . | 233 | 111 | 240 | 122 | — | — | 272 | 141 |
| გლეხური მეურნეობანი . . . . | 245 | 142 | 349 | 894 | 184 | 109 | 231 | 187 |

საერთოდ ცნობები კოლექტიურ მეურნეობათა მიღწევების შესახებ გვეუბნებიან იმას, რომ კოლექტიური წარმოების შემოღება სასოფლო მეურნეობა-

ში, სოფლის დღევანდელ პირობებში ყველაზე უფრო სასარგებლო და ხელსაყრელია ცალკე ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით.

მეორე საყურადღებო დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ზევით მოყვანილ ცნობებიდან მდგომარეობს იმაში, რომ როგორც საერთო პროდუქცია, ისე პირობითი წმინდა შემოსავალი საზოგადოდ კომუნებში ბევრად უფრო მაღლა დგას, ვინემ კოლმეურნეობათა დანარჩენ ფორმებში (არტელებში და ამხანაგობებში). ეს გარემოება უმთავრესად აიხსნება მით, რომ კომუნებში წარმოების ყველა იარაღები თითქმის მთელი ასი პროცენტით უკვე განსაზოგადოებულია. მაშასადამე, კომუნის უპირატესობა კოლმეურნეობათა ყველა დანარჩენ ფორმებთან შედარებით აშკარაა. რა თქმა უნდა, ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ პირდაპირ და უშუალოდ ყოველგან კომუნების ორგანიზაციას შეუდგეთ. კომუნა ჯერ-ჯერობით უმაღლესი საფეხურია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში, მაგრამ ის იმავე დროს პირველ ხანებში ყველაზე ნაკლებ გასაგები და მისაღებია ინდივიდუალურ, ცალკე მწარმოებლებისათვის, ამიტომაც, როცა ჩვენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზაზე ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯს ვსდგამთ, ჩვენი გლეხობისთვის ბევრად უფრო ადვილი მისაწვდომი და შესათვისებელია სწორედ სხვადასხვაგვარი ამხანაგობები და არტელები, რომლებიც გაუადვილებენ გლეხებს გზას ნამდვილი და სრული კოლექტიური წარმოების შემოსაღებლად. ამით აიხსნება ის, რომ გლეხები როგორც ჩვენში, ისე რუსეთშიაც და უკრაინაშიაც პირველ ხანებში უმეტეს ნაწილად ეტანებიან ამხანაგობებს და არტელებს, რომლებიც აჩვევენ გლეხებს კოლექტიურ შრომას და აგებინებენ მათ კოლექტიური წარმოების უპირატესობას.

ერთი უძლიერესს ფაქტორთაგანი, რომელიც ხელს უწყობს და აჩქარებს გლეხებში კოლექტიური შრომის და კოლექტიური წარმოების უპირატესობის შეგნებას, არის უეჭველად მაშინა. „ნივთიერ-ტეხნიკურ საფუძველს, რომელზედაც ვითარდება კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა, წარმოადგნს დღეს „მაშინა“, ამბობს ამხ. ნაუმოვი *) „თეორეტიულად ეს — განაგრძობს ავტორი — სრულიად ნათელია: დიდი მაშინა, რომელიც შემოაქვთ სასოფლო მეურნეობაში. რა თქმა უნდა, ვერ ეწყობა წვრილ გლეხურ საკუთრების ორგანიზაციულ ჩარჩოში. გამოდის რა ამ ვიწრო ორგანიზაციული ჩარჩოდან, ის იკრებს თავის გარშემო დაქსაქსულ სამუშაო ძალას ან კერძო კაპიტალისტური საკუთრების საფუძველზე ან კიდეე მისი (მაშინის) კოლექტიურ-საზოგადოებრივ გამოყენების საფუძველზე. ჩვენს პირობებში, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ხდება უმეტეს ნაწილად უკანასკნელი. ეს თეორეტიული დებულება მართლდება სინამდვილეში სტატისტიკური ცნობებით: არსებულ კოლექტიურ მეურნეობებში ყველაზე უფრო განსაზოგადოებულია არა ხელოსნურ ორგანიზაციის წარმოების იარაღები და აგრეთვე არა ისეთი იარაღები, როგორიც არის ჩვეულებრივი გუთანი, ფარცხი და სხვ., არამედ ყველაზე უფრო რთული მანქანები. „განსაკუთრებით სალეწაი მანქანა და ტრაქტორი. დიდი მანქანის ქონება საამხანაგო

*) იხილეთ მისი წერილი ჟურნ. „На аграрном фронте“. 1928 წ. № 5, სათაურით: „Вопросы колхозного строительства“.

მფლობელობაში ბუნებრივად იწვევს მისი სავსებით და უფრო ნაყოფიერად გამოყენებისთვის გადასვლას შეერთებულ მუშაობაზე მიწის საერთო ნაკრის დასამუშავებლად, ე. ი. იწვევს მიწის კოლექტიურად გამოყენებას, სოციალისტურ მიწათმოქმედებას.

## VII

რა უწყობს ან რა შეადგენს კოლმეურნეობათა უმთავრეს საჭიროებას, იმათ ტკივილებს, იმათ დეფექტებს და ნაკლულოვანებათ? შეეეცდებით მოკლედ ეუპასუხოთ ამ კითხვებზე. პირველ რიგში აქ უნდა დავასახელოთ ხელმძღვანელობის სისუსტე კოლმეურნეობათა მშენებლობაში. ახლა უკვე ყველამ იცის, რომ ეს ხელმძღვანელობა ან სრულებით არ იყო, ან თუ იყო ის საშინლად მოიკოჭლებდა. ეს ასე იყო არა მარტო ჩვენში, საქართველოში, არამედ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიაც, სადაც კოლექტიურ მეურნეობებს შედარებით უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს. ჩვენ კიდეე გასულ წელს გამოვამჟღავნეთ ის ფაქტი, რომ არავითარი ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებს ჩვენში არ ქონებიათ არც ერთ ორგანიზაციის მხრით: არც პარტიული, არც კოოპერატიული და არც საბჭოთა ხაზით. კოლმეურნეობები დარჩენ სრულიად გარიყული, მხოლოდ სრულიად შემთხვევით, თუ იქ რომელიმე პასუხისმგებელ მუშაკთაგანი მოხვდებოდა, და ესეც არა იმ მიზნით, რომ ხელმძღვანელობა გაეწიათ კოლმეურნეობებისთვის, აოამედ მხოლოდ ენახათ ეს ახალი საქმე, როგორც რაიმე „საკვირველება“, რომელიც იმათ თვალში უფრო უბრალო ცნობისმოყვარეობას თუ იწვევდა. ეხლა მდგომარეობა ამ მხრით სრულიად გამოიცვალა. პარტიამ და ხელისუფლებამ უდიდესი ყურადღება მიაქციეს კოლექტიურ მეურნეობათა საქმეს, იმათ გაძლიერებას და სათანადო დონეზე დაყენებას. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის მიზნით შექმნილია განსაკუთრებული ორგანოები, როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკანური მასშტაბით; ამასთანავე კოლმეურნეობათა საქმე მჭიდროდ დაუკავშირდა კოოპერაციას, ლენინის „კოოპერატიულ გეგმას“, კოოპერატიულ ცენტრებში მოწყობილია განსაკუთრებული სექციები, რომელთაც ევალებათ უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიონ კოლმეურნეობათა მოძრაობას, იმათ მოწყობას და გეგმიან მუშაობას. ამავე დროს როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ორგანოებს მიცემული აქვთ დირექტივები, რათა კოლმეურნეობებს გაეწიოთ საჭირო ხელმძღვანელობა და აღმოეჩინოთ ყოველგვარი დახმარება, მიიღონ სათანადო ზომები, რათა კრედიტის განაწილება კოლმეურნეობათა შორის და მისი მიწოდება ხდებოდეს დროზე და სწორედ; ასევე სხვადასხვა მანქანების და ტრაქტორების შესახებაც. ამ მიზნით ყველა დაინტერესებულ ორგანოებმა და პირველ ყოვლისა კოოპერატიულმა ცენტრმა უნდა იყოლიონ განსაკუთრებული ინსტრუქტორები, რომლებიც დროგამოშვებით ინახულებენ ცალკე კოლმეურნეობებს, გაეცნობიან იმათ მდგომარეობას და შემჩნეულ მიღწევების და დეფექტების შესახებ წარუდგენენ თავიანთ ცენტრს მოხსენებებს, აქედან სჩანს, თუ რა სერიოზული ზომებია მიღებული, რათა კოლმეურნეობებს გაეწიოთ მუდმივი და სწორი ხელმძღვანელობა და იმავე დროს, იქონიონ იმათზე

ბეჯითი მეთვალყურეობა და კონტროლი იმ მიზნით, რომ პარტიის და ხელისუფლების დირექტივები ურყეველად ტარდებოდენ ცხოვრებაში.

ყველაფერი ეს კარგია და მიზანშეწონილი. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, შეგვიძლია თუ არა ჩვენ ყოველივე ეს დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ, დავმშვიდდეთ და მოვისვენოთ? რა თქმა უნდა, რომ არა. საქმე ისაა, თუ ვინ არიან ეს ინსტრუქტორები? არიან ისინი საკმარისად მომზადებული იმ საქმისათვის, რომლისთვისაც ისინი მოწოდებული არიან? აქ მარტო თეორია ვერ გვიშველის, საჭიროა რომ ინსტრუქტორებს, გარდა თეორიისა, რამდენიმედ მაინც გავლილი ქონდეთ პრაქტიკული სკოლა, საჭიროა, რომ ინსტრუქტორები საქმით, გამოცდილებით იცნობდენ კოლმეურნეობათა მშენებლობას, იმათ მოწყობა-ორგანიზაციის და ხელმძღვანელობის საქმეს. ახლა ვიკითხოთ: რამდენი გვეყოლება ასეთი ინსტრუქტორი? მე მგონია, რომ ან სრულებით არც ერთი, ან ძლიერ ცოტა. მაშასადამე, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინსტრუქტორები შეძლებენ ხელმძღვანელობის უნაკლულოდ და სწორედ გაწევას. იმათ ჩვენ ვერ მოვსთხოვთ იმაზე მეტს, რაც იციან. ნამდვილ ხელმძღვანელობას გაუწევს კოლმეურნეობას ის, ვინც თითონ უშუალოდ ხელმძღვანელობს მას, ვინც უფრო ახლო იცნობს კოლმეურნეობის მუშაობას, იცის მისი ნაკლი და ღირსება. სამშეძლებენ ხელმძღვანელობის უნაკლულოდ და სწორად გაწევას. იმათ ჩვენ თითქო გამოუსვლელ ჩიხს მივადექით: გამოდის, რომ კოლმეურნეობისთვის ჩვენ არა გვყავს არც გამოცდილი ინსტრუქტორი და არც რიგიანად მომზადებული უშუალო ხელმძღვანელი. მაგრამ ჩვენთვის არ არსებობს საზოგადოდ გამოუსვლელი ჩიხი. ასეა საქმე ამ შემთხვევაშიც. ჩვენ უნდა მოვამზადოთ ამ საქმისთვის ახალი კადრი ნამდვილ გამოცდილ ხელმძღვანელებისა. ამ მიზნით უნდა დაარსებულ იქნეს განსაკუთრებული მოსამზადებელი კურსები. ასეთი კურსები უკვე არსებობს მოსკოვში. როგორც ვიცით, ამის მსგავსი კურსები ჩვენშიაც იყო დაარსებული. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ კურსების მსმენელად მოწვეული უნდა იქნეს თვით კოლმეურნეობათა უშუალო ხელმძღვანელები. მხოლოდ ამ შემთხვევაში მივიღებთ ჩვენ კოლმეურნეობათათვის ნამდვილად მომზადებულ და გამოცდილ ხელმძღვანელებს. ასე დგას საკითხი ხელმძღვანელობის შესახებ.

## VIII

კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობაში ყველაზე ურთულეს და უძნელეს ამოცანას შეადგენს საკითხები კოლმეურნეობათა შინაგან სტრუქტურის შესახებ. ასეთებია საკითხები შრომის განაწილების და შრომის ხელფასის ირგვლივ, კოლმეურნეობაში შინაგანი სოციალისტური დაგროვების, განუყოფელი კაპიტალის შექმნის, ბავშვების და დავრდომილთა უზრუნველყოფის სწავლა-განათლების და საერთოდ კულტურული მუშაობის და სხვ. და სხვ. შრომის ორგანიზაცია კოლექტიურ მეურნეობაში საერთოდ ყველაზე უფრო ურთულესი საკითხია. შეუძლებელია იმის თქმა, რომ ეს საქმე უკვე მოგვარებულია. ეს კიდევ თავსატეხი საგანია. ამ ნიადაგზე ხდება უმეტეს ნაწილად კოლმეურნეობათა დაშლა-ოლეევა, ყოველშემთხვევაში წევრების ერთი ნაწილის იქიდან გასვლა.

ჩვენ ვიცით, რომ კოლმეურნეობის წევრები ხშირად ვერ ეგუებიან იმ წესებს, რომლებიც შემოღებულია წევრთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების საქმეში.

იმათ არ აკმაყოფილებს ამ შემთხვევაში ის გარემოება, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობებში აქამდის არსებობს ხელფასის საქმეში ეგრედ წოდებული გათანასწორებითი-სამომხმარებლო სისტემა (уравнительно-потребительская система оплаты труда) უკვე ცნობილი ფაქტია ის, რომ დღევანდელ პირობებში ეს სისტემა აფერხებს კოლექტიურ მეურნეობათა საწარმოო ძალების ზრდა-განვითარებას, რადგანაც ის უკარგავს ხალისს უფრო ბეჯით და შრომის მოყვარე ხალხს იმუშავონ უფრო ენერგიულად და უფრო ნაყოფიერად საზოგადო საქმისთვის და იმავე დროს ასეთი სისტემა ათამამებს ნაკლებად ბეჯით და ზარმაც წევრებს. გარდა იმისა, რომ ასეთი სისტემა აფერხებდა და აფერხებს კოლექტიურ მეურნეობათა ზრდას, ის ხშირად იწვევდა იქიდან საღი ელემენტების გასვლას, და მაშასადამე, თვით კოლმეურნეობათა დასუსტებას და დაღუპვასაც. ეს საკითხი ეხლახან გაირჩა კოლმეურნეობათა საკავშირო პირველ ყრილობაზე, და იქ გადაჭრით აღიარებულ იქნა აუცილებლობა ყველა ფორმის კოლმეურნეობებში ხელფასის სისტემის შემოღება, თანახმად დახარჯული შრომის რაოდენობის, ე. ი. წევრების ნივთიერი დაინტერესება კოლმურნეობის ზრდაში. ამ საკითხის გადაჭრის დროს ყრილობამ ანგარიში გაუწია კოლმეურნეობის პრაქტიკას და გამოცდილებას. რა თქმა უნდა, ეს სისტემა უნდა იქნას შემოღებული ყველა კოლექტიურ მეურნეობაში.

ამასთან დაკავშირებულია განუყოფელი თანხის შექმნა კოლექტიურ მეურნეობებში. როგორც ვიცით, კოლმეურნეობათა წევრების ქონების საგრძნობი ნაწილი, — კომუნებში კი მთელი ქონება განსაზოგადოებულია, მაშასადამე, კერძო საკუთრება საწარმოო იარაღებზე იქ მოსპობილია ან სრულიად ან ნაწილობრივ; ყოველშემთხვევაში ჩვენ გეზი გვიჭირავს იქითკენ, რომ ახლო მომავალში წარმოების ყველა იარაღი კოლექტიურ მეურნეობებში აუცილებლად განსაზოგადოებული უნდა იქნას. ამიტომ კოლექტიურ მეურნეობათა ზრდა-განვითარება ახლო მომავალში აუცილებლად თხოულობს კოლმეურნეობათა მთელი შემოსავლის იმ ნაწილის თანდათან ზრდას და მატებას, რომელიც არ იხარჯება წევრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, და რომელიც ყოველწლივ გადაირიცხება განუყოფელ თანხაში. ამ თანხის დანიშნულებაა — შეძენა ახალი ინვენტარის (იარაღების, მანქანების და სხვ.), აგრეთვე ახალი წამოწყებანი, მაშასადამე, სწორედ აი ამ განუყოფელი თანხის მიღებაზეა დამოკიდებული კოლექტიური მეურნეობის ზრდა-განვითარება. ესაა კოლმეურნეობათა სოციალისტური დაგროვება, რაც ხდება იმათი წმინდა შემოსავლის ყოველწლივ გადარიცხვით. აქედან, ე. ი. წმინდა მოგებიდან უნდა ხდებოდეს კოლექტიურ მეურნეობის წევრების კულტურულად დაკმაყოფილებაც და აგრეთვე ბავშვების, მოხუცებულების და დავრდომილების სრული უზრუნველყოფა. ისეთი კოლმეურნეობა, რომელსაც არ რჩება წმინდა შემოსავალი თავისი ყოველგვარ ხარჯების დაფარვის შემდეგ, დღევანდელ პირობებში ვერ იხეირებს, მას მომავალი არა ჰქვს. ამიტომ წმინდა მოგება, თუნდაც სულ მცირე, სავალდებულოა ყველა კოლმეურნეობისათვის.

წმინდა მოგების რაოდენობა კოლმეურნეობაში დამოკიდებულია სხვადასხვა პირობებზე: წევრთა რაოდენობაზე. ძირითად თანხის და კრედიტის რაოდენობაზე. მაშინიზაციის გატარებაზე, აგრონომიული დახმარების კარგ ორგანიზაციაზე, დაბოლოს, საერთოდ კარგ ხელმძღვანელობაზე. თითქმის არც ერთი ამ პირობათაგანი ახსნას და განმარტებას არ თხოულობს: თითოეული იმათგანის მნიშვნელობა ისედაც ნათელია. რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას მხოლოდ კოლმეურნეობის წევრთა რაოდენობის შესახებ. ჩვენი უახლოესი მიზანია ის, რომ კოლექტიური მეურნეობა რაც შეიძლება დიდი იყოს, ე. ი. ის. რომ კოლმეურნეობათა წევრების მხრით მრავალრიცხოვანი იყოს, და იმავე დროს მასში შემავალ წევრების საწარმოო იარაღები სრული ასი პროცენტით განსაზოგადოებული იყვენ. მაგრამ ასეთი კოლექტივის მიღება ერთბაშად ძნელი საქმეა. თუ სრულებით შეუძლებელი არა. უფრო ხშირად თავდაპირველად ჩვენ გვექნება საქმე შედარებით მცირერიცხოვან კოლექტივებთან. და ჩვენი ამოცანაც ამ შემთხვევაში მდგომარეობს სწორედ იმაში. რომ მცირერიცხოვანი კოლექტივები თანდათან გავზარდოთ და გავადიდოთ წევრების რიცხვით. ასეთ ზრდაზეა დამოკიდებული კოლექტიურ მეურნეობათა გამძლეობა (устойчивость). დღემდის კი ოგორც ჩვენში. ისე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიაც, კოლმეურნეობათა შემადგენლობა განიცდის მუდმივ ცვალებადობას: წევრთა ერთი ნაწილი თავს ანებებს კოლმეურნეობას და იქიდან გამოდის. იმათ ადგილს იკერენ ახალი წევრები. ეს გარემოება. რა თქმა უნდა, დიდად აფერხებს კოლმეურნეობათა წარმატების საქმეს. აუცილებლად საჭიროა ამ გარემოების თავიდან აცილება. ე. ი. საჭიროა, რომ კოლმეურნეობაში დენა იყოს არა შიგნიდან გარედ, არამედ გარედან შიგნით. როგორ შეიძლება ამას მივაღწიოთ? რა თქმა უნდა არა ადმინისტრატიული ზომებით. ე. ი. არა ძალდატანებით, არა რეპრესიების საშუალებით, რასაც სამწუხაროდ, ხშირად მიმართავდენ, სხვათა შორის, ჩვენშიაც. არამედ დაჯერებით, საქმით, მაგალითით. კოლმეურნეობაში უნდა შეექმნათ ისეთი პირობები, როგორც შრომის ორგანიზაციის მხრით. ისე ურთიერთობის მხრით წევრებს შორის, რომ წევრებმა უნდა ამჯობინონ იქ ცხოვრება, და არა იქიდან გაქცევა. მაგრამ კოლმეურნეობა საპყრობილე ხომ არაა, რომ აქ ძალით დავანარჩუნოთ ხალხი. თუ ვისმეს არ სურს იქ დარჩენა. ორში ერთი. ან კოლმეურნეობა არ ეარგა და საჭიროა მისი გაჯანსაღება, ან კიდევ ის. ვინც იქიდან მიდის, უვარგისი ელემენტია. ზევით ნათქვამიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ზევიდან კარნახით ან ბრძანებით კოლმეურნეობა არ აშენდება. იყვენ ისეთი ბრძენი ადამიანები, რომლებიც ფიქრობდენ კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობას გაწერის (разверстка) საშუალებით. ამა თუ იმ რაიონში განსაზღვრულ ვადაში უნდა მოწყობილიყო კოლმეურნეობათა წინდაწინ გამოანგარიშებული და მიღებული რაოდენობა. მეორე რაიონში ამდენი და ამდენი და ასე. თავისთავად იგულისხმება, რომ თუ ჩვენ კოლმეურნეობათა მოძრაობაში ვებრძვით სტიქიას და უგეგმობას, არა ნაკლებ უნდა შევებრძოლოთ იქ გაწერის მეთოდებს, მარტო ზევიდან კარნახს და ბრძანებებს. კოლმეურნეობათა მოძრაობა ჩვენს პირობებში სრულებით არ საჭიროებს ხელოვნურ მეთოდებისათვის მიმართვას. სინამდვილე გეიმტკიცებს, რომ კოლმეურნეობათა მოძრაობამ საკმაოდ მაგრა გაიდგა ფეს-

ვები გლეხებში. რომ ეს მოძრაობა გაიზარდოს და სასურველი ნაყოფი გამოიღოს. საჭიროა დახმარება და ხელისშეწყობა, უმთავრესად კი საჭიროა ხელმძღვანელობა. რაზედაც ჩვენ ზევით ვლაპარაკობდით.

ერთი გარემოება, რაც თავიდანვე არ უნდა იქნეს დავიწყებული კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის მხრით, მდგომარეობს იმაში, რომ კოლმეურნეობა არ უნდა მოწყდეს გლეხობას: მათ შორის უნდა იყოს გაბმული მუდმივი კავშირი. როგორც ზნეობრივად, ისე ნივთიერად. განსაკუთრებით კოლმეურნეობა უნდა ეცადოს ამ კავშირის განმტკიცებისაკენ იმ მიზნით, რომ გლეხობა მოექცეს კოლექტიურ მეურნეობის გავლენის ქვეშ, არის შემთხვევები, — და ასეთი შემთხვევები, სამწუხაროდ საკმარისად ხშირია. — როცა კოლექტიური მეურნეობა როგორღაც იმიჯნება გლეხობისაგან, და ამ მოვლენას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ გლეხები საერთოდ პირველ ხანებში მაინც ეჭვის თვალით უყურებენ კოლექტიურ მეურნეობებს. არ სწამთ, რომ იქიდან რამე სახეირო გამოვიდეს. პირიქით, კოლექტიურ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა უნდა გააქარწყლონ გლეხების ასეთი ურწმუნოება კოლექტიურ მეურნეობათა მიმართ მუდმივი კავშირის დაჭერით მათთან. ყველაფერი, რაც კი კოლმეურნეობაში ხდება. გლეხობისთვის საიდუმლო არ დარჩეს. გლეხებმა უნდა იცოდეს, თუ როგორ ამუშავებენ კოლექტივის წევრები მიწას, თუ რა გაუმჯობესება შეაქვთ მათ მეურნეობაში, თუ როგორ იყენებენ მანქანებს, თუ როგორაა დაყენებული კოლექტიურ მეურნეობაში აგრონომიული დახმარება, ბავშვების და დავრდომილების მოვლა-პატრონობა და სხვ. და სხვ. მაგრამ ეს არ კმარა. კოლექტიურ მეურნეობა ვალდებულია რჩევა-დარიგების გარდა შესაძლებელი დახმარებაც აღმოუჩინოს გლეხებს, მაგ., თავისი მაშინებით ან ტრაქტორებით სრულიად მუქთად თუ არა, მეტად შელავათიან პირობებში მაინც. ასეთივე დახმარება უნდა აღმოუჩინოს კოლექტიურმა მეურნეობამ სხვადასხვაგვარ ახალ ღონისძიებათა გავრცელების საქმეში სასოფლო მეურნეობაში. კოლექტიური მეურნეობა უნდა შეიქნეს ნამდვილ ბაზად, საიდანაც უნდა ვრცელდებოდეს გლეხებში აგრონომიული ცოდნა და ახალი ღონისძიებანი. სოფლის მეურნეობის განსაკუთრებულად, სხვადასხვა მაღალ ტეხნიკურ კულტურათა შემოღებისათვის.

აი მოკლედ ის, რა უნდა შეასრულოს კოლმეურნეობამ სოფლად. რა თქმა უნდა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ამის შესრულება შეუძლია მას იმ შემთხვევაში. თუ მას თავის მხრით უწევენ დახმარებას ყველა ის ორგანოები. რომლებიც ამისთვის მოწოდებულნი არიან. მაგრამ კოლმეურნეობის წევრებმაც უნდა გაანძრიონ ხელი. არაფერი არ გამოვა, თუ ისინი არ არიან დაინტერესებული კოლექტიურ მეურნეობის წარმატებით. *)

ამასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობაში კოლექტიურ მხარეს. სრულებით შეუფერებელი და შეუსაბამოა, როცა კოლეკ-

*) სხვათა შორის. მე გადმომცეს შემდეგი: გურიაში ამ უკანასკნელ დროს ძლიერ გავრცელებულია ჩაის არტელები. მაგრამ არტელების წევრებს თავის საკუთარ მიწებზე თურმე ეთო ყორგად აქვთ დამუშავებული ჩაის პლანტაცია. ვინემ საარტელო მიწაზე. მე პირადათ ეს არ მინახავს. მაგრამ თუ ეს ფაქტი მართალია, ის გადაკრით დაგმობილი უნდა იქნეს.

ტიურ მეურნეობათა შემადგენლობა კულტურულად ჩამორჩენილია იმ გლეხებზე, რომლებიც მათ გარს არტყიან. და ეს თითქმის საერთო მოვლენაა დღემდის. ამიტომ კულტურულ მუშაობას კოლექტიურ მეურნეობებში უნდა მიექცეს თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება. კოლექტიური მეურნეობის წევრები უნდა შეიქნენ სავსებით შეგნებული ადამიანები პოლიტიკურად. აქ შართლა იწყება სოციალიზმის მშენებლობა. თითოეული წევრი სრულიად შეგნებულად უნდა იღებდეს უშუალო მონაწილეობას ამ მშენებლობაში. ისე კი არა, როგორც ეს აქამდის ზოგიერთ ჩვენ სასოფლო-სამეურნეო კომუნებში იყო, როცა კომუნის წევრების უმრავლესობამ არც კი იცოდა. თუ რა კეთდებოდა იქ, არ იცოდენ. კომუნა წინ მიდიოდა. თუ უკან, და მთელი ეს „საიდუმლოება“ მხოლოდ კომუნის „მეთაურმა“ იცოდა და სხვამ არავინ. აშკარაა, ეს დაუშვებელია, ასეთი მდგომარეობა თუ გაგრძელდა, კოლექტიური მეურნეობა უთუოდ დაიღუპება. კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა — ესაა ნამდვილი შემოქმედება. — მასთან შემოქმედება სრულიად ახალ სფეროში. სოციალისტურ მშენებლობის დარგში.

აქ ეძლევა გასაქანი გლეხების შემოქმედებით ნიჭს. აქამდის ეს ნიჭი სრულიად შებოჭვილი იყო. ის მოქცეული იყო ვიწრო კალაპოტში: მამაპაპურ სახნისს და სახრეს ის ვერ სცილდებოდა; გლეხის ტვინი და გონება უნდა განთავისუფლდეს ათასწლოვან ტრადიციების და ზნე-ჩვეულებების ტყვეობიდან. იმათაც უნდა შეიტანონ თავიანთი წვლილი სოციალიზმის საქმეში. თუ კი ქარხნის და ფაბრიკის მუშები თავისი შემოქმედებითი მუშაობით, დაკვირვებით და გამოგონებით წინ სწევენ სოციალისტური მრეწველობის საქმეს, გაბა გლეხები ვერ შესძლებენ თავისი მეცადინეობით და გლეხური გამოგონებით ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობაში სოციალიზმის დამყარებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს სწორედ ასე მოხდება უახლოეს ვადაში. მაგრამ ამისთვის საჭიროა მუშაობა და მთელი წარსული გამოცდილების გამოყენება. უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველივე წარსული კი არ უნდა უკუ ვაგდოთ. იმიტომ, რომ ის წარსული ცხოვრების მემკვიდრეობაა; არა. ზოგი რამ. რაც კარგია, უნდა გამოვიღოთ და განვავითაროთ. შემოქმედება შაბლონურად. ერთდაიმავე ყაიდაზე, ერთი დარჯაის მიხედვით შეუძლებელია. წაბაძულობა ყოველგან და ყველაფერში არ ვარგა. ის, რაც ერთ ადგილას კარგია და გამოსადეგი. მეორე ადგილას არ გამოდგება. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სახალხო მეურნეობის ისეთი დარგის შესახებ. როგორიცაა სასოფლო მეურნეობა. მრეწველობაში დაახლოვებით თითქმის ყოველგან ერთგვარი პირობებია როგორც შრომის ორგანიზაციის მხრით, ისე თვით წარმოების მხრითაც. სასოფლო მეურნეობის სფეროში კი თითქმის ყოველ ფესის ნაბიჯზე სხვადასხვა პირობებია: თუ ადგილმდებარეობის. თუ ნიადაგის. თუ ჰავის მხრით. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას საქართველოზე. ამიტომ შეუძლებელია. რომ კოლმეურნეობათა ჩამოყალიბება და განვითარება ყველა რაიონებში ერთგვარად. ერთი სახით და ფორმით ხდებოდეს. ამ მხრით აქ აუცილებლად იქნება განსხვავება და თავისებურება, მაგრამ ეს ოდნავად საშიში არაა, რადგანაც მიზანი. მიმართულება და გზა ყოველგან ერთია — სოციალიზმი. მაგ-

რამ ამისთვის საჭიროა კოლმეურნეობაში წევრების სათანადო მომზადება. სათანადო პოლიტიკური შეგნება, ანტირელიგიური პროპაგანდა, დამყარებული უმთავრესად გამოცდილებაზე და საბუნებისმეტყველო ცოდნაზე.

## IX

კოლექტიურ მეურნეობათა ერთ მთავარ საკითხთაგანს, — თუ ყველაზე უმთავრესს არა, — წარმოადგენს მიწის მოწყობის საქმე. ამაზე ლაპარაკობს და ამაზე უთითებს ყველა. მაგრამ მიწის მოწყობა საერთოდ მეტად მწვავედ დგას უკვე დიდი ხანია, თითქმის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან.

ეს საკითხი წარმოადგენს უდიდეს ამოცანას საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ის არაა მარტო ტეხნიკური და ფინანსიური საკითხი, როგორც ეს ბევრს პირველი შეხედულებით ეჩვენება. დღეს, როცა სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხი წამოიჭრა, როგორც ერთი მთავარი ამოცანა, მიწის მოწყობის საკითხი ებჯინება პირდაპირ სოციალიზმის განხორციელების საკითხს მიწათმოქმედებაში. ის მიწის მოწყობა, რომელიც აქამდის ხდებოდა ჩვენში. სრულებით არ ითვალისწინებდა ამ ამოცანას. იმ დროს, როცა ჩვენ პრაქტიკულად შევუდექით მიწის მოწყობის საქმეს, მაშინ კითხვა ასე არ იყო დაყენებული. იმ დროს ჩვენს წინაშე სრულიად სხვა ამოცანა იყო. მაშინ ჩვენ ვზრუნავდით მხოლოდ იმისთვის. რომ როგორმე აღგვედგინა განადგურებისაკენ მიმავალი სასოფლო მეურნეობა, და ეს შეიძლებოდა მხოლოდ წვრილ ცალკე ინდივიდუალურ-გლეხურ მეურნეობათა სახით. კოლექტიური მეურნეობის გზით სოფლის მეურნეობის აღდგენაზე ფიქრი მაშინ შეუძლებელი იყო. ორიოდე კოლექტიური მეურნეობა კომუნის სახით საქმეს ვერ უშველიდა პირიქით. მაშინდელი კომუნები გლეხებს კიდევ უფრო აუცრუებდენ გულს კოლექტიურ მეურნეობაზე, იმდენად უიმედო და სავალალო იყო მაშინ ამ კომუნების მდგომარეობა. იმ დროს სოფლის მეურნეობის გამობრუნება და აღდგენის გზაზე დაყენება მხოლოდ კერძო ინდივიდუალურ მეურნეობის სახით შეიძლებოდა. ამიტომაც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ სწორედ აუღო ალღო მაშინდელ მდგომარეობას და მიიღო სათანადო ზომები გლეხობისათვის მიეცათ სტიმული სოფლის მეურნეობის აღსადგენად. ამ მიზნით საჭირო იყო, რომ თითოეულ მოსახლეს სცოდნოდა დანამდვილებით მიწის რომელი ნაკვეთი იქნებოდა მის განკარგულებაში, რომ ამ მიწაზე მას დამშვიდებით შესძლებოდა აშა თუ იმ კულტურის გაშენება, ან ამა თუ იმ მცენარის დათესვა, რომ ამ მიწას მას არავინ ჩამოართმევდა, რომ ის ხელში ექნებოდა უდაოდ. ერთი სიტყვით გლეხური მეურნეობის აღდგენა თხოულობდა მიწის განსაზღვრული ნაკვეთების გადაცემას ცალკე მოსახლეებზე .მართალია, საბჭოთა ხელსუფლებამ გააუქმა მიწაზე კერძო საკუთრება და მთელი მიწა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა. მაგრამ მიწის ნაკვეთების შრომითი სარგებლობაში გადაცემას ეს არ ეწინააღმდეგებოდა. ამისათვის საჭირო იყო მიწის მოწყობა. თავდაპირველად საჭირო იყო შრომითი ნორმის დადგენა, რომ თითოეულ მოსახლისთვის მიწის განსაზღვრული რაოდენობა მიეზომათ. ამ პრინციპზე დაიწყო მიწის მოწყობა.

აქ ახალი სრულებით არაფერი იყო. ასე მიმდინარეობდა მიწის მოწყობის საქმე დღემდის. მაგრამ ასეთი წესით მიწის მოწყობა არა თუ არ ეგუება მიწის კოლექტიურად დამუშავების წესს. არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება მას. მართალია. ამ წესით დღემდის ჩატარებული მიწის მოწყობა უმნიშვნელო პროცენტს შეადგენს, მაგრამ საერთოდ ჩვენში თითქმის გამოსადეგი ან ვარგისი მიწის მთელი ფონდი დანაწილებული გამოდგა გლეხებს შორის მეტ-ნაკლებობით. ასე რომ გამოსადეგი მიწის თავისუფალი ფონდი დღეს ჩვენში (საქართველოში) ან სრულებით არ მოიპოვება. ან მეტად მცირე. ამ შემთხვევაში საქართველო განსაკუთრებით ცუდ პირობებში იმყოფება, ამიტომ. რომ მიწის თავისუფალი ფონდი კოლექტიურად დამუშავების მიზნით აქ თითქმის არაა. შედარებით უკეთესი პირობებია ამ მხრით საბჭოთა რუსეთში და საბჭოთა უკრაინაში, სადაც ჯერ კიდევ მოიპოვება კოლექტიურ მეურნეობათა მოსაწყობად საკმარისი თავისუფალი მიწის ფონდი.

**თავისთავად იგულისხმება**, რომ კოლექტიური მეურნეობა თავდაპირველად შედარებით ბევრად უფრო ადვილია იქ. სადაც მიწის პატარ-პატარა ნაკრების შეკოწიწება არ იქნება საჭირო და მერე ისეთ ნაკრების. რომლებიც ერთ ფარგალში არ მდგომარეობენ. არამედ გაფანტული არიან სხვადასხვა ადგილას. როგორც ვთქვით, საქართველოში ამ მხრით ვერაა საქმე კარგად. საქართველოში ჩვენ გვაქვს ერთის მხრით მიწის დიდი სიიწროე და მეორე მხრით მეტად წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა. ნიშნავს ეს იმას, რომ ჩვენში შეუძლებელია კოლექტიურ მეურნეობათა განვითარება? სრულებითაც არა. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ იმას. რომ კოლექტიურ მეურნეობათა განვითარება ჩვენში უფრო მეტ დაბრკოლებას ხვდება თავის გზაზე, ვინემ, მაგ.. საბჭოთა რუსეთში ან საბჭოთა უკრაინაში. მაგრამ კოლექტიურ მეურნეობათა განვითარება, მიუხედავად მრავალგვარ სიძნელეთა და დაბრკოლებათა შესაძლებელია და აუცილებელიც.

რა გზები ან რა შესაძლებლობანი გვაქვს ჩვენ ამ მხრით? რა იმედები შეგვიძლია დავამყაროთ ამ მხრით მიწის მოწყობაზე? და როგორი უნდა იყოს თვით მიწის მოწყობა: დარჩება ის ისეთი, როგორიც დღეს არის. თუ ის კარდინალურად უნდა შეიცვალოს?

მე სრულებით არ ვფიქრობ, რომ ყველა ამ ფრიად საყურადღებო კითხვებზე, ამომწურავი პასუხი გავცე. მაგრამ მიუხედავად ამისა, საჭიროდ მიმაჩნია ზოგიერთი შენიშვნები გაუზიარო ამის შესახებ მკითხველებს, უწინარეს ყოვლისა ფაქტიური მხარე.

საბჭოთა რუსეთში და უკრაინაში 1928 წლის 1 იანვრისათვის მიწის მოწყობა კოლექტიურ მეურნეობებში დამთავრებული იყო მხოლოდ სანახევროდ. რაც შეეხება საქართველოს კოლმეურნეობის მიწის მოწყობას. ამის შესახებ ჩვენ ცნობები არ გვაქვს. გარდა იმისა, რომ. როგორც ვიცით. მიწათმოქმედების კომისარიატს განზრახვა აქვს 1928 წლიდან შეუდგეს მიწის მოწყობას კოლმეურნეობებში. ჯერ კიდევ გამორკვეული არაა. როგორ მოხდება მიწის მოწყობა კოლექტივებში. ე. ი. გამოყოფილი იქნებიან ეს უკანასკნელები საერთო მიწის მოწყობიდან. თუ არა. და. გარდა ამისა. მიღებული იქნებიან მხედველობაში

მხოლოდ ის კოლმეურნეობები, რომლებიც არსებობენ, თუ აგრეთვე მომავალი კოლექტივებიც. აშკარაა, რომ მიწის მოწყობის დროს, გარდა არსებული კოლექტივებისა, გათვალისწინებული უნდა იქნენ უთუოდ მომავალი კოლექტივებიც.

საკითხი იბადება იმის შესახებ, თუ სინამდვილეში როგორ უნდა გატარდეს ასეთი მიწის მოწყობა.

უპირველეს ყოვლისა მოვიყვანოთ აქ რამოდენიმე ცნობა იმის შესახებ, თუ, როგორია დღეს ფაქტიური მიწათსარგებლობა არსებულ კოლექტივებში. მართალია ამის შესახებ, სრული და ამომწურველი ცნობები ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ ჩვენ მაინც მოგვყავს აქ ზოგიერთი დამახასიათებელი ცნობები. ასე. მაგ.. რუსეთში, კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრის ცნობებით 1927 წლის პირველ ოქტომბრისათვის თითოეულ კოლექტიურ მეურნეობაზე საშუალოდ მოდიოდა ყოველგვარი მიწა ჰექტარებით: *)

| | კოლ. მიწად სარგებ. | ინდივიდ. მიწად. სარგ. | ს უ ლ | % კოლ. მიწად. სარგ |
|---|---|---|---|---|
| კომუნებზე . . . . . | 329 | — | 329 | 100,0 |
| არტელებზე . . . . | 180 | 143 | 323 | 55,6 |
| მიწ. დამ. ამ-ბი . . . . | 98 | 199 | 197 | 33,1 |

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა რუსეთში საშუალოდ თითოეულ კოლექტივზე ყოველგვარი სამეურნეო დანიშნულების მიწა მოდის:

კომუნებზე — 329 ჰექტარი, არტელზე — 323 და მიწის დამ. ამხანაგობაზე — 199. მაშასადამე, შედარებით ყველაზე უფრო უზრუნველყოფილია მიწით კომუნა. შემდეგ არტელი, ყველაზე უფრო ნაკლებად მიწის დამ. ამხანაგობა. შემდეგ ზევით მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ მაშინ, როცა კომუნებში მთელი მიწით სარგებლობა კოლექტიურია, არტელებში და მიწის საზოგადო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობებში სულ სხვა სურათს ვხედავთ: არტელებში საერთოდ კოლექტიურ სარგებლობაშია მხოლოდ 55.6% და ამხანაგობებში კი კიდევ ამაზე ნაკლები, ე. ი. 33.1%. დანარჩენი ნაწილი ჯერ კიდევ არტელების და ამხანაგობების წევრების ინდივიდუალურ სარგებლობაში იმყოფება.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს კოლმეურნეობებში? აქ ჩვენ უფრო ნაკლები ცნობები გვაქვს. ასე მაგ.. 212 ყველა ფორმის კოლმეურნეობებიდან ცნობები ეხება მხოლოდ 118. ე. ი. საერთო რიცხვის 56%; გარდა ამისა, ეს ცნობები ეხებიან მხოლოდ იმ სამეურნეო მნიშვნელობის მიწებს, რომლებიც მხოლოდ კოლექტიურ სარგებლობაში იმყოფებიან. ეს, რა თქმა უნდა, დიდი ნაკლია მიუხედავად ამისა. ქვევით მოყვანილი ცნობები. **) რომლებიც ახასიათებენ ჩვენ კოლმეურნეობებს მიწის სარგებლობის მხრით გასული წლის დასასრულს. მაინც არ არიან ინტერეს მოკლებულნი.

*) ცნობები ამოღებულია ამს. ნაუმოვის ზევით დასახელებულ წერილიდან ჟურნალ „На аграрном фронте". 1928 г. № 5.

**) ეს ცნობები შეკრებილია სოფლის კავშირთან არსებულ კოლმეურნეობათა სექციის მიერ.

ეს ცნობები იძლევიან შემდეგ სურათს:

**მიწის კოლექტიური ხარგებლობა კოლექტივებში დესეტინებად:**

| კოლექტიური მეურნეობათა ფორმები | კოლ. მეურნ. საერთო რიცხვი | იმათში გაერთიანებულ წევრთა რაოდენობა | გაერთიანებული მიწის რაოდენობა | საშუალოდ მოდის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | თითოეული კოლექტ. | თითოეული წევრზე |
| 1. კომუნები . | 7 | 127 | 761 | 109 | 6,0 |
| 2. არტელები . . . . . | 59 | 1115 | 949 | 16 | 0,8 |
| 3. მიწის საზ. მთ. დამ. ამხ-ბი . . . . . | 52 | 967 | 767 | 15 | 0,8 |
| ს უ ლ . . . . . | 118 | 2209 | 2477 | 21 | 1.1 |

ამ ცნობებიდან უწინარეს ყოვლისა ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ საშუალო და თითოეულ კოლმეურნეობებზე ჩვენი ყოველგვარი ვარგისი მიწა მოდის რუსეთთან შედარებით ბევრად უფრო ნაკლები.

უნდა გავაფრთხილოთ მკითხველები. რომ ეს შედარება საერთოდ საესებით სწორი არაა. რადგანაც საქართველოს კოლმეურნეობათა შესახებ ჩვენ არ გვაქვს ცნობები იმ მიწების შესახებ. რომლებიც ჯერ კიდევ კერძო სარგებლობაში იმყოფებიან. მხოლოდ კომუნების შესახებ შეიძლება ეს ცნობები დაახლოებით სწორი იყვენ. და აი აქ შედარება გვეუბნება. რომ საშუალოდ თვითოეულ კომუნაზე ჩვენში მოდის მიწა სამჯერ უფრო ნაკლები, ვინემ რუსეთში. რაც შეეხება არტელებს და ამხანაგობებს აქ შედარებისთვის ცნობები არ მოგვეპოვება. შემდეგ მიწის უზრუნველყოფის მხრით მხოლოდ კომუნების შესახებ შეგვიძლია ვილაპარაკოთ. საქართველოში საშუალოდ კომუნის თითოეულ წევრზე მოდის ყოველგვარი გამოსადეგი მიწა დაახლოებით 6 დესეტინა. ეს კომუნის წევრებზე, და არა სულზე. თითოეულ სულზე ალბად არა უმეტეს ერთი დესეტინისა. თუ მივიღებთ მიწის სივიწროეს საქართველოში. სადაც მიწის ნორმა სოფლის თითოეულ მოსახლეზე მიწის კოდექსით არსად არ აღემატება 4 ან 5 დესეტინას. კომუნების მდგომარეობა მიწის მხრით დამაკმაყოფილებლად უნდა ვსცნოთ, თუმცა. რა თქმა უნდა, არა საკმარისად. რაც შეეხება მიწის უზრუნველყოფის საკითხს არტელებსა და ამხანაგობებში. ამის შესახებ ჩვენ ცნობები არ გვაქვს.

ამ შენიშვნების შემდეგ ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ისევ ზევით დაყენებულ საკითხების გაშუქებას. მთავარი საკითხი შემდეგია: საიდან უნდა მივიღოთ საქართველოში მიწის თავისუფალი ფონდი კოლექტიურ მეურნეობათა მოსაწყო-

ბად? რა თქმა უნდა, ჩვენ მხედველობაში გვყავს უმთავრესად სოფლის უმიწო ან მცირე მიწის მოსარგებლე მოსახლეობა, ე. ი .მოჯამაგირეები, უღარიბესი მიწის მუშა-გლეხები და შემდეგ საშუალო ქონების გლეხები. კოლექტიურ მეურნეობებში უნდა ჩავაბათ უმეტეს ნაწილად მოჯამაგირეები და უღარიბესი გლეხები. იმათ მიწა ან არ აქვთ სრულებით ან, თუ აქვთ, სულ მცირე რაოდენობით. კოლექტიურ მეურნეობათა შესაქმნელად ეს არ იკმარებს. შეიძლება თუ არა გამოვძებნოთ საკირო მიწა კოლმეურნეობათათვის. ჩვენი აზრით შეიძლება. ჩვენ დავასახელებთ რამოდენიმე წყაროს.

1) ზოგიერთ მაზრებში ჩვენ დღესაც მოგვეპოვება მიწის თავისუფალი სახელმწიფო ფონდი, მაგრამ უმეტეს ნაწილად ეს მიწები გამოუსადეგარია, ისინი ან ჭაობიანია. ან თხოულობენ მორწყვას, ან საზოგადოდ მწირი, უნაყოფო მიწებია. მაგრამ მელიორაციის საშუალებით შეიძლება ამ მიწების განაყოფიერება და გამოყენება ხშირად მაღალი კულტურებისათვისაც. ყოველ შემთხვევაში კოლექტიურ მეურნეობებისათვის ეს მიწები უნდა იქნას გამოყენებული პირველ რიგში. რა თქმა უნდა სახელმწიფოს დაუხმარებლად ამ მიწების გამოყენება კოლექტივებისათვის შეუძლებელია. მეორე მხრით, ესაა ყველაზე უფრო საიმედო წყარო კოლმეურნეობათა მოსაწყობად.

2) მეორე წყარო, საიდანაც შეგვიძლია მივიღოთ მიწის თავისუფალი ფონდი. ეს არის მიწის მოწყობის დაჩქარებითი გატარება ცხოვრებაში. საქმე იმაშია. რომ მიწის მოწყობის ჩატარებამ ბევრ ადგილას აღმოაჩინა მიწის ნორმაზე ზედმეტი სარგებლობა მოსახლეობის შეძლებულ ნაწილში. ჩვენი ვარაუდით, მიწის მოწყობის დაჩქარება 2-3 წლის განმავლობაში ჩვენ მოგვცემს რამდენიმე ათეულ ათასამდე დესეტინა მიწას. მაგრამ აქ ორნაირი დაბრკოლება გვეღობება წინ ამ მიწების კოლექტიურ მეურნეობისათვის გამოსაყენებლად. პირველი დაბრკოლება მდგომარეობს იმაში, რომ მიწის მოწყობა ერთობ მეტად ნელ-ტემპით მიმდინარეობს. მაშინ როცა კოლექტიურ მეურნეობებს დღესვე ესაჭიროებათ მიწები. მეორე არა ნაკლებ სერიოზული დაბრკოლება მდგომარეობს იმაში. რომ მიწის მოწყობის მეოხებით ჩვენ ვღებულობთ მიწის მცირე ნაკვრებს. და იმავე დროს ისინი ერთი მეორისაგან დაქსაქსული არიან. და ამიტომ იმათი გამოყენება კოლექტიურ მეურნეობისთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მაგრამ მიწათმოწყობის დროს ჩვენ აუცილებლად უნდა დავისახოთ მიზნად ამ მიწების გამოყენება კოლექტიურ მეურნეობათათვის.

3) მესამე წყარო — სოჩის ოლქში საქართველოზე გადმოცემული მიწის ფონდი 40.000 დესეტინამდე გადასახლების მიზნით უნდა ამ თავითვე იქნეს მიღებული ზომები, რომ იქ ჩასახლებულებისაგან შესდგეს კოლექტიური მეურნეობები. ამის მიხედვით უნდა იქნას მოწყობილი კრედიტის მიცემა, მიწის მოწყობა. მელიორატიული ღონისძიებები (ჭაობების ამოშრობა, მორწყვა, წყალსადენები და სხვ. და სხვ.).

ამნაირად ჩვენ ვხედავთ. რომ კოლმეურნეობათა შესაქმნელად ჩვენში საკმარისი შესაძლებლობანია მიწის თავისუფალი ფონდის შექმნის მხრით. მაგრამ იქნება ასეთი მიწები თუ არა სულ ერთია. კოლექტიურ მეურნეობებში

მაინც უნდა ჩაებას ღარიბი და საშუალო გლეხობა, რადგანაც უამისოდ წვრილი-დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობას გაუჭირდება თავი დააღწიოს გაჭირვებას. გაჭირდება მეურენობის სრულიად პრიმიტიული ტეხნიკის გარდაქმნა თანამედროვე უმაღლეს ტეხნიკაზე. ამ მიზნით მოწყობის ხასიათი ამის შემდეგ ჩვენ უნდა შევსცვალოთ ისე, რომ მიწის მოწყობა შეიქნეს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის ერთ უძლიერეს ფაქტორად. აქამდის კი მიწის მოწყობა არსებითად კოლექტივიზაციის წინაალმდეგ იყო მიმართული, მაგრამ ეს წინედ აუცილებელი იყო სასოფლო მეურნეობის გამოსაბრუნებლად. დღეს კი ეს ხანა უკვე გადალახულია.

აქ ჩვენ უნდა შევჩერდეთ კიდევ შემდეგ გარემოებაზე. მართალია, კოლექტიური მეურნეობისათვის მიწა წარმოადგენს ყველაზე უძლიერეს იარაღს თავის მოქმედებისათვის, მაგრამ კოლექტიურ მეურნეობისათვის მიწა არ წარმოადგენს თავის მოქმედებისთვის ერთად-ერთ საშუალებას. სასოფლო მეურნეობას აქვს მრავალი სხვადასხვაგვარი დარგი და ყველა ამ დარგში მიწა ერთნაირ როლს არ თამაშობს: ზოგან მეტია მისი როლი, ზოგან ნაკლები, და შეიძლება ძლიერ მცირეც. განსაკუთრებით ეს ითქმის საქართველოს პირობებში, სადაც სასოფლო მეურნეობაში არსებობს მრავალი სხვადასხვა დარგი, რომლებიც ერთნაირად არ საჭიროებს მიწას; ამიტომ მეურნეობის ზოგიერთ დარგში ბევრი მიწა სრულებით არაა საჭირო, ხშირად საკმარისია მიწის შედარებით მცირე ნაკვეთიც. მაგ., სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ნაწარმოების დამუშავება, მესაქონლეობა, განსაკუთრებით მეღორეობა. მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და სხვ. და სხვ. ყოველშემთხვევაში მეურნეობის ზევით ჩამოთვლილ დარგთ ესაჭიროებათ გაცილებით ნაკლები მიწა, ვინემ ისეთი დარგი, როგორიცაა. მაგ.. ხორბლეულობა, მებამბეობა, მეთამბაქოება, ჩაი და სხვ. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტიკების მოწყობას მეურნეობის ისეთ დარგებში, სადაც მცირე მიწაც საკმარისია, რომ კოლექტივი იქნას მოწყობილი. განსაკუთრებით ამას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება დასავლეთ საქართველოში, სადაც ერთი მხრით მიწის დიდი სივიწროეა, და მეორე მხრით მეტად ხელსაყრელია მეურნეობის იმ დარგთა განვითარება და კოლექტიურად მოწყობა. სადაც ამისათვის აოც ისე ბევრი მიწაა საჭირო. ჩვენ უკვე დაეასახელეთ რამდენიმე ასეთი დარგი. მაგრამ იმათი რიცხვი შეიძლება ყოველთვის გადიდებულ იქნას ადგილობრივი სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა მიხედვით.

## X

დასასრულ. რამდენიმე სიტყვა სოფლის კომუნისტების ახლო მონაწილეობაზე კოლმეურნეობათა მშენებლობაში და იმათ როლზე ამ საქმეში. როცა ჩვენ ვამბობთ სოფლის კომუნისტზე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით, რა თქმა უნდა გლეხი-კომუნისტი. თავისთავად იგულისხმება, რომ კოლმეურნეობათა მოძრაობა — ეს უაღრესად მასიური მოძრაობაა, რომელშიაც უნდა ჩაებას ულარიბეს და საშუალო გლეხ-კაცობის მასა. თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ მო-

ძრაობას. თუ რა როლი უნდა ითამაშოს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობამ სოფლის პირობებში საერთოდ სოციალიზმის დამყარების საქმეში, ამაზე აქ მეტია ლაპარაკი. რა თქმა უნდა, აქედან აშკარაა, რომ სოფლის კომუნისტები, ე. ი. გლეხი-კომუნისტები არა თუ უნდა ჩაებან კოლმეურნეობათა მშენებლობაში, არამედ ისინი უნდა გახდენ მათი ნამდვილ ორგანიზატორებათ და ხელმძღვანელებათ.

ახლა თუ გადავხედავთ სინამდვილეს ჩვენ დავინახავთ, რომ მდგომარეობა ამ მხრით არასანუგეშოა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ კომუნისტური პარტიის წევრების, კანდიდატების და კომკავშირლების მონაწილეობა კოლმეურნეობაში (კომუნები, არტელები და ამხანაგობები) ჩვენში გამოიხატება საერთოდ 21,1 პროც.: მასთან კომუნებში ეს გამოიხატება 40.0 პრც.; არტელებში 209,0 პროც. და მიწის საზ. შრომით დამმუშავებელ ამხანაგობებში 20.1 პროც. თავისთავად ეს ცოტა პროცენტი არაა, განსაკუთრებით კომუნებისათვის. საგრძნობლად ნაკლებია კომუნისტური პარტიის და კომკავშირის წევრების მონაწილეობა სამანქანო ამხანაგობებში — 9.9 პროც. საერთოდ, როგორც ვთქვით, ჩვენ კოლმეურნეობებში პარტიის წევრების და კომკავშირლების მონაწილეობა რაოდენობის მხრით შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. საჭიროა, რა თქმა უნდა, ამ მონაწილეობის გაძლიერება არტელებსა და ამხანაგობებში. მაგრამ საქმე იმაში როდია, საქმე იმ ხელმძღვანელობაშია, რომელსაც უწევენ ან უნდა გაუწიონ კოლმეურნეობებს სოფლის კომუნისტებმა. დღემდის კი ეს ხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებელი არაა და ამას აქვს თავის გასამართლებელი მიზეზები. არსებობდა ერთნაირი გულგრილობა და უყურადღებობა სოფლის პარტიული ორგანიზაციების მხრით კოლმეურნეობის მიმართ, რაც აიხსნებოდა იმით, რომ არ არის კიდევ სხვა მიზეზებიც. დავასახელოთ ზოგიერთი იმათგანი.

ეურ. „ბოლშევიკი"-ს ამა წლის მეცხრე ნომერში (15 მაისის) მოთავსებულია ამხ. რიაბოკინის წერილი სათაურით: „სოფლის კომუნისტი, როგორც კოლექტიური მეურნეობის ორგანიზატორი" („Деревенский комунист, как организатор коллективного хозяйства"). საჭიროა, ჩვენი სოფლის კომუნისტები კარგად გაეცნონ ამ წერილს. ისინი გაეცნობიან ბევრ სიმახინჯეს, გადახრას და პარტიული ხაზის გაღუნვას სოფლის კომუნისტების მხრით საერთოდ და კოლექტიურ მეურნეობის მიმართ კერძოდ. მართალია, გლეხი-კომუნისტის პირობები არაა სახარბიელო, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ამ ნაკლულევანებათა წინააღმდეგ უნდა იქნას ზომები მიღებული.

უპირველეს ყოვლისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სოფლის კომუნისტი კერძო მწარმოებელი და კერძო მესაკუთრეა. რომ იგი უმეტეს შემთხვევაში ან ღარიბ გლეხობის ჯგუფს ეკუთვნის, ან მოჯამაგირეა. სოფლის კომუნისტები არიან აგრეთვე საშუალო შეძლების და შეიძლება, როგორც დაუშვებელი შემთხვევა. შეძლებული. ანუ მდიდარი გლეხებიც. ამ უკანასკნელ ელემენტებზე ჩვენ არ ვლაპარაკობთ, რადგანაც ისინი, კომუნისტური პარტიისთვის როგორც უცხო და მიუღებელი ელემენტები. უნდა განიდევნონ პარტიის რიგებიდან, ავიღოთ მხოლოდ ღარიბი და საშუალო შეძლების გლეხები.

ჩვენ ვიცით, რომ რომ გლეხ-კომუნისტისთვის მეტად ძნელია თავის მეურნეობას გაუძღვეს, ე. ი. თავი ირჩინოს და ოჯახიც არჩინოს თავისი მეურნეობის საშუალებით, და იმავე დროს პარტიის დავალებებიც შეასრულოს. ამ ნიადაგზე ჩნდება ბევრი უხერხულობა და სიძნელე. რაც ქალაქის კომუნისტისთვის ერთი ნაწილი. რომელიც რაიმე ადგილს ანუ სამსახურს შოულობს, სოფლის მეურნეობაზე ხელს იღებს და ამნაირად თანდათან სწყვეტს კავშირს სოფლის მეურნეობასთან. ის გლეხი-კომუნისტები კი (და ასეთები კი დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ), რომლებიც ვერ ახერხებენ „ადგილის" შოვნას, იძულებული არიან მხოლოდ სოფლის მეურნეობას დაეყრდნონ: ესე იგი აწარმოონ თავისი კერძო ინდივიდუალური მეურნეობა. როგორც ვიცით, არც აწმყო და არც მომავალი მათ არ ეღიმებათ, გლეხი-კომუნისტის, როგორც ღარიბი გლეხის ან მოჯამაგირის მდგომარეობის ამაღლება შეიძლება საშუალო გლეხის მდგომარეობამდე. მაგრამ ეს არ სწყვეტს ძირითად საკითხს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ გლეხმა, პოლიტიულია იგი თუ უპარტიო, გაპირვებას ამით უკვე თავი დააღწია. საშუალო გლეხს თავის ინდივიდუალური მეურნეობის ვიწრო ფარგლებში არ შეუძლია გაუმჯობესოს წარმოების ტეხნიკა, გამოიყენოს მაშინა, ტრაქტორი. ამის პირობებს არ იძლევა წერილი გლეხური მეურნეობის ფარგლები. უამისოდ კი სოფლის მეურნეობის წინწაწევა და განვითარება-დღევანდელ პირობებში შეუძლებელია. მხოლოდ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შეიძლება მაღალი ტეხნიკის შემოღება და დიდი მანქანის და ტრაქტორის სავსებით გამოყენება.

ასეთი მსხვილი მეურნეობა შეიძლება იყოს ორნაირი: კოლექტიური და კაპიტალისტური. ჩვენთვის მოცემულია პირველი გზა — კოლექტიური მეურნეობის გზა, — რომელიც აქამდის უმეტეს შემთხვევაში ათვალწუნებული იყო სოფლის კომუნისტების მიერ, ყოველ შემთხვევაში მას მეტად ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ეს აიხსნება უმთავრესად იმით, რომ არ სწამდათ კოლექტიურად მეურნეობის წარმოება. არ იყვენ ამას შეჩვეული. არ ეგონათ, თუ იქიდან რაიმე ხეირი გამოვიდოდა. ამიტომ გლეხი-კომუნისტები ამჯობინებენ კოლექტიურ მეურნეობას ისევ კერძოს, ინდივიდუალურს. აქედან ჩვენ მივიღეთ ორნაირი შედეგი: 1) სოფლის კომუნისტების დიდი უმრავლესობის მეურნეობა გაჩერებულია ერთდაიმავე დონეზე, ის არ მიდის და ხშირად უფრო დაბლა ეშვება, რადგანაც გლეხ-კომუნისტებს არ აქვთ საშვალება მეურნეობაში რაიმე საგრძნობი გაუმჯობესება შეიტანონ და იმავე დროს პარტიის დავალებებიც აასრულონ. 2) მეორე მხრით ზოგიერთ გლეხ-კომუნისტებმა, თუმც ძლიერ უმცირესობამ. შესძლეს თავის მეურნეობის წინ წაყვანა, ასე რომ იმათ მეურნეობამ რამდენიმედ „კულაკური" ხასიათი მიიღო. რა თქმა უნდა. ასეთი გლეხი-კომუნისტები პირდაპირ გაურბიან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, და ხშირად აგდებით იხსენიებენ მას. აშკარაა. ესენი უკვე ანტი-კოლექტივისტური და ანტი-კომუნისტური ელემენტებია, რომელთაც კომუნისტურ პარტიაში ადგილი აღარ უნდა ქონდეთ. ისინი ჩვენ არ გვაინტერესებს. ჩვენ ვლაპარაკობთ გლეხ-კომუნისტების დიდ უმრავლესობაზე. დღეს პარტიის მთავარი ამოცანა მდგომარეობს

იმაში, რომ გლეხი-კომუნისტების დიდი უმრავლესობა, რომელიც აქამდის ინდივიდუალურ მეურნეობას მისდევს, აქტიურად იქნას ჩაბმული კოლექტიურ მეურნეობაში. გლეხი-კომუნისტებისთვის სხვა გამოსავალი არაა. ამ მხრით მეტად საგულისხმიეროა ერთი გლეხი-კომუნისტის, ეკონომიურად მაგარი გლეხის სიტყვები, რომლებიც მოყავს ამხ. რიაბოკინს თავის ზევით დასახელებულ წერილში. აი რას ამბობს ის გლეხი-კომუნისტი (ამხ. ტიშკოვი): საკუთარი მეურნეობის წარმოება ხრწნის კომუნისტებს. საუკეთესო გამოსავალია კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიხდება მოჯამაგირეების დაქირავება და პარტიიდან გამოსვლა. ეკონომიური უთანასწორობა უჯრედის წევრებში იწვევს შეხლა-შემოხლას იმათ შორისო. ეს სრული ჭეშმარიტებაა. ოდნავადაც აქ გადაჭარბება არაა. ამასთან დაკავშირებით ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ. ჯერ კიდევ მეთერთმეტე პარტყრილობამ (1922 წ.) თავის დადგენილებით სავალდებულო გახადა სოფლის კომუნისტებისთვის მონაწილეობა კოლექტიურ მეურნეობებში. აი სიტყვა-სიტყვით ეს დადგენილება: „კომუნისტების მონაწილეობა თავის რაიონის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში და კოლექტივებში უთუოდ სავალდებულოა. მასთან ერთად სავალდებულოა იმათთვის ასეთ ორგანიზაციების შექმნის თაოსნობა, თუ ასეთები იქ არ არსებობენო“, როგორც ხედავთ. ეს დადგენილება აქამდის თითქო არ ტარდებოდა ცხოვრებაში, მაგრამ მეხუთმეტე ყრილობამ ამ მხრით გადაჭრით აღიარა, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია წარმოადგენს ამიერიდან პარტიის უდიდეს ამოცანას. ამნაირად პარტია უნდა შეუდგეს სოფლის კომუნისტების მომზადებას, როგორც კოლმეურნეობათა ორგანიზატორების და ხელმძღვანელების. ამიერიდან ჩვენი პარტიის ერთი მთავარი ლოზუნგთაგანი სოფლად უნდა იყოს: არც ერთი კომუნისტი კოლექტიურ მეურნეობის გარეშე. ეს ერთი. მეორე ის, რომ არ უნდა იყოს არც ერთი კოლექტიური მეურნეობა, რომელიც არ იძლეოდეს ნაღდ მოგებას, რომელიც არ ახდენდეს, სოციალისტურ დაგროვებას, სულ მცირეს მაინც. მესამე — ეს ის, რომ კოლექტიურ მეურნეობაში გაწეული შრომა სისწორით და სავსებით უნდა იქნას შესწავლილი და დაფასებული, და ყველა მიღწეულ შედეგებს უნდა გაუკეთდეს საერთო ჯამი და გაეწიოს სრული ანგარიში. მეოთხე. — კოლმეურნეობა განსაკუთრებით უნდა ეყრდნობოდეს თავის საკუთარ ძალებზე, და არ იყოს მოიმედე გარეშედან მიწვდილ დახმარებისა. რა თქმა უნდა ეს დახმარება სხვადასხვა სახით კოლმეურნეობისათვის წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას. მაგრამ ეს არაა მთავარი ძალა. მეხუთე. — კოლმეურნეობა თანდათან უნდა შეიქნეს პარტიის და მთავრობის ყველა ახალ აგრონომიული ხასიათის ღონისძიებათა ცენტრად სოფელში. ასე რომ ყველა ეს ღონისძიებანი კოლმეურნეობის მეშვეობით უნდა ვრცელდებოდეს გლეხებში.

მეექვსე. — კოლექტიური მეურნეობები უნდა დაუახლოვდენ აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებს, უნდა გაიბას მათ შორის მჭიდრო კავშირი, რათა ამ ორ სოციალისტური ხასიათის წამოწყებათა შორის იყოს სავსებით სოლიდარული, შეთანხმებული მუშაობა.

ამ გზით და ამ საშუალებით სოფლის მეურნეობა და სოფელი უფრო მჭიდროდ და უფრო მეტი სიმტკიცით დაუახლოვდება და დაუკავშირდება ქალაქის

სოციალისტურ მრეწველობას და ქალაქის მუშას, პროლეტარიატს, და მოისპობა სრულიად წინააღმდეგობა სოფელსა და ქალაქს შორის.

კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა — ესაა გზა და საშუალება, რომლის მეოხებით და სოციალისტური პროლეტარიატის, ე. ი. ქალაქის მუშათა კლასის და სოციალისტური მრეწველობის უშუალო ხელმძღვანელობით და ზემოქმედებით, სოციალისტური მრეწველობის წარმატებითი განვითარება. თითოეული მის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება იმავე დროს წარმატება და წინსვლა სოციალისტური მიწათმოქმედებისა.

სოფლს ორგანიზაციები და თითოეული სოფლის კომუნისტი მოწოდებულია ხელი შეუწყონ და დააჩქარონ ეს დიდი პროცესი.

# უდიდესი გარდატეხის ხანა სოფლის მეურნეობაში

„ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში სოციალური წყობილება დაფუძნებულია ორი კლასის: მუშების და გლეხების თანამშრომლობაზე“.

ლენინი.

ჩვენ ჩამორჩენილ და დაქუცმაცებულ სოფლის მეურნეობაში დაიწყო უდიდესი გარდატეხა, რომელიც მეტად სწრაფი ტემპით ვითარდება. ესაა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, წვრილ ჩამორჩენილ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანება, განსაზოგადოებრივობა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებში. ესაა სწორედ ის. რაზედაც ფიქრობდა და იცნებობდა ამხ. ლენინი ამ 10-12 წლის წინედ და რაც მას მიაჩნდა რეალურ საშუალებად მოჯამაგირეების, ღარიბი და საშუალო გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ სოფლის წვრილ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებისათვის მაშინ ჯერ კიდევ არ იყო საამისო პირობები. ამისათვის საჭირო იყო ორი უმთავრესი პირობა: 1) მოჯამაგირეების და ღარიბი და საშუალო გლეხკაცობის შეგნების შედარებით უფრო მაღალი დონე და 2) სოფლის მეურნეობაში გაუმჯობესებული ტეხნიკის შეტანის რეალური შესაძლებლობანი. არც ერთი და არც მეორე ჩვენ იმ ხანებში არ გაგვაჩნდა. გლეხკაცობის დიდი უმრავლესობის კლასობრივი შეგნება მაშინ საკმარისი იყო მხოლოდ იმისათვის, რომ მსხვილ მიწათმფლობელთ მიწა ძალით ჩამორთმეოდათ, განაწილებულიყო ეს მიწა გლეხებს შორის. მაგრამ რომ ეს მიწები და საერთოდ წვრილი დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობები გააერთიანებიათ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებში. ამის შეგნება გლეხკაცობის ფართე მასებში მაშინ ჯერ კიდევ არ იყო.

ის კოლმეურნეობრივი მოძრაობა კი. რომელსაც ადგილი აქვს დღეს ჩვენი სოფლის მეურნეობაში. წარმოიშვა თითქმის სრულიად დამოუკიდებლად საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში არსებულ კოლმეურნეობებიდან, სულ სხვა ნიადაგზე და სულ სხვა გზით. ამ მოძრაობას მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა უმთავრესად ლენინის კოოპერატიული გეგმის განვითარებამ. დღევანდელ კოლმეურნეობრივ მოძრაობას წინ უძღოდა სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფართე ზრდა როგორც ქალაქად. ისე სოფლადაც. უკანასკნელ წლებში ამას დაერთო კიდევ ქალაქის მრეწველობასა და გლეხურ მეურნეობათა შორის ხელშეკრულებათა დადება (კონტრაქტაცია) სოფლის მეურნეობის ნაწარმოების დასამზადებლად და მრეწველობისათვის თავის დროზე ჩასაბარებლად. ყოველივე ამან დააჩქარა გლეხკაცობის გაერთიანება კოლექტიურ ამხანაგობებში.

ძაგრამ კოოპერაციას დანიშნულება არ სცილდება დამზადებული საგნის მიწოდებას, გასაღებას და მომარაგებას. არც სამომხმარებლო და არც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია არ ეხება თვით საგნის ნიკოის გაკეთებას. ე. ი. უშუალოდ ის არ ეხება წარმოების დარგს, რა თქმა უნდა. საგნის მიწოდებას და გასაღებას გლეხისათვის ხელსაყრელ პირობებში, ამ საქმის გამოგლეჯას ვაჭრებისა და ჩარჩ-ბაკაკების ხელიდან, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს თვით საგნის, ნივთის გაკეთებას. თავისთავად იგულისხმება, რომ სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციიდან აუცილებლად უნდა გადადგმულიყო შემდეგი ნაბიჯი შრომის და შრომის იარაღების გაერთიანებისაკენ, ე. ი. წარმოებითი კოოპერაციის შექმნისაკენ. ასეთი კოოპერაცია უკვე არსებობს მრეწველობაში ფაბრიკების, ქარხნების, პალიტრების, სახელოსნოების და სხვ. სახით. მართალია, სოფლის მეურნეობაში წარმოებითი კოოპერაციის შექმნა გაცილებით ძნელი საქმეა. მაგრამ ეს სიძნელე ადრე იქნება თუ გვიან სულ ერთია მაინც დაძლეულ უნდა იქნას. რადგანაც სხვა გზა არ არის, თუ ჩვენ სოციალისტურ მიწათმოქმედების განხორციელებაზე ხელს არ ავიღებთ.

ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარება უკვე მიადგა შრომის და შრომის იარაღების გაერთიანების საქმეს. უამისოდ ჩვენ ვერ გადავჭრით ვერც ერთ დიდ ამოცანას სოფლის სეურნეობაში, სახელდობრ: ვერც სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდებას, ვერც მაღალი ტეხნიკის გავრცელებას სოფლის მეურნეობაში და, რაც უმთავრესია, ვერც სოციალიზმის განხორციელების დაჩქარებას მიწათმოქმედებაში. უამისოდ ჩვენ სოფლის მეურნეობაში შედარებით კიდევ დიდხანს უნდა შეურიგდეთ ერთი მხრით კულაკობისა და მუქთახორეობის და მეორე მხრით ღარიბ-ღატაკი გლეხობის და მოჯამაგირეობის არსებობას. მაგრამ სახალხო მეურნეობა უკვე აღდგენილია და ჩვენ შეუდექით კიდეც მის სოციალისტურად გარდაქმნას, მის რეკონსტრუქციას უმაღლეს ტეხნიკურ საფუძველზე. აშკარაა ასეთ პირობებში სოფლის მეურნეობის წინანდელ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელი გახდა. მეორე მხრით მიწათსარგებლობის ინდივიდუალური ფორმა, რაც გამოიხატება წვრილ და დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობებში, სრულებით აღარ იძლევა შესაძლებლობას მისი გარდაქმნისათვის უმაღლეს ტეხნიკურ საფუძველზე.

ამნაირად მომზადდა ჩვენში ნიადაგი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქო ეს კოლექტივიზაცია მოხდება ოვანისთავად, პარტიის ხელისუფლების სათანადო ზეგავლენის გარეშე. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია იმიტომაა საჭირო, რომ ის ცაღლა ასწევს და გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას. ხელს შეუწყობს უმაღლესი ტეხნიკის შეტანას სოფლის მეურნეობაში და მით გააუმჯობესებს მშრომელი გლეხკაცობის მდგომარეობას.

ყველა ეს ამოცანები წარმოადგენენ სწორედ საბჭოთა ხელისუფლების მთავარ და გადაუდებელ ამოცანებს. ამიტომ პარტია და ხელისუფლება მოწოდე-

ბული არიან მიიღონ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დასაჩქარებლად ყოველგვარი ღონისძიება. კოოპერატიული მშენებლობა, საკრედიტო სისტემა, კონტრაქტაცია და სხვ., რაც ჩვენ აქამდის გვქონდა, წარმოადგენენ სწორედ ასეთ ღონისძიებებს. კოლექტივიზაციის საქმეშიაც ხელისუფლება ღებულობს გარდა ამისა კიდევ სხვა ღონისძიებასაც. ყველა ამ ღონისძიებათა დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მხრით მოვამზადოთ ნიადაგი კოლექტივიზაციისათვის და მეორე მხრით დავარწმუნოთ ღარიბი და საშუალო გლეხკაცობა და მოჯამაგირეები კოლექტივიზაციის უპირატესობაში კერძო წერილ მეურნეობებთან შედარებით. ამ მხრით ჩვენ უნდა მოვახდინოთ სათანადო გავლენა ვისზედაც ჯერ არს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების შექმნის დასარგებლოდ.

თავისთავად იგულისხმება, რომ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ძალით მირეკავს ხალხს კოლექტივში. ვიტყვი აქ, როშ ასეთი კოლექტივი გროშათაც არ ეღირებოდა. აი სწორედ ეს გარემოება აქვს ხელმძღვანელობაში ამხ. სტალინს, როცა იგი თავის წერილში[109]) გადაჭრით აცხადებს: „არ შეიძლება ძალით კოლექტივების შექმნა. ეს იქნებოდა სისულელე და რეაქციონერობა. კოლმეურნეობრივი მოძრაობა უნდა ეყრდნობოდეს გლეხკაცობის ძირითად მასების ბრძოლით აქტიურ მხარის დაჭერაზე“.

აი როგორ, რა გზით უნდა შეიქნას კოლმეურნეობა. მაგრამ განა ეს უარყოფს პარტიის და ხელისუფლების გავლენას კოლექტივიზაციის საქმეში? თავისთავად იგულისხმება, რომ სრულებითაც არა. მაგრამ ეს გავლენა თავის მხრით არ უარყოფს აგრეთვე არც იმას, რომ კოლმაურნეობაში შესვლა ნებაყოფლობით უნდა ხდებოდეს. ზევით ნათქვამიდან ნათელი უნდა იყოს, თუ როგორ უნდა გვესმოდეს ამ შემთხვევაში ნებაყოფლობით შესვლა კოლექტივში.

როგორც ვიცით, ამ უკანასკნელ დროს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ახალ ეტაპზე გადავიდა. ესაა ზოგიერთ რაიონებში მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა. აქამდის ჩვენ გვქონდა კოლექტივები აქა-იქ, სოფლებში, ან სოფლების უბნებში. ახლა ჩვენ გადავდივართ და გადავედით კიდევაც არა მარტო მთელი სოფლების, თემების და რაიონების, არამედ მთელი მაზრების და ოლქების მთლიან კოლექტივიზაციაზე.

ამიტომ ჩვენ ავირჩიეთ მთლიანი კოლექტივიზაციის გატარების დროს მხოლოდ რამდენიმე რაიონი ან ოლქი, რომლებიც შედარებით უფრო მომზადებული არიან კოლექტივიზაციისათვის, ან სადაც უფრო ხელსაყრელი პირობებია ეთნოგრაფიულ, ტოპოგრაფიულ ან სხვა პირობების მხრით. იმ საკითხის გადაჭრა, თუ სად უნდა გატარდეს პირველ რიგში მთლიანი კოლექტივიზაცია, მეტად რთული საკითხია და იმავე დროს მეტად საპასუხისმგებლო საქმე. არავითარ გატაცებას ან შეჯიბრებას აქ ადგილი არ უნდა დაურჩეს და ეს საკითხი ცენტრალურ ორგანოების დასტურით უნდა გადაწყდეს.

მთლიანი კოლექტივიზაციის გატარებასთან დაკავშირებულია მეორე არანაკლები მნიშვნელობის საკითხი.

ესაა საკითხი იმის შესახებ, თუ დღეანდელ ჩვენ პირობებში კოლექტიური მეურნეობის რომელი სახე ანუ ფორმა (სას.-სამეურნეო კომუნა, სას.-სამ. არტელი, თუ მიწის საერთო დამუშავებელ ამხანაგობა) არის დღეს ყველაზე უფრო მისაღები და მიზანშეწონილი. ძეტად საგულისხმოა, რომ ამ საკითხის არსებითად გადაჭრა თვით სინამდვილემ, ანუ კოლმეურნეობრივი მომზადების პრაქტიკამ, ე. ი. თვით ცხოვრებამ, კოლმეურნეობრივი მშენებლობის დღეანდელ საფეხურზე უპირატესობა მიანიჭა შუათანა რგოლს — ე. ი. სას.-სამ. არტელს.

კომუნა უმაღლესი საფეხურია, ის თხოულობს უფრო მეტ შეგნებას, ადამიანის პსიხოლოგიის უფრო მეტ გარდაქმნას, უფრო მაღალი და განვითარებულ კულტურულ დონეს და ტეხნიკურ პირობებს, ვინემ ჩვენ გვაქვს დღეს. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს კომუნების სრულიად უარყოფას დღეანდელ საფეხურზედაც. ჩვენ ვიცით, რომ კომუნები წინადაც არსებობდენ და ახლაც არსებობენ, მაგრამ ისინი აქამდის ვერ განვითარდენ ცოტად თუ ბევრად ფართედ, და ეს მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ უწყობდა ხელს იმათ განვითარებას.

რაც შეეხება მიწის საერთო დამუშავების ამხანაგობებს, ისინი წარმოადგენენ კოლმეურნეობათა ყველაზე უფრო დაბალ საფეხურს, და ეს საფეხური უმეტეს შემთხვევაში უკვე განვლილია. ერთი სიტყვით, ყველაზე უფრო მისაღებ და მიზანშეწონილ ფორმად უნდა ჩაითვალოს სას.-სამ. არტელი. „კოლმეურნეობრივი მოძრაობის ძირითად რგოლს, მის ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას დღეანდელ მომენტში, რომელსაც უნდა ჩავსჭიდოთ ხელი — ამბობს ამხ. სტალინი, — წარმოადგენს სას.-სამ. არტელი. იქ გაერთიანებულია წარმოების ძირითადი საშუალებები". არტელი წარმოადგენს სოციალიზმის საუკეთესო სკოლას. ამიტომ დღეანდელ მომენტში პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა ვეცადოთ კოლმეურნეობათა არტელური ფორმის გამაგრებას და არ უნდა ავჩქარდეთ უმაღლეს საფეხურზე ასტომას. უნდა ვიცოდეთ, რომ როცა ჩვენ არტელში კარგად მოვიმაგრებთ ფეხს, უმაღლეს საფეხურზე უფრო ადვილად ავალთ. მაგრამ ზოგიერთები ნამეტანს ჩქარობენ და ახლავე ლამობენ უმაღლეს საფეხურზე ასტომას, რითაც ისინი გაკეთების მაგიერ საქმეს აფუჭებენ.

შემდეგ მთლიანი კოლექტივიზაციის გატარება დაკინებით აყენებს საკითხს კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობის შესახებ. ორივე ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. წარმოუდგენელია მთლიანი კოლექტივიზაციის განხორცელება და იმავე დროს იქვე კულაკების შენახვა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კულაკი ხომ დაუძინებელი მტერი იყო და არის კოლმეურნეობრივი მოძრაობის. მაგრამ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია უნდა მოხდეს მთლიანი კოლექტივიზაციის ნიადაგზე. ეს ძირითადი დებულებები კულაკობის, როგორც კლასის მოსპობის შესახებ, სავსებით სიმართლეს შეიცავენ და დავას არ იწვევენ. სამწუხაროდ, სინამდვილეში მისი სწორი გატარება ფერხდება. ამ ნიადაგზე ბევრ შეცდომას აქვს ადგილი, ზოგიერთ შემთხვევაში კი პირდაპირ დაუშვებელი რამ ხდება.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ისეთი დიდი საზოგადოებრივი მოძრაობა, როგორიც არის ახლანდელი კოლმეურნეობრივი მოძრაობა, რომელიც ნამდვილ რევოლიუციას ქმნის სოფლის მეურნეობაში. შეუძლებელია ჩატარდეს ისე, რომ შეცდომებს ადგილი არ ჰქონდეს. მთელი ეს მოძრაობა უნდა ჩატარდეს შეგნებულად, პარტიის და ხელისუფლების ხელმძღვანელობით ისე, რომ სტიქიამ არ მოგვიყოლიოს ქვეშ. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა სტიქიურ ტალღას აედევნებიან და მისდევენ უკან. ეს არ ვარგა. ეს საქმეს დააბრკოლებს. არის საშიშროება, რომ ალაგ-ალაგ ასეთი რამ სახელს გაუტეხს იმ უდიდეს მოძრაობას, რომელმაც სოფლის მეურნეობა უმაღლეს საფეხურზე უნდა აიყვანოს.

როგორც ამბ. სტალინი სამართლიანად აღნიშნავს, ბევრს ეს მოძრაობა ადვილი და იოლი საქმე გონია. ამიტომ იმათი საქმიანობით. ეს დიადი მოძრაობა აქა-იქ როგორც იტყვიან „გაპუსტიაკებული" იქნა. სას.-სამეურნეო არტელებში უნდა გააერთიანებიათ მხოლოდ და მხოლოდ წარმოების ძირითადი საშუალებები: მიწა, მუშა საქონელი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, კულაკებისაგან ჩამორთმეული შენობები. ამის შესახებ თავიდანვე იყო მითითებები და არსებითად არტელიც ამას თხოულობდა. მაგრამ ალაგ-ალაგ აღმოჩნდენ ისეთი „ბრძენი" ადამიანები, რომლებმაც მოინდომეს ერთბაშად ყველაფრის გაერთიანება (ქათმის, ლორის, ძროხის, საჯდომი ცხენის და სხვადასხვა), რითაც ბოროტ ელემენტებს მისცეს საბაბი გაევრცელებიათ კოლექტივის ირგვლივ სხვადასხვა ჭორი და უნამუსო პროვოკაცია (150 მეტრიანი საბანი, ბავშვების ჩამორთმევა, მოხუცებულების მოწამლა და სხვადასხვა).

შემდეგ. განკულაკების და კულაკების მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებიდან გადასახლების ნიადაგზე უნდა ითქვას, რომ საკმარისად ბევრ ადგილას ჰქონდა ადგილი დიდ შეცდომებს და ალაგ-ალაგ კი პირდაპირ დანაშაულსაც. იყო შემთხვევები, როცა კულაკის ნიღაბის ქვეშ განკულაკებას უშვრებოდენ და ასახლებდენ საშუალო გლეხებს, როცა ღრმა მოხუცებულებს ყრიდენ სახლიდან ქუჩაზე და ტოვებდენ ამ მდგომარეობაში: იყო დაპატიმრების შემთხვევები. ერთლიად უსაფუძვლოდ განკულაკებას უშვრებოდენ და ასახლებდენ ყველა ამათ. ვისაც სხვადასხვა მიზეზით ჩამორთმეული აქვთ ხმა და სამოქალაქო უფლებებში არ იყვენ აღდგენილნი. და ხშირად ასეთი რამეები ხდებოდა პირადი ინტერესებით.

გარდა ამისა, საერთოდ უხეშობა და კერძოდ სარწმუნოების მიმართ უხეში ეპყრობა; მუქარა. ვინიცობაა, თუ ვინმე კოლექტივში შესვლაზე უარს განაცხადებდა. ეკლესიების ძალით დახურვა და დანგრევა, რაც არავითარ მიხწევას არ წარმოადგენს, და სხვა ასეთი მოქმედები. რასაც შეუძლია მხოლოდ სახელის გატეხა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. რა თქმა უნდა ყველა ეს ბოროტებანი და უმსგავსოებანი აღკვეთილ იქნენ. როგორც კი ამის შესახებ ემცნო პარტიის და მთავრობის უმაღლეს ორგანოებს. ხოლო დამნაშავენი მოხსნილნი თანამდებობიდან და მიცემული არიან ან იქნებიან მიცემული პასუხისგებაში.

უნდა განვაცხადოთ, რომ თანამედროვე კოლმეურნეობრივი მოძრაობა ისეთი დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა, რომელსაც ასეთი რამეებით ვერას დააკლებენ. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ის ბურუსი, მთელი ის

მითქმა-მოთქმა და გაუგებრობა, რაც კოლმეურნეობრივი მოძრაობის ირგვლივ წარმოიშვა და გავრცელდა საბჭოთა ხელისუფლების და სოციალიზმის მტრების მიერ, თანდათან და სულ ახლო მომავალში მიმოიფანტება და გაქრება. რომ კაცმა თქვას, გაუგებარიც იქნებოდა, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ნიადაგზე სხვადასხვა მითქმა-მოთქმას არ ქონებოდა ადგილი; და ეს მით უფრო, რომ ეს სრულიად ახალი მოვლენაა; ამ მხრით გამოცდილება აქამდის არავის ქონია. დღეს ერთგვარი გამოცდილება უკვე გვაქვს. წინანდელი შეცდომები აღარ უნდა იქნას განმეორებული. გვაქვს ჩამოყალიბებული სანიმუშო წესდება. დირექტივები და ინსტრუქციები, რომლების დარღვევა არავის ეპატიება. ახლა უკვე მოჩანს ის გზა, რომლითაც უნდა იაროს კოლექტივიზაციის განვითარებამ. ადგილობრივ მომუშავეების პირდაპირი მოვალეობაა არ გადაუხვიონ იმ გზას, რომელიც ნაჩვენებია, არ დაარღვიონ ის წესები, რომლებიც ყველასათვის სავალდებულოა. იმათ ევალებათ რომ შექმნან კოლექტივების ირგვლივ ისეთი ატმოსფერა, რომ იქ შესვლა და მუშაობა ყველას ეხალისებოდეს და უხაროდეს. იმათ უნდა მიიზიდონ კოლექტივებში ყველანი, ვისაც კი შრომა სწადია, ვინც ერთგულია საბჭოთა ხელისუფლების. ვინც საჭიროა კოლექტივისათვის, როგორიც არიან. ხელოსნები (დურგლები, მჭედლები და სხვ.) და აგრეთვე ყველა სალი კულტურული ძალები (სოფლის მასწავლებლები, აგრონომები და სხვ.).

ამნაირად, ჩვენი ადგილობრივი მოვუშავეები დღეს დგანან უდიდესი გამოცდის წინაშე. ეკვი არ უნდა ვიქონიოთ იმაში, რომ ისინი ამ გამოცდას ღირსეულად ჩაბარებენ. მაშინ ჩვენში გაიზრდება და აღორძინდება უ დ ი დ ე ს ი მ ს ო ფ ლ ი ო ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სახით, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციის და ყველა ქვეყნის უდიდესი მასწავლებლის — ლ ე ნ ი ნ ი ს ანდერძის დაგვირგვინება იქნება.

გაზეთი „კომუნისტი“
1930 წლის 11 მარტი
№ 57 (2705).

# კოლექტივიზაცია ოზურგეთის მაზრაში

**(შთაბეჭდილებანი)**

ამ ხანებში მე მომიხდა ოზურგეთის მაზრაში ყოფნა ორჯერ. პირველად დაეყავი იქ სამი დღე (თებერვლის 17 — 20 რიცხვებში), ხოლო მეორედ რვა დღე (მარტის 8 — 16 რიცხვებში). იქ ყოფნის დროს მე ვინახულე როგორც მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონები, ისე ის რაიონებიც, სადაც მთლიანი კოლექტივიზაცია არ ტარდება, არამედ მიმდინარეობს ჩვეულებრივი კოლმეურნეობრივი მშენებელობა. ყველგან, სადაც კი მოვხვდი, გაიმარა ფართო საუბარი გლეხკაცობასთან. საუბარი ეხებოდა განსაკუთრებით მთლიანი კოლექტივიზაციის საკითხებს.

მე მინდა ამ წერილში გავაცნო მკითხველებს ის შთაბეჭდილება, რომელიც მე მივიღე გურიაში კოლექტივიზაციის საქმესთან საკმარისად ახლო გაცნობის შემდეგ. ლაპარაკია კოლექტივიზაციის პრველ ნაბიჯებზე, პირველ ცდებზე. ამ პირველმა ნაბიჯებმა უნდა განსაზღვრონ შემდეგში კოლექტივიზაციის მსვლელობა, მისი შეფერხება თუ წარმატება, ე. ი. მისი განვითარების ნელი თუ სწრაფი ტემპი.

ოზურგეთის მაზრაში ამჟამად არსებობს დაახლოვებით 40 — 41 თემი. აქედან 18 თემში ტარდება მთლიანი კოლექტივიზაცია. ეს თემები შემდეგია. ნიგოითი, ლანჩხუთი, შუხუთი, ჩიბათი, ლესაჭინათი, ჯურუყვეთი, ნიგვზიანი, ნინოშვილი, ჯუმათი, ჩოჩხათი, სუფსა, ნატანები, გურიანთა. სილაური, ძიმითი, მამათი, აცანა და ნაგომარი. გარდა ამისა, მთლიანი კოლექტივიზაცია ტარდება კიდევ ორ სოფელში: ბუკისციხეში და ზემო ფარცხმაში (ჩოხატაურის რაიონი). უნდა ითქვას, რომ მთლიანი კოლექტივიზაციის თემები გურიაში საერთოდ წარამოადგენენ როგორც ეკონომიურად, ისე მოსახლეობის მხრივაც შედარებით უფრო მძლავრ რაიონებს. ისინი შედარებით უფრო მდიდარია როგორც საყანე (სახნავ-სათესი) მიწებით, ისე ჩაის, მანდარინის, ლიმონის, რამის და სხვა მაღალი კულტურებისათვის გამოსადეგი მიწებითაც. ყველა ეს პირობები, რა თქმა უნდა, საკმარისად ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის; ამიტომ ამ რაიონების გადასვლა პირველ რიგში მთლიან კოლექტივიზაციაზე მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.

მთლიანი კოლექტივიზაციის თემებიდან მე ვერ ვინახულე მხოლოდ სამი: ნიგვზიანი, ნინოშვილი, და ჯუმათი. სამაგიეროდ მე ვინახულე შემდეგი თემები არა მთლიანი კოლექტივზაციისა: ჩოხატაური, ხიდისოავი, ბახვი, ასკანა, დვაბზუ, შემოქმედი და ლიხაური. უნდა თქვას, რომ ამ უკანასკნელმა თემებმაც კოლექტივიზაციის მხრივ საერთოდ საკმარისად კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე. ზოგიერთი ამათგანი (ლიხაური, შემოქმედი, დვაბზუ) თითქმის მზად არიან მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასასვლელად. ასე რომ მთლიან კოლექტივიზაციის გატარებას თითქმის არც ერთ ამათგანში რაიმე საგრძნობი დაბრკოლება არ შეხვდება. ალბად ბევრს ასეთი ჩემი შთაბეჭდილება ეჩვენება გადამეტებულად და შეფერაცებულად, მეც ბევრი ვიფიქრე ამაზე, სანამ ასეთ დასკვნას გამოვიტანდი. მაგრამ ბოლოს მაინც ამ დასკვნაზე გავჩერდი.

იყო თუ არა ძალდატანება, ან ჰქონდა თუ არა გაუგებრობას და შეცდომებს მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის დროს ოზურგეთის მაზრაში, — უთუოდ შემეკითხებიან მკითხველები. აშკარაა, იყო ერთიც და მეორეც, და გასაკვირიც იქნებოდა, რომ არ ქონებოდა მათ ადგილი. ასე, მაგ. ალაგ-ალაგ ადგილი ჰქონდა მუქარასაც და დაშინებასაც. იყო შემთხვევები, როცა მომხსენებელი ეუბნებოდა კრებას, რომ ვინც კოლექტივში არ შევა და სახნავ-სათეს მიწასთან ერთად არ გააერთიანებს ეზოსაც და არ შეიყვანს კოლექტივში ხარს, ძროხას და სხვა წვრილფეხა საქონელსაც, იგი გადაირიცხება შავსიელთა რიცხვში და როგორც ასეთი კოოპერატივიდან აღარაფერს მიიღებსო. ერთ მომხსენებელს (მიმაგრებულს) კრებაზე განუცხადებია, რომ სულერთია გსურთ თუ არა თქვენ კოლექტივში შევსლა, საბჭოთა ხელისუფლება მაინც შეგიყვანთ თქვენ იმაშიო. იმავე დოს მომხსენებლები მეტისმეტად ჩქარობდნენ, არ აძლევდნენ გლეხებს დროს, რომ დაფიქრებულიყვნენ; მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ მაშინვე ხდებოდა ხელების აწევით ასეთი დიდი საკითხის გადაჭრა. იყო დიდი გაურკვეველობა ძროხების და ეზოების გაერთიანების საკითხში. და უკანასკნელ დროს ამას დაურთო კიდევ ლაპარაკი აბრეშუმის კოლექტიურად მოყვანაზე.

ამ საკითხებში სულ უკანასკნელ დრომდე ზოგიერთ ადგილას არ ყოფილა სწორი ხაზი: ადგილობრივი ხელმძღვანელები და მიმაგრებულები ხშირად განაგრძობდნენ ურჩობას და არ ასრულებდნენ ცენტრის და მაზრის ორგანოების დირექტივებს. ეზოების საკითხს განსაკუთრებით ართულებდა ის გარემოება, რომ ალაგ-ალაგ ეზოების ფარგლებში გაშენებულია ისეთი ძვირფასი კულტურა, როგორიც არის, მაგ. ჩაი, მანდარინა, ბამბუკი, თხილი და სხვ., რაც ხშირად მცირე ფართობზედაც შედარებით გვარიან დიდ შემოსავალს იძლევა; ეს ადგილობრივმა ამხანაგებმა დაუშვებლად მიიჩნიეს და ასეთი ეზოების, თუმც ნორმაზე ნაკლებიც, კოლექტივში გადარიცხვა მოინდომეს. ამ ნიადაგზედაც წარმოიშვა გაუგებრობა. გარდა ამისა, როგორც ზევით ვთქვი, უკანასკნელ დროს გაავრცელეს კიდევ ხმა აბრეშუმის მოყვანაც უთუოდ კოლექტიურად უნდა მოეწყოსო. ამ გარემოებამაც, რა თქმა უნდა, გამოიწვია გლეხებში, განსაკუთრებით ქალებში უკმაყოფილება. აბრეშუმის კოლექტიურად მოყვანა სავსებით

ადგილობრივ ხელმძღვანელობის „შემოქმედება“ იყო, რადგანაც ასეთი წინადადება მათთვის არავის მიუცია. იყო აგრეთვე სწორი ხაზის, სხვა მრავალი გადაუდება და გადამახინჯებები, მაგრამ ყველაზე აქ ალარ შეეჩერდები.

სიმართლე მოითხოვს ვთქვა, რომ „მემარცხენეობას“, ანუ ყველაფრის დაუყოვნებლივ გაერთიანების სურვილს ოზურგეთის მაზრის სინამდვილეში დიდი გასავალი არ დაურჩა. არა თუ წვრილფეხა საქონელი და ძროხები არ იქნენ გაერთიანებული, არამედ ფაქტიურად ხარ-კამეჩებიც, რომლებიც უნდა გაერთიანებულიყვნენ. ზოგჯერ ყოფილ პატრონების ხელში დარჩა. რაც შეეხება აბრეშუმის ჭიის მოყვანის გაერთიანებას, ამაზე ჯერჯერობით მხოლოდ ლაპარაკი იყო. რადგანაც სეზონი აბრეშუმის ჭიის გამოყვანისა ჯერ არ დაწყებულა. განკულაკების ნიადაგზედაც რაიმე შესამჩნევ გადახრებს ადგილი თითქმის არ ჰქონია. რადგანაც ასეთი შემთხვევები შედარებით ძლიერ მცირე იყო. საერთოდ ჩვენ ვხედავთ, რომ გურიაში კოლექტივიზაციის საქმე ნორმალურად მიმდინარეობს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ სადმე გამოსულიყვნენ. შეკითხვები და სიტყვიერი გამოსვლები, რასაც ადგილი ჰქონდა გლეხთა კრებებზე გამართულ საუბრების დროს, ეხებოდა უმეტეს ნაწილად პრაქტიკულ საკითხებს: შრომის ორგანიზაციას კოლექტივებში, ხელფასის საკითხს. საეკონომო დახმარებას, მიწის მოწყობას, ყანების დათესვის თავის დროზე უზრუნველყოფას. გზების გაყვანას, დაურდომილთა და ქვრივ-ობლების უზრუნველყოფას და სხვადასხვა. კოლექტივიზაციის მოწინააღმდეგენი და მტრები არიან, რა თქმა უნდა, გურიაშიც. მაგრამ ასეთები შეადგენენ შედარებით უმნიშვნელო ჯგუფებს. კოლექტივიზაციის ტალღა ღრეს გურიაში იმდენად დიდია, რომ უკმაყოფილო ელემენტები ვერ ბედავენ ამის წინააღმდეგ ხმის ამოღებას.

როგორ მოხდა ეს? რით აიხსნება კოლექტივიზაციის ასეთი წარმატება გურიაში. გურიის გლეხკაცობაში? უმიზეზოდ არაფერი ხდება. ამასაც აქვს თავისი მიზეზები. სასწაული არ ხდება. ჩ ვ ე ნ ვ ი ც ი თ, რ ო მ გ უ რ ი ი ს გ ლ ე ხ კ ა ც ო ბ ა მ გ ა ნ ვ ლ ო დ ი დ ი რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ო ნ უ რ ი ს კ ო ლ ა. 1905 წლის რევოლიუციაში იგი თამაშობდა მოწინავე როლს. გურიის გლეხკაცობამ უკვე 1905 წ. რევოლიუციის დროს აუგო წესი თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ა ს, ს ა მ ღ ვ დ ე ლ ო ე ბ ა ს და თ ა ვ ა დ ა ზ ნ ა უ რ ო ბ ა ს. მას აღფრთოვანებდა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს, ძ მ ო ბ ი ს და თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ი ს ლოზუნგები. მისი როლი ამ რევოლიუციაში იმდენად დიდი და ცნობილი შეიქნა. რომ როცა საქართველოს სხვა მაზრის ან რაიონის გლეხებს ეკითხებოდნენ: „რას თხოულობთ თქვენო“, — უკანასკნელები ერთხმად აცხადებდნენ: „ჩვენ ვთხოულობთ იმას, რასაც გურული გლეხები მოითხოვენ“-ო. 1905 წლის რევოლიუცია დამარცხდა, მაგრამ რევოლიუციონური ტრადიციები გურულ გლეხებში დღემდე დარჩა, თუმცა მენშევიკები მუდამ ცდილობდნენ ამ ტრადიციების ჩახშობას. და აი 1905 წლის რევოლიუციის ტრადიციებს ჩვენ ვხედავთ გურულ გლეხებში ახლა, კოლექტივიზაციის ხანაში. ჩემ შეკითხვაზე, როგორ უყურებთ კოლექტივიზაციას, ხომ არ შეეგუენით ამ ამბავს-მეთქი, ხშირად ვღებულობდი ასეთ პასუხს: „კოლექტივიზაციამ არამც თუ არ დაგვაშინა, არამედ ჩ ვ ე ნ ს წ ო რ ე დ ა ხ ლ ა ვ ხ ე დ ა ვ თ 1905 წ ლ ი ს რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ი ს

განხორციელებასო". ამას ამბობდენ მოხუცი 60 — 70 წლის გლეხები, კოლექტიურ სამუშაოებზე გამოსულნი ბარებით და ნიჩბებით, რაც უდიდეს ალფრთოვანებას იწვევდა ყველაში. ეს უკვე გულისხმობს დიდ შეგნებას, რაც ერთი უპირველესი პირობაა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განსახორციელებლად. ასეთ პირობებში კოლექტივიზაციას თითო-ოროლა მოწინააღმდეგეც რომ აღმოუჩნდეს, ეს ამ საქმეს ვერას დააკლებს.

როგორც ვთქვი ზევით, გურიაშიაც არიან კოლექტივიზაციის მოწინააღმდეგენი, რომლებიც უთუოდ ფარულ აგიტაციას ეწევიან, რომ სახელი გაუტეხონ ამ დიდ საქმეს. მაგრამ აშკარად გამოსვლას ისინი ვერ ბედავენ, რადგანაც გრძნობენ, რომ გურული გლეხების დიდ უმეტესობაში ისინი ნიადაგს ვერ ჰპოვებენ. ამიტომ კრებებზე აქა-იქ ისინი ნიღაბამოფარებულნი გამოდიოდნენ. აი მათი გამოსვლის ნიმუშები: 1) კოლექტივიზაცია ნამეტან აჩქარებით ხდება; 2) ჯერ ნიადაგი უნდა მომზადებულიყო; 3) კოლექტივის შექმნა შეიძლება მხოლოდ ჩაის დასამუშავებლად: ყანების გაერთიანება კი შეუძლებელიაო. ასეთ საბუთების დარღვევისათვის დიდი თავის ტეხა არ იყო საჭირო. და ეს მით უფრო, რომ თვით გლეხები თავიანთ სიტყვებში ცხადჰყოფდნენ მათ უნიადაგობას. ასე. მაგ. თვით გლეხები უმტკიცებდნენ ამ ვაჟბატონებს, რომ სინამდვილეში ყანების გაერთიანება უკვე ხდება თვით გლეხების ინიციატივით და არა ძალდატანებით, რომ კოლექტივებში ეწყობიან და ვითარდებიან და. მაშასადამე. აქ არავითარ ხელოვნურ აჩქარებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. პირიქით. რამდენიმე თემში განზრახ შეჩერებულია მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა იმ მოსაზრებით. რომ ამხანად ვერ გაწვდებიან ყველა თემებს ხელმძღვანელობის უზრუნველყოფის მხრივ.

აქ არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით არ შევჩერდე სოფელ გულიანის (ჩოჩხათის თემი) მაგალითზე. როცა ჩოჩხათის თემში მთლიანი კოლექტივიზაცია ტარდებოდა, სოფ. გულიანის გლეხებს განუცხადებიათ. რომ ისინი აარსებენ ს.ა.ს.-ს ამ. კომუნას, რომ ისინი ერთიანდებიან კომუნაში. მივლინებულ ამხანაგს ამაში დაუნახავს კოლექტივიზაციის მტრების მხრით ერთნაირი ინი კოლექტივიზაციის ჩაშლის მიზნით და ამიტომ მას აეკრძალა კიდეც კომუნის შექმნა. გლეხები დამორჩილებოდნენ, თუმცა კომუნის შექმნისთვის მზადება დიდი ხანია ჰქონებოდათ. მე განგებ ვინახულე ეს სოფელი. გლეხები. ქალი და კაცი. დიდი და პატარა სამუშაოზე იყვნენ ერთად გასული. ჩვენ ყველანი წამოვჯექით იქვე მიწაზე. გაიმართა საუბარი, რომლის დროს სავსებით გამოირკვა, რომ გულიანის გლეხები უკვე რამდენიმე წელიწადია გაერთიანებული არიან კოლექტივში. რომ იმათ კოლექტივს ჯილდოც კი მიეცა ორი ტრაქტორი მეურნეობის სანიმუშოდ დაყენებისათვის, რომ კომუნაზე გადასასვლელად მათ უკვე მოუმზადებიათ ყველა წინასწარი პირობები, რომ აქ არავითარი „ოინი" არაა, არამედ სრულიად შეგნებული ნებისყოფა. ასე ფიქრობს და მსჯელობს სოფ. გულიანის მთელი გლეხობა, პარტიულები და უპარტიოები. განა შეიძლება ასეთ პირობებში კომუნის წინააღმდეგ წასვლა? რა თქმა უნდა. არა. ეს იყო. რასაკვირველია. გადაჭარბებული სიფრთხილის შედეგი. შემდეგ მე გადმომცეს. რომ ჩოჩხათის თემში სხვა სოფლებიც ასევე მომზადებული არიან კომუნის შე-

საქმნელად. მაგრამ ჯერჯერობით თავს იკავებენ და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო არტელში არიან გაერთიანებულნი.

ასეთია საერთოდ მდგომარეობა გურიაში კოლექტივიზაციის ფრონტზე. როგორც ვიცით, გურიის გლეხობა საერთოდ დიდი ხანია ეწეოდა საზოგადოებრივი ხასიათის მუშაობას სხვა დარგში. ჯერ კიდევ მეფის დროს გაერთიანებული შრომით, თავისი ნებით იგი გამოდიოდა საზოგადო სამუშაოზე გზების გასაყვანად; ამგვარივე შრომით იგი აგებდა შენობებს სკოლებისთვის, სამკითხველო-წიგნთსაცავებისთვის, და სახალხო სახლებისთვის. ამიტომ ყანების დამუშავება გაერთიანებული შრომით, სახნავ-სათესი მიწების და სასოფლო-სამეურნეო იარაღების გაერთიანება მისთვის შედარებით ადვილი გასაგებია. ამიტომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას იქ მტკიცე ნიადაგი აქვს.

არ ვიტყვი, რომ შეცდომებს და დეფექტებს ადგილი აქაც არ ჰქონდეს, რომ ყველაფერი უკვე გამოსწორებულია და ყველაფერი რიგზეა მოწყობილი. მაგრამ საქმე თანდათან ეწყობა და უმჯობესდება, გაურკვევლობა ჰქრება, პროვოკაციას ნიადაგი ეცლება. შ ე ე რ თ ე ბ უ ლ ი მ უ შ ა ო ბ ა გ ა ჩ ა ღ ე ბ უ ლ ი ა. მე ბევრჯერ მჭონდა შემთხვევა ასეთი მუშაობა მენახა. ეს მომენტები დაუვიწყარი დარჩება ჩემს მეხსიერებაში. ეს იყო დიდებული სანახაობა. იჭრება და იტეხება საუკუნოების განმავლობაში უხმარი და უვარგისი ადგილები, რაც რამ ეკლნარი და ჯაგნარი არის. აქ უნდა გაშენდეს უმეტეს ნაწილად ჩაის პლანტაციები. ერთი მხრით გაერთიანებული და შეკავშირებული გლეხობის კოლექტივები და მეორე მხრით უზარმაზარი საბჭოთა მეურნეობები. თქვენ ხედავთ. რომ ადამიანი იმარჯვებს ბუნებაზე, სძლევს სტიქიას, სძლევს საუკუნოების განმავლობაში განმტკიცებულ ზნე-ჩვეულებებს, ძველ ყოფა-ცხოვრებას. ქალი და კაცი, დიდი და პატარა — ყველანი ჩაბმული არიან ამ დიად მუშაობაში. ჩვენ თვალწინ ხდება მართლაც უდიდესი გარდატეხა, უდიდესი რევოლიუცია. ვის ძალუძს ეს არ შეამჩნიოს, ეს არ დაინახოს — მხოლოდ გაქვავებულ ადამიანებს ან ჯიუტობით დაბრმავებულთ. იცვლება დრო, იცვლება ხალხის ზნე-ჩვეულება, ყოფა-ცხოვრება, ფსიხოლოგია. ასეთია ცხოვრების გარდაუვალი კანონი. ის. რაც მე ვნახე გურიაში, მაძლევს საბუთს ვთქვა. რომ გურიის გლეხობა კოლექტივიზაციის საქმეში წინ მიდის და მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ მოძრაობაში იგი ითამაშებს ისეთსავე როლს, როგორც მან ითამაშა 1905 წლის რევოლიუციონურ მოძრაობაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი უთუოდ გაიმარჯვებს.

გაზეთი „კომუნისტი“
1930 წლის 22 მარტი,
№ 65 (2713).

# ბრძოლა პოლმეურნეობებისათვის სოფლად

ჩვენი სოფელი განიცდის დღეს უდიდესი, ჯერ არ ნახული და არ გაგონილი ერთ და იმავე დროს რღვევის და შენების პროცესს. ირღვევა და ისპობა ძ ვ ე ლ ი, საუკუნოებისაგან და ათასეული წლებისაგან ნაანდერძევი წესები, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები და შენდება ა ხ ა ლ ი, ეყრება მკვიდრი ნამღვილი საფუძველი ადამიანთა საზოგადოების ახალ წყობილებას, რომელსაც ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ეწოდება. ასეთი ღრმა პროცესი შეუძლებელია ტარდებოდეს უდიდესი შეხლა-შემოხლის და გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის გარეშე. შეუძლებელია ტარდებოდეს უდიდეს მსხვერპლთა გაუღებლად. დადებითი და უარყოფითი ერთმანეთს ხვდებიან და იწვევენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეტაკებებს და ბრძოლებს. ასეთ პირობებში ვითარდება კ ო ლ მ ე უ რ ნ ე ო ბ რ ი ვ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა, ე. ი. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ანუ წვრილ, კერძო გლეხურ მეურნეობათა გაერთიანება-შეკავშირება. იმათი შრომის იარაღების განსაზოგადოებრივობა საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის მიზნით.

ბევრს ეს მოძრაობა — პროცესი ეჩვენება უტოპიად, განუხორციელებელ ოცნებად: სად წვრილი მესაკუთრე გლეხი თავისი წვრილი — ბურჟუაზიული ფსიქოლოგიით და სულისკვეთებით და სად შრომის იარაღების განსაზოგადებრივობა და საზოგადოებრივი წარმოების მოწყობა! სად ჩამორჩენილი და უკულტურო სოფელი და სად სოციალიზმი თავისი უმაღლესი ტეხნიკით და კულტურით — შეიძლება დაგვეკითხონ ჩვენ. და ბევრს მართლაც გონია. რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპის დაჩქარებით და ამასთან დაკავშირებით ბრავალ შეცდომების და პარტიული ხაზის გადამახინჯებების წყალობით ჩვენ უკან დავიხიეთ, არა თუ წინ წავედით. ასე ფიქრი იქნებოდა უკიდურესი მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ო ბ ა, პარტიის პოლიტიკის უარყოფა სოფლის მეურნეობაში. ამ მიმდინარეობის მომხრეებს გონიათ, რომ სოფლის მეურნეობაში სოციალიზმის განხორციელება შეიძლება მოხდეს მხოლოდ თანდათანი, ნელი განვითარების. ანუ მშვიდობიანი ევოლიუციის გზით. იმათი აზრით. ამასთან ერთად მოხდება კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციაც, რომლებიც მშვიდობიანად შეეზრდებიან სოციალიზმს. მაგრამ ეს ხალხი არა თუ ცდება. არამედ ისინი სცილდებიან მარქსის და ლენინის თეორიას. ისინი ნებით თუ უნებლიედ უარყოფენ პოლიტიკის მძლავრ გავლენას ეკონომიკაზე, რაზედაც გარკვევით ამბობდენ თავის დროზე როგორც ფ რ. ე ნ გ ე ლ ს ი. ისე ლ ე ნ ი ნ ი. ისინი ივიწყებენ ამ ჭეშმარიტებასაც, რომ კლასობრივი ბრძოლის მოსპობა შეუძლებელია მხოლოდ მშვიდობიანი გზით, ე. ი. მარტო ეკონომიური თუ კანონმდებლობითი ღონისძიებების საშუალებით. ყოველ შემთხვევაში ამისათვის საჭიროა არა ერთი

ან ორი წელიწადი, არამედ მთელი ათეული წლები. და, მაშასადამე, საკმარისად ხანგრძლივი ვადის განმავლობაში პროლეტარიატის დიქტატურის დროს ჩვენ უნდა შეგვენარჩუნებია სოფლად როგორც კულაკობა, ისე მოჯამაგირეობა და ღარიბი გლეხ-კაცობა. მაგრამ რადგანაც მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია უმაღლეს საფუძველზე აუცილებლად უნდა დაჩქარდეს, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, აქედან გამომდინარეობდა პარტიის პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სექტორის ზრდის დასაჩქარებლად. ამ მხრით განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ გასული წლის ნოემბრის თვეში მომხდარი საკავშირო კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის პლენუმის დადგენილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ. ეს დადგენილება თხოულობდა კოლექტივიზაციის ტემპის დაჩქარებას და ამასთანავე ზოგიერთ რაიონების 1930 წლის გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლას.

ეს სწორი გეზი იყო. მაგრამ, როგორც გამოაშკარავდა შემდეგში. ეს სავსებით სწორი გეზი ბევრ ალაგას და ბევრ ორგანიზაციების მიერ არა სწორად იქნა გაგებული, და, მაშასადამე. ცხოვრებაშიაც არა სწორად გატარებული. ჯერ ერთი ის. რომ ისეთმა რაიონებმა (მაზრებმა, ოლქებმა) მოინდომეს მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა (ტფილისის, კახეთის ოლქები, ზუგდიდის და სენაკის მაზრების ზოგიერთი რაიონები და სხვ.), სადაც ამისათვის პირობები თითქმის სრულებით არ იყო მომზადებული. მეორეც ის, რომ გეგმით გათვალისწინებულ 20-30 პროც. მაგიერ მოინდომეს მთლიანი კოლექტივიზაციის გატარება არა თუ 50, 60 და 70 პროც., არამედ 80-90 პროც. და კიდევ მეტიც. როგორც იცით.. ეს „თავბრუდახვევა" ჩქარა გათავდა, გლეხობამ იწყო გამოსვლა კოლექტივებიდან და ნაცვლად 80-90 პროცენტისა ჩვენ მივიღეთ დაახლოებით 15-20 პროც.. ალაგ-ალაგ კიდევ ამაზე ნაკლებიც. და სწორედ ამ გარემოებამ აფიქრებინა ზოგიერთებს, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის იდეაც კი სამუდამოთ თუ არა, დროებით მაინც დამარცხდაო. მაგრამ ეს ამხანაგები თავის დასკვნის გამოყვანაში მეტისმეტად აჩქარდენ. მე შევეცდები აქ ამის დამტკიცებას.

როცა გლეხობის უმრავლესობა კოლექტივებიდან გავიდა და იქ შედარებით უმცირესობა დარჩა, კულაკებმა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებმა, რომლებიც კოლექტივიზაციის შეურიგებელი მტრები იყვნენ და არიან, ისარგებლეს რა ამ შემთხვევით, განიზრახეს დარჩენილი კოლექტივების დაშლაც და იმათი სრულიად მოსპობა. ამნაირად ამ უკანასკნელ დროს ჩვენ შევიქენით მოწამენი უსასტიკესი და გააფთრებული ბრძოლისა, რომელიც მიმართულია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, რომ ეს ბრძოლა ახლა არ დაწყებულა. ახლა მან მიიღო მხოლოდ უფრო მწვავე ხასიათი. შეიძლება ითქვას. რომ ბრძოლამ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ განვლო დაახლოებით სამი ხანა, ანუ სამი ეტაპი. პირველ ხანებში კულაკები აშკარად არ ებრძოდენ კოლმეურნეობებს და ეს აიხსნება იმით, რომ იმ დროს კოლმეურნეობრივი მოძრაობა არა თუ ჩვენში, არამედ საბჭოთა რუსეთში და უკრაინაშიაც შედარებით ჯერ კიდევ მეტად სუსტი იყო. კულაკები

ღ: სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები ამ ხანებში ხმაურობდენ სხვადასხვა ოინებს კოლექტივების წინააღმდეგ. ხშირად თითონ ისინი ადგენდენ ცრუ-კოლექტივებს და ამ გზით სცდილობდნენ ღარიბი გლეხობის თვალში კოლექტივებისათვის სახელი გაეტეხათ; მაგრამ კულაკების ყველა ასეთ ოინებს ფაიდა ეხდებოდა, და კოლმეურნეობრივი მოძრაობა სულ უფრო იკიდებდა ფეხს. მაშინ კულაკებმა ტაქტიკა შესცვალეს და იწყეს სხვადასხვა ტეროორისტული აქტების ძოწყობა კოლექტივების წევრების წინააღმდეგ და აგრეთვე კოლექტივების ქონების განადგურება-მოსპობა. საბჭოთა ხელისუფლებამ უპასუხა ამაზე სოციალური თავდაცვის უმაღლესი ზომით — დახვრეტით. მაგრამ ამით კულაკების ბრძოლა კოლექტივების წინააღმდეგ არ შენელებულა. ხოლო მთლიანი კოლექტივიზაციაზე გადასვლის ხანაში (მესამე ეტაპი) ეს ბრძოლა, როგორც ზევით იყო ნათქვამი, უკიდურესად გამწვავდა და ალაგ-ალაგ მან აშკარა ბანდიტური თავდასხმების ხასიათი მიიღო.

როგორც ვიცით, მთლიანი კოლექტივიზაციის დროს, კულაკობა ყველგვარ საშუალებას მიმართავდა, რათა კოლექტივებში შემძვრალიყვნენ, მაგრამ როცა მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელება ნაადრევი დარჩა, კულაკებმა გადასწყვიტეს იმ კოლექტივების დაშლაც კი, რომლებიც მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლამდე არსებობდენ და მუშაობდენ. და როცა კოლექტივების წევრები მათ ამაზე ვერ დაითანხმეს, კულაკებმა გადასწყვიტეს თავის განზრახვის სისრულეში მოყვანა ძალით. ამ მიზნით კულაკობა დაიარაზმა, მან შეახერხა პროვოკაციის და სიცრუის საშუალებით თავის ბრძოლაში კოლექტივის წინააღმდეგ ჩაეთრია აგრეთვე საშუალო გლეხობის და წარმოიდგინეთ ალაგ-ალაგ ღარიბი გლეხობის ყველაზე უფრო შეუგნებელი ნაწილიც კი. რა თქმა უნდა, კულაკებს თავიდანვე გვერდში ამოუდგენ ყველა ისინი, ვინც საბჭოთა წესწყობილების, ე. ი. მუშათა და გლეხთა ხელისუფლების, შეურიგებელი მტერია; თავისთავად იგულისხმება, რომ პირველ რიგში კულაკების საქმე თავს იდვეს მენშევიკებმა, რომლებიც აქა-იქ კიდევ არიან დარჩენილი ჩვენში, როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები. საერთოდ კულაკების აქტიურობამ, როგორც ვთქვით, ერთ დროს პირდაპირ ბანდიტური თავდასხმითი ხასიათი მიიღო კოლექტივების გამგეობებზე და იმათ წევრებზე (ბორჩალოს რაიონი, კახეთის ოლქი) და ხმათა ხასიათი მიიღო კოლექტივების წევრების მოკვლამაც. იმათ ქონების გადაწვით და სხვ. კულაკები შეეცადნენ პანიკა შეექმნათ კოლექტივების წევრებში. განსაკუთრებით იმათ ოჯახებში. ცოლებში, დებში და დედებში. ყველა ამათ ემუქრებოდენ დახოცვით, თუ არ დაანებებდენ თავს კოლექტივებს. უგზავნიდენ უსახელო წერილებს მუქარით და აშკარა მუქარასაც. არ ერიდებოდენ. კულაკების აგენტები დადიოდენ ღამ-ღამობით და აშინებდენ კოლექტივების წევრებს. იყო შემთხვევები (ქუთაისის ოლქი. სოფ. დიდი ჯიხაიში. გეგუთი და სხვ.). როცა თავისი მუქარა იმათ სისრულეში მოიყვანეს (დაწვეს კოლექტივების წევრების შენობები. სახლები. საბძლები და სხვ.). აი რა ძალადატანებას ახდენდნენ კულაკები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები კოლექტივებზე და იმათ წევრებზე. ეს უკანასკნელები დაუნებებული იყვნენ. ალაგ-ალაგ

მაინც. პირდაპირ ტერორის ქვეშ. იმათ ეშინოდათ სამუშაოზე გასვლა, ეშინოდათ ღამე სიარული და ასე წარმოიდგინეთ სახლში დაძინებაც კი.

მიუხედავათ ასეთი აუტანელი მდგომარეობისა, მიუხედავად იმ ტერორისა, რომელსაც ქმნიდენ სოფლად კულაკები და იმათი აგენტები — მენშევიკები კოლექტივების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელებმა მაინც გაუძლეს ყოველივე ამას. კოლექტივებმა მოიგერიეს კულაკების იერიშები, კოლქტივებმა გასცეს შესაფერი პასუხი კულაკების თავდასხმებს, ერთი სიტყვით ისინი არ მოერიდენ არაკითარ მსხვერპლს, სიკვდილსაც კი, ოღონდ კი კოლექტივების არსებობა დაეცვათ. და ეს მოიმოქმედეს მათ თავისი საკუთარი შედარებით მეტად სუსტი ძალებით. ასე დაიცვეს კოლექტივებმა თავისი ფიზიკური არსებობა კულაკების ბანდიტური შემოტევის დროს. შემდეგ, როცა კულაკები და მათი აგენტები — მენშევიკები დარწმუნდნენ იმაში, რომ ძალით კოლექტივების წინააღმდეგ ვერას გახდებოდენ, მათ სხვა ხერხს მიმართეს. ახლა იმათ განიზრახეს კოლექტივების დაშლა შიგნიდან. როცა ძველ პროვოკაციულ ჭორებს (100 მეტრიანი საბნები, ბავშვების ვალებში გაყიდვა საზღვარგარეთ, მოხუცებულების დახოცვა საპნის გასაკეთებლად და სხვ. და სხვ.), ფარდა მოეხადა, სხვა პროვოკაციები შეთხზეს: 1) კოლექტივები იმიტომ უნდა საბჭოთა ხელისუფლებას, რომ მთელი იმათი ნაშრომი თითონ მიითვისოს, 2) კოლექტივების წევრები იძულებული იქნებიან რიგებში ჩადგენ და თავიანთი წილი მოსავლიდან გირავნქობით მიღონ, 3) კოლექტივების წევრებს ხარივით ამუშავებენ, რისთვისაც მათ უნიზნავენ რაღაც უმნიშვნელო ხელფასსო და სხვა და სხვა. ასეთი საზიზღარი პროვოკაციის საშუალებით ჩვენი მტრები ფიქრობენ კოლექტივების წევრებზე გავლენის მოხდენას, იმათში უნდობლობის გამოწვევას უწინარეს ყოველისა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, კოლექტივიზაციას რომ თავი დავანებოთ. და, მიუხედავათ იმისა, რომ კოლექტივები ამჟამად დიდ გაჭირვებაში იმყოფებიან ნივთიერად და მიუხედავად იმისა, რომ იმათი წევრები ხშირად სიმშილსაც კი გაჩიცდიან. რადგანაც ჯერ იმათ შემოსავალი არსაიდან აქვთ და იმავე დროს დიდ მუშაობას ეწევიან, — ერთი სიტყვით მიუხედავათ ყველა ამ გაჭირვებათა და დაბრკოლებათა, კოლექტივის წევრებმა, შეიძლება ითქვას, სულ მცირე გამონაკლისის გარდა, გ ა მ ო ი ჩ ი ნ ე ს უ დ ი დ ე ს ი ს ი მ ტ კ ი ც ე დ ა რ წ მ ე ნ ა კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ე ბ ი ს მ ი მ ა რ თ. ამ მხრით ეს ხანა იყო უ დ ი დ ე ს ი გამოცდა ჩვენი კოლექტივებისათვის და შეიძლება ითქვას, რომ ისინი გამარჯვებული გამოვიდენ ამ გამოცდიდან. თუ მათ შეინარჩუნეს თავისი არსებობა ასეთ კრიტიკულ მომენტში, ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ჩვენში თავისთავად სრულიად ჯანსაღი და სასიცოცხლო მოვლენაა. რომ თუ მან ასეთ მძიმე პირობებს გაუძლო და იმავე დროს გაუმკლავდა თავის მოსისხლე მტრებს, ახლო მომავალში მისი განვითარება სავსებით უზრუნველყოფილია.

დღეს ჩვენ სოფელში მეტად საინტერესო ამბები ხდება. არასოდეს სოფელი და სოფლის ცხოვრება ა რ შ ე ნ ძ რ ე უ ლ ა ი ს ე ღ რ მ ა დ, როგორც ამ უკანასკნელ დროს. დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ი ს ო ფ ე ლ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს უ შ უ ა ლ ო და ძ ლ ი ე რ ი ზ ე გ ა ვ ლ ე ნ ი ს

მეოხებით ისწრაფვის სოციალიზმისაკენ. კოლექტივიზაცია შეიქმნა იმ მამოძრავებელ ძალად, რომელსაც თანამედროვე სოფელი მოყავს მოძრაობაში, რომელიც აღფრთოვანებს მშრომელ გლეხკაცობას და რომელიც იმავე დროს წარმოადგენს უძლიერეს ფაქტორს ჩვენ ჩამორჩენილ სოფელში უმაღლესი ტეხნიკის და კულტურის შეტანისათვის.

ყოველივე კარგი, ყოველივე პროგრესიული და კულტურული, რაც კი ვრცელდება დღეს სოფელში, ვრცელდება კოლექტივების საშუალებით, იმათი ენერგიული მუშაობით და მეცადინეობით. კოლექტივები დგანან წინა რიგებში. თესვა, ახალი კულტურების შემოღება, ახალი იარაღ-მანქანები, — ეს ყოველივე უპირველეს ყოვლისა კოლექტივების საქმეა, ყოველივე ამას ისინი უძღვებიან და მიუთითებენ. ეს აკეც უნდა იყოს. ეს მათ ბევრს რამეს ავალებს. სრულიად დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ კოლექტივები ყველა იმ დავალებებს, რომლებიც მათ დაკისრებული აქვთ, პირნათლად შეასრულებენ. და მაშინ ის შეუპოვარი და სასტიკი ბრძოლა, რომელიც დღეს სწარმოებს კოლმეურნეობებსა და კულაკებს შორის, სოფლის მეურნეობის სრული კოლექტივიზაციის სასარგებლოდ დამთავრდება სულ უახლოვეს მომავალში.

გაზეთი „კომუნისტი“,
1930 წლის 11 მაისი,
№ 108.

# საპოლემეურნეო მოძრაობის დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები საქართველოში

(მოხსენება საქ. კომპ. (ბ) მე-VII ყრილობაზე. 1930 წ. 3 ივნისს).

## პარტიის გენერალური ხაზი სოფლად

ამხანაგებო! თქვენ კარგად იცით, რომ დღეს ჩვენი პარტიის მთელი ყურადღება მიქცეულია სოფლისაკენ. კონკრეტულად რომ ვთქვათ, სოფლის კოლექტივიზაციაზე. ეს მეტად სერიოზული საკითხი არის. მე მინდა აქ შევნიშნო. რომ სანამ მორიგ ამოცანებზე გადავიღოდეთ. ჩვენ მოგვიხდება იმ დეფექტების, იმ უხეში შეცდომების აღნუსხვა, რომლებიც დაშვებულ იქნენ უკანასკნელ დროს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში. არავის არ უნდა ეწყინოს. როცა ჩვენ აქ მოგვიხდება ლაპარაკი ასეთ შეცდომებზე, რადგანაც პირადად ამ შეცდომებში ყველა ჩვენგანს მიუძღვის ბრალი.

მეორე გარემოება. რომელზედაც მე მინდა თქვენი ყურადღება მივაქცი, არის შემდეგი: ბევრს ეგონა-და შეიძლება დღესაც ჰგონია, რომ ის უკანდახევა, რომელიც ჩვენ მოგვიხდა კოლექტივიზაციის საქმეში, ანუ მარცხი, რომელიც ჩვენ განვიცადეთ ამ მხრივ, — ეს არის თითქო ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის დამარცხება. პარტიის გენერალური ხაზიდან უკან დახევა: ეს ნიშნავს თითქო. რომ არ იყო დაცული აქ პარტიის სწორი ხაზი, რომელიც ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ტარდებოდა სოფლად. ასეთი მსჯელობა პირდაპირ დაუშვებელია. მართლაც. თუ დამარცხდა პარტიის გენერალური ხაზი. ეს იმას ნიშნავს. რომ სწორი ყოფილა მემარჯვენეების პოლიკიტა. რომ საჭირო ყოფილა კულაკებისათვის ხელისშეწყობა. მათი მეურნეობის გამაგრება. რაც თავისთავად ნიშნავს ბურჟუაზიული ხაზის გამართლებას სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში. რასაკვირველია, ამის მსგავსი არაფერი არ ყოფილა და არც არის. თუ ჩვენ უკან დავიხიეთ. დავიხიეთ მხოლოდ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ჩქარა გამოგვესწორებინა შეცდომები და გადახრები. პარტიის გენერალური ხაზი. რა თქმა უნდა, მთლიანად რჩება ისეთი. როგორიც დღემდე იყო. აქ ლაპარაკია მხოლოდ იმ გადამახინჯებებისა და შეცდომების გამოსწორებაზე. რომელნიც სწორედ პარტიის გენერალურ ხაზიდან გადახრას წარმოადგენს.

ამხანაგებო. მე შევეცდები არ გავიმეორო ის. რაც აქ იყო ნათქვამი იმის შესახებ. თუ რა აზრის იყო ამბ. ლენინი სოფლის დაქუცმაცებული მეურნეო-

ბის შესახებ, თუ რა მნიშვნელობას აძლევდა იგი თავის კოოპერატიულ გეგ-მაში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. ე. ი. დაქუცმაცებულ წვრილ-გლეხურ მეურნეობიდან მსხვილ კოლმეურნეობათა შექმნას. მე მგონია ამის შე-სახებ ლაპარაკი აქ არ არის საჭირო. ამაზე აქ ბევრი იყო ნათქვამი და განმეო-რება საჭირო აღარაა.

## პარტიის გადაწყვეტილებანი კოლექტივიზაციის შესახებ

მე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას უპირველეს ყოვლისა იმაზე. თუ როგორ. აყენებდენ ჩვენი პარტიული ყრილობები და კონფერენციები ამ საკითხს. სულ-მოკლედ აღვნიშნავ მე-15 ყრილობის რეზოლიუციიდან ერთ ადგილს. სადაც ნა-თქვამია: „დღევანდელ ხანაში პარტიის ძირითად ამოცანად სოფლად უნდა და-სახულ იქნას წვრილ ინდივიდუალურ გლეხთა მეურნეობების გაერთიანება და. გარდაქმნა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად. ამასთანავე ყრილობა კატეგორიულად მიუთითებს, რომ ეს გადასვლა შეი-ტლება მოხდეს მხოლოდ მშრომელი გლეხობის თა-ნხმობით".

შემდეგ მე მოგაგონებთ იმ რეზოლიუციის მოკლე შინაარსს. რომელიც მი-ღებული იქნა მე-16 პარტკონფერენციაზე. დაახლოებით ერთი წლის წინათ. აქაც ხაზი აქვს გასმული იმას. რომ სოფლის მეურნეობა, გლეხური დაქუცმაცე-ბული მეურნეობა, უნდა გადაყვანილ იქნას კოლმეურნეობაზე. რა თქმა უნდა, რეზოლიუციაში ყურადღება ექცევა საბჭოთა მეურნეობების განვითარებასაც-რადგანაც საბჭოთა მეურნეობები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან. ამ კონფერენციაზე აღნიშნული იყო. რომ საშუალო გლეხი უკვე მიილტვის კოლექტივისკენ. ეს ფაქტი იყო. მე-16 პარტ-კონფერენცია მოხდა იმ დროს, როცა ჩვენ პარტიას დიდი შეტაკება ჰქონდა მე-მარჯვენეებთან. მემარჯვენეები, როგორც იცით, სოფლის მეურნეობის კოლექ-ტივიზაციის ტემპის დაჩქარების წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი ამტკიცებდნენ: ეს შეუძლებელიაო და მომხრენი ყვნენ. რომ კულაკებსათვის რაც შეიძლება მეტი თავისუფლება მიგვეცა. აი, ამ პირობებში ჩატარდა მე-16 პარტიული კონფე-რენცია. მე-16 პარტკონფერენციამ აღნიშნა. რომ ყოველმხრივ უნდა შეუწყოთ ხელი მთელი სოფლების და რაიონების გადასვლას მთლიან კოლექტივიზაციაზე. ამასთან ერთად გლეხების გაერთიანების ყველაზე უფრო მისაღებ ფორმად მი-ჩნეულ იქნა უმთავრესად არტელური ფორმა და რამოდენიმეთ კომუნა.

მე-16 პარტკონფერენციის შემდეგ კოლექტივიზაციის საქმეში განსაკუთ-რებით ყურადღებას იქცევს საკავშირო კომუნისტური პარტიის ცეკას 1929 წ. ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. საკითხმა სოფლის მეურნეობის კო-ლექტივიზაციის შესახებ ამ პლენუმზე უკვე ცენტრალური ადგილი დაიკავა. პლენუმმა შეაჯამა კოლექტივიზაციის მდგომარეობა იმ დროს მთელს საბჭოთა კავშირში. 1929 წლის ოქტომბრის 1-ლისათვის მთელს კავშირში კოლექტივი-ზაციის პროცენტი უდრიდა 7.5 პრ. მაგრამ. თუ ავიღებთ სხვადასხვა რაიონებს, მათ შორის დიდ განსხვავებას ჰქონდა ადგილი. მაგალითად. ჩრდილოეთ კავ-

კასიაში კოლექტივიზაციის პროცენტი გასული წლის ნოემბრისათვის უდრიდა 25-ს. ყირიმში — 25-ს. ქვედა ვოლგის მხარეში 12-ს. იყვენ ისეთი ოლქები და რაიონები, სადაც პროცენტი კიდევ უფრო მაღალი იყო. მაგალითად, მინერალურ წყლებზე კოლექტივიზაციის პროცენტი უფრო მაღალი იყო, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ იქ სატრაქტორო-სამანქანო სადგური არსებობდა. კრასნოპოლიანის რაიონში კოლექტივიზაციის პროცენტი 62-ს უდრიდა, არამავირის რაიონში — 71-ს. ბევრ ადგილას სოფლების მთელი რიგი ფაქტიურად გადასული იყვენ მთლიან კოლექტივიზაციაზე.

უკრაინის სხვადასხვა რაიონებში კოლექტივიზაციის საკმარისი დიდი პროცენტი იყო. ზოგ რაიონში კოლმეურნეობებში გაერთიანებული მოსახლეობა 25 პროც. უდრიდა. 15 რაიონში კოლმეურნეობათა წევრები მოსახლეობის 70-80 პრო-მდე ადიოდა, 9-10 რაიონში კერძოთ ნიკოლაევსკში და ხერსონში, კოლექტივიზაცია 30-31 წ. პირველ ნახევარში უნდა დასრულებულიყო.

ამხანაგებო, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ყველა ამ რაიონებში ტარდებოდა პარტიული ხაზის დაუმახინჯებლად, ე. ი. ნებაყოფლობით, არავითარ ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია. ნოემბრის პლენუმზე აღიარებულ იქნა, რომ ზოგიერთი რაიონები მზად არიან გადავიდენ მთლიან კოლექტივიზაციაზე, ზოგიერთები კი ფაქტიურად უკვე გადასული არიან. პლენუმზე გამომუშავებულ იქნა ის ზომები, რომლებსაც ხელი უნდა შეეწყოთ კოლექტივიზაციაზე გადასვლისათვის.

ასეთი მდგომარეობა იყო საბჭოთა რუსეთში და საბჭოთა უკრაინაში. საინტერესოა ვიკითხოთ რა მდგომარეობა იყო იმ ხანებში საქართველოში. მე მოიყვან ცნობებს. ამ ახლო ხანებში გამოსულ წიგნიდან „საქართველოს კოლმეურნეობანი", რომელიც იძლევა 1928 და 1929 წ. ჩატარებულ გამოკვლევების შედეგებს. რა სურათი იყო იმ დროს ჩვენში კოლექტივიზაციის ფრონტზე? კოლექტივების წევრები მთელ საქართველოში 28-29 წელში მოსახლეობის 3.1 პროცენტს უდრიდა. ეს იყო დაახლოებით შარშან მაისის თვეში. ეხლა ავიღოთ ცალკე რაიონები. აფხაზეთში 28 წ. სრულებით ვერ ვხედავთ კოლექტივებს. 1929 წ. მაისში კი იქ კოლექტივებში გაერთიანებული იყო მოსახლეობის 1.5 პროც.. აჭარისტანში — 5 პროც. ეს აიხსნება იმით, რომ აჭარისტანში ეწყობოდა ჩაის კოლექტივები. ხოლო სამხრეთ-ოსეთში — 0.2 პროც. თუ შევადარებთ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს, დავინახავთ: აღმოსავლეთ საქართველოში კოლექტივებში გაერთიანებული ყოფილა იმ დროს მეურნეობათა საერთო რიცხვის 2.8 პროც., დასავლეთ საქართველოში 3.7 პრ. დასავლეთ საქართველოში პირველი ადგილი ეჭირა ოზურგეთის მაზრას. ეს იმით აიხსნება. რომ იქ იყო გავრცელებული ჩაის კულტურა. ჩაის კოლმეურნეობებშ გაერთიანებული იყო მოსახლეობის 14.8 პრ.. შემდეგ მიდიოდა სენაკის მაზრა — 5.7 პროც.. ზუგდიდის — 3.6 პროც.. ქუთაისის ოლქი — 1 პროც.

აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის ოლქში გაერთიანებული იყო 3,8 პროც.. ტფილისის ოლქში — 2.9 პროც. ჩამორჩენილი იყო ახალციხის და ახალქალაქის მაზრები.

ეს ცნობები ეკუთვნის გასული წლის პირველ ნახევარს. მეორე ნახევრის განმავლობაში კოლმეურნეობათა რიცხვი უფრო სწრაფი ტემპით იზრდება და 1929 წ. 1 დეკემბრისთვის განსაზოგადოებულ მეურნეობათა პროცენტი საერთოდ საქართველოში — 6,3 პროც-მდე ადის. ამრიგად, რამოდენიმე თვის განმავლობაში კოლმეურნეობათა რიცხვი გაორკეცდა. მე-VI ყრილობაზე, როდესაც ჩვენ ვარჩევდით ხუთწლიან გეგმას, მივიღეთ, რომ ხუთწლედის ბოლოს, კოლექტივებში გაერთიანებული მეურნეობათა რაოდენობა უნდა ასულიყო 20 პროც-დე. ასევე იყო მთელ კავშირში. აი, ამ ვარაუდით და ასეთი ფაქტიური მდგომარეობით ჩვენ გადავდივართ 1929-30 წლის მეორე კვარტალში.

## დეკრეტების წინააღმდეგ საკოლმეურნეო მშენებლობაში

ამხანაგებო, აქ თქვენს ყურადღებას მივაქცევ საკ. კომპარტიის ერთ მეტად დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს. ეს არის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, გამოქვეყნებული 6 იანვარს. მე მოვიყვან იქიდან რამდენიმე მუხლს, რადგანაც, ვიმეორებ, დოკუმენტი მეტად მნიშვნელოვანია. აი, ერთ-ერთი ადგილი ამ დადგენილებიდან:

„უკანასკნელ თვეებში საკოლმეურნეო მოძრაობამ ახალი ნაბიჯი გადადგა. იგი მოედო არა მარტო ინდივიდუალურ მეურნეობათა ცალკე ჯგუფებს, არამედ მთელ რაიონებს, ოლქებსა და მხარეებსაც კი. ამ მოძრაობას საფუძვლად უდევს ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა საშუალებების კოლექტივიზაცია.

საკოლმეურნეო მოძრაობის გეგმით გათვალისწინებული ტემპები, გადაჭარბებით სრულდება. განსაზოგადოების საფუძველზე დამუშავებული ფართობი, 1930 წლის გაზაფხულზევე შესამჩნევად გადააჭარბებს 30 მილ. ჰექტარს, ე. ი. კოლექტივიზაციის ხუთწლიან გეგმას, რომლის მიხედვით ხუთი წლის დამლევს კოლექტიური ნათესის ფართობს 22-24 მილიონ ჰექტარამდე უნდა მიეღწია.

ამგვარად, ჩვენ გვაქვს მატერიალური ბაზა იმისათვის, რომ მსხვილი კულაკური წარმოება შევცვალოთ მსხვილი კოლმეურნეობრივი წარმოებით და ძლიერად წავიწიოთ წინ სოციალისტური მიწათმოქმედების შექმნის საქმეში. აღარაფერს ვამბობთ საბჭოთა მეურნეობებზე, რომელთა ზრდაც საგრძნობლად სჭარბობს გეგმით გათვალისწინებულ ციფრებს.

ამ გარემოებამ, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობისათვის, საშუალება მისცა პარტიას თავის პრაქტიკულ მუშაობაში კულაკების ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკიდან გადასულიყო კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობის პოლიტიკაზე“.

ეს არის სრულიად ახალი ხანა, რომელიც იწყება კოლექტივიზაციის საქმეში. ამავე დოკუმენტის მეორე ადგილას ნათქვამია:

„ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ხუთი წლის ფარგლებში ნათესი ფართობის 20 პროც-ის კოლექტივიზაციის ნაცვლად, რაც გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით, შევსძლებთ გლეხურ მეურნეობათა დიდი უმრავლესობის კოლექტივიზაციის ამოცანის გადაჭრას. ამასთან, ისეთი

უმნიშვნელოვანესი ხორბლეული რაიონების კოლექტივიზაცია, როგორიც არის ვოლგის ქვემო მხარე, ვოლგის შუა მხარე და ჩრდილოეთ-კავკასია, შეიძლება დამთავრდეს დაახლოებით 1930 წლის შემოდგომაზე ან, ყოველ შემთხვევაში, 1931 წლის გაზაფხულზე. სხვა ხორბლეულის რაიონების კოლექტივიზაცია კი შეიძლება დამთავრდეს 1931 წლის შემოდგომაზე ან, ყოველ შემთხვევაში, 1932 წლის გაზაფხულზე".

მაშასადამე, მთავარი აქ არის ორი რამ: ერთი — კულაკობის ექსპლოატატორული ტენდენციის შეზღუდვის პოლიტიკიდან ჩვენ გადავდივართ კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობის პოლიტიკაზე. აი, ერთი მთავარი დებულება. მეორე ასეთივე მთავარი დებულებაა ის, რომ პირველ რიგში უნდა დამთავრდეს ხორბლეული რაიონების კოლექტივიზაცია.აქ არის ხორბლეულის რაიონების ორი წყება: ერთი წყება არის ვოლგის ქვემო მხარე, შუა მხარე და ჩრდილოეთი კავკასია, სადაც ფაქტიურად მთლიანი კოლექტივიზაცია თითქმის უკვე ტარდებოდა ცხოვრებაში, დანარჩენი ხორბლეული რაიონები დაყენებული არიან მეორე რიგში. პირველი რიგის რაიონებში კოლექტივიზაცია უნდა დამთავრებულიყო 1931 წ. გაზაფხულზე, დანარჩენ რაიონებში კი 1932 წ. გაზაფხულზე.

გარდა ამისა, დადგენილებაში ნაჩვენებია აგრეთვე, თუ კოლმეურნეობის რომელი სახე წარმოადგენს დღეს ყველაზე უფრო მისაღებ ფორმას. აი, რა სწერია იქ ამის შესახებ:

„მთლიანი კოლექტივიზაციის გამოცდილებამ საკოლმეურნეო მოძრაობის დღევანდელ საფეხურზე კოლმეურნეობების ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმათ, ნაცვლად მიწის საერთოდ დამმუშავებელი ამხანაგობებისა, რომელთაც შრომის განსაზოგადოებასთან ერთად შეინარჩუნეს კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, წამოაყენა სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელშიაც კოლექტიურად გაერთიანებული არიან წარმოების ძირითადი საშუალებანი (ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, სამეურნეო ნაგებობანი და პროდუქტიული საქონელი)".

აქ ნათლად არის ნათქვამი, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის დღევანდელ საფეხურზე ყველაზე მისაღებ ფორმად უნდა ჩაითვალოს სას.-სამ. არტელი.

რაც შეეხება პროდუქტიული საქონლის გაერთიანებას არტელში — ეს, როგორც შემდეგ გამოირკვა, შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ საქონელს სამრეწველო ხასიათი ექნება.

ამ დადგენილების უკანასკნელ მუხლში ნათქვამია:

„საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა ყოველგვარ ცდასთან, რომელიც მიმართულია, ტრაქტორებისა და რთული მანქანების სიმცირის საბაბით, საკოლმეურნეო მოძრაობის შენელებისაკენ. ამასთან ერთად ცეკა აფრთხილებს პარტორგანიზაციებს საკოლმეურნეო მოძრაობის საქმეში არ მიმართონ დეკრეტებს ზევიდან, რაც იქნება არა ნამდვილი სოციალისტური შეჯიბრება კოლექტიურ მეურნეობათა მოწყობის საქმეში. არამედ არასერიოზული მოპყრობა კოლექტივიზაციისადმი".

მაშასადამე, აქ გადაჭრით არის ნათქვამი, რომ შეუძლებელია კოლექტივიზაციის საქმეში დეკრეტების პოლიტიკით ვიმოქმედოთ, ე. ი. მაღლიდან ბრძა-

ნებით გადავიყვანოთ ესა თუ ის რაიონი მთლან კოლექტივიზაციაზე. ეს დადგენილება აშენებულია საბჭოთა სოფლის სინამდვილეზე. იგი შედგენილია იმ გამოცდილების და გაკვეთილის მიხედვით, რომელიც განვლილ პეროდში მივიღეთ.

## ჩვენი შეცდომები და მათი მიზეზები

### იანვრის პლენუმი.

მაგრამ რა ხდება ამის შემდეგ? ცეკას აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნებულ იქნა 6 იანვარს. 11-14 იანვარს მოხდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. ის განწყობილება და სულისკვეთება, რომელიც ამ პლენუმზე იყო, დამახასიათებელია. პლენუმზე გამოვიდნენ სხვადასხვა ოლქებისა და მაზრების ხელმძღვანელი მუშაკები. რომლებიც ეხებოდნენ საკოლმეურნეო მოძრაობის მდგომარეობას ამა თუ იმ ოლქში და მაზრაში.

გორის ოლქის ერთ-ერთ ხელმძღვანელ ამხანაგმა განაცხადა, რომ საოლქო კომიტეტმა დაადგინა: 29-30 წლის ბოლოს ოლქში კოლექტივიზაციის პროცენტი აიყვანოს 50 პროც-მდე. არ გაუვლია ერთ თვეს და ჩვენ მოგვიხდა ამ ციფრის შეცვლა. გამოირკვა, რომ ასეთი ვარაუდი ჩამორჩენილი ალის და გამოვიტანეთ დადგენილება, რომლის ძალითაც გლეხთა მეურნეობათა 50 პროც.-ის კოლექტივიზაცია უკვე მომავალ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს უნდა მოხდესო.

კახეთის პ.-მგ. ამხანაგი აცხადებს, რომ მთლიანი კოლექტივიზაცია არა თუ ცალკე სოფლებში, არამედ ცალკე რაიონებშიაც უკვე რეალური ხდება. ჩვენ უკვე გვაქვს ორი მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონი — ლაგოდეხი და შირაქი. ჩვენი ვარაუდი იყო 35 პროცენტით გაგვეტარებინა კოლექტივიზაცია მომავალი გაზაფხულისათვის. ეხლა ჩვენ უნდა შეგვცვალოთ ეს ვარაუდი და მთელი კახეთი გამოვაცხადოთ მთლიან კოლექტივიზაციის რაიონად.

თბილისის ოლქის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ოქტომბრის შუა რიცხვებში დიღომის რაიონში კოლექტივიზაცია 25-30 პროცენტამდე ავიყვანეთ. მაგრამ ეხლა არამც თუ დიღომი, ყარაიაზის რაიონშიაც გლეხობის 50 პროცენტი გვყავს კოლმეურნეობებში გაერთიანებული. დღეს მივიღეთ დავალება, რომ იქ უკვე მთლიან კოლექტივიზაციაზე გადავიდნენო.

ამათ არ ჩამორჩა ქუთაისის ოლქის წარმომადგენელი. იგი აცხადებს, რომ მთელ რიგ რაიონებში მოხდა გარდატეხა. გლეხობის 24-30 პროც. გაერთიანებულია კოლექტივებში. წარმოიდგინეთ, იანვარს 1-ლ ოოკტიაათვის საბჭოდროინონის, ქუთაისის რაიონებში კოლმეურნეობებში გაერთიანებული ყოფილა გლეხობის 30 პროცენტი. „დასავლეთ საქართველოში შეგვიძლია ავიღოთ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის ისეთი ტემპი, რომ არ ჩამოვრჩეთ მოწინავე რაიონებს, და, თუ საჭირო იქნება, კიდეც ავასწროთ მათ-ო — რიხიანად აცხადებდა იგი. მხოლოდ ოზურგეთის მაზრის ხელმძღვანელმა სთქვა, რომ გაზაფხულის თესვის კამპანიის ბოლოს მაზრაში კოლექტივებში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი ავა 30-35 პროცენტამდე.

ამხანაგებო, რომ ყოველმხრივ დავახასიათო მაშინდელი მდგომარეობა, ნება მიბოძეთ რამდენიმე ადგილი მოვიყვანო ამხ. ლოლობერიძის სიტყვიდან და აგრეთვე ერთი ადგილი იმ რეზოლიუციიდან, რომელიც მიღებული იქნა იანვრის პლენუმზე კოლმეურნეობათა შესახებ. აი, რას ამბობდა მაშინ ამხ. ლ. ლოლობერიძე, რომელიც მომხსენებელი იყო საკოლმეურნეო მოძრაობაზე.

„ჩვენ სავსებით სწორად და დროულად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ კოლმეურნეობებში შესვლისათვის აგიტაციისა და პროპაგანდის მეთოდი უკვე შეგვიძლია შევცვალოთ ინდივიდუალურ გლეხობაზე არაპირდაპირი ზეგავლენის ზომებით, რათა ამით მათი კოლექტივიზაცია დავაჩქაროთ. როგორია ამ არაპირდაპირი ზეგავლენის ზომები? მე მათ ჩამოვთვლი: კრედიტი, როგორც უკვე მოგახსენეთ გაცემულ უნდა იქნას მარტოოდენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხაზით, სატრაქტორო კოლონები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, ხარ-კამეჩისა და ცხენ-მანქანების კოლონები ხელშეკრულებებს მხოლოდ კოლმეურნეობებთან უნდა სდებდნენ. ეს არის ის ორი ძირითადი ღონისძიება, რომელიც წააქეზებს გლეხობას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დაჩქარებისათვის“.

არის აქ რაიმე ისეთი, რომლის გამო ამხანაგები უნდა გადასულიყვენ დეკრეტების გზაზე, ან და ნებაყოფლობითი პრინციპს გადასცილებოდენ? რასაკვირველია, არა. ამხ. ლევანი აქ სრულიად გარკვევით ამბობს, რომ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ეკონომიურ ზეგავლენას მივმართოთ.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი ადგილი ამხ. ლოლობერიძის სიტყვიდან, საიდანაც აშკარად სჩანს, რომ მომხსენებელი გადაჭრით უარყოფდა რაიმე ადმინისტრატიულ ზეგავლენას კოლმეურნეობათა მშენებლობაში. აი რას ამბობდა ის:

„ეკონომიურ ზეგავლენის ეს ღონისძიებანი არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს კოლმეურნეობათა მშენებლობის ადმინისტრატიულ და იძულებითი ზომებით, ან დეკრეტებით გატარებას. სრულიად გადაჭრით უნდა იქნას ხაზგასმული, რომ პარტია კატეგორიულად უარყოფს ყოველგვარ აზრს დეკრეტებისა და ბრძანების წესით კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ პარტიას შეუძლია და მან კიდევაც უნდა გამოსძებნოს იმ მიზანშეწონილ ეკონომიურ ღონისძიებათა მთელი რიგი, რომელთაც უნდა დააჩქარონ ინდივიდუალური გლეხობის კოლმეურნეობებში შესვლა“.

რაც შეეხება ცეკას იანვრის პლენუმის რეზოლიუციას, მასში მექანიკურად არის გადმოტანილი ის მუხლი საკ. კომპარტიის ცეკას დადგენილებიდან, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ხორბლეულის რაიონებს შეეხება. აი სად იყო დაშვებული შეცდომა. მოისმინეთ:

„კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარების პროცესის ასეთი სისწრაფის შედეგად უკვე შეგვიძლია მეურნეობათა კოლექტივიზაციის პროცენტი მიმდინარე წლის გაზაფხულზე ავიყვანოთ 30 პროც-მდე“.

ამხანაგებო, მიაქციეთ ყურადღება ამ 30 პროც. 30-ზე ზევით არა, და ნაკლები კი შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ აი, შემდეგ რას ვკითხულობთ ამ რეზოლიუციაში:

„ხოლო 30 წლის დამლევისათვის არსებითათ დავამთავროთ კოლექტივიზაცია. კახეთის, გორის და ტფილისის ოლქებში და ზუგდიდის მაზრაში; 1931 წელს, ან უკიდურეს შემთხვევაში 1932 წლის გაზაფხულისათვის საერთოდ დამთავრდება კოლექტივიზაცია მთელ საქართველოში“.

როგორც ზევით ვთქვი, ესაა სიტყვა-სიტყვით გადმოტანილი საკ. კომპარტიის ცეკას დადგენილებიდან, რომელიც მხოლოდ ხორბლეულ რაიონებს ეხებოდა. აქ არის სწორედ მთავარი შეცდომა.

რაც შეეხება დეკრეტების გზას, ამის შესახებ აი რა არის ამ რეზოლიუციაში:

„ამ სიძნელეთა გადალახვა სავსებით შესაძლებელია, თუ ენერგიულად განხორციელდება პარტიის მიერ დასახელებული ყველა ღონისძიება. უნდა ჩავახშოთ ის განწყობილებანი და შეხედულებანი, რომელნიც სიძნელეებს გაზვიადებით გვიხატავენ, უნდა შევებრძოლოთ იმ მემარჯვენე ოპორტუნისტულ სულისკვეთებას, რომელსაც არ სჯერა ჩვენი სოციალისტური განვითარების შესაძლებლობა. ამასთანავე მავნებელია ამ სიძნელეთა მიფუჩეჩება, რასაც შეუძლია კოლმეურნეობათა მშენებლობას უბრალო ადმინისტრატიული ზომებით და „დეკრეტებით“ გატარების ხასიათი მისცეს. პარტიული ორგანიზაციების ამოცანას შეადგენს სათავეში ჩაუდგნენ საკოლმეურნეო მოძრაობას, გაუძღვენ გლეხობის ძირითადი მასების ქვევიდან დაწყებულ სტიქიურ მისწრაფებას კოლმეურნეობისაკენ, უზრუნველჰყონ მთელი ამ მასიური მოძრაობის ხელმძღვანელობა და ამით სავსებით განახორციელონ კოლექტივიზაციის დასახული ტემპი“.

ამნაირად, საქ. კ. პ. ც. კ. იანვრის პლენუმი კატეგორიულად უარყოფდა ადმინისტრატიული ზეგავლენით, დეკრეტებით კოლექტივიზაციის გატარებას.

## ა/კ. საოლქო კომიტეტის პლენუმზე

საქართველოს კომპარტიის ც. კ. პლენუმის დამთავრების შემდეგ, შესდგა ა/კ-ის საოლქო კომიტეტის პლენუმი. უნდა მოგახსენოთ, რომ აქ „აღფრთოვანებამ“ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ტფილისის ოლქის წარმომადგენელი აცხადებს: „ჩვენ ყოველდღე ვღებულობთ ცნობებს, რომ ესა თუ ის სოფელი გადადის მთლიან კოლექტივიზაციაზე, რომ მთელი რაონები თითონ აცხადებენ, თავის თავს მთლიან კოლექტივიზაციის რაონად“. ტფილისის ოლქის მუშაკთა თათბირზე ამხანაგები უსაყვედურებდნენ ტფილისის საოლქო კომიტეტს იმას, რომ მან არ გამოაცხადა ოლქი მთლიან კოლექტივიზაციის რაიონად. ივნისისათვის ჩვენ გვექნება კოლექტივებში გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობათა 40 პროცენტიო.

შემდეგ ამხ. ტაგიევი აცნობს პლენუმს, რომ აზერბაიჯანში კოლექტივიზაციის ჩასატარებლად გამოცხადებულია ორკვირეული და ჩვენ ვიძლევით გარანტიას, რომ უახლოეს ხანში შევიყვანთ ყველა ღარიბი და საშუალო გლეხთა და მოჯამაგირეთა მეურნეობები კოლექტივში მთელი 100 პროცენტით. საკონტროლო ციფრები, რომელიც გამომუშავებულია ჩვენი კოლმეურნეობათა ცენტრისა და აზერბაიჯანის ცენტრალური კომიტეტის მიერ 100 პროცენტით იქნება შესრულებული და ზოგ ადგილას 150 პროცენტსაც კი გადავაჭარბებთ.

განჯის ოლქი გამოცხადებულია მთლიან კოლექტივიზაციის რაიონად და ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1930 წლის განმავლობაში ამ გეგმას შევასრულებთ. ჩვენ გადავსწყვიტეთ განკულაკების ჩატარება ყველგან ერთსა და იმავე დროს დავიწყოთო.

ამხ. ტაგიევი თან დასძენდა, რომ „ორკვირეულის გამოცხადებამ დაგვარწმუნა იმაში, რომ პარტიულები და კომკავშირელები ძალიან სუსტად მიდიან კოლექტივში"-ო.

მე მოვიყვან აქ კიდევ ერთ „აზერბაიჯანელ ამხანაგის განცხადებას, რომელიც მან პლენუმზე გააკეთა: „ღარიბები და საშუალო გლეხები მხარს აღარ უჭერენ სამღვდელოებას, კულაკობის ლიკვიდაციასთან ერთად ჩვენ უნდა მოვახდინოთ აგრეთვე სამღვდელოების ლიკვიდაცია"-ო.

პლენუმზე გამოვიდა აგრეთვე ამხ. ს. მამულია. სიმართლე მოითხოვს აღვნიშნო, რომ მისმა სიტყვამ ერთგვარი დისონანსი შეიტანა პლენუმის საერთო განწყობილებაში. ის უდგებოდა საკითხს აჭარისტანის სინამდვილის გათვალისწინებით და ამბობდა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია აჭარისტანს ისე მიუდგეთ, როგორც სხვა რაიონებსო. აქ საჭიროა განსაკუთრებული მიდგომაო. ჩვენ ვერ გადავალთ მთლიან კოლექტივიზაციაზე, ვერ შეუდგებით განკულაკების გატარებასო. მაგრამ საინტერესო იყო აგრეთვე ამხ. ტაბოლოვის გამოსვლა, რომელმაც გააკრიტიკა ამხ. მამულია და ის, ასეთი აზრისათვის, მემარჯვენეთა ჯგუფში მოათავსა. კიდევ უფრო საყურადღებო ის იყო, რომ მეორე უფრო პ.-მგ. ამხანაგმა, სახელდობრ ამხ. კრინიკიმ, თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა ამხ. ტაბოლოვი. ყველაფერი ეს დამახასიათებელი იყო ჩვენი მომავალი პრაქტიკისათვის.

## კოლექტივიზაციის კამპანია

საჭრო იყო ერთგვარი ნორმების დაცვა, კოლექტივიზაციის საქმეში ადმინისტრატიულ ზომებს ადგილი არ უნდა ჰქონოდა. დეკრეტების მეთოდებისათვის ჩვენ აქ არ უნდა მიგვემართა, თუმცა ცენტრ. კომიტეტის პლენუმის დადგენილება — ესა და ეს ოლქები გამოცხადდეს მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებად, თავისთავად უკვე დეკრეტიზაციას ნიშნავდა. იწყება ერთნაირი გათიშვა. დადგენილებები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ არ შეიძლება დეკრეტებით, ადმინისტრატიული ზომებით მოქმედება. ადგილობრივი ამხანაგები კი ამას ანგარიშს არ უწევენ. აი რა სურათი იყო კოლექტივიზაციის გატარების დროს. როგორც მოგახსენეთ, ცეკას დადგენილებები დავიწყებულ იქნენ. ამხანაგები არ იცნობდნენ ამ დადგენილებებს. ანდა თუ იცნობდნენ, ანგარიშს არ უწევდენ. კოლექტივიზაციის ჭატარებამ კამპანიური ხასიათი მიიღო. მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც ერთი კამპანია ჩვენს პარტიას არ ჩაუტარებია ისე მოუმზადებლად, ისე აუწონდაუწონლად, სხვადასხვა რაიონების თავისებურობასთან შეუფარდებლად. როგორც კოლექტივიზაციის „კამპანია" იქნა ჩატარებული.

ზოგიერთი ოლქები, როგორიცაა მაგალითად, გორი და კახეთი, მთლიან კოლექტივიზაციის გატარებას შეუდგენ თავისი ინიციატივით. გორის საოლქო კომიტეტს თითქმის ერთი თვით ადრე მიეღო დადგენილება, რომ 1-ლი იანვრი-

სათვის გატარებულიყო მთლიანი კოლექტივიზაცია გორის და ტირიფონის რაიონში, 15 იანვრისათვის ამას უნდა მომატებოდა ხაშურის რაიონი და 25 იანვრისათვის უნდა დასრულებულიყო ოლქის მთლიანი კოლექტივიზაცია. რასაკვირველია, ამისათვის გორის ოლქს არავითარი საბუთი არ ჰქონდა. არც ერთი დადგენილება, არც საკავშირო კომპარტიის და არც საქართველოს კომპარტიის დირექტივა ამის უფლებას მას არ აძლევდა.

იანვრის პლენუმის შემდეგ, როგორც იცით, სოფლებში იგზავნებოდნენ მუშათა და წითელარმიელთა ბრიგადები. გარდა ამისა, სოფლებზე, თემებზე და რაიონებზე მიმაგრებული იყვნენ პასუხისმგებელი ამხანაგები. ყველა ამათ თავისი დანიშნულება ისე გაიგეს, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა უნდა გადასულიყო მთლიან კოლექტივიზაციაზე სულ მოკლე ხნის, დაახლოებით ერთი კვირის, ან და დიდი დიდი ორი კვირის განმავლობაში. თუ მაგალითად, ერთ კრებაზე ვერ მოხერხდებოდა მთლიანი კოლექტივიზაციის გატარება, მეორე ამ მესამე დღეს მოიწვევდნენ კრებას და იქ უკვე უზრუნველყოფილი იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება. სრულიად ანგარიშს არ უწევდნენ ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობებს. შავ სიაში შეყავდათ არა მარტო კულაკები, არამედ საშუალო გლეხები და ღარიბებიც კი. აი, ასეთ პირობებში ხდებოდა კოლექტივიზაციის გატარება.

იანვრიდან თებერვლის ბოლომდე თვით კოლექტივების შინაურ საქმეზე ნაკლებად ფიქრობდენ. ხანდისხან დაინტერესდებოდენ, ვისი სახელი ეწოდებიათ კოლექტივისათვის, განსაკუთრებით კი აინტერესებდათ მხოლოდ ციფრები და პროცენტები. უნდა ითქვას, რომ ადგილი ჰქონდა ყოვლად დაუშვებელ უაზრო შეჯიბრებას. საჭირო იყო, რომ ერთ სოფელში მომხდარიყო მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა, მეორე სოფელი ეჯიბრებოდა მას. ამნაირად შელახულ იქნა თვით სოც. შეჯიბრების იდეა. ეჯიბრებოდა ოლქი — ოლქს, მაზრა — მაზრას, სოფელი — სოფელს.

ამავე დროს, ამხანაგებო, ადგილი ჰქონდა უხეშ მოქმედებას. განკულაკება ხდებოდა წინასწარ. სანამ საამისო პირობები შეიქნებოდა. განკულაკება შეეხო არა მარტო კულაკებს, არამედ საშუალო და თვით ღარიბ გლეხსაც კი. დღეს ჩვენ ბლომად გვაქვს იმის დამამტკიცებელი ფაქტები, რომ განკულაკებულთა დიდ ნაწილს საშუალო გლეხები შეადგენენ. ეს რასაკვირველია, მეტად ცუდ გავლენას ახდენდა კოლექტივიზაციის მსვლელობაზე.

განკულაკების დროს ასახლებდენ მთელ ოჯახს, რომელშიაც შედიოდნენ 80-90 წლის მოხუცებულები, ინვალიდები, ქალები, ბავშვები და ავადმყოფები. სად ასახლებდენ მათ, სად უნდა წასულიყვნენ ისინი კაცმა არ იცოდა.

ამხანაგებო, დაშვებულმა შეცდომებმა გამოიწვია ის, რომ საშუალო გლეხკაცობამ, რომელიც არ შეიძლებოდა არ ყოფილიყო კულაკობის წინააღმდეგი, ბევრგან თანაგრძნობა გამოუცხადა გადასახლებულ კულაკებს. ამნაირმა განკულაკებამ დააშინა გლეხკაცობა და ის შიშით შედიოდა კოლექტივებში; აქ კი ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ გლეხკაცობა აღტაცებით, ენტუზიაზმით შედის კოლმეურნეობაშიო. გარდა ამისა კულაკებისაგან ჩამორთმეულ ქონებას და საქონელს სრულიად ვერ უვლიდნენ. საქონელი ძვალტყავად იყო ქცეული. ცალკე შემ-

თხვეევაში ადგილი ჰქონდა გაფლანგვას. ამას დაერთო ის გარემოება, რომ კომუნა და არტელი ერთი-მეორეში აურიეს. გაერთიანება უნდა მომხდარიყო სასასამეურნეო არტელში. მაგრამ ნამდვილად კომუნაზე გადასვლა ხდებოდა. აერთიანებდნენ მამულებს, სახლებს, ეზოებს, კარმიდამოს, წერილფეხა საქონელს, ოჯახის მოწყობილობას, ლოგინებს, ჩურჩხელებს და სხვ. ამ მდგომარეობამ ხელი შეუწყო იმას, რომ აირდაირია ყველაფერი; ქონების მოვლაზე არაავინ ზრუნავდა, გაერთიანებულ ქონებას ხმარობდნენ თავის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. გლეხი ხედავდა ამ უყაირათობას, მაგრამ ვერაფერს ამბობდა, რადგან დაშინებული იყო.

იანვრიდან დაწყებული ვამჩნევდით, რომ გლეხობაში დიდი მისწრაფება იყო, შეიძლება ითქვას, რომ ადგილ-ადგილ დიდ აღფრთოვანებასაც იწვევდა კოლექტივიზაციაზე გადასვლა. მაგრამ, აშკარაა, რომ იმ უხეშმა ზომებმა, რომელსაც ჩვენმა ამხანაგებმა მიმართეს, იმ უხეშმა შეცდომებმა, რომელიც მათ დაუშვეს გამოიწვია ის, რომ გლეხკაცობამ უკან დაიხია, ზურგი შეაქცია კოლექტივებს. ამხანაგებო, შეგვეძლო თუ არა თავიდან აგვეცილებია გლეხების უკმაყოფილება? რა თქმა უნდა შეიძლებოდა, შეიძლებოდა, რომ ჩვენ დროზე მოგვეკიდა ხელი დაშვებულ შეცდომების გამოსწორებისათვის.

საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა ამის შესახებ ადგილებს მიმართა ორი ცირკულიარული წერილით, სადაც ნათქვამია, რომ ადგილ-ადგილ შეცდომებს აქვს ადგილიო. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა მაგრად არ მოჰკიდა ხელი ამ შეცდომების გამოსწორებას. თებერვალში უკვე იყო შემჩნეული, რომ გადახვევებს აქვს ადგილი, მაგრამ ამ გადახვევების მთელი სურათი ცენტრალური კომიტეტისათვის ნათელი არ იყო, მას არ ჰქონდა სწორი ცნობები ადგილობრივი ორგანიზაციებიდან. როგორც იცით, ცენტრალური კომიტეტი ეყრდნობა იმ ცნობებს, რომელსაც იძლევა რაიონული კომიტეტები, სამაზრო კომიტეტები, საოლქო კომიტეტები. ჩვენ ვეყრდნობოდით საოლქო კომიტეტების ცნობას, საოლქო კომიტეტები ეყრდნობოდენ რაიონულ კომიტეტის ცნობას, რაიონული კომიტეტები კიდევ უჯრედების ცნობას. აი ამ ცნობებს ეყრდნობოდა მთელი ჩვენი მოქმედება.

ამხანაგებო, დანაშაული მიუძღვის, რასაკვირველია როგორც ცენტრს, ისე ადგილებს, მაგრამ აქ არის განსხვავება, დიდი განსხვავება. სიმართლე რომ ვსთქვათ, განა ის დამახინჯება, ის უხეში მოქცევა, ის შეცდომები, გადახვევები, რაც ადგილებზე ხდებოდა, განა ყველაფერი ეს ცეკას დირექტივებს უნდა მიეწეროს? რასაკვირველია, არა. ეს აშკარად უნდა ითქვას. ადგილობრივი ამხანაგები ხედავდნენ ამას, მაგრამ საუბედუროდ, ანგარიშს არ უწევდენ. იმათ უნდოდათ შიშის ქვეშ გაეტარებინათ კოლექტივიზაცია. რასაკვირველია, ეს შეუძლებელი იყო.

გარდა ამისა, კოლექტივიზაციას ემატებოდა კიდევ სხვა კამპანიები, აგალითად, ანტირელიგიური კამპანია. მიდიოდენ ბრიგადერები, მიმაგრებულები ცენტრიდან გაგზავნილი ამხანაგები და თავის მხრით დამატებით ატარებდენ ანტირელიგიურ კამპანიას, ისიც ისეთ ჩამორჩენილ ადგილებში,ისეთ ფანატიზმით გაჟღენთილ კუთხეებში, რომ პირდაპირ წარმოუდგენელია, რასთვის დასჭირ-

დათ მათ ეს. ვისთვის იყო საჭირო, მაგალითად, ზარების ჩამოხსნა, მეჩეთების დახურვა? სრულებით არავისათვის. ეს მხოლოდ ართულებდა მდგომარეობას. ასეთი დირექტივები არავის მიერ არ ყოფილა მიცემული.

## კულაკების „ლიკვიდაცია“ ერთ დღეში

მე ვკითხულობ, ამხანაგებო, იყო თუ არა საკავშირო ცეკას 6 იანვრის დადგენილებაში კატეგორიული მითითება იმაზე, რომ საკოლმეურნეო მშენებლობაში არ ყოფილიყო დაშვებული დეკრეტების მეთოდი, იყო თუ არა ასეთივე დირექტივა საქართველოს კომუნისტური პარტიის იანვრის პლენუმის დადგენილებაში? — იყო. მიუხედავად ამისა, კოლექტივიზაცია ხდებოდა დაკვრითი წესით: ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათში უნდა მივიღოთ ამდენი პროცენტი, ბორჩა და გათავდა. სხვას არაფერს ანგარიშს არ უწევდნენ

ჟურნ. „ბოლშევიკ“-ის ამა წლის მეხუთე ნომერში მე წავიკითხე ამხ. სირაოვის წერილი. აი რას ამბობს იგი: „ამას წინად მე მომიხდა წამეკითხა მოსკოვის ოლქის ერთ-ერთ სასოფლო რაიონში მომუშავე ბრიგადირის წერილი. ეს წერილი, რომელიც თავისი სტილით საომარ მომზადებას მოგვაგონებს, შეიცავს მოკლე ცნობას იმის შესახებ,რომ ამ რაიონში რამდენიმე საათის განმავლობაში „ამა და ამ რიცხვს, ღამით მოხდა კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაცია და რომ უახლოეს დღეებში იგივე მოხდება სხვა რაიონებშიაც“. „ყირიმის რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მომუშავემ ამას წინად გადმომცა სუდაკის რაიონის ადგილობრივ მომუშავეთა ცნობა იმის შესახებ, რომ სულ მცირე დროის განმავლობაში „სალამოს 5 საათიდან დილის 7 საათამდე კულაკობა, როგორც კლასი, მოსპობილ იქნა“. რასაკვირველია, ასეთებს ჩვენშიაც ჰქონდა ადგილი, თუგინდ ბორჩალოს რაიონის სოფ. სარვანში.

მდგომარეობა გამწვავდა, მაგრამ, მიუხედავათ იმისა, რომ ანტიკოლექტიურ და კულაკურ გამოსვლებს უკვე ჰქონდა ადგილი, ჩვენ ამას ვერ ვხედავდით. აფხაზეთში, კახეთში და ზოგიერთ სხვა რაიონებში ადგილი ჰქონდა ქალთა გამოსვლებს. ჩვენ ამას ვერ აუვლით გვერდს; ეს ჩვენ კარგად უნდა დავიხსომოთ და გავაძლიეროთ მუშაობა ქალთა შორის, რათა ისინი ჩვენი გავლენის ქვეშ დავაყენოთ.

კულაკები აყენებდნენ ისეთ მოთხოვნილებებს, რომლებიც სცილდებოდნენ კოლექტივიზაციის ფარგალს და ანტისაბჭოთა ხასიათს ღებულობდნენ. ისინი მოითხოვდენ კომკავშირელების და კომუნისტების გაძევებას სოფლებიდან, თავისუფალ ვაჭრობას და სხვა. სწორედ ამ დროს ქვეყნდება ამხ. სტალინის წერილი „თავბრუდახვევა წარმატებისაგან“. — ეს იყო მარტის პირველ რიცხვებში. რა მოხდა ამის შემდეგ? უნდა მოგახსენოთ, რომ სტალინის წერილმა უდიდესი როლი ითამაშა იმ გაუგებრობის გასაფანტავად, რომელიც მაშინ სოფლად იყო შექმნილი. ამ წერილმა უკმაყოფილებას ნორმალური მსვლელობა მისცა და ნორმალურ კალაპოტში ჩააყენა, ეს რომ არ ყოფილიყო, შეიძლება უკმაყოფილებას ბევრად უარესი ფორმა მიეღო. სტალინის წერილმა სწორედ მეხის ამოცანი აპარატის როლი ითამაშა.

აშკარად და გულახდილად უნდა განვაცხადო აქ, რომ დიდი ნაწილი ადგილობრივი მოღუშავეებისა. რომელნიც კოლექტივიზაციას ატარებდენ, უკმაყოფილო დარჩენ სტალინის წერილის გამოქვეყნებით. იყო შემთხვევები, როცა ეს წერილი დამალეს და არ უნდოდათ გამოეჩინათ. აი, სწორედ ამ გარემოებით ისარგებლეს კულაკებმა. მათ უფრო კარგად გამოიყენეს ამხ. სტალინის წერილი, ვინემ ჩვენმა ამხანაგებმა. მორთეს ყიჟინა, რომ სტალინი თავის წერილში კოლექტივიზაციის წინააღმდეგ მიდისო. ამან, რასაკვირველია, ხელი შეუწყო გლეხობის მასიურ გასვლას კოლექტივებიდან.

ყველაფერი ამის მიზეზი იყო ძალდატანება, ზევიდან მბრძანებლობა, ადმინისტრატიული ზეგავლენით კოლექტივების შექმნა, მე მგონია ზედმეტი არ იქნება მოვიყვანო ამხ. ლენინის აზრი გლეხობაზე მბრძანებლობის შესახებ, აი რას ამბობს იგი:

„იმაზე მეტი სირეგვენე არაფერია, როგორიცაა თუნდ მარტო ფიქრი საშუალო გლეხის სამეურნეო ურთიერთობაში ძალდატანების ხმარების შესახებ. აქ ამოცანა საშუალო გლეხის ექსპროპრიაცია როდია, არამედ ის, რომ გავითვალისწინოთ გლეხის ცხოვრების განსაკუთრებული პირობები. რომ ვისწავლოთ გლეხისაგან უკეთეს წყობილებაზე გადასვლის საშუალებანი და არ გავბედოთ რაიმე მბრძანებლობა“ (ლენინი ტ. 16, გვ. 151).

საჭირო არის ყოველთვის ახსოვდეს ამხანაგებს ჩვენი ბელადის სიტყვები, რომ ყოვლად შეუძლებელია ძალდატანებით კოლექტივიზაციის შექმნა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი პარტია და ხელისუფლება არავითარ გავლენას არ უნდა ახდენდენ გლეხობაზე. მემარჯვენეები სწორედ იმას ამბობენ, ოომ კოლექტივიზაცია თვითდენილ, თავისთავად მოხდებაო. ეს სისულელეა, თავისთავად არაფერი არ ხდება. ყოველივე ჩვენი ღონისძიება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან იქითკენ არის მიმართული, რომ სოფლის დაქუცმაცებული მეურნეობები გავაერთიანოთ კოლექტივებში. მაგრამ სხვა საქმეა ეკონომიური ღონისძიებებით ხელის შეწყობა და სულ სხვაა ადმინისტრატიული ზეგავლენა...

ამხანაგებო გლეხობის კოლექტივებიდან გასვლით საქმე არ გათავებულა. შეიქმნა ახალი სიძნელენი. კოლექტივიდან გამოსვლის შემდეგ გლეხმა ბუნებრივად მოინდომა თავისი ქონების უკან დაბრუნება. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ახალი უკმაყოფილება. არავინ არ იცოდა და არავითარი დოკუმენტი არ იყო იმის შესახებ, თუ ვინ რა შეიტანა კოლექტივში. შემდეგ გამოირკვა, რომ ბევრი რამ არის გაფლანგული, საქონელი ზოგი დახოცილა და ზოგიც გაუყიდნიათ. ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია დიდ უკმაყოფილებას იწვევდა და იწვევს. ამ უკმაყოფილების მოსასპობად ადგილობრივი ხელისუფლება ღებულობდა ღონისძიებებს, იყო გამოყოფილი კომისიები, თუმცა მათი მუშაობა ძალიან ძნელდებოდა. უფრო ძნელი შეიქნა გლეხობისათვის იმ მიწების დაბრუნება, რომელთაც ისინი წინად ამუშავებდნენ. ეს დრო იყო ხვნა-თესვის ხანა და მიწათმოწყობას ვერ შეუდგებოდით, ამიტომ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება შემოდგომისათვის გადაედო კოლექტივების მიწათმოწყობა. ზოგიერთ ამხანაგებს ეეკას ეს ღონისძიება არ მოსწონთ და ამბობდენ, ეხლავე უნდა გვეწარმოებია მიწათმოწყობაო. მაგრამ ისინი ამ შემთხვევაში ივიწყებენ იმას,

რომ თუ მაშინ მიწათმოწყობას შეუდგებოდით, თესვის კამპანია ჩაიშლებოდა.

ჩვენში დღეს მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონები აღარ არის გარდა ოზურგეთის მაზრისა. ცენტრალური კომიტეტი იძულებული შეიქნა გადაესინჯა თავისი დადგენილება კოლექტივიზაციის შესახებ, უკანასკნელად გამოირკვა, რომ მოსახლეობის 50 პროც-ზე ბევრად ნაკლებია გაერთიანებული კოლექტივებში, მაშასადამე, აღარ შეიძლებოდა რომელიმე რაიონი მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონად ჩაგვეთვალა. აქ, ამხანაგებო, იბადება მეორე საკითხი, — საკითხი იმის შესახებ. თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით განკულაკებული ხალხის მიმართ: უკანვე უნდა დაგვებრუნებია მათთვის ქონება, თუ არა. მთელი ჩამორთმეული ქონების დაბრუნება, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა და ამიტომ გადავწყვიტეთ განკულაკებულთათვის საცხოვრებლის მინიმუმი დაგვებრუნებია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ადგილებში კიდევ არის ჯიუტობა, არ უნდათ ცხოვრებაში გაატარონ ის, რაც ჩვენ დავადგინეთ. აქ ერთმა ამხანაგმა სთქვა, რომ გორის ოლქში არ ასრულებენ დადგენილებას წითელარმიელთა განკულაკებული ოჯახისათვის ქონების დაბრუნების შესახებო. მე არ ვიცი თვით ის ოჯახები, რომლების შესახებ ეს ამხანაგი ლაპარაკობდა კულაკური ოჯახებია, თუ არა, მაგრამ არსებითად წითელარმიელების და ყოფ. წითელ პარტიზანების ოჯახები არ უნდა განკულაკდეს.

## კოლმეურნეობათა მდგომარეობა ამჟამად

ახლა მე შევეხები იმას, თუ რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენში კოლექტივიზაციის საქმე, როგორ იხატება ციფრებში კოლმეურნეობათა დღევანდელი მდგომარეობა. იმასთან შედარებით, რაც პირველ მარტს გვქონდა. პირველ მარტს ჩვენ საქართველოში გვქონდა 2.894 კოლექტივი, 10 მაისისათვის ეს ციფრი 2.094-მდე შემცირდა. კოლექტივებში 1 მარტისათვის გაერთიანებული იყო 295.131 გლეხური მეურნეობა, ანუ მთელი მათი რაოდენობის 65,25 პროც.. 10 მაისისათვის — 103.990 მეურნეობა, რაც მთელი მოსახლეობის 23 პროც-ს შეადგენს. 1 მარტისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო მიწის ფართობის 59.8 პროც., 10 მაისისათვის 17.1 პროც. თუ ავიღებთ ცალკე მაზრებს, ოლქებს და ავტონომიურ რესპუბლიკებს შემდეგ სურათს მივიღებთ (იხ. ცხ. 256 გვ.).

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ყველა ოლქ-მაზრებიდან მხოლოდ ოზურგეთის მაზრამ შეინარჩუნა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შედარებით დიდი პროცენტი, სახელდობრ: ამა წლის 1 მარტს ეს პროცენტი უდრიდა 61-ს. 10 მაისს კი — 54 პროც.: აქ უნდა შევნიშნოთ, რომ კოლმეურნეობათა უკანასკნელი აღწერით კოლექტივიზაციის პროცენტი ოზურგეთის მაზრაში უდრის 62,5 პროც., რაც უფრო შეეფერება სინამდვილეს. ოზურგეთის მაზრის პასუხისმგებელ მუშაკთა გამოანგარიშებით კი, კოლექტივიზაციის დღევანდელი მდგომარეობა გურიაში ასეთ სურათს იძლევა: ერთ კომუნაში, 20 არტელში და 121 მიწის საერთოდ დამმუშავებელ ამხანაგობაში სულ გაერთიანებულია 14.088 მეურნეობა, რაც ოზურგეთის მაზრის მოსახლეობის 63 პრ. შეადგენს. ყველა დანარჩენ ოლქებსა და მაზრებში, აფხაზეთისა და აჭარისტანის გარდა,

| რაიონი | კოლმეურნეობათა რიცხვი | | მათში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი | | მიწის ფართობი ჰექტარებში | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1930 წ. 1 მარტი | 1930 წ. 10 მაისი | 1930 წ. 1 მარტი | 1930 წ. 10 მაისი | 1930 წ. 1 მარტი | 1930 წ. 10 მაისი |
| 1. კახეთის ოლქი | 260 | 145 | 51.236 | 6.246 | 171.000 | 16.683 |
| %%-ში | | | 86,0 | 10.5 | 84,0 | 8,3 |
| 2. ტფილისის ოლქი | 400 | 258 | 37.106 | 9.481 | 120.900 | 28.254 |
| %%-ში | | | 59,2 | 15,1 | 42,7 | 10,1 |
| 3. გორის ოლქი | 459 | 215 | 82.337 | 12.553 | 110.250 | 38.622 |
| %%-ში | | | 82,0 | 31,9 | 81.0 | 28,5 |
| 4. ახალციხის მაზრა | 55 | 9 | 2.374 | 297 | 7.300 | 899 |
| %%-ში | | | 25,0 | 2,2 | 15,8 | 1,94 |
| 5. ახალქალაქის მაზრა | 57 | 35 | 5.217 | 1.279 | 21.200 | 4.161 |
| %%-ში | | | 34,0 | 8,4 | 25,0 | 5,0 |
| 6. სამხრეთ-ოსეთი | 167 | 194 | 13.251 | 6 572 | 19.309 | 14.032 |
| %%-ში | | | 90.8 | 45,0 | 75,7 | 54,8 |
| 7. აფხაზეთი | 235 | 248 | 7.810 | 7.712 | 14.175 | 14.232 |
| %%-ში | | | 22,5 | 22,2 | 17,4 | 17,5 |
| 8. აჭარისტანი | | 86 | 1.486 | 1.863 | 1.092 | 1.396 |
| %%-ში | | | 11,2 | 14,1 | 5,0 | 7.3 |
| 9. ქუთაისის ოლქი | 500 | 308 | 101.167 | 29.537 | 167.945 | 46.578 |
| %%-ში | | | 86.0 | 25,3 | 81,0 | 23,3 |
| 10. ზუგდიდის მაზრა | 124 | 165 | 8.683 | 4.336 | 18.910 | 8.961 |
| %%-ში | | | 30,0 | 15,0 | 26,3 | 12,7 |
| 11. ოზურგეთის მარა | 320 | 142 | 16.020 | 4.088 | 12.600 | 22.953 |
| %%-ში | | | 61,0 | 54.2 | 45.0 | 45,9 |
| 12. სენაკის მაზრა | 282 | 289 | 17.443 | 10.029 | 31.350 | 18.093 |
| %%-ში | | | 63,0 | 36,2 | 55,0 | 31,6 |
| ჯამი | 2.834 | 2.984 | 295.131 | 103.990 | 705.091 | 215.824 |
| %%-ში | | | 65,25 | 23,0 | 59,8 | 17,1 |

ხულ მცირე ხნის განმავლობაში მეტად მკვეთრად შემცირდა კოლექტივიზაციის ხვედრითი წონა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ამ მხრივ კახეთის ოლქი. შემდეგ ქუთაისის და გორის ოლქები. ხოლო მაზრებიდან ახალციხე, ახალქალაქი. საყურადღებოა, რომ აჭარისტანსა და აფხაზეთში *) ამ საერთო რყევისა და ქანაობის პერიოდში კოლექტივიზაციის პროცენტი თითქმის ერთ და იმავე დონეზე დარჩა, აჭარისტანში კიდევაც იგი გაიზარდა. ეს მეტად საგულისხმო ფაქტია: იქ, სადაც ყველაზე უფრო მეტ საფრთხეს მოველოდით, კოლექტივიზაცია გაცილებით უფრო ნორმალურად მიმდინარეობდა, ვინემ იქ, სადაც სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა თითქოს უზრუნველყოფილი იყო.

ეხლა მოვიყვანოთ ცნობები იმის შესახებ, თუ როგორია კოლმეურნეობის სხვადასხვა სახეების ხვედრითი წონა:

**კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობაში შეადგენენ**

| | კომუნები | არტელები | მიწის საზ. დამ. ამხანაგობები |
|---|---|---|---|
| ტფილისის ოლქი . . . | 2,5% | 95,3% | 2,2% |
| სამხრეთ-ოსეთი . . . . . | 2,8% | 53,2% | 44% |
| სენაკის მაზრა . . . . . | 1,4% | 78,5% | 20,1% |
| ოზურგეთის მაზრა . . . . . | 1,0% | 62,2% | 36,8% |
| აჭარისტანი . . | — | 2,1% | 96,9% |

დანარჩენ ოლქებისა და მაზრების შესახებ სრული ცნობები არ მოგვეპოვება.

როგორც ცხრილიდან სჩანს, კომუნების რიცხვი ჩვენში ძალიან მცირეა, კოლექტივების უდიდეს ნაწილს არტელები და საზოგადო წესით მიწის დამმუშავებელი ამხანაგობები შეადგენენ. ზოგ ადგილას სჭარბობს მიწის საერთო დამმუშავებელ ამხანაგობათა რიცხვი, რომ ავიღოთ მაგ., აფხაზეთი, იქ ასეთი ამხანაგობების პროცენტი 67,8 პროც. უდრის, ასევე არის აჭარისტანში და ახალქალაქის მაზრაშიც. სამხრეთ-ოსეთში ასეთი ამხანაგობები შეადგენენ 44 პროცენტს, ოზურგეთის მაზრაში — 36,8 პროცენტს. ცხადია, ეს ციფრები პიროვნით უნდა მივიღოთ, რადგან არ უნდა დავივიწყოთ, რომ უკანასკნელ ხანებშიაც გრძელდება კოლექტივებიდან გასვლა, თუმცა რასაკვირველია, მას ისეთი მასიური ხასიათი აღარ აქვს, როგორც პირველ ხანებში ჰქონდა. ამჟამად ყველაზე უფრო ხშირია კოლექტივიდან გასვლის შემთხვევები გორის ოლქში.

სხვათა შორის მე მაქვს კოლმეურნეობათა ცენტრის უკანასკნელი გამოკვლევის სტატისტიკური ცნობები, რომლიდანაც სჩანს, რომ კოლმეურნეობათა

*) აფხაზეთში 1929 წლ. 1 აპრილისათვის კოლმეურნეობებში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვი უდრიდა 1 პროც; 1930 წლის 1 დეკემბრისათვის — 3 პროც.

პროცენტი ზემოდმოყვანილზე ნაკლები არის. გამოკვლევა ჩატარდა დაახლოებით იმავე პერიოდში, რომელსაც შეეხებოდა ზემოთ მოყვანილი ცნობები. კოლექტივებში გაერთიანებულ მეურნეობათა რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოში უდრის 15,3 პროცენტს, ხოლო დასავლეთ საქართველოში — 26,1 პროცენტს. ეს გამოკვლევა იძლევა აგრეთვე საინტერესო მასალას წევრთა სოციალური შემადგენლობის შესახებ. მოჯამაგირეები, გამოკვლევის მიხედვით, კოლექტივებში შეადგენენ 2,1 პროცენტს, ღარიბები 59,1 პროცენტს, საშუალო გლეხები 32,5 პროცენტს, მუშები — 1,6 პროცენტს, მოსამსახურეები — 3,7 პროცენტს. პარტიულობის მხრივ ასეთი სურათი გვაქვს: პარტიულები შეადგენენ 4,5 პროცენტს და კომკავშირელები — 10,3 პროცენტს. ეს ცნობები ჯერ არ არის საკმაოდ დამუშავებული და ეფიქრობ, როდესაც საბოლოოდ დამუშავდება, მეტად საინტერესო მასალას მოგვცემს.

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐ

მე მინდა ეხლა შევჩერდე იმაზე, თუ როგორი სულისკვეთებაა დღეს ჩვენს კოლექტივებში. ამის შესახებ მასალას იძლევიან ამას წინად ჩატარებული გამოკვლევები. დაახლოებით მაისის პირველ ნახევარში საქ. კოლმეურნეობათა ცენტრმა საქართველოს სხვადასხვა ოლქებში და რაიონებში გამოიკვლია 15-დე კოლექტივი. ასეთივე გამოკვლევა მოახდინა მეორე დაწესებულებამ — ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტმა, რომელიც ა/კ საგეგმო კომისიასთან არსებობს. ინსტიტუტმა მხოლოდ ერთი რაიონი გამოიკვლია — სტალინისის რაიონი გორის ოლქში. ორივე გამოკვლევა იძლევა მეტად საინტერესო ცნობებს ჩვენი კოლმეურნეობის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

მე შეეეცდები მოკლეთ გადმოგცეთ, თუ რა ხდება კოლმეურნეობებში ახალ წესდებაზე გადაყვანის მხრით, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მხრით კოლმეურნეობებში მდგომარეობა არ არის მაინცდამაინც სახარბიელო. ბევრ ადგილას კოლექტივები ახალ წესდებაზე არ არიან გადაყვანილი, ანდა თუ არიან, ეს წესდება სისრულეში არ მოყავთ. გლეხებს კოლექტივიდან გასვლისას ყველაფერი გააქვთ. ეს არის წესდების დარღვევა. ხშირია შემთხვევა, როდესაც კოლმეურნეობების ხელმძღვანელნი გაურბიან წესდების ზოგიერთი საკითხების ნათლად გარკვევას წევრებისათვის, იმ მოსაზრებით, რომ გაუგებრობა შეიქმნება და წევრები კოლმეურნეობებიდან გავლენო. როგორც ზევით ვთქვით, ზოგან კოლმეურნეობები გადაყავთ წესდებაზე, მაგრამ მას ცხოვრებაში არ ატარებენ. ავიღოთ კახეთის ოლქის სოფ. კარდანახის არტელი „წითელი მარანი“. აქ ქონების ნაწილის განუყოფელ ფონდში გადარიცხვა არ მომხდარა. არტელიდან გასულ წევრებს წესდებაზე გადასვლის შემდეგაც მთლიანად უბრუნდებათ მათ მიერ შეტანილი ქონება. ასევე ხდება ლანჩხუთის (ოზურგეთის მაზრა) არტელშიაც. ადგილობრივი ხელმძღვანელი მუშაკები არტელიდან გარიცხულ წევრებზე განუყოფელ ფონდის დატოვების წესს არ ავრცელებენ.

შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში ცუდათ არის დაყენებული. კოლმეურნეობებში სამუშაოები ყველგან არაა დაყოფილი თანრიგებზე, არაა დაწე-

„შრომას“ წევრებად ირიცხება 18 ღარიბი, 10 საშუალო, 2 მოჯამაგირე, 2 მოსამსახურე, გამგეობაში კი არჩეულია 1 ღარიბი, 2 საშუალო გლეხი, არც ერთი მოჯამაგირე და არც ერთი ქალი. სენაკის მაზრის სამ კოლმეურნეობაში გამგეობის 13 წევრიდან ღარიბია 11, საშუალო 2. კოლმეურნეობაში კი 339 კომლიდან — 101 საშუალო გლეხია. სოფ. ნალებსოფს არტელის გამგეობაში არჩეულია 3 წევრი, სამივე მოსამსახურე. ასევე არის სხვა კოლმეურნეობებშიაც.

## გათანაბრების ტენდენციების წინააღმდეგ

ამხანაგებო, თქვენ კარგად იცით, რომ კოლმეურნეობებში დღეს ერთგვარ უკმაყოფილებას აქვს ადგილი ღარიბსა და საშუალო გლეხებს შორის: ამის შესახებ აი რას ამბობს ზევით დასახელებული გამოკვლევა: „კოლმეურნეობებს შიგნით ადგილი აქვს წინააღმდეგობას ღარიბსა და საშუალო გლეხებს შორის ქონებრივი უთანასწორობის ნიადაგზე. შესასვლელ გამოსაღებს და განუყოფელ ფონდების ანარიცხებს საშუალო და ღარიბ გლეხებისათვის გამგეობები თანაბარს აწესებენ იმ მიზნით, რომ შეანელონ ის დაპირისპირება, რასაც მათ შორის აქვს ადგილი. შემჩნეულია მოჯამაგირეებისა და ღარიბ გლეხობის მისწრაფება, რომ საშუალო გლეხმა მთლიანად გააერთიანოს თავისი მეურნეობა. ისინი ხშირად გამოდიან იმის წინააღმდეგ, რომ საშუალო გლეხს ნაწილი ბაღ-ვენახისა კერძოთ დაურჩეს“.

სტალინისის რაიონში (სოფ. ხაშური) კოლექტივიზაციისათვის შედარებით უფრო კარგი პირობები იყო. ამ რაიონშიაც ჰქონდა ადგილი უხეშობას და შეცდომებს. გორის ოლქის კომიტეტი და აგრეთვე რაიონული კომიტეტიც თავის დროზე ღებულობდენ ზომებს შეცდომების გამოსასწორებლად, მაგრამ ადგილობრივ უჯრედებზე მიმაგრებული ამხანაგები იმათ დირექტივებს არ ასრულებდნენ. არის ცნობები იმის შესახებ, რომ 82 კოლმეურნეობიდან ამ რაიონში არც ერთს არ აქვს საწარმოო გეგმა. რასაკვირველია, ეს აიხსნება არა იმ არევ-დარევით, რომელსაც ადგილი ჰქონდა კოლმეურნეობებიდან მასიურად გასვლის დროს. წინად შედგენილი გეგმა გადაჯგუფების შემდეგ აღარ გამოდგა. უნდა შეედგინათ ახალი გეგმა.

მე განსაკუთრებით ხაზს უსვამ იმ უკმაყოფილებას, რომელიც არსებობს ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის. საშუალო გლეხები მიდიან კოლმეურნეობებიდან იმისათვის, რომ ღარიბი გლეხები მოითხოვენ ყველაფრის გაერთიანებას და განსაზოგადოებას.

უნდა მოგახსენოთ. რომ ცენტრალურმა კომიტეტმა დაახლოვებით 3 — 4 კვირის წინად მისცა წინადადება ოლქისა და მაზრის კომიტეტის მდივნებს, წარმოედგინათ მოხსენება თავის რაიონებში კოლექტივების მდგომარეობის შესახებ. არსებითად შეასრულა ეს დავალება მხოლოდ ოთხმა რაიონმა, სახელდობრ: სამხრეთ-ოსეთმა, ზუგდიდმა, სენაკმა და ოზურგეთმა. უნდა აღვნიშნო, რომ სამხრეთ-ოსეთის და სენაკის მოხსენება არ იძლევა ანალიზს, არ იძლევა ცნობებს იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს. იქ ნათქვამია, რომ ამდენი და ამდენი არის გაერთიანებულიო, მაგრამ არაა ნაჩვენები, თუ რა

ხებული ამ მუშაობის ნორმები, მუშა-ხელის განაწილება არ სწარმოებს წევრთა უნარიანობის მიხედვით. ზოგჯერ მძიმე სამუშაოზე ახალგაზრდებთან ერთად მოხუცებიც მუშაობენ, ქალებისა და მოზარდთა შრომა არაა გამოყენებული. ზოგან შემოღებულია დღიური მუშაობის წესი, რომლის დროსაც მხედველობაში არ ღებულობენ მომუშავის კვალიფიკაციას; შრომის ინტენსიობას, დახარჯული დროის რაოდენობას.

ზოგიერთ კოლმეურნეობებში დაუშვებელი რამ ხდება. მაგალითად, კახეთში. კარდანახის კოლმეურნეობას „წითელ მარანს" გასულ წელს დარჩა წმინდა მოგება 2.000 მანეთი. რომელიც ძირითად თანხაში უნდა ჩაერიცხა, მაგრამ მან ეს თანხა გაანაწილა ბავშებზე: 7 წლამდე ასაკის ბავშებს მიუღია თვითეულს — 70 მან.. 7 — 12 წ. — 120 მან., 12 — 16 წ-დე — 160 მან. ეს განაწილება იმ მოსაზრებით კი არ იყო გამოწვეული, რომ ბავშები უზრუნველეყოთ, არამედ იმით, რომ სოფელი გადადიოდა მთლიან კოლექტივიზაციაზე და „ახალი წევრები რატომ უნდა გამხდარიყვენ ჩვენი ნაშრომის მონაწილეო".

შევეხები მამაკაცის და ქალის შრომას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთნაირად მუშაობენ, ერთი და იმავე სამუშაოს ასრულებენ, მათ ხელფასში მაინც დიდი განსხვავებაა. ქალს 50 პროცენტით ნაკლებს აძლევენ, ვიდრე მამაკაცს. მაგალითად, კარდანახის კოლმეურნეობა „წითელი მარანში" მამაკაცებისათვის დღიური ქირა განსაზღვრულია 8 მან., ქალებისათვის 4 მან. სოფ. ოსიაურის (გორის ოლქი) არტელში ქალები მამაკაცებთან შედარებით მუშაობენ განურჩევლად, გასამრჯელოს კი 50 პროცენტით ნაკლებს ღებულობენ. ამით ისინი ძალიან უკმაყოფილო არიან.

ეხლა გადავიდეთ სესხის საკითხზე, კოლმეურნეობები განიცდიან გაჭირვებას თანხების უქონლობით. განსაკუთრებით მწვავედ სდგას მუშა-საქონლის შესაძენი და საერთო ბინებისა და მოსავლის ბეღლების ასაგებ სესხის მიღების საკითხი.

## კოლმეურნეობათა მმართველი ორგანოები

შევეხები გამგეობის შემადგენლობას. კოლმეურნეობის დაარსების დროს გამგეობის შერჩევას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ამ საქმეში ხშირად ადგილი აქვს გადახრებს: ბევრგან საშუალო გლეხი საკმაოდ არაა ჩაბმული გეშგეობის მუშაობაში, ზოგ ადგილას კი პირიქით, გამგეობაში მარტო საშუალო გლეხებს ირჩევენ.

მართვა-გამგეობის ორგანოებში ნაკლებად არიან აგრეთვე წარმოდგენილი მოჯამაგირეები და ქალები. ზოგ შემთხვევაში მმართველ ორგანოებში სჭარბობენ მოსამსახურეები, აგრეთვე ადგილი აქვს მხოლოდ პარტიული ამხანაგების არჩევას. მოვიყვანოთ მაგალითები: ლანჩხუთის კოლმეურნეობის გამგეობაში არჩეულია 9 წევრი. აქედან პარტიული — 7, კომკავშირელი — 1 და უპარტიო — 1. 9 წევრიდან 5 ლარიბია, 4 მოსამსახურე, საშუალო გლეხი კი არც ერთი. სოფ. ნაგომარის კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიაში არჩეულია სამი წევრი, ყველა მოსამსახურე და არც ერთი გლეხი. ლაგოდეხის რაიონში არტელ

მდგომარეობაა თვით კოლმეურნეობებში. მხოლოდ ოზურგეთის და, განსაკუთრებით, ზუგდიდის მაზრის მოხსენება აღნიშნავს იმას, რა მოხდა და რა ხდება დღეს საკოლმეურნეო მოძრაობაში. მოხსენებაში მოყვანილია მოსაზრებები იმის შესახებ, თუ რა ზომებია საჭირო, რომ ეს მდგომარეობა განმტკიცდეს. რაც შეეხება ოზურგეთის მაზრას, ეს რაიონი დღეს თითქმის მთლიან კოლექტივიზაციის რაიონია. ამ მხრით ოზურგეთის მაზრა ეკონომიურად ყველაზე მეტად შეიცვალა. ამ საქმეში ჩვენ უსათუოდ ხელი შეგვიწყო ჩაის კულტურამ.

## მოარიგი ამოცანები საკოლმეურნეო მშენებლობაში

ეხლა გადავიდეთ კულაკების. როგორც კლასის, მოსპობის საკითხზე, თუ როგორ ტარდებოდა ეს მუშაობა ჩვენში, თქვენ ეს კარგათ იცით, მაგრამ ამ ამოცანის წინაშე ჩვენ დღესაც ვდგევართ. ამხანაგებო, ამ საკითხის შესახებ მე აქ მოვიყვან ამხ. სირცოვის აზრს:

„ისტორიამ არ იცის ისეთი შემთხვევა, რომ კულაკობის აჯანყებას რაიმე წარმატება მოეპოვებია, თუ ამ აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია ღარიბ და საშუალო გლეხობის ამა თუ იმ ჯგუფებს. ღ ა რ ი ბ ი  დ ა  ს ა შ უ ა ლ ო  გ ლ ე ხ ე ბ ი ს  ც ა ლ კ ე  ფ ე ნ ებ ს  შ ე უ ძ ლ ი ა თ  ა ყ ვ ნ ე ნ  ა ვ ა ნ ტ ი უ რ ა ს  მ ხ ო ლ ო დ  ჩ ვ ე ნ ი  გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ  უ ხ ე შ ი  შ ე ც დ ო მ ე ბ ი ს  გ ა ვ ლ ე ნ ი თ.  ჩვენ არ უნდა მივაფუჩეჩოთ კულაკური საფრთხე, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, თუ რაში  მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ს  ი გ ი  რ ე ა ლ უ რ ა დ.  თ ა ვ ი  დ ა  თ ა ვ ი  ა ხ ლ ა  ი ს  ა რ ი ს,  რ ო მ  ა რ  მ ი ვ ს ც ე თ  ს ა შ უ ა ლ ე ბ ა  კ უ ლ ა კ ო ბ ა ს  ი ზ ო ლ ი ა ც ი ი ს  მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი დ ა ნ  გ ა მ ო ვ ი დ ე ს. საჭიროა თავგანწირული მუშაობა ღარიბთა ორგანიზაციისათვის, კერძო, ღარიბთა ჯგუფების შექმნისათვის და საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცებისათვის. ამ საორგანიზაციო-მასიურ მუშაობას. მის გაქანებას ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის შექმნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პრაქტიკაში ამას ხშირად ივიწყებენ და ფიქრობენ, რომ კულაკურ მეურნეობათა ლიკვიდაცია შეიძლება „განხორციელდეს ზევიდან — ბიუროკრატიული მეთოდებით“.

ამხანაგებო, ეს უნდა ვიცოდეთ თავიდან, რომ ასეთი მეთოდებით კულაკების მოსპობა ჩვენ კიდევ მდგომარეობის გართულების წინაშე დაგვაყენებს. კულაკების. როგორც კლასის, ლიკვიდაცია მოითხოვს დიდ მოსამზადებელ მუშაობას. საჭიროა შექმნა ღარიბთა ჯგუფების. მოჯამაგირეთა ჯგუფების და გარდა ამისა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა შორის მუშაობას. ამ მხრივ ჩვენ გვაქვს მწარე გამოცდილება: გასულ კამპანიაში გლეხი-ქალის აქტივობა მიმართულ „იქნა არა კოლექტივიზაციის სასარგებლოდ, არამედ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ.

ეხლა ბრიგადების შესახებ: მუშათა ბრიგადებმა ჩვენ დიდი სამსახური გაგვიწიეს, ამას ვერავინ ვერ უარყოფს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მუშათა ბრიგადებში ზოგჯერ მოხვდნენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც არ უნდა გაგზავ-

ნილიყვნენ სოფლად კოლექტივიზაციის ჩასატარებლად; მათ ბევრი რამ ისეთი ჩაიდინეს, რაც დაუშვებელი იყო. ჩვენ არ ვაქცევდით ყურადღებას, არ ვარჩევდით, თუ ვის ვგზავნიდით სოფლად სამუშაოდ. ვგზავნიდით ისეთ ამხანაგებს, რომლებიც არ იყვნენ გაცნობილი პარტიის დირექტივებს, არ იყვნენ გაცნობილი კოლექტივიზაციის საკითხებს, არ იცნობდენ სოფელს, გლეხს. თუ რას ჩადიოდნენ ადგილებზე ბრიგადები, ამას ყურადღებას არ ვაქცევდით. ცენტრიდან ვაგზავნილ მომუშავეებს ადგილობრივი ამხანაგები მოწიწებით უყურებდნენ, როგორც ცენტრის წარმომადგენლებს, მათ რჩევა-დარიგებას ყურს უგდებდნენ და რჩევას ხმა ამოუღებლივ ასრულებდნენ. ბევრი ადგილობრივი მუშაკი ამჩნევდა. რომ ზოგჯერ ბრიგადირები ცდებოდნენ, მაგრამ მათ წინააღმდეგ გამოსვლა უხერხულად მიაჩნდა. მომავალში ამას ყურადღება უნდა მიექცეს, ასე ზერელეთ არ უნდა მოვექცეთ სოფელში გასაგზავნ ამხანაგების შერჩევას.

## ყურადღება სოფლის კომუნისტებს

მე ახლა ვაყენებ საკითხს სოფლის კომუნისტების შესახებ. სოფლად ორგვარ გადახრას ჰქონდა ადგილი: ერთის მხრივ „მემარცხენე" გადახრას და მეორეს მხრივ მემარჯვენეს. ორივე ეს გადახრა უკიდურესობამდე მიდიოდა. უკიდურეს ხასიათს ღებულობდა. სოფლის მემარჯვენე კომუნისტი კულაკობის მფარველი იყო და კოლექტივიზაციის წინააღმდეგ ილაშქრებდა, „მემარცხენეები" კი ფართოდ მიმართავდენ ადმინისტრატიულ ზომებს, იყენებდენ იარაღს, მათრახს და სხვ. კოლექტივიზაციის გატარების საქმეში.

რასაკვირველია, ამხანაგებო, ეს ყველა სოფლელ კომუნისტზე არ ითქმის. გარჩევა საჭიროა. იყვნენ ისეთი ამხანაგები, რომელნიც ასე თუ ისე სწორად ატარებდენ პარტიის ხაზს. ამასთანავე ისიც უნდა ვთქვათ, რომ სოფლის კომუნისტის მდგომარეობა ძალიან მძიმეა, მას არანორმალურ პირობებში უხდება მუშაობა. ჯერ ერთი ის, რომ არიან ვეებერთელა სოფლები, სადაც კომუნისტების რიცხვს თითებზე ჩამოთვლით. რასაკვირველია, ორი-სამი კაცი წარმოადგენს მეტად სუსტ ორგანიზაციას. ამავე დროს ისინი გარშემორტყმული არიან გლეხური სტიქიით, რაც, თავისთავად ცხადია. მათზე გავლენას ახდენს. დიდი სიმტკიცე და ნებისყოფა მართებს კაცს, რომ ამას გაუძლოს, გავლენაში არ მოხვდეს, ეს ადვილი საქმე არ არის. ეს არ გავს ქალაქში ცხოვრებას. ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, რომ სოფლის კომუნისტზეა დამოკიდებული ყველაფერი: ის დატვირთული და გადატვირთულია ყოველგვარი ცირკულიარებით, დირექტივებით როგორც საბჭოთა ხაზით, ისე პარტიული ხაზით. ყველაფერი, რაც კეთდება სოფლად, კეთდება კომუნისტების საშუალებით. სოფლის კომუნისტი მილიციონერის როლსაც ასრულებს, ის იჭერს, ატუსაღებს დამნაშავეებს. ასეთ გარემოებას უნდა გაუწიოთ ანგარიში. საოლქო, სამაზრო და რაიონულმა კომიტეტებმა უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ შეამსუბუქონ სოფლის კომუნისტის მდგომარეობა, გაამაგრონ სოფლის ორგანიზაციები და განსაკუთრებით გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა პარტიის წევრთა შორის.

## განვამტკიცით არსებული მიღწევები

ისმება კითხვა: გვაქვს თუ არა ჩვენ მიღწეული კოლმეურნეობის მშენებლობაში? რასაკვირველია გვაქვს. ამის არ დანახვა ყოველად შეუძლებელია. თუ ჩვენ ავიღებთ ციფრებს იმის შესახებ, თუ რამდენი იყო გაერთიანებული კოლმეურნეობებში დეკემბრის თვეში და შევადარებთ მაისის თვესთან, დავინახავთ შემდეგს: დეკემბერში კოლმეურნეობებში გართიანებული იყო გლეხურ მეურნეობათა 6,3 პროც., ეხლა კი გაერთიანებულია 21 — 23 პროც. ეს, რასაკვირველია, დიდი მიღწევაა. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ 6 პროცენტიდან ჩვენ უცბად შევსკუპდით 65 პროცენტამდე და შემდეგ ისევ უცბად მოგვისდა დაბლა დაშვება — 21 — 23 პროცენტამდე, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მიღწევებზე ლაპარაკი უფრო რთული საკითხია. მე ვამბობდი და კვლავაც ვამბობ, თუ რომ შეცდომები არ დაგვეშვა, ის უხეში შეცდომები, რომელსაც ადგილი ჰქონდა იანვრის, თებერვლის და მარტის თვეებში, კოლმეურნეობებში გაერთიანებულ მეურნეობათა რაოდენობა არ იქნებოდა იმაზე ნაკლები, რაც დღეს გვაქვს და შეიძლება მეტიც ყოფილიყო. მაშინ კოლექტივებიც უფრო მკვიდრი და ნიადაგიანი იქნებოდა და უფრო მეტი სტიმული იქნებოდა მომავალში კოლექტიური მოძრაობის განსავითარებლად. ეს არ უნდა დავფაროთ და მომავალში უფრო სწორად მიუდგეთ ამ საკითხს.

კლები. რაც დღეს გვაქვს და შეიძლება მეტიც ყოფილიყო, მაშინ კოლექტივე-
როგორც ცნობებიდან სჩანს, დიდ უმეტესობას წარმოადგენენ ღარიბი გლეხკაცობა და მოჯამაგირენი. განსაკუთრებით ბევრნი არიან ღარიბი გლეხები — ისინი კოლმეურნეობის 60 პროცენტზე მეტს შეადგენენ. ეს რასაკვირველია, ძალიან მძიმე ნივთიერ პირობებში აყენებს ჩვენს კოლმეურნეობებს, რადგან საშუალო გლეხების წასვლის შემდეგ მათ არ დარჩათ საფუძვლიანი სახსრები, საშუალება, თავიანთი მეურნეობა წინ წასწიონ. ფული არა აქვთ, სესხს ვერ ვაძლევთ, მიწა კი საშუალო გლეხებმა გაიტანეს.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევეხო მეორე საკითხს. თქვენ კარგად იცით, რომ მთლიან კოლექტივიზაციის დროს ჩვენმა მუშებმა, რომლებსაც არ შეუწყვეტია კავშირი სოფლის მეურნეობასთან, გამოაცხადეს, რომ თავისი მიწები კოლმეურნეობებში შეაქვთო. მაგრამ როგორც კი კოლმეურნეობები დაიშალნენ, მათ უკანვე მოითხოვეს თავიანთი მიწები, რის გამოც მიწის ერთად-ერთი ფონდიც გამოეცალა ხელიდან ღარიბ გლეხებს და მოჯამაგირეებს. მე მგონია ეს საკითხი ხელახლა უნდა დაისვას. რომლებიც შედარებით მცირე ხელფასს ღებულობენ, უნდა დაეტოვოთ მიწები, ისევ მუშა-მოსამსახურეებს კი, რომლებიც ღებულობენ დიდ ხელფასს და თავიანთ მიწებს უმიწაწყლო გლეხებზე აზიარებენ. შეტანილი ნაკვეთები არ დაუბრუნდეთ. ასე აყენებენ საკითხს თვით გლეხები. პროფკავშირებმა უნდა მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას.

ამხანაგებო. დღეს კოლმეურნეობების გამგეობები მოწყვეტილი არიან კოლმეურნეობათა მასებისაგან, ამნაირად თავს იჩენს ბიუროკრატიზმი. გამგეობის წევრებს ადგილ-ადგილ თავი ისე უჭირავთ, როგორც ძველ მებატონეებს. მე ვიცი ერთი შემთხვევა გორის ოლქში. როდესაც კოლმეურნეობის თავმჯდომარეს

სცემა კოლმეურნეობის წევრს და დაატუსალა იგი შრომის დისციპლინის დარღვევისთვის. ასეთი წესები კოლმეურნეობაში ყოვლად დაუშვებელია. ასეთ კოლმეურნეობაში გლეხი არ გაჩერდება, არის შემთხვევების მთელი რიგი, როდესაც გამგეობის წევრები მუშაობას არ კადრულობენ, ფიზიკურ სამუშაოებს არ ეკარებიან. ეს დამახინჯებაა და მის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული გადამწყვეტი ზომები. ამასთანავე ადგილობრივი მუშაკებისა და ორგანიზაციების ყურადღება უნდა მიექცეს თვითკრიტიკის გაშლას კოლმეურნეობებში.

ეხლა რამდენიმე სიტყვით შევეხები კოლმეურნეობის გამსხვილების საკითხს. ჩვენ წინეთ ძალიან წვრილი კოლმეურნეობანი გვქონდა, გასულ წ. თითო კოლმეურნეობაში შედიოდა 17 — 18 ოჯახი დაახლოებით, ზოგიერთ რაიონებში წელს ამ 17 — 18 ოჯახიდან უცბად 1500 — 3000 ოჯახამდე ახტნენ. ეს უკვე მეორე უკიდურესობაში გადავარდნაა. პრაქტიკიდან ჩვენ დავრწმუნდით, რომ იქ. სადაც ასეთი დიდი კოლმეურნეობებია, გლეხებს უხდებათ სამუშაოზე სიარული 10 — 12 კილომეტრის მანძილზე და ამასთანავე გლეხების ინიციატივა სრულებით იკარგება. პრაქტიკამ გვიჩვენა. რომ ასეთი დიდი კოლექტივების შექმნა ჩვენს პირობებში არ ვარგა. გლეხები თვითონ მივიდენ ამ დასკვნამდე და ახლა უფრო ნაკლები ზომის კოლექტივებს ქმნიან.

## საკოლმეურნეო მშენებლობის პერსპექტივები

როგორი პერსპექტივები აქვს საკოლმეურნეო მოძრაობას და რას უნდა მოველოდეთ ჩვენ ახლო მომავალში? ამხანაგებო, ჩვენ დღეს რთულ და ძნელ ამოცანების წინაშე ვდგევართ. უნდა მოგახსენოთ, რომ გლეხების ერთი ნაწილის თვალში კოლმეურნეობას სახელი გაუტყდა. ამასთანავე ჯერ სრულებით არ შეწყვეტილა ბრძოლა კოლექტივების გარეშე მყოფ გლეხებსა და კოლმეურნეობებს შორის. რასაკვირველია, ამ ბრძოლას დღეს უფრო ფარული ხასიათი აქვს. რითაც სარგებლობენ კულაკები და სხვა ანტი-საბჭოთა ელემენტებიც. ეს ქმნის გართულებას. ბევრს გონია, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის მხრით ჩვენში ეხლა ყველაფერი რიგზეა, მე უნდა შევეხო აქ ამხ. დარახველიძის გამოსვლას. მან აქ განაცხადა, რომ ჩვენ ქუთაისის ოლქში მტკიცე მდგომარეობა გვაქვსო. ამხანაგებო, ასეთნაირად საქმის მიფუჩეჩება არ შეიძლება, ჩვენ ყველამ ვიცით, თუ როგორი სულისკვეთება იყო ქუთაისის ოლქში. მართალია ეხლა იქ გამოსვლებს არ აქვს ადგილი, მაგრამ, როგორც ამხ. ლ. ლოლობერიძემ აღნიშნა სწორედ დარახველიძის სიტყვის გამო, ქუთაისის ოლქში ჩვენ დაუშვით შეცდომების მთელი რიგი. ნუ თუ ამჟამად ყველა ეს შეცდომები გამოსწორებულია? არა ამხანაგებო. ამხ. დარახველიძემ. რასაკვირველია, მთელი ბრალდება ცენტრალურ დაწესებულებებზე გადაიტანა; მიწათმოწყობა არ ჩატარდა თავის დროზე და ამან ხელი შეგვიშალაო. მან ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ კოლმეურნეობიდან გამოვიდა გლეხობის 60 — 70 პროც., რომელიც უკანვე თხოულობდა მიწას. ასეთ დროს მიწათმოწყობის ჩატარება არ შეიძლებოდა. შემდეგ ამხ. დარახველიძე ამბობს, რომ ჩვენ კოლექტივიზაციის მაღალი პროცენტი გვაქვსო. განა ის არის კარგი, რომ 86 პროცენტიდან უცბად 25 პროცენტამდე ჩამო-

ვედით? კიდევ საეჭვო არის შეგვრჩება თუ არა ეს პროცენტიც. მერე საქმე იმაშია, თუ როგორი სულისკვეთებაა კოლექტივებში, როგორი მდგომარეობა იქნება მოსავლის გაყოფის დროს და როგორ მოაგვარებენ ამ საქმეს.

დღევანდელი, შედარებით მშვიდობიანი მდგომარეობით დაკმაყოფილება არ შეიძლება. აი სწორედ ეს იქნებოდა მეალილუეობა, ეს „კაზიონშჩინა" იქნებოდა. მე არ ვამბობ ამას მარტო დარახველიძის შესახებ, მან მხოლოდ საბაბი მოგვცა ამაზე გველაპარაკა. ეს საერთო მოვლენა არის.

ეხლა ისეთი დროა, რომ კოლექტივის დაშლა, თუ რაღაც დიდი რამ არ მოხდა, შეუძლებელია. ყანები უმეტეს ნაწილად დათესილია და მოსავლის მოლოდინში ვართ. კოლმეურნეობის დაშლა თუ მოხდა, მოხდება მოსავლის განაწილების დროს, რაც უსათუოდ ჩვენი უმოქმედობისა და უტაქტობის შედეგი იქნება. მოსავლის განაწილებისთვის მზადება — აი, რა არის დღეს ყველაზე უფრო სერიოზული საქმე და რას უნდა მიექცეს მთელი ჩვენი ყურადღება.

რა წესით უნდა მოხდეს მოსავლის განაწილება? აქ საჭიროა გამოვიყენოთ მთელი ხელოვნება. მთელი გამოცდილება და არ ავყვეთ მხოლოდ შაბლონს. შეიძლება ჩვენ წავიდეთ დათმობაზედაც. არ შეიძლება საკითხს მიუდგეთ ისე, რომ წესდება ასეთია და ის უეჭველად უცვლელად უნდა გავატაროთო. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ კოლმეურნეობა დავიხსნათ, გადავარჩინოთ დარღვევას. ყოველივე წვრილმანს რომ გამოვეკიდოთ, შეიძლება ეს უმთავრესი დავკარგოთ. წესდება იმას კი არ ნიშნავს. რომ აუცილებლად ისე იქნას გატარებული, როგორც იქ სწერია. წესდება მოცემული არის სანიმუშოდ. მე ვფიქრობ, სრულებით არავითარი დანაშაული არ იქნება. თუ სადმე პირობების და გარემოების მიხედვით, ზოგიერთ დათმობაზე წავალთ. აი ასე სდგას საკითხი. რა თქმა უნდა, ჩვენ დათმობაზე წავალთ წვრილმანში. მეორე ხარისხოვან საკითხებში და არა არსებით მხარეებში. მაგრამ სხვადასხვა ფონდების გადარიცხვის. პროცენტების და სხვა ასეთი წვრილმანი საკითხებისათვის ჩვენ საქმე არ უნდა გავაფუჭოთ.

ნუ დავივიწყებთ რომ ჩვენს მტრებს არ ძინავთ. ყოველ ჩვენს შეცდომას, ყოველ ნაკლს ისინი ერთი-ათად აზვიადებენ. ერთი-ათად ბერავენ და იყენებენ არა მარტო კოლექტივიზაციის. არამედ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგაც.

აქ ლაპარაკი იყო პასუხისმგებელ ამხანაგების გაგზავნის შესახებ სოფლად. ეს ლაპარაკი არ უნდა დარჩეს მარტო სიტყვებად, არამედ უნდა განხორციელდეს და თუ საერთოდ ოდესმე უნდა განხორციელდეს, სწორედ ეხლა. ვინაიდან სწორედ ეხლა გვაქვს საპასუხისმგებლო მომენტი.

## მთავარი საფრთხე — მემარჯვენე გადახრა

შეეხები იმას ვინ არის დღეს ჩვენთვის საშიშარი: ტროცკისტები თუ მემარჯვენეები. ტროცკისტები უკვე კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში გადავიდნენ და ისინი არა თუ მენშევიკების უერთდებიან, არამედ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიასაც კი უჭერენ მხარს. ამიტომ ისინი დღეს ჩვენთვის არ არიან ისე საშიში, მათ სახეს უკვე იცნობს მუშათა კლასი. რომელიც მათ ანკესზე

არ წამოეგება. რაც შეეხება მემარჯვენეებს, ისინი დღეს უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენენ. მემარჯვენე კომუნისტების მოქმედებას არსებითად ჩვენ მივყეოთ კულაკების გამარჯვებისაკენ და არა მათი მოსპობისაკენ. საჭიროა ადგილობრივმა ამხანაგებმა ფხიზლად ადევნონ თვალი ამ გადახრებს, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრას, როგორც პრაქტიკაში, ისე თეორიაში და ძირშივე ჩაკლან ისინი.

## უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლისაკენ

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უდიდესი გამოცდილება მივიღეთ. ჩვენ ეს გაკვეთილები. ეს გამოცდილება უნდა შევისწავლოთ და მომავალში შეცდომები აღარ დაუშვათ. ეს ყველაფერი უნდა გამოვიყენოთ. ამაზედ უნდა ვისწავლოთ, ეს გაკვეთილი მიღებულია თვით ცხოვრებიდან და ამიტომ ყველაზე უფრო სასარგებლოა ჩვენი მუშაობისათვის.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ვდგევართ დიდი საპასუხისმგებლო მომენტის წინაშე. ჩვენ ვაწარმოებთ გადამწყვეტ ბრძოლას: გადამწყვეტი ბრძოლა სწარმოებს კერძო, ინდივიდუალურ მეურნეობასა და კოლმეურნეობებს შორის, ბურჟუაზიულ ეკონომიკასა და სოციალისტურ ეკონომიკას შორის. ეს აშკარაა, ასე დგას ეხლა საკითხი. კულაკები, რომლებიც დღეს თავს იკატუნებენ, უცდიან დროს და მომავალში კიდევ უფრო ძლიერ იერიშს მოიტანენ ჩვენზე, ისინი უბრძოლველად არ დასთმობენ თავიანთ პოზიციას. ვინ გადაიბირებს საშუალო გლეხობას, შევსძელბთ თუ არა მის შენარჩუნებას — აი, როგორ დგას დღეს საკითხი. მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი აუცილებლად ჩვენს სასარგებლოდ გადაიჭრება. მაგრამ იგი გადაწყდება არა თავისთავად, არა „თვითდენით", არამედ ამ მუშაობაში შეჭრით და მასების დაპყრობით. (მხურვალე ტაში).

# საგულოო სიტყვა

(წარმოთქმული სრ. საქ. კ. პ. (ბ) მე-VII ყრილობაზე).

ამხანაგებო! მე ჩემს მოხსენებაში ვერ შევძელი სანახევროდაც ამომეწურა ის მასალა, რომელიც მქონდა. ეს შეუძლებელი გახდა იმიტომ, რომ დიდ დროს მოითხოვდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ მე უფრო მეტს მოველოდი აქ გამოსულ ამხანაგებისაგან. მე მეგონა. რომ ისინი პრაქტიკულად მიუდგებოდენ საკითხს და საკმაო მასალას მოგვცემდენ საკოლმეურნეო მოძრაობიდან. მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. არაა საჭირო საერთო ფრაზები, ათასჯერ გადაღეჭილ-გადმოღეჭილი სიტყვები. ნუ გეწყინებათ და ორატორების უმეტესი ნაწილის სიტყვები ასეთი იყო: ამხანაგები საკითხს არ ეხებოდნენ კონკრეტულად, არ იძლეოდენ კონკრეტულ მითითებებს იმ მდგომარეობის გამოსასწორებლად, რომლებიც ჩვენ გვაქვს.

შემდეგ. ამხანაგებო, არავინ არ შეჩერებულა იმაზე, თუ როგორ ცხოვრობენ ჩვენი კოლექტივები, რა საკითხები აღელვებთ მათ, რა სტკივათ და რა ღონისძიებები უნდა ვიხმაროთ საქმის გამოსაკეთებლად. ნუ დაგავიწყდებათ, რომ კოლექტივებში დღეს დიდი ბრძოლაა, ბრძოლაა კოლექტივებსა და მათ ირგვლივ შემორტყმულ გლეხებს შორის. ბრძოლაა თვით კოლექტივებს შიგნით. ყოველივე ამის შესახებ აქ თითქმის არაფერი თქმულა, ეს ძალიან ცუდი მოვლენაა. რას უნდა მიეწეროს ეს? მე მგონია, ამის მიზეზია ის, რომ ჩვენ შევასუსტეთ ყურადღება კოლექტივიზაციისადმი. იყო შეცდომები. გადამახინჯებები. ამის შესახებ დიდი აურ-ზაური ავსტეხეთ, შემდეგ ხელახალი კამპანიები ჩავატარეთ და ახლა კი გვგონია, რომ მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. მაგრამ ჩვენ ყოველდღიურად ვღებულობთ ცნობებს, რომ ადგილებზე ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის, იქ ბევრ სამწუხარო მოვლენებს აქვს ადგილი, დღესაც ბევრი ტკივილი აწუხებთ კოლმეურნეობებს. როგორ ფიქრობთ, ამას წამლობა არ უნდა? ჩვენ ეხლავ უნდა მივაქციოთ ყურადღება ამ გარემოებას.

თვითეულმა თქვენგანმა უნდა შეისწავლოს, თუ რა ბრძოლა სწარმოებს კოლექტივებში და მათ გარეთ. აი, მაგალითად, აიღეთ ასეთი შემთხვევა: საყოველთაო მოვლენაა, რომ კოლექტივებიდან გასული გლეხკაცობა თავის შრომის ჭნაზლაურებას თხოულობს. ამ ნიადაგზე დიდი უკმაყოფილებაა. გატარებულია თუ არა ცხოვრებაში წესდება, რომელიც ჩვენ გვაქვს მიღებული და რომელზეც ლაპარაკი იყო, რომ უეჭველად უნდა გატარდესო? ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ მართალია ზოგიერთ კოლმეურნეობებში ფორმალურად მიღებულია წეს-

დება, მაგრამ არსებითად ის ცხოვრებაში არ გატარებულა. ამ საკითხს სწორი მიდგომა, სწორი გაგება უნდა.

ჩვენ დაპირება ვიცით, მაგრამ დანაპირების შესრულებაზე ხშირად თავს არ ვიწუხებთ. თქვენ გეხსომებათ, გუშინ გამოვიდა ამხანაგი ხევის რაიონიდან, ოომელიც უმთავრესად მეცხვარეობის რაიონია, და სთქვა, რომ ჩვენ დაგვპირდნენ ტრაქტორებს და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, მაგრამ არაფერი არ შეასრულესო. ასეთ დაპირებებს ბევრგან ჰქონდა ადგილი კოლექტივიზაციის ჩატარების დროს. გლეხებს ეუბნებოდნენ: ოღონდ კი შედით კოლეკტივში და ყველაფერი გექნებათ: სურსათი, ფართალი და საერთოდ, რაც კი გინდათ მოგეცემათო. ეს დაუშვებელია. მე არ ვამბობ, რომ დაპირება არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაპირებაც არის და დაპირებაც, გლეხს თუ რაიმეს დაპირდები, ის უეჭველად მოგთხოვს დანაპირების შესრულებას.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ბრიგადების როლი კოლმეურნეობათა მშენებლობაში. ვის შეუძლია უარყოს, რომ მუშათა ბრიგადებმა, დიდი სამსახური გაუწიეს საქმეს? ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ, ამხანაგებო, ისიც უდავოა, რომ მუშათა ბრიგადებში აღმოჩნდნენ ულირსი ელემენტებიც, რომელნიც მრავალ უმსგავსობას სჩადიოდნენ. ამაზე ითქმის: „ერთ კასრს თაფლს ერთი კოვზი კუპრი გააფუჭებსო". აიღეთ მაგალითად ასეთი შემთხვევა: სოფელ კარდანახში (კახეთის ოლქი) მუშათა ბრიგადების ხელმძღვანელობით გაჩეხილ იქნა 8 ჰექტარი ვენახი იმ მოსაზრებით, რომ ეს თურმე საჭირო იყო გზის გაფართოვებისათვის. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი დანაშაულებრივი მოქმედება უკმაყოფილებას იწვევდა გლეხებში. ისინი სამართლიანად ეუბნებოდნენ ბრიგადერებს: თქვე ოჯახაშენებულებო, ჯერ ნახევარი ქცევა ვენახი მაინც გაგეშენებინათ და შემდეგ შესდგომოდით გაჩხვასო.

## ამხ. ჟვანიასა და ცხოვრებაშვილის შესახებ

ეხლა მე შევეხები ზოგიერთ ამხანაგების გამოსვლას. პირველ ყოვლისა შე უნდა შევეხო ამხ. ჟვანიას გამოსვლას. ამხ. ჟვანიას უყვარს თვითკრიტიკა. ეს მეტად მოსაწონი საქმეა. მეც ამ საზომით უნდა მიუდგე მის გამოსვლას ყრილობაზე. ამხ. ჟვანიამ თავის სიტყვაში ცეკას ანგარიშის გარშემო განაცხადა: „აქ ამბობდენ თითქოს ჩვენ ზუგდიდის მაზრაში გასულ წელს 20 პროც-მდე განსაზოგადოებული მეურნეობები გვქონდა. ეს არ არის სწორი. შარშან კოლმეურნეობების პროცენტი ჩვენში 3 პროც-ს არ აღემატებოდა. ამ გაზაფხულზე ჩვენ კოლმეურნეობებში გავაერთიანეთ გლეხობის 35 პროც-ტი. გაცხრილვის შემდეგ დარჩა 15,5 პროცენტი. დამერწმუნეთ, რომ ეს ზუგდიდის მაზრის პირობებში მიღწევაა"-ო.

ამის შემდეგ მე მინდა წავიკითხო აქ ის ოფიციალური მოხსენება. რომელიც გამოგზავნილია ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მიერ ამხ. ჟვანიას. როგორც სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის, ხელმოწერით, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას სახელზე. მოხსენებაში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის თებერვალში, ე. ი. 1930 წელს, როდესაც ჩვენში „თავბრუდამხვეი"

ტემპით სწარმოებდა საკოლმეურნეო მშენებლობა, ზუგდიდის მაზრაში კოლექტივებში გაერთიანებული მეურნეთა რიცხვი უდრის 45 პროცენტსო. ეს ციფრი მოხსენებაში ორჯერ არის განმეორებული, ასე რომ უნდა ვიფიქროთ აქ შეცდომა არ არის. ამასთანავე ამხ. ყვანია აღნიშნავს ამავე მოხსენებაში, რომ გასული წლის დამლევს, როდესაც ზუგდიდის მაზრაში ჩატარებულ იქნა კოლექტივიზაციისა და მოსავლის დღე. კოლმეურნეობათა რიცხვი მთელს მაზრაში უდრიდა 19 პროცენტსო. აი ამხანაგებო, სწორედ ამ ციფრებზე ემყარებოდა საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმი, რომელმაც საჭიროდ სცნო სხვა რაიონებთან ერთად ზუგდიდის მაზრაც ყოფილიყო მთლიან კოლექტივიზაციაზე გადაყვანილი. ეხლა კი ამხ. ყვანია ამბობს, რომ მართალია, ჩვენ მაზრაში კოლმეურნეობათა რაოდენობა 15 პროცენტამდე ჩამოვიდა. და ეს უნდა ჩაითვალოს მიღწევადო. როგორღაც ასე არ გამოდის. ამხანაგებო, მართალია, ზუგდიდის მაზრაში არის საუკეთესო კოლექტივები, მაგალითად სოფ. ფახულანის კოლექტივი, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იქ არც თუ ისე დიდი მიღწევებია. საჭიროა ვილაპარაკოთ იმაზე რაც სინამდვილეში არის. მე ამით სრულიადაც არ მაქვს სურვილი ვაწყენინო ვისმეს, მაგრამ ეს უნდა იქნას აღნიშნული.

მეორე ორატორი, რომლის გამოსვლაც ყურადღების ღირსია. არის ამხ. ცხოვრებაშვილი გორის ოლქიდან. მისმა გამოსვლამ გუშინ ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა. მან მეტად კარგი სურათი დაგვიხატა, განაცხადა: „თესვა ბოლშევიკურად დავამთავრეთ, დაშვებული შეცდომები გამოვასწორეთ. 500 ჰექტარზე ხილის ბაღი გავაშენეთ. მოსახლეობის 35 პროც. გაერთიანებულია კოლექტივებში. ყველა ეს კოლექტივები საფუძვლიანი კოლექტივებიაო". ეს არ ვარგა, ამხ. ცხოვრებაშვილო, გაფერადება აქ არაა საჭირო. ამ ყრილობას ნამდვილი თვითკრიტიკის ნიშან ქვეშ ვატარებთ. ეს, მართლაც, პირველი ყრილობაა. რომელზედაც ასე მკაცრად. ულმობელად ვაკრიტიკებთ ჩვენს მუშაობას. აქ კი ამხ. ცხოვრებაშვილი გამოდის და საქმეს ისე გვიხატავს, თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს. მე ხელთ მაქვს ფაქტები, თუ როგორ ტარდებოდა კოლექტივიზაცია გორის ოლქში. ავიღოთ. თუ გნებავთ სტალინისის რაიონი. მოგეხსენებათ, სტალინის რაიონი მუშათა ცენტრია. იქ გვაქვს სატრაქტორო სადგური. ამასთანავე ეს კუთხე უმთავრესად ხორბლეულის რაიონია. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა კოლექტივიზაციას. მაგრამ როგორ ხდებოდა კოლექტივების მოწყობა? მე მოვიყვან რამდენიმე ფაქტს. სულ რაღაც 15 დღის განმავლობაში სტალინისის რაიონში კოლექტივში შეიყვანეს გლეხობის 91 პროც. ასეთი აჩქარება პირდაპირ იშვიათია. მერე როგორ მოხდა ეს? რასაკვირველია. ადმინისტრატიული დაწოლით. განკულაკების შესახებ დადგენილებები გამოქონდათ იმავე კრებებს, რომელზედაც ირჩეოდა კოლექტივების შექმნის საკითხი. თუ რა გავლენას მოახდენდა ეს გლეხობაზე. ამას ყველა კარგად მიხვდება. ასეთი ტემპი რასაკვირველია, კარგ შედეგს არ მოიტანდა და არც მოიტანა. ეს თავის თავად ცხადია. ეხლა შევეხოთ, თუ როგორ ხდებოდა განკულაკება. სოფელ ქვემო ყორველში განაკულაკეს 10 მოსახლე. ამ 10 მოსახლიდან საშუალო გლეხი გამოდგა 7, რომელთაგან 4 მაშინვე გადაასახლეს. საშუალო გლეხობა. რომლებიც თავდაპირველად, არ ვიტიყვი დიდი ენტუზიაზმით. მაგრამ მაინც კოლექტივში

წესებლის მსურველნი იყვნენ. ამ ამბის შემდეგ უკან დაიხიეს. ამხანაგმა ცხოვრებაშვილმა განაცხადა: „ჩვენ გავაშენეთ 500 ჰექტარზე ბაღი“. კარგი და მშვენიერი. მაგრამ საკითხავია, რათ არ აღნიშნა მან, თუ რა მოხდა რუსის რაიონში, სადაც საუკეთესო სამრეწველო ხასიათის ბაღები 300.300 საჟენიან ნაკვეთებად დააჭრეს? ეს არავის ეპატიება. ამას ჩვენი მტრები კულაკებიც კი გამოიყენებენ.

ლაიბები მოითხოვენ, რომ საშუალო გლეხებმა მთელი თავისი ქონება შეიტანონ კოლექტივებში, საშუალო კი ამაა გაურბის და ამ ნიადაგზე ხდება ეჭვიანობა მათ შორის. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ჩვენ ამ წინააღმდეგობა. ჯეროვან ყურადღებას არ ვაქცევთ. კარგი, რომ სამეცნიერო საგამომკვლევო ინსტიტუტმა გამოგზავნა კომისია და გამოიკვლია ეს საკითხები, თორემ ამხანაგები მათ შესახებ, როგორც სჩანს, აქაც არაფერს იტყოდენ.

ქულები აქტიურად გამოდიან და ეუბნებიან ქმრებს — გაგეყრებით, თუ კოლექტივებს თავი არ დაანებეთო. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ აქ გამოვიდეთ და ვსთქვათ, ყველაფერი კარგათ არისთქო, არ იქნება მართალი. გამოკვლევა ამტკიცებს, რომ შრომის საკითხი კოლმეურნეობებში არ არის მოწესრიგებული, ღარიბები აღღვევენ შრომის დისციპლინას. ამას უყურებს საშუალო გლეხი და მას კოლექტივზე გული უცრუდება. არიან კოლექტივები, სადაც გაოეთ სამუშაოზე გასულ გლეხს უფლება არა აქვს აღებული ხელფასი თავისთვის მოიხმაროს, მან იგი უნდა შეიტანოს კოლექტივის სალაროში. მაგალითად, ოსიაურის კოლექტივის გამგეობას დადგენილება გამოუტანია: როცა კოლექტივის წევრი სამუშაოზე გადის, მან ქირა კოლექტივის სალაროში უნდა შეიტანოს. თვითონ კი ეს დღე სამუშაო დღეთ ეწერება. ეს ყოვლად დაუშვებელია. ამის შემდეგ ვინ გავა სამუშაოზე? ცხადია, არავინ.

ვალდა ამისა გორის ოლქის მდგომარეობის დასახასიათებლად საჭიროა მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტები: თვით გორის რაიონში განკულაკებულ იქნა 75 მეურნე. მათ შორის საშუალო გლეხი იყო44 და ღარიბები 3. ხაშურის რაიონში განკულაკებულ იქნა 36 მეურნე, მათ შორის საშუალო — 31. კასპის რაიონში განკულაკებულ იქნა 31 მეურნე, მათ შორის საშუალო — 30 და ღარიბი — 1. ამ ფაქტების შემდეგ ამხანაგებო, სრულიად არ არის საჭირო სინამდვილის შეფერადება. ეხლა საჭიროა სწორად ავსწონ-დავსწონოთ მდგომარეობა და ამის მიხედვით დავსახოთ პრაქტიკული ღონისძიებანი.

## კოოპერაციისა და საკოლმეურნეო ურთიერთობა

შემდეგ, აქ გამოვიდა ამხ. გვარამია და შეეხო საწარმოო კოოპერაციის და კოლმეურნეობათა სისტემას შორის ურთიერთ დამოკიდებულებას. ამ მხრით გაუგებრობას აქვს ადგილი. აქ არსებობს ორგანიზაციული შეუთანხმებლობა. ამხ. გვარამია სამართლიანად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ სინამდვილეში აქა-იქ კოოპერაციის და კოლმეურნეობათა მუშაკები მტრულად უყურებენ ერთიმეორეს. რაც ცუდ გავლენას ახდენს როგორც ერთზე, ისე მეორეზე. ამხანაგი წინადადებას იძლევა ერთი საერთო ცენტრის შექმნის შესახებ. იგი იძლევა ორ-

განიზაციულ სქემას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ერთიანი ხელმძღვანელობა ამ შემთხვევაში. ეს საკითხი ეხება მუშავდება საბჭოთა კავშირის მასშტაბით. და ჩვენი ცენტრ. კომიტეტიც შეეცდება დაიჭიროს მისი გადაჭრა.

## ნუ ავყვებით კლასობრივი მტრის პროვოკაციას

ვე მინდა შეეეხო კიდევ ამხ. ფანცულაიას (ლანჩხუთის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონი) გამოსვლას. მან სხვათა შორის, განაცხადა: „ამხანაგებო, მე მინდა შეეეხო კოლმეურნეობების მშენებლობის ნაკლს და იმას, თუ რა უშლიდა მას ხელს. ჩვენ გვქონდა ბევრი სიძნელე. პირველი სიძნელე საბჭოთა მამულებში უნდა ვეძიოთ. ერთი ღერი ასანთით გლეხები აკეთებდნენ იქ დღეში 9 — 11 მანეთს. საბჭოთა მამულებს ჰქონდათ ეკალი და ჯაგნარი და ერთი ასანთის ღერით გლეხობა ასე დიდ ხელფასს ღებულობდა. ამან შექმნა ის, რომ კოლმეურნეობის წევრები იქ ამჯობინებდნენ მუშაობას. სახელმწიფო ფული უყაირათოთ არ უნდა იფლანგებოდეს. როდესაც იქ ქირა 3-4 მანეთზე დავიდა, გლეხობა კოლმეურნეობას დაუბრუნდა“.

აქ რაღაც დიდი გაუგებრობაა. მე ვფიქრობ. რომ ის, რასაც ამბ. ფანცულაია ამბობს, კოლმეურნეობის მტრების მიერ გამოგონილი ჭორი და პროვოკაციაა. არასოდეს „საქართველოს ჩაი“-ს საზოგადოება ასეთ ხელფასს არ აძლევდა მუშებს. და არც შეეძლო მიეცა. მუშის დღიური ხელფასი ჩაის საბჭოთა მეურნეობებში არ ასცილებია 4-5 მანეთს, და ეს იმ შემთხვევაში, როცა გლეხები მუშაობდნენ ნარდათ დღეში 9-10 საათის განმავლობაში. ყველაფერი ეს განზრახ აბის შეთხზული, რათა შეული ჩამოაგდონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობის შორის. დეე ჩვენი ამხანაგები ნუ წამოეგებიან მტრის მიერ ვადმოსროლილ ანკესზე.

## ყურადღება ინდივიდუალურ მეურნეებს

როგორი განწყობილებაა დღეს კოლმეურნეობებსა და გარეთ მყოფ გლეხებს შორის? აქაც ყველაფერი არ არის რიგზე. სხვათა შორის. დღეს გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებულია ერთი წერილი: „გარდატეხა არ მომხდარა“. მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილები ამ წერილიდან: „ჩვენს განკარგულებაში მყოფი ცნობებით მტკიცდება, რომ ზოგიერთ რაიონებში და სოფლებში ადგილი აქვს ინდივიდუალური მეურნე გლეხებთან დამოკიდებულების ყოვლად უმსგავსო ფაქტებს: ბორჩალოს. გორისა და კახეთის მთელ რიგ სოფლების სას.-სამ. კამპანიის გეგმებში გათვალისწინებული არ იქნა ინდივიდუალურ მეურნეობისათვის ორგანიზაციული და სამეურნეო დახმარების გაწევის საკითხები. გარდა ამისა. სათესლე და ფულად კრედიტების განაწილების დროს სრულიად ავიწყდებათ ინდივიდუალური მეურნეობანი. თითქმის ყველა რაიონებში ერთნაირი მდგომარეობაა ინდივიდუალურ მეურნეობათა თესლით დაკმაყოფილების მხრივ. უმეტეს შემთხვევებში თესლი სრულიად არ ეძლევა ინდივიდუალურ მეურნე ლარის გლეხებს“.

ამნაირად, ზოგიერთ რაიონებში ინდივიდუალურ მეურნე გლეხებს არ უწევენ სათანადო დახმარებას, არ აძლევენ სესხს, არ აძლევენ თესლს. 'კოლექტივებიდან გამოსულ გლეხებს არ უბრუნებენ მიწის იმ ნაკვეთებს, რომლებიც მათ განკარგულებაში იყო. აი რა სწერია ამის შესახებ იმავე წერილში: „კიდევ უარესი მდგომარეობაა იმ გლეხების მიმართ, რომელნიც არასწორად და იძულებით შექმნილ კოლექტივებიდან გავიდნენ. კოლექტივებიდან გასულ გლეხების მიმართ ზოგიერთ რაიონებში ადგილი აქვს უხეშად მიდგომის აღმაშფოთებელ ფაქტებს. მათ უმრავლეს შემთხვევებში არ უბრუნებენ განსაზოგადოებულ თესლს და არ აძლევენ თავისი მიწის სამაგიერო ნაკვეთს.

არის აგრეთვე „შურისძიების' და „სამაგიეროს გადახდის" სხვა მაგალითები. რომელნიც ნათლად ადასტურებენ. კოლექტივებიდან გასულ გლეხებისათვის უხეშად და უკანონოდ მოპყრობის შემთხვევებს".

ეს მეტად დამაფიქრებელია. შემდეგ სწერია: „გარდა ამისა, ინდივიდუალურ მეურნეთათვის და განსაკუთრებით კოლექტივებიდან თავიანთი სურვილით გასულთათვის შეუფერებელი მოპყრობა აძლიერებს კულაკობის გავლენას და ადიდებს მის მავნებლურ შანსებს. კულაკობა მარჯვედ სარგებლობს ინდივიდუალურ მეურნე გლეხებისათვის ადგილობრივი ორგანიზაციების მხრივ არასწორად მოპყრობით და იგი ფართედ იყენებს ღარიბ-საშუალო გლეხებში ზემოხსენებულ გარემოებით გამოწვეულ უკმაყოფილებას".

აი, ამხანაგებო ამას უნდა გაეწიოს ანგარიში იმიტომ, რომ ჩვენ დღეს საქართველოში კოლექტივებს გარეშე გვყავს ღარიბ და საშუალო გლეხების 80 პროცენტი.

დღეს სწორეთ შურისძიებას აქვს ადგილი: „რისთვის გადი კოლექტივიდან, შენ არაფერი გერგება, თუ სიმინდია — ეს კოლექტივში უნდა ეწყოსო". აი. ასეთი მიდგომა საკითხისადმი დაუშვებელი არის. ჩვენ არ უნდა გავამწვავოთ საკითხი. მართალია ჩვენ ვიცით, რომ გლეხები უეკველად უნდა შევიდნენ კოლექტივში, მაგრამ არა ისეთი წესით, რა წესითაც აქამდე შეიყვანეს.

აქ გამოვიდა ამხ. გვასალია და განაცხადა, რომ საკითხი პურეულითა და ხორცით მომარაგების შესახებ არ არის გადაჭრილიო. შემდეგ ის აცხადებს: ჩვენთვის უნდა გამოეგზავნათ 600 ათასი ფუთი სიმინდი. ამის მაგივრად მხოლოდ ნახევარი მივიღეთ და, თუ არ მივიღებთ დანარჩენს, პასუხს არ ვაგებთ იმისათვის, რაც ზუგდიდის მაზრის კოლექტივებში მოხდებაო. აქედან ჩვენ ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ თუ ზუგდიდის მაზრაში 300 ათასი ფუთი სიმინდი არ იქნა გაგზავნილი, მაშინ იქ კოლმეურნეობები დაინგრევა. ასე საკითხს დაყენება არ ვარგა. სიმინდი ზუგდიდს ესაჭიროება; აგრეთვე ქუთაისს. სამტრედიას. ყოფ. შორაპნის მაზრას, სენაკის მაზრას და სხვ. შესაძლებლობის ფარგლებში ყველას დავაკმაყოფილებთ. რის საშუალებაც არ გვექნება, იმას კი ვერაფერს შევპირდებით.

ერთი გარემოება კიდევ. ზოგიერთი ორგანიზაციები არ იჩენენ საკმაო ყურადღებას კოლმეურნეობათა მშენებლობისადმი. მე გადმომცეს ერთი ფაქტი: შარშან შემოდგომაზე აჭარისტანის კოლმეურნეობის ცენტრს ბიუჯეტის ხაზით მიეცა 11 ათასი მანეთი, რომელიც გაგზავნილ იქნა აჭარისტანის მიწათმოქმე-

დების სახ. კომისარიატის სახელზე. წარმოიდგინეთ, იქ ყოფილა ვინმე კეკელიძე, რომელსაც ეს სესხი დაუმალავს და არ გადაუცია დანიშნულებისამებრ. როდესაც ეს ამბავი შეიტყო კოლმეურნეობის ცენტრმა, გაასაჩივრა ტფილისში, მაგრამ თანხა იმდენად დიდხანს იდო გამოუყენებლად, რომ კრედიტი დაეხურათ.

კოლმეურნეობისადმი ცუდათ მოპყრობას მოწმობს აგრეთვე ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობის ცენტრი გამოუყვანიათ ბინიდან. სხვა ბინა არ მიუციათ და ის დღეს სადღაც დერეფანში არის მოთავსებული.

განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობების გამგეობაში ავტორიტეტიანი საქმის მცოდნე უპარტიო გლეხების ჩაბმას, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთ კუთხეებში ეს ასე არ ხდება. ეს კი დაუშვებელია. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ამ საქმეში ჩავაბათ როგორც პარტიული, ისე უპარტიო გლეხობა: ჩვენში ბევრია გამოცდილი. მცოდნე და ამ საქმით დაინტერესებული უპარტიო გლეხი; რათ არ უნდა გამოვიყენოთ ისინი?

შემდეგ, მარტო იმის თქმა საკმარისი არაა, რომ ამდენი გაკეთდა, ამდენი არის გაერთიანებულიო. ვიმეორებ ეს არ კმარა. ეხლა საჭიროა ვიცოდეთ, სად რა ხდება, სად რა სულისკვეთებაა. აი რა საკითხებს უნდა ექცეოდეს ყურადღება, აი რა უნდა იქნეს შესწავლილი.

ამხანაგებო, ზოგ კოლმეურნეობებში სხვათა შორის აი რა ნიადაგზეა გამოწვეული საშუალო გლეხების უკმაყოფილება. ჩვენ ვამბობთ, რომ კოლმეურნეობაში აუცილებლად უნდა ჩამოყალიბებულ იქნას ღარიბთა ჯგუფები. ეს გარემოება საშუალო გლეხს აღელვებს. ის ამაში ხედავს რაღაც შეთქმულებას მის წინააღმდეგ. იყო შემთხვევა. რომ საშუალო გლეხები მიდიოდენ ღარიბების კრებებზე, ღარიბები მათ არ უშვებდნენ, ამიტომ საშუალო გლეხები მიდიოდნენ და ცალკე აწყობდნენ კრებებს. უნდა ითქვას. რომ ღარიბთა ჯგუფები კოლექტივებში ის არ არიან. რაც საბჭოებში. რას წარმოადგენს ღარიბთა ჯგუფები კოლექტივებში? მათ მოვალეობას შეადგენს სწორედ იმ უთანხმოების მოსპობა, რომელიც ღარიბთა და საშუალო გლეხთა შორის გაჩნდა. ღარიბები კი ფიქრობენ რომ ყველაფერი უნდა გაერთიანდეს კოლმეურნეობაში, ეს ასე არ არის, ეს უნდა აუხსნათ ღარიბებს. რასაკვირველია, კოლმეურნეობაში არ არის თანასწორობა. ზოგს ჰგონია კოლმეურნეობა — ეს სოციალიზმიაო. ერთმა ამხანაგმა განაცხადა, რომ მე ვიყავი თქვენ კოლმეურნეობაში, მაგრამ იქ ვერაფერი სოციალიზმი ვერ ვნახეო. უნდა იცოდეთ ამხანაგებო. რომ კოლმეურნეობა სოციალიზმის მხოლოდ სკოლაა და არა სოციალიზმი.

## შეცდომების გულწრფელი აღიარება უზრუნველყოფს მის გამოსწორებას

ეხლა, რაც შეეხება თვითკრიტიკას. აქ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. შეცდომა იმდენად არ არის საშიში, რამდენადაც ამ შეცდომის არ ცნობა, ჯიუტობა. თუ შეცდომა გულწრფელად აღიარე, ის შემდეგ შეგიძლია გამოიყენო როგორც გაკვეთილი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ შეცდომას ფორმალურად ბევრჯერ ცნობენ. გულწრფელად კი არა.

ამხანაგებო. კიდევ ერთხელ უნდა განვაცხადო, რომ კულაკები და ანტისაბჭოთა პარტიები ჩვენში მუშაობენ. არ ისვენებენ და არც მოისვენებენ. სანამ ფიზიკურად არ განადგურდებიან. ეს ბრძოლა, რომელიც დღეს სწარმოებს. როგორც ვამბობდი ჩემს მოხსენებაში, მართლაც გადამწყვეტი ბრძოლაა. ეს ბრძოლა არა ისეთია როგორიც იყო წინეთ. აქ კულაკები ყოველგვარ ზომებს მიმართავენ, მოყიდვა იქნება ის, პროვოკაცია თუ სხვა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ქალების ორგანიზატორობაც მათ კარგად ჰქონიათ მოწყობილი. სამწუხაროდ. ჩვენ აქ სუსტი შევიქენით. განა ჩვენ არ გვაქვს მეტი უფლება, რომ ქალების ორგანიზატორად ჩვენ გამოვიდეთ? ეს დიდი ნაკლია. ის, რომ ჩვენ ვერ გამოვედით ქალების ორგანიზატორებად, იმათ ხელმძღვანელებად, ეს ნიშნავს ჩამორჩენილობას, მასებისაგან ჩამოშორებას. ამ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ქალთა შორის მუშაობა ერთ ძირითად ამოცანად უნდა დავისახოთ. ქალები აქტიურად უნდა ჩავაბათ საკოლმეურნეო მოძრაობაში. მათი აქტივობა კოლმეურნეობათა სასარგებლოდ უნდა წავმართოთ.

აი, ამხანაგებო, ის საკითხები, რომელზედაც მე მინდოდა შემეჩერებია ოქვენი ყურადღება. მე ვათავებ საბოლოო სიტყვას ამხ. სტალინის წერილში მოყვანილ შემდეგ მითითებით:

„ხელმძღვანელობის ხელოვნება სერიოზული საქმეა. არ უნდა ჩამორჩე მოძრაობას, რადგან ჩამორჩენა ნიშნავს მასებისაგან მოწყვეტას. მაგრამ არ ვარგა არც წინ გასწრება, რადგან წინ გასწრება ნიშნავს კავშირის დაკარგვას მასებთან. ვისაც სურს უხელმძღვანელოს მოძრაობას და ამასთანავე შეინარჩუნოს კავშირი მილიონიან მასებთან, მან უნდა აწარმოოს ბრძოლა ორ ფრონტზე — ჩამორჩენილობის წინააღმდეგ და წინ გასწრებულთა წინააღმდეგ". (ხანგრძლივი ტაში).

# შენიშვნები

# შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1) **ა. ხახანაშვილი.** ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი ცნობილი მკელევარი იყო. მან დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი. რის შემდეგ დაინიშნა (1888 წ.) ლაზარევის აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტში ქართული ენის და სიტყვიერების ლექტორად, ხოლო 1900 წლიდან კითხულობდა ლექციებს ქართული სიტყვიერების ისტორიის შესახებ მოსკოვის უნივერსიტეტშიც. ჰქონდა ასზე მეტი ნაბეჭდი ნაშრომი. რომელთაგან მთავარია: 1) Очерки по истории грузинской словесности (4 ტომი). 2) ქართული სიტყვიერების ისტორია (2 ტომი). 3) ბატონ-ყმობა საქართველოში. 4) Пределы расселения грузин в Малой Азии. 5) გუჯრები. 6) Дворянские родословные акты და სხვ. გარდაიცვალა 1912 წლის 6 ივლისს ქ. სამარაში.

2) **აღბუღა.** აღბუღა სამცხის და მთელი სამესხეთოს მთავარი იყო. მან შეადგინა კანონები. რომლებიც შეტანილია ვახტანგ მე-VI-ის კოდექსში. ცხოვრობდა მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისში.

3) **ურბნელი.** ურბნელი ნიკოლოზ ხიზანაშვილის ფსევდონიმი იყო. ის დაიბადა 1851 წელს. საისტორიო მწერლობაში მისი ფსევდონიმი იყო **ნ. ურბნელი,** ხოლო პუბლიცისტიკაში კი — plebs. მისი მთავარი ნაშრომებია: „ძველი ქართული ოჯახი" (გაზ. „დროება" 1885 წ. და „ივერია" 1886 წ.), „ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი". „გიორგი ბრწყინვალე", „დავით აღმაშენებელი და მისი დრო" (მოამბე" 1894 წ.) და სხვ. 1906 წელს დეკემბერში მოკლულ იქნა უცნობი პირის მიერ კერძო ნიადაგზე.

4) **„ქართლის ცხოვრება".** „ქართლის ცხოვრება" საქართველოს მატიანეა.

5) **ცეზარი.** იული ცეზარი რომის ცნობილი იმპერატორი იყო. ის დაიბადა 100 წ. „ქრისტეს დაბადებამდე". მოკლულ იქნა შეთქმულების გზით 44 წლის 15 მარტს სენატის შენობაში პომპეას თეატრის მახლობლად.

6) **ტაციტი.** რომის ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე იყო.

7) **ბროსე.** ბროსე მარი ივანეს ძე (1802 — 1880) გამოჩენილი ისტორიკოსი, მოდგმით ფრანგი იყო. ქართულის სწავლა ჯერ კიდევ პარიზში დაიწყო. 1836 წელს რუსეთის სამეცნიერო აკადემიის წევრად დაინიშნა ქართულსა და სომხურ კათედრაზე. მას აუარებელი ნაწერები აქვს ქართული მეტყველების ყველა დარგიდან. როგორიცაა ქართული ენა, სიტყვიერება, ისტორია. გეოგრაფია, არქეოლოგია და სხვ. მის მიერაა გამოცემული ფრანგულად ნათარგმნი „ქართლის

ცხოვრება", „ვახუშტის გეოგრაფია"; მასვე ეკუთვნის „ვეფხის ტყაოსანის" გამოცემაც და სხვ.

8) **ვახტანგის კანონები.** აქ იგულისხმება ქართლის მეფის ვახტანგ მე-VI კანონები. ვახტანგ მე-VI ჯერ განაგებდა ქართლის სამეფოს (1703 წლიდან 1712 წლამდე), ხოლო შემდეგ კი იყო ქართლის მეფე.

9) **გიორგი ბრწყინვალე.** გიორგი ბრწყინვალე საქართველოს მეფე იყო. მართავდა საქართველოს დაახლოვებით 1316 — 1334 წლებში. მის დროს დასავლეთი საქართველო კვლავ დაუკავშირდა აღმოსავლეთ საქართველოს. მის დროს და მისი ხელმძღვანელობით შედგენილ იქნა მთიულებისთვის „ძეგლის-ჭება" (კანონები).

10) **მეფე ბაგრატ მე-IV.** ბაგრატ მე-IV საქართველოს მეფე იყო. მართავდა საქართველოს 1027 — 1072 წლებში. აწარმოებდა მედგარ ბრძოლას მსხვილ ფეოდალებთან და მათ მეთაურთან ლიპარიტ ორბელთან, რომელსაც ეჭირა თიოთქმის ნახევარი საქართველო. ამ ბრძოლაში ის, ხანგრძლივი ცდის შემდეგ გამარჯვებული დარჩა.

11) **შიო მღვიმი.** შიო მღვიმელი იყო იოანე ზედაბნელის ერთ-ერთი მოწაფე. იოანე ზედაბნელი და მისი 12 მოწაფე მოვიდნენ ასურეთიდან საქართველოში და დააარსეს ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე მთელი რიგი მონასტრები. მათ შორის იყო შიო მღვიმელი შიო-მღვიმის მონასტრის დამაარსებელი. თავისი ცხოვრების მეტი წილი შიომ გაატარა მღვიმეში (ღრმად ამოთხრილ ჭაში).

12) **თ. ჟორდანია.** თედო ჟორდანია იყო საზოგადო მოღვაწე. ის დაიბადა 1854 წლის 20 აპრილს. სწავლა მიიღო სასულიერო აკადემიაში. სხვადასხვა დროს ის მასწავლებლობდა: სასულიერო სასწავლებელში და ტფილისის სასულიერო სემინარიაში. 1896 წლიდან ის გურია-სამეგრელოს და იმერეთის საეკლესიო სკოლების მეთვალყურე იყო. მას რამდენიმე შრომა აქვს: ქართული ენის გრამატიკა, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუთები, ისტორიული ქრონიკები და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ მან სკოლების მეთვალყურეობის დროს თავი ისახელა ქართული ენის დევნით სამეგრელოს სკოლებში. გარდაიცვალა თედო ჟორდანია 1916 წლის 23 ოქტომბერს სოფელ კასპში.

13) **დ. ფურცელაძე.** დიმიტრი ფურცელაძე გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე იყო და მუშაობდა საქართველოს ისტორიის დარგში. მას ეკუთვნის შემდეგი შრომები: „Краткое систематическое изложение уголовного законодательства Вахтанга VI", Тиф. 1866 г., Грузинские церковние гуджары", „Грузинские крестьянские грамоты" და სხვ.

14) **მეფე დავითი.** იგულისხმება საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი, რომელიც მართავდა საქართველოს 1089 — 1125 წლებში. მის დროს დამთავრდა საქართველოს ცალკე ნაწილების გაერთიანება ერთ სახელმწიფოთ.

15) **კაუცკი.** კარლ კაუცკი იყო მარქსიზმის უდიდესი თეორეტიკოსი და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამოჩენილი მოღვაწე 1914 წლის იმპერიალისტურ ომამდე. ის დაიბადა ქალაქ პრაღაში (ჩეხო-სლოვაკიის დედა ქალაქია); ჩამომავლობით ნახევრად ჩეხი, ნახევრად გერმანელია; უნივერსიტეტში შევიდა სამოცდაათიან წლებში და ამ დროს უკვე სოციალისტი იყო. 1880 წ.

გადავიდა ქალაქ ციურიხში (შვეიცარია) და ახლო თანამშრომლობას ეწეოდა სოციალისტურ პრესაში ედ. ბერნშტეინთან ერთად, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ ორტოდოქსალური მარქსისტი იყო. 1883 წელს მან დააარსა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო: „ნოიე ცაიტ" („ახალი დროება") და თანამშრომლობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოში: „ფორვერტს"ში („წინ"). თავისი მეცნიერული მუშაობა კაუცკიმ დაიწყო ფრ. ენგელსის უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ აგრძელებდა ჩვენი მასწავლებლების თეორეტიულ მუშაობას. როდესაც ბერნშტეინი შეუდგა მარქსის რევიზიას, მან დაუზოგველი კრიტიკით გაილაშქრა რევიზიონიზმის წინააღმდეგ. მისმა შრომებმა: „ერფურტის პროგრამა"-მ, რომელშიაც გადმოცემულია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამა, „აგრარულმა საკითხმა", „კარლ მარქსის ეკონომიურმა მოძღვრებამ" და მთელმა რიგმა ისტორიულმა შრომებმა, რომლებიც აშუქებდა წარსულ ხანებს კლასიურ ბრძოლის თვალსაზრისით, მოიპოვეს საერთაშორისო მნიშვნელობა. კაუცკის ავტორიტეტს არა ერთხელ მიმართავდენ საერთაშორისო სოციალიზმის წარმომადგენლები იმ რთულ სოციალ-ეკონომიურ პრობლემებისა და ტაქტიკურ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებსაც კი აყენებდა წინ ცხოვრების განვითარება. 1914 წლის იმპერიალისტური ომის დაწყებამდე ის ებრძოდა მარქსიზმის მემარცხენე რადიკალურ ფრთას, მაგრამ, როგორც კი დაიწყო ომი, ის დაიბნა, ვერ განაცხადა თავისი ავტორიტეტული პროტესტი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის შემთანხმებლური პოზიციის წინააღმდეგ და დაიკავა მეტად მერყევი პოზიცია „დამოუკიდებლებთან" ერთად: ის ცდილობდა დაეკავშირებია ერთმანეთზე ინტერნაციონალიზმი და სამშობლოს დაცვა. რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციას კაუცკიმ უარყოფითად შეხედა და გაილაშქრა საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ „მეცნიერული" კრიტიკით. ის ყველა საშუალებებით ცდილობდა დაეცვა დემოკრატია და პარლამენტარიზმი, რის გამო სულერთიანად დაეშვა შუმ რეფორმიზმამდე. ამჟამად კაუცკი გერმანიის სოციალ-დემოკრატიის წევრია (იხ. მის შესახებ ლენინის წიგნი: „პროლეტარული რევოლიუცია და რენეგატი კაუცკი").

16) **გაზ. „ისარი".** გაზეთი „ისარი", რომელიც გამოდიოდა 1907 წელს, ქართველი ფედერალისტების ორგანო იყო.

17) **კაუცკი.** იხილეთ შენიშვნა მე-15.

18) **ვლ. ილინი.** ვლ. ილინი ჩვენი ბელადის ვლადიმერ ილიას ძის ლენინის ფსეუდონიმი იყო.

19) **პეტრე მასლოვი.** პ. პ. მასლოვი (დაიბადა1867 წ.) სოციალ-დემოკრატი ეკონომისტი და პუბლიცისტი იყო. სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტში. 1888 წელს დატუსაღებულ იქნა სამი წლით, რის შემდეგ გადაასახლეს ქ. სამარაში. აქ ის სცემდა ოთხი თვის განმავლობაში 1896 წ. „Самарский Вестник"-ს, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდენ გამოჩენილი მარქსისტები, მათ რიცხვში ვ. ი. ლენინიც. შემდეგ ცხოვრობდა პეტერბურგში და თანამშრომლობდა „Начало"-სა, „Жизнь"-სა და სხვა ბეჭდვითი ორგანოებში. 1903 — 1908 წ.წ. გამოსცა „Аграрный вопрос". 1905 წლის შემდეგ ემხრობოდა მენშევიკების ლიკვიდატორულ ფრთას. ჩვენი პარტიის სტოკჰოლმის ყრილობაზე ჯონის სახე-

ლით გამოვიდა მომხსენებლად აგრარულ საკითხის შესახებ და იცავდა „მიწის მუნიციპალიზაციას" ლენინის მიერ წამოყენებული „ნაციონალიზაციის" წინააღმდეგ. 1914 წლიდან მემარჯვენე მენშევიკია.

20) **ფ. გოგიჩაიშვილი.** ფილიპე გოგიჩაიშვილი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. მან უმაღლესი სწავლა მიიღო საზღვარგარეთ. სახელდობრ. გერმანიაში. საქართველოში დაბრუნებისას მას კიდევ მოჰქონდა თავი მარქსისტად. მაგრამ მალე საკუთრივ შეაქცია ზურგი ამ მოძღვრებას და გადავიდა ნაციონალისტების ბანაკში. ილია ჭავჭავაძის შემდეგ ის რედაქტორობდა ნაციონალისტების „განახლებულ" ორგანოს „ივერიას". ამჟამად ფილიპე გოგიჩაიშვილი კითხულობს ლექციებს უნივერსიტეტში.

21) **გაზეთი „კავკაზ"-ი.** გაზეთი „კავკაზ"-ი იყო თვითმპყრობელობის კავკავსიის ხელისუფლების ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო.

22) **ეს წერილი** დაწერილია 1907 წელს. მაგრამ არ ყოფილა დაბეჭდილი ჩვენს პრესაში სხვადასხვა მიზეზების გამო.

23) **ეკატერინე II.** ეკატერინე II რუსეთის იმპერატორი-ქალი იყო. რომელიც მეფობდა 1762 წლიდან 1796 წლამდე.

24) **ალექსანდრე II.** ალექსანდრე II რუსეთის იმპერატორი იყო. ის ავიდა ტახტზე 1855 წელს ყირიმის ომის დროს. რომლიდან რუსეთი დამარცხებული გამოვიდა. და დასდო მძიმე საზავო ხელშეკრულება (1856 წლის პარიზის ხელშეკრულება). რითაც რუსეთს ეკრძალებოდა ფლოტის ყოლა შავ ზღვაში. მისი მეფობის დროს ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან სახელმწიფო აქტებს: 1) ბატონყმობის მოსპობა. რამაც დიდათ შეუწყო ხელი მრეწველობის განვითარებას და გაადიდა გლეხის შრომის ნაყოფიერება: 2) სასამართლოს რეფორმები. რითაც გაუქმებულ იქნა ძველი უპასუხისმგებლო სასამართლო: 3) 1864 და 1870 წ. წ. შემოღებულ იქნა საერობო და საქალაქო დებულებები, რომლებმაც გუბერნიების. მაზრების და ცალკე ქალაქების მცხოვრებთ მიანიჭა „თვითმართველობა". 4) დაწესებული იქნა ვექილთა ინსტიტუტი. შემოღებული საყოველთაო სამხედრო ბეგარა და სხვ. 1863 წ. პოლონეთის აჯანყების გავლენით. რომელიც სასტიკად იქნა ჩახშობილი ალექსანდრე მე-II მიერ. და აგრეთვე რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერების გამო. ბევრი ამ „რეფორმებიდან" შეკვეცილ იქნა. დაიწყო სუსხიანი რეაქციის ხანა: „რევოლიუციონერების სიკვდილით დასჯა და გადასახლება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. შედეგად ამისა. ალექსანდრე მე-II მოკლულ იქნა 1881 წლის 1 მარტს.

25) **პეტრე დიდი.** პეტრე პირველი ალექსის ძე (1672 — 1725) მოსკოვის უკანასკნელი მეფე და სრულიად რუსეთის პირველი იმპერატორი იყო. ის ცნობილია მით. რომ ხელი მოკიდა რუსეთის გაევროპიელებას. რისთვისაც მას ეგრედ წოდებული „ზაპადნიკები" რევოლიუციონერს უწოდებდენ. მან „ფანჯარა გასჭრა ევროპისკენ" და ფინეთის ყურეში მდინარე ნევას შესართავთან. სადაც მხოლოდ ჭაობი იყო. ააგო დიდი ქალაქი სანკტ-პეტერბურგი. რომელსაც ახლა ეწოდება ლენინგრადი.

26) **ტუგან-ბარანოვსკი.** ტუგან-ბარანოვსკი. მ. ი. (1865 — 1919) პროფესორი ეკონომისტი იყო. 90 წლებში ის „ლეგალური მარქსისტების" ჯგუფს ეკუთ-

ვნოდა და მალე გადაიქცა რევიზიონიზმის და მარქსის კრიტიკის გზით უბრალო ლიბერალად. მას აქვს დიდი კაპიტალური შრომა: „Русская фабрика" და სხვ.

27) **ბ. მასლოვი.** იხილეთ „შენიშვნა მე-19.

28) **ნიკოლოზ I.** ნიკოლოზ I პავლეს ძე (1796 — 1855) რუსეთის იმპერატორი იყო. ის ავიდა ტახტზე დეკაბრისტების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ 1825 წლის 14 დეკემბერს. თავისი სისასტიკის გამო მას უწოდებენ „ევროპის ჟანდარმს". მისი მეფობის დროს რეაქციამ უმაღლეს წერტილს-მიაღწია. ევროპის რეაქციის ინტერესებისათვის მან გაგზავნა რუსი ჯარისკაცები ჰუნგრეთში 1848 წლის რევოლიუციის ჩასაქრობად.

29) **მოხსენება აგრარული საკითხის შესახებ** გააკეთა ამხ. ფილიპე მახარაძემ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) (მაშინ კიდევ არ მიელო ჩვენს პარტიას სახელწოდება: „კომუნისტური") კავკასიის ორგანიზაციების პირველ საოლქო კრებაზე 1917 წ. ოქტომბერ-ნოემბერში.

30) **აი ეს რეზოლიუციაც:**

„მემამულეთა მიწათმფლობელობის არსებობა რუსეთში შეადგენს მათი ბატონყმური უფლების ნივთიერ საფუძველს და მონარქიის დადგენილების შესაძლებლობას. ეს მიწათმფლობელობა აუცილებლად იწვევს რუსეთის მცხოვრებთა უდიდეს ნაწილის გლეხობის სიღატაკეს. მონობას და სიბეჩავეს. აგრეთვე მთელი სახელმწიფოს ყოველმხრივ ჩამოქვეითებასაც.

გლეხთა მიწათმფლობელობა რუსეთში. როგორც სანადელო (სათემო. საკომლო) აგრეთვე კერძო. საიჯარო და ნაყიდი მიწა თავიდან ბოლომდე მთელს მის სიგრძე-სიგანეზე შებოქვილია ძველი ნაიკვრად ბატონყმური დამოკიდებულებით და ურთიერთობით. გლეხთა დახაწილებით სხვადასხვა ხარისხებად. მიწის დანაკუწებით. რაიც ბატონყმურ უფლების დროის ნაანდერძევია და სხვა ამგვარები. დაძველებული და მაენე ზღუდეების დანგრევის აუცილებლობა. აუცილებლობა მიწის განთავისუფლებისა,
გადაკეთება მიწათმფლობელობისა და მიწათმოქმედებისა და ყველა ურთიერთობათა სრულიად რუსეთისა და მსოფლიო მეურნეობის ახალ პირობების შესაფერად — ყოველივე ეს მიწების ნაციონალიზაციისაკენ გლახაკობის მისწრაფებათა ნივთიერ საფუძველს შეადგენს სახელმწიფოში.

როგორიც არ უნდა იყოს წარილბურჟუაზიული უტოპიები. რომლებშიაც ყველა ნაროდნიკული პარტიები და ჯგუფები ახვევენ გლეხთა ბრძოლას მემამულეთა ბატონყმურ მიწათმფლობელობის წინააღმდეგ და მთელი მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ყველა ბატონყმურ ბორკილების წინააღმდეგ საზოგადოთ რუსეთში. თავისთავად ეს ბრძოლა გამოხატავს სრულიად ბურჟუაზიულ-დემოკრატიულს. მარა უთუოდ პროგრესიულ და ეკონომიურად აუცილებელ მისწრაფებას ყველა ამ ბორკილების საბოლოოდ დამსხვრევისაკენ.

მიწის რაციონალიზაცია. როგორც ბურჟუაზიული საშუალება კაპიტალისტურ საზოგადოებაში ნიშნავს კლასობრივი ბრძოლის ყველაზე უფრო მეტად შესაძლებელ და წარმოსადგენ თავისუფლებას და მიწათსარგებლობის განთავისუფლებას ყველა ბატონყმურ ნაშთებისაგან.

გარდა ამისა, მიწის ნაციონალიზაცია, როგორც გაუქმება მიწის კერძო საკუთრებისა. ისეთი მძლავრი შერყევა იქნება წარმოების ყველა საშუალებათა კერძო საკუთრებისა საერთოდ, რომ პროლეტარიატის პარტიამ ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინოს ამ გარდაქმნას.

მეორე მხრით, შეძლებულმა გლეხკაცობამ რუსეთში უკვე დიდი ხანია წარმოშვა სოფლის ბურჟუაზიული ელემენტები და სტოლიპინის აგრარულმა რეფორმამ ეს ელემენტები უეჭველად გააძლიერა, გაამაგრა და განამტკიცა. იმავე დროს სოფლად ამგვარადვე გაძლიერდენ, გამრავლდენ სასოფლო მეურნეობაში დაქირავებული მუშები, პროლეტარები და მათთან ახლო მდგომი ნახევრად პროლეტარულ გლეხკაცობის მასა.

რაც უფრო საბოლოოდ და გადაჭრით დაინგრევა და მოისპობა ბატონყმური მიწათმფლობელობა, რაც უფრო საბოლოოდ და გადაჭრით განხორციელდება ბურჟუაზიული დემოკრატიული აგრარული გარდაქმნა რუსეთში, მით უფრო ძლიერ და სწრაფად განვითარდება კლასობრივი ბრძოლა სოფლის პროლეტარიატისა შეძლებულ გლეხკაცობის (სოფლის ბურჟუაზიის) წინააღმდეგ.

იმისდა მიხედვით შესძლებს თუ არა ქალაქის პროლეტარიატი გაიყოლიოს სოფლის პროლეტარიატი და შემოიერთოს აგრეთვე სოფლის ნახევრად პროლეტარული მასა, — ან ეს მასა გაყვება სოფლის ბურჟუაზიას, რომელიც გუჩკოვთან, მილიუკოვთან, კაპიტალისტებთან, მემამულებთან და კონტრრევოლიუციასთან საზოგადოდ — კავშირს ენატრება. — იმისდა მიხედვით გადაწყდება რუსეთის რევოლიუციის სვეტედი, რამდენადაც პროლეტარული რევოლიუცია ევროპაში, რომლის ნიშნებს ჩვენ უკვე ვამჩნევთ, იქონიებს რუსეთზე თავის პირდაპირ ძლიერ გავლენას.

კონფერენციამ, მიიღო რა მხედველობაში ასეთი კლასობრივი მდგომარეობა და ძალთა განწყობილება, დაადგინა:

1) პროლეტარიატის პარტია მთელი თავისი ძალღონით იბრძვის რუსეთის ყველა მემამულეთა (და აგრეთვე საუფლისწულო, საეკლესიო, საკაბინეტო და სხვადასხვა) მიწების დაუყოვნებლივ და სრულ კონფისკაციისათვის.

2) პარტია გადაჭრით მოითხოვს ყველა მიწების დაუყოვნებლივ გადაცემას გლეხთა დეპუტატების საბჭოებზე ან სხვა ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებზე. (რომლებიც სავსებით დემოკრატიული წესით არჩეული და მემამულეთა და მოხელეთაგან სრულიად დამოუკიდებელი იქნება) შეკავშირებულ გლეხკაცობის ხელში.

3) პროლეტარიატის პარტია მოითხოვს ყველა მიწების ნაციონალიზაციას სახელმწიფოში. ნაციონალიზაცია ნიშნავს, რომ მიწის საკუთრების უფლება გადავიდეს სახელმწიფოს ხელში, ხოლო მიწის განაწილების უფლება ადგილობრივ დემოკრატიულ დაწესებულებას დარჩეს.

4) პარტია გადაჭრით ებრძვის, როგორც დროებით მთავრობას, რომელიც შინგაროვის პირით და თავისი კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებით გლეხებს თავზე ახვევს „ნებაყოფლობით შეთანხმებას მემამულეებთან", ე. ი. ნამდვილ ბატონყმურ ხასიათის რეფორმას და გლეხებს „სასჯელით" ემუქრება „ძალადობისათვის" ე. ი. ემუქრება მცხოვრებთა უმცირესობის მხრით მემამულეთა და

კაპიტალისტთა ძალის მიტანას უმრავლესობაზე, აგრეთვე ნაროდნიკების და ს.-დ. მენშევიკების რუკვას, რომლებიც გლეხებს ურჩევენ დამფუძნებელ კრებამდე ხელი არ ახლონ მიწას.

5) პარტია ურჩევს გლეხებს შეკავშირებული ძალით ჩაიბარონ მიწა; მხოლოდ ისე კი, რომ ოდნავათაც არ გააფუჭონ ქონება და შეეცადონ წარმოების გადიდებას.

6) საერთოდ ყველა აგრარული გარდაქმნა მხოლოდ ნაშინ იქნებოდა საფუძვლიანი, მკვიდრი, როცა სახელმწიფოს სრული დემოკრატიზაცია მოხდება. ე. ი. ერთი მხრით როცა მოისპობა პოლიცია, მუდმივი ჯარი და პრივილეგიებით აღჭურვილი სახელმწიფო მოხელეობა, ხოლო მეორე მხრით, როცა ადგლობრივი თვითმართველობა დამყარებული ფართოდ დემოკრატიულ საფუძველზე, დამოუკიდებელი და ზევიდან ზედამხედველობისა და მზრუნველობისაგან თავისუფალი იქნება.

7) საჭიროა დაუყოვნებლივ და ყოველგან მოეწყოს ცალკე დამოუკიდებელი ორგანიზაციები სოფლის პროლეტარებისა, როგორც სამეურნეო მუშათა დეპუტატების საბჭოების სახით (აგრეთვე დეპუტატების განსაკუთრებული საბჭოების ნახევრად პროლეტარულ გლეხკაცობიდან) ისე პროლეტარულ ჯგუფთა და ფრაქციათა ორგანიზაციის სახით გლეხთა დეპუტატების საერთო საბჭოებში, ადგილობრივი თვითმართველობის ყველა ორგანოებში და სხვა...

8) პარტიამ მხარი უნდა დაუჭიროს იმ საგლეხო კომიტეტების მოქმედებას, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა ადგილებში სამეურნეო საქონელს და იარაღს უოიგებენ ამ კომიტეტში შეუკავშირებელ გლეხებს, რომ ეს საქონელი და იარაღი გამოყენებული იქნას ყველა მიწების დასამუშავებლად.

9) პროლეტარიატის პარტიამ უნდა ურჩიოს სოფლის პროლეტარებს და ნახევრად პროლეტარებს, რომ თითოეულ, ცალკე მამულიდან უნდა შესდგეს საკმაოისად მსხვილი სამაგალითო მეურნეობა, რომელიც უნდა აწარმოონ სასოფლო მეურნეობის მუშათა დეპუტატების საბჭოებმა საზოგადოების ხარჯზე აგრონომების ხელმძღვანელობით და საუკეთესო ტეხნიკურ საშუალებათა გამოყენებით".

ხოლო რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) **კავკასიის ხალქო ყრილობაზე მიღებული რეზოლიუცია აგრარულ საკითხზე** შემდგეგია:

„რუსეთის რევოლიუციის ერთ უმთავრეს კითხვათაგანს შეადგენს აგრარული (მიწის) კითხვა, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ბედ-იღბალი, როგორც რუსეთის მრავალმილიონიან გლეხობისა, აგრეთვე თვით რევოლიუციისა.

დროებითი მთავრობამ რევოლიუციის შვიდი თვის განმავლობაში არამც თუ ერთი ნაბიჯი არ წადგა წინ ამ კითხვის გადასაწყვეტად. არამედ იგი პირიქით შეეცადა მთლიანად დაეცვა როგორც მემამულეთა მიწის მფლობელობა, აგრეთვე არსებული ბატონყმური ურთიერთობა სოფლად.

ვიღებთ რდა მხედველობაში იმ მოსაზრებას, რომ აგრარული კითხვა რუსეთში და კერძოდ კავკასიაში გადაწყდება მხოლოდ მაშინ, როცა მთელი მიწა გადავა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში და

უდებს რა სარჩულად სრულიად რუსეთის ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) 1917 წლის აპრილის კონფერენციის დადგენილებას ამ კითხვის შესახებ. პირველი კავკასიის საოლქო ყრილობა რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკებისა) ადგენს:

1. პროლეტარიატის პარტია მოითხოვს ყველა მიწების ნაციონალიზაციას სახელმწიფოში, ე. ი. მიწა უნდა გადავიდეს მთელი ხალხის ხელში.

2. პარტიის აზრით დამფუძნებელი კრების მოწვევამდის მთელი მემამულეების მიწები მათ შორის: საკაბინეთო, საუფლისწულო, სახანო, საბეგო, სამაღალარო, სამონასტრო, საეკლესიო და სავაკუფო, უნდა აიღონ ხელში წინასწარ შემუშავებულ წესრიგით თვითონ გლეხთა დეპუტატების საბჭოებმა ანუ გლეხთა კომიტეტებმა, რომლების ხელში გადადის მთელი უფლება განკარგულებისა მიწის შესახებ.

3.საჭიროა, რომ დაუყოვნებლივ ყველგან, სოფელში თუ ოლქში, მოეწყოს გლეხთა საბჭოები ანუ კომიტეტები ზევით ჩამოთვლილ მიწების ხელში ჩასაგდებათ, როცა ეს მიწები იმათ სოფელში ანუ ოლქში მოჰყვებიან, იმავე საბჭოების ანუ კომიტეტების ხელში; იმავე წესით უნდა გადავიდეს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი როგორც ცოცხალი, აგრეთვე მკედარი. და რომ შეიძლებოდეს განვითარდეს ამ მამულებზე საუცხოო მეურნეობა, ამიტომ საჭიროა, რომ არავითარ შემთხვევაში არ წაახდინონ სარჩო-ქონება და ეცადნენ განავითარონ წარმოება; მოქმედების ერთი მეორესთან შესათანხმებლად საჭიროა, რომ გლეხთა საბჭოებმა ანუ კომიტეტებმა დააარსონ საგუბერნიო და საოლქო ორგანოები საბჭოების ანუ კომიტეტების სახით.

4) ყველა ჩამოთვლილი ღონისძიებანი შეიძლება იყოს მოყვანილი აღსრულებაში მხოლოდ რევოლიუციონურის გამოსვლით გლეხებისა წინააღმდეგ მემამულებისა და კაპიტალისტებისა და არა შეთანხმებით კონოვალოვებთან, როდიანკებთან და კორნილოვებთან, როგორც ესა ჰგონიათ მენშევიკებს და ესერებს წერეთლის, ჩერნოვის და სხ. მეთაურობით, რომელნიც მოუწოდებენ გლეხებს მომრიგებელი კამერებში მემამულეებთან. ამიტომაც საჭიროა, რომ გლეხობამ სულ ერთიანად შესწყვიტოს ყოველი კავშირი მომრიგებელ-ობორონცების პარტიებთან, მენშევიკ-ესერებთან, რომელთაც უღალატეს გლეხობას და მუშებს და შეჰკრეს უნამუსო კავშირი კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობასთან.

დასასრულ ყრილობა მოუწოდებს ყველა ამხანაგებს აუხსნან ღარიბ გლეხებს, რომ ერთად-ერთი პარტია, რომელიც ყოველგვარად მხარს უჭერს ღარიბ გლეხობის რევოლიუციონურ მოთხოვნილებას, ეს არის პროლეტარიატის პარტია, ანუ რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია, ე. ი. ბალშევიკების პარტია. მხოლოდ ეს პარტია შეუდარებლად და სრულიად იცავს ყველა მშრომელთა ინტერესებს, მხოლოდ ის იბრძვის ყველა ხალხების ძმობისთვის, ომის მალე გათავებისთვის და კაპიტალისგან დადგმულ უღლის მოსაშორებლად".

31) **აპრილის კონფერენცია.** რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) აპრილის კონფერენცია შესდგა 1917 წლის აპრილში ქალაქ პეტროგრადში.

32) **აქ იგულისხმება** რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (ბოლშევიკების) კავკასის ორგანიზაციების პირველი საოლქო კრებობა. რომელიც მოწვეულ იქნა 1917 წლის შემოდგომაზე.

33) **სტოლიპინი.** სტოლიპინი, პ. ა. (1864 — 1911) შინაგან საქმეთა მინისტრი იყო პირველ სახელმწიფო სათათბიროს ხანაში; პრემიერ მინისტრი 1906 — 1911 წ.წ. მან თავი ისახელა იმით, რომ მოაწყო კონტრ-რევოლიუციონური ტერორი სამხედრო-საველე სასამართლოების სახით. შეთხზა საქმე: „სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შეთქმულება" მე-II სახელმწიფო სათათბიროში; მოახდინა 1907 წლის 3 ივნისს გადატრიალება. რითაც მობილიზაცია უყო საზოგადოთ მემამულეთა („ზუბრები") და რეაქციონურ-ბურჟუაზიულ წრეებს. ატარებდა აგრარულ რეფორმას თემის (**община**) დარღვევით და „ძლიერი მეურნე გლეხის" (კულაკის) შექმნით. მოკლულ იქნა ქალაქ კიევში ჯაშუშ ბოგოროვის მიერ.

34) **აი ეს კანონი:** „დებულება სახაზინო, ყოფილ საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იურიდიულ პირთა და კერძო მიწათმფლობელთა მიწების საადგილ-მამულო კომიტეტებისათვის გადაცემის შესახებ.

1. რათა უზრუნველყოფილ იქნას მიწით უმიწაწყლო და ცოტა მიწის მქონე მშრომელი მიწის მომუშავე — ყველა სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო სამონასტრო, იურიდიული და კერძო პირთა მიწებიდან განსაზღვრულ ნორმაზე ზევით, რომლის რაოდენობა გადაწყვეტილი იქნება საგანგებოდ, დგება საგანაპირო (კრაეკოი) საადგილ-მამულო ფონდი, რომელიც გადადის საგანაპირო და საგუბერნიო ან საოლქო საადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1. საადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში არ გადადის ეზო და სამოსახლო.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2. უკეთუ მოხდება ნაციონალურ-ტერიტორიალურ პოლიტიკური გაერთიანება, მიწის ფონდის მართვა-გამგეობა გადადის ამა თუ იმ ტერიტორიის ნაციონალურ ტერიტორიალურ შესაფერ კომიტეტის განკარგულებაში. იმ მიწის გამოკლებით, რომელთაც საერთო სახელმწიფოებრივი ან საერთო საგანაპირო მნიშვნელობა აქვთ. ასეთი მიწები რჩება საგანაპიროთ („კრაეკოი") საადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 3. ამიერ-კავკასიის იმ ნაწილებში, სადაც განზოგადებულია ადმინისტრატიულად გადამიჯვნა, საგუბერნიო და საადგილ-მამულო კომიტეტები უნდა შედგენილ იქნან ასეთი გადამიჯვნის მოხდენის შემდეგ.

2. ხიზანთა დამოკიდებულება ისპობა. ის მიწები, რომლითაც ამჟამად ხიზნები სარგებლობენ, რჩება მათვე. მიწის ნორმა არ უნდა აღემატებოდეს კომიტეტის მიერ დაწესებულ ნორმას და უნდა ეთანხმებოდეს პირობებს, რომლებიც გამომუშავებული იქნება ამავე კომიტეტების მიერ. იმავ საფუძველზე უნდა დაკმაყოფილებულ იქნან „პოსელიანები" იმ მიწებით, რომლებითაც ისინი სარგებლობენ „ტაპის" და „არჩევის" უფლებით.

1918 წლის პირველ იანვრიდან ისპობა სანადელო მიწების გამოსასყიდი გადასახადი. რომელსაც ყოფილი დროებითი ვალდებული გლეხები და „პოსელიანები" იხდიდენ.

4. კერძო მიწის მომუშავე პირთა საჭიროების მიხედვით საადგილ-მამულო კომიტეტები ანაწილებენ ამ დებულების პირველ მუხლში აღნიშნულ მიწებს იმ მიწების გამოკლებით, რომლებიც შემდეგ მუხლებში ხელუხლებლად არიან აღიარებულნი. ასეთი მიწები გათვალისწინებული იქნება უმიწაწყლოთა ან ცოტა მიწის პატრონთა შორის იმის მიხედვით, როგორათაც გამორკვეული იქნება მიწის საჭიროება ამ პირთათვის. მიწის რაოდენობას, ნორმას და პირობებს იმუშავებს ამ შემთხვევაში, საადგილ-მამულო კომიტეტი.

5. მცხოვრებთათვის განაწილება არ შეიძლება: ა) ტყეების, სამადნო მიწების და წყლების. ამათი სარგებლობის წესი ცალკე იქნება გამოცემული; ბ) სახაზინო, ყოფილი საუფლისწულო, კერძო პირთა და სხვადასხვა მიწები საზაფხულო და საზამთრო საბალახოები, სახაზინო საიჯარო, მულანოს, კილიკოს და საოდაბადის და სხ. ველები, აგრეთვე ის მინდერები, რომლებსაც ესაჭიროება მოოწყვა ან გაშრობა ან სხვა მელიორაციული ზომები, რომლებსაც საგანაპირო („კრაევიო") საადგილ-მამულო კომიტეტის განკარგულებაში გადადის. ამ მიწების სარგებლობის წესს იმუშავებს და აწესებს საგანაპირო („კრაევიო") საადგილ-მამულო კომიტეტი.

6. ისეთ მიწებს, რომელთაც შეიძლება მივანიჭოთ განსაკუთრებული საბალხო სამეურნეო ღირებულება, ეკუთვნის: ა) რომლებიც იძლევიან მთელი რუსეთის ან ამიერ-კავკასიის ან კერძო რაიონების მცხოვრებთათვის მასიური მოხმარების ნაწარმოებს (პროდუქტს), რომელ პროდუქტს არსებულ პირობებში ვერ ამუშავებენ მიწის მომუშავენი. ან ამუშავებენ მცირე ნაწილს. რაც საკმაო ალის (მეურნეობა, მევენახეობა, მეხილეობა, ჩაის მოყვანა და სხ.); ბ) მეურნეობისათვის აუცილებელია ან მეტად საჭირო მის წარმოების საშვალებათა იარაღების შექმნა-გაკეთება (სასადგამურო პირუტყვის მოშენების. სათესლე. სანერგე ადგილები. სადაც ეს მასალები იყიდება); გ) რომელიც გვიჩვენებს. თუ როგორი გაუმჯობესებული ორგანიზაცია და ტეხნიკა უნდა ჰქონდეს მეურნეობას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ადგილობრივ საადგილ-მამულო კომიტეტების საგანაპირო („კრაევიო") ნებართვით უფლება ეძლევა შეავსოს იმ მამულთა კატეგორია, რომელთაც სახალხო სამეურნეო ღირებულება აქვს ადგილობრივ საჭიროებათა და პირობათა მიხედვით.

წინა მუხლებში აღნიშნული მამულები (მუხ. 5 და 6). რომელთაც არ აქვთ საერთო სახელმწიფოებრივი ან საერთო საგანაპირო (კრაევიო) მნიშვნელობა. გადაეცემათ ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებს საზოგადოებრივი მეურნეობის მოსაწყობათ.

3. საგანაპირო („კრაევიო") საადგილ-მამულო მიწათა ფონდის გამგებლობა. რომელიც ადგილობრივ საერობო ორგანიზაციების განკარგულებაში არ გადადის (მუხ. 5 და მუხ. 6). ეკუთვნის საგანაპირო („კრაევიო") საადგილ-მამულო კომიტეტს.

კითხვის განხილვა იმის შესახებ, თუ რამდენი მიწა უნდა გადაეცეს საადგილ-მამულო კომიტეტებს, რამდენი იქნეს დატოვებული მემამულის ხელში, რამდენი მიეცეს დასამუშავებლად მიწის მუშას და აგრეთვე რამდენი მიწა უნდა იქნეს დატოვებული გაუნაწილებელი და საზოგადოებრივ მეურნეობის საწარმოებლად და რამდენი გადაეცეს ერობებს — სამაზროს, საგუბერნიოს და საგანაპირო („კრაევოი"). როცა ერობა შემოღებული იქნება, ენიჭება საგანაპირო („კრაევოი") და საგუბერნიო სადგილ-მამულო კომიტეტებს. საბოლოოდ გადაწყვეტა ენდობა ცენტრალურ მთავრობას.

10. ამ დებულების განმარტება და აგრეთვე იმის განსაზღვრა, თუ რა წესით და თანდათანობით უნდა იქნას გადაცემული პირველ და მეორე მუხლში ნაჩვენები მიწები. როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი იმ საკულტურო საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოწესრიგების შესახებ, რომლის შესანახი სახსარი უნდა გადაიდოს საგანაპირო ფონდში ჩარიცხულ მიწების შემოსავლიდან და აგრეთვე ყოფილ დროებით ვალდებულთა სანადელო გადასახადების მოსპობა. სანამ ამ საკითხს დამფუძნებელი კრება გადასწყვეტდეს, მოხდება ცალკე ინსტრუქციით.

11. საზოგადო ხელმძღვანელობა და თვალყურის დევნება ამ დებულების 1 — 10 მუხლებში აღნიშნულ ზომების სისრულეში მოსაყვანად ევალება ამიერ-კავკასიის საგანაპირო საადგილ-მამულო კომიტეტის და უმაღლესი მთავრობის ორგანოს.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ე. პ. **გეგეჭკორი.**
მიწათმოქმედების სამინისტროს საქმეთა კომისარი ა. ბ. **ნერუჩევი.**

35) **გეგეჭკორი.** ევგენი გეგეჭკორი ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ბელადია. ის იყო მე-III სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი. წევრი სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკების) ფრაქციისა. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ იყო ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე, ხოლო საქართველოს (მენშევიკური) რესპუბლიკის დაარსების შემდეგ. მისი საგარეო საქმეთა მინისტრი. ამჟამად გაქცეულია მენშევიკურ მთავრობის სხვა წევრებთან ერთად საზღვარგარეთ.

36) **ნერუჩევი.** ნერუჩევი იყო ამიერ-კავკასიის კომისარიატის არსებობის დროს მიწათმოქმედების სამინისტროს საქმეთა კომისარად. მიმართულებით მემარჯვენე ესერი.

37) **სოციალისტ-ფედერალისტები.** „ქართველი ფედერალისტები, რომლებიც აგრეთვე სოციალისტ-ფედერალისტებს უწოდებენ თავიანთ თავს, — მეტად მერყეები. ჩამოუყალიბებელი პარტიაა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პარტია წარმოიშვა ჯერ კიდევ მე-XX საუკუნის დასაწყისში, 1905 წლის რევოლიუციამდე, მას ჯერ კიდევ არ გააჩნია რაიმე განსაზღვრული პოლიტიკური პლატფორმა: ის დღევანდლამდე ქანაობს უკიდურესს შ ო ვ ი ნ ი ზ მ ს, რომელიც ზოგჯერ კაცობრიობულებამდე აღწევს (ქართველი ფედერალისტების დამოკიდებულება ოსებისა, რუსებისა, სომხებისა და სხვებისადმი) და სოციალ-რეფორმიზმის შორის. სოციალისტ-ფედერალისტები, თუმცა ყველა თავიანთ გამოცემაში სწერენ, რომ ისინი რევოლიუციონურ პარტიას წარმოადგენენ, მაგრამ მათი რევოლიუ-

ციონერობა მხოლოდ წმინდა კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებათა და გამოსვლებში აშკარავდება. ამ ვაუბატონების რევოლიუციონურ. მყვირალა სიტყვებს. ისე როგორც მენშევიკებისაც. თან სდევთ კონტრ-რევოლიუციონური და რეაქციონული მოქმედებანი და საქმეები. ამ პარტიის სულისჩამდგმელნი (როგორც განსვენებული არჩილ ჯორჯაძე) როგორლაც ახერხებდენ ქართული ეკლესიის. ქართული ბურჟუაზიის, გლეხობის. მუშების ინტერესების დაცვის ერთად შეთავსებას. ქართველი ფედერალისტების პარტია პირველ ხანებში წარმოადგენდა მცირე ინტელიგენტურ წრეს პირებისას, რომელნიც თავისი სოციალური მდგომარეობით ეკედლებოდენ ან ბურჟუაზიას ან თავად-აზნაურობას. მაგრამ დაინახეს რა. რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა, ხოლო მეორეს მხრივ, სოციალისტური ფრაზეოლოგია. ამ ვაუბატონების მიერ თანდათან შეთვისებული. ავალებს მათ მშრომელ ხალხთან უფრო ახლო დგომას, ეს პარტია ბოლო დროს ცდილობს მუშებს და გლეხებს დაუახლოვდეს. ამასთან მხოლოდ ქართველ მუშებს და გლეხებს. ამგვარად ნაციონალისტური სარჩული ჰერმაფროდიტულ პარტიაში გადამჭრელ როლს თამაშობს. საერთოდ ფედერალისტები საქართველოში წარმოადგენენ მეტად სუსტ პარტიას. რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრებაში სრულიად უმნიშვნელო როლს თამაშობს. დამფუძნებელ კრებაში ეს პარტია რამდენიმე დეპუტატითაა წარმოდგენილი". (ფილიპე მახარაძე: „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში").

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენში სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ერთმა ნაწილმა რამდენიმედ შესცვალა დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასთან (გაზ. „ტრიბუნა"-ს ჯგუფი) და თანდათან დაუახლოვდა კომუნისტურ პარტიას. რის შემდეგ მიღებულ იქნა ჩვენს პარტიაში. მისი მთავარი ნაწილი კი მენშევიკებთან ერთად ეწევა არალეგალურ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად საქართველოში.

38) **დაშნაკელები.** „ეგრედწოდებული „რევოლიუციონური" პარტია „დაშნაკცუტიუნი" („კავშირი"). რომელიც წარმოიშვა თავდაპირველად ოსმალეთში დაახლოვებით 30 წლის წინად და რომელსაც პირველ ხანებში ჩეტნიკური ხასიათი ჰქონდა. თავის მიზნად ისახავდა უმთავრესად ოსმალეთში გადატრიალება მოეხდინა ოსმალეთის უღლისაგან სომეხი ხალხის გასანთავისუფლებლად. თავისთავად იგულისხმება, რომ „დაშნაკცუტიუნის" პარტიას არც სოციალიზმთან. არც პროლეტარულ რევოლიუციასთან საერთო არაფერი არ ჰქონია და არც აქვს. ის მხოლოდ ბრმა იარაღი იყო როგორც ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტების. ისე რუსეთის თვითმპყრობელობის ხელში. რომლებიც ოსმალეთში თავიანთ დაპყრობითი და მტაცებლურ მიზნებს მისდევდენ. დაშნაკელების ოიგები ივსებოდა უმთავრესად ინტელიგენციისგან და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში მუშებისა და გლეხებისაგან. ორგანიზაცია დაშნაკცუტიუნი" აღმოცენდა პირველად როგორც შეთქმულობითი ორგანიზაცია და მისი მოქმედების თითქმის ერთად-ერთი მეთოდი იყო ტეროორი — ცალკე პირების მკვლელობა". (ფილიპე მახარაძე: „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში").

39) **„ერთობა".** გაზეთი „ერთობა" გამოდიოდა 1917 წლიდან გაზეთ „თანამედროვე აზრის" მაგივრად ქ. ტფილისში. ის იყო მენშევიკების პირველად აქეერ-

კავკასიის საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო. ხოლო შემდეგ. როდესაც ჩვენი მენშევიკები ჩამოცილდენ რუსეთის მენშევიკებს და დააარსეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. „ერთობა" გადაიქცა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოთ. ის გამოდიოდა შეუწყვეტლად 1921 წლის მარტამდე. ე. ი. მენშევიკური ხელისუფლების დამხობამდე საქართველოში.

40) **„ბრძოლა"**. გაზეთი „ბრძოლა" ჩვენი პარტიის კავკასიის საოლქო კომიტეტისა და ტფილისის კომიტეტის ორგანო იყო. გამოდიოდა 1917 წელს და 1918 წლის დასაწყისში. სანამ ჩვენი ორგანიზაციები არ იქნა გადაყვანილი მენშევიკების მიერ არალეგალურ მდგომარეობაზე. პირველად ის გამოდიოდა კვირაში ერთხელ. ხოლო 1917 წლის ნოემბრიდან კი ყოველდღიურად.

41) **კადეტები**. კადეტები ეს ლიბერალური ბურჟუაზიის კონსტიტუციონურ-დემოკრატიული პარტიის შემოკლებული სახელწოდებაა. დაარსდა ის 1905 წლის ოქტომბერში: 1) ერობის მომხრე კონსტიტუციონალისტების — ლიბერალური მემამულეებისაგან და 2) „განთავისუფლების კავშირის" წევრებისაგან. ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინტელიგენციისა და თავისუფალი პროფესიის პირთა წარმომადგენლებისაგან. მათი პროგრამის ძირითადი მუხლებია: 1) პარლამენტარული მონარქია: 2) მემამულეებისათვის ჩამორთმეულ მიწებში სასყიდლის მიცემა და 3) მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება 8 საათის სამუშაო დროის დაშვებით იქ. სადაც ეს შესაძლებელია.

42) **მახლოვი** (პეტრე). იხილეთ შენიშვნა მე-19.

43) **წერეთელი**. ირაკლი (კაკი) წერეთელი ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკატია. ის იყო მე-II სახელმწიფო სათათბიროს წევრი და მეთაური სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა. რომელიც გასამართლებული იქნა თვითმპყრობელობის მიერ შეთხზულ ეგრედწოდებულ „სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შეთქმულობის" საქმის გამო და დაფანტული ციმბირში. ციმბირიდან წერეთელი დაბრუნდა თებერვლის რევოლიუციის შემდეგ და სათავეში ჩაუდგა მენშევიკ-ესერთა ბლოკს. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ის გამოიპარა საქართველოში და აქ აგრძელებდა რუსეთში წაგებულ ბრძოლას პროლეტარულ რევოლიუციის ხელმძღვანელთან. კომუნისტურ პარტიასთან. მაგრამ აქაც, ჩვენშიაც ვერ გაუძლო მან ბოლშევიკურ ტალღებს და იძულებული გახდა გახიზნულიყო საზღვარგარეთ. თავი შეეფარებია ბურჟუაზიულ ქვეყნებისთვის. დღეს ის საქართველოს მენშევიკებისა და მე-II ინტერნაციონალის ერთ-ერთი ხელმძღვანელია.

44) **ჩხენკელი**. აკაკი ჩხენკელი ქართველი მენშევიკების ერთი ბელადთაგანია. თებერვლის რევოლიუციამდე ის იყო დეპუტატად ბათომის ოლქიდან სახელმწიფო სათათბიროში. ამჟამად ის საზღვარგარეთ იმყოფება და ეწევა აგიტაციას ჩვენს წინააღმდეგ.

45) **ნოე ჟორდანია**. ნოე ჟორდანია ქართველი მენშევიკების ცნობილი ბელადია. ყოფილი მენშევიკურ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. ამჟამად ის იმყოფება საზღვარგარეთ. ბურჟუაზიულ საფრანგეთში და ეწევა აგიტაციას ჩვენს წინააღმდეგ.

46) **სეიმი.** აქ იგულისხმება ამიერ-კავკასიის სეიმი, რომელიც მოწვეულ იქნა ქართველი მენშევიკების თაოსნობით ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. მასში მონაწილეობას იღებდენ ის დეპუტატები, რომლებიც არჩეული იყვენ რუსეთის დამფუძნებელ კრებაში. ცოტა ხნის შემდეგ ეს სეიმი მენშევიკებმა დაშლილად გამოაცხადეს. ვინაიდან ამიერ-კავკასია დაყვეს ცალკე რესპუბლიკებად.

47) **იხილეთ** შენიშვნა მე-34.

48) **აბილო.** ბაქოელი მენშევიკების ერთ-ერთი ბელადი 1917 წელს.

49) **ხომერიკი.** ნოე ხომერიკი ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ბელადი. მენშევიკების ბატონობის დროს ის იყო მენშევიკური საქართველოს მიწათმოქმედების მინისტრი. 1924 წელს დახვრეტილ იქნა მენშევიკურ ავანტიურასთან დაკავშირებით.

50) **ხტოლიპინი.** იხილეთ შენიშვნა მე-33.

51) **დურნოვო.** პ. ნ. დურნოვო იყო შავრაზმელი მოღვაწე ალექსანდრე მე-III დროს ის იყო შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი და განაგებდა პოლიციას. 1905 წ. შევიდა ვიტეს კაბინეტში შინაგან საქმეთა მინისტრად. ვიტეს კაბინეტის დაცემის შემდეგ შევიდა სახელმწიფო საბჭოში, სადაც უკიდურეს მემარჯვენეთა ბელადი იყო.

52) **ტრეპოვი.** დ. ტრეპოვი დ. 900-იანი წლების დასაწყისში მოსკოვის პოლიციმეისტერი და „ზუბატოვშჩინის" მფარველი იყო. 1905 წელს დანიშნულ იქნა პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორად და სახელი გაითქვა 1905 წლის ოქტომბერში ჯარებისადმი გაცემული ბრძანებით დემონსტრანტების დაცვრეტის შესახებ („არ დაზოგოთ ვაზნები"). 1905 წლის შემდეგ ტრეპოვი დანიშნულ იქნა ჟანდარმთა კორპუსის შეფად და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

53) **ჩხეიძე.** კარლო ჩხეიძე ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ბელადი იყო. მან დიდათ ისახელა თავი თავისი გამოსვლებით სახელმწიფო სათათბიროში. ის იყო მე-III და მე-IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი და სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკების) ფრაქციის ბელადი, განსაკუთრებით იმპერიალისტური ომის დაწყებამდე. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ის იყო შემთანხმებლურ ბჭეშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე პეტროგრადში. მენშევიკების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ის იყო ჯერ საქართველოს დამფუძნებელი კრების, ხოლო შემდეგ კი პარლამენტის თავმჯდომარე. 25 თებერვლის გადატრიალების შემდეგ ის სხვა მენშევიკებთან ერთად გაიქცა საზღვარგარეთ, მაგრამ მან ვერ აიტანა მენშევიკების ავანტიურისტული ეფაქცევა განსაკუთრებით 1924 წელს მენშევიკების მიერ მოწყობილ ავანტიურის შემდეგ და თავი მოიკლა 1926 წელს.

54) **ჩხენკელი.** აკაკი ჩხენკელი ქართველი მენშევიკების ერთი ბელადი იყო. თებერვლის რევოლიუციამდე ის იყო დეპუტატად ბათომის ოლქიდან სახელმწიფო სათათბიროში. ამჟამად ის საზღვარგარეთ იმყოფება და ეწევა აგიტაციას ჩვენს წინააღმდეგ.

55) **გეგეჭკორი.** ევგენი გეგეჭკორი ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ბელადია. ის იყო მე-III სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, წევრი სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკების) ფრაქციისა. 1917 წლის თებერვლის რევოლიუ-

ციის შემდეგ იყო ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე, ხოლო საქართველოს (მენშევიკური) რესპუბლიკის დაარსების შემდეგ მისი საგარეო საქმეთა მინისტრი. ამჟამად გაქცეულია მენშევიკური მთავრობის სხვა წევრებთან ერთად საზღვარგარეთ.

56) **ჟორდანია.** ნოე ჟორდანია ქართველი მენშევიკების ცნობილი ბელადია. ყოფილი მენშევიკურ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე. ამჟამად ის იმყოფება საზღვარგარეთ, ბურჟუაზიულ საფრანგეთში და ეწევა აგიტაციას ჩვენს წინააღმდეგ.

57) **ჩხენკელი.** აკაკი ჩხენკელი ქართველი მენშევიკების ერთი ბელადია. თებერვლის რევოლიუციამდე ის იყო დეპუტატად ბათომის ოლქიდან საბელმწიფო სათათბიროში. ამჟამად ის საზღვარგარეთ იმყოფება და ეწევა აგიტაციას ჩვენს წინააღმდეგ.

58) **იხილეთ** შენიშვნა მე-34.

59) **ჟორდანია.** იხილეთ შენიშვნა მე-56.

60) **აი ეს კანონიც:**

„მიწისმფლობელთა ხელში დატოვებულ მიწის ნორმა და საადგილ-მამულო რეფორმის განსახორციელებელი ზომები.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ 1917 წ. 16 დეკემბერს შემუშავებული დებულების სახაზინო, საუფლისწულო, სამინისტრო და კერძო მიწების კომიტეტებზე გადაცემის შესახებ. შესავსებად კომისიამ დაადგინა:

1) ყველა კერძო მეპატრონეთა მიწები, გარდა იმ მიწებისა, რაც აღნიშნულია შემდეგ სტატიაში (2) ჩამოერთმევა მეპატრონეთ და სრულიად უფასოდ გადავა საადგილ-მამულო ფონდში, რომელიც საადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში იქნება.

2) ჩამორთმეულ მამულების მეპატრონეთ დაუტოვებენ:

ა) 7 დესიატინას, თუ ამ რაიონში ეწევიან ძვირფას კულტურის მეურნეობას.

ბ) 16 დესიატინას, უკეთუ მარტო პურის თესვას მისდევენ ამ რაიონში.

გ) და 40 დესიატინას უკეთუ შინაურ საქონლის მოშენებას მისდევენ.

შენიშვნა 1: საოლქო და საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტებს უფლება ეძლევათ ადგილობრივ პირობების მიხედვით ამ სტატიის ძალით მიწის მეპატრონეზე დატოვებულ მიწების ზომა გაადიდოს: როცა პირველ კატეგორიის მამული ჩამოერთმევა 10 დესიატინამდე, როცა მეორე კატეგორიის 20 დესიატინამდე და მე-3 50 დესიატინამდე.

შენიშვნა 2: მეპატრონეზე დატოვებულ მიწის ზომაში შედის სამოსახლო ადგილებიც.

3) ხაზინების და ჩამოსახლებულების მიწები, რომლებითაც ისინი „ტაბუ"რ უფლებით სარგებლობენ. მათ რჩებათ. მხოლოდ იმდენი, რამდენიც აღნიშნულია მეორე სტატიაში.

4) რომ კერძო პირთაგან, მონასტრების სახაზინო და საუფლისწულო ჩამორთმეულ მიწების კომიტეტებზე გადაცემა ჩქარა მოხდეს, მიწათმოქმედების სამინისტროს კომისარს უფლება ეძლევა გაგზავნოს ადგილობრივ საგანგებო

რწმუნებულნი, რომელთაც განსაკუთრებული უფლებები ექნებათ და იმოქმედებენ ამიერ-კავკასიის სეიმის სახელით.

5) ამ რწმუნებულებს უფლება ეძლევათ: დააარსონ საადგილ-მამულო კომიტეტები იმ ადგილებში, სადაც არ არის. ამ კანონის გამოცხადების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში დაითხოვოს არსებული კომიტეტები, უკეთუ იგინი შესაფერად ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, შეადგინონ ახალი და მიიღონ საჭირო ზომები დავალებულ საქმის ასასრულებლად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1) საადგილ-მამულო კომიტეტში არ შეუძლიათ ისეთი პირნი შევიდენ, რომლების მამულები კომიტეტებს უნდა გადაეცეს.

6) უკეთუ მიწის რეფორმების განხორციელების დროს ვინმემ წინააღმდეგობა გაუწია დანაშაულობისდაგვარად დაისჯებიან: 1 — 4 თვის დატუსაღებით, ან ყოველივე უფლების ჩამორთმევით და 1 — 4 წლამდე კატორღაში გაგზავნით.

7) ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წ. 16 დეკემბრის დებულების 1 სტატიის და 1 და 3 შენიშვნა უქმდება.

8) ეს კანონი ძალაში შედის იმ დღიდან, რა დღიდანაც მას ამიერ-კავკასიის სეიმი მიიღებს".

61) **აი ეს კანონი:**

„ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის 2 მაისის კანონი ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წლის 16 დეკემბრის დებულებისა და ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის 7 მარტის კანონის დამატებით.

„ამიერ-კავკასიის კომისარიატის 1917 წ. 16 დეკემბრის დებულების, რომელიც ეხება ყოფილი საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო, იერიდიულ პირებისა და კერძო მესაკუთრეების მიწის კომიტეტებზე გადაცემას და ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წლის 7 მარტის კანონის დამატებით, რომელიც განსაზღვრავს მესაკუთრეთათვის დატოვებული მიწების ნორმას და შეიცავს მიწის რეფორმის გატარების საშუალებებს — ამიერ-კავკასიის სეიმი ადგენს:

1. არ შეიძლება ჩამორთმეული და განაწილებული იქნენ მიწები, რომელიც შეადგენს საკუთრებას: აგრონომიულ, სასკოლო, კულტურულ-განმანათლებელ, საქველმოქმედო-საავადმყოფო და სხვა დაწესებულებათა, რომლებსაც აქვთ საზოგადოებრივი მნიშვნელობა. თუ კი ეს მიწები მიწათმოქმედების მინისტრის მიერ დაინტერესებულ უწყებებით ან შეთანხმებით, ცნობილი იქნება უწყებათათვის აუცილებლად მათზე დაკისრებულ მიზნების განსახორციელებლად.

2. მცხოვრებთა შორის გასანაწილებელი მიწის ფონდიდან გამოყოფილი იქნება:

ა) მიწის ნაკრები, რომელიც ცნობილი იქნება ბუნებრივ ძეგლებად და ხელუხლებელად და ბ) ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობის მიწები, როგორიც არის: ქალაქების ნაგრევები, ადგილები, რომელშიაც სწარმოებს თხრა და კვლევა-ძიება არქეოლოგიურის მიზნით, ისეთი სამოსახლოები, რომლებსაც აქვს მნიშვნელობა ხალხის კულტურული დიდებისა და ხელოვნების ძეგლისა, ნაგებენებული ძველი ეკლესიები, მონასტრები და მეჩეთები, სასაფლაოები, ძველი ციხე-კოშკები და სხვა ასეთი ძეგლები იმ ზომითა და სივრცით, რაც აუცილებელი იქნება მათი ისტორიული ღირებულების შესანარჩუნებლად.

შენიშვნა: მეორე სტატიაში ნაგულისხმები მიწების სიები უნდა გამოქვეყნებულ იქნეს ყველასთვის გასაგებად.

3. მიწების ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს და აგრეთვე მიწის ადგილობრივ კომიტეტებს საოლქო კომიტეტის ნებართვით, უფლება ეძლევათ გამოყონ მცხოვრებლებზე გასანაწილებელი მიწის ნაკვეთები. რომელიც, შესაძლებელია, ამ კანონის გამოცემის დროს არ წარმოადგენენ განსაკუთრებულ სახალხო-სამეურნეო ღირებულებას (მე 6 სტატია 1917 წლის 16 დეკემბრის დებულებისა), მაგრამ აუცილებლად საჭირო იქნება სასოფლო სამეურნეო განათლებისა და სხვა რომელიმე საზოგადოებრივი მნიშვნელობის მიზნების განსახორციელებლად.

4. კერძო პირთაგან კონფისკაცია ყოფილი მიწები. ან მათი ნაწილები, რომლებსაც ექნებათ განსაკუთრებულ სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, შეიძლება საოლქო ან ქვემდებარე საგუბერნიო მიწის კომიტეტების მიერ და. სადაც ეს უკანასკნელები არ არსებობენ, მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით, დროებით დაეტოვოს ძველ პატრონს ამ მამულის ძველ დონეზე შენახვის მიზნით მიწის კომიტეტის კონტროლის ქვეშ ძველ მფლობელთან შეთანხმებით და მიწათმოქმედების მინისტრის მიერ დამტკიცებით".

**62) ამიერ-კავკასიის სეიმის მიერ 1918 წლის 17 მარტს მიღებული ეს კანონი შემდეგია:**

„კანონი, ჩამორთმეულ მიწების პატრონთა სამეურნეო ინვენტარის რეკვიზიციის შესახებ.

ამიერ-კავკასიის სეიმის მიერ 1918 წ. 7 მარტს მიღებულ კანონის შესაბამ-ბად, რომლითაც განისაზღვრება მემამულეთა ხელში დატოვებულ მიწების ნორმა და მიწის რეფორმის ცხოვრებაში გატარების ზომები, დადგენილ იქნას:

1) სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტებს და, სადაც ასეთები არ არის. მიწათმოქმედების სამინისტროს რწმუნებულთ უფლება ეძლევათ მიწების ჩამორთმევის დროს ჩამოართვას მემამულეებს ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი. თუ ეს საჭიროდ დაინახეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაცვისა და განვითარებისათვის გარდა იმისა. რაც საჭიროა თვით მემამულესთვის დატოვებულ მიწის დასამუშავებლად.

2) ჩამორთმეულ ინვანტარში მემამულეს მისცემენ სასყიდელს. რომელიც განისაზღვრება მინისტრის მიერ დადგენილ წესით.

3) საადგილ-მამულო კომიტეტებს ან მიწათმოქმედების მინისტრის რწმუნებულებს შეუძლიათ ჩამორთმეული ინვენტარი ან თვითონ დაიტოვონ და ან გადასცენ იმ მიწის მუშებს. რომლებიც საჭიროებას განიცდიან. საკუთრებად ან დროებით განსაზღვრულ ფასებში.

ყოველ იმ შემთხვევების დროს. როდესაც ინვენტარის რეკვიზიციას ახდენენ. სამაზრო კომიტეტები ვალდებულნი არიან დაწერილებითი აღწერით წარუდგინონ ცნობა საგუბერნიო კომიტეტს და თან ისიც უნდა აცნობონ. თუ როგორ განაწილეს ეს ინვენტარი.

5) ეს კანონი ძალაში შედის იმ დღიდან. რა დღიდანაც მას სეიმი მიიღებს"

**63) იხილეთ შენიშვნა მე-61.**

64) **ფორდანია.** იხილეთ შენიშვნა მე-56.

65) **ალნიშნული კანონი** შემდეგია:

„კანონი, ყოფილ სანადელო სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადებისა.

1) ის სანადელო ადგილები, რომლების დამტკიცება ვერ მოსწრეს ყოფილ დროებით ვალდებულმა ვლეხებმა და სახელმწიფო „პოსელიანებმა“ 1912 წ. დეკემბრის 20-ს კანონის ძალით და რომლებიც მათ სარგებლობაში იყო „უსტავნი გრამოტებით“, გამოცხადებულ იქნას მათ კერძო საკუთრებად.

2) იმ ნორმის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია ა/კ. სეიმის 1918 წ. მარტის 7 კანონის მეორე მუხლით გამოცხადდეს კერძო საკუთრებად:

ა) ყოფილ სახაზინო გლეხების, ან სოფლის, საზოგადოების ის სახაზინო მიწები, რომელიც მათ საშვილიშვილო სარგებლობაში იმყოფება.

ბ) ყოფილ ხაზინათა მიწები, რომელიც არის მათ სარგებლობაში სახაზინო უფლებით.

გ) გორის მაზრის მთლიან ოსეთის ნაწილის ყოფილ გლეხთა მიწები, რომელიც არის მათ სარგებლობაში ე. წ. „ვორონცოვის უფლების“.

დ) ახალციხის და სხვა ადგილების ყოფილ გლეხთა ის მიწები, რომელიც არის მათ სარგებლობაში ტაპის უფლებით.

ე) სოხუმის ოლქის ყოფილ გლეხთა ის მიწები, რომელიც მათ მიცემული ჰქონდათ 1870 წ. ნოემბრის 8 დებულების წესით.

ვ) იმავე სოხუმის ოლქში მცხოვრებ პირთა ის მიწები, რომელიც მათ მიცემული ჰქონდათ 1900 წ. მაისის პირველს და კანონით საშვილიშვილო სასარგებლოდ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: უკეთუ საერობო ან საადგილ-მამულო გამგეობა აღძრავს შუამდგომლობას, მიწათმოქმედების მინისტრს ნება აქვს კერძო შემთხვევაში ამ ორ მუხლში მოხსენებული ნორმა შესცვალოს.

3) ამ კანონის პირველ და მეორე მუხლში აღნიშნული ადგილების მფლობელთ არ გადახდებათ მიწის ფასი, მხოლოდ დაეკისრებათ დამტკიცების და დაყორღნის ხარჯები.

4) საკუთრების დასამტკიცებელ აქტის მისაღებად ისინი ისარგებლებენ იმ წესით, რომელიც განსაზღვრულია იმათთვის, ვისაც სახელმწიფო ფონდის მიწები მიეყიდებათ.

1919 წ. იანვრის 28, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ამხანაგი ექვთიმე თაყაიშვილი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია“.

66) **თავადი ლევანი.** თავადი ლევანი 1917 წ. კერენსკის კოალიციონურ მთავრობამდე არსებულ დროებითი მთავრობის თავმჯდომარე იყო.

67) **„მიწა“.** გაზეთი „მიწა“ რომელიც გამოდიოდა 1920 წელს. საქართველოს მსხვილ მიწათმფლობელთა ბეჭდვითი ორგანო იყო.

68) **ხომერიკი (ნოე).** იხილეთ შენიშვნა მე-49.

69) **ჟორდანია (ნოე).** იხილეთ შენიშვნა მე-59.

70) **რამიშვილი (ნოე).** ნოე რამიშვილი ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ბელადია. საქართველოს მენშევიკური რესპუბლიკის არსებობის დროს ის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო და სახელი გაითქვა მუშა-ბოლშევიკების დევნით. ამჟამად იმყოფება ბურჟუაზიულ საფრანგეთში და ერთ-ერთი სულისჩამდგმელია ანტისაბჭოთა კამპანიისა.

71) **დგებუაძე.** დგებუაძე იყო მენშევიკების გვარდიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ცნობილია თავისი ჯალათობით აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ.

72) **გოგუაძე.** გოგუაძე მენშევიკური სახალხო გვარდიის ხელმძღვანელი იყო. ის იყო მენშევიკ ჯუღელის მარჯვენა ხელი და მასთან ერთად თავი ისახელა აჯანყებული გლეხების აწიოკებით.

73) **ეს თავი** ამოღებულია ამსანაგ ფილიპეს წიგნიდან: „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში", რომელიც გამოიცა 1920 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე.

74) **საქართველოს რევკომის დეკრეტი** მიწის შესახებ იხილეთ მე-102 გვერდზე.

75) **ე. ი. რუსეთის თვითმპყრობელური მეფეების.**

76) **იმ** დროს ამხ. ფილიპე საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი იყო.

77) **სტოლიპინი.** იხილეთ შენიშვნა მე-33.

78) **იგულისხმება ცნობილი დეკრეტი** მიწის შესახებ, რომელიც გამოსცა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ 1917 წელს ოქტომბრის გადატრიალების **პირველ** დღესვე. აი ეს დეკრეტი: „დეკრეტი მიწის შესახებ".
მეორე დღესვე. აი ეს დეკრეტი: „დეკრეტი მიწის შესახებ". (მუშათა და სალდ. დეპუტ. საბჭოების ყრილობისა). მიღებულია 26 ოქტომბრის სხდომაზე ღამის 2 საათზე.

1. მემამულეთა მიწისმფლობელობა ისპობა დაუყოვნებლივ გამოუსყიდავად.

2. მემამულეთა მიწები. აგრეთვე საუფლისწულო, სამონასტრო და საეკლესიო მიწები ყოველის ინვენტარითა და შენობებით გადადის სოფლის საზოგადოებათა (ვოლოსტების) საადგილ-მამულო კომიტეტების და სამაზრო გლეხთა დეპუტატების საბჭოთა განკარგულებაში დამფუძნებელ კრებამდე.

3. ყოველი დაზიანება ჩამორთმეულ ქონებისა. რომელიც ამიერიდან მთელი ხალხის საკუთრებაა, მძიმე დანაშაულობაა, რისთვისაც დამნაშავე სასტიკად იქნება დასჯილი სარევოლიუციო სასამართლოს მიერ.

გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოები მიიღებენ ყოველ საჭირო ზომას სრული წესიერების დასაცავად და მემამულეთა მიწების ჩამორთმევის დროს არკვევენ, როგორი მიწები და რამდენი უნდა იქნეს ჩამორთმეული, შეადგენენ მთელი ჩამორთმეული ქონების აწერილობას და სასტიკად დაიცავენ ხალხის ხელში გადასულ ქონებას მთელი მათი შენობებით. იარაღით. პირუტყვით. სურსათით და სხვა.

4. ამ დიდი საადგილ-მამულო რეფორმის განხორციელების დროს სახელმძღვანელოდ, სანამ ის საბოლოოდ დამტკიცდებოდეს დამფუძნებელი კრების

მიერ. უნდა მიღებულ იქნეს შემდეგი „ნაკაზი" (დარიგება). რომელიც შეიმუშავა მთელი რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს „უწყებათა" რედაქციამ:

მიწის საკითხის სავსებით გადაჭრა შეუძლია მხოლოდ სახალხო დამფუძ-ებელ კრებას.

ყველაზე უფრო სამართლიანი გადაწყვეტა მიწის საკითხისა ასეთი. უნდა იყოს:

1. სამუდამოდ ისპობა მიწის კერძო საკუთრება. მიწა არ შეიძლება გაიყიდოს. არც იყიდოს ვინმემ, არც იჯარით იქნეს გაცემული; არც დაგირავებული ან სხვა რაიმე წესით ვანთვისებული. მთელი მიწა: სახელმწიფო. საუფლისწულო. საკაბინეტო. სამონასტრო. საეკლესიო, პოსესიური. სამაიორატო. კერძო. საზოგადო გლეხთა და სხვა გადადის უსასყიდლოდ ხალხის საერთო კუთვნილებად და მიეცემა დასამუშავებლად ყველა მშრომელს.

ვინც დაზარალდება ამ ცვლილების გამო. უფლება აქვს მიიღოს საზოგადოებრივი დახმარება დროებით. ვიდრე შეეგუებოდეს არსებობის ახალ პირობებს.

2. მიწის გულის მთელი სიმდიდრე — მადანი, ნავთი. ქვანახშირი. მარ[illegible] და სხვა. აგრეთვე ტყე და წყალი. რომელსაც საერთო სახელმწიფოებრივი მნ[illegible]ვნელობა აქვს. გადადის სახელმწიფოს სარგებლობაში. ყველა მცირე მდინარეები. ტყე და სხვა გადადის თემთა სარგებლობაში, ხოლო მათი განკარგულება იქნება ადგილობრივ თვითმართველობათა ხელში.

3. მაღალი კულტურული მეურნეობის მიწები-ბაღები, პლანტაციები საინერგეები, ორანჟერეები და სხვა არ დანაწილდება, არამედ დარჩება სამაგალითო საცდელ მეურნეობად და გადაეცემა სასარგებლოდ ან სახელმწიფოს ან თემს მისი რაოდენობისა და მნიშვნელობის მიხედვით.

სამოსახლო მიწა ქალაქსა და სოფელში. საშინაო ბაღჩა-ბაღებით და ბოსტნებით დარჩება დღევანდელ პატრონების ხელში. ხოლო რაოდენობა ამ მიწებისა და გადასახადი მათი სარგებლობისათვის დაწესებული იქნება საკანონმდებლო წესით.

4. ცხენის ზავოდები ხაზინის და კერძო, სხვადასხვა ჯიშის საქონლის ან ფრინველის მოსაშენებელი ქარხნები ჩამოერთმევა და გადაეა ან სახელმწიფოს. ან თემის სასარგებლოდ. რაოდენობისა და მნიშვნელობის მიხედვით.

გამოსყიდვის საკითხს გადასწყვეტს დამფუძნებელი კრება.

5. მთელი საძეურნეო ინვენტარი ჩამორთმეულ მიწებისა გადადის სახელმწიფოს ან თემის სარგებლობაში. ინვენტარი არ ჩაოერთმევათ მცირე მიწის მფლობელ გლეხებს.

6. მიწით სარგებლობა შეუძლიან რუსეთის სახელმწიფოს ყოველ მოქალაქეს (განურჩევლად სქესისა). რომელმაც უნდა დაამუშავოს მიწა საკუთარის შრომით, თავის ოჯახის წევრების დახმარებით ან ამხანაგობის საშუალებით. და იმ დრომდე, სანამ შეუძლიან მიწის დამუშავება. დაქირაებული შრომა აკრძალულია.

თუ რომელიმე წევრი სასოფლო საზოგადოებისა შემთხვევით უძლურია ორი წლის განმავლობაში, სოფლის საზოგადოება ვალდებულია მის გამომთელებამდე საზოგადო საშუალებით დაამუშაოს მისი მიწა.

მიწის მუშა, თუ მოხუცებულობისა ან ინვალიდობის გამო არ შეუძლიან პირადათ მიწის დამუშავება, ჰკარგავს მიწის სარგებლობის უფლებას, ხოლო სამაგიეროდ მიიღებს სახელმწიფოსაგან პენსიას.

7. მიწის საგებლობა უნდა იყოს გათანაბრებული, ე. ი. მიწა განაწილდება მშრომელთა შორის ადგილობრივ პირობების მიხედვით შრომისა და საჭიროების (მოთხოვნილების) კვალობაზე.

ფორმა მიწის სარგებლობისა სრულიად თავისუფალი უნდა იყოს — ცალკე საოჯახო, სათემო, საარტელო. როგორც გადასწყვეტს თვითონ სოფელი.

8. მთელი მიწა ჩამორთმევის შემდეგ გადადის მთელი ხალხის მიწის ფონდში. მის განაწილებას მშრომელთა შორის განაგებენ ადგილობრივი და ცენტრალური თვითმართველობანი. დაწყებული დემოკრატიულად მოწყობილ წოდებათა სოფლის და ქალაქის თემებისა და გათავებული ცენტრალური საოლქო დაწესებულებებით.

საადგილ-მამულო ფონდი დროგამოშვებით გადანაწილდება მცხოვრებთა რიცხვის ზრდისა და სასოფლო მეურნეობის კულტურის განვითარების მიხედვით.

ახალი გადანაწილების დროს ის ნაკერი მიწისა. რომელიც პირველად ხელში ჰქონდა მიწის მუშას. ხელუხლებელი უნდა დარჩეს.

თუ საზოგადოებიდან გავა რომელიმე წევრი, მისი მიწა დაუბრუნდება ფონდს. ხოლო უპირატესობა ამ მიწის სარგებლობაში ეძლევა წასულ წევრის ახლობელ ნათესავს ან იმას, ვისაც მოისურვებს გასული წევრი.

ხარჯი. რომელიც გაწეულია ბიწის გაპოხიერებისა და გაუმჯობესებისათვის, (ძირითადი გაუმჯობესება) უნდა აუნაზღაურდეს მიწის მუშას, როცა მისი მიწა დაუბრუნდება ფონდს. თუ რომელსამე კუთხეში არა საკმაო მიწაა ყველა ადგილობრივ მკვიდრთა დასაკმაყოფილებლად, მაშინ ზედმეტი ხალხი გადასახლებული უნდა იქნეს სხვაგან.

გადასახლების მოწყობა და ინვენტარის მიწოდება- გადასახლებულთათვის უნდა იკისროს სახელმწიფომ.

გადასახლება უნდა მოხდეს შემდეგი წესით: ჯერ გადასახლდებიან ვისაც სურს. მერე საზოგადოების არასასურველი პირები. დეზერტირები და სხვა, შემდეგ კი ან კენჭის ყრით. ან შეთანხმებით.

ყოველივე. რაც მოხსენებულია ამ „ნაკაზ"-ში, რომელშიაც გამოთქმულია მთელი რუსეთის შეგნებული გლეხობის დიდი უმრავლესობის ნებისყოფა, გამოცხადებულია დროებითი კანონად და უნდა განხორციელდეს დამფუძნებელ კრებამდის რამდენადაც შესაძლებელია და დაუყოვნებლივ. მხოლოდ ზოგიშისი დებულება შეიძლება განხორციელდეს თანდათანობით.. რომელსაც განსაზღვრავენ გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოები.

მიწა ღარიბ გლეხებს და კაზაკებს არ ჩამოერთმევათ".

79) **იგულისხმება მიწის დეკრეტი № 17** საქართველოს რევკომის მიერ გამოცემული. იხილეთ გვერდი 102.

80) **იგულისხმება მიწის დეკრეტი № 17.**

81) **ეხება ამხ. ფილიპეს იმ მოხსენების თეზისები,** რომელიც გააკეთა მან საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველ ყრილობაზე 1922 წ.

82) **ეს მოხსენება** გაკეთებულ იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველ ყრილობაზე.

83) **კერენსკის მთავრობა.** კერენსკის მთავრობათ ცნობილია კოალიციონური მთავრობა, რომელიც არსებობდა 1917 წლის ივლისის გამოსვლების ჩახშობის შემდეგ კერენსკის თავმჯდომარეობით ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებამდე (1917 წლის 25 ოქტომბრამდე).

84) **„პრავდა გრუზიი“.** ვაზეთი „პრავდა გრუზიი“ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო იყო, რომელიც გამოდიოდა 1922 წელს.

85) **ხომერიკი** (ნოე). იხილეთ შენიშვნა მე-49.

86) **ეს წარმოადგენს მოხსენებას,** რომელიც გააკეთა ამხ. ფილიპემ საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოთა პირველ კრებაზე ტფილისში 1922 წელს.

87) **ამხ. სვანიძე.** ამხ. სვანიძე (ალექსანდრე) იმ დროს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი იყო. ამჟამად ის სსრკ სახელმწიფო ბანკის წარმომადგენელია გერმანიაში (ბერლინში).

88) **ავტორს სახეში აქვს** ის, რომ მაშინ ის საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი იყო.

89) **1922 წლის 26 მაისს გამოცემული კანონი მიწის შესახებ** („დებულება მიწათმოწყობის შესახებ“) შემდეგია:

## I

## ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მთელი მიწაწყალი შეადგენს ერთიან სახელმწიფო ფონდსა და ამ მიწაზე მცხოვრებ მშრომელ ხალხის საერთო კუთვნილებას.

ამ ფონდს განაგებს და აწესრიგებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

2. მიწათმოწყობის მიზანია 1921 წ. აპრილის 6-ს თარიღისა და მე-17 №-ის დეკრეტის განხორციელება.

3. მიწათმოწყობის საგანს შეადგენს:

ა) დაკმაყოფილება: 1) უმიწაწყლო გლეხებისა და მცირე მიწაწყლის მქონე მეურნის; 2) კულტურულ, სამრეწველო, (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო) და ადმინისტრატიული დაწესებულებებისა და 3) კომუნისა, ამხანაგობისა, ან არტელისა და სხვა კოლექტივისა;

ბ) მჭიდროდ დასახლებულ სოფლების განტვირთვა და ახალშენების მოწყობა;

გ) მიწის დაქუცმაცების თავიდან აცილება და მიწების რაციონალურად ღანაწილება.

4. მიწათმოწყობის სამუშაოს უშუალო აღმასრულებელნი არიან:

მიწათმოქმედების კომისარიატის სამაზრო განყოფილებანი და სასოფლო საადგილ-მამულო კომიტეტები, რომელთა ფუნქციები და მოქმედების საგანი ცალკე ინსტრუქციით განისაზღვრება

## II

## მიწის ნორმა.

5. მიწის ნორმის განსაზღვრის საფუძველია ცალკე მეურნეობა (კომლი) და მიწის ავკარგიანობა.

6. მიწის ნორმა ყოფილი საკუთარი მამულიდან დაეტოვება მხოლოდ იმ მეურნეს, რომელიც ცხოვრობს ადგილობრივ და საკუთარის შრომით ეწევა მეურნეობას.

მოხუცებულ დაკრდომილს, ქვრივ-ობოლს, მიწის-მუშა წითელარმიელს და ყველას, ვინც მობილიზაციით დროებით მოწყვეტილ იქნება მეურნეობას, — დაეტოვება სრული ნორმა. ყველა მუშა-მოსამსახურეს, რომელიც მსახურობს განსაკუთრებული მნიშვნელობის საველმწიფო დაწესებულებაში და წარმოებაში (როგორიც არის მაგალითად, რკინის გზა, ქვა-ნახშირის მრეწველობა და სხვა) დაეტოვება ნახევარი მიწის ნორმა.

შენიშვნა 1. ოჯახის წევრად ჩაითვლება მოსწავლეც 25 წლის ასაკამდე.

შენიშვნა 2. სამოსახლო და სხვა მიწის ნორმები აღნიშნულია ამ მუხლის ცალკე დებატებაში.

7. მეურნეს, რომელიც ინტენსიურად ამუშავებს მიწას (მისდევს ჩაის, თამბაქოს, ვენახის, ძვირფასი ბაღნარეების და სხვა ამგვარ სამრეწველო კულტურას) დაეტოვება მთლად ის მიწა, რომელიც ფაქტიურად მის სარგებლობაში არის და შემუშავებულია მისი პირადი და მისივე ოჯახის წევრთა შრომით, თუნდაც ამ მიწის რაოდენობა დაწესებულ ნორმას აღემატებოდეს და უკეთუ ეს მეურნეობა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ჩარიცხული არ იქნება საბჭოთა მამულად.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, როდესაც კერძო მფლობელს დაეტოვება ისეთი კულტურული მამული, რომელიც ნორმას აღემატება, ეს მამული შეიძლება დაიბეგროს განსაკუთრებული გადასახადით საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დასტურით.

8. მიწა მიეცემა საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელიც პირადი შრომით ამუშავებს მიწას და რომლის საცხოვრებელ წყაროსაც შეადგენს სოფლის მეურნეობა. აგრეთვე ქვრივს, ობლებს და დაკრდომილთ. — ფონდიდან მიწის მიცემა სწარმოებს თავისუფალი მიწის ფონდის რაოდენობის მიხედვით.

9. ახალშენში გადასახლებულის მიწით დაკმაყოფილება მოხდება იმავე ნორმით, რომელიც დაწესებულია იმ რაიონებისათვის, სადაც საახალშენო ფონ-

ღი არსებობს. მოახალშენო ვალდებულია თავისი უძრავი ქონება ძველ ბინადრობაზე გადასცეს ადგილობრივ საბჭოს განკარგულებაში ახალშენში მოწყობის შემდეგ. ხოლო არა უგვიანეს ორი წლისა დღიდან ახალშენში გადასახლებისა.

10. კომუნას. ამხანაგობას ან არტელს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებართვით. შეიძლება მიეცეს ესა თუ ის კულტურულად შემუშავებული მამული მხოლოდ იმ შემთხვევაში. უკეთუ კოლექტივში შევლენ იმ სოფლის, ან მომიჯნავე სოფლის უმიწაწყლო. ან მცირე მიწის მქონენი, რომელ სოფელშიაც მდებარეობს მამული. ასეთ კოლექტივში შეიძლება წევრად მიღება ერთ ან რამდენიმე გარეშე პირისა. თუ ისინი თავისი სპეციალური ცოდნით საჭირონი არიან ამხანაგებისათვის.

## III

## მიწის სარგებლობა.

11. მიწის სარგებლობის ფორმა. იქნება იგი საკომლო, საარტელო, საამხანაგო, საკომუნო თუ სათემო. თავისუფალია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სათემო მიწის სარგებლობის მონაწილეს ნება აქვს ყოველ დროს გამოვიდეს სათემო წრიდან და ცალკე სარგებლობისათვის მიიღოს მიწის ხვედრი ნორმა.

12. მიწათმოქმედების მუშაობის დამთავრების შემდეგ მიწების გადაყოფა (передел) აკრძალულია.

13. მიწის სარგებლობა არის უვადო. შეუწყვეტელი და საშვილიშვილო.

14. მიწის სარგებლობის უფლება მოისპობა:

ა) როცა ოჯახის ყველა წევრი თავის ნებით უარს იტყვის მიწის სარგებლობაზე;

ბ) ოჯახის გადაშენებით;

გ) როცა ოჯახი გადასახლდება ახალ ადგილზე;

.დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონში განსაზღვრული დანაშაულებისათვის;

ე) მიწის ჩამორთმეეით სახელმწიფოს საჭიროებისათვის (გზებისა და არხების გასაყვანად, სახელმწიფო სამრეწველო დაწესებულებათათვის და სხვ.).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მეხუთე წერტში აღნიშნულ შემთხვევაში მიწის პატრონს უნდა აენაზღაუროს ზარალი და, შეძლებისდაგვარად, მიეცეს სხვა მიწა.

15. მიწის სარგებლობის უფლების გადაცემა (გაყიდვა. ჩუქება, დაგირავება და ოჯარით გაცემა) აკრძალულია.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: განსაკუთრებულ შემთხვევაში სტიქიური უბედურების გამო (მოუსავლობა, პირუტყვის გაწყვეტა და სხვ.) ან მუშა-ხელის დაკლების მიზეზით (მობილიზაციით გაწვევა და სხვ.) დროებით შერჩეულ მეურნეობას. აგრეთვე ქვრივ-ობლებს და მოხუცებულ-დავრდომილებს. უფლება ეძლევათ — მიწა იჯარით გასცენ მიწათმოქმედების კომისარიატის სამაზრო განყოფილების კონტროლ ქვეშ, რომელიც განყო-

ფილებაც მოქმედებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის თანახმად იჯარის შესახებ.

16. დაქირავებული შრომის საოგებლობა სასოფლო მეურნეობაში შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის კონტროლის ქვეშ:

ა) იმათთვის, ვისაც აქვს უფლება მიწის იჯარით გაცემისა (შენიშვნა მე-15 მუხლისა) და

ბ) სასწრაფო. ვადიანი სამუშაოს სეზონში: თოხნისა, მკისა, ვენახის ან სხვა მცენარეების წამლობისა, ჩაის მოკრეფისა, ჭირნახულის მოწევის დროს და სხვ.

17. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაევალება შეიმუშაოს ამა დებულების განსამარტებლად ცალკე ინსტრუქციები.

სრულიად საქ. საბჭ. ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტის
თავმჯდომარე — **ფ. მახარაძე.**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი — **თ. კალანდაძე.**

## დ ა მ ა ტ ე ბ ა

## მიწათმოწყობის დებულების მე-6 მუხლისა.

1. საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ვისაც სოფლად აქვს ცალკე მოსახლეობა, სულ ერთია აქვს მას უფლება მიწის ნორმის მიღებისა თუ არა, შეუძლიან დაიტოვოს სამოსახლო ადგილი ზომით არა უმეტეს 1200 კვ. საჟენისა ერთ ნაკრად, ხოლო ვისაც სამოსახლო ადგილი ახლად უნდა მიეცეს, მას მიეზომება სამოსახლო ადგილი არა ნაკლებ 300 და არა უმეტეს 600 კვ. საჟენისა. ეს ნორმა სამოსახლო ადგილი ქვემოდ მოყვანილ მიწის ნორმაში არ ჩაითვლება.

2. მიწის ნორმების განსაზღვრისათვის საქართველოს ტერიტორია გაიყოფა შემდეგ ხუთ რაიონად:

პირველ რაიონს შეადგენს: გორის მაზრის მთიანი ნაწილი ტირიფონის ველის და ცხინვალი ჩრდილოეთით, დუშეთის მაზრა, გარდა ხევისა, გუდამაყრის ხეობის და მუხრანის და საგურამოს საგარარო რაიონებისა: თიანეთის მაზრა გარდა მთიან ფშავ-ხევსურეთისა, თელავის მაზრა, მთლად სიღნაღის მაზრის ალაზნის ხეობა, ბორჩალოს მაზრის გაჩაგანის, დემურჩი გალნინის, გიაური არხის, ირხული სარვანის და აშაგა-სერალის თემები და ტფილისის მაზრის ყარაიას ველი.

მეორე რაიონს შეადგენს: სიღნაღის, ტფილისის და ბორჩალოს მაზრების დანარჩენი ნაწილები და დუშეთის მაზრის ხევი და გუდამაყრის ხეობა.

მესამე რაიონს შეადგენს მტკვრისა და ლიახვის ხეობა, გორის მაზრის საზღვრებში — ცხინვალი სამხრეთით და დუშეთის მაზრის მუხრანისა და საგურამოს საგარარო რაიონები.

მეოთხე რაიონს შეადგენს: ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები (მესხეთი და ჯავახეთი) და

მეხუთე რაიონს: იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია და სამეგრელო

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 1: სააგრარო რაიონების შედგენილობა სოფლებით მიღებულია იგივე, რაც მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილებისათვის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა 2: დავას რომელიმე სოფლის ამა თუ იმ რაიონზე მიწერის შესახებ გადასწყვეტს საადგილ-მამულო კომიტეტი.

3. ნორმად დასატოვებელი და დასანაწილებელი ყველა მიწა გაიყოფა ოთხ კატეგორიად:

პირველ კატეგორიაში ჩაითვლება: საეზოვე ბაღი, ვენახი, საბოსტნე, კარზე ტყე. ხელოვნური გაშენებული ტყე და უმაღლეს კულტურისათვის სავარგისი სარწყავი სახნავი მიწა, სარწყავი სათიბი და ის ურწყავი მიწები, რომელიც კარგ მოსავალს იძლევა.

მეორე კატეგორიაში: სახნავ-სათესი მიწები, რომელიც სისტემატიურად არ ირწყვება, ურწყავი სახნავი მიწა, რომელიც საშუალო მოსავალს იძლევა, ურწყავი სათიბი და ვაკე ჯაგნარი, რომელსაც გაკაფვის შემდეგ საშუალო მოსავლის მოცემა შეუძლიან.

მესამე კატეგორიაში: ყველა სხვა სახნავი მიწა და ეწერი და

მეოთხეში ჩირგვნარიანი ფერდო და ქვიანი ჯირგვნარი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: გამოუსადეგარი მიწა-წყალი, როგორც მაგალითად. გზა, რიყე. ტბა, ჭაობი, მდინარე, ღელე, ხრამი, კლდე, მეწყერი და სხვა ამგვარი რამ, თუ რომელიმე მათგანს განსაკუთრებული ღირებულება არა აქვს. ნორმაში არ ჩაითვლება.

4. მიწის ნორმა დაწესდება საშუალო ოჯახზე. საშუალო ოჯახად ჩაითვლება თვითეული ცალკე კომლი, რომელიც წარმოადგენს განსაკუთრებულ და დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს 3 — 5 სულისაგან შემდგარს. როცა ოჯახში ხუთ სულზე მეტია, ნორმას ემატება თითო ზედმეტ სულზედ ნორმის ერთი მეათედი და როცა სამ სულზე ნაკლებია. ნორმას აკლდება ამდენივე თითო ნაკლებ სულზე.

5. მიწის ნორმები, რომელიც დაეტოვება თითო კომლს:

| რ ა ი ო ნ ი | კატეგორია | | დესიტინები | |
|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV |
| პირველი . . | ოთხი | ექვსი | რვა | ათი |
| მეორე . | ოთხნახ. | ექვსი | შვიდნახ. | ცხრა |
| მესამე . . | სამი | ხუთი | ექვსი | შვიდნახ. |
| მეოთხე . | სამნახ. | ხუთი | ექვსნახ. | რვა |
| მეხუთე . | ორნახ. | ოთხი | ხუთი | ექვსი |

კომიტეტის თავმჯდ. ფ. მახარაძე.

აღმასრულ. კომიტ. მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. მაისის 26.

ტფილისი — სასახლე.

90) ე. ი. 1922 წელს.

91) **ეს წერილი** უნდა დაბეჭდილიყო მოსკოვის „პრავდა“-ში 1923 წელს. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო აღარ მოხერხდა.

92) ჩვენი მიწის კოდექსის მე-25 მუხლი ამბობს: „მიწის ყიდვა, გაყიდვა, ანდერძით გადაცემა, გაჩუქება და დაგირავება აკრძალულია; ამის დამრღვევი დაისჯება სისხლის სამართლის წესით, გარდა ამისა ჰკარგავს იმ მიწას, რაც მის სარგებლობაშია, ხოლო თვით ხელშეკრულება გაუქმებულად ჩაითვლება“.

93) **ამ წერილის** გაგრძელება აღარ ყოფილა შემდეგში.

94) **თავადი ლვოვი.** თავადი ლვოვი იყო 1917 წლის დროებითი მთავრობის თავმჯდომარე ჯერ წმიდა ბურჟუაზიულის (5 მაისამდე). ხოლო შემდეგ კ. (ივლისის გამოსვლებამდე) კოალიციონურ მთავრობის.

95) **თავადი მილიუკოვები.** პ. ნ. მილიუკოვი რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის ბელადი იყო. ის იცავდა მარქსისტების წინააღმდეგ რუსეთის ისტორიული პროცესის თავისებურობას. 90 წ.წ. ის ემიგრანტია, ღებულობს მხურვალე მონაწილეობას „განთავისუფლების კავშირში“. 1905 წლის რევოლიუციაში ის იყო ლიბერალური მოძრაობის ბელადი, კონსტიტუციონურ-დემოკრატიული (კადეტების) პარტიის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. მუდამ მოლაპარაკებას აწარმოებდა ბიუროკრატიასთან ძალა-უფლების განაწილების შესახებ ბურჟუაზიისათვის (1905 წლის ნოემბერში და 1906 წლის ივნისში). არ ყოფილა არც პირველ და არც მეორე სახელმწიფო სათათბიროში, ხოლო მესამესა და მეოთხეში კი იყო რა ლიბერალურ-ოპორტიუნისტული ოპოზიციის ბელადი, ის გამოხატავდა ბურჟუაზიის დიდმპყრობელურ ანექსიონისტურ გეგმებს და აპყრობდა მთელ ყურადღებას საგარეო პოლიტიკას, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთს. იმპერიალისტური ომის დროს ის იყო მომხრე ლოზუნგის: „ბრძოლა გამარჯვებამდე“, და მოითხოვდა სრუტეების (ბოსფორისა და დარდანელის) ანექსიას. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის დროს ის იყო გარეშე საქმეთა მინისტრი და ატარებდა თავის ანექსიონისტურ პოლიტიკას. მისმა 18 აპრილის ნოტამ გამოიწვია დიდი აღშფოთება რევოლიუციონური პროლეტარიატის რიგებში, რამაც იძულებული გახადა ის დაეტოვებია თავისი პოსტი. მას შემდეგ ის ყოველგვარი კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულების ბელადია. დაწყებული კორნილოვის გამოსვლიდან ის ხან გერმანიის ორიენტაციას ემხრობოდა და ხან „მოკავშირეებისას“. ახლა ის პარიზშია და ბელადობს კადეტების პარტიის მეაძარცხენე ფრთას. ის ბლოკის მომხრეა კერენსკისა და აქსენტიევის სახის „სახელმწიფოს სასარგებლოდ მოაზროვნე“ ესერებთან და იცავს „დემოკრატიული“ ანტიბოლშევიკური ბლოკის იდეას.

96) **მაშინ კიდევ არ გვქონდა მილებული ახალი სახელწოდება** და ვატარებდით ძველს: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია“.

97) **დეკრეტი მიწის შესახებ.** იხილეთ შენიშვნა მე-78.

98) **ნერუჩევი.** ნერუჩევი მემარჯვენე ესერი იყო. მაშინ მას ეკავა ამიერკავკასიის მიწათმოქმედების მინისტრის პოსტი.

99) **ჩხენკელი.** აკაკი ჩხენკელი ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ბელადია. თებერვლის რევოლიუციამდე ის იყო დეპუტატად ბათომის ოლქიდან სახელმწიფო სათათბიროში. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ამიერ-

კავკასიის ცალკე არსებობის დროს ის იყო ამიერ-კავკასიის შინაგან საქმეთა მინისტრი. ამჟამად ის საზღვარგარეთ იმყოფება და ეწევა აგიტაციას ჩვენს წინააღმდეგ.

100) **„ერთობა“.** გაზეთი „ერთობა“ გამოდიოდა 1917 წლიდან გაზეთ „თანამედროვე აზრის“ მაგივრად ქ. ტფილისში. ის იყო მენშევიკების პირველად ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო, ხოლო შემდეგ, როდესაც ჩვენი მენშევიკები ჩამოსცილდენ რუსეთის მენშევიკებს და დააარსეს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. „ერთობა“ გადაიქცა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოთ. ის გამოდიოდა შეუწყვეტლად 1921 წლის მარტამდე. ე. ი. მენშევიკური ხელისუფლების დამხობამდე საქართველოში.

101) **„ბორბა“.** გაზეთი „ბორბა“ იყო მენშევიკების პირველად ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის. ხოლო შემდეგ კი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის, ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი ორგანო რუსულ ენაზე. ის გამოდიოდა 1921 წლის 25 თებერვლამდე. ე. ი. მენშევიკური ხელისუფლების დამხობამდე საქართველოში.

102) **იგულისხმება** რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო. რომელსაც თავმჯდომარეობდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

103) **გეგეჭკორი** (ევგენი) ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე იყო (იხილეთ შენიშვნა მე-35).

104) **კადეტები.** კადეტები ეს ლიბერალური ბურჟუაზიის კონსტიტუციონურ-დემოკრატიული პარტიის შემოკლებული სახელწოდებაა. დაარსდა ის 1905 წლის ოქტომბერში: 1) ერობის მომხრე კონსტიტუციონალისტების — ლიბერალური მემამულეებისაგან და 2) „განთავისუფლების კავშირის“ წევრებისაგან. ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინტელიგენციისა და თავისუფალი პროფესიის პირთა წარმომადგენლებისაგან. პროგრამის ძირითადი მუხლებია: 1) პარლამენტარული მონარქია; 2) მემამულეებისათვის ჩამორთმეულ მიწებში სასყიდელის მიცემა და 3) მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება 8 საათის საათუშაო დროის დაშვებით იქ. საღაც ეს შესაძლებელია.

105) **იხილეთ** შენიშვნა მე-78.

106) **მეათე ყრილობა** რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) შესდგა 1921 წლის მარტში.

107) **მეთერთმეტე ყრილობა** რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშეეიკებისა) შესდგა 1922 წლის მარტში.

108) **მეოთხმეტე ყრილობა** რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) შესდგა 1923 წლის გაზაფხულზე.

109) **იგულისხმება სტალინის წერილი:** „თაებრუდახვევა წარმატებისაგან“.

110) **იხილეთ** შენიშვნა მე-78.